



K 43.068
3

ბერძენიშვილი

საქართველოს ისტორიის
საკუთხეები

V

საქართველოს ისტორიის

3



АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Институт истории, археологии и этнографии им. У.А. Джавахишвили

Н. А. Бердзенишвили



Вопросы истории
Грузии

КНИГА

V



Издательство «Мецниереба»

ТБИЛИСИ • 1971

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ფეხაბიძელის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ნ. ბერძენიშვილი



საქართველოს ისტორიის
საკითხები

წიგნი

V



საგბ-2000
შემოწმებულია

გამომცემლობა «მეცნიერება»

თბილისი • 1971



143.068
K



9 (C.922)

საქართველო ისტორია

9 (C41)
9(47.922)
ს323

წინამდებარე ტომში შესულია ავტორის ნაშრომები ფეოდალური საქართველოს სოციალურ, ეკონომიურ და ისტორიულ-გეოგრაფიულ საკითხებზე. ავტორი მისთვის ჩვეული სიღრმითა და საფუძვლიანობით აშუქებს ძველი საქართველოს ისტორიის არაერთ საკანძო საკითხს. ამ წიგნს ინტერესით გაეცნობა საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოება.

სარედაქციო კოლეგია: გ. აკოფაშვილი, მ. ბერძნიშვილი,
ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. სიხარულიძე,
შ. ხანთაძე, გ. ჯამბურია

1-6-1
141-70 აღ.

356 გვ

2262

2-19.15

ძ ლ მ გ ა დ¹

ჩემი ეს ნაშრომი არც დღიურია და არც სამეცნიერო მოხსენება, დღიურში ბუნებრივი იქნებოდა კერძო, ინტიმური, საზოგადოებისათვის ზოგჯერ არასაინტერესო მომენტები, სამეცნიერო მოხსენება კი ზანგრძლივ შრომას მოითხოვდა. არც „შთაბეჭდილებანია“ ეს ჩემი ნაშრომი მთლად, თუმცა ყველაზე უფრო ამ ქანრს უახლოვდება. ნამდვილად კი ის ყველა ამათი ნარევია.

ჩვენი მივლინების² მიზანი იყო ბულგარეთში პეტრიწონის (ახლა ზაჩკოვოს) მონასტრის მოხილვა და იქ ქართველთა მოღვაწეობის კვალის დაძებნა.

როგორც ცნობილია, პეტრიწონის ქართველთა მონასტერი დაარსებულია ქართველი მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ 1083 წელს. ამავე მონასტერში მოღვაწეობდა, ვიდრე დიდი დავით აღმაშენებლის მიერ გელათს არ იქნა მოწვეული, იოანე პეტრიწონელი, შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიის ყველაზე დიდი წარმომადგენელი.

მეტად მესიამოვნა, რომ მოსკოვიდან სოფიას მატარებლით წასვლა მოგვიხერხდა. მართალია, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ორჯერ მეტი დრო წაგვივა (და მე კი სახლში მუწუხი მიდგას, — სახელმძღვანელო...), მაგრამ ერთი უცხო ქვეყნის ნახვა ღირს იმად, რომ შინ დაბრუნებისას წელებზე ფეხის დადგმა დამჭირდეს. ბულგარეთს მივდივართ რუმინეთზე გავლით. მთელს ამ ქვეყანას გადავსერავთ; იასი, პლოეშტი, ბუქარეშტი, გიურგიუ-დუნაი. რუმინეთში 10 დღით შეჩერების უფლებაც ვვაქვს და საშუალებაც (ბულგარულთან ერთად რუმინული ვალუტაც მივიღეთ).

სამ მარტს „მოსკოვი-ოდესა“ მატარებლით წავედით. ძლიერი ბუჭი იდგა, ჩამობურული ცა და ნამქერში გახვეული მიდამო. მწყინდა, რომ ასეთ ამინდში მატარებლის სარკმლიდან ბევრს ვერაფერს დავინა-

¹ პირველად დაიბეჭდა 1949 წ. თბილისში.

² მივლინებული ვიყავით საქ. მეც. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი პროფ. აკაკი შანიძე, დოც. ოთარ გიგინეიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

სავდი. აქა-იქ სადგურებზე ნაომარი ადგილები საზარლად გამოიყურება. სუხინიჩი, ბრიანსკი, კიევი, ყმერინკა და სხვა მეხისტეხის ადგილები უკვე წამომდგარან და ომის ველურ ნაკვალევს სპობენ: გახურებული ადღგენითი მუშაობა აქეთ. დნებრიც, საცაა, ახალი ხილით დამშვენდება. განუზომელ-ამოუწყველია სოციალისტური ბუმბერაზის სასიცოცხლო ძალა. ჭაბუკსა და ჯანსად საზოგადოებას სწრაფად უშუშდება მძიმე ჭრილობა.

მიქრის ჩვენი მატარებელი თვალუწვდენ ტყიანზე. შორიშორ ნაკაფში მოჩანან სოფლები... დგას ეს შეუძრავი უსიერი ტყე და ჩემთვის ხელშესახებად გასაგები ხდება ამ ტყის მნიშვნელობა რუსეთის ისტორიის შორეულ წარსულში. მეურნეობის სახეობაზე (მიწის მოქმედება, მონადირეობა, მესაქონლეობა) თუ თავდაცვის საქმეში და, მათა-სადამე, თვით საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სახის როგორობაზე უთუოდ დიდი გავლენა ჰქონდა ამ ბუნებრივ პირობას,—ტყეს, ისევე როგორც ველს შავი ზღვისპირეთის ველოვანში. ჩემთვის ხელშესახებად გასაგებია ახლა რუსეთის ისტორიკოსების ეს გეოგრაფიული მოსაზრებანი ამ ჭკვეუნის ძველი ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში. რუსეთის ტყიანი ზოლი, ტყიან-ველოვანი ზოლი, ველოვანი ზოლი...

საჭიროა და აუცილებელი, და ეს წესად უნდა დავიდვათ, რომ ჩვენმა ისტორიის მეცნიერების მუშაებმა, ასპირანტებმა და უფრო მოზრდილებმაც, უშუალოდ თავისი თვალთ ნახონ და განიცადონ რუსეთისა და ბელორუსიის ტყეები, ტბები, დიდი მდინარეები, უკრაინის ველები, იმიერკავკასიის ტრამალები. ეს დიდად დაეხმარება მათ არა მარტო მოძმე რუსეთისა და უკრაინა-ბელორუსიის ძველი ისტორიის საკითხების სწორად გაგებაში, არამედ ზოგადი ისტორიის არა ერთი ძირითადი თეორიული საკითხის მეცნიერულ გადაწყვეტაშიც.

და ამავე ღროს რარიგ ადვილი შესასრულებელია ასეთი რამ: უშუარველი სახსრები, მატარებელი, გემი, თვითმფრინავი...

ხუთ მარტს ოდესაში ვიყავით. მთელ დღეს ვათვალიერებდით ქალაქის ნავსადგურს, მთავარ ქუჩებს, მოედნებს, გარეუბნებს, გმირი ქალაქი ომში მიღებულ ღრმა ჭრილობებს იშუშებს და აღმავალი ბურჯუაზიული რუსეთის შენამოქმედი ოდესა სოციალისტურად იკაზმება. მუზეუმში ვინახულეთ. განსაკუთრებით საყურადღებოა ოლვიის უმდიდრესი მასალა. ბერძნული კლასიკური ხანა, კერძოდ კერამიკა, არანაკლებ უხვადაა აქ წარმოდგენილი, ვიდრე ერმიტაჟში (ლენინგრადს). არქეოლოგიური გათხრები ოლვიაში ახლაც მიმდინარეობს. ჩვენი არქეოლოგები უნდა გავცნონ ამ მუზეუმს, ჩვენი არქეოლოგი ასპირანტები, ზოგი მაინც, უნდა მივავლინოთ ოლვიის გათხრებზე.

სხვა ეპოქებიცაა ოდესის მუზეუმში წარმოდგენილი. საკვირველია, რომ ჩვენი, სოციალისტური, დრო ყველაზე ნაკლებად არის ყურადღებაშიცეული.

მუზეუმის დირექტორის მოადგილემ ამხ. ვ. ნიკოლინმა ჩემს შენიშვნაზე იმის შესახებ, თუ რატომ არ ჩანს „ბერძნულ“-კლასიკური ხელოსნობა-ხელოვნების ნაწარმოებთა გვერდით იმავე დროის „ადგილობრივი“ ხასიათის რამ, მიპასუხა, რომ ეს იმ დროის (არასაბჭოთური) არქეოლოგიის ბრალია. ბერძნული კლასიკური ხანის დამახასიათებელი ბრწყინვალე ნივთების საძებნელად ჰქონდათ თვალი გამახვილებული, სხვა ყველაფერი უყურადღებოდ რჩებოდა, ნადგურდებოდა. მტკივან გულს მომხვდა სწორი შენიშვნა. ჩვენშიაც აგრე არ იყო განა და კიდევ მეტიც: არქიტექტურა, მხატვრობა, ლიტერატურა, თვით ენაც კი (მიინცადამაინც მისი კულტურულ ცნებათა მარაგი) გამოცხადებული იყო ან ბერძნულ-ბიზანტიურად, ან სპარსულ-არაბულად, თვით თურქულ-ოსმალურადაც კი. საქართველოში ქართული ცხოვრებისათვის ადგილი აღარ რჩებოდა, ან უკეთ, მას არავინ ეძებდა და არც არავინ ხედავდა..

და განა ჩვენი არქეოლოგია, საკუთრივ, საესეებით თავისუფალია დღეს ასეთი მანკისაგან? გვაქვს განა, მაგალითად, საქართველოში ნამდვილი საბჭოთური ქართული არქეოლოგია? ჩვენი არქეოლოგია აქეთ მიდის და წარმატებითაც, მაგრამ სრულ გარდაქმნამდე მან ვერ კიდევ არა ერთი რამ უნდა უკუაგდოს მანკიერი მემკვიდრეობით მიღებული.

ორ მარტს მოსკოვში ამხ. აკაკი შანიძესთან საუბრისას მე აზრად მომივიდა და იმ დღესვე ჩავიწერე: გარკვეულ დროს, უძველეს ხანაში, ადამიანებს „ქვევრში“ კი არ მარხავდნენ, არამედ ისეთსავე სახლში, როგორშიაც ის ცხოვრობდა, ვიდრე ცოცხალი იყო, ე. ი. ე. წ. „ქვევრ-სამარხი“ რომ შემოვიდა და სადაც შემოვიდა, იმ დროს იქაური ადამიანი ასეთივე ფორმის (დაახლოებით) კონუსისებურ სახლში ცხოვრობდა. რა ერქვა ასეთ ნაგებობას — „სახლი“, „ქვევრი“ (ჩვენ ხომ „ქვევრის“ ეტიმოლოგია არ ვიცით), „ქვაბი“ თუ სხვა რამ, ჩვენ ვერ ვცნობით არ ვიცით, მაგრამ ის კი უნდა შევიწყნაროთ, რომ ეს არ იყო ჭურჭელი (ქვევრი), არამედ საცხოვრებელი (სახლი)². ასეთივე სახლია ე. წ. „ქვა-ყუთი“ თავისი ორფერდა (ან კიდევ ბანიანი) გადახურვით. ესლა, როცა, ამასთან დაკავშირებით, ე. წ. სარკოფაგების სურათები მაგონდება, მგონია, რომ ჩემი მოსაზრება, მართლაც საფუძვლიანია. თუ ეს მოსაზ-

² ბუნებრივად მაგონდება ასეთი კონუსისებური მცირე ნაგებობა, თორის მიდამოებში რომ ვნახე 1947 წელს, — უკიროდ ნაგები, ქვისაგან. იქ არა ერთი ასეთივე ნაგებობა ყოფილა და მხოლოდ ამ ერთს მოულწევია ჩვენს დრომდე. დამახასიათებელია ამ ადგილის აწინდელი სახელი: „დარბაზები“.

რება მეცნიერულად დამტკიცდებოდა, არქეოლოგიური ტერმინები „ქვევრ-სამარხი“ და „ქვა-ყუთი“ (როგორც ჩანს, თარგმანი „кувшинное погребение“ და „каменные ящики“-სა) სათანადოდ შეიცვლებოდა.

ასეთი შემზადებული რაკი ვიყავი, ბუნებრივია, ოდესის მუზეუმის დათვლიერებისას ჩემი ყურადღება მიიქცია საგანგებოდ გამოდგმულმა სარკოფაგმა, რომელიც ხისაგან არის აშენებული (სამწუხაროდ, ამ ეგლის შესახებ იქვე ჩაწერილი შენიშვნა დამეკარგა და ზეპირად ვწერ). სიგანესთან შედარებით სიგრძე ამ სარკოფაგს ერთნახევარჯერ მეტი აქვს. გადახურვა მას იმდენად დამახასიათებელი აქვს, რომ ზემო-გამოთქმულს ჩემს მოსაზრებას ეთანხმება და ამაგრებს, — ორფერდა სახურავი (არმაზისხევის პიტიაშების საფლავებივით) სპეციალურად ამოყვანილი საქედავით. ამის გამკეთებელი, რა თქმა უნდა, გულისხმობდა, რომ ის თავის „მიცვალებულს“ საიქიო „სახლს“ უშენებდა.

ამ მოსაზრების სისწორეში კიდევ უფრო დამარწმუნა სოფლის მუზეუმში მოთავსებულმა ერთმა სარკოფაგმა, მისი ზემო ნაწილი მთლიანი გვისაგან გამოთლილ ორფერდა სახურავს წარმოადგენს. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ მშენებელი ცდილა კრამიტით გადახურვის ილუზია შეექმნა: სახურავის ზედაპირი კრამიტის ფორმის ოთხკუთხედებადაა დაყოფილი. შუბლი კი ამ სარკოფაგს ისევე აქვს მორთული, როგორც კლასიკური ხანის ტაძარს...

ოდესის მუზეუმის დირექტორის მოადგილეს ამხ. ვ. ნიკულინს შევუთანხმდით, რომ ამიერიდან გაცელის წესით მათგან მივიღებთ ამ მუზეუმის გამოცემებს და ჩვენსას კი მივაწოდებთ. ამხ. ნიკულინმა ისიც აღგვითქვა, რომ მუზეუმის (და ისტ. არქ. საზოგადოების) ძველ გამოცემებს, რაც ჩვენ გვაკლია, გამოგვიგზავნის.

სალამოს რვა საათზე უნგენისაკენ წავედით. გზას მოვუწდიტ მეორე დღის თორმეტ საათამდე. მთელი ეს მანძილი ან ღამით ვიარეთ, ან სასტიკ ქარბუქში, ასე რომ ბესარაბიიდან არავითარი შთაბეჭდილება, გარდა კ ი შ ი ნ ი ო ვ ი ს ვ ა გ ზ ლ ი ს ა (ახლად აშენებული და კარგად მოწყობილი), არ გავყვოლია.

უნგენი მცირე სადგურია საზღვარზე, მდინარე პ რ უ ტ ი ს მარცხენა მხარეს. აქედან რუმინული მოლდავიის მთავარ ქალაქ იასამდე მხოლოდ 18 კილომეტრია.

უნგენში სასაზღვრო პროცედურა სწრაფად გავიარეთ და იასის მატარებელში შევედით. ჩვენს ვაგონში ხალხი ცოტაა. პრუტი გადავიარეთ, აქედან უკვე არისო „რესპუბლიკა პოპულარა რომანა“, გვიტხრა ერთმა სიმბატიური გარეგნობის მაიორმა. მალე რუმინელი ოფიცერი და ჯარისკაცი გამოჩნდნენ. კარგად აცვიათ და სამხედრო მიმოხვრაც ნამაცური აქვთ. ეტყობათ, რომ ჩვენებს ბაძავენ.

რუმინელმა ოფიცერმა პასპორტები გამოგვართვა, შიგ რაღაც ჩაი-
ნიშნა და პატივით დაგვიბრუნა.

ქარბუქი თანდათან გადაიღო და უნგენიდან იასამდე ლამაზი სე-
რები გამოჩნდა. სერების ფერდებზე თავმოყრილი სოფლებიც სასიამოე-
ნოდ გამოიყურება. პატარა სახლები და ჩალით დახურული სამეურნეო
დანაშნულების ქოხები, ხეხილის ბაღები და ვენახი ამ თოვლშიაც შე-
იმჩნევა.

მალე იასიც გამოჩნდა. მთის ფერდობს შვენის კონტალ შეფენილი
ქალაქი. შევედით საკმაოდ მოზრდილსა და კარგად მოვლილ სადგურში.
რესტორანში ბუფეტის პატრონი ფაციფუცობს. ბარგი მივაბარეთ. ქა-
ლაქში გასვლა გვეჩქარება. ზალაში კედელს ამკობს რუმინული წარ-
წერა წითელ ლენტზე: „ტრაიასკა რესპუბლიკა პოპულარა რომანა“. აქვეა სურათები მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის. ქვემო რიგ-
ში — გიორგი დევი და სხვა ხელმძღვანელები რუმინეთის მუშათა პარ-
ტიისა.

სადგურიდან ქალაქში გასასვლელ მოედანზე ტრამვაის პატარა ვა-
გონი დგას. რუმინულ-ბოხობიანი ვატმანი ვაგონის თვლებს ჩაქუჩით
სინჯავს. უნებურად მომაგონდა ტრამვაის „ბოლო ვაჩერება“ ჩვენს უნი-
ვერსიტეტთან 1930-იან წლებამდე. ჩავჯექით, ვაგონი არახუნდა, წავე-
დით. კონდუქტორი დგას ვაგონის შესასვლელში და ხშირად მოაგონებს
მგზავრებს: „ტაქსა“ (ბილეთები შეიძინეთ). ვაგონში ხალხი საკმაოა.
ჩემი ყურადღება მიიქცია იმან, რომ ხმამაღლა ლაპარაკი არ ისმის.

იასი ძველი ქალაქია დამახასიათებელი ვიწრო ქუჩებით, პატარა
სახლებით.

საბჭოთა საკონსულო ვიკითხეთ, გვინდა იქიდან ვინმე გავიყოლოთ
და ქალაქი დავათვალიეროთ. ჩვენს განკარგულებაში სამი საათია. სამ-
წუხაროდ, საკონსულოში არავინ დაგვხვდა. ქვეითად ყიალი ვარჩიეთ.
პატარა ღუქნების წინ ხილი და სხვა წვრილმანი რამ გამოუწყვიათ.
იველი დროის თბილისელი ბაყლები მომაგონა. კვირაა. უამინდობის
მიუხედავად ქუჩაში ხალხი მრავლადაა. სიღარიბე ემჩნევათ: თვალში
გვეკმათ სამოსლის გაცვეთილობა. ქუჩებში მანქანები ცოტაა. „გადა-
სულ ქამთა“ ეტლები აქ ისევ ცოცხალია. ქალაქს ომის ნავნები ძლიე-
რად ამჩნევია. ხშირია ჩალეწილი ნასახლარები, გაშიშვლებული კედ-
ლები. აქა-იქ მაინც შემონახულა ლამაზად ნაგები სახლები (ქალაქის
თვითმპართველობის შენობა. საჯარო ბიბლიოთეკა და სხვ.).

თბილისიდან წამოსვლისას ჩვენ არ ვფიქრობდით, რომ რუმინეთ-
ზე მატარებლით გავლა ან იქ შეჩერება მოგვიხერხდებოდა. ამის შე-
დეგი იყო, რომ ბესიკის საფლავის საძებნელად სათანადოდ მომზადე-
ბული არ ვიყავით, ეხლა. რაკი იასზე და ბუქარეშტზე გავლა მოგვიხდა,

ბუნებრივია, სურვილი აგვეძრა, რომ ჩვენი ქარიშხლიანი ისტორიით მიმოზნეული ქართველი მოღვაწენი აქაც მოგვეკითხნა.

აქ, იასში ბესიკის საფლავი გვეგულება. ვფიქრობთ, რომ მის ლოდს ქართული წარწერა ექნება, თუმცა ზაქარია ჭიჭინაძის საამისო ცნობა არც ერთს არ გვახსოვს. სამწუხაროდ, არც დღე (კვირა, როცა ბუზეუმი, არქივი, უნივერსიტეტი დაკეტილია), არც ამინდი (ღრმა თოვლი) ხელს არ გვიწყობს. მაინც რომელიღაც ეკლესიის გალავანში უგზო-უკვლოდ შევეხეტეთ. არ ვიცი, რას ვუპასუხებდით, რომ ვინმე მოსულყო და ჩვენი ამ უცნაური არქეოლოგიური ძიების შესახებ ეკითხნა (ფეხით თოვლს ვაცლიდით საფლავის ლოდებს). მალე ავიდეთ ხელი ამ უიმედო საქმეზე (ეკლესია იასაში მრავალია და საფლავის ქვები უთვალავი). ისევ ქალაქის დათვალიერება განვაგრძეთ. ერთხანს ქვეითად ვიარეთ, შემდეგ ტრამვაის გავყევით. მგზავრებს შორის ერთი ქალი რუსად შევიცანიით. ვიდრე არ დაგვშორდა, ჩვენი მეგზური ის იყო, კიდევ ერთხანს ვიყიალეთ და ჩვენი წასვლის დროც მოვიდა.

სადგურზე დაებრუნდით. პირველი მარცხის გრძნობა თან მოგვეყვა: ბესიკის საფლავი ვერ ვეძიეთ შესაფერისად.

რესტორანში სადილი დავუკვეთეთ. დახლთან მთვრალი რუმინელები ბარბაცებენ. სანოვაგე, ჩანს, გაძვირებულა, მაგრამ არც თუ ძლიერ. ამბობენ, სამრეწველო საქონელი ცოტაა და მეტად ძვირიო.

მალე დიზელი (ერთი ვაგონი) ჩამოდგა. მდიდრულად მორთულ ვაგონში მოვთავსდით და ბუქარეშტს წავედით. მატარებელმა მალე გადალახა ლამაზი, ტყიანი გზით ტრანსილვანიის ქედი და სწრაფად დაეშვა ვაკეში. ორივე მხრით სერებია, შუაში — ქალა. სერებიცა და ქალაც ნაშენები ჩანს. ხშირი სოფლები რუმინეთის მოლდავიის დოვლათიანობას მოწმობს.

ჩვენს ვაგონში ხალხი ცოტაა, იმიტომ, რომ ამ მატარებლით მგზავრობა მეტისმეტად ძვირია. ჩვენი თანამგზავრები ამიტომ სულ შექლებული ხალხია. ეს გარეშეხედვითაც შესამჩნევია.

ერთ-ერთ სადგურზე (ბუჰაეშტი) შედარებით ახალგაზრდა კაცი შემოვიდა ვაგონში და ჩვენს გვერდით დაჯდა. სასიამოვნო გარეგნობისაა. მკერდზე ანტიფაშისტური ემბლემა აქვს. გამოგვესაუბრა. თავს კომუნისტად აცხადებს. მთელი დასტა გაზეთები აქვს თან (კომუნისტური, სახალხოფრონტული). ამბობს, რომ ბუქარეშტიდან აქ სოფელში იყო მოვლინებული მიწის ახალ რეფორმასთან დაკავშირებით. ნამყოფია, ასე აცხადებს, ესპანეთში. იქ ვიბრძოდით ინტერნაციონალური ბრიგადაში, შემდეგ საფრანგეთში ვიყავით დაპატიმრებული და მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნებულა რუმინეთში. ქართველების შესახებ სტალინით იცის. იცის სტალინის გაზეთი „ბრძოლა“.

იცის ამ სიტყვის შინაარსიც. არ იცოდა, რომ ქართველებს დღესაც საკუთარი შრიფტი გვაქვს. უკვირს ძველი ქართული კულტურის ფაქტები. აინტერესებს აწინდელი საქართველოს კულტურა, მრეწველობა, ტრანსპორტი, ბუნება, მეურნეობა... ბუნებრივად ჩვენი გოკის მაგონდება. დიდი ამოცანა აკისრია მას, მაგრამ ჩვენ, ქართველ საბჭოთა ინტელიგენციას, — არანაკლები. გოკის მხოლოდ ჩვენი აქტიური მხარის დაჭერით შეუძლია თავისი მიმღე მოვალეობა ღირსეულად შეასრულოს: სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს უნდა გავაცნოთ ჩვენი აწმყო და წარსული.

რაც უფრო ვუახლოვდებით ბუქარეშტს, მგზავრები გვემატებიან. შემოდიან რუმინელი სამხედროები. საოცრად დიდი „აკოლიშებიანი“ ქულები ხურავთ. მეტისმეტი პრანჭიაობა ეტყობათ. ფუქსავატობას, ღიდეობას მაგონებს, ჩვენში რომ „ბრწყინვალე ოფიცრობას“ ახასიათებდა გადასულ დროს. ასეთსავე შთაბეჭდილებას სტოვებს ჩემზე არასამხედრო ახალგაზრდობა. ამ ვაგონში რომ შემოდის. მდიდრულად ჩაცმული, აპრელებული, პიჯაკი უცნაურად შეკერილი და სხვა ფერისა, ვიდრე შარვალი ან ჯემპრი (ეს კიდევ სხვა ფერის); გრძელი, ვიდრე ფეხი მოირგებდა, ფეხსაცმელები უგალოშოდ (ზამთარია); თავზე ძვირდასი ბეწვეულის ბოხობი ხურავთ რუმინულად (უკანა მხრიდან შეეცილი, ან კონუსივით); თმა მოშვებული და ზოგი მათგანი სქლად შებუდრული, — თავად-აზნაურული რომანიის ნაშეიერები. ესენი (რუმინელები), ჩვენი სიკეთისა არ იყოს, მეტისმეტად დიდხანს შერჩნენ ფეოდალურ ყოფას და მხოლოდ მეოცე საუკუნეში შეარღვია უცხოურმა ბურჟუაზიამ ამათი ფეოდალური კიშკარი. და ეხლა ისტორია ამათ ახალა ქვეყნის შენების ოსტატებთან მიმღე ნადში მოუწოდებს. შეძლებენ? ეს ფეოდალური ბურჟუაზიის ნაშეიერები, რა თქმა უნდა, ვერა, მაგრამ შეძლებს რუმინელი ხალხი, რუმინელი მუშა და რუმინელი გლეხი. თავს ამყადა ვგრძნობ: რა დიდი მანძილი გვაქვს გავლილი მატერიალურ თუ მორალურ-ფსიქოლოგიური გარდაქმნის ახალი გზით. ამათ მასწავლებლად დღეს ყველა ჩვენი რიგითი მშენებელი მოქალაქე გამოდგებოდა...

დადამდა. ჩვენს დიზელში ძლიერ აცივდა. ათბობენო, გვითხრეს, დღეს კი საამისო არაფერი ჩანს, ეს არ შვენის მდიდრულად მოწყობილ მატარებელს. ცხრა საათზე გავიარეთ პლოშეტი და თერთმეტის ნახევარზე ბუქარეშტის სადგურში შევედით.

ჩვენი თანამგზავრი რუმინელი გამოგვემშვიდობა. სასტუმრო „ათენე-პალასი“ გვიჩნია. მეზარგემ ჩვენი ბარგი საცოდავად წაათრია (უღონო იყო საბრალო) და ტაქსის მიგვცა. ავტომ საკმაო ჯახირით აიდგა ფეხი. ძველისძველი მანქანაა, ვინ იცის, რა ფირმის. ველითო, რომ „პობედა“ მოვა ბევრიო, გვითხრა მოფერმა. გვესიამოვნა.

სასტუმროში სივიწროვე არ ჩანს. ცალ-ცალკე ოთახი მივიღეთ, გვიხარია, რომ ნებიერად მოვისვენებთ. სასტუმრო სპეციალურად აგებული შენობაა და კარგად მოწყობილია. წინათ ის ვინმე გრიგორესკუს ეუთვნებია. დღეს განსაზოგადოებრივებულია.

რუმინული არ გვესმის, რუსული ამათ არ ესმით, ასე რომ ჩვენი საერთო ენა ფრანგულია, რომელიც აქ თითქმის მეორე დედაენად იცნობა.

ჩაი დავლიეთ და დასაძინებლად დავიშალენით. დავეწქი. ნ. მარის „იოანე პეტრიწი“ გადავშალე. პირველი აბზაცის წაკითხვა ძლივს მოვალწარი და მოღლილს ჩამეძინა.

ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ გამომეღვიძა. თავი მტკიცად. ალბათ წნევამ მომიმატა. ოთახში ცხელოდა. ავდექი, ფანჯარა გავალე და ისევ წამოვწექ. ვფიქრობ: ეთქვათ, მე მაქვს ფული, რომ ექიმში მოვიწვიო, ვიმკურნალო. რომ არ მქონდეს? და ბუნებრივად მაგონდება ჩვენი საზოგადოებრივი წყობა. იქ ხომ ასეთი შიში არაა. რა სუსტია ადამიანი აქ და რა ძლიერი და მტკიცეა პიროვნების ჩვენებური (სოციალისტური) უზრუნველყოფა. იქ ჩემი სიძლიერე თვით საზოგადოებაშია, ჩემი უზრუნველყოფა, ჩემი უფლება თვით საზოგადოებრივ წყობაშია, იქ ყველაფერი ერთისათვის და ერთი ყველასათვისაა. აქ ადამიანის უფლება და უზრუნველყოფა მის საკუთარ ჯიბეზეა დამოკიდებული და რაოდენ სუსტია და უნდო ადამიანის ჯიბე (თუნდაც სქელი ჯიბე) საზოგადოების ძალასთან შედარებით... სოციალიზმის უპირატესობა რეალურად ზეღმესახებია.

სხვა თუ რამ ვიფიქრე, ეს პირადი ხასიათისა იყო. როგორც იქნა, გათენდა (7/III). ძლიერი ქარბუქია. სამწუხაროდ გვიჩანს, რომ ქალაქს ისე ვერ დავათვალიერებთ, როგორც სასურველია. არც დრო გვაქვს, რომ გამოდარებას ვუცადოთ. ათ მარტს, აუცილებელია, უნდა ზულგარეთში შევიდეთ.

საელჩოში დავრეკეთ, ელჩმა ს. ქავთარაძემ მიგვიბატოცა. ს. ქავთარაძე მე პირველად ვნახე სამს (თუ 5) იანვარს 1918 წელს თბილისში „აპოლოს“ კინოთეატრის დარბაზში, მიტინგზე. მან მოხსენება წაიკითხა რუსეთის დამფუძნებელი კრების დათხოვნის გამო. მისი მოხდენილი გარეგნობა და კარგი რუსული გამოთქმა დამამახსოვრდა.

წლებს „თავისი ბეგარა არ დაუკლია“, ს. ქავთარაძე ახლა ქალარამორეული კაცია, თუმცა ჯერ კიდევ კობტა და შნოიანი.

აკაკიმ ჩვენი ბულგარეთს გამგზავრების მიზანი ს. ქავთარაძეს გააცნო. ისიც უთხრა, რომ აქ, რუმინეთში, ორი ქართველი მოღვაწე ასაფლავია: ანთიმოზი და ბესიკი. მალე ელჩის მეუღლე (ვაჩნაძის ქალი) შემოვიდა და სიტყვა ანთიმოზის შესახებ ამხ. ქავთარაძემ მას დაუთმო.

ანთიმოზ ქართველი რუმინეთში მეტად ცნობილი მოღვაწეა. ბუქარეშტში ქუჩაც არის „ანთიმის“ სახელობისა და მონასტერიც. ამ მონასტერში არისო ერთი ბერი, რომელიც სპეციალურად სწავლობს ანთიმოზის ცხოვრებას. დიდი მასალა შეაგროვავო. აქვე არისო ანთიმოზის მიერ აგებული ეკლესია. ამას გარდა, ქალაქის ახლოს, რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე, სნეგოვიაში, ტბა არისო, ამ ტბაზე კუნძულია, კუნძულზე ძველად მონასტერი იყო და იქვეა ანთიმოზის სტამბის ნაშთიო.

შემდეგ ელჩის მეუღლემ ქალაქი ბუქარეშტი დაგვიხასიათა, ელჩი კი რუმინეთის ბუნებრივ სიმდიდრეზე გველაპარაკა.

საელჩოს შენობა დაგვატარეს. შესანიშნავია. მართლაც რომ შეფერება საბჭოთა კავშირის ღირსებას.

სწუხან, რომ უამინდობა ქალაქის დათვალიერების საშუალებას არ მოგვცემს. მართლაც, საოცრად ძლიერი ქარბუქი შეუწელებლად ბობოქრობს.

გადავწყვიტეთ, ანთიმოზის შემსწავლელი ბერი სანდუ ტუდორ ვინახულოთ. ის ანთიმის ეკლესიის ეზოში ცხოვრობს. საელჩოს მესამე მდივანი კაჩალოვი გაგვყვა და ბერთან მიგვიყვანა. ეკლესიის ეზოში მეორე სართულზე ავედით. ბერი, შუახნის კაცი, გამოგვეგება და წიგნებით სავსე პატარა ოთახში შეგვიძღვა. ის ძლიერ გატაცებულია ანთიმოზის საკითხით და მოჯადოებულია ამ დიდი მოღვაწით. ანთიმოზს ძველად აქ დიდხანს რუმინელადა სთვლიდნენ, შემდეგ ბერძნად, დღეს კი საყოველთაოდ მიღებულია, რომ ის ქართველი იყო. ბერს დიდი მასალა შეუგროვებია ანთიმოზის საკითხის გარშემო, იმედი აქვს, რომ კიდევ მოიპოვებს, თუმცა მისი წარმოშობისა, ყრმობისა და აღზრდის შესახებ პოზიტიური რამ ცნობა არ გააჩნია და მეტ-ნაკლებად მისაღებ ჰიპოთეზებს გეთავაზობს და თავის მხრით ჩვენგან ელის ცნობებს.

ანთიმოზის ეკლესიაში წავედით. ის აქვეა ეზოში. ჩვენი მოსაუბრე ბერის აზრით ეს ეკლესია თავისი სამკაულებით (მოჩუქურთმებული ხის კარები, სვეტის თავები და თვით მონატულობა) ანთიმოზის ავტორობით ან მისი უშუალო მონაწილეობით არის შესრულებული. ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ის ცხადად ჩანს, რომ ეს ეკლესია იმავე ტიპისაა, როგორც სხვა მრავალი რუმინული ეკლესია ამ დროისა. ზოგიერთი სამკაული (სვეტის თავისა, მაგალითად) მართლაც მოგვაგონებს ჩვენში გავრცელებულს სამკაულს, ზოგი კი აშკარად განსხვავდება. მაინც, ქართულ-რუმინული ქრისტიანული არქიტექტურის შედარებითი შესწავლა ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

ანთიმოზ ქართველის შესახებ კი ჩემი შთაბეჭდილება ასეთია. ჯერჯერობით პოზიტიური მსჯელობა მხოლოდ მის ქართულ წარმოშობაზე შეიძლება. რაც შეეხება მის ინტელექტურ ვინაობას, ეს მოღვაწე უპირველეს ყოვლისა რუმინის პატრიოტია, ბერძენთა გავლენის წინააღმდეგ მებრძოლი. ჩვენთვის არაა ნათელი, თუ რაის მოწმობაა ის, რომ ანთიმოზი თავის ქართველობას აგრე დაყენებით განაწავს. რაც შეეხება ანთიმოზის ურთიერთობას ვახტანგ VI-თან და მის სტამბასთან, აქ ჩვენ ეხლაც იმასვე გავიმეორებთ, რაც უკვე ერთხელ ვთქვით (საქ. ისტორია, გვ. 367), ე. ი., რომ ამ მოღვაწეს ვახტანგის სტამბის შექმნასთან უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს. ვახტანგის თუ ბაქარის არქივში, მოსკოვში რომ ინახება სადღაც, შეიძლება იპოვეზოდეს კიდევაც რაიმე პოზიტიური ცნობა ამ გარემოების შესახებ. ს. ქავთარაძის მეუღლემ გვაცნობა და ამ ბერძენ დაადასტურა, რომ აქ, ბუქარესტში, აკადემიის ბიბლიოთეკაში ვახტანგ VI პორტრეტი მოიპოვება. ეს ნიშანდობლივი გარემოება ჩანს.

სასტიკი ქარბუჭი არ ნელდება. სურათების გადაღებასაც კი ვერ ვახერხებთ.

ბერს გამოვეთხოვეთ და სასტუმროში დავბრუნდით. ვისადილეთ და ტყვეებით ვსხედვართ, ვცადეთ გავლა, მაგრამ ამოდ, საღამოს ადრე დავიშალენით, ოთახში შეველ. ანთიმოზზე ფიქრი არ მშორდება. შავონდება ილიას ი ა ნ ი ჩ ა რ ი... სულეიმან დიდი ერაცელი, „ბაღდათის ხელმწიფე“ დაუდი, ეგვიპტის მამლუქები, ოსმალეთის იანიჩარლები, დიდი ვაზირები, კაპუდან-ფაშები, ფაშები, ყულარაღასები, ხანები, დივანბეგები, ბეგლარბეგები, სპასალარები, პოეტები, მხატვრები, მეცნიერები და რამდენი ასეთი ამაზე წინ (სპარსეთში, რომ-ბიზანტიაში, არაბეთში) და ამაზე გვიან (რუს ხელმწიფის სამსახურში). სად რას და ვის ალევდა თავის მაღალ პოტენციას ქართველი მოდგმა, და ეს განსაკუთრებით გვიანფეოდალურ ხანაში, როცა ჩვენი საზოგადოებრივი განვითარება შეფერხდა, როცა ჩვენი მაღალგანვითარებული ფეოდალური ქვეყანა ოსმალურ-ყიზილბაშურ გარემოცვაში მოჰყვა და მთიელ აბრაგთა სათარემოდ იქცა...

ენციც ხომ (რუმინელები, ბულგარელები) დიდხანს სჯიჯნეს ოსმალს სვავებმა. მაგრამ ამათ უფრო ადრე ეშველა. ამათი პოლიტიკური გეოგრაფია უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი. მეფის რუსეთი ამათ განმათავისუფლებლად მოვევლინა (ეს სულ ერთია, თუ პოლიტიკურ ძალთა როგორმა სიტუაციამ უზრუნველყო ასეთი ფაქტი), ჩვენ კი იმავე მეფის რუსეთმა ჩასანთქავად გავგწირა (თუმცა ვერ შეძლო და, მსუნაგი, ლუკმას გადაჰყვა, ხოლო ჩვენ იმავე რუსეთში ჭეშმარიტი მო-

კავშირე აღმოვაჩინეთ — მშრომელი რუსეთი—და ჩვენი მომავალიც უზრუნველვყავით).

რვა მარტი გათენდა. ისევ ქარბუქია, ელჩმა კაცი გამოგვიგზავნა. რომელიც შეგვპირდა, რომ მუზეუმებს დაგვათვალისწინებდა. დათქმულ დროზე არ მოვიდა. ჩვენც ტაქსით ქალაქის დათვალისწინება გადავწყვიტეთ.

ბუქარეშტი დიდი ქალაქია. აქ მილიონზე მეტი მცხოვრებელიაო, გვეუბნებიან. ქალაქის ცენტრალური ნაწილი ახლად გაშენებული ჩანს, პირველსა და მეორე მსოფლიო ომებს შორის. აქ არაა სტილის ერთფეროვნება. კლასიკური (ძველი ბერძნული, რომაული), პარიზულ-ბურჟუაზიული, ამერიკული—ყველა ერთიმეორეშია არეული, თუმცა ზოგიერთი მათგანი ცალკე აღებული ლაზათიანად ნაკეთებია (ამერიკული კოლოფსათვისაც კი ცდილან სანდომიერი სახის მიცემას).

ვუცქერი ყველა ამას და ბუნებრივად ფიქრად მომდის ჩვენი, სოციალისტური არქიტექტურა. ჩვენი არქიტექტურა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან ერთად იშვა. ახალი ცხოვრების ზრდამშენებლობასთან ერთად იზრდება ის და თანდათან დამოუკიდებელ ინდივიდუალურ სახეს იღებს. დღეს უკვე სოციალისტური სტილი ხელშესახებია არა მარტო ქალაქში (განსაკუთრებით სოციალისტური ხანის ახალ ქალაქებში), არამედ სოფლებშიაც კი. ახალი სოციალური ურთიერთობა, ახალი საზოგადოებრივი და ინდივიდუალური მოთხოვნილებანი, ახალი იდეები და ახალი ტექნიკა, — ერთი სიტყვით, ახალი ცხოვრება ახალს, თავის შესაფერ, ხუროთმოძღვრულ ფორმებს მოითხოვს.

და როცა აქედან (უცხოეთიდან) გონების თვალით ვაკვირდები, ჩემთვის უფრო ნათელია, რომ ამ მიმართულებით ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ.

რა თქმა უნდა, შემოქმედების დროს, ახლის შექმნისას დაბრკოლებანი ბუნებრივია, და ასეთი რამ ჩვენც მოგვეპოვება, მაგრამ ეს „შეცდომები“ მხოლოდ ზრდის მაჩვენებელია და საქმის წარმატებას ემსახურება. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში სოციალისტური ხუროთმოძღვრების გამარჯვება, სოციალისტური სტილის გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ბუქარეშტი არც თუ ძლიერადაა დაბომბილი. ჩვენი ოდესის მესამედიც არ განუცდია მას. ალბათ თუ დაინდო ინგლის-ამერიკის ბურჟუაზიამ... ქალაქის ცენტრი (ყოფ. ბრატიანუს ქუჩა და სხვ.) განთქმულია ლამაზი შენობებით, განაპირაებშიც ხშირია ხელოვნებით ნაშენი კოხტა სახლები.

ჩვენი შოფერი რუსულს ამტკრევს (ჩანს, რუსეთში ნამყოფია, თუმცა უარყოფს ამას და აცხადებს, რომ ის დაპატიმრებული იყო, რადგან ანტონესკუს ლაშქარში ყოფნა არ სურდა). ის, რა თქმა უნდა, მოძულეა ბურჟუებისა, რომელნიც, მისი სიტყვით, ახლა უსაქმოდ არიან და ამ სასახლეებში მიმაღლები ძველად შექმნილ ქონებას ნელ-ნელა ქავენ.

უნივერსიტეტის შენობა შესანიშნავია. მის წინ ქუჩაზე დგას პროფესორების სამი მონუმენტი. ქალაქის განაპირისაკენ მშვენიერი შენობაა საგარეო საქმეთა სამინისტროსი.. აქვე იწყება სტალინის პროსპექტი. შორს ამ პროსპექტზე მოჩანს ტრიუმფალური კამარა, 1916 წელს რომ აუშენებიათ ფერდინანდ მეფისათვის, მეფის გარდა ამ კამარით ქალაქში ვერავინ შემოვიდოდა. მხოლოდ წითელმა ჯარმა გამოიარა ის რუმინეთის ხალხის განსათავისუფლებლად.

დიდხანს გვატარა ლაპარაკის მოყვარულმა შოფერმა. ოთხ საათზე დავბრუნდით. ელჩის კაცი დაგვხვდა. მას თან მოეყვანა ხალხი „არლუს“-იდან (ჩვენი გოკისის შესატყვისი) — ორი ქალი, ერთი ვაჟი: მუზეუმებს დაგატარებთო.

პირველად სამხატვრო გალერეას ვეწვიეთ. *Museu Simu* ეწოდება (*Simu* ამ გალერეის დამფუძნებელი რუმინელის სახელია). გალერეა მოთავსებულია კლასიკურ სტილზე აგებულ ლამაზ ერთსართულიან შენობაში. მხატვრობა და სკულპტურა აქ წარმოდგენილია XIX საუკუნის პირველი ნახევრიდანვე. სხვებისაგან უფრო გამოირჩევიან მხატვრები გრიგორესკუ და ანდრეესკუ. საერთოდ, გალერეა ვერ იძლევა რუმინეთზე, მის ხალხზე სრულს (*ძირითად ხაზებშია* ც კი) წარმოდგენას, თუმცა არის აქ პეიზაჟები (ზოგიერთი მეტად მეტყველი), ტიპები, სცენები (ცეკვა, მკა, ურმეული). ტიპებიდან განსაკუთრებით თვალში მომხვდა დობრუჯელი თურქი და მისი ოჯახი. არ ვიცი, სურდა თუ არა მხატვარს განზრახ გაეხაზა ამ ველურის (უკვე დიდი ხანია გაგლეხკაცებულის, თუმცა სულ ისევ მეცხვარის) სულისკვეთება, ეს კია, რომ ასეთი მიზნისათვის მას იმ ხერხით მიუღწევია, რომ თავისი გმირისათვის ყოველგვარი სულისკვეთება ამოუცლია. ვუყურებ ამ უბედურ ცხოველს და ვფიქრობ იანიჩარების 500-წლოვან ბატონობაზე კულტურულ ახლო აღმოსავლეთში...

მუზეუმის დირექტორი, მოხუცი კაცი, ხალისით იძლევა განმარტებებს და ცდილობს ჩვენი ყურადღება რევოლუციურ სიუჟეტებზე დაამახვილოს. აქვე ეზოში მრავლად დგას კლასიკური ხანის ქანდაკების ნიმუშები (გათხრებით მოპოვებული). სამწუხაროდ, თოვლი და ჭარბუქი მათი დათვალიერების საშუალებას არ გვაძლევს.

ჩვენი მეგზურები („არლუსიდან“) გვაჩქარებენ. „რესპუბლიკის სასახლეში“ წაგვიყვანეს. ეს არის ყოფილი მეფის (მიჰაის) სასახლე. აშენებულია მამამისის კარლოსის დროს. ამ შესანიშნავ შენობაში დღეს სამხატვრო გამოფენაა გამართული. შენობა კარგადაა დაცული და გამოფენაც შინაარსიანია. მისი თემა რევოლუცია და აწინდელი ყოფაა. ეურადღებას იქცევს მუშა-მხატვრების შემოქმედება. განსაკუთრებული ზაზგასმით გვიჩვენებენ ასეთებს. სოციალისტური შეჯიბრების გაშლის სურათი, ბურჟუა მებატრონის ქარხნიდან გაძევების სურათი, ლენინის ბიუსტი, რუმინელი რევოლუციონერები ანა იპოტესკუდან მოკიდებული....

გამოფენის მომწყობნი გატაცებულნი ჩანან თავისი მუშაობით. ეძებენ შესაფერის ფორმებს, რჩევასა გვთხოვენ.

ამ სასახლის მეორე სართულზე სამეფო დარბაზია, მეფის ტახტს წითელი ფარდა ფარავს.

შთაბეჭდილებათა წიგნში აკაკიმ ზომიერი ტექსტი ქართულად ჩაწერა. ჩვენც ხელი ჩავურთეთ.

ახლა ჩვენ ვთხოვეთ მეგზურებს („არლუსიდან“) არქეოლოგიური მუზეუმი ეჩვენებინათ. წაგვიყვანეს. პალეოლითი ჩვენში უფრო მდიდრად არის, ვიდრე აქ, წარმოდგენილი. ნეოლითური ძეგლები აქ უფრო უხვია. ბრინჯაოც აქვთ. უხვადაა ბრინჯაოს იარაღი, — სამხედრო იარაღი სამეურნეო, მაგრამ კოლხური ცულისა, ჩვენებული ბალთებისა, მახვილების თუ სარტყლების შესადარისი ამათ არაფერი აქვთ. ამათი ბრინჯაო უორნამენტოა და ვერც ფორმის მოხდენილობას დაიჩემებს. ჯერამიკაც ამ დროისა ღარები მეჩვენა. არც მომდევნო ხანაა მდიდრად წარმოდგენილი (ანტიკური ეპოქა). ფეოდალური ხანის არქეოლოგია სულ არ ჩანს. უნდა ითქვას, რომ რუმინული არქეოლოგია შედარებით ახალი წამოწყება ყოფილა, უნდა ვიფიქროთ, ამით აიხსნება მონაპოვართა სიმცირე, თუ არა ასეთი პოლიტიკურ-გეოგრაფიულისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების ქვეყანაში, როგორიც რუმინეთია, მოსალოდნელია გარდასულ ინტენსიურ კულტურათა უხვი ნაკვალევი. გათხრისა და გამოფენის მეთოდიც, ჩანს, ძველი აქვთ, არ იგრძნობა არქეოლოგიური კვლევის კომპლექსური მეთოდი ისტორიისა, ეთნოგრაფია-ფოლკლორისა და ენობრივ მონაცემთა მოშველიებით. არც გამოფენის მარქსისტული პრინციპი აქვთ გამოყენებული. ამიტომაცაა, რომ ნივთები მუნჯად ჩამწყვირებული მოჩანს და მართლაც რომ საჩვენებლად „გამოფენილის“ (გამოწყობილის) შთაბეჭდილებას ტოვებს.

სამწუხაროდ, დრო აღარა გვაქვს, რომ უფრო გულდასმით დავათვალიეროთ ეს მუზეუმი: უკვე ექვსი საათია. მეგზურებსაც მოუსვენა.



რობა ეტყობათ: რევოლუციის მუზეუმის დირექტორი გველოდებოდნენ.
წავედით.

„რევოლუციის მუზეუმი“ ბრატიაუს სასახლეშია მოთავსებული. სასახლე შესანიშნავია. კარ-ფანჯრები მოჩუქურთმებულია. ჩუქურთმა გამოყენებულია არა მარტო ფასადის, არამედ შიგნით სახლის დასამშვენებლადაც. ეს მუზეუმი, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რუმინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის გამოფენა (თავისთავად ეს საინტერესო იდეაა და, ვფიქრობ, ჩვენი მუზეუმის ისტორიის განყოფილება ამისთვისაა მოწოდებული). აქ წარმოდგენილია გლახთა ბრძოლა ბოიარების წინააღმდეგ XIV საუკუნიდანვე. გამოფენილია (მაკეტი, სურათით, ნატურით) საპყრობილეები, ტანჯვის იარაღები (ხაჯალურები, ხუნდები, კისრის საკვეთი ვეება ცული, ხელფეხის საკვეთი ურმის თვალი). მოცემულია XIX საუკუნის გლახთა გამოსვლების მეთაურთა სურათები: ტოდორ ვლადიმეროვიჩი (1821), ანა იპოტესკუ (1848), ნიკოლა ბალჩესკუ (1848). აქვეა წარმოდგენილი რუმინეთში მარქსიზმის შემომტანი დობროჯეანუ (1872, 1881, 1888). ამას მიჰყვება აწინდელი ბელადების რევოლუციური მოღვაწეობა — დეჟი. გამართულია საკნები, სადაც ეს ამხანაგები იტანჯებოდნენ ფაშისტების მიერ. აქვეა სურათები ახალგაზრდა რევოლუციონერებისა. ფაშისტებს რომ ამოუხოცნიათ. გამოფენა კარგად არის მოწყობილი და ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს (ჩვენი შთაბეჭდილება აკაკიმ ჩაუწერა). აქვე გვიჩვენეს, სხვათა შორის, ფრთხილად დაცული ისტორიული ბიბლიოთეკა (30 000 ტომი) ბრატიაუსი. ყველაფერს გვიჩვენებენ და ჩვენს აზრს ყურადღებით ისმენენ. მასწავლებლად გვიყურებენ და მართალიცაა: ჩვენთან შედარებით ესენი ახალფეხადგმულნი არიან.

უკვე რვა საათი იყო, რომ სასტუმროში დავბრუნდით. ხვალ, ცხრა მარტს, სოფიაში გავემგზავრებით: თუ ათ მარტს გადავაცილეთ, ბულგარეთში აღარ შეგვიშვებენ. გეგმა დავაწყვეთ: რუმინული ვალუტა დავზოგეთ; ბულგარეთს რომ საქმეს მოერჩებით, რუმინეთშივე დავბრუნდეთ, ანთიმოზსა და ბესიკს უფრო გულდასმით მივხედოთ; ორივე ეს რეალური საქმე ჩანს; თანაც მორალურ-მეცნიერული ვალი მოხდის გვექნება.

მატარებლით წასვლა ვირჩიეთ. იაფიც ღირს, დუნაის ვნახავთ, ქვეყანასაც შევათვალეობთ.

9 მარტი. გამოუღარებია. შთაბეჭდილებათა წერას ჩაუქვები. დათქმული გვაქვს, რომ დღეს სოფიაში გამგზავრებამდე არსად გავალთ. 11 საათზე, საუზმობისას, საელჩოდან ანაზღეულად შეგვატყობინეს, რომ ერთ საათში სოფიისაკენ თვითმფრინავი იქნება. საგანგებოდ დაწყობილი გეგმა დაგვეშალა. მეტად მაცდური პერსპექტივა გაჩნდა. ხვალ

სალამოს ნაცვლად სულ რაღაც საათნახევარში სოფიას ვიქნებით. ფა-
ციფუსით შევეკარით ბარგი და ნახევარი საათის შემდეგ აე-
როდრომზე გავჩნდით. მცირე საბაჟო პროცედურა გავიარეთ და თვით-
მფრინავში მოვთავსდით. ეს თვითმფრინავი ჩვენია, მოსკოვ-სოფიას
ხაზზე მუშაობს. დღეს ბუქარესტში ჩამოფრენისას ბოლო დაზიანებია.
ვერ გვიიმედებენ, გაფრინდება თუ არა. დიდხანს აკეთეს. თორმეტი სა-
ათის ნაცვლად ოთხ საათზე აფერინდით. თვალწინ გაიშალა რუმინეთის
თვალუწვდენი ველი ბუქარესტით და ხშირი სოფლებით. სამწუხაროდ,
ღრუბლებმა მალე მოგვწყვიტა სასიამოვნო სანახაობას, თუმცა მცირე
ხნით. ნახევარი საათის შემდეგ უკვე ბულგარეთის სოფლებზე მივფრინ-
ავდით. რაღაც ქალაქი გამოჩნდა. ჩვენმა თანამგზავრმა ბულგარმა მეო-
რეს გასძახა: „პლევენ“. ქალაქი პლევენა იყო. ღრუბლები თანდათან გა-
დაიყარა. მთა გადავლახეთ, მაგრამ კიდევ უფრო მაღალი მთა თვალ-
წინ აგვეტუზა. აი ამ ორ მთას შუა დავაკებამაზე არის სოფია.

ბულგარეთში ჩვენი საელჩოს პირველი მდივანი ამხ. კონოვალო-
ვი აეროდრომზე დაგვხვდა. მიტარნია (საბაჟო) გავიარეთ და ის იყო
ნანქანაში ვსხდებოდით, რომ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის კულტუ-
რული ურთიერთობისა და ბულგარეთის აკადემიის წარმომადგენელი
(ამხ. რადევი და პროფ. დიმიტროვი) მოვიდნენ. თავი მასპინძლებად
გაგვაცნეს, ჩვენი სტუმრები ხართო. ქალაქში წამოვედით. „ხოტელ“
(სასტუმრო) „ბულგარიაში“ მოვთავსდით. მასპინძლებთან ხვალის პაე-
ნიანი დავთქვეით. ამხ. კონოვალოვმა წასვლის წინ წინასწარი ცნობებიც
მოგვაწოდა ბულგარეთის შესახებ.

მარტონი დავრჩით. სასტუმრო კარგია, თუმცა ისეთი ვერაა, რო-
გორც ბუქარესტში. ცალკე ოთახები აქაც მოგვიხერხდა. დადლილები
არა ვართ. ქუჩაში გამოვედით და მრავლად მოსეირნე ხალხში გავერი-
ენით.

გვეოცა, რომ ბულგარულ ენაზე საუბარი ჩვენთვის სრულიად გა-
უგებარია. ალბათ ეს სმენის შეუჩვეულობით უფრო აიხსნება, თორემ
ბულგარული წიგნი რუსულის (განსაკუთრებით, ძველი რუსულის) მცო-
დნესათვის სანახევროდ მაინც გასაგებია.

ათ მარტს დილის 11 საათზე აკადემიიდან გვეწვიენენ პროფესო-
რები დიმიტროვი (არქეოლოგი) და ნიკოლაევი (ისტორიკოსი). აკადემი-
ის სტუმრები ხართო, გამოგვიცხადეს. ყოველგვარი ხელისშეწყობა
აღვეითქვეს, ბაჩკოვოს (პეტრიწონის) მონასტრის შესახებ. ლიტერატუ-
რის მოწოდებას შეგვპირდნენ, ხოლო სოფიის ბიბლიოთეკაში იმ ხელ-
ნაწერის (პეტრიწონის მონასტრის გრიგოლისეული წესდების) ჩვენე-
ბას, რომლის შესახებ ცნობა ჩვენ უკვე თბილისში გვქონდა.

პროფ. დიმიტროვი და პროფ. ნიკოლაევი მალე წავიდნენ. სამი

საათისათვის მოსვლას შეგვიპირდნენ. ჩვენ პირველ საათზე საელჩოში წავედით.

ჩვენი ბულგარელი ელჩი ბოდროვი ხალისიანი კაცი ჩანს. კარგა ხანს გვესაუბრა ჩვენს მიზნებზე, ბულგარეთზე. დახმარება-ხელის-შეწყობას შეგვიპირდა. დავეთხოვეთ. საბჭოთა კოლონიის სასადილოში წავედით.

სადილის შემდეგ დასასვენებლად ის იყო დავბრუნდით, რომ პროფესორები დიმიტროვი და ნიკოლაევი მოვიდნენ. ლიტერატურაც ბაჩკოვოს მონასტრის შესახებ მოუტანიათ. ბიბლიოთეკაში წავედით, წარსული ომის დროს ბიბლიოთეკა დაზიანებულია. ეხლა სპეციალურ შენობას აგებენ.

ბიბლიოთეკის დირექტორმა, გვარად ბოროვმა, დედით რუსმა, მამით ბულგარელმა, თავის კაბინეტში მიგვიწვია და მალე მოატანინა ხელნაწერი. გარე შეხედვით ეს წიგნი რაიმე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას არა ტოვებს. ის გადაწერილია, ჩანს, XIX საუკუნეში თუ არა, ყოველ შემთხვევაში არა უადრეს XVIII საუკუნის მიწურულისა. ამის საბუთია ამ ხელნაწერის ქალაღი.

წიგნს ბოლოზე დართული აქვს ფართო ცალფურცელა სქელი ქალაღი, რომელზედაც გადმოწერილია ბაჩკოვოს მონასტერში დაცული ღვთისმშობლის ხატის ქართული წარწერა.

დღეს უკვე გვიან არის ამ ხელნაწერზე მუშაობის წამოწყება. თანაც გადაწყდა, რომ ჯერ ბაჩკოვოს მოვივლით და ამ ხელნაწერს შემდეგ ჩაუჭდებით.

პროფ. ნიკოლაევი მანქანით დაგვატარა ქალაქი. სოფია ლამაზად ნაშენი შედარებით პატარა ქალაქია, ბუქარეშტს შესამჩნევად ჩამორჩება როგორც სიდიდით, აგრეთვე სიმდიდრითაც. წარსულ ომსაც ძლიერ დაუზიანებია ის.

ქალაქის ცენტრში ყურადღებას იქცევს ფართო, ლამაზი მოედანი ძეგლით: მაღალ კვარცხლბეკზე მხედარი მეფე ალექსანდრე II, ქვემოთ, გარშემო, რუსი მხედრობა XIX საუკუნის მე-80 წლებისათვის დამახასიათებელ სამხედრო სამოსელ-საჭურველში; აქვე წარწერა: „Царю освободителю от признательного болгарского народа“.

თვალში გეცემა: აქ ძეგლი ალექსანდრე მეფეს უდგას (ის დღესაც ცოცხალი ყვავილებით მოურთავთ), ხოლო სამშობლოში — მის მკვლელს.

აქვე ახლოა სოფიის ახალი ტაძარი. მის აშენებაში რუსეთს დიდი თანხა გაუღია. აგებულია ეს ტაძარი ალექსანდრე ნეველის სახელობაზე. შესანიშნავი ნაგებობაა და ღრმა შთაბეჭდილებასაც ტოვებს

თავისი სიმაღლით, სიდიდე-მოცულობით, მოხდენილობით და მხატვრობით (ნამუშევარია ვასნეცოვის, რეპინის და სხვებისა).

ჩქარა დავბრუნდით, რათა ბაჩკოვოს შესახებ ლიტერატურა გადავთვალიეროთ: დილის ცხრა საათზე პეტრიწონს (ბაჩკოვოს) მივდივართ.

ლიტერატურა პეტრიწონის შესახებ საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. აკობებდა, რომ ორიოდ დღე აქ დაგვეცადნა, ლიტერატურას გავცნობოდით და მხოლოდ ამის შემდეგ წავსულიყავით ადგილზე, მაგრამ ეხლა გვიანდაა: შეპირებული ვართ და ხვალ დილით ჩვენი მასპინძლები აკადემიიდან მატარებლის ბილეთებით ხელში კარს მოგვადგებიან. ასეც მოხდა.

დილის ცხრა საათზე დას. ევროპიდან სტამბოლს მიმავალი ექსპრესი ჩამოდგა. პროფესორ ნიკოლაევს გარდა პეტრიწონს წამოგვეყვინნ ლოცენტები ანგელოვი (ბიზანტინისტი) და დიმიტროვა (მხატვრობის სპეციალისტი).

ლამაზად მორთულ კუბეში მოვთავსდით. ექსპრესმა ერთ საათში გაიარა ჩრდილო ბულგარეთის მთიანი ზოლი და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ველში გავიდა.

თუმცა ზამთარია, მაგრამ გარემო მაინც ლამაზი ჩანს. სოფლები სერებზეა შეფენილი. კობტად მოჩანან გლენის სახლები. სოფელში ყველაზე დიდი და კარგი სახლი სკოლის შენობააო, თავმომწონედ გვითხრეს ჩვენმა თანამგზავრებმა. გამახსენდა ოდესღაც წანაკითხი, რომ ბულგარეთში სახალხო განათლება დიდ პატივში იყო. სოფელში აქაიქ ორსართულიანი შენობებიც მოჩანს. აქ ვერა ვხვდებით ისლით დახურულ სახლებს, როგორც რუმინეთში. საერთოდ, ბულგარული სოფელი მე უფრო კარგი მეჩვენა, ვიდრე რუმინული, ხოლო გლეხობა უფრო გამრჩელი.

ფილიპოპოლი, საითკენაც ჩვენ მივდივართ, სოფიის შემდეგ ბულგარეთში პირველი ქალაქია. აქ მას ეხლა პლოვდივი ეწოდება. თრაკიის ველი, სადაც ეს ქალაქი იმყოფება, ძლიერ ნაყოფიერია. ბულგარეთის მარჩენალი ეს არისო, გატაცებით გვეუბნება პროფ. ნიკოლაევი და სევდიანად დასძენს: ბერძნები ამის წაგლეჯასაც კი გვიპირებდნენო. ველი აქ როდოპის მთებსა და ე. წ. სრედნაგორას შუაა გაწოლილი. ზოგან ის მეტად ფართოა, რომ კიდე არ უჩანს, ზოგან კი საკმაოდ ვიწროვდება.

ჩვენი მატარებელი სწრაფია და მრავალ სადგურს ისე ჩაუქროლებს, რომ სვლასაც კი არ ანელებს. ერთი პატარა ქალაქის პირას შეჩერდა. ბაზარჯიკ ეწოდებაო, გვითხრეს. კვითხე, რატომ დაგიცავთ ეს უცხო სახელი, ის ხომ ოსმალთა ბატონობის კვალია მეთქი. თათარ

ბაზარჯიკ ერქვაო, მოიბოდიშეს, „თათარ“ მოვაცილეთო. შემდეგ (აქე-
ლობას) გამოირკვა, რომ ჩვენს თანამგზავრებს არა სცოდნიათ, თო-
რემ თათართან ერთად ბაზარჯიკი დიდი ხანია მოუშლიათ და სადგუ-
რისთვისაც, ისევე როგორც ქალაქისათვის მარიცა დაურქმევიათ.

სწორედ აქ გაივლის მდინარე მარიცა. ის შედარებით პატარა მდი-
ნარეა და მდორედაც მიდის ამ ველზე. ალბათ ზემო წელშია ის სწრა-
ფი და ხმაურა, თორემ შეუფერებელი იქნებოდა ბულგარული ჰიმნის
სიტყვები: „Шуми, Марица окривавлена“. მაინც ბულგარეთის მთავარი
მდინარე ესაა და ამ ველის მორწყვაც ალბათ მას დაეკისრება.

განუწყვეტელი საუბარი გვაქვს ჩვენს თანამგზავრებთან. განსა-
კუთრებით ხალისიანი მოსაუბრე ჩანს ენამჭევრი და სიტყვის მოყვა-
რული პროფ. ნიკოლაევი, დედით რუსი, მამით ბულგარელი.

უყვართ ბულგარელებს თავისი ქვეყანა, უყვართ თავისი ისტო-
რია, გატაცებით უყვართ ის, უყვართ პოლიტიკურად. დაჩაგრულო-
ბას უჩივიან მეზობელთა მხრით, — მიგვტაცესო მაკედონია, თრა-
კია, დაბრუჯა, და სამართლიანობის აღდგენას ბალკანეთში სოცია-
ლიზმის დამყარებას უკავშირებენ.

ახსოვთ თურქ-ოსმალთა ველური ბატონობა „კბილის მოცვეთი-
სათვის“ გადასახადით, მაგრამ განსაკუთრებით მწვავედ ახსოვთ ბერ-
ძენი სამღვდლოება, რომელიც თურქ-ოსმალების მფარველობის
ქვეშ ისე უმოწყალოდ ყვლეფდა ბულგარელებს, რომ თვით თურქი
მებატონეც კი „კეთილად“ მოსჩვენებიათ.

ბერს მოგვითხრობენ ფაშისტების ბატონობის შესახებ ბულგა-
რეთში, გვაცნობენ, თუ რარიგ ცდილობდნენ ფაშისტები, რათა ბულგარ-
ელ ხალხს ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა საბჭოთა ქვეყანასთან და უპ-
ირველეს ყოვლისა ტრადიციული სულიერი კავშირი რუს ხალხთან, რა-
რიგ სასტიკად იყო აკრძალული წასვლა საბჭოთა კავშირში და ამავე
დროს კი ხელი ეწყობოდა გერმანია-იტალიაში სასწავლო თუ სამეცნი-
ერო მივლინებებს, რა პატივში იყო თეორია ბულგარების უგრო-ფინუ-
რი წარმოშობისა და როგორ ხელოვნურად იჩქმალეზოდა სლავთა როლი
და მნიშვნელობა ბულგარი ერის წარმოქმნაში...

სამ საათ-ნახევარი მგზავრობის შემდეგ პლოვდიეს (ფილიპოპოლი)
მივდივით.

ფართო ველში, მარიცას მარჯვენა მხრით, ანაზღეულად რამდენიმე
კონუსისებრი გორა აზიდულა (გვითხრეს შვიდიო, ჩვენ კი ოთხი დავი-
თვალეთ). ველში ბორცვი მეტად მოხერხებული საცხოვრისი უნდა ყო-

ფილიყო გარკვეული დროის ადამიანისათვის. ქალაქის აშენებას აქ ფილიპე მაკედონელს მიაწერენ. შეიძლება ასეც იყოს, თუმცა მნიშვნელოვანი სამოსახლო პუნქტი აქ ამაზე უწინარეს უთუოდ საგულებელია.

დღეს პლოვდივი მარიცას ორივე მხარეზე გაშლილა. აქ ას ოცდაათი ათასი მცხოვრებია. ქალაქი განთქმულია საკონსერვო ქარხნებით. დიდ ნაყოფიერ ველში, მდინარის პირას და ევროპა-აზიის დიდ გზაზე მდებარეს, ამ ქალაქს ახალ ბულგარეთში ბრწყინვალე მომავალი აქვს.

ქალაქის თვითმმართველობის მდივანი სადგურზე დაგვიხვდა, პლოვდივის სტუმრებად გამოგვაცხადა და სასაუზმედ მიგვიწვია. სუფრა კლუბში გაეშალათ. ის მდიდრული არ იყო, მაგრამ გულუხვობა უთუოდ იგრძნობოდა. გულთბილ სიტყვებსა და საუბარში მოვრჩით საუზმეს, ჩქარა წამოვიშალენით: პეტრიწონს მიგვეჩქარება.

მანქანებში ჩავსხედით და ლარივით მარჯვესა და გრძელ შარას გავუდექით.

ჩვენს მხლებელთ პლოვდივს შემოემატნენ და ბაჩკოვოსაკენ წამოგვეყენნენ თვითმმართველობის მდივანი და აქაური მუზეუმის დირექტორი დ. ცონჩევი.

გზა კარგად ნაკეთებია და მანქანაც გაუჭირვებლად მიქრის. მარჯნიდან როდოპის ქედი მოგვდევს. თოვლიან ველში აქა-იქ ვამჩნევთ ყორღანებს. ზოგი მათგანი უჩვეულო დიდია. არქეოლოგ ცონჩევის ცნობით აქ, თრაკიაში, ათი ათასამდე ყორღანია აღრიცხული. ზოგიერთი გაუთხრიათ და ნივთებით მდიდარი საფლავები აღმოუჩენიათ რომისა და მის წინა დროისა. საერთოდ, ამ ყორღანებს თრაკიელების ნაკვალევება სთვლიან.

ველში მოსახლეობა არა ჩანს. სამაგიეროდ, როდოპის მთის კალთებზე ხშირად შეფენილი სოფლები მოწმობს ამ ველის სიცოცხლეს.

თანდათან როდოპის ქედს მივუახლოვდით და მდინარე ჩაიას (ჩაპელარსკა რეკა) ხეობას მივატანეთ. ხეობიდან გამოსავალში, ველის პირად, პატარა ქალაქია გაშენებული — ასენოვგრადი. ძველად, XI საუკუნეში, აქ იყო სოფელი სტენიმახა. აქედან გზა ბაჩკოვოსაკენ ამ მდინარის ხეობით მიდის.

მალალსა და ტყიან მთებში ვიწროდ გაწოლილი ხეობა ამ ზამთარშიაც ღამაში ჩანს. სულ ათიოდე კილომეტრი — და ჩვენ პეტრიწონს გიქნებით.

გზა, ჩვენ რომ მივყევით, დღეს სახელმწიფო მნიშვნელობისაა. ის როდოპის მთების გადალახვით მაკედონიაში ბელომორეს (ეგეოსის ზღვა) მიდამოში შედის. ეს გზა, როგორც ჩანს, ძველადაც არსებობდა და დიდი მნიშვნელობისაც იყო. ამას მოწმობს ძველი ციხის ნანგრე-

ვი ამ ხეობაში, ასენოვგრადიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით მდინარის მარცხენა ნაპირზე; ამასვე მოწმობს ოსმალოების დროის ხიდის ნაშთი კიდევ უფრო ზევით, პეტრიწონის მიდამოში. ამრიგად, გამოდის, რომ ქართველთა მონასტერი გრიგოლ ბაკურიანის ძეს ამ დიდმნიშვნელოვანი გზის პირად მაგარ ხეობაში გაუშენებია.

გზა კარგად არის მოვლილი. ერთ ადგილას მშვენიერი ხიდი ახლახან აუგიათ. აქვე, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მძიმე მუშაობაა გაჩაღებული: არხი გაყავთ და რუსხმულს აგებენ. სადღაც ქვემოთ ჰიდროსადგურს აშენებენ.

ამ ხეობაში ჩვენს ყურადღებას იქცევს აგრეთვე თეთრი და მოყვითალო მარმარილოს ქვის ჯიშების სიუხვე.

გავიარეთ სოფელი-ბაჩკოვო. მთის სოფლის კვალობაზე ის საკმაოდ მოზრდილია. ამ სოფელს გრიგოლ ბაკურიანის ძის გუჯარი განსაგებელი (=ტიპიკონი) იხსენიებს: ვაჩკოვა. აქედან მონასტრამდე ორი კილომეტრი თუ არის. ეს მანძილიც გავიარეთ და მანქანები შარაზე დადგა, ხოლო ჩვენ ქვეითად მონასტერში შესავალი გზით მცირე აღმართს შევეუდგეთ.

პეტრიწონის მონასტერი (დღეს ბაჩკოვოს მონასტერი) გაშენებულია მდინარე ჩაიას მარჯვენა მხარეს, როდოპის ქედის ჩრდილო კალთაზე. მაღალი და კლდოვანი მთა სამხრეთის მხრიდან პირქუშად გამოიყურება, ჩრდილოეთით კი უფრო დაბალი და ადვილმისადგომი ქედი საზღვრავს ხეობას. ეს ხეობა აქ, მონასტრის ძირას, ანაზღვეულად გაღართობულია, თუმცა ცოტა ზემოთ, აქვე ახლოს, ისევ ვიწროვდება.

მეუცხოვა, რომ მონასტერში ცოცხალი გზით შეედივართ. კარიბჭე გავიარეთ. ღიაა რკინის ძველი კარი. ის შეიძლება მონასტრის პირველი აგების დროისაც კი იყოს. ამავე კარიბჭის მეორე სართული სამრეკლოა. შეგნით არე, დაახლოებით ერთი პექტარის ფართობისა, სწორ ოთხკუთხედს წარმოადგენს. ხსენებულ ფართობს ოთხივე მხრით ქვის ორსართულიანი შენობა უვლის. შენობის დასავლეთი მხარე ამის წინარე დამწვარა. მას ხელახლა აგებენ. პეტრიწონის მონასტერში დღეს ორი მოქმედი ეკლესიაა. ერთი მათგანი, მთავარი ეკლესია, მოთავსებულია ხსენებული ოთხკუთხედის შუაში. მეორე, უფრო მცირე ეკლესია, ოთხკუთხედის გარეთ დგას სამხრეთის მხარეს.

ეზოში მწირი შემოგვეგება და მონასტრის წინამძღვართან წავგიყვანა. წინამძღვარი მამა იონა ბრვე ვეკაცია, 30-35 წლისა. მისი „საკანი“ აქვეა მეორე სართულზე — ლამაზად მოწყობილი სამოთახიანი ბინა, ელექტრობა, რადიომიმღები, რბილი ავეჯი და წმინდანების სურათები. აქვე დგას სამუშაო მაგიდა წიგნებით. ეს ბერი მეცნიერობას იჩემებს: პეტრიწონის მონასტრის ისტორია სურს დაწეროს.

საქირო მისალმება-მოკითხვის შემდეგ მონასტრის ძველი ხელნაწერები ვიკითხეთ. წინამძღვარმა გვაცნობა, რომ ქართული რაიმე ხელნაწერები მონასტერში არ მოიპოვება. დღეს აქ არც ბერძნული ხელნაწერებია. ისინი პროფესორმა ვოშევა კარგა ხანია რაც სოფიას წაიღო. უსიამოვნო ცნობაა.

სალამო ეამია, ძლიერ ცივა. მაინც წავედით მთავარ ეკლესიაში. ის, როგორც ფიქრობენ, გრიგოლ ბაკურიანის ძისეული ეკლესიის ადგილზეა აშენებული XVII საუკუნის პირველ ნახევარში. მონათულიც მაშინვე არის (1643 წ.). მხატვრობა დაუზიანებლად არის შენახული და არც თუ მდარე ღირსებისაა. მკვლევართა აზრით, ძველი (XIV საუკუნის?) ეკლესიიდან გადარჩენილია სტოვა, რომელიც უხეიროდ ჩანს ახალზე მიკერებული.

ეკლესიაში კიდევ უფრო მეტად ცივა. ამხ. აკაკი დიდის გულმოდგინებით (სამწუხაროდ, უშედეგოდ) ეძებს წარწერებს ან სხვა რაიმე ძველს ნაკვალევს. მე კი ღვთისმშობლის ხატს მივაღდეგ, შუა ეკლესიაში საპატიო ადგილას რომ არის სვეტზე მისვენებული.

ხატის ფიცარზე დღეს რაიმე გამოსახულება აღარა ჩანს და მისი ენაობის შესახებ მხოლოდ წარწერიდან ვიცით.

პირველად (?) ეს ხატი 1311 წელს მოუჭედნიათ (ამაში ჩვენ ქვემოთ დავრწმუნდებით), მეორედ კი — 1819 წელს, როცა ძველი მოჭედნილობა ნაწილობრივ დაუფარავთ. ძველი მოჭედნილობა შესრულებულია მოთქრული ვერცხლით, ფაქიზი (ქართული) ხელობით. 1819 წლისა კი აგრეთვე ვერცხლით, მაგრამ უშნო-უგემურად.

წინამძღვარი იონა დაგვიპირდა, რომ ხვალვე სტენიმახიდან ოსტატს მოაყვანიან და ხატს ამ ნაგვიანევი სამოსლისაგან გაათავისუფლებინებ, ასე რომ ჩვენ მისი ძველი (პირველი?) შემკულობის ხილვისა და ამ ქართული წარწერის სრულად წაკითხვის საშუალება გვექნება.

სხვა რაიმე საძველე, ჩვენ რომ გვაინტერესებდეს, ე. ი. ქართულის კვალი, ამ ეკლესიაში არაფერი ჩანს. იმედგაცრუებული ვართ (თუმცა ამას არც ერთი არ ვამბობთ).

გრიგოლის საძვალეზე წავედით. XI საუკუნიდან ეს საძვალე (КОСТНИЦА) ერთადერთი შენობაა, დღემდე რომ მოუღწევია. საძვალე აგებულია მონასტრის აღმოსავლეთით, მისგან ორასიოდ მეტრის მოშორებით, განსაკუთრებით მოხდენილ ადგილას. ორსართულიანი ეკლესია წარმომდგარია ვორაკის პირზე, რომლის ჩრდილოეთი მხარე აქ მიუვალი ციცაბოა. ამიტომაცაა, რომ ამ შენობას მორთულობა — კამარა-თაღები — მხოლოდ სამი მხრიდან აქვს. საძვალეს ორივე სართული ცალნავიანი ეკლესიაა. ორივე ეკლესია მონათული ყოფილა. მხატვრობა მეტად დაზიანებულია (გვეუბნებიან ეს სახლი ორას წელიწადს

უსახურავოდ იდგაო), მაგრამ რაც გადარჩენილა, ისიც მოწმობს, რომ მისი მხატვარი მაღალნიჭიერი ხელოვანი ყოფილა.

როგორც საძვალეს არქიტექტურისა, ისე მისი მონატულობის შესახებ მოიპოვება ლიტერატურა ბულგარულს, რუსულსა და ფრანგულს ენებზე. ასეთია გამოკვლევები ა. გრაბარის, ივ. გოშევისა და დ. ლასკოვისა.

ა. გრაბარი ამ საძვალეს აღმოსავლეთის (პალესტინის) ძველი ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ტრადიციის ნაგვიანეც გამოვლინებადა სთვლის, თუმცა ქართულ მოტივებსაც ამჩნევს შენობის დეკორაციის დეტალებში⁴.

საძვალეს მონატულობა, ა. გრაბარის აზრით, ორ სხვადასხვა დროს ეკუთვნის. უძველესი, ე. ი. თავდაპირველი, უნდა XII საუკუნის პირვე-

⁴ საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიტანოთ ამ საინტერესო წერილიდან ზოგიერთი დეტალი: «...Между ней (ე. ი. გრიგოლის საძვალესა) и предшествующими ей палестинскими мартыриями лежит веков 5—6, не представленных ни одним памятником». ამისდა მიუხედავად «...Всесторонняя же близость ее к палеостинским мартыриям, подобным рисункам коптской ткани, поразительна... Костница просто воспроизводит древнехристианский тип» და განაგრძობს: «Таким образом, в декорации фасадов костницы отмечаются несомненные позднекавказские черты (იგულისხმება — декорации окон, окруженных вальком). Нельзя не поставить этого в связь с грузино-армянским происхождением строителя монастыря, Григория Пакуриана...» და ქვევით «Если в деталях ее декорации чувствуются грузинские мотивы, а на конструкции лежит отпечаток глубокого архаизма, то не воспроизводит ли она, конечно, с рядом отступлений позднейшего времени и в константинопольской технике (чередование камня и кирпича) какой-нибудь древний кавказский мартырий, сохранивший еще первоначальные палестинские традиции?» და უპასუხებს: «армянское происхождение Пакуриана (сказавшееся между прочим в том, что на оригинале устава он подписался по-армянски и текст был составлен на греческом, грузинском и армянском языке) и его имя — Григорий, наводят на мысль, что свою усыпальницу он мог построить по образцу того древнего мартырия св. Григория, просветителя Армении, формы которого Стингювский почему то ищет в позднейших церквах — ротондах. Несохранившиеся до наших дней, он мог, в оригинале или в копиях, существовать в II веке». Известия на Българския археологически институт, т. 1, Свезка II, София, 1924, стр. 103—132. А. Грабарь. Болгарския церкви — гробници.

ფაქტების უფოლ მაღალმეცნიერული ცოდნით შესრულებული ეს წერილი, ბუნებრივია, ისტორიულად თავს ვერ ართმევს აკად. ნ. მარის მიერ წამოყენებულ დიდ საკითხს ტაოელთა „ქართველობა“-„სომხობის“ შესახებ და ამ რთულ ბანდულში უიმედოდ გახლარაული გამოიყურება.

ლი ნახევრისა იყოს, ნაგვიანევი კი XIV საუკუნისა, როცა მონასტერი „მეორედ აღაშენეს“⁵.

ამავე საკითხის შესახებ გამოკვლევა აქვს დაბეჭდილი პროფესორ ივ. გოშევს. ამ ავტორს უჭრადღება მიუქცევია მის დრომდე შეუმჩნეველი ბერძნული წარწერისათვის, რომელიც საძვალეში კარს ზემოდან არის მოთავსებული⁶. ამ წარწერის თარგმანია:

Изобрази се този всечестни храм горе и доле чрез руката на Иоанна зографа Иверопулеца. А вие, кои то четете, молит се за мен, ради Господа. ავტორს ეს მომხატველი ქართველი ჰგონია — ივეროპულეც — და კითხულობს, ხომ არ არის იოანე მხატვარი იოანე პეტრიწიო (პეტრიწს ის ნ. მარის სტატიით იცნობს)⁷.

გოშევისეული წაკითხვა სწორი უნდა იყოს, მაგრამ მტკიცება, რომ მხატვარი ქართველია, ამ საბუთით — ივეროპულობით მოხსენიება — აღვილად გასაზიარებელი ვერაა: „ქართველისშვილის“ ქართველობა სავალდებულო არაა. თუმცა ჩვენი ავტორის მოსაზრების სასარგებლოდ შეიძლება ის გარემოება ლაპარაკობდეს, რომ ამ საძვალის ერთი ფრესკის წარწერა ქართული ყოფილა: წ მ ი ნ დ ა ა გ ი ო რ გ ი ქ ა შ ო ე თ ი ს ა ე. მაგრამ სიძნელე იმაშია, რომ ჩვენ არ ვიცით: ეს ფრესკა ივეროპულის ნახელავია, თუ არა.

ქაშოეთის წმინდა გიორგის ფრესკა დღეს ამ საძვალეში აღარ მოიპოვება. ის 1912 წელსაც აღარ იყო.

1896 წელს ეს ფრესკა ქართული წარწერით შეუნიშნავს დ. ლასკოვს. მას წარწერა „ზუსტად“ გამოუხატავს და ნ. მარისათვის გაუგზავნია. ნ. მარს ბევრი უმსჯელნია ქაშოეთის შესახებ, ვერ აუხსნია, წარწერის ტექსტი კი დ. ლასკოვისათვის დაუბრუნებია თარგმანითურთ. აქ-

⁵ Известия на Българския археологически институт, т. II, 1923—1924. А. Г р а б а р ъ, Роспись церкви костницы Бачковского монастыря. стр. i-68 და La peinture religieuse en Bulgarie par André Grabar.—Paris, Librairie orientaliste Paul Geuthner, 13 rue jakov, VI, 1928.

⁶ ივ. გოშევის აღდგენილი ეს წარწერა იკითხება:

¹) *Αυτιστοις με ο πλασι(επις) ναος ουτος απο και καιο*

²) *δια Ζειρος Ιω (άνου) ιατος (ογζάφου) Ιβηροπουλου*

³) *και οι αυ(α)γισοσχοιτε (εξ εβζες) με τιμ δια τον Κ(δριον).*

⁷ გოშევი ამ წარწერაში შეცდომებს პოულობს, ეს გარემოება მას კიდევ ერთ საბუთს აძლევს იმისას, რომ დამწერი—იგივე მხატვარი—ბერძენი არაა. იხ. Годишник на Софийския Университет, VI, Богословский факультет, София, 1931. Нови данни за историата и археологиата на Бачковския манастиръ, стр. 348 (10).

ვე ნ. მარს წარწერის თარიღის შესახებ აზრი გამოუთქვამს: ყველაზე უფრო მისაღები თარიღი ამ წარწერისა XI საუკუნის მიწურულიაო⁸.

ა. გრაბარი კი (ზემოთ მოტანილ წერილში) ამ ფრესკას უფრო ნაგვიანევი ხანისად (XIV საუკუნისად?) სთვლის. მოსაზრებათა ვარშემო შეიძლება ითქვას: პირველი—იმისგან დამოუკიდებლად, XI საუკუნისაა ეს ფრესკა ქართული წარწერით თუ XIV საუკუნისა, ორივე შემთხვევაში ეს მოვლენა იმის მოწმობა მაინც არის, რომ ამ დროს მონასტერი ქართულია და მხატვარიც შეიძლება ქართველი იყოს; მეორე—უფრო საფიქრებელია, რომ ეს ფრესკა ქართული წარწერით თავდაპირველი მონასტულობის დროისაა. ამის საბუთი შეიძლება შემდეგი იყოს: მაშენებელი გრიგოლ ბაკურიანის ძე განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს არა მარტო მონასტრის კუთვნილებას ქართველთადმი, არამედ იმასაც, რომ ეს მონასტერი პეტრიწონის „ქართველთა ღმრთის მშობლისა“ არის (ტიპიკონი, 22) და საქართველოდან მოტანილი ეს „ქართველთა ღვთისმშობელი“ ქართული მოქედით და ქართული წარწერით დღესაც დაცულია აქ. ქართველთა წმინდა გიორგი („ქაშოეთისაჲ), რომელიც ღვთისმშობელსა და იოანე მახარობელთან ერთად ამ მონასტრის პატრონადაა გამოცხადებული (ტიპიკონი, 17), კარგად უდგება გრიგოლ ბაკურიანის ძის ქართულ განწყობილებას⁹.

საძვალის ქვემო სართულში, მარცხნივ, პირველ ნიშში მოთავსებულია ფრესკა გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძეთა. გრიგოლი აქ წარმოდგენილია როგორც მაშენებელი, ეკლესიის მოდელით ხელში.

აქვე მეორე ნიშში წარმოდგენილია ორი ბერი—გიორგი და გაბრიელ — „მეორედ მაშენებელნი“.

ა. გრაბარის აზრით, ორივე ეს ფრესკა ერთი დროისაა, სახელდობრ XIV საუკუნისა, როცა მთავარი ეკლესია გადააკეთეს.

უკვე ბნელოდა, როცა მონასტერში დაებრუნდით. ნახულ-განცდილის გარშემო ცხოველი საუბარი გვაქვს. მასპინძლები დიდის გულისყურით ისმენენ ჩვენს მოსაზრებებს და, ბუნებრივია, დიდი სურვილი აქვთ საკუთრივ ბულგარელი ხალხის ისტორიისათვის იმ ძველი დროიდან ცნობები მოიპოვონ.

⁸ Известия на Българското археологическо дружество, IV, 1914 г., издано София, 1915 г. Д. П а с к о в, Грузински надписъ от Бачковския манастиръ, стр. 268.

⁹ ეს მოსაზრება, ცოტა არ იყოს, არ ეთანხმება ა. გრაბარის ვარაუდს, რომ ამ მონასტრის აღმაშენებელ გრიგოლს სომეხთა განმანათლებელი წმინდა გრიგოლი უნდა ჰყოლოდა განსაკუთრებით მიჩნეული...

ლამე კარგად მოგვასვენეს. მე დიდხანს არ დამაძინა საკითხმა. თუ რატომ არის, რომ ამ საძვალეში მხოლოდ ერთი ფრესკა ყოფილა ქართული წარწერით? განა იმთავითვე ასე იყო? თვით გრიგოლისა და აბაზის ფრესკის წარწერა რად არაა ქართული, არამედ ბერძნული ისევე, როგორც იმ „მეორედ მაშენებელი“ ბერების— გიორგისა და გაბრიელის—ფრესკის წარწერა? ამ საკითხებზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს მხატვრობა მეცნიერულად ზედმიწევნით შესწავლილი იქნება.

12/III. ღამით მეტისმეტად ციოდა. ადრე წამოვვარდით. ბერებს მაინც დაესწროთ და ლოცვად იდგნენ. სოფელ ბაჩკოვოდან მლოცველები მოსულან. მეოცა. ჩვენ სოფელში (კერძოდ, გურიაში) ასეთ სურათს 1905 წლამდე თუ შევხვდებოდი.

ვიღრე ბერები ლოცვად დგანან, ეკლესიაში ხატის წარწერაზე მუშაობა უხერხულია. რათა დრო უქმად არ დაგვეკარგა, ისევ საძვალეზე წავედით. სურათები გადავიღეთ, ერთხელ კიდევ დავათვალიერეთ ეს შესანიშნავი ძეგლი, ბერძნული წარწერები გადმოვიწერეთ. ამასობაში ბერები ლოცვას მორჩნენ და სტენიმახიდანაც ოქრომკვდელი მოვიდა. ეკლესიაში შევედით. ბერებში გავვრით. დღეს ამ მონასტერში 30-მდე ბერია. არ ეტყობათ, რომ სივიწროვეში იყვნენ. ჩასუქებული არიან. თვალში გეცემათ ახალგაზრდა ბერთა სიმრავლე. ზოგიერთი მათგანი სოფლის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტია (ჩვენი, თბილისის, უნივერსიტეტი მომავლანა 1920—1922 წლებში). ყველანი ბულგარელები არიან, გარდა ერთი რუსისა. ერთი ბერი ათონს ნამყოფი აღმოჩნდა. იქ 14 წელს ეცხოვრობდით, ბერძნებმა გამოამძევესო. ბულგარელი ესლა იქ სულ ექვსი კაციო, რუსი რამდენიმე ასი იყო, ბერძენი სამი ათასამდე იქნებაო. ქართველი ორი იყო 1912 წლამდე და უკანასკნელი იმ წელს გარდაიცვალაო. ივერთა მონასტერი ბერძნებს უჭირავთო.

ოსტატმა ხატი ახალი სამოსლისაგან გააშიშვლა. ძველი მოჭედობა ქართული (ასომთავრული) წარწერით მთლიანად გამოჩნდა. იკითხება (მარჯვენა მხარეზე). + მოიჭედა წმიდაა ესე ხატი ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთის მშობლისა პეტრიწონს ორთა კორციელად ძმათა მიერ ტაოელთა ეგნატის შვილთა მოძღვრის ათანასის და ოქროპირისა პერპერიოთა ასოცდა ექვსითა და წინაშე ხატისა საკანდლითა ვეცხლისაითა. (მარცხენა მხარეზე): საბერძნეთს. მეფობასა კეთილად მსახურთა მეფეთა ანდრონიკე მიხაელ და ანდრონიკესსა პა-

ლეოლოდოს ქეთასა. ხოლო ქართლს კონსტანტინესსა და დიმიტრისსა ბაგრატიონიანთასა დასაბამითგანთა წელთა ბერძულად ექვსი ათას რვაას ცხრამეტსა, ხოლო ქართულად ექვსი ათას ცხრაას ხუთმეტსა. წმიდაო ღმრთის მშობელო შეიწირემცირე ესე ძღუენი მათი და შეიწყალენ და მეოხ ეყავ მათ და მშობელთა მათთა დღესა მას დიდსა სასჯელისასა წინაშე ძისაშენისა და ღმრთისა ჩუენისა ამინ. ამინ იყავნ. ამინ. ქრონიკონსა ხუთას ოცდა თერთმეტსა, ინდიკტიონსა ცხრასა. ქრისტე ღმერთო შეიწყალენ სულნი მათნი, კაცთ-მოყუარე, ამინ¹⁰.

ეს წარწერა მრავალმხრივ არის საინტერესო. უპირველეს ყოვლისა ის მოწმობს, რომ XIV საუკუნეში ქართველებს პეტრიწონის მონასტერთან კავშირი გაწყვეტილი არ ჰქონიათ; კიდევ მეტი, ამ წარწერის (იხე როგორც რიგი სხვა მოვლენის) საფუძველზე იმის ფიქრიც შეიძლება, რომ ამ დროს ეს მონასტერი ჯერ კიდევ ქართველთა ხელშია. ძმები, ეგნატის შვილები, ათანასი და ოქროპირი, მონაზვნებია (იმისდა მიუხედავად, რომ ხორციელ მამას იხსენიებენ). ამის მოწმობაა, ჯერ ერთი, ის, რომ მათ ხაზგასმა დასპირვებით თავიანთი ხორციელად ძმობისათვის და, მეორეც, ის რომ ერთი მათგანი, ათანასი, მოძღვარია.

ამავე დროს ეს ტერმინი მოძღვარი აქ გარკვევით ნიშნავს თანამდებობით მასწავლებელს და არა მხოლოდ ისეთ პირს, როგორც შეიძლება იყოს ყოველი მონაზონი, — ვისიმე სულიერი დამრიგებელი („მოძღვარი“). ამ მოსაზრების საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ათანასის მოხსენება მოძღვრობით მნიშვნელოვანი გარემოების მაჩვენებელი უნდა იყოს: რომ XIV საუკუნეში პეტრიწონს ჯერ კიდევ არსებ-

¹⁰ ზემო აშიაზე ნიშნის მარჯვნივ და მარცხნივ მსხვილი ასოებით ბერძნულად აწერია ΜΡ ΘΥ ΥΒΑΧΕΡΝΗΩΤΗΣΑ და ქვემოთ ΙC ΧC, ე. ი. ღელა ღმრთისა ვლაქერნისა და იესო ქრისტე. სიტყვა ვლაქერნისა ამ შემთხვევაში აღნიშნავს ამ ხატის ტიპს და არა მის სადაურობას. ამიტომაც ეს სახელი არ ეწინააღმდეგება იმ გარემოებას, რომ ტაპიკონში ეს ხატი ქართველთა ღმრთის მშობლად იწოდება. ამ ხატის ქართულობასვე მოწმობს პროფ. იორდან ივანოვის გამოკვლევაში მოტანილი ცნობა იმის შესახებ, რომ პეტრიწონის მონასტერში ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მტკიცედ სწამდათ, რომ ეს ხატი ლუკა მახარებლის მიერ არის დაწერილი და რომ ის (ხატი) სასწაულებრივი ძალით თავისით მოვიდა პატრიწონს შორეული საქართველოდან და რადგან იქ (საქართველოში) დიდის პატივით სარგებლობდა, მრავალი ხალხიც იქიდან პეტრიწონს მოიზიდა იხ. ; Известия на Българското археологическо дружество, II, 1911 г. София, 1912 г. Йордан Иванова, Асенова крепост над Станимака и Бачковският манастиръ.

ბობდა ის სასწავლებელი, გრიგოლის ტიპიკონით რომ არის გათვალისწინებული და რომ ეს მასწავლებელი (მოძღვარი) ამ დროს ქართველი („ტაოელი“) ათანასია.

წარწერაში, ამას გარდა, საინტერესოა ამ ტაოელების (ორი ძმის) პოლიტიკური შეხედულება. თავიანთ თავს ისინი ტაოელებს უწოდებენ, ხოლო ტაო პოლიტიკურად საქართველოში („ქართლში“) ეგულებათ. როგორც ცნობილია, ტაო ამ დროს მთელ სამხრეთ საქართველოსთან ერთად ჯაყელთა სახლის მეთაურობით მონგოლთა ყაენის ხასი ქვეყანაა, მაგრამ, როგორც ეს ეპითაღმწერელის (მესხი მწერლის) პოლიტიკური მსოფლმხედველობიდან და მის მიერვე მოტანილი სხვა ცნობებიდან (მაგალითად, ბექა ჯაყელის სიტყვა თურქთა შემოსევის გამო) კარგად ჩანს, საქართველოს („ქართლის“) ეროვნულ-პოლიტიკური ერთიანობის გაგება, ამისდა მიუხედავად, განაგრძობდა არსებობას. ამას მოწმობს ჩვენი წარწერაც. „ტაო“ აქ საქართველოში შემავალი ერთ-ერთი ქვეყანაა (ისევე როგორც სამცხე, აჭარა, ოდიში, კახეთი, გურია და სხვა მრავალი); ის, როგორც სხვებიც, საქართველოს („ქართლის“) ორგანული ნაწილია (პოლიტიკურად და კულტურულად).

ამ წარწერის სხვა მხარეებს რომ არ გამოვეყიდიოთ, ერთი მაინც უნდა აღვნიშნოთ: წარწერა მტკიცედაა დათარიღებული — 1311 წელი, და „ქართლში“ კი დასახელებულია მეფეები კონსტანტინე და დიმიტრი. უცნაურია, მაგრამ უეჭველი ფაქტია და ქართული ისტორიოგრაფია ამიერიდან ვალდებულია ამ „ბაგრატიონებს“ კანონიერი ადგილი მიუჩინოს საქართველოს მეფეთა გრძელ რიგში.

ხატის საქმეს მოვრჩით. „ქართველთა ღმრთის მშობელს“ XIV საუკუნის ფაქიზ ქართულ სამოსელს ზემოდან ისევ ჩააცვეს პეტკუხამრი ღომის ას მიერ 1819 წელს გაჭედილი უხვირო სამოსელი.

ამ ხატთან დაკავშირებით მე ერთი საკითხი მეზადება: შესაძლებელია ეს ხატი იკონოგრაფიულადაც საინტერესო იყოს. შეიძლება „ქართველთა ღმრთის მშობელი“ ამ ხატის საქართველოდან მოტანილობას კი არ მიუთითებდეს მხოლოდ, არამედ იკონოგრაფიული თავისებურების აღმნიშვნელი ტერმინიც იყოს?

ეკლესიიდან ეზოში გამოვედით. ჯვარი დაგვრჩა გასასინჯი. ერთ ბულგარულ მკვლევარს (სტანიმოროვს?) აღნიშნული აქვს, რომ ბაჩკოვოში გუმბათს ქართულწარწერიანი ჯვარი ამკობს.

ამხ. ოთარი აცოცდა მთავარი ეკლესიის ერთ-ერთ გუმბათზე (ეს ეკლესია ორგუმბათიანია) და ჯვარი გასინჯა ის მართლაც ქართული აღმოჩნდა. ეს ჯვარი კარგა მოზრდილია, თითქმის ერთი მეტრის სიმაღლისაა, შორიდან ის ყვითელი ჩანს, თითქოს ვერცხლია მოთქროვილი. ოთარმა ქალაღიოთ ჯვრის წარწერის ანაბეჭდი აიღო, მხრებზე ამ ჯვარს



ქართული მთავრული ასოებით აწერია ძღ—ევე, ე. ი. ძ ლ ე ვ ა ე, ჯგონისა, ბუნის ქვემო ნაწილი ღრმად ზის დასამაგრებელ კირში და მასზე მხოლოდ ერთი ასო მოჩანს. ისიც ნაწილობრივ. მოსალოდნელი იყო ღ-ანი (=ღმრთისაჲ), მაგრამ ანაბეჭდიდან უფრო სავარაუდებელი ჩანს გ-ანი, უნდა ვიფიქროთ, დანარჩენი ასოები კირშია ჩაფლული¹¹.

ეს ჯვარი ამ წარწერით საინტერესო ჩანს. უეჭველია, ის იმთავითვე გუმბათზე ასამართავად გაკედილი არ ყოფილა. ამის საბუთია წარწერა (ისიც სანახევროდ ჩაკირული). დამწერლობის ხასიათი ისეთია, რომ არაფერი უშლის ხელს, რათა ეს წარწერა XI საუკუნისად მივიჩნიოთ. ამავე დროს წარწერის შინაარსი და ჯვრის სიდიდე იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ეს „ძელი ცხოვრებისა“ შესაძლებელია სამხედრო დანიშნულებისა იყოს. ბუნებრივად გვაგონდება, რომ ტიპიკონში გრიგოლ ბაკურიანის ძის შეწირულებათა შორის იხსენიება „საზოლავროჲ ჯვარი ერთი ვეცხლისაი ოქროჲთა ცურვებული“¹².

ს ა ზ ო ლ ა ვ რ ო ჯვარი, ამრიგად, ს ა მ ხ ე დ ა რ თ მ თ ა ვ რ ო ჯვარია. როგორც ვხედავთ, წყაროს (ტიპიკონის) ცნობისა და ნიეთის შინაარსი ერთიმეორეს ემთხვევა და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გუმბათის ჯვარი იგივე „საზოლავრო ჯვარია“.

მაგრამ ამაზე მეტის თქმაც შეიძლება, როცა გრიგოლი ამ ჯვარს სწირავს, ის აღმოსავლის ზოლავარი კი აღარ არის, არამედ დასავლეთის დიდი დომესტიკოსი და მისი საზოლავრო ჯვარიც სხვაა. მოქმედ სამხედრო ჯვარს ის არც შესწირავდა (და იმ ჯვარზე არც ქართული წარწერაა მოსალოდნელი). ასე რომ ეს საზოლავრო ჯვარი გრიგოლს შეუწირავს მას შემდეგ, რაც ეს (ჯვარი) უფუნქციო შექმნილა, ე. ი. მას შემდეგ, რაც ბიზანტიამ „აღმოსავლეთი“ დაკარგა. მეორე მხრით, საზოლავრო

¹¹ ამ ნაშთის მიხედვით ძნელია თქმა, თუ რომელი სიტყვის დასაწყის ასოს წარმოადგენს ის. ბუნებრივად აზრად მოდის გ(ლ)-გრიგოლ, მაგრამ არც გ(ი)ორგი არის გამორიცხული: წმიდა გიორგი იყო სწორედ ძღევის მოღვაწე, ქართველთა განსაკუთრებით სათაყვანო და „წინამძღვარ“ გრიგოლ ბაკურიანის ძის „ცხოვრებისა“. იხ. ტ.პიკ. 17.

¹² ბუნებრივად გვაგონდება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა გრიგოლის შესახებ, სადაც ეს დღეაკი აღმოსავლის ზოლავარად იწოდება. საინტერესოა, რომ თვით გრიგოლის ტიპიკონში ამ სიტყვას ნიშანდობლივი ქართული ხასიათი აქვს: ზ ო ლ ა ვ ა რ ი: XI საუკუნის მე-70 წლება იყო. თურქი-სელჩუკები 1070 წლის გამარჯვების ნაყოფს იმკიდნენ, ბიზანტიის „აღმოსავლეთს“ („ანატოლიას“) იკერძნენ. გიორგი ქართველთა მეფე ამ ხანებში „წარვიდა... მამულსა თესსა ტაოს და მოვიდა ბანას. მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზ ო რ ა ვ ა რ ი აღმოსავლისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი“ და კარნო ქალაქი და კარი. დიდად განიხარეს და განისვენეს და მოსცა გიორგი მეფესა კარის ცხეუ ქალაქი და მის მიმდგომი ქუეყანა და განიყარნეს“. ქცა მმ დღესი. ე. თაყაიშვილის გამოცემა, 281.

ჯვარზე ქართული წარწერა გვაფიქრებინებს, რომ ჯვარის პატრონი ზოლავარი ვიდრე „აღმოსავლეთს“ იყო, თავს „ქართლში“ გრძნობდა. ტაოელი ქართველი ზოლავარის სახლს, რომლის „ერიც“ უპირატესად ქართველთაგან შედგებოდა, საზოლავრო ჯვარიც ქართული წარწერითა ჰქონდა¹³. ესლა დასავლეთის დიდი დომესტიკოსისათვის ეს ჯვარი სამშობლო ქვეყნის ძვირფასი მოსაგონარი იყო მხოლოდ.

იმთავითვე გაუკეთეს ეს ჯვარი პეტრიწონის მონასტრის მთავარი ეკლესიის გუმბათს თუ არა, გადაქრით თქმა ძნელია (გუმბათის შემკობა ჯვრით, რაც უძველეს ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებას არ ახასიათებს, ამ დროს საქართველოში უკვე შემოდის. ამიტომ გრიგოლის ფრესკაზე — საძვალეში — რომ ეკლესიის მოდელია ჯვრიანი გუმბათით წარმოდგენილი, ეს შეიძლება მხოლოდ XIV საუკუნისათვის დამახასიათებელი მოვლენა არც იყოს, როცა ეს ფრესკა დახატეს, არამედ XI—XII საუკუნის ტრადიცია).

ამ ეკლესიის მეორე გუმბათიც ჯვრითაა დღეს შემკული. ის ჯვარიც შორიდან ამ ქართულ ჯვარსა ჰგავს. სამწუხაროდ, იმ გუმბათზე ასევე სპეციალურ ზომებს მოითხოვს, რაც ჩვენ ამჟამად არ გვიხერხდება¹⁴.

ყველა გვეხმარება, პლოვდივის ქალაქის მოურავიც კი (გვარით პერპილიევი), რომელიც სპეციალურად დღეს ჩვენთან ამოვიდა, კიბეს შესდგომია და ამხ. ოთარს გუმბათზე ასევე შველის.

მაგრამ სწორედ ის გარემოება, რომ ყველა ფუსფუსებს, ხელს გვიშლის დაკვირვება გულდასმით ვაწარმოოთ.

დღე მიიწურა. ჩვენს მასპინძელ-თანამგზავრებს, ეტყობა, სადილი ეჩქარებათ. დაესხედით, პერპილიევი მასპინძლობს, სიტყვები არ გაგრძელებულა. ადგომა ვიჩქარეთ, რათა წასვლის წინ ერთხელ კიდევ მოგველო ძვირფასი რელიქვიები.

ვგრძნობ, რომ ნაჩქარევად წამოსული ვართ: ლიტერატურა წინდაწინ უნდა შეგვესწავლა, რომ უფრო გაღრმავებული დაკვირვება შეგვძლებოდა, თანაც ამ მსლებელ-მასპინძლებში საზეიმო განწყობილების ტყვეებად ვრჩებით.

ზეიმით გამოგვაცილეს. უკვე ბნელდებოდა, რომ სტენიმახას მოვატანეთ. ჩამოვუარეთ გრიგოლის მიერ აშენებულ ციხეს, აქავ, სადღაც,

13 ბუნებრივად გვაგონდება დავით ტაოელი კურაპალატის ასევე სამხედრო ჯვარი ქართული წარწერით.

14 შეტად სასურველი იქნებოდა, თუ ამ საზოლავრო ჯვარს იმ „ქართველთა დმრთის შშობელთან ერთად ისევ საქართველოში დავიბრუნებდით, როგორც ქართული ოქრომკვლელობისა და იკონოგრაფიის ძვირფას ნაშთებს ტაოდან.

იყო მისივე აშენებული „ქსენადოშიც“, აქვეა პეტრიწონის მეტოქიც. შევიარეთ. ნაგვიანევად მოხატული ეკლესია ჩანს.

ღამით პლოვდივს სასტუმროში მოვეწყვეთ. ხვალის პროგრამა: პლოვდივის მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გაცნობა, ქალაქის დათვალიერება.

13/III დილას მუზეუმით დავიწყეთ, არქეოლოგი დიმიტრი ცონჩევი (მუზეუმის დირექტორი) წინ გვიძღვის და საქმის ცოდნით გვაცნობს აქ თავმოყრილ მდიდარ მასალას. ამ საქმეში რომ გართული ვართ, ჩვენთან ერთი ბულგარელი მოვიდა. ვაგვაცნეს არქიტექტორიაო, ხრი-სტო პეევი. ამ ოჯახაშენებულმა ერთი სიცხე გავვიჩინა. როცა ვაიგო ჩვენი პეტრიწონს ნამყოფობა, განაცხადა, რომ ის იქ მონასტრის მშენებლობის უფროსია და გვკითხა, თუ რას ნიშნავს, სატრაპეზოში რომ ქართული წარწერაა ფრესკის ქვეშო. ელდა გვეცა. ვცადეთ ეპვი შეგვეტანა მისი ცნობის სისწორეში. არქიტექტორი პეევი გაიქცა და მალე დაბრუნდა პროფესორი იორდან ივანოვის სტატიით, სადაც მართლაც არის მოხსენებული, რომ სატრაპეზოში მოიპოვება ქართული წარწერა. შეგვრცხვა: ჩვენ სატრაპეზო არც კი გვინახავს, იორდან ივანოვის ეს სტატია კი სოფიაში გვაქვს. მეტი რა გზაა, ისევ პეტრიწონს უნდა წავიდეთ, ვადაწყდა: აკაკი და ოთარი აქ, პლოვდივს, დარჩებიან, ბიბლიოთეკას გასინჯავენ, მიტროპოლიტსაც მიაკითხავენ, ხომ არაფერი გადარჩა ქართულის კვალი (ხელნაწერი წიგნი, დოკუმენტი ან ნივთი) პეტრიწონიდან, მე კი მონასტერში უნდა დავბრუნდე.

თან წამყვან არქეოლოგი ცონჩევი და არქიტექტორი პეევი. დღე მზიანია და როდობის მთის კალთებზე სოფლებიც უკეთ მოჩანს. ჩემი თანამგზავრები ამათვან არა ერთ სოფელს ასახელებენ, გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონშიაც რომ იხსენიება. ამ ძეგლის (ტიპიკონის) გამოცემისას მთელი ამ მხარის მოვლა იქნებოდა საჭირო. ჩვენ, სხვა გზა არაა, რუკებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

მონასტერში მივედით. არქიტექტორი პირდაპირ სატრაპეზოში შეგვიძღვა. ცოცხალი „საოსტიგენე“ მე ჯერ არ მენახა, გრძელი ზალა თალოვანი ჰერით. მთელ სიგრძეზე ვიწრო მაგიდა მარმარილოსი, განსაკუთრებული საჯღომით წინამძღვრისათვის მაგიდის თავში (= თავმჯდომარე). საოსტიგენე ერთიანად მოხატულია (XIV საუკუნის მხატვრობა). ქართული აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, არაფერი აღმოჩნდა. იორდან ივანოვს „ქართული“ უწოდებია რაღაც კარაკულის მსგავსი ნაჯღაბნისათვის, ერთ-ერთ ფრესკაზე რომ არის წარმოდგენილი.

არქიტექტორმა ბოდიში მოიხადა, რომ შრომა ტყუილუბრალო გამოვიდა, მე კი მადლობა გადავუხადე მას დასახმარებლად მზადყოფნისათვის.

ერთხელ კიდევ გამოვეთხოვე ბაკურიანის ძის მშვენიერ საქვალეს, ამაყად რომ დვას ფლატეს პირას განმარტოებით, საქართველოში ნამყოფ „ქართველთა ღმრთის მშობელს“ და ძლევის ჯვარს, ქართველთა ლაშქარს რომ წინ უძღოდა მტრებთან ომში...

პლოვდივს დავბრუნდით. ამასობაში აკაკი, ოთარი და ჩვენი ბულგარელი მხლებელ-მასპინძელნი უკვე სწვეოდნენ მიტროპოლიტს. ყოფილიყვნენ ბიბლიოთეკაშიც, ვერაფერი ეპოვნათ.

ქალაქის დასათვალისწინებლად წავედით. მანქანით ავედით ერთ ზორცვზე, საიდანაც მთელი ქალაქი მოჩანს. სიდიდით პლოვდივი დღეს მგორე ქალაქია ბულგარეთში. ის გაშლილია მარცხსა ორივე მხარეზე, როგორც აღვნიშნე, პლოვდივი ძველი ქალაქია, ბერძნულ-რომაული ხანისა, რომაული ხანის შესანიშნავი სტადიონის ნაშთი სულ რაღაც ოცი-ოდე წელია რაც მოუშლიათ.

ქალაქში გავისვინებთ. დიდ მიზგითს ჩაეუარეთ. თვალში გვხვდება მცხოვრებთა სიჭრელე: ბულგარელი, თურქი, სომეხი, ებრაელი... პლოვდივის ამ ნაწილს (ცენტრს) აღმოსავლური იერი დაჰკრავს. მუზეუმში დავბრუნდით და მისი დათვალისწინება, დილას რომ შეეწყვიტეთ, ისევ განვაგრძეთ.

პლოვდივის მუზეუმი შესანიშნავია. მართალია, ქვისა და ბრინჯაოს ხანა ჩვენს მუზეუმში უფრო მდიდრად არის წარმოდგენილი, სამაგიეროდ კლასიკური ხანის ძეგლებით ჩვენი მუზეუმი პლოვდივისას ვერ შეედრება. განსაკუთრებით უხვადაა მოცემული ბერძნულ-რომაული სკულპტურა. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ, როგორც ჩანს, აქ, პლოვდივისა და მის ახლო მიდამოებში, ქანდაკების წარმოება დიდად განვითარებული ყოფილა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, აქ დღესაც უხვად მოიპოვება მარმარილოს მდიდარი საბადოები, ხოლო მუზეუმში დაცულ ექსპონატებს შორის მოიპოვება წუნი ნახელავიც — სახელოსნოს არსებობის უდავო მოწმობა.

გათხრებს ამ მიდამოებში აწარმოებს არქეოლოგი დიმიტრი ცონჩევი, გატაცებული მეცნიერი და თავისი საქმის მცოდნე კაცი.

პლოვდივის მუზეუმში მდიდრადაა წარმოდგენილი ბერძნული კლასიკური კერამიკა (ოლვიის ტიპისა). ყველაფერი ეს უმთავრესად ყორღანებში მოუპოვებიათ.

ისევე როგორც რუმინეთში, აქაც ფეოდალური ხანის არქეოლოგიაზე არც ფიქრობენ (ჯერჯერობით). აქვე მუზეუმში ბულგარული მხატვრობაც არის წარმოდგენილი, მაგრამ ის სუსტია და რუმინეთისას ჩამოუვარდება.

ბიბლიოთეკაში კვლავ შევიარეთ, აქ აკაკისა და ოთარს რაღაც ზღუნაწერთა ჩვენებას შეჰპირებოდნენ. ეს ბიბლიოთეკა დღეს, სოფიის

ბიბლიოთეკის დაზიანების შემდეგ, უდიდესია ბულგარეთში, ის მოთავსებულია იმ ისტორიულ შენობაში, რომელიც 1878 წელს ბულგარელებს აუგიათ ახლად განთავისუფლებული სამშობლოს პარლამენტისათვის. მაგრამ, ბულგარეთის პოლიტიკური ცენტრის სოფიას გადატანის გამო, ეს შენობა თავისი პირდაპირი დანიშნულებით გამოუყენებელი დარჩენილა.

არც აქ აღმოჩნდა რამ ისეთი, პეტრიწონს რომ შეეხებოდეს.

ოთხმეტ მარტს დილით ადრე მატარებლით სოფიისაკენ წამოვედით.

მართალია, შთაბეჭდილებანი მრავლად მოგვქონდა, მაგრამ გულს ნაკლის გრძნობა არ სცილდებოდა: პეტრიწონს ქართულ ხელნაწერს ვიპოვიდით გვეგონა. არც ის გვქონდა მეცნიერულად გააზრებულ-შეფასებული, რაც მოვიპოვეთ, ამიტომაც უფრო მარცხსა ვგრძნობდით, ვიდრე წარმატება-გამარჯვებას.

პროფ. ნიკოლაევი შეუხელებელი საუბრით გვართობდა. ენერგიული, ნიჭიერი და მჭერმეტყველი კაცი ჩანს, თუმცა რამდენადმე ზედაპირული და არც თუ მშვიდობისმოყვარე და ენატკბილი... ეხლა მთელი მისი მეცნიერული ცდა იქითკენაა მიმართული, რათა დაამტკიცოს, რომ თურქული (თუ უგრო-ფინური) მოდგმის ბულგართა ურდოს როლი ბულგარი ხალხისა და ბულგარეთის სახელმწიფოს წარმოშობაში სრულიად უმნიშვნელოა. მაგრამ ამ სამართლიანი (და პროგრესული) დებულების დასამტკიცებლად ავტორი საბუთების სიავკარგეს არ არჩევს და საკუთარ პოზიციას ამით რამოდენადმე ასუსტებს, ამის გამოა, ალბათ, რომ მოწინააღმდეგეთა ჯგუფმა, როგორც ჩანს, შეძლო მისი მეცნიერული რენომეს რამოდენადმე გაუფასურება. ამისდა მიუხედავად პროფ. ნიკოლაევი დაუცხრომლად იბრძვის, ის მზადაა მესაეჯერ (მეასე ვარიანტი) დაიწყოს ცხოველი მოთხრობა იმ ეპოპეისა, როცა მან, მისი სიტყვით, „ამირანის ომი“ გადაიხადა თავისი თეორიის დასაცავად...

ჩვენი შემდგომი სამუშაო არის სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში დატოლი ქართული ხელნაწერი. უნდა ვინახულოთ აგრეთვე პროფესორი გოშევი, რომელსაც ბაჩკოვოს მონასტრიდან ხელნაწერები წამოუღია.

სოფიაში საბჭოთა კოლონიაში ვისადილეთ და საღამო ჟამს ნიკოლაევთან ერთად პროფ. გოშევს ვეწვიეთ. თავაზიანად მიგვიღო პროფესორმა ი. გოშევმა, ეს ხუცესი (პროფესიით გოშევი მღვდელია) ამჟამად სლავური პალეოგრაფიის საკითხებით არის გატაცებული და ჩვენი მისვლა განსაკუთრებით ესაიამოვნა. საქმე იმაშია, რომ მას აზრად მოსვლია ძველი სლავურის ბერძნულისაგან განსხვავებული ბგერების გრაფემები ქართული თუ სომხური დამწერლობიდან მიიღოს, თუმცა მან არათუ ქართული ან სომხური პალეოგრაფია, თვით ანბანიც კი ამ ენებისა

არ იცის. სამაგიეროდ პროფ. ი. გოშევი ბერძნულ-სლავურ ხელნაწერთა კარგი მცოდნეა და ამ საუნჯის შეგროვება-დაცვაში დიდი დამსახურებაც აქვს.

ბაჩკოვოში ქართული ხელნაწერი მას არ უნახავს. რაც წამოვიღე, სულ ბერძნული ხელნაწერებია და ეხლა ყველა ეს რილის მონასტერში ინახებაო. დაბომბვის შიშით ომის დროს იქ დავხიზნეო. ამ ბერძნულ ხელნაწერებში ქართული მინაწერი რაიმე მოიპოვება თუ არა, გადაჭრით თქმა არ შემძლიანო. ერთი რაღაც სტრიქონი თავსართავის სახედ კი მაგონდება, რომ არის ერთ-ერთ ხელნაწერში ჩემთვის უცნობი ასოებითო.

კარგა ხანს ვისხედით პროფ. გოშევის კაბინეტში. ხუცესი ახერხებდა და საუბარი დაქინებით პალეოგრაფიის საკითხებზე გადაჰყავდა.

ჩვენ კი ახალი იდეა გაგვიჩნდა: უნდა რილის მონასტერში წავიდეთ და პეტრიწონული ხელნაწერები გავსინჯოთ, რომ ქართული კვალის ძებნას გული შევჯაგროთ. პროფ. გოშევი შეგვპირდა, რომ რილის მონასტერში წამოგვყვება, ხოლო პროფ. ნიკოლაევმა თავს იდო ამ საქმის ორგანიზაცია.

მაინც უხალისონი დავბრუნდით ბინაზე: ქართული ხელნაწერი წიგნის პოვნის იმედი სულ გადაიწურა.

ღამით პეტრიწონის შესახებ ლიტერატურას ვკითხულობდი.

დილიდანვე (15/III) ბიბლიოთეკაში მივედი და პეტრიწონის მონასტრის ქართული წესდების გაცნობას შევუდექით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ამ ხელნაწერიდან ბევრს არას მოველოდით. ვინ იცის, გვიანი დროის თარგმანიც შეიძლება იყოს ბერძნული დედნიდან. გარეგნობითაც ეს წიგნი საყურადღებოს არაფერს წარმოადგენდა, ხოლო თანისიანი მარცხი ჩვენს ასეთ ნეგატიურ განწყობილებას აძლიერებდა.

ამიტომ იყო, რომ თავიდანვე ამ წესდების კითხვა კი არ დავიწყეთ. არამედ ხელნაწერის ბოლოზე მიწებებულ ფურცლებზე რომ ღვთისმშობლის ხატის წარწერაა მოთავსებული, ის შევეუდარეთ ჩვენ მიერ მონასტერში გადმოღებულ ამავე ხატის წარწერას.

მხოლოდ ამის შემდეგ, საკმაოდ უხალისოდ, დავიწყეთ ტიპიკონის კითხვა. მალე აკაკიმ ძეგლში საინტერესო ენობრივი ხასიათის მოვლენები შენიშნა და სიამოვნებით შეიშმუშნა. არც მე ვამჩნევ ნაკლებ საინტერესო მოვლენებს არაენობრივი ხასიათისას. ჩუმი სიამოვნება-აღელვება მალე დაგვერღვა და რიგრიგობით ხან ის და ხან მე შეძახილებით გამოვხატავდით სიხარულს.

ორ საათს ვკითხულობდით. საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ წარმატება მოვიპოვეთ, რომ ჩვენი მგზავრობა გამართლებულია, რომ ჩვენ ხელთ არის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ქართული ორიგინალური ძეგლი XI საუკუნისა.

იხლა ხელნაწერის ხელიც საინტერესო გვეჩვენა. ტექსტზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ამ ხელნაწერის გადმოწერილი ქართული ენის არა-ზოგადნა, ხოლო აქა-იქ ბერძნული შენიშვნები მოწმობს, რომ ამ ხელნაწერის გადმოწერილი ბერძენია. ხელნაწერის ქალაღდზე დაკვირვებით შეიძლება დასკვნა, რომ ეს ძეგლი გადმოწერილია არა უადრეს XVIII საუკუნის მიწურულისა ან, შეიძლება, XIX ს-ის დამდეგისა. გამოდის, რომ ვინმე ბერძენს, ქართული ენის უმეცარს, გადმოუხატავს ეს ქართული ხელნაწერი. ამიტომ მეტად საინტერესოა ამ ხელნაწერის გარეგანი იერი. ერთის შეხედვით ის XII საუკუნის ხელს მოგვაგონებს. შეიძლება ვიფიქროთ, მაშასადამე, რომ ამ ბერძენ კოპისტს ხელთა ჰქონია ქართული დედანი XII საუკუნისა, შეიძლება პირმშო დედანიც კი, გრიგოლის დროსვე დაწერილი. ის გარემოება, რომ გადამწერი ქართული ენის უმეცარი იყო, ჩვენთვის მეტად ხელსაყრელი ჩანს: ხელნაწერის გადმოწერისას მას არ შეეძლო, ნებსით თუ უნებლიეთ, ახალი რამ ფორმები შეეტანა ძეგლის დედნის ენაში. ამრიგად, გამოდის, რომ ჩვენ ხელთა გვაქვს XI—XII საუკუნის ქართული ორიგინალური ხელნაწერის ძველესობა, თუმცა ცუდი „ფოტოპირია“. არა ჩანს, ოღონდ, რომ გადმოწერილი ყოველთვის იცავდეს გვერდში სტრიქონებისა ან სტრიქონში ნარცვილთა დედნისეულ რაოდენობას¹⁵.

გამოდის, მაშასადამე, რომ პეტრიწონის მონასტრის ქართული ტიპიკონის XI—XII საუკუნის ხელნაწერი (პირმშო დედანი?) ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგს არსებობდა. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ძვირფასი ძეგლი დღესაც არსებობს¹⁶.

მაინც ჩვენი განსაკუთრებული ემოცია ხელნაწერის იმ ადგილმა გამოიწვია, სადაც დაცულია ცნობა, რომ „წესი ესე განგებისაჲ“ (=ტი-

¹⁵ ჯერ კიდევ ბულგარეთს წასვლამდე ჩვენ ვიცოდით, რომ პროფ. ე. თაყაიშვილს ხელთა ჰქონდა პეტრიწონის მონასტრის ქართული ტიპიკონის ხელნაწერის ორი გვერდი. პროფ. ე. თაყაიშვილის ცნობით ის, თითქო, გადმოწერილია კვპროსის კუნძულზე არსებულ მონასტერში დაცული ხელნაწერიდან. ჩვენი დაბრუნების შემდეგ აკაკიმ შეადარა ეს ნაწყვეტი ჩვენ მიერ ჩამოტანილი ტექსტის შესაბამის ადგილს და გამოირკვა, რომ ეს კვპრული და ჩვენი ხელნაწერი სხვადასხვა ხელნაწერებია. რაც წეხებმა მათ ურთიერთობას, ამის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ხელნაწერი ან ურთიერთისაგან დამოუკიდებლად XI—XII საუკუნის დედნიდან არის გადმოწერილი (ჩვენ ეს უფრო დასაშვებად მიგვაჩნია), ან ჩვენი ხელნაწერი გადმოწერილია კვპრულიდან და არა პირუქუ (ამ უკანასკნელი გარემოების საბუთი ის არის, რომ კვპრულ ნაწყვეტში მოიპოვება მთელი სტრიქონი, რომელიც ჩვენი ხელნაწერის შესაბამის ადგილს აკლია).

¹⁶ რაც შეეხება მოტივს, რომელიც XIX საუკუნის დამდეგს ქართულის უცოდინარ ბერძენ კოპისტს ამ ძეგლის გადმოწერად ამოძრავებდა, აქ მატერიალური სარგებელი უფრო საეარაუდებელი ჩანს.

პიკონი) დაწერილია მხოლოდ ბერძნულად და ქართულად და არა სამსენაზე — ბერძნულად, ქართულად და სომხურად, როგორც ეს ლუი პეტის მიერ გამოცემულ ტიპიკონის ბერძნულ ტექსტშია აღნიშნული.

გაოცებულნი აკაკი და მე ერთიმეორეს შეეცქეროდით, რომ ოთარი თავს წამოგვადგა (ის რაღაც საქმისთვის საელჩოში წასულიყო). შთაბეჭდილება გავუზიარეთ. კითხვა განვაგრძეთ და ამ ქართული ვარიანტის სისწორის დასაბუთებაც აქვე ამოვიკითხეთ.

ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია ამ საკითხს გამოვეკიდოთ, ეს მეტისმეტად შორს წაგვიყვანდა და ჩვენს მთავარ თემას აგვაცდენდა. კითხვა შევწყვიტეთ და ხელნაწერის გადაწერის შესახებ ბჭობა გავმართეთ. ტიპიკონი 144 გვერდს შეიცავს. მის გადაწერას ათი დღე მაინც სჭირია. ჩვენდა სასიამოვნოდ, აღმოჩნდა, რომ ბიბლიოთეკას მოეპოვება ამ ხელნაწერის მიკროფილმი¹⁷.

კარგა მოღლილი ვიყავით, რომ პროფ. ნიკოლაევი მოვიდა და სადილის შემდეგ მანქანით ქალაქში გასეირნება შემოგვთავაზა.

მთელი საღამო და მეორე დღე (კვირა) ლიტერატურის გაცნობას ნოვანდომე. ორშაბათს რილის მონასტერში მივდივართ.

როგორც აღვნიშნე, პეტრიწონის მონასტრის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურა საკმაოა. რუსულ ენაზე გამოირჩევა ა. გრაბარისა და დ. ლასკოვის წერილები, ფრანგულად იმავე ა. გრაბარისა, ხოლო ბულგარულ ენაზე ივ. გოშევის, სტანიმირ სტანიმიროვისა და იორდან ივანოვისა. ამ უკანასკნელს ერთი საინტერესო ცნობა მოაქვს, საიდანაც მტკიცდება, რომ XII საუკუნის მიწურულს პეტრიწონის მონასტერი ისევ ქართველთა ხელშია და მისი მამასახლისიც ამ დროს ქართველია... ეს მამასახლისი ხლებია ფილიპოპოლისში გერმანიის იმპერატორს ფრიდრიხ ბარბაროსას, რომელიც აქ იმყოფებოდა 1189 წელს ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობის დროს. იმპერატორს კეთილად მიუღია ქართველი ბერი და პატივითაც გაუსტუმრებია ის უკან¹⁸.

¹⁷ გასულ წელს ამ ხელნაწერის პირი ვილაცას ვატიკანიდან მოუთხოვნია. ბიბლიოთეკას მიკროფილმი გადაუღია ორ ცალად და ერთი დამკვეთისათვის გაუგზავნია. დირექტორი მზადაა მეორე ცალი ჩვენ მოგვცეს. ეს გარემოება საქმეს დიდად შეგვიძლესუბუქებს. მაინც ზოგაერთი ადგილის გადმოწერა გადავწყვიტეთ.

¹⁸ ამის მოწმობად ივანოვს მოაქვს ამონაწერი ანსბერტის შრომიდან:

„Marchallus nihilominus Imperatoris Henricus de challintin vir sternuus in bello, impiger vero in otio, castellum munitissimum ac famosum Sebention dictum, super quod et claustrum monachorum erat situm, civibus ac deditionem inoeciam coactis, custodiam militarem in eo collocavit. Ablatem praeterea coenobii, gusdem ex Hibernia ortem ad Imperatorem adduxit, quem deinceps Dominus Imperator familiariter penes se, et in spatio cum honore studui tractare“. Ansbertus, historia de expeditione Friderici Imperatoris. Ed. I. Dobrowsky, 1827, 47—48.

მაგრამ, როგორც ზემოთაც ვნახეთ, საფიქრებელია, რომ ეს მონასტერი ქართველთა ხელში რჩებოდა XV საუკუნის პირველ ათეულშიც კი, როგორც ჩანს, საქართველო XIII საუკუნეში ჯერ კიდევ ახერხებდა დაეცვა შორს საზღვარგარეთ თავისი კულტურული კერები.

ლიტერატურაში ამ მონასტრის შესახებ XV—XVI საუკუნიდან ვერაფერი ვიპოვე, ხოლო XVII საუკუნიდან აქ ქართველთა კვალი აღარა ჩანს.

გრიგოლ ბაკურიანის ძის ვინაობის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში უპირატესად აკადემიკოს ნ. მარის აზრია გაბატონებული¹⁹, რომლის მიხედვითაც ამ უბედურ კაცს, მიუხედავად იმისა (და შეიძლება სწორედ ამიტომაც), რომ დაჟინებით ამტკიცებს თავის ქართველობას, სომხად ან, უკეთეს შემთხვევაში, გაქართველებულ სომხად სთვლიან.

ნ. მარისაგან დამოუკიდებლად, საფიქრებელია, სომეხს უწოდებს გრიგოლ ბაკურიანის ძეს თ. უსპენსკიც²⁰ და მხოლოდ ისინი, ვისაც გრიგოლ ბაკურიანის ძის განცხადებისა სჯერათ, თანაც ტიპიკონის შინაარსს მართებულად ითვალისწინებენ, ხოლო ცნების გაგებაში ისტორიზმს არ ღალატობენ, — ასეთები, სამწუხაროდ, მცირეა, — ამ კაცს სამართლიანად ქართველს უწოდებენ.

დღეს აქ ჩვენ ვერც ამ საკითხს გამოვუდგებით, ის სპეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს.

უცნაურია, რომ ეს ტიპიკონი ბულგარულ მკვლევრებს მშობლიურ ისტორიაში დღემდე სათანადოდ ვერ გამოუყენებიათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძეგლი საამისოდ ძვირფას ცნობებს შეიცავს.

ორშაბათს 8 საათზე რილის მონასტრისაკენ გავწიეთ. ნიკოლაევს გარდა თან წამოგვყვენენ გოშევი და მისი ასისტენტიც, ორი „პობედა“ მიგვაქროლებს: 120 კილომეტრი გზა უნდა დაკვეცოთ. რილო მაკედონიაში ერთი მთის სახელია, აქედან — მონასტრის სახელიც. მივდივართ ბულგარეთის სერებით. საქართველოს მაგონებს. ორი საათის შემდეგ მცირე ქალაქ დუბნიცას მოედანზე შევჩერდით. ბაზრობაა. ნიკოლაევმა უმალ ქალაქის ოფიციალური პირები ჩვენთან გააჩინა. აქ ახლო ძველი რაღაც შენობა ჩანს. მცხეთის ჯვარს გვაგონებს. ძველი მიზგითაო და საპყრობილე. ახსნა საეკვო (ყოველ შემთხვევაში არასრული) გვეჩვენა. აქვე გვერდით ქალაქის კლუბია (სამკითხველოთი). მიგვიწვიეს.

¹⁹ Византийский Временник... том XII. М. Марр, Аркаун, монгольское название христиан, в связи с вопросом об армянах-халкедонитах. მისივე Иоани Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века.

²⁰ Академик Ф. И. Успенский. История Византийской Империи, III, 75.

ინახულეთო, ჩანს, საამაყოდ მიაჩნიათ ახალი კულტურული მშენებლობა. ხალისით გავყევით. ბიბლიოთეკა გვაჩვენეს და საკმაოდ კოხტა თეატრის დარბაზი. წუხელის ბრიგადირთა შეკრება გვექონდაო. საზეიმოდ მორთულ სცენაზე სტალინისა და ღიმიტროვის ბიუსტები ჩანს. კარგადა ვგრძნობთ ჩვენდამი სიმპათიას. ყავაზე მიგვიპატიყეს. მოვიბოდიშეთ უღრობა. შეგვიპირეს, რომ უკან დაბრუნებისას უფრო მეტი ხნით შევჩერდებით. ბაზარი ჩავათვალიერეთ, სურათები გადავიღეთ, წავედით. სერს შემოვუარეთ და რილსკა რეკას ვიწრო ხევში შევედით. ამ მდინარის აყოლებით ცოტა ხნის შემდეგ სოფელ რილას მივატანეთ. ნოცა, რომ ამ მთის სოფელში გიმნაზია ჰქონიათ, — ოთხასი ბავშვი სწავლობსო.

ამ სოფლის ზევით ხეობა კიდევ უფრო ვიწროვდება, მიუხედავად ამისა, მას შარაც შესდევს და ვიწროლიანდაგიანი რკინიგზაც. აქვე მარჯვნიდან მთის ფერდს დაჰყვება გრანდიოზული მშენებლობა — სოფლის წყალსადენი, რომლის სათავეს შორს თოვლიან მთებში გვიჩვენებენ.

რილის მონასტერი გაშენებულია სოფელ რილადან ოცდაათი კილომეტრის მოშორებით, წიწვიან-ფოთლოვან ტყეში, განსაკუთრებით ლამაზსა და მაგარს ადგილას. დაარსებულია ეს მონასტერი XIII საუკუნეში, მას ბულგარეთის ცხოვრებაში დიდი როლი უთამაშნია.

დღეს მონასტერი წარმოადგენს ქარვასლის ფორმის სამსართულიან შენობას. ძველი ეკლესია აქ არ გადარჩენილა. დიდ ოთხკუთხა ეზოში დგას XIV საუკუნის კოშკი („მეფე ხრალის კულა“), მის გვერდით — დიდი ეკლესია, XIX საუკუნეში აგებული. ეზოს შესავალ-გასავალში (კარიბჭეებში) ძველი რკინის კარი შერჩენია, კარები დღესაც ისე იკეტება საღამოობით, როგორც, ალბათ იკეტებოდა XIV საუკუნეშიაც.

მონასტრის გარეთ სასტუმროა და სხვა ნაგებობანიც. ამ მიდამოებიდან დღეს დიდძალ ხე-ტყეს ეზიდებიან სოფიაში. ამავე დროს ტურისტული მიზანიც გათვალისწინებული ჩანს: კარგად მოვლილი გზა, სუფთა სასტუმრო ელექტროგანათებით.

სასტუმროში მოვთავსდით. სწრაფად ვისადილეთ და მონასტრის დასათვალიერებლად წავედით. მონასტრის მამასახლისი ევგენი (ერისკაცობაში ივან პეტროვიჩ შვიაროვ) ყაზანის აკადემიაში ნასწავლი კაცი გამოდგა. ორი ქართველი მეგობარი მყავდაო, ლეონტი ხორავა და კაპანაძეო. მოიგონა სტუდენტობის დღეები.

მონასტრის ეკლესია, როგორც აღვნიშნე, XIX საუკუნის 30-40-იან წლებშია აგებული. მოხატულიც იმ დროსვეა. მხატვარი შინ ნასწავლი ბულგარელი ყოფილა — ზახარი ზოგრაფ. მხატვრობა იმ ნაწილში, სადაც მისი ავტორი დამოუკიდებელია, მეტად საინტერესოა: ცოცხლად

გადმოგვცემს ბულგარელი ხალხის სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობას. ასეთია, მაგალითად, სხვადასხვა ცოდვის მოკიდებისა, განკითხვისა თუ ჭოჯოსთვის სცენები. შესამჩნევია დამახასიათებელი დეტალი: ცოდვილ ადამიანს ეს მხატვარი თურქის სამოსელში წარმოგვიდგენს.

გვანჩვენს მონასტრის მუზეუმი. იარაღის საინტერესო კოლექცია, ხეზე მოჩუქურთმების შესანიშნავი ნიმუშები, ნუმისმატიკური კოლექცია, რილის მონასტრის მოღვაწენი. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სულთნების ფირმანებმა (დაცვის სიგელებმა). როგორც ირკვევა, ოსმალეთის სულთნები (ზოგიერთი მაინც) არათუ სდევნიდნენ ამ მონასტერს, მფარველობდნენ კიდევაც მას (ერთ-ერთ სულთანს „თავის სიგარძე“ სანთელიც შეუწირავს მონასტრისათვის. ეს სანთელი ეხლაც დაცულია აქ).

ჩვენში კი სულ სხვაგვარი იყო ამავე სულთნების პოლიტიკა.

მონასტერს საკმაოდ მოზრდილი და კარგად მოვლილი ბიბლიოთეკაც აქვს. ერთი სიტყვით, ცოცხალი მონასტერია (აქ 50 ბერი ცხოვრობს).

წარმომიდგენია ასეთი მონასტერი ძველად: შესანიშნავი შენობები, სამაგალითო მეურნეობა, სწავლული მონაზვნები, წესი და სიმშვიდე, სწავლა და ცოდნა, გარშემო კი შუასაუკუნეთა სიბნელე... გასაგებია ამ მონასტრების ავტორიტეტი... მაგრამ ეს მაშინ, დღეს კი?

უკვე ბნელოდა, როცა სასტუმროში დავბრუნდით. პროფ. გომევა პეტრიწონული წიგნები სასტუმროში მოატანინა. დიდხანს ვფურცლეთ მტვრიანი ხელნაწერები საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ქართულის აკალი პეტრიწონის მონასტრის ხელნაწერებში არ შემონახულა.

თვრამეტ მარტს საუცხოო დილა გათენდა. ვიდრე აკაკი და გომევი ბერძნულ ხელნაწერებს უსხედან, მე და ოთარი მდინარის ნაპირს ავყევით და აქვე რკინიგზის სადგურზე მივედით. პატარა ორთქლმავალი („ჩაინიკს“ ეძახიან) თავდავიწყებით კივის და შეშით დატვირთულ პატარა ვაგონებს მიათრევს. ერთ ვაგონში კი მგზავრები მიკუნტულან. სადგურზე ჩვენთან ერთი გაბულგარულებული რუსი მოვიდა. ხნიერი კაცია. თეთრგვარდიელი ვარო, 1920 წლიდან ბულგარეთში ვცხოვრობო. შვილები დამეზარდნენ, მეც ვაგებულგარედი, მაგრამ დონზე დაბრუნება მაინც მინდაო. ვთხოვე და ვნახოთ, თუ მომიხერხდაო.

ცოტა კიდევ ვიარეთ და სასტუმროში დავბრუნდით. ვისაუბმეთ. ამინდი ანაზღვეულად აირია და თოვლიც წამოვიდა. უკან დაბრუნებას ვაპირებთ. სასტუმროში ერთი ბულგარელი გაგვეცნო, გეორგი დიმიტროვ ციგინელსკი ვარო. ილიკო ქურხული რომ აქ იყო, ვმეგობრობდით. კრძნობით იგონებს ილიკოს ვიოლინოს. გვთხოვა მოკითხვა გადავცეთ მის მეგობარს.

თოვს, მაგრამ მინც ვინახულეთ მეფე ხრალის კოშკი. ის ხუთსართულიანია, კარგად შენახულ-მოვლილი და ექსკურსანტების საჩვენებლად არის გათვალისწინებული (მისი ბნელი კიბეები და ოთახები ელექტრობითაა განათებული).

ვეგენი იგუშენმა თავისთან ყავაზე მიგვიწვია, ხორავას სურათი გვიჩვენა და ისევ თავის მოგონებებს აპყვა.

ჩქარა გამოვეთხოვეთ და უკან დავბრუნდით. დუბნიცას ვერ შევჩერდით: აღარც გვცალია. გზაში ერთი ჩვენი მანქანა შესაკეთებელი შეიქნა. ჩვენც ამ დროით ვისარგებლეთ, რათა ბულგარელი გლეხის მოსახლეობა გვეჩვენა. მანქანა გავაჩერეთ და გლეხის ეზოში შევედით. ეს გლეხი საშუალო შეძლებისა ჩანსო, გვიხსნის ნიკოლაევი. „პალატზე“ სახლი უდგას. ქვემო სართულში მოთავსებულია საქონლის სადგომი: ბატკნები, ხარები, ძროხა, ცხენი, ზევით, მეორე სართულზე, სამი ოთახია. ერთში სამი ფართო ხის ლოგინი დგას. უსუფთაობა უჩანთ, სუნიც შესაფერისი, 90 წლის მოხუცი, 65 წლის შვილით და ორი შუახნის ვაჟკაცი შვილიშვილით, რომელთაც ცოლშვილი ჰყავთ — ესაა ამ ოჯახის შემადგენლობა.

ოჯახის წევრები სამუშაოზე არიან. სახლში პაპა და მისი შვილი დარჩენილან. ოთახში ორ ბავშვს თავშექცევით სძინავს. სახლის აივანზე უწესრიგოდ ყრია რაგინდარა. აქვე ჰკიდია ხმელი პილპილი, ნიორი, ეზოში ქოზი დგას სასოფლო-სამეურნეო იარაღით, აქვეა ფურნე, რომელიც ამავე დროს საქათმეცაა.

ეს ოჯახი სოფლიდან განმარტობულადაა. მიზეზი ვიკითხეთ. ცხვრის საძოვარი აქ კარგია ზამთარშიო. ჩვენი მიწაო. მართლაც, აქვე ჭალაში ასამდე კუდიანი ცხვარი ძოვს, — ჩვენიაო. აქვე ხილის ბაღი ჩანს (ვაშლი, ქლიავი).

პაპამ ჩვენ რუსებად მიგვიღო და გაიხსენა: როცა რუსები ჩვენ გამოსახსნელად მოვიდნენ, მე და ჩემი მეზობლები რუსთა ჯარს პლევნას თივას ვუზიდავდითო. გლეხი ვაშლით გაგვიმასპინძლდა. ჩვენ კი კონფეტი ვუთავაზეთ. ეზოს ახლომახლო დავდრეკართ. ვენახში შევედით. უცნაურად ყვითელია ბულგარული ვაზი.

აქედან უკვე შეუჩერებლად წამოვედით სოფლისაკენ. გზა შესანიშნავია. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ბულგარეთში კარგი შარავნებია. სტამბოლისკის საქმეაო, გვიხსნის ნიკოლაევი. ახალგაწეული მოცალეა, პირველ ექვს თვეს საგზაო მშენებლობაზე იმუშაოს. ასეა აშენებული ჩვენი გზებიო. სტამბოლისკი პროფ. ნიკოლაევის მოთხოვნით, რომანტიკოს რევოლუციონერად გამოიყურება. ის 1918-1923 წლებში მეთაურობდა გლეხთა პარტიას და მთელ ბულგარეთს. 1923 წელს ის დალუპა ბურჟუაზიულმა კონტრრევოლუციამ.

ჯერ კიდევ შუაღლე იყო, რომ სოფიას მივედით. მცირე შესვენების შემდეგ სოფიის არქეოლოგიური მუზეუმი ვინახულეთ.

დიდი სამსართულიანი შენობა საესეა ნივთებით. სუფთად ნაკეთებ მინის კარადებში მოთავსებულია ძვირფასი ექსპონატები, ცალკე დარბაზებში ჩამწყობებულია სარკოფაგები, ქანდაკებანი, სტელეები.

„ქვის ხანა“ (პალეოლითი, ნეოლითი) აქ უხვად არის წარმოდგენილი, „ბრინჯაო“ უფრო სუსტად. თანაც ბრინჯაოს ნივთები აქ მოკლებული ჩანს იმ სილამაზესა და მოხდენილობას, როგორც ჩვენს ბრინჯაოს ძეგლებს.

განსაკუთრებით მდიდრად არის სოფიის მუზეუმში წარმოდგენილი ბერძნულ-რომაული ხანის სკულპტურა, კერამიკა. საყურადღებოა სკვირთური განძი — ოქროს სასმისები (წონით 15 კილო), არც თუ მაინცადამაინც მაღალი ხელოვნებისა.

„საკუთრივ ბულგარულს“ გვიჩვენებენ „მადერის მხედარს“ (მულაქი) და ამ ურტაკის სტელეს.

საერთოდ შეიძლება ითქვას თითქო, რომ ბულგარეთში არქეოლოგია უფრო ყურადღებამიქცეულია, ვიდრე რუმინეთში, თუმცა კვლევის მეთოდი ორივეგან ერთია.

ბურჯუაზიული არქეოლოგიის მეცნიერული მეთოდის ჩამორჩენილობის გამოა, რომ აქ ნივთებია გამოწყობილი („ბერძნული“, „რომაული“, „სკვითური“ და ა. შ.), და არა ის საზოგადოებრივად წარმოდგენილი, რომელიც ამ ნივთებს ქმნიდა ან მოიხმარდა. ამის გამოა, მაგალითად, რომ „ბერძნულად“ აცხადებენ ერთიმეორის მსგავს ნივთებს ელადიდან, ბულგარეთიდან, ოლგვიიდან თუ კავკასიიდან. გარეგანი ფორმალური მსგავსების თუ იგივეობის დადგენით კმაყოფილდებიან და არას დაგიდევენ, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ნივთი ყველგან და ყოველთვის ერთისა და იმავე მნიშვნელობისა როდია, რომ ნივთს ამა თუ იმ კონკრეტულ შინაარსს ანიჭებს ესა თუ ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომ ნივთი ყოველ კერძო შემთხვევაში საზოგადოებრივი ურთიერთობის პროდუქტია.

ამ მეთოდოლოგიური მანკის ბრალია, რომ ბურჯუაზიული არქეოლოგია უფრო ნივთების ფორმალური ცოდნაა, ვიდრე საზოგადოებრივი მეცნიერება.

ფეოდალური ხანის არქეოლოგია სოფიის მუზეუმში სულ არ არის წარმოდგენილი.

მუზეუმს საკუთარი გამოცემა აქვს. 1906 წლიდან 15 ტომი გამოუციათ. გაცვლის წესით მათი მიღება შესაძლებელიც არის და ფრიად სასურველიც.

ვათვალეირებ ამ მუზეუმს და ბუნებრივად მაგონდება ჩვენი არქეოლოგია. ჩვენცა გვაქვს ჩვენი კლასიკური ეპოქები. ასეთი ჩანს ქართული „ბრინჯაო“ და ქართული ფეოდალიზმი²¹. ჩვენმა არქეოლოგიამ უნდა შეძლოს ამ ეპოქების ქართული საზოგადოების გაცოცხლება. უნდა შეძლოს საქართველოს ისტორიის, ქართული ფოლკლორისტიკის, ქართული ლინგვისტიკისა და ქართული ეთნოგრაფიის მონაცემთა მომარჯვება და მარქსისტული სოციოლოგიის საფუძველზე იმ გადასული ხანის ნაშთ-ნივთების ამეტყველება. ვიდრე ეს არაა, ვიდრე ჩვენს არქეოლოგიას ეს ვერ მოუხერხებია, ის დიდ მიღწევას ვერ დაიჩემებს... ჩვენი არქეოლოგია, უდავოა, ცდილობს და წარმატებითაც ცდილობს თავი დააღწიოს ბურჟუაზიული არქეოლოგიის მეთოდოლოგიურ მანკს, მაგრამ ის ჯერ კიდევ მაინც რამოდენადმე ნივთების ტყვედა რჩება. ის ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ამ ნივთების საფუძველზე ცოცხალი ქართული საზოგადოება აღადგინოს კონკრეტული წყობით, წარმოება-მეურნეობით, იდეებით.. ქართულმა საბჭოთა არქეოლოგიამ უნდა გახსნას და გააშუქოს ჩვენი კლასიკური წარსული. თუ ეს არაა, ჩვენი არქეოლოგია საზოგადოებათმეცნიერებას ვერ დაიჩემებს. ჩვენმა არქეოლოგიამ საბოლოოდ უნდა უკუაგდოს უკუღმართი ნემკვიდრეობა — კოსმოპოლიტური ნივთმცოდნეობა. მხოლოდ ასეთს პირობებში არქეოლოგიური მონაპოვარი (ე. ი. განათხარი თუ მიწისზედა ნივთიერი მასალა) გადამწყვეტი მნიშვნელობის წყარო იქნება ისტორიისათვის.

ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა შევქმნათ ქართული საბჭოთარი არქეოლოგია, ჩვენ სწრაფად და საბოლოოდ უნდა უკუაგდოთ ბურჟუაზიული უგვარტომო კოსმოპოლიტური ნივთმცოდნეობა...

ბნელოდა, როცა დაებრუნდით. სასტუმროში ვისადილეთ. თან გვახლდნენ პროფესორები დიმიტროვი და ნიკოლაევი, ჩვენი ხალისიანი საუბარი, ჩანს, აჯავრებს აქვე ახლოს მსხდომ ინგლისელებს (ამ სასტუმროში რა მიღეთის ხალხი გინდა რომ არ იყოს): ხშირად ბღვერით გადმოგვხედავენ. მე ეს მსიამოვნებს: კარგად მახსოვს მათი „მორიდებულობა“ 1918—1919 წლებში (თბილისსა და ბათუმში).

18/III. დილიდან ბიბლიოთეკაში ხელნაწერზე ვმუშაობდით. შემდეგ უნივერსიტეტის გასაცნობად წავედი. უნივერსიტეტის შენობა

21 პალეოლითი არც „ჩვენია“ და არც „სხვისი“, ნეოლითი ჯერჯერობით სუსტად არის ჩვენში წარმოდგენილი, ხოლო რაც შეეხება „ბრინჯაოს“ შემდგომ ხანას ვიდრე ფეოდალიზმამდე, ჩვენს არქეოლოგიას ჯერჯერობით მისთვის საკუთარი სახელიც კი ვერ გამოუქმებნია და უცხოური ტერმინით, საექვო და პრობლემატური „ანტიკურით“ გადის იოლას... ან თვით „ბრინჯაოს ხანა“ ვანა მისაღები განსაზღვრებაა, ვანა აღარ არის დრო, რომ იმ დროის ქართულ საზოგადოებას საკუთარი სახელი გამოუქმებნის?

სპეციალურად არის საამისოდ აგებული. მონუმენტური შენობაა. ვესტიბულში ბოძებით გამოვლევილი ჭერი გვიჩვენებს. საბედნიეროდ, ყუმბარა არ აფეთქებულა. ისტორიის ფაკულტეტი დავათვალიერეთ. კათედრის გამგე პროფესორებს ცალკე კაბინეტები აქვთ, კათედრის პროფესორებს — ორს ერთი ოთახი. თითოეულ ფაკულტეტს აქვს სპეციალური კაბინეტი — ბიბლიოთეკა საერთო საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნებით; ცალკეა ასისტენტების კაბინეტი (საერთო).

ფაკულტეტის დეკანის დიმიტროვის კაბინეტში კათედრათა მუშაეები შემოვიდნენ. აინტერესებთ საბჭოთა ქვეყანაში და, კერძოდ, საქართველოში ისტორია-არქეოლოგიისა, ხელოვნებათმცოდნეობისა, ბიზანტიოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის საქმე. განსაკუთრებით აინტერესებთ მარქსიზმის სწავლების საქმე. საუბრის დასასრულს პროფ. დიმიტროვმა გვთხოვა სტუდენტებს ვჩვენებოდით. აუდიტორიაში პირველი კურსის სტუდენტები შეგვხვდნენ. სტუდენტური ყრბამულ-შეძახილებით და ტაშით გამოგვაცილეს.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აგრეთვე სპეციალურად საამისოდ აგებულ ბინაშია. დაბალი სართულები (თაროებიდან წიგნის ჩამოსაღებად კიბე არ იხმარება), ალუმინის სტელაჟები, ლიფტი, წიგნები სულ ერთთავად ყდაში ჩასმული. ცალ-ცალკეა სამეცადინო დარბაზები პროფესორთათვის, ასისტენტთათვის; სტუდენტთა სამეცადინო დარბაზი ას კაცზეა გათვალისწინებული. მოწყობილობა მარტივია, მაგრამ მარჯველ მოსაზრებული.

უნივერსიტეტიდან მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან წავედით. საცაა უკან დავბრუნდებით და საჭიროა მადლობა გადავუხადოთ ჩვენს მუშაობაში ხელის შეწყობისათვის. აკადემიის პრეზიდენტი პავლოვი ხანში შესული კაცია, სიმპათიური გარეგნობისა. სპეციალობით ის ფილოსოფოსია. პავლოვი საბჭოთა კავშირში ნაცხოვრებია და რუსულს, თუმცა ბულგარული აქცენტით, სწორად ლაპარაკობს. პრეზიდენტი პავლოვი კომუნისტია. ის აღნიშნავს სიძნელეებს, მეცნიერების ფრონტზე წინ რომ ელობება სახალხო დემოკრატიას, მაგრამ მზადაა დაუნდობელი ბრძოლისათვის და გამარჯვების რწმენაც აქვს. პრეზიდენტი დიდად დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა, კერძოდ, საქართველოს, კულტურით, მეცნიერებით: დიდი მოსურნეა მკიდრო სამეცნიერო ურთიერთობის დამყარებისა ჩვენს აკადემიასთან. აუცილებელ საჭიროებად აღიარებს სამეცნიერო პროდუქციის გაცვლის ორგანიზაციას. მას აინტერესებს ჩვენი მოგზაურობის მიზნები და შედეგები. მზადაა დაგვეხმაროს ყველაფრით, რაც კი შეუძლია.

საუბრის შემდეგ გამოვეთხოვეთ. ნანობს, რომ ჩვენ უფრო დიდ-
ხანს დარჩენის დრო არა გვაქვს.

პრეზიდენტის კაბინეტიდან გამოსვლის უმაღლესი პროფ. ნიკოლაევმა
გამოგვიცხადა, რომ ჩვენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პა-
ნოვი გველოდება. რა გაეწყობოდა, წავყევით, თუმცა ვატყობდით,
რომ ეს იყო პროფ. ნიკოლაევის „კერძო ინიციატივა“. ჩვენი მოგზაუ-
რობის შესახებ მცირე საუბრის შემდეგ ამხ. პანოვმა (ის კომუნისტია)
გვაცნობა, რომ ჩვენ დღეს ცხრა საათზე საგარეო საქმეთა მინისტრის
ნიერ მიპატიებელი ვართ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის კონვენციის
წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო სხდომაზე.

ბინაზე დავბრუნდით თუ არა, გვეწვია ამხ. რადევი — ბულგა-
რეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების
წარმომადგენელი, და გვთხოვა, რათა დღეს 8 საათზე დავსწრებოდით
ერთ-ერთ ქარხანაში მუშებსა და სტუდენტებს შორის სოციალისტური
შეჯიბრების გაფორმების საზეიმო აქტს. თანაც გვაიმედა, რომ მთავრო-
ბის საზეიმო სხდომაზე არ დავიგვიანებდით. სიამოვნებით დავეთანხ-
მეთ.

რვის ნახევარზე წავედით, მაგრამ გზაში შევფერხდით და ქარხანა-
ში მხოლოდ ცხრის ნახევარზე მივედით.

ეს ქარხანა ამას წინათ იტალიელებისა და ინგლისელების ყოფი-
ლა. ის თურმე ეგვიპტის ბამბაზე მუშაობდა. აქ, სოფიაში, ეს ქარხანა
მუშახელის იაფობისათვის აუგიათ. დღეს ქარხანა სახელმწიფოა; ჩვენს
ნედლეულზე მუშაობს. აქ 1.000 მუშაა, აქედან 85% ქალია; სულ ახალ-
გაზრდობაა. 180 კომუნისტური პარტიის წევრია, 220 — კომკავშირე-
ლი, დირექტორი ბულგარელი ებრაელია — ისააკ აბრამოვი.

დირექტორის კაბინეტში მალე პარტკომის მდივანი ქალი ამხ. ზო-
ტოვა შემოვიდა.

კრება დიდ დარბაზში გაემართათ. გვიციდინენ. ჩვენი შესვლა და
ტაში შეძახილებით — „სტალინ“ ერთი იყო. პრეზიდენტში დავჯექით.
კრება გაიხსნა. საპატიო პრეზიდენტში ამხანაგი სტალინით და ამხანაგი
დემიტროვით დაიწყეს. ორივე სახელს ოვაციები აპყვა.

მოსხენება, ზოგადპოლიტიკური ხასიათისა, ერთმა სტუდენტმა
წაიკითხა. შემდეგ ქარხნის მუშამ ილაპარაკა. წაიკითხეს ხელშეკრულე-
ბის მუხლები. შემდეგ გამოვიდა ახალწვეული ჯარისკაცი, რომელმაც
თავისი განაყოფის სახელით საბინაო მშენებლობის წარმატების პირო-
ბა დადვა. დაბოლოს სიტყვა თქვეს ქარხნის დირექტორმა და ქიმიის
ინსტიტუტის პროფესორმა, რომლის სტუდენტები ამ შეჯიბრებაში ებ-
მებოდნენ.

შეჯიბრების უმთავრესი მუხლები იყო მუშების მხრით: ნაწარმის

თვითღირებულების შემცირება, წუნის მინიმუმამდე დაყვანა, გაცდენებთან ბრძოლა; სტუდენტთა მხრით: ლექციების გაუცდენლობა, გამოცდების მაღალი მაჩვენებლებით ჩატარება, „კულების“ (ჩაუბარებელი საგნების) სრული ლიკვიდაცია.

კრება ცოცხალი იყო. ლაპარაკობდნენ ცეცხლიანად, ახალგაზრდული რწმენით. ვხედავ, სად არის ახალი ბულგარეთი, უნებურად მაგონდება რილის თუ ბაჩკოვოს მონასტრები და მეცოდებიან ის უბედური ახალგაზრდა ბერები: რალა დროს იქ, სოროში ბუნაგობაა, როცა, დიდი ხანია, სიცოცხლემ აქ, ქარხანაში, გადმოინაცვლა, როცა ერის მაჯისცემა აქაა...

აკაკი მისეალმა კრებას, მეც მომინდა სიტყვის თქმა, მაგრამ ველარ ვითხოვე: კრება დასასრულისაკენ მიდიოდა. საჩუქარი მოგვართვეს მცირე, მაგრამ ჩვენთვის ძვირფასი. პირველად ვარ აგრე ნასიამოვნები ბულგარეთში.

მთავრობის ზეიმზე წასვლა დაგვიანდა. თერთმეტი საათი იყო, რომ დაებრუნდით.

დღეს, 20/III, ბიბლიოთეკა დაკეტილია. პროფ. ნიკოლაევმა ჩამკორიას მეფის სასახლის ნახვა შემოგვთავაზა. ეს ადგილი სოფიიდან 70 კილომეტრზეა, რილის ტყეში. სოფიიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით წავედით, მარჯვნიდან მთა ვიტოშა გვახლავს. გავიარეთ სოფელი პანჩარია და ისკარო. მდინარის ხეობაში შევედით. ქედიც დაბალია, მდინარეც პატარა. და ნიკოლაევს ავონდება ლექსი, რომელიც პანჩარიელებს სასაცილოდ მიეწერება:

от Искър по дълбоко няма!!

от Вытоша по високо няма!!

от София по голямо няма!!

ე. ი. არაფერიას ისკაროზე ღრმა, ვიტოშაზე მაღალი და სოფიაზე მნიშვნელოვანი...

აქედან ერთ ველში გავედით, რომლის ბოლოს რილის მთის ძირას ქალაქ სამოკოვს დავექვით. სამოკოვი პატარა ქალაქია, ხე-ტყის წარმოებით. კვირა დღეა და ხალხი მრავლად გამოფენილა ქალაქის მოედანზე. საინტერესო ჩანს ქალების ეროვნული სამოსელი. აქვე მოედანზე საყურადღებოა ოსმალთა დროის ჩეშმა — მრავალთვალიანი წყარო. ჩვენს ყურადღებას იქცევს აგრეთვე თეატრი-სასახლე 1912-1918 წლებში დაღუპული მეომართა ემბლემით. ასეთ პატრიოტულ ძეგლებს ბულგარეთში სხვაგანაც ხშირად ვხვდებით.

სამოკოვიდან სულ წიწვიანი ტყით მივდიოდით. თოვლი აქ საკმაოდ ღრმაა. ხშირად გვხვდებიან მეთხილამურე ახალგაზრდები. ჩამკო-

რის მიდამოში აუშენებია მაღალი მთის ძირას, უღრან ტყეში, მეფე ფერდინანდს სანადირო სასახლე. ბულგარეთის ბურჟუაზიასაც აქ აგარაკები აუგია. დღეს ყველა ეს მუშათა დასახლებელი სახლებია.

მეფის სასახლე ორსართულიანი ხის შენობაა, ის ლამაზად და გემოვნებით არის მორთული. ყველაფერში ზომიერება ჩანს, ოღონდ უზომოდ მრავალია ნანადირევი მხეცებისა და ფრინველების ფიტულები. თითოეულ მათგანს ახლავს ეტიკეტი, სადაც ნაჩვენებია ნანადირევის სახეობა, მონადირის ვინაობა და ნადირობის ადგილი თარიღით. მონადირეები ჩანან მეფეები: ფერდინანდი, ბორისი, სტუმარი პრინცები, დედოფლებიც კი.

სასახლე მთელი თავისი ინვენტარით შეუძვრელად არის დაცული. დღეს მას იცავს კომენდანტი — სახალხო ფრონტის გმირი პარტიზანი.

21/III. დილიდან ხელნაწერზე ვმუშაობდით. ოთხ საათზე ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებას ვეწვიეთ. გულთბილად დაგვიხვდნენ საზოგადოების თავმჯდომარე კარლო ლუკიანოვი და გამგეობის წევრები სიმონ იგნატიევსკი და ისკრა პანოვა. საინტერესოა, რომ აქ უფრო შინაურადა ვგრძნობდი თავს. ამ ორგანიზაციის მთელი ბულგარეთი დაქსელილი აქვს. მილიონამდე წევრი ჰყავს. დიდ პოლიტიკური-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევიან. საბჭოთა ლიტერატურა, კინო, ფოტო, რადიო. მეტად გვესიამოვნა, რომ საბჭოთა მწერლებს შორის ოთხი ქართველი მწერლის ფოტოსურათი ვიპოვეთ ქართული ფაქსიმილეთი — დადიანის, ლეონიძის, ქიაჩელის, ჩიქოვანისა.

ჩვენი მეგობრები განსაკუთრებით ითხოვენ ცხოველ ურთიერთობას საქართველოსთან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან. მოგვემარებნით, თქვენი გამოცდილება მოგვაშველეთო. კარგა ხანს ვისაუბრეთ. ამ საზოგადოების წევრებიც გავხდით. გეთხოვენ ქართულ კინოსურათს, ლიტერატურას, ოპერას, ფოტოგამოფენას....

ექვს საათზე დაებრუნდით, სწრაფად ვისადილეთ და შვიდ საათზე ოპერაში ვიყავით.

თეატრის შენობა შედარებით პატარაა, მაგრამ კონტა, ხალხით სავსე იყო. „ვეგენი ონეგინს“ თამაშობდნენ. რუსულად მღეროდნენ. ჩვენი საუკეთესო მომღერლები ამერიკა-ევროპაში მიდიან ხოლმე და აღარ ბრუნდებიანო, იჩივლა პროფ. ნიკოლაევმა. საკუთარი ბულგარული ოპერებიც გვაქვს, თუმცა მდარეხარისხოვანია.

ხვალ გამომგზავრებას ვაპირებთ. აკაკი მოსკოვს გაფრინდება, მე და ოთარი რუმინეთზე წავალთ მატარებლით. ბესიკის საფლავი უნდა მოენახო.

ეხლა, როცა გონების თვალს ვავლებ ჩვენს აქ ყოფნას, ვიგონებ შეხვედრებს, საუბრებს, გადაკრულ სიტყვას თუ გულლია თქმას, ისე

მეჩვენება, რომ ბულგარეთის აწინდელი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, ფაშისტების ბატონობის პირობებში აღზრდილი და გერმანია-იტალიის ფაშისმის იდეებს ნაზიარები, ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა სავსებით ამ წყეული მემკვიდრეობისაგან. მუშები საბჭოთა კავშირის ერთგული რაზმია, გლახობა საერთოდ „რუსის“ მოყვარულია.

იდეური, თავდადებული კომუნისტები აქ არამცირეა, ფაშისტების წინააღმდეგ ნაცადი მებრძოლები. დამახასიათებელ დეტალს მოგვითხრობენ: გასული ომის დროს, ბულგარეთში ფაშისტების ბატონობისას, რევოლუციურ ჰიმნად ბულგარულ კომუნისტებს „სულიკო“ ჰქონიათ. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ამხანავი სტალინის საყვარელი სიმღერაა, ხოლო სტალინი იმ მძიმე ბრძოლაში ჩვენი გამარჯვების იმედი იყო, — გვეუბნება ისკრა პანოვა, — ამიტომაც „სულიკო“ რევოლუციის მოტივი იყო.

22/III. ჩვენი დღევანდელი გეგმა ჩაიშალა. დილით ბიბლიოთეკაში ხელნაწერზე ვმუშაობდით, რომ ამხ. რადევი მოვიდა და კოლმეურნეობის ნახვა შემოგვთავაზა. აკაკი საელჩოში წავიდა გამოსამშვიდობებლად: ის ხვალ მიფრინავს. ოთარი და მე კი კოლმეურნეობაში წავედით. ეს კოლმეურნეობა სოფიიდან 50 კილომეტრზეა.

მდინარე სტრუმის ხეობით ჩავუარეთ ქალაქ პერნიკს (ქვანახშირის საბადო ადგილია), გადავიარეთ მცირე სერი და ერთ პატარა ქალაქ რადომირს შევჩერდით. ჩვენმა გამყოლმა ქალმა აქ ჩვენთან მოიყვანა ვინმე დინევი — ამ ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე, რომელიც თან წაგყვავა კოლმეურნეობაში. დინევი კომუნისტია, ძველად სამხედრო პირი, რუსეთში ნასწავლი.

რადომირის ველი გავიარეთ და სოფელ ბელანიცაში მივედით. აქ არის კოლმეურნეობა.

ბელანიცაში 40 კომლი გლახი ცხოვრობს. დღეს ყველა ისინი კოლმეურნეობის ანუ, როგორც ისინი ამბობენ, კოოპერაციის წევრია. კოლმეურნეობის თავმჯდომარე რაიჩო იანევი ყოფილი მოჯამაგირეა. ის კოლმეურნეობის თავდადებული მებრძოლია და კარგი ხელმძღვანელიც. გასულ წელს რაიჩო იანევი საბჭოთა კავშირში ყოფილა მივილინებული კოლმეურნეობის საქმის გასაცნობად. მას სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობანი შეუსწავლია.

კოლმეურნეობის გამგეობის ბინაში შეგვიყვანეს. წევრებს თავი მოეყარათ და რალაცაზე ბჭობდნენ. რაიჩო იანევი ერთ პატარა ოთახში შეგვიძღვა და დინევის საშუალებით საჭირო ცნობები მოგვაწოდა (იანევი რუსული ლაპარაკი არ იცის).

ბელანიცას კოლმეურნეობას საკუთარი მიწა არ აქვს (ჯერჯერობით ასეა მთელს ბულგარეთში). ყოველი გლახი, რათა კოლმეურნეობის

წევრი გახდეს, მოვალეა სულ მცირე ოცი დეკარი საკუთარი მიწა თან შეიტანოს. მაგრამ ის ამის შემდეგაც არ ჰკარგავს უფლებას ამ მიწაზე და შრომადღებების ფასთან ერთად მას მიწის რენტაც ეძლევა კოლმეურნეობიდან (თითო დეკარზე 1 200 ლევი). თუ ვინმეს მიწა არ აქვს და კოლმეურნეობის წევრობა სურს, მან კოლმეურნეობაში უნდა შეიტანოს, სულ მცირე, ოცი დეკარის საფასური (ფულით, ოთხფუნჯა საქონლით, გუთნით). კოლმეურნეობის წევრი მოვალეა მამაკაცმა 280 შრომადღე გამოიმუშაოს, ხოლო ქალმა 100 შრომადღე. კოლმეურნე წევრს შრომადღეზე 300 ლევი მოუღის.

ამისდა კვალად კოლმეურნეობის შემოსავალი შემდეგნაირად ნაწილდება: 30% მიწის რენტას მიაქვს, 60% — შრომადღებების ანაზღაურებას, ხოლო 10% კოლმეურნეობის სალაროში რჩება.

ბელანიცას კოლმეურნეობას ჯიშინი მეწველი საქონელი შეუძენია და რაინო იანევს იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში თითოეულ კოლმეურნე წევრს თითო ჯიშინი ძროხა ეყოლება.

ასეთი ფრთხილი საკოლმეურნეო პოლიტიკა ბულგარეთის პირობებში გასაგებია, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საშუალო გლეხია (მიწაზე კერძო საკუთრების უფლება, რამოდენადმე შეზღუდული, შეუძრავად ბატონობს. გლეხს შეუძლია ჰქონდეს საკუთრად 200 დეკარი მიწა. 29 დეკარი მიწა არ იბეგრება, ამის ზევით კი ბეგარა პროგრესულად იზრდება. ქირა-კაცი სოფლად აკრძალულია, ასევე აკრძალულია მიწის სამოდოდ აღება).

„დღეს ჩვენში 2 000 კოოპერატივია, ნახევარი წლის წინ კი სულ 400 იყო. უახლოეს ხუთწლედში ბულგარეთი მთლიანი კოლმეურნეობის ქვეყანა უნდა იქნეს“ — გვეუბნება დინევი და უმატებს: „ჩვენს ამ პირველ კოოპერატივებს დიდი ამოცანა აქისრიათ: მათ უნდა დაუმტკიცონ ბულგარულ გლეხებს ამ ფორმის სამეურნეო უპირატესობა“...

ჩვენც მოუწყევით ჩვენს საკოლმეურნეო ცხოვრებაზე, გადალახულ სიძნელეებზე და საყოველთაო გამარჯვებაზე. მხნეობა ვუსურვეთ, გამარჯვება ვაიმედეთ და გამოვეთხოვეთ დინევს, იანევს და ბელანიცის სხვა კოლმეურნეებს.

23/III. დღეს სალამოს რუმინეთს მივდივართ. ოთარი ტექნიკურ საკითხებს აგვარებს. მე დილიდანვე ბიბლიოთეკაში წავედი; ხოლო შუადღისას პროფ. ნიკოლაევთან ერთად პროფ. რომანსკის ვეწვიე. ის მსცოვანი და სახელმძოხვეჭილი მეცნიერია. სახელმწიფო ტერმინოლოგიური კომისიის თავმჯდომარეა და რადიკალურად იბრძვის უცხოური ტერმინების ბულგარულით შეცვლისათვის. სპეციალობით პროფ. რომანსკი ეთნოგრაფია. მე სლავურ ზადრუგაზე ლაპარაკი ჩამოვეუგდე და ჭართული ეთნოგრაფიის მიღწევებიც გავაცანი. ვკითხე: ხომ ვერ მოა-

სერხებდა მონაწილეობის მიღებას ეთნოგრაფთა ყრილობაში, რომელიც განზრახულია თბილისში მოეწყოს მიმდინარე წლის შემოდგომაზე. დიდი ხალხით დამეთანხმა. ბულგარულ ზადრუგაზე მოხსენებას წაევიტხავ, თუკი ჩამოსვლა მომიხერხდება.

სალამოს 10 საათზე ქალაქის სადგურზე გამოვედით. აქვე გამოგვყვნენ პროფესორები დიმიტროვი, ნიკოლაევი და სხვა ნაცნობები.

გულთბილად და მადლობით დავშორდით ჩვენს მასპინძლებს.

მატარებელი დაიძრა. ხვალ 11 საათზე რუსეს (ძვ. რუმუჩუკ) ვიქნებით. ღუნაის გადავლახავთ და ბულგარეთსაც გამოვემშვიდობებით.

24/III. რუმინეთის სასაზღვრო ქალაქ გეორგიევოში მანქანა დაგვიხვდა, ამხ. ს. ქავთარაძეს გამოგვზავნა. ჩავსხედით და სულ რაღაც ორ საათში ბუქარეშტს მივედით. იმ დღესვე ელჩი ვინახულეთ. ბულგარეთში ჩვენი წარმატება გავაცანით, მუშაობის გეგმა დაეწყევთ. საელჩოს მდივნები კაჩალოვი და ნიკიტინი ზრუნავენ ჩვენზე და ჩვენს საქმეზე. 25 მარტს ათ საათზე აკადემიის სამკითხველოში ვიყავით. ამხ. კაჩალოვს შეუპირებია ის ბერი, ანთიმოზის პრობლემაზე რომ მუშაობს. სანდუ ტორდოს მრავლად ვადმოვლავებინა ანთიმოზის საკითხის გარშემო მასალა.

ბერმა უწინარეს ყოვლისა ქართული სტამბური სახარება გვაჩვენა. ის დაბეჭდილია თბილისში 1709 წელს და ბოლო ფურცელზე ვახტანგის სურათი ახლავს. ეს სახარება, როგორც თბილისში დაბრუნების შემდეგ დავრწმუნდით (უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენ სარუმინეთოდ მომზადებული არ ვიყავით), არის პირველი ნაბეჭდი წიგნი, ვახტანგის სტამბიდან გამოსული. ასეთივე სახარება საქართველოს მუზეუმშიაც მოიპოვება და აღწერილია საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამოცემაში („ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია“, ტომი პირველი, 1629-1920; ტფილისი — 1941). მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ ანთიმოზის ხელით საკმაოდ გრძელი მინაწერი აქვს. მინაწერს ხელს ურთავს თვით ანთიმოზი (შინაარსი ამ მინაწერისა ის არის, რომ ანთიმოზი ამ წიგნს ვალახიის მთავარს უძღვნის). ამ ფაქტიდან შემდეგი შეიძლება დავასკვნათ: თბილისის სტამბიდან გამოსული პირველი წიგნი ანთიმოზს გაუგზავნეს.

ბერმა ჩვენი ყურადღება მიაქცია ამ წიგნის მოკაზმულობას და ამავე დროს გვიჩვენა ორი წიგნი: ერთი ანთიმოზის ხელითაა ნაწერი და მის მიერვეა მოხატული (ლოცვანი?), მეორეა არაბულ ენაზე ნაბეჭდი სახარება. ორივე ამ წიგნის მოკაზმულობა ისეთივე ხასიათისაა, როგორც ქართული სახარებისა, ხოლო ზოგიერთი სამკაული არაბული სახარებისა სრულიად იგივეა, რაც ქართული სახარებისა. ასე რომ შეიძლება უეჭვოდ აღინიშნოს საერთო წარმომავლობა არაბულ-ქართული

სტამბური სახარების მოკაზმულობისა და ანთიმოზის ხელნაწერი წიგნის მოხატულობისა. და როცა ჩვენ ვიცით, რომ არაბული სტამბის შემომღები იგივე ანთიმოზი იყო, დასკვნა ქართული სტამბის მოწყობის საქმეში ანთიმოზის მონაწილეობის შესახებ ადვილმისაღები გვეჩვენება.

ბერს უსიამოვნება შევატყვევ, როცა ამ მასალიდან ფოტოსურათების გადმოსაღებად ადგილების აღნიშვნა დავიწყე. რა თქმა უნდა, ადვილად მივუხვდი ავტორს და შემდეგი წინადადებით მივმართე, ყველა ამ ჩვენების მიხედვით (ეს ჩვენებანი მას კარგად ესმის) დაწეროს სამეცნიერო სტატია, დაურთოს საჭირო საილუსტრაციო მასალა და დაამტკიცოს, რომ ვახტანგის სტამბიდან გამოსული პირველი წიგნი ანთიმოზის მიერ შექმნილი სამკაულებით არის მოკაზმული. ბერი ჩემმა წინადადებას ერთბაშად გამოცვალა, ზეზე წამოდგა, მაღლობის ნიშნად ხელი ჩამომართვა და ასეთი სამუშაოს შესრულებას მხურვალეებით შეგვპირდა. საელჩოს მდივან კაჩალოღთან ექნება მას საქმე ამ საკითხში. მე დავპირდი, რომ მას ამ სტატიას დავუბეჭდავთ.

ამავე დღეს სნეგოვიაში წავედით და ანთიმოზის სტამბის შენობის ნაშთები დავათვალიერეთ.

26 მარტს იასში სამგზავროდ ვემზადებით. ელჩმა სადილად დაგკვატიყა. ოთხიდან შვიდის ნახევრამდე მასთან გავატარეთ. ვთხოვეთ, რომ ხელი არ შეუშვას ანთიმოზის პრობლემებზე მომუშავე ბერს. შეგვპირდა; ჩვენზე ნაკლებად არც ისაა ამ საქმით დაინტერესებული. სადილის შემდეგ სამწუხარო ცნობა შეგვატყობინა. იასიდან კონსულის მიერ გამოგზავნილი მოხსენება წავვიკითხა. ელჩის დავალების თანახმად კონსულს ზომები მიუღია ბესიკის საფლავის აღმოსაჩენად და დაუდგენია (არქივისა და მუზეუმის დირექტორის და სხვა მცოდნეთა დახმარებით), რომ ბესიკის არც საფლავი მოიპოვება იასში, არც რაიმე ცნობა მის შესახებ. ის სასაფლაო კი, სადაც მოსალოდნელი იყო ასეთი რამ, დიდი ხანია გაუქმებულია და გადათხრილიო.

მაინც უნდა წავიდე და თვითონ დავრწმუნდე; ასეთი დარწმუნებაც ზომ მეცნიერული ცოდნაა.

27 მარტს დილის 9 საათზე იასს მივედით. ბუქარეშტიდან ელჩს დაურეკნია და იასელი კონსული სადგურზე დავვხვდა. თავისთან წავვიყვანა. იგივე მოგვითხრო, რაც ელჩმაც გვაცნობა, მაინც, ჩვენდა დასარწმუნებლად, არქივისა და მუზეუმის დირექტორს გამოუძახა. მალე მოვიდა ერთი შედარებით ახალგაზრდა კაცი. მოჰყვა: ის ოცდასამი წელია აქაურ მუზეუმს და არქივს განაგებს. აქაური სიძველეები კარგად იცის და გადაჭრითაც შეუძლია სთქვას, რომ ბესიკ „გაბახილის“ შესახებ არც წერილობითი მოწმობა და არც მატერიალური ნიშანი რამ იასში არ გადარჩენილა. მისი აზრით, ბესიკი, რადგან ის ახალგაზრდა

გარდაიცვალა, ქოლერას უნდა ემსხვერპლნა, რაიც 1790—1791 წელს დიდად მძინვარებდა იასში. ამ სენით დაღუპულთ კი ერთ სასაფლაოზე მარხავდნენ (გვიჩვენებს შორს მთაზე). იქ დღეს აღარაფერია. ლოდები დიდი ხანია საშენ მასალად დაიტაცეს, ზოგმა საფლავის ქვადაც მოიხმარა... რაც შეეხება იასის არქივს, ის მხოლოდ 1928 წლიდან მოიპოვება, ამის უადრესი ხანძრისაგან დაიღუპა. მე შევნიშნე, რომ სავალდებულო არაა ბესიკის გარდაცვალება ქოლერისაგან, ასე რომ შესაძლებელია მისი საფლავი სხვაგან იყო...

არც სხვაგან ჩანსო, მიპასუხა. დავლონდით. ჩვენმა მოსაუბრემ პოტიომკინზე ჩამოავდო საუბარი. გვაცნობა, რომ მისი საცხოვრებელი სახლი გადარჩენილია; არსებობს აგრეთვე პოტიომკინის მემორიალური დაფა გოლიას მონასტრის ეკლესიაში.

შევთანხმდით, რომ ყველა ძველ ეკლესიასა და სასაფლაოს ვნახავთ ქალაქში და მის გარშემო. წავედით. პოტიომკინის ნასადგომევიტ და მემორიალური დაფით დავიწყეთ. პოტიომკინის სახლში დღეს მედიცინის ინსტიტუტია მოთავსებული, ხოლო მის აუდიენც-ხალაში — ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიუმი. ტიპობრივი სახლია (ორსართულიანი) მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა (დამახასიათებელი ფანჯრებით, სვეტებით). სახლის წინ აუზი ყოფილა. ოთარმა ყველაფერი გადაიღო. აქედან დიდი ფართობი სწორი ოთხკუთხედი გალავნით არის შენოზღუდული. ეს გალავანი აგებულია მთავარ დუკას მიერ 1674 წელს. გალავანს ოთხივე კუთხეში ბურჯი ახლავს. კედელი და ბურჯები სათოფურებითაა მოკაზმული. შესასვლელი ჭიშკარი ყველაზე მაღალი ბურჯია (135 საფეხური). ესევე ბურჯი სამრეკლოც არის დღეს. ეზოში ძველი ეკლესია არის და რამდენიმე სხვა შენობაც. აქვეა ერთი მცირე სამლოცველო. ის ეკლესიაზე უფრო ძველი უნდა იყოს. გოლია, როგორც ჩანს, მთავარი გამაგრებული ადგილი იყო. პეტრე პირველი ამ გალავანში იდგა თავისი ჯარითო, გვითხრა მუზეუმის დირექტორმა.

ეკლესიაში წირვა იდგა (კვირა). კედლის მხატვრობა დაუზიანებლად არის გადარჩენილი. აქვეა კტიტორები: იონ გოლია (1564 წ.), ვასილ ლუპუ (1660 წელი) — რესტავრატორი... ვუცქერი და ვფიქრობ: რა სანახაობა იქნებოდა, რომ ჩვენი საეკლესიო მხატვრობა ასე გადარჩენილიყო, ან ჩვენი არქიტექტურული ძეგლები... ვუცქერი და ბუნებრივად თვალწინ წარმომიდგება ჩვენი გვიანდელი დაღუპული ხანის ცხვირპირჩამტვრეული სამშობლო უკუნ ველურეთში...

აქვეა ეკლესიაში, მარჯვენა კედელზე ქვის (მარმარილოს) მემორიალური დაფა, სადაც მოთხრობილია გრიგოლ პოტიომკინის გარდაცვალება, — გარდაიცვალა 5 ოქტომბერს 1791 წელს, — და ჩამოთვლილია უთვალავი ტიტული, ამ დიდ მოხელეს რომ ამკობდა.

ეკლესიიდან გამოვედით. არქივის დირექტორმა მუზეუმის დათვალიერება შემოგვთავაზა. ეს მუზეუმი აქვეა ძველ „სამწირველოში“ (ეკვდერში). კონსული და მუზეუმის დირექტორი წინ წავიდნენ. მე საფლავის ქვები შევამჩნიე და უნებურად იქით წავედი.

მუზეუმის შენობის გვერდით კედლებთან რამდენიმე ლოღია. მეც მათ მივადექი. ერთი ლოღი ცალკეა, გვერდზე აუყულებიათ. წარწერიანი პირიც გარეთ აქვს. ვხედავ: ქართული წარწერა. წავიკითხე. თითქო ძვირფასი რამ დანაჯარგი ვიპოვე, თითქო უცბათ ვიღაც ქართულად გამომელაპარაკა! რამდენი ხანია „შენდობისა მთხოველი“ ბესიკი ამ უცხოეთში ელის შენდობას (და მოვლა-ყურადღებას) თვისტომისაგან!

ოთარს ვუყვირე, ვიპოვე მეთქი. არქივ-მუზეუმის დირექტორიც მოვიდა, კონსულიც. დირექტორი დარცხვნილი თავს იმართლებს: რა მექნა, წაკითხვა არ ვიცოდით.

მაგრამ ეს ლოღი, ისე როგორც სხვებიც, აქ უადგილოდაა. მუზეუმის დირექტორმა ერთი პროფესორი დაასახელა, კონსტატიესკუ მიხაი. რომელმაც ყველაფერი იცის ამ ლოდებისაო. კონსულმა მანქანა გაუგზავნა და პროფესორი მოაყვანილა. ვიორგი უნგურიანომ (მუზეუმის დირექტორმა) პროფესორს საქმის ვითარება შეატყობინა. კონსტატიესკუმ მოგვითხრო, რომ მან ეს ლოდები 1922 წელს დალუპვას გადაარჩინა. მან ისინი ქალაქის სალახზე (Бойня) იპოვა და აქ მოიტანა. იმ ხანაში მრავალი ასეთი ქვა განადგურდა: საშენ მასალად ან საფლავისავე ქვებად ჰყიდდნენ. პოტიომკინის ლოღი, ორი ამოდენაც იქნებოდა, იმავე დროს დაიღუპა. ის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე იყო. ესენი რომელი სასაფლაოდანაა, არ იცის... გვეწყინა. თითქო ვიპოვე ბესიკი და ისევ მიიჩრდილა. ქვა გავზომე (161, 71, 30). კარგი ხელობისაა, ის გვერდების მხრითაც გათლილია და ფიგუროვანი. ალბათ ამ ლოდს ქვეშააგები ქვა ჰქონდა. ლოდს თავში ორი საზეთე (საკანდლე) აქვს ამოთლილი. ამას მოსდევს ვენზელში გერბი რაღაც გვირგვინით. ქვემოთ ერთიმეორეზე გადაჭდობილი შიშველი მკლავები შიშველივე ხმლებით ხელში. აქვე ამ სურათის მარჯვნივ და მარცხნივ ორი ასო — ქართული ასომთავრული ლამაზად ამოკვეთილი — ბ. გ. (ე. ი. ბესარიონ გაბაშვილი).

შემდეგ, ხაზს ქვემოთ, ბერძნული წარწერა. და მცირე ინტერვალის შემდეგ მიჰყვება ქართული მხედრული:

საფლავსა ამას შინა მდებარე არს

თავადი ბესარიონ ზაქარიას ძე იობიან

გაბაშვილი რომელიცა წარმოგზავნილი იყო იმერეთისა მეფისა დავითისაგან დესპანად რუსეთისა დიდებულისა.

საიმპერატოროსა კარისადმი და მიიცვალა აქა იასს

წლისა მ წელსა ჩღვა: — იანვარს კდ: —

მხილველთაგან შენდობისა მთხოველი:

ქვა ავაყენებინე და ოთარმა ასეც გადაიღო. იმედია, ბერძნული წარწერის ამოკითხვაც შესაძლებელი იქნება.

თითქო ჩვენი ძიება დასრულდა... ერთი რამ შეიძლება: აქაური ძველი კაცები უნდა დაიძებნოს, ამ ქვების შესახებ იქნება ვინმემ იცოდეს, თუ რომელი სასაფლაოდანაა ისინი. ასე რომ ვბჭობთ, მუზეუმის დირექტორს რაღაც გაახსენდა და წავიდა, — მოვალო, დაგვიპირდა. კონსულმა შინ ჩაიზე მიგვიპატიუა.

კარგა დრო გასულა. როგორც გავს, ჩვენ დღესვე წავალთ. ჩვენს განკარგულებაში ორი საათიღაა.

დირექტორი მალე დაბრუნდა მხიარული სახით: ვიპოვეო, გვახარა. ორი წიგნი მოიტანა: 1. ადგილობრივი მუზეუმის ბიულეტენი № 5, 1925 წლისა და 2. პროფესორ იორგას შრომა: იასის ძველი საფლავის ქვების აღწერილობა 1907 წლისა. ამ შრომების შინაარსიდან გამოირკვა: რუმინეთის ისტორიკოსთათვის ცნობილი ყოფილა, რომ იასში მოიპოვება საფლავის ლოდი ქართული წარწერით (ლოდი № 6), არ მოყავთ ოლონდ წარწერის შინაარსი. ამავე ნაშრომებიდან ირკვევა (ასეთი დასკვნა გამოვიტანე არქ. დირექტორის თარგმნიდან): ეს ლოდი სხვა ასეთსავე ლოდებთან ერთად წმ. პარასკევას (Snt Vineri) ეკლესიის გალავანში იყო. ის ეკლესია დიდი ხანია რაც გაუქმდა. მის ადგილას დღეს ქალაქის ერთ-ერთი საბაზრო მოედანია. თვით ეკლესიის საკურთხევლის ადგილას კი 1895 წელს იასის პრიმარს აუგია ძველი ჯვრით. ეკლესიის ეზოში რომ ლოდები იყო, ქალაქის ახალ სასაფლაოზე გადაუტანიათ. აქ ისინი, ბუნებრივია, უფუნქციონი და უპატრონონი, დაუტაცნიათ, საფლავის ქვებად გადაუთლიათ, საშენ მასალად წაუღიათ და სხვა. სულ ერთიანად გამჭრალა ლოდები, მხოლოდ ექვსიოდე გადარჩენილა და ისიც სრულიად შემთხვევით: 1922 წელს, როგორც აღვნიშნე, პროფესორ მიხაი კონსტატიესკუს ისინი სალახიდან წამოუღია და გოლიას ეკლესიის გალავანში დაუცავს, სადაც დღესაც იმყოფება.

ბესიკის საფლავის ლოდის მთელი ამ თავგადასავლის კრიტიკულად შესწავლის დრო ჩვენ აღარ გვქონდა. ვთხოვეთ კონსულს და წმ. პარასკევას ნაეკლესიარზე წავედით. სურათი გადავიღეთ. არც თუ დიდი მოედანია. აქ, ამ ბაზრის მიდამოში, სადღაც განისვენებს (შეიძლება შეუძვრელადაც) მოუსვენარი ბესიკი „შენდობისა მთხოველი“.

რაკი სასაფლაო აღმოჩნდა, ბესიკის საფლავის დადგენა დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს. იასელ ძველ კაცებს, დაახლოებით მაინც, ეცოდინებათ, თუ სად იღო ეს ქვა. ეს სასაფლაო 1890-1895 წლებშია

გაუქმებულ-აყრილი, ასე რომ მოქმედი სასაფლაოს მახსოვარი ჯერ კიდევ ბევრი იქნება იასში.

ეხლა უკვე ჩვენი მუშაობისა შედარებით კმაყოფილი ვართ.

წამოსვლის დროც მოვიდა, კონსულს ვთხოვე ბუქარესტში ელჩისათვის ეცნობებინა ჩვენი ეს წარმატება. ადგილობრივ გაზეთში გამოსაცხადებლად ცნობა მივაწოდე არქივის დირექტორს.

3 საათსა და 15 წუთზე იასიდან სამშობლო საზღვრისაკენ წამოვე-
ღით.

მოვდივართ და თან მოგვაქვს სამი ქართველის ამბავი.

გრიგოლ ბაკურიანის ძე, ქართველი პატრიოტი, დინჯი ტაოელი, ამაყი დიდკაცი. გრიგოლის სახით XI საუკუნის საქართველო მოჩანს, საქართველო აღმავალი, ძლიერი და ქედმაღალი.

მეორე ქართველი — მაღალნიჭიერი და დაუღეგარი ანთიმოზი, სამშობლო ქვეყნის ბედუკუღმართობით გადაკარგული, მაგრამ მაინც არდაკარგული, თუმცა უცხო ქვეყნის (ვლახეთის) მოღვაწე და მისივე პატრიოტი.

არც მესამე ქართველი იყო დღემზიანი. კარიდან კარზე წოწიალში ამოირწყო თავისი ხანმოკლე და ვნებიანი სიცოცხლე სულ სხვა ბედისათვის შობილმა ბესიკმა და სხვის კარად სული ამოხდა უცხოეთში.

საქართველო ადგა, მხრები გაისწორა და ისტორიის ქარტეხილებით მიმობნეული თავისი ღვაწლმოსილი შვილები სამშობლო პანთეონში მოიკითხა.

გურიის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის¹

დღეს ჩვენში ისტორია არის მეცნიერება საზოგადოების განვითარების შესახებ, ამ განვითარების კანონზომიერების დამდგენ-გამომკვლევო.

ისტორია ჩველებრივი გაგებით, ე. ი. თავგადასავალი ყველაფერს აქვს, მაგრამ საკუთარი თავგადასავალი მხოლოდ საზოგადოებას ახსოვს. თავისი წარსული ცხოვრების ცოდნის მოთხოვნილება მხოლოდ კულტურული საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია. უ ისტორიო საზოგადოება კულტურულ ბას ვერ დაიწეებს.

საზოგადოება მისი წარმოქმნის დღიდანვე მეხსიერებაში ინახავს საკუთარი ცხოვრების ღირსსახსოვარ მოვლენებს, თავისებურად ალაგებს მათ, ქმნის თავისი დროის შესაფერის ისტორიულ ცოდნას და საყოველღეო ცხოვრებაში ამ ცოდნის მოხმარებას ცდილობს.

რაც უფრო კულტურულია ესა თუ ის საზოგადოება, მით უფრო მდიდარია და დახვეწილი (მწყობრი) მისი ისტორიული ცოდნა. ამა თუ იმ საზოგადოების ისტორიის შესწავლილობის ხარისხი თვით ამ საზოგადოების შესაბამისია.

მარქსმა და მარქსიზმის კლასიკოსებმა კაცობრიობის ისტორიის ზედმიწევნით შესწავლის საფუძველზე აღმოაჩინეს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი და ამით საზოგადოების ისტორია უმაღლეს მეცნიერებად აქციეს: მეცნიერული სოციალიზმი აღმოაჩინეს, სოციალიზმის გარდაუვალობა დაასაფუძვლეს.

უხსოვარ დროს, როგორც იტყვიან, თანამედროვე ადამიანის წინაპარი — ცხოველი განვითარების იმ სიმაღლეს აღწევს, რომ ის საზოგადოებად ყალიბდება, ე. ი. ჩნდება ადამიანი, იქმნება პირველყოფილი საზოგადოება.

მრავალი ათასი წლის მანძილზე ეს საზოგადოება ვითარდება, იზრდება, რთულდება, წარმოიქმნება საზოგადოების ნაირსახეობანი; შემ-

¹ პირველად დაბეჭდა ვახუთ „ლენინის დროშაში“ (მახარაძე), 1963, № 127.

დგომი განვითარებით ეს საზოგადოებანი სხვა ახალსახეობაში გადადი-
ან. ახალი ხარისხიანი ხდებიან.

საქართველო ერთი ასეთ საზოგადოებათაგანია, საზოგადოების
განვითარების გარკვეული საფეხურის წარმონაქმნია, საზოგადოების
განვითარების გარკვეული ხარისხია, გარკვეული ორგანიზაცია. იყო
დრო, როცა საქართველო არ არსებობდა (ისევე როგორც არ არსებობ-
და, ვთქვათ, თურქეთი, სპარსეთი, რუსეთი, ინგლისი, გერმანია და სხვა
ძველი და ახალი ერები). და იქნება დრო, როცა აწინდელი ეს საზოგა-
დოებანი (ერები, ხალხები) არ იქნებიან და მათ ადგილს სხვა ახალი სა-
ზოგადოებრივი ორგანიზაცია დაიკავებს. ეს, შორეული მერმისის საქმე,
საზოგადოების განვითარების კანონზომიერების გამოვლინებაა, ის გარ-
დაუვალია.

ამრიგად, საქართველო გარკვეულ დროში წარმოქმნილი, საზოგა-
დოებრივი ორგანიზაციაა, ეკონომიურ-პოლიტიკურ-კულტურული
მთლიანობაა საერთო ტერიტორიულსა და საერთო წარმომავლობის
ანუ ეთნიკურ საფუძველზე წარმოქმნილი.

მაგრამ იყო დრო, როცა ასეთი გაერთიანება არ არსებობდა და ეს
ერთეულები, რომელთაგან დროთა განმავლობაში საქართველო წარმო-
დგა, ურთიერთისაგან დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციე-
ბად ცხოვრობდნენ. საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთ ფორმას შეეფე-
რებოდა იმ დროის საწარმოო ძალების განვითარება და მომავალი პო-
ტენციური საქართველო ცხოვრობდა იმ მცირე ერთეულებად, რომელ-
თაგან ზოგი, გადმონაშთის სახით, დღემდე არსებობს, ზოგი კი ჩამქრა-
ლა უკვე და მათი ოდინდელი არსებობის მხოლოდ ცნობანი შემოგვნა-
ხვია (ქანეთი, სანიგეთი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, მესხეთი, ჭავჭავთი
თრიალეთი, გუჯარეთი, ალგეთი, სომხეთი, გურია, ეგრისი, არგვეთი,
აფშილეთი, ჩაჩი, აფხაზი, თაკვერი, სვანეთი, ქართი, კახი, ფხოვი, წანა-
რი, თუში, ჰერი, სოკი და სხვა).

დროთა განმავლობაში საზოგადოებრივმა განვითარებამ იმ დონეს
მიიღწია, რომ საჭირო და შესაძლებელი გახდა ამ მცირე ერთეულების
უფრო მსხვილ ორგანიზაციებად გაერთიანება. და ბოლოს, სხვაზე უფრო
განვითარებული ერთეულის (ქართის) ჰეგემონობით ჩამოყალიბდა უფ-
რო მაღალი ტიპის გაერთიანება, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ახალი
ხარისხი, ერთიანი ფეოდალური საქართველო, რომელმაც ყოველ
მხრივ დიდ წარმატებას მიიღწია სამეურნეო-ეკონომიურსა თუ კულ-
ტურის დარგში.

დაისახა ახალი ტენდენციები, ახალი გზები შემდგომი, კიდევ უფრო
მაღალი, გაერთიანებისა, ფეოდალური საქართველო ბურჟუაზიული გან-
ვითარების ზღურბლზე შედგა.

მაგრამ აქ თავი იჩინეს მსოფლიო მნიშვნელობის ისეთმა მოვლენებმა, რომელთაც კულტურული აღმოსავლეთი ბარბაროსების მორევში ჩაძირეს. ექვსას წელიწადს ებრძოდა საქართველო აზიურ ბარბაროსობას. მას იგი არ შეურიგდა, თუმცა მძიმედ დაზიანდა: დიდი ხნით შეფერხდა მისი წინსვლა, ოდესღაც მოწინავე ქვეყანა ჩამორჩენილთა რიგში აღმოჩნდა. მაგრამ შეუპოვარი ბრძოლა ბოლოს მაინც გამარჯვებით დამთავრდა: საქართველომ ბარბაროსული გარემოცვის რკალი გაარღვია და კვლავ მოწინავე კულტურული მსოფლიოს წრეში დაიღობინა.

კულტურულ ხალხებთან ასი წლის სახელოვანი თანამშრომლობით საქართველო გაუთანასწორდა მოძმე ხალხებს და უკეთესი მერმისისათვის მებრძოლ მოწინავეთა რიგებში ჩადგა. დღეს ის ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი ორგანიზაციის — საბჭოთა კავშირის ღირსეული წევრია და თავის მოძმე — მოკავშირე ერებთან ერთად წარმატებით აშენებს უმაღლეს საზოგადოებრივ ორგანიზაციას — კომუნისტურ საზოგადოებას.

სოციალიზმი ჩვენ საფოსტო ამანათით არ მიგვიღია და არც სამოწყალოდ უბოძებია ის ჩვენთვის ვისმე. ჩვენ ის გმირული ბრძოლით მოვიპოვეთ. მთელი ჩვენი ისტორია პროგრესისა და კულტურისათვის განუწყვეტელი ბრძოლაა. რომელიმე დიდგორის ომი დავით აღმაშენებლისა თურქული ბარბაროსობის წინააღმდეგ და სახელოვანი ნასაკირალი ცარისტული რეაქციის წინააღმდეგ ამ ეპიკური ბრძოლის ცალკეული დიდი მომენტებია...

და ჩვენი ვალია ვიცოდეთ, მეცნიერულად შევისწავლოთ ჩვენი საზოგადოებრივი წარსული, შევისწავლოთ და მეცნიერულად შევაფასოთ ჩვენს მიერ გამოვლილი შრომისა და ბრძოლის გზა, გზა ჩვენი წინსვლა-წარმატების თუ შეფერხება-მარცხისა.

საქართველოში ისტორიული მეცნიერება დიდი ხნის წინ დაიწყო და თავისი დროის შესაფერის მაღალ განვითარებასაც მიაღწია. ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს ისტორია, რომელიც მათ სულიერ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა (და ეს ასეა ყოველთვის: ამა თუ იმ საზოგადოებას თავისი კულტურის შესაფერისი ისტორია გააჩნია). მაგრამ ჩვენი წარსულის ის ცოდნა, რომელიც ჩვენ წინაპრებს აკმაყოფილებდა, დღეს ჩვენთვის საკმაო არ არის (ჩვენი იმ ძველი ისტორიის ნაკლი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეამჩნიეს ბურჟუაზიული ხანის საქართველოს მოღვაწეებმა და ისტორიის ახლებურად გამართვისათვის ზრუნვას შეუდგნენ). დღეს მარქსისტული ისტორია მოწოდებულია ჩვენში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ხელისშემწყობად, ახალი ადამიანის აღზრდის სამსახურად. ასეთი რამ კი მას ღირსეულად მხოლოდ მაშინ შეე-

ძლება, როცა აქამდე მოპოვებული მთელი საისტორიო მასალა ახლებურად გაშუქდება და აქამდე უცნობი მასალა მრავლად გამოვლინდება — წერილობითი, ზეპირსიტყვიერი, მატერიალური, წესჩვეულებითი.

ჩვენი წარსულის შესახებ საისტორიო მასალა თანაბარი სიუხვით არ შემოგვნახვია. ნაგვიანევი ხანიდან მასალა მეტი მოგვეპოვება, უფრო აღრეული ხანიდან კი. მცირე, ზოგჯერ მეტისმეტად მცირე. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარე ყველა თანაბარი ინტენსივობით არ ვითარდებოდა, ხან დასავლეთი წინ უსწრებდა აღმოსავლეთს, ხან კი აღმოსავლეთი მოწინაეობდა და წარსულის შესახებ თვალსაჩინო მასალა წერილობითი თუ მატერიალური, ამისდაკვალად გადაგვრჩენია. საშუალ საუკუნეებში, კერძოდ. აღმოსავლეთ საქართველო წინ უსწრებდა დასავლეთს. ამიტომაც არის, რომ ამ დროის საისტორიო მასალაც აღმოსავლეთ საქართველოდან შედარებით უხვად გვაქვს, დასავლეთ საქართველოდან კი მცირედ. გურიაში, კერძოდ, მასალის ეს სიმცირე განსაკუთრებით თვალსაჩინოა...

და აი, როგორც ხედავთ. ისტორიკოსებმა, თუმცა დაგვიანებით, წამოვიწყეთ გურიის ისტორიული შესწავლა (ასეთ მუშაობას ჩვენ საქართველოს ყველა მხარეში ვგეგმავთ და ზოგან ვატარებთ კიდევაც).

გურია ისტორიკოსთა მხრით მთლად უყურადღებოდ არც წინათ ყოფილა დატოვებული. საკმაოა მოვიგონოთ მაღალნიჭიერი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც წარსული საუკუნის 70-იან წლებში მოიხილა ეს მხარე და მისი ისტორიის პირველი მეცნიერული ხნული გააგლო. გაკვირვებულნი ვართ გურიის სიძველეებს და მისი ისტორიის სხვა საკითხებს აკადემიკოსები ნიკო მარი და ექვთიმე თაყაიშვილი, პროფესორები ი. მეგრელიძე, ს. ქლენტი. დღეს გურიის წარსულს არა ერთი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი იკვლევს, — ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორის სპეციალისტი. კვლევის ახალი მეთოდებით აღჭურვილები, ისინი, უეჭველია, ახალ შუქს შეიტანენ გურიის ისტორიის შესწავლაში. მაგრამ ამ საქმეში მეტი წარმატებისათვის, როგორც აღვნიშნეთ საჭიროა არა მარტო მოპოვებული მასალის ახლებურად გამართვა, არამედ აუცილებელია ახალი მასალის მოპოვება. ასეთი მასალა კი არა მცირედი მოინახება საქართველოს და სხვა სიძველეთსაცავეებში, გურიის მკვიდრთა ოჯახებში, გურულთა მეხსიერებაში, მათ მეტყველებაში, გურიის მიწის წიაღში (უბეში) და სხვა რიგის მონაცემებში. საჭიროა ოღონდ მათი აღმოჩენა-მოპოვება, ამეტყველება და ჩვენ, დარწმუნებული ვართ, აღვადგენთ ნამდვილ მეცნიერულ სურათს ამ მხარის წარმოქმნისას, მისი განვითარების გზებისას, მისი ზრდისა თუ შეფერხებისას; მისი ახლად ფრთაგაშლისას, მისი აწინდელი ვითარებისას; წარმოვაჩინოთ, თუ როგორი თანდათანობით, როგორი შრომით და

ბრძოლით გამოიარა ამ კუთხეში, საქართველოს სხვა კუთხეების გვერდით, კულტურის ძნელად სავალი გზა და სახელოვნად მოატანა დღევანდელ დღემდის, როცა ის მოწინავე მშენებელთა რიგში მდგომი კომუნიზმის ნაღურში გამოყვიანობს.

ამ მასალის მოპოვება კი ადვილი საქმე როდია, ამისათვის საჭიროა მკაცრი მეთოდოლოგიური შესაფერისი მეცნიერულ-ტექნიკური შეიარაღება. გულდასმით ხანგრძლივი სისტემიანი მუშაობა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ დღეს მეცნიერულ ისტორიას კუთხისას, მხარისა თუ მთელი ქვეყნისას მეცნიერი მუშაკები ხალხის დაუხმარებლად შეიმუშაებენ. ფართო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის გარეშე ასეთი ისტორია არ შეიქმნება. სამხარეთმცოდნეო მუზეუმები, სოფლის ინტელიგენცია, კოლმეურნეობათა მოწინავე მუშაკები, — ყველანი მოწოდებულნი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ მხარის ისტორიული წარსულის შესახებ მასალის შეგროვება-გამოვლინება-დაცვაში. ამ საქმეს ემსახურება, კერძოდ, საქართველოს სიძველეთა დაცვის რესპუბლიკური საზოგადოება. ამავე საქმეს გულისხმობს აგრეთვე საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება. ყველაფერი ეს, როგორც ვხედავთ, გულისხმობს ხალხში ისტორიის პატივისცემის ფართო საქმიანი პროპაგანდის გაძლიერებას, გულისხმობს სახალხო მოწოდებას ისტორიის მასალების დაცვა-გადარჩენაში მონაწილეობის მისაღებად. და ეს განსაკუთრებით საჭიროა ჩვენს, საბჭოთა პირობებში, როცა ერთის მხრით, მარქსისტული საისტორიო მეცნიერება გარდასული ცხოვრების ისეთ ნაკვალევსაც კი გამოეკიდა, რასაც ძველი ხანის ისტორიკოსები ყურადღების ღირსადაც არ სთვლიდნენ და, მეორეს მხრით, როცა გარდასული საზოგადოების ყოველ ნაკვალევს არასოდეს ინტენსიური განადგურების ისეთი რეალური საფრთხე არ დასდგომია, როგორც დღეს, ქვეყნის არნახული სამეურნეო აყვავების ხანაში. ურეკის ნამოსახლელი დიუნები უძრავად იწვნენ საუკუნეთა სიგრძეზე და მშვიდად ინახავდნენ თავის წიაღში გურულების უძველესი წინაპრების კულტურულ ნაკვალევს და სოციალისტური მეურნეობა გახდა მიზეზი ამ სიძველეთა აშლა-აფორიაქებისა; საუკუნოებრივ ნანგრევებად იყო გაშლილი დროისა და ქვეყნის მიერ მივიწყებული სახელოვანი ვაშნარის ნაქალაქევი და იშვიათად ვინმე ისტორიკოსის რომანტიკულ ფანტაზიას თუ აღვიძებდა. შემოვიდა უწყინარი ჩაის ბუჩქი და უღმობელი სისასტიკით გაანადგურა მშვიდად მთვლემარე ნანგრევი. ანასეულის მეტეოსადგურმა ნეოლითური ადამიანის ნაბინევი მოშალა, ხოლო გორაბერეკოულის სასოფლო-სამეურნეო

ტექნიკუმმა, გურიის ერისთავთა ნასახლევს უფრო ძველი, ანტიკური ხანის, ნავსადგომევიც მიაყოლა.

მე მხოლოდ ორიოდე მაგალითი მოვიტანე, შეიძლებოდა ასეთი ფაქტების ათეულობით დასახელება. მცხეთა-სამთავროს, თრიალეთის, რუსთავის, წოფის, სოხუმის, ბათუმის, თიანეთის, სიონის, შირაქში ქედის და მრავალი სხვა პუნქტი სულველა ასეთი საფრთხის შექმნასთან დაკავშირებული არქეოლოგიური ობიექტებია... და რამდენი იღუპება ისე, რომ მათ შესახებ ცნობაც კი ჩვენამდე არ აღწევს?...

მოკლედ რომ ვთქვათ: ჩვენი ქვეყნის ყოველ მხარეში გამაღებელი მშენებლობაა. სოციალიზმმა შეარყია ძველი მიწის წიაღის საუკუნეობრივი სიმშვიდე და იქ გადასული საზოგადოების კულტურული ცხოვრების დღემდე შემონახულ ნაკვალევს განადგურების საფრთხე დაუდგა. საბჭოთა მთავრობამ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას, დიდი მნიშვნელობისად აღიარა იგი და 1949 წელს გამოსცა შესაფერისი კანონი, რომელიც ითვალისწინებს ასეთი მოვლენის წინააღმდეგ ქმედით ღონისძიებას. და ჩვენ, საბჭოთა ისტორიკოსები, წარმატებით ვიყენებთ მთავრობის ამ დადგენილებას. მაგრამ ვიმეორებ, ვერავითარი კანონი თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ისტორიული ძეგლების განადგურებისაგან გადარჩენის საქმეს, თუ ხალხის ფართო მასები გულმხურვალედ არ მოეკიდებიან ამ საქმეს და მასზე ზრუნვას თავის საპატიო მოვალეობად არ გაიხდიან.

გურიის ისტორიული შესწავლა ჩვენმა ექსპედიციამ გურიანთით დაიწყო. ამის საბუთი იყო ზოგადი ისტორულ-გეოგრაფიული მეცნიერული მოსაზრება, რომელიც ჩვენ შეგვიმუშავდა ამა თუ იმ ქვეყნის წარმოქმნის საკითხში. გვეგულებოდა: კერძოდ, რომ ეს კუთხე შეიძლება ყოფილიყო გურიის ქვეყნის წარმოქმნის დედა-აკვანი. აქეთ გვეწეოდა ზღვა ურეკ-დიუნებით, შეკვეთილით, აქეთვე გვეწეოდა ვაშნარის ნაქალაქარი და ორი მდინარის სუფსა-ნატანების ხეობათა შუაში მდგომი „ციხე“, აქეთვე გვეწეოდა ნაკაშიძეთა ძველი გვარის საბუღარი (გვიანი სათავადო ქვეყანა) და: ბოლოს, მოსაზრებათა ამ კომპლექსს მხარს უჭერდა ეკვის აღმძვრელი სახელი ამ ქვეყნისა — გურიანთა (გურიანთა).

ჩვენი წამოწყება ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა (კონკრეტულად ამის შესახებ სხვა ჩემი კოლეგები იტყვიან). მართალია, ჯერ მხოლოდ ამოცანის გადაწყვეტის დასაწყისში ვართ, მაგრამ რაც დღემდე მოვიხილეთ, ყველაფერი კარგად უდგება და ასაფუძვლებს იმ ჩვენს სამუშაო ჰიპოთეზს.

გადაჭრილი მტკიცება მეცნიერებაში ისეთ საკმაო საფუძველს უნდა ემყარებოდეს, რაშიაც აუცილებლად იგულისხმება საწინააღმდეგო

მოსაზრების უსაფუძვლობა. ასეთი დასკვნებისათვის კი საჭირო იქნებოდა არა მარტო ამ კუთხის მთელი მასალის მოპოვება და ამოწურვით გათვალისწინება, არამედ ასევე საჭირო და აუცილებელი იქნებოდა შეზობელი მხარეების (შემოქმედის, ქობულეთის, ბერეჟოულისა და სხვათა) მოხილვა და მთელი ამ მასალის შედარებითი შესწავლა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეთი სამუშაოს გაწვევის შედეგად მეცნიერულად დაუადგენთ, როგორც ამ გაერთიანებული ქვეყნის (გურიის) წარმოქმნის სურათს, ისე გამაერთიანებელი „შუა გურიის“ როლს და თვით ამ გაერთიანების შედარებით ქრონოლოგიას...

როგორც მოგახსენეთ, ჯერ საქმის მხოლოდ დასაწყისში ვართ.

პატივცემული აუდიტორია მინდა გავაფრთხილო: მოპოვებული მასალა ჯერ მეცნიერულად დაუმუშავებელია, ასე რომ ჩვენი დასკვნები წინასწარული და რამდენაღმე პირობითი შეიძლება იყვნენ მხოლოდ.

რა მოვიპოვეთ? უეჭველად დავიდასტურეთ, რომ ქვეყანა გურიანთა უძველეს დროსვე ათვისებული ყოფილა ადამიანის მიერ. ძველი ქვის ხანის ჩვენებანი ჯერჯერობით საკმაო რაოდენობისა არ გავაჩნია. მაგრამ ახალი ქვის ხანის ნასადგომევი უეჭველად ვიპოვეთ. რაც კიდევ უფრო ამტკიცებს უკვე აქამდისაც მოპოვებულ მეცნიერულ ცოდნას იმის შესახებ, რომ ნეოლითის ხანის ადამიანი ფართოდ სახლობდა გურიის მიწაზე (სოფელი ქობულეთი, ხუცუბანი, ანასეული, მამათი, ნაგომარი, ციხისფერდი).

კიდევ უფრო ძლიერად წარმოდგენილი აღმოჩნდა „გურიანთის“ ტერიტორიაზე შემდგომი (ლითონის) ხანა. ამ ეპოქის ნასადგომევი დიდი რაოდენობით მოიპოვება ურეკში და გურიანთის ბორცვებზე (ციხეზე და ციხის ფერდში, კონჯკათში, ხვარბეთში, გოგორეთში, ნატანებში, შრომაში და სხვა), რაც უეჭველი მოწმობაა ამ ქვეყნის ინტენსიური დასახლებისა ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ა და რ კ ი ნ ი ს ხ ა ნ ა შ ი.

განსაკუთრებით საყურადღებოა რკინის გამოსადნობი ქურების აღმოჩენა. ასეთი ქურები სხვაგანაც მრავლად მოიპოვება დღევანდელ ქობულეთსა და გურიაში (ი. გრძელიშვილის აღმოჩენა) და უეჭველობით მოწმობს იმ ძველი მოსახლეობის ტექნიკურ დაწინაურებულობას. საფუძვლიანად გამოიყურება მოსაზრება (ი. გრძელიშვილი, ნ. ხოშტარია), რომ რკინის გამოსადნობი ნედლეული (მადანი) იყო ამ ქვეყნის ზღვისპირეთის რ კ ი ნ ი ს ს ი ლ ა („მაგნეტიტი“), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც ძველად იტყოდნენ, „გამოახურებდა“ საამისო მოხერხებულ ადგილებში.

მე განზრახ მოვერიდები იმ საკითხის შესახებ მსჯელობას, თუ რას უნდა მოწმობდეს ამ „ნარუჯ“-„ნამკედურთა“ ასეთი სიმრავლე, მათი განლაგება და სხვა ასეთები.

ყურადღებას იქცევს თიხის ნაკეთობის ადგილობრივობა და უცხოური (იმპორტული) კერამიკის შედარებითი სიმცირე (თუმცა ამაებზე მსჯელობა ფრიად წინასწარულია და პირობითი, ვიდრე მასალა უფრო მეტი რაოდენობით არ მოგვიპოვებია და არც ქრონოლოგიურად შეგვისწავლია).

არც იმის შესახებ სავარაუდო მსჯელობით მოგაწყენთ თავს, რა პურეულის მოყვანას მისდევდნენ იმ დროს, როგორ იდგა ღვინის მეურნეობა ან ტექნიკური მცენარეების მოშენება, — ყველა ამის შესახებ საფუძვლიანი დასკვნები მოითხოვს მეტი მასალის მოპოვებას და, კიდევ უფრო, ამ მასალის ზედმიწევნით შედარებით შესწავლას (საველე პირობებში ასეთი რამ ექსპედიციას არ მოეთხოვება).

ქვეყნის თავგადასავლის არანაკლები სიძველის მაჩვენებელია მხარეში უხვად დაცული საგეოგრაფიო სახელები და ადამიანთა ძველი გვარსახელები. საჭიროა მათი ზედმიწევნით შეგროვება, დახარისხება, მკაცრი სამეცნიერო ხერხებით გაანალიზება და ჩვენ მოვიპოვებთ არაერთ ძვირფას ცნობას ამ მხარის სამეურნეო ეკონომიურის თუ პოლიტიკურ-კულტურული და ეთნიკური წარსულის შესახებ. კერძოდ ერთხელ კიდევ უეჭველობით დავიდასტურებდით ამ მხარეში ზანურს (და შეიძლება, კიდევ უფრო ადრინდელ) სუბსტრატს, რომელზედაც გარკვეულ დროს გაიშალა სხვა მოძმე ქართველური ტომი, შევიცნობდით აწინდელი გურულის რთულ ეთნიკურ შედგენილობას.

ჩვენი ექსპედიციის საკვლევადიებო მუშაობა მხოლოდ უძველესი ხანით არ შემოფარგლულა. ამჯერად ჩვენი კვლევის არეში იყო აგრეთვე საშუალსაუკუნეები (თავის დროზე ჩვენ ბურჟუაზიული და სოციალისტური ხანის გურიის ისტორიულ გეოგრაფიასაც განვიხილავთ). ადრე საშუალსაუკუნეებში გურიანთა ძველს თავის მნიშვნელობას, როგორც ჩანს, ინარჩუნებდა. ამის მოწმობად ვაშნარის ნანგრევებია. შემდგომი ხანის მასალის მეტისმეტი სიმცირე იმას შეიძლება მოწმობდეს, რომ ეს მხარე ამ დროს ხანგრძლივ დაცემას განიცდის და გურიის მთავარი მნიშვნელობის პუნქტს სხვაგან გადაუნაცვლებია. როდის და როგორ მოხდა ასეთი რამ, ეს მომავალი კვლევის საქმეა...

სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

(ისტორიულ-გეოგრაფიული სამეცნიერო ექსპედიციის
შედეგებიდან)¹

ას წელზე მეტი ხანია, რაც სვანეთის მეცნიერული შესწავლა მიმდინარეობს. ამ ხნის მანძილზე მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელნი მეტნაკლები წარმატებით ახერხებდნენ რიგი საკითხის გაშუქებას ამ მეტად თავისებური მხარის წარსულიდან: სვანური ენა, სვანური ყოფა, სვანეთის მეურნეობა, სოციალური ურთიერთობანი. ხელოვნება, იდეოლოგია და სხვა მხარეები იყო ამ მოღვაწეთა მეცნიერული შესწავლის თვალსაწიერში.

განსაკუთრებით გაცხოველდა სვანეთის მეცნიერული შესწავლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა მშობლიურ მეცნიერებას პარტიისა და მთავრობის მფარველობა-ხელისშეწყობით თავისუფალი განვითარების უსაზღვრო სარბიელი გადაეშალა.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები (უნივერსიტეტი, ინსტიტუტები), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია სვანეთის, ისევე როგორც მთელი დანარჩენი საქართველოს მეცნიერულ შესწავლას თავის ძირითად ამოცანად სახავენ.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია და სასიხარულოა ის გარემოება, რომ ამ მეცნიერულ-პატრიოტულ საქმეში სულ უფრო და უფრო ნეტის რაოდენობით ებმებიან თვით სვანები. მას შემდეგ დიდი ხანია, რაც სვანი სხვა მეცნიერთა კორესპონდენტობას (ცნობათა მიმწოდებ-

¹ პირველად დაიბეჭდა გაზეთ „მებრძოლში“ (ზუგდიდი), 1964, № 155.

ლობას) არ სჯერდება და, თანამედროვე მეცნიერების ხერხებს დაუფლებული, ის დამოუკიდებლად აშუქებს მშობლიური ცხოვრების წარსულსა და აწმყოს.

და ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ახლო მომავალში ეს სასურველი ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდება. ამის გარანტია ნიჭიერი სვანიტომის შრომისა და ცოდნისმოყვარეობაა...

მეცნიერთა ზემოაღნიშნული მუშაობის შედეგად დღეისათვის დიდი მეცნიერული მასალა არის მოპოვებული და ხელშესახებად არის შექმნილი საფუძვლები იმისათვის, რათა ჩვენი დროის შესაფერისი სისრულით და სიღრმით წარმოვაჩინოთ სვანიტომის მნიშვნელობა ქართველ ტომთა ძმურ ოჯახში, სვანთა მოხაწილეობა საქართველოს ისტორიის შემოქმედებაში, სვანთა როლი საქართველოს პოლიტიკურსა და კულტურულ მშენებლობაში.

მეოღნავადც არ მსურს რაიმე მხრით დავამცირო ამ ზემოაღნიშნულ მეცნიერთა მიერ გაწეული მუშაობის მნიშვნელობა. ამ მეცნიერებმა განუზომელი შრომა გასწიეს კერძოული (უპირატესად) საკითხების გაშუქებაში და სწორედ ამით შეამზადეს საფუძვლები ერთიანი მეცნიერული ნაგებობის (ისტორიის) შესამუშავებლად სვანთა წარსულის შესახებ.

დღეს საჭიროა მეთოდოლოგიურად სწორი დიდი კრიტიკული მუშაობის შესრულება: პირველწყაროთა, ძველისა თუ ნაგვიანების, მონაცემებისა და მეცნიერთა მონაპოვრების ყოველმხრივი კრიტიკის ცეცხლში გატარება და აგრე გამობრძმედილი მასალის ერთიანად მიშეწყობა-შეთანხმება.

თუ ეს არა, მეტისმეტად დიდია და თვალსაჩინო ის შეუთანხმებლობა, რომელიც საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ აყენებს ჩვენი ცოდნის სისწორეს სვანეთის ცხოვრების რიგი არსებითი მხარის შესახებ.

ერთის მხრივ სვანეთის სამეურნეო და სულიერი კულტურის ნაშთები, როგორცაა მსოფლიოში ხმაგანთქმული „მითი“ სვანეთის („კოლხეთის“) სიმდიდრის შესახებ, მის სამეურნეო-მეტალურგიულ მიღწევათა შესახებ და ამის დამადასტურებელი არქეოლოგიური მონაპოვრები, მაღალი ხელოვნებით შემუშავებული. სასოფლო-სამეურნეო წესიბი (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა), ხით-ხურობის განსაცვიფრებელი ნიმუშები. ქვით-ხურობის საერო და საკულტო ნაგებობათა მაღალგანვითარებულობა, სამეურნეო და საომარი იარაღის მკვდლობა და სამკაულთა ოქრომკვდლობა. უაღრესად განვითარებული ფერწერა, ზოლო მეორეს მხრივ, ჩვენი ვითომცდა ცნობა-ცოდნანი სვანთა სამეურნეო კარჩაკეტილობისა და კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ, სვანეთის „პირველყოფილობის“ შესახებ.

დამეთანხმებით, საკითხის აგრე დატოვება საბჭოური ისტორიული მეცნიერებისათვის შეუწყნარებელია და მისი შესაფერისი გამართვა პართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ღირსების საქმეა.

და სწორედ ეს არის უახლოესი მიზანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა.

ეს საქმე დიდია და ძნელი, მაგრამ ქართველთმცოდნეობა დღეს ისეა განვითარებული და ამ სარბიელზე მოღვაწენი იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ამ მძიმე საქმის ღირსეულად შესრულება საეჭვო არაა.

*

მხოლოდ ერთ თვეა, რაც ჩვენმა ექსპედიციამ მუშაობა დაიწყო, ამ ერთი თვის საველე მუშაობით მან დიდი ცოდნა მოიპოვა, ბევრი რამ გადასინჯა და არა ერთი ახალი დებულება წარმოაყენა, მაგრამ მან ისიც კარგად დაინახა, რომ მის წინაშე მდგომი ამოცანა ღინჯსა და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს.

ამიტომ ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია დღეს აქ არ დავიწყოთ ნ ა ჩ ქ ა რ ე ვ ი ს ა უ ბ ა რ ი ჩვენს მეცნიერულ მიღწევათა შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მეტის თუ ნაკლები დამაჯერებლობის მქონებული არაერთი მეცნიერული ჰიპოთეზა დაისვა სვანთა უძველესი დასახლების შესახებ, სვანეთის სოციალური წყობის შესახებ საშუალო საუკუნეებში, სვანეთის მნიშვნელობის შესახებ საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში, სვანთა როლი და მნიშვნელობა საქართველოს განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის სახელმწიფოს წარმოქმნის საქმეში და სხვა და სხვა.

ექსპედიციამ ძვირფასი ცოდნა მოიპოვა იმის შესახებ, რომ იმ ძველ დროს, ფეოდალური ურთიერთობის ხანაში, საქართველოს შემადგენელ ტომთა შორის სვანეთს ოდნავადაც ნაკლები დამსახურება არ მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ისტორიის შემოქმედებით ასპარეზზე, რომ სვანეთი სხვა მოძმე ქართველ ტომთა გვერდით ორგანული და ღირსეული მონაწილეა ფეოდალური საქართველოს სოციალური და პოლიტიკური განვითარებისა.

ლეგენდა-გადმოცემანი, ჯვარ-ხატებზე წარწერანი, ეკლესიათა მოხატულობა და ფრესკული მინაწერები, სხვა წერილობით წყაროთა მონაცემები და საქართველოს იმ დროის პოლიტიკური განვითარების ზოგადი ტენდენცია, ყველა ამ მასალის კრიტიკულად შეწყობა-შეთანხმება სრულიად ახალს, აქამდე შეუცნობელ ფურცელს აშუქებს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ბნელსა და ძნელად გადასაწყვეტ უბანზე — იგულისხმება ე პ ო ქ ა ა დ რ ე ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ს ა ქ ა რ -

თველოს გადასვლისა განვითარებულ ფეოდალური ურთიერთობის საფეხურზე.

განსაკუთრებით დიდი ჩანს სვანი ტომის მნიშვნელობა ამ ისტორიულ პროცესში. განსაკუთრებით დიდია სვანთა დამსახურება ფეოდალურ-ბატონყმური საქართველოს პოლიტიკურ წარმატებაში. ირკვევა, რომ სვანებს „თამარ დედოფალი“ დაუმსახურებლად კი არ მიუთვსებიანთ, არამედ შესაფერისი საქვეყნო დამსახურების შედეგად შექმნილან ისინი ღირსეული მონაწილენი საერთო სამშობლოს აყვავება-ძლიერებისა.

ამ დებულების მტკიცებას აქ ვერ შევუდგებით და დეკლარაციულ განცხადებას ვჯერდებით იმ იმედით, რომ უახლოეს დროში ჩვენ გვექნება შესაძლებლობა შესაფერისი მეცნიერული აპარატის მოშველიებით უცილობელყოთ ამ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის სინამდვილე. დღეს კი აქ ჩვენ იმით გამოწვეულ კმაყოფილებას ვჯერდებით, რომ საშუალება მოგვეცა სვანი ტომის ღირსეულად შემოყვანისა საქართველოს ისტორიის დიდ შემოქმედებით პროცესში.

ექსპედიციამ, როგორც აღვნიშნე, სხვა არაერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი დასვა სვანთა ცხოვრებიდან. ამ საკითხებს სხვა, ჩვენამდე მოღვაწე, მკვლევარებიც ეხებოდნენ მეტის თუ ნაკლების გულდაგულობით.

ასეთი საკითხების შესახებ არსებითი ხასიათის საუბარი დღეს აქ, სავიწრო პირობებში, უადგილო იქნებოდა: იმ პატივცემულ მკვლევართან უთანხმოების შემთხვევებში აუცილებელი საფუძვლიანი კამათის გაშლის საშუალებას აქ მოკლებული ვართ. საამისო აქ არც დროა, არც ადგილია და არც ხელსაწყო-საშუალებანი, ე. ი. სამეცნიერო ლიტერატურა მოიპოვება. ამიტომ ჩვენ აქ ისეთი საკითხების წამოყენებით ვისაზღვრებით, რომელთაც დღემდე სხვა მკვლევარები არ შეხებიან.

მეორე ასეთი საკითხი ეს არის საკითხი სვანთა პირველმოსახლეობის შესახებ მაჩუბ-მურყვამებით მოსახლეობის ეპოქამდე.

როგორც ირკვევა, სვანები, ისევე როგორც სხვა დანარჩენ ქართველ ტომთა წინაპრები, გარკვეულ დროს გორებად ცხოვრობდნენ, რომ მაჩუბ-მურყვამულ მოსახლეობას სვანეთში წინ უსწრებდა გორული მოსახლეობა. „გორა“ სოციალურად ძმობა (კომუნა), ტექნიკურად კი ეს არის გალავანშემოვლებული ან მისადგომთა საგანგებო დახმარებით გამაგრებული ბორცვი, — საცხოვრებელი თავშესაფარი მთელი ძმობისა, „გვარისა“.

ექსპედიციამ დამაჯერებელი მასალა მოიპოვა ამ მნიშვნელოვანი დებულების დასამტკიცებლად. ამრიგად, „სვანურ საცხოვრებელ სახლ-

ში“ ამიერიდან კანონზომიერად შემოდის „გორა“ (სვიფ) — პირველყოფილი — კომუნის სოციალური და მატერიალური გამოსახულება.

ირკვევა, რომ გვიანი ხანის სვანური სოფლების (ხეების) დიდი უმრავლესობა ეს არის „გორის“ სოციალური და ტექნიკური განვითარება.

*

ჩვენ არ ვიცით (მეცნიერებაში ჯერჯერობით ამის შესახებ საბოლოო სიტყვა არ თქმულა), იყო თუ არა, ან როგორ და რა ნიადაგზე იყო აღმოცენებული კავკასიის მკვიდრთა თავდაპირველი ეთნიკური თუ კულტურული მონათესავეობა. ჩვენ ამ საკითხს არც აქ ვეჭიდებით. მაგრამ ისტორიკოსთა ექსპედიციას მის მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე კანონზომიერად შეუძუშავდა საბუთიანი სამუშაო ჰიპოთეზი იმის შესახებ, რომ მონათმფლობელურსა თუ ფეოდალურ ეპოქაში სვანეთი დიდი მნიშვნელობის მოსაშუალის როლს ასრულებდა იმიერ და ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის საქმეში. საკითხის ასე დასმისას მრავალ მოვლენას სინათლის ახალი შუქი ეფინება: საფუძველი ეშლება ნაგვიანევეს, არახელსაყრელ ხანაში შექმნილ შეხედულებას სვანთა „კარჩაკეტილობის“ შესახებ. ისახება ახალი ისტორიული სურათი სვანთა ცხოველი ურთიერთობისა კავკასიონის სამხრეთთან და ჩრდილოეთთან. ადვილად გასაგები ხდება დღემდე „უცნაური“ აგრე ცხოველი დაინტერესებულობა სვანეთით ამიერკავკასიის ბარისა: კოლხეთ-ლაზიკისა, ეგრის-აფხაზეთისა და უფრო გვიან, საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოსი.

ექსპედიციის წინაშე, როგორც აღვნიშნე, არაერთი სხვა დიდი მნიშვნელობის საკითხი დაისვა. მაგრამ აქვე აღნიშნულ მიზეზთა გამო ჩვენ ჯერჯერობით მათ შესახებ დუმის ვამჯობინებთ. ზოგთა შესახებ საუბარი კი, ვარდა ამისა, მაშინ იქნება უპრიანი, როცა ჩვენი ექსპედიცია საველე სამუშაოს დაასრულებს, როცა ის ქვემოსა და ჭუბერ-დალის სვანეთსაც შეისწავლის რაჭა-ლეჩხუმის გათვალისწინებით. მაშინ იქნება, კერძოდ, უფრო საბუთიანი მსჯელობა კავკასიონში სვანთა შემოსვლა-დასახლების გზებისა და მიმართულებების შესახებ, რიონ-ენგურ-ცხენისწყლის ხეობათა გეოგრაფიული ურთიერთობის მნიშვნელობის შესახებ, სვანთა ეთნიკური განსახლების შესახებ და სხვა და სხვა.

დღეს კი ამაზე შევწყვეტთ საუბარს.

მაგრამ არ შემიძლია ერთ საკითხს არ მივაქციო პატივცემულ მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღება. საკითხი შეეხება სვანეთში არსებული ისტორიული ძეგლების დაცვის საქმეს. ექსპედიციის აზრით,

ეს საქმე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრით საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. ამ ძეგლების მნიშვნელობა ისე დიდია, როგორც მათი დაცვის საქმე ისეთ მდგომარეობაშია, რომ ამაზე დუმილი ჩვენი მხრით დანაშაულის სწორი საქციელი იქნებოდა. ადგილობრივი ხელისუფლების ენერგიული ზრუნვა, როგორც ჩანს, ვერ იძლევა სასურველ ეფექტს, ვერ უზრუნველყოფს ძეგლთა დაცვის დიდ საქმეს და ეს იმიტომაც, რომ ვფიქრობთ, თავშივე არის დაშვებული შეცდომა, როცა მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური ძეგლები, უბრალო საღვდეულმსახურო ნივთების სწორად, ჩაბარებული აქვს შეიძლება პატიოსანსა და მორწმუნეს, მაგრამ ყოვლად უცოდინარ პირს.

საჭირო იქნება საგანგებო ღონისძიება კულტურის სამინისტროს და თვით მინისტრთა საბჭოსი ამ საკითხის შესწავლისა და, სანამ გვიან არ არის, მისი შესაფერისად მოგვარებისათვის.

საჭიროა, რათა ჩვენი სამეცნიერო ორგანიზაციები და კერძოული მეცნიერები ზეპირი თუ წერილობითი რჩევა-კონსულტაციით ენერგიულად დაეხმარნენ ადგილობრივ ხელისუფლებას ამ საპასუხისმგებლო კულტურული საქმის ღირსეულად შესრულებაში.

და ჩვენ გვწამს, რომ ახალი სევანეთი ღირსეულად დაიცავს ამ კულტურის საგანძურს, რომელიც გმირული ბრძოლით დაიცვეს და მას დაუმკვიდრეს მისმა სახელოვანმა წინაპრებმა.



ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ზოგიერთი პრინციპული
საკითხისათვის¹

საქართველოში არქეოლოგია როგორც მიწისზედა, ისე წიაღისეული ძეგლებისა, ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში დაიწყო.

პირველი არქეოლოგები აქ უპირატესად არაქართველები იყვნენ. შემთხვევითი ხალხი იყო ამ უკანასკნელთა უმრავლესობა, — „არქეოლოგიის მოყვარული“ დილეტანტები (ინჟინერი, ექიმი, ბუნებისმეტყველი და სხვ.). ზოგიერთი მათგანი სხვა უფრო მნიშვნელოვანი „სპეციალობის“ შემთავსებელიც იყო, — უცხო სახელმწიფოს საიდუმლო პოლიტიკური აგენტი.

იშვიათ გამონაკლისს გარდა ყველა ეს „კულტურტრეგერები“, — სპეციალისტებიც და „მოყვარულნიც“ — ქართული ენის, ქართული ცხოვრების, საქართველოს წარსულის ყოვლად უეცნი იყვნენ. რალა თქმა უნდა, რომ ასეთი „სწავლულები“ საქართველოს წარსულის მეცნიერული შესწავლის საქმეს ვერაფერს შემატებდნენ, თუმცა, საჭიროა ითქვას, რომ ისინი ასეთ მიზანს არც ისახავდნენ. დიდმპყრობელ ხალხთა წარმომადგენელნი, ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ღვიძლი შვილები ეს „მეცნიერნი“ კოლონიური არქეოლოგიის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოღვაწენი იყვნენ. მათ არ სჭიროდათ ქართველი ხალხი მისი წარსულით, ქართული ენისა თუ ყოფის მონაცემები, ქართული ზეპირსიტყვაობა თუ ქართული მწერლობა... და ეს იმიტომ, რომ ისინი საქართველოს წარსულსაც კოლონიური თვალთ უცქეროდნენ: საქართველოს ისტორიაში ისინი უპირველეს ყოვლისა უცხოურს, მოტანილს, ნასესხებს ეძებდნენ და უნდა ითქვას, ზოგი მათგანი საამისოდ შეიარაღებულიც იყო. ეს „მეცნიერნი“ მცოდნენი იყვნენ „კულტურულ“ (წაიკითხე: დიდმპყრობელურ) ხალხთა ენების, ისტორიის, ხელოვნების, კულტის...

გასაგებია, რომ ასეთი „მეცნიერება“ ქართველ ხალხს, მის ერ-

¹ პირველად დაიბეჭდა 1951 წ., „მიომხილველი“, II, გვ. 337—347.

ოვნულ დადგინება-განმტკიცების საქმეს კი არ ემსახურებოდა, არამედ — ჩვენი წარსულის გაბიაბრუებას, ჩვენი წარსულის შეურაცხყოფას (და რამდენი სიმწარე ახსოვს ქართულ საზოგადოებრივ აზრს ამ „მეცნიერთაგან“ XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ოცეულში...).

მაგრამ გადაქარდა ჩვენში ბურჟუაზიული საზოგადოება, ჩვენი ქვეყანა განთავისუფლდა ყოველგვარ მებატონეთაგან და კოლონიურ „მეცნიერებას“ (მათ შორის კოლონიურ ისტორიას, კოლონიურ არქეოლოგიას) საფუძველი მოეშალა.

ახალი: სოციალისტური საზოგადოების შემოქმედ პატრიოტთა კლასებს შესაფერისი ისტორია სჭირია, ისტორია ნამდვილ-მეცნიერული, — ისტორია, რომელიც ახალი საზოგადოების დადგინების საქმეს ემსახურება, ისტორია არა შეურაცხმყოფელი, არა სასომიმხდელი და დამამცირებელი, არა ნიჰილისტური, არამედ ისტორია იმედიანი და უტეხი ბრძოლისა, ისტორია შრომისა და კულტურული შემოქმედებისა, ისტორია პატრიოტული.

ბუნებრივია, და უამისოდ არც შეიძლება, რომ საქართველოში, ასევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა სხვა რესპუბლიკაში, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას თან ახლავს, ამავე საქმის სამსახურად, ახალი, სოციალისტური მეცნიერება. ამ საფუძველზევე იქმნება საქართველოში, კერძოდ, ქართული საბჭოური ისტორიოგრაფია, ქართული საბჭოური არქეოლოგია.

ქართულ საბჭოურ არქეოლოგიას (საუბარია გათხრით არქეოლოგიაზე) საფუძველი 30-იან წლებში ჩაეყარა. მას დასაწყისშივე დიდი წარმატება ხვდა. საქართველოს ნიადაგი განსაკუთრებით მდიდარი აღმოჩნდა წიაღისეული ძეგლებით, ხოლო გათხრების საქმეს სათავეში ედგნენ ჩვენი ისეთი სასიქადულო მეცნიერნი, როგორც იყვნენ აკადემიკოსები ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია.

სამთავრო-არმაზისხევ-ბაგინეთის ბრწყინვალე გათხრებს თან ახლდა ახალმშენებლობით გამოწვეული დიდმნიშვნელოვანი გათხრა-აღმოჩენანი თრიალეთში, ურეკში, კლდეეთში და სხვ. ყველაფერი ეს სულ ერთიანად სცვლის აქამდე შემუშავებულ მეცნიერულ წარმოდგენას საქართველოს უძველეს წარსულზე. ეკვის ქვეშ დადგა ძველი შეხედულებანი, ახლებურად გაიშიფრა ძველ მწერალთა ცნობები, მეცნიერული სინათლის შუქი მოეფინა საქართველოს ისტორიის არაერთ ბნელ საკითხს.

მაგრამ საბჭოური არქეოლოგიის ამ პირველ ნაბიჯებს, თავისთავად ბრწყინვალეს, თან ახლდა, ბუნებრივია, ნაკლიც. ეს ნაკლი ბურჟუაზიულ-კოლონიური არქეოლოგიის ნამემკვიდრევი ზოგიერთი მანკი იყო.

საქართველოს საბჭოური არქეოლოგიის ზემოდასახელებულ მესვეურთ კარგად ესმოდათ, რომ ქართული საბჭოური არქეოლოგია უპირველეს ყოვლისა საქართველოს ისტორიის, ქართულ-ქართველური თუ კავკასიური ენების ეთნოგრაფიის და ფოლკლორის მონაცემთა მომარჯვებით გაიმართება, რომ ასეთი ხერხის გარეშე ჩვენი საბჭოური ქართული არქეოლოგია არ შეიქმნება, რომ უამისოდ ნამდვილ-მეცნიერული არქეოლოგიის ნაცვლად ჩვენ ხელთ დაგვრჩება ბურჟუაზიულ ზოგად-კოსმოპოლიტური quasi მეცნიერება, რომელიც ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიას მეცნიერულ მომსახურებას ვერ გაუწევს. ამა თუ იმ, რა გინდ ბრწყინვალე, არქეოლოგიური ფაქტის გამო მსჯელობა უმისამართოდ, ამ მოვლენის სუბიექტის გაურკვეველად, ისტორიის საშენ მასალად ვერ გამოდგება, ასეთი მსჯელობა უნაყოფო ვარჯიშობად დარჩება ისტორიისათვის, ვიდრე ამ ფაქტის შემოქმედი საზოგადოება არ გაირკვევა. ხოლო ამა თუ იმ არქეოლოგიური ფაქტის ქართულად გამოცხადება მართო იმის გამო, რომ ის აწინდელი საქართველოს მიწის წიაღშია მოპოვებული, ვერაფერი მეცნიერებაა. ეს ან გულუბრყვილო კეთილმოსურნეობის ნაყოფი შეიძლება იყოს, ან დაბალი თვალთმაქცობისა და საბჭოურ მეცნიერებასთან მას საერთო არაფერი აქვს. საჭიროა მეცნიერული დასაბუთება იმისა, რომ ეს ფაქტი ქართველი ხალხის წარსულის მოწმობაა. ხოლო ასეთი დასაბუთებისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ღრმა მეცნიერული ცოდნა საქართველოს ისტორიისა, ქართულ-ქართველური ენებისა, საქართველოს ეთნოგრაფიისა, ქართული ფოლკლორისა. ერთი სიტყვით, ქართული საბჭოთა არქეოლოგია საქართველოს ისტორიისაგან, ქართველთმცოდნეობისაგან მოწყვეტილად არ წარმოიდგინება და ქართველთმცოდნეობას მოწყვეტილი არქეოლოგია ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას მეცნიერულად ვერ მოემსახურება.

ამიტომ არის, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი პირველ რიგში აყენებს ქართველი საბჭოთა არქეოლოგების გამოზრდის საკითხს, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის შემდგომი ზრდის საკითხს.

ამ უმთავრესი მიზნის მისაღწევად ინსტიტუტს საჭიროდ მიაჩნია ჩვენი ახალგაზრდა არქეოლოგების ისეთ მასალაზე გაწაფვა, რომელიც ექვს არ იწვევს მისი კუთვნილების თვალსაზრისით, რომლის შესახებაც წერილობითი ცნობებიც მოიპოვება, — ისეთ მასალაზე გაწაფვა, რომლის გააზრებისას მკვლევარი არქეოლოგი შედარებით ნაყოფიერად მოიმარჯვებს მეცნიერულ მონაცემებს ქართველთმცოდნეობის სხვადასხვა დარგიდან.

ეს მეთოდი უფრო ნაცნობიდან ნაკლებ ნაცნობისაკენ სვლისა, მეცნიერულ-ტექნიკური შეიარაღებით (ქართველთმცოდნეობით) ზრდის ეს მეთოდი მიაჩნია ინსტიტუტს სწორ გზად, ნამდვილ-ქართული საბჭოური არქეოლოგიის შემდგომი განვითარებისათვის.

ამიტომაცაა, რომ ინსტიტუტი უფრო წინარე ეპოქების არქეოლოგიის გვერდით „ფეოდალური ხანის საქართველოს არქეოლოგიას“ აგრე დიდ ყურადღებას აქცევს.

ამ შემთხვევაში ინსტიტუტი ახორციელებს ქართული არქეოლოგიის პირველ ხელმძღვანელთა — ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას — სწორ ჩანაფიქრს ჩვენი საბჭოური არქეოლოგიის შექმნის თაობაზე.

და დღეს, სიამოვნებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ინსტიტუტს ამ მიმართულებით უეჭველი წარმატება აქვს, რომ ქართველთმცოდნეობა ჩვენი არქეოლოგების ხელში სულ უფრო და უფრო მკვეთრი იარაღი ხდება არქეოლოგიური ფაქტების მეცნიერული შესწავლის საქმეში. დღეს უკვე ქართველი არქეოლოგი თავს ქართველ ისტორიკოსად გრძნობს, დღეს ის ბრინჯაოს მახვილს და საშუალსაუკუნეების სტელას თანაბრად საინტერესოდ სთვლის და მათ თანაბარი გულმოდგინებით სწავლობს. დღეს უკვე აღარ წარმოიდგინება ჩვენში ისეთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც გათხრების დროს, ვთქვათ, წააწყდა ქართულ წარწერიან ქვას და ის, როგორც „ნაგვიანვეი და არასაინტერესო“, თავის „არქეოლოგის დღიურშიც“ კი არ აღნიშნა, ან კიდევ არქეოლოგი, რომელმაც, ახალმშენებლობასთან დაკავშირებით არქეოლოგიურ ძეგლთა გამოვლინება-შესწავლისათვის, არქეოლოგიურ ძეგლთა გადარჩენისათვის ხელისუფლების მიერ სპეციალურად მივლინებულმა დიდი მასშტაბით გათხრები ხანგრძლივად აწარმოა, ხოლო იქვე, იმავე საგანგაშო მიდამოში, ამართული ძეგლები საშუალსაუკუნეებისა არც ერთი უბრალო მოხსენიების ღირსად არ სცნო და ყველა დასაღუპავად გაწირა...

ასე თანდათან მოიშალა „საქართველოს არქეოლოგიასა“ და „საქართველოს ისტორიას“ შორის ზღვარი, რომელიც ისეთ გაუგებრობამდღე იყო მისული, რომ ჩვენში არა მარტო საქართველოს წარსულისა თუ მისი აწმყოს სრულიად უვიცი თამამად არქეოლოგობდა, არამედ იშვიათი იყო ისეთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც ქართველთმცოდნეობას თავისთვის საჭიროდ სცნობდა.

მეორე მანკი, ქართულ საბჭოთა არქეოლოგიას რომ დღემდე საბოლოოდ ვერ მოუშორებია: იმავე ბურჟუაზიულ-კოლონიური არქეოლოგიის მემკვიდრეობიდანაა. არქეოლოგიური თხრის ობიექტების დაგვემვის დროს, ჩვენ დღემდე ბნელში დავბორიალობთ და ბრმა შემთხვევების შემყურენი ვართ: თუ ვინმე (კერძო პირი, ახალმშენებლო-

ბა...) რასმე წააწყდა, ჩვენც იქ ვიწყებთ გათხრას. დღემდე ჩვენი არქეოლოგიური ობიექტების დიდი უმრავლესობა ასეთ შემთხვევათა წყალობაა და არა ჩვენი მეცნიერული მიკვლევის შედეგი. ასეთი რამ ბუნებრივი იყო ბურჟუაზიულ-კოლონიური არქეოლოგიის ჩვენში ბატონობის დროს. ეს უცხოელი არქეოლოგები საქართველოს ისტორიას არ იცნობდნენ, არქეოლოგიურ ძეგლებს საქართველოს ისტორიას არ უკავშირებდნენ (და ამის საპირობასაც არ ხედავდნენ, რამდენადაც იმ შორეული წარსულის ძეგლებში ისინი უპირველეს ყოვლისა სკვითურ-სპარსულისა თუ ბერძნულ-რომაულის კვალს ეძებდნენ). ბუნებრივია, რომ ეს ბურჟუაზიულ-კოლონიური არქეოლოგია ჩვენში თავის საკვლევ ობიექტებს საქართველოს ისტორიას და საერთოდ ქართველთმცოდნეობის მონაცემთა ნიადაგზე ვერ დაგეგმავდა და ის სულ ერთავად შემთხვევებზე დამოკიდებული რჩებოდა.

მაგრამ დღეს, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის აყვავების პირობებში, ასეთი რამ ყოვლად შეუწყნარებელია და ამ მანკიერი მემკვიდრეობის აღმოფხვრა ჩვენი უპირველესი ვალია.

ჩვენს არქეოლოგებს რომ ჩვევა ჰქონოდათ არქეოლოგიური გათხრის ობიექტების განხილვისა საქართველოს ისტორიასთან ცოცხალ კავშირში, ისინი ადვილად მივიდოდნენ იმ დასკვნამდე, რომ გეგმიანი, მეცნიერული გათხრების წარმართვისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა საქართველოს არქეოლოგიური რუკის შედგენა.

ამისათვის კი ჩვენ მოგვებოვება უმდიდრესი ლიტერატურა (მართო ვახუშტის გეოგრაფია რად ღირს...), აურაცხელი მატერიალური ნაშთი, ამოურწყველი ტოპონიმიკური მასალა... ჩვენ ვახუშტის წამოწყება ახალი, ჩვენი დროის შესაფერი მეთოდით უნდა განვაგრძოთ და შევქმნათ საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური რუკა, რათა ჩვენი შემდგომი არქეოლოგიური თხრის ობიექტები მეცნიერულად დავეგვიმოთ.

ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტა მიზნად დაისახა ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა. ხსენებული ამოცანის შესაბამისად ის ყოველწლიურად ითვალისწინებს თითო ისტორიულ-არქეოლოგიურ კომპლექსურ ექსპედიციას და მას ამ მხრივ სრულიად ხელშესახები მიღწევაც აქვს. ისტორიულ-არქეოლოგიურად მოხილულია ქვემო ქართლის ერთი ნაწილი, რუკახეა დატანილი რამდენიმე ასეული მიწისზედა თუ წიაღისეული არქეოლოგიის ობიექტი, რომელთაგან დიდი უმრავლესობა აქამდე უცნობი ძეგლია.

საქართველოს არქეოლოგიური რუკის შედგენა მეტად დიდი მოცულობის ამოცანაა და მრავალი წლის მუშაობას მოითხოვს, მაგრამ ქართული საბჭოთა არქეოლოგიის მეცნიერულად წარმართვისათვის ის ყოვლად აუცილებელია და უნდა კიდევაც შესრულდეს.

ახალი ძეგლების აღმოჩენა-აღრიცხვის გვერდით ამ ისტორიულ-არქეოლოგიურ ექსპედიციებს ის დიდი სარგებელი მოაქვთ, რომ აქ ამ ექსპედიციებში ყველაზე უფრო მარჯვედ წარმოებს „ისტორიისა“ (მის უძველეს ხანაში) და „არქეოლოგიის“ მეცნიერული შერწყმა, ჩვენი არქეოლოგების „გაისტორიკოსება“ და ჩვენი ძველი პერიოდის ისტორიკოსების „გაარქეოლოგება“. ექსპედიციის მონაწილენი აქ ადვილად ამჩნევენ ცოცხალ კავშირს, მაგალითად, ტოპონიმიკურ ფაქტსა, „ისტორიული ხანის“ (ე. ი. ნაგვიანე) ძეგლსა და უშორესი წარსულის რომელიმე ნაშთს შორის. უმართებულოდ და ხელოვნურად გათიშული ეს მეცნიერებანი („ისტორია“, „არქეოლოგია“) აქ ისევ ცოცხალ ორგანულ კავშირში წარმოსდგებიან.

ამ მიზნით არის, რომ ინსტიტუტს ჩვენი მეცნიერული წარმატებისათვის აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია მუშაობის ამ ეტაპზე საქართველოს ძველი ისტორიის მუშაკთა—ისტორიკოსთა და არქეოლოგთა—მკვიდრო ორგანიზაციული თანამშრომლობა. და ეს საჭიროა არა მხოლოდ იმისათვის, რათა არქეოლოგები საქართველოს ისტორიას უშუალოდ ეზიარნენ, ასეთი თანამშრომლობა არანაკლებ საჭიროა ისტორიკოსთათვის. თუ აქამდე საქართველოს ძველი ეპოქების ისტორიკოსს შეეძლო თავისი კვლევა-ძიების დროს უპირატესად წერილობითი ხასიათის წყაროებით დაკმაყოფილებულიყო, ამიერიდან ვითარება სულ ერთიანად შეცვლილია. ჩვენი ისტორიის თვალსაწიერი დღეს არქეოლოგიის მეოხებით შეუდარებლად არის გაზრდილი. საქართველოს ისტორიის ძველი ეპოქების მკვლევარი მეცნიერი დღეს იძულებულია თავისი კვლევა-ძიების უმთავრეს წყაროდ არქეოლოგიური მასალა გაიხადოს. ასეთ პირობებში ისტორიკოსი მოვალეა, რათა დამოუკიდებლად ერკვეოდეს არქეოლოგიის მონაცემებში, მას უნდა შესწევდეს ცოდნა ამ ზღვა მასალის კრიტიკული ათვისებისათვის და სპეციალისტ არქეოლოგთა პასიური ხელის შემყურე არ იყოს. და ეს სრულიად აუცილებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამიერიდან საქართველოს ძველი და უძველესი ისტორიის საშენი მასალა უპირატესად მიწისზედა თუ წიაღისეული არქეოლოგიური ძეგლებია; ხოლო ჩვენი მეცნიერების (არქეოლოგიის) განვითარებას ისეთი პირი უჩიანს, რომ არქეოლოგიური მასალის, როგორც ისტორიის წყაროს, ხვედრითი წონა ახლო მომავალში განუზომლად გაიზრდება.

შემდგომი პრინციპული ხასიათის ღონისძიება, რომლის გატარება ინსტიტუტმა მიზნად დაისახა, შეეხება არქეოლოგიური თხრის თანდათანო გაუმჯობესების საქმეს, ქართული საბჭოური არქეოლოგიის მეცნიერული ზრდის

ს ა ქ მ ე ს. არქეოლოგია, მიწისზედა თუ წიაღისეული, მისი სპეციფიკური ანუ ვიწრო გაგებით, უპირატესად ისტორიის წყაროთმცოდნეობითი მეცნიერებაა. გათხრის საშუალებით მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლი ისტორიის სპეციფიკური წყაროა. ამ წყაროს მეცნიერული მნიშვნელობა უადრესად დამოკიდებულია თვით არქეოლოგიური გათხრის მეცნიერულ ორგანიზაციაზე. არქეოლოგიური გათხრა იმ მეცნიერული მუშაობის ორგანიზებული ნაწილია, რომელსაც ამ გათხრის საშუალებით მოპოვებული ძეგლი, როგორც ისტორიის წყარო, მეცნიერულ მიმოქცევაში შეყავს. მეცნიერული გათხრის გარეშე წიაღისეული არქეოლოგია როგორც მეცნიერება, არ არსებობს. არქეოლოგიური გათხრა შემოქმედებითი მეცნიერული მუშაობაა. არქეოლოგის (თუ საამისოდ მოწოდებული დაწესებულების) მეცნიერული პასუხისმგებლობა ძეგლის გათხრისას იმის შესაბამისად მძიმდება, რომ არქეოლოგიური გათხრა მხოლოდ ერთხელ შეიძლება და ერთხელ გათხრილი არქეოლოგიური ძეგლი გათხრამდელ მდგომარეობას აღარასოდეს დაუბრუნდება, რომ უკეთ შესწავლის თუ შეედომის გამოსწორების მიზნით, მისი კვლავ გათხრა შეიძლებოდეს. ამიტომაც განსაკუთრებით პასუხსაგებია, რათა არქეოლოგიური გათხრების მეცნიერული ორგანიზაცია სულ უფრო და უფრო უმჯობესდებოდეს. ხოლო ამისათვის აუცილებელია, რათა ძეგლის გამთხრელი მოპოვებული მასალის წინასწარ შესწავლას გათხრის აგან უწყვეტლივ აწარმოებდეს და მთელი თავისი მუშაობის შედეგებს ამ ძეგლის „გათხრის მეცნიერული ანგარიშის“ სახით სპეციალისტთა კოლექტივს გააცნობდეს. საკუთარი დაკვირვებანი ასეთი მეცნიერული ანგარიშის შედეგის დროს და სპეციალისტთა კრიტიკული შენიშვნები შემდგომი გათხრების უფრო მაღალ მეცნიერულ დონეზე ორგანიზების საქმეს ემსახურება და უამისოდ საბჭოთა არქეოლოგიის მეცნიერული ზრდა არც შეიძლება.

ძეგლის გათხრის მეცნიერული ანგარიში, ამრიგად, წიაღისეული არქეოლოგიის სულ უფრო და უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის აუცილებელი საშუალებაა, ის სკოლაა როგორც თვით გამთხრელისათვის, რაგინდ მაღალი კვალიფიკაციის არ უნდა იყოს უკანასკნელი, აგრეთვე მოწიფულ და მოზარდ არქეოლოგ სპეციალისტთა მთელი კოლექტივისათვის.

მაგრამ გათხრის მეცნიერული ანგარიშის გამოქვეყნება („გამოქვეყნებაში“ იგულისხმება არა მხოლოდ სტამბური წესით დაბეჭდვა-არამედ ასეთი ანგარიშის არქეოლოგ სპეციალისტთა კოლექტივში განხილვა და მისი დასაბეჭდად წარმოდგენაც) ემსახურება არა მარტო ზემოხსენებულ საბატიო მიზანს, — უშუალოდ ქართული საბჭოური

არქეოლოგიის ზრდის საქმეს,—ის ამავე დროს ხელს უწყობს საბჭოთა ისტორიული მეცნიერების საერთო წარმატებას, მის გამდიდრებას. პუბლიკაციის გარეშე არქეოლოგიური მასალა მეცნიერებისათვის მკვდარია და უსარგებლო.

ყველა შემოხსენებულის შემდეგ სადავო არ უნდა იყოს, რომ ინსტიტუტი მართალია, როცა არქეოლოგიური თხროთ მოპოვებული მასალის მეცნიერულ მიმჭევვაში დაუყოვნებლივ შეყვანა თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია.

როგორია ჩვენთან ამ მხრივ მდგომარეობა? საჭიროა გარკვევით ითქვას: ამ საქმეში დიდხანს ყოვლად შეუწყნარებელი პრაქტიკა არსებობდა. წლითი წლამდე ინსტიტუტი თუ სხვა დაწესებულებანი დიდი მასშტაბის ინტენსიურ გათხრებს აწარმოებდნენ, ხოლო ამ მუშაობის მეცნიერული ანგარიშების შედგენისათვის თავს თითქმის არავინ იწუხებდა. 10—15 წლის მანძილზე მოპოვებული აურაცხელი არქეოლოგიური მასალა, სრულიად შეუმუშავებელი, უწესრიგოდ ეყარა ამ დაწესებულებათა სარდაფ-საწყობებში ან კიდევ არქეოლოგიური ექსპედიციების ხელმძღვანელთა ბინებში... აქედან ცხადია, თუ რამდენად უნდა შენელებულიყო ჩვენი არქეოლოგიური გათხრების ხარისხის ამალლების ტემპი, ჩვენი არქეოლოგიის მეცნიერული ზრდის ტემპი. ჩვენი არქეოლოგიის მანკი ამ მხრით იქამდე მისულიყო, რომ მოპოვებული მასალის მეცნიერული ანგარიშის გამოუქვეყნებლობის გამო თუ პირველ ხანებში ზოგიერთი ვინმე ბოდიშობდა მაინც, როცა ამ მასალის გამოქვეყნებამდე მის საფუძველზე თეორიულ ნაშრომს ქმნიდა, შემდეგ ასეთი შეგნება სულ უფრო და უფრო მიწედა, და ჩვენი არქეოლოგები გათხრების სამეცნიერო ანგარიშის წარმოდგენის საქმეს ისე უყურებდნენ, როგორც „უსიამოვნო სამსახურებრივ მოვალეობას“, ყოველ მხრივ თავს არიდებდნენ მას და მასალების გამოუქვეყნებლივ კერძო ხასიათის გამოკვლევების დამუშავებას ირჩევდნენ ან კიდევ ახალ და ახალ გათხრებს ეტანებოდნენ.

ამავე დროს ექსპედიციის ხელმძღვანელი ან კიდევ რაზმის უფროსი მის მიერ აღმოჩენილ მასალაზე გამოცემის პრიორიტეტის უფლებას განუსაზღვრელად ინარჩუნებდა და ყოველ მხრით ცდილობდა „მისი“ ენ მასალა (რომლის გამოცემასაც ის არ იქაროდა) სხვას არ გამოეყენებინა.

მეორეს მხრით, ასეთი არანორმალური ვითარება ხელს უწყობდა ბურჟუაზიულ-ინდივიდუალისტური ინსტინქტების მტაცებლურ გამოვლინებას. დაუმუშავებელ-გამოუქვეყნებელ (და ამდენადვე „უავტორო“) მასალას ასეთი ინსტინქტების კარბად მქონე „მეცნიერი“, თუ მოახე-

ლებდა, მყისვე თავის მორიგ ნაშრომში შეიტანდა და მასალის გამთხრელ-მომპოვებელს ცარიელზე სტოვებდა.

ასეთ ატმოსფეროში, ბუნებრივია, ურთიერთის უნდობლობა, მასალის გადამალვა, დღიურების თუ ფოტოების ჩაკეტვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასე რომ კოლექტიური შრომისა და თანხმობლივი მუშაობის გზით სწრაფი ზრდის ნაცვლად ისეთმა არქეოლოგიამ წამოყო თავი, რომელსაც საბჭოთა მეცნიერებასთან საერთო არა აქვს რა.

ისტორიის ინსტიტუტი თავის სიმაღლეზე არ იდგომებოდა, თუ ის ყოველგვარ ღონისძიებას დაუყოვნებლივ არ მიმართავდა შექმნილი არანორმალური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. ინსტიტუტი ხედავდა, რომ ბოროტების სათავე იმ გაუმართლებელ პრაქტიკაში იყო, რომ ჩვენი არქეოლოგები მათ მიერ მოპოვებული მასალის კამერულ დამუშავებას და ექსპედიციათა სამეცნიერო ანგარიშების წარმოდგენას გაურბოდნენ. ამის გამო იყო, რომ ინსტიტუტმა მრავალი წლის მანძილზე წარმოებული თხრებით მოპოვებული მასალის კამერულ დამუშავებას და ამ მასალის გამოქვეყნების საქმეს უმთავრესი ყურადღება მიაქცია. დღეს ინსტიტუტს, სამი წლის შეუნელებელი მუშაობის შედეგად, სრულიად ხელშესახები წარმატება აქვს: ზღვა არქეოლოგიური მასალის უდიდესი ნაწილი კამერულად უკვე დამუშავებულია და ამდენადვე ამ მასალის მეცნიერული პუბლიკაციის საქმეში მთავარი სიძნელე გადალახულია. ინსტიტუტის მიზანია, რათა მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, რომ მის ნაწყობში მეცნიერულად დაუმუშავებელი და გამოუქვეყნებელი მასალა აღარ ინახებოდეს და ყოველი თანამშრომელი-არქეოლოგი სავსე მუშაობაზე წინარე წლის (თუ წლების) ვალმოუხდელად არ გადიოდეს. ამავე მიზნით ინსტიტუტმა „არქეოლოგიური მონაპოვრით სარგებლობის წესიც“ შეიმუშავა და ის სამეცნიერო საბჭოს დაამტკიცებინა.

ინსტიტუტს ესმის, რომ ეს მძიმე საქმე ერთბაშად არ შესრულდება, რომ მრავალი წლის მუშაობის ნაკლი ერთი ხელის დაკვრით არ მოიხსნება, მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ აღნიშნული ნაკლის გამოსწორებისათვის მის მიერ დასახული ღონისძიება სწორია. თავისი ამ საქმიანობის კეთილ შედეგებს ინსტიტუტი უკვე ხედავს და მომავალშიაც ის კიდევ უფრო გადაჭრით განაგრძობს აღებული გეზით სვლას. არქეოლოგიური თხრით მოპოვებული მთელი მასალის გამოქვეყნებით (ზემოთ უკვე შევნიშნეთ თუ რა იგულისხმება ამ „გამოქვეყნებაში“) და მიღებული წესის მომავალშიაც მტკიცედ დაცვით ინსტიტუტი პირნათლად მოიხდიდა თავის უმთავრეს მოვალეობას საბჭოთა მეცნიერების წინაშე. ამავე დროს ის საფუძველს მოუშლიდა არქეოლოგთა შორის დაბუდებულ მტრობა-უნდობლობას, ძირშივე ალაგმავდა ზოგი-

ერთ მეცნიერთა მტაცებლურ ინსტიტუტებს და ხელს შეუწყობდა არქეოლოგთა შორის კოლექტიური თანამშრომლობის ჯანსაღი პირობის შექმნას.

კიდევ ერთი ძირითადი პრინციპი, რომლითაც ინსტიტუტი ქართული საბჭოური არქეოლოგიის მშენებლობისას ხელმძღვანელობს: შემდგომი ზრდა-წარმატება საბჭოური მეცნიერებისა, საერთოდ, და საბჭოური არქეოლოგიისა, კერძოდ, მუშაობის მხოლოდ კომპლექსურ-კოლექტიური მეთოდის დანერგვით შეიძლება.

მეცნიერული მუშაობის ინდივიდუალისტური მეთოდი ბურჟუაზიული ეპოქის ღვიძლი შვილია და საბჭოურ მეცნიერებასთან შეუთავსებელია.

საბჭოთა სამეცნიერო-საკვლევე ინსტიტუტი სწავლულ ინდივიდთა მექანიკური კრებული კი არ არის, არამედ მეცნიერების მუშაკთა ცოცხალი კოლექტივია, რომელსაც საერთო მიზანი აქვს დასახული. საბჭოთა საკვლევე ინსტიტუტის სამეცნიერო გეგმა მის სწავლულ წევრთა ინდივიდუალური სამუშაოების არითმეტიკული ჯამი კი არ არის, არამედ ცოცხალი მეცნიერული პრობლემა, რომლის გადაწყვეტას მიზნად ისახავს თანამშრომელთა ინდივიდუალური სამუშაოები.

მოვლენის კომპლექსური შესწავლა კოლექტიური მეცნიერული მეთოდით მუშაობა ოდნავადაც არ უარყოფს, პირიქით, გულისხმობს კიდევაც ინდივიდუალურ შრომას, პირად ღვაწლს მეცნიერებაში, მაგრამ პირადი მიღწევა აქ კოლექტივისაგან მოწყვეტილი და მასთან დაპირისპირებული კი არაა, არამედ უწყვეტ კავშირშია კოლექტივის მეცნიერულ მუშაობასთან და ამ კოლექტივის მეცნიერული მიღწევითაა შეპირობებული.

ბურჟუაზიულ-ინდივიდუალისტური მეთოდი ვერ უზრუნველყოფს სოციალისტური საზოგადოების მეცნიერების მაღალ მოთხოვნილებას. უკანასკნელს მხოლოდ კომპლექსურ-კოლექტიური მეთოდი შეესაბამება.

გარდა ამისა, არანაკლები მნიშვნელობისაა საბჭოთა სამეცნიერო ინსტიტუტის სასწავლო მიზნები. ინსტიტუტში მოწიფულ მეცნიერთა გვერდით მუშაობენ მოზარდებიც, რომელთა გაწრთვნა-გამოზრდა მაქსიმალური ეფექტურობით და სოციალისტური საზოგადოებისათვის შესაფერისი ფორმით შესაძლებელია მეცნიერული მუშაობის მხოლოდ კომპლექსურ-კოლექტიური მეთოდის გატარებისას.

ამიტომაცაა, რომ ინსტიტუტი ყოველმხრით ხელს უწყობს კომპლექსური თემების დასმას და მათ კოლექტიური მეთოდით დამუშავებას. ჩვენს სოციალისტურ ეპოქას, ჩვენს მაღალს სამეცნიერო და სასწავლო მიზნებს სწორედ ასეთი მუშაობა შეესაბამება.

ასეთია ის მთავარი პრინციპები, რომლითაც ამჟამად ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი ქართული საბჭოური არქეოლოგიის პრაქტიკული ორგანიზაციის საქმეში ხელმძღვანელობს. ესევე პრინციპები განსაზღვრავს ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების სამუშაო გეგმებს უკანასკნელი წლების განმავლობაში.

მოკლედ: საქართველოში არქეოლოგიურ სამუშაოთა მეცნიერული დაგეგმვა (საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური რუკის შედგენა);

მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ისტორიის წყაროდ გადაქცევა და მეცნიერულ მიმოქცევაში მისი დაუყოვნებლივ შეყვანა (მასალის კამერული დამუშავება და გათხრების მეცნიერული ანგარიშის პუბლიკაცია);

ბრძოლა ბურჟუაზიული არქეოლოგიის ინდივიდუალისტური ტენდენციების გადმონათებითან;

ბრძოლა კომპლექსურ-კოლექტიური მეცნიერული მუშაობის მეთოდის დანერგვისათვის;

ბრძოლა ქართული საბჭოური არქეოლოგიის შემდგომი ზრდისათვის;

ბრძოლა ქართველი საბჭოთა ისტორიკოს-არქეოლოგების მაღალკვალიფიციური კადრის შექმნისათვის, — ესაა ამჟამად ისტორიის ინსტიტუტის სამოქმედო პროგრამა არქეოლოგიის დარგში.

მიმდინარე წელს ისევე, როგორც წარსულ წლებში, ინსტიტუტი არქეოლოგიურ მუშაობას ორი მიმართულებით გეგმავს.

1. მოპოვებული მასალის კამერული დამუშავება და წინათ ჩატარებული გათხრების მეცნიერული ანგარიშების მომზადება-პუბლიკაცია.

2. საველე არქეოლოგიური მუშაობა.

პირველი მიმართულებით გეგმის განხორციელებას რაიმე ობიექტური დაბრკოლება ხელს არ უშლის და ამ სამუშაოს ინსტიტუტი წლითი წლამდე სისტემაინად ასრულებს და კვლავაც შეასრულებს.

საველე არქეოლოგიური მუშაობის მიმართულებით კი მდგომარეობა სხვაგვარია. აქ ინსტიტუტის გეგმები წლის განმავლობაში სშირად საგრძნობლად იცვლება და ეს ცვლილებანი გამოწვეულია გარდაუვალი ობიექტური მიზეზებით. დღეს საქართველო ისევე, როგორც მთელი საბჭოთა კავშირი, სოციალისტურ ახალშენებლობათა ქვეყანაა. ეს მშენებლობანი არქეოლოგიური ძეგლებით ისეთ დაყურსულ ქვეყანაში: როგორც ჩვენი სამშობლოა, ტერიტორიულად ძველ კულტურულ ნა-

კვალევს, ბუნებრივია, ვერ ასცდებია. პარტიისა და ხელისუფლების მხრით საგანგებო ყურადღების მეოხებით ძველი კულტურული წარსულის ნაშთები დღეს საერთო-სახალხო ზრუნვის საგნადაა ქცეული. კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა, კომუნალური თუ სახელმწიფო მშენებლობა და, ბოლოს, ინდივიდუალური მშენებელი,—არაფინ ერთი მეორეს ტოლს არ უდებს, რომ ინსტიტუტს აცნობოს ამა თუ იმ არქეოლოგიური ძეგლის აღმოჩენის შესახებ. კვირა იშვიათია, რომ ინსტიტუტს ასეთი ცნობა არ მოუვიდეს (წერილობით, დეპეშით, ტელეფონით ან პირადად). ყველგან ითხოვენ მიხედვას, ძეგლის გათხრას, შესწავლას. მრავალ მცირე სამუშაოთა გვერდით (მათი რიცხვი წლის მანძილზე არა ერთი ათეულია) ინსტიტუტი იძულებულია ზოგიერთ ახალმშენებლობასთან დაკავშირებით დიდი სამუშაოები სასწრაფოდ წამოიწყოს, რათა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი არ დაიღუპოს და არც მშენებლობის საქმე შეფერხდეს. მაგალითისათვის საკმაოა აღინიშნოს, რომ ისეთი დიდი მნიშვნელობის არქეოლოგიური ობიექტები, როგორცაა სამთავრო, ურეკი, კლდეეთი, ვაშნარი, თბილისი (განჯისკარი), რუსთავეი—ყველა ახალმშენებლობით გამოწვეული სამუშაოებია.

ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების მუშაკთა უმთავრესი ენერგია სწორედ ამ საშურ და საპატიო მეცნიერულ-პატრიოტულ საქმეს სჭირდება. მიმდინარე წელს ასეთი სამუშაოებია ურეკში, რაჭა-სვანეთში, რუსთავში, სოხუმში, თერჯოლის რაიონში, მცხეთაში და ვინ იცის, ამის გარდა სად გაგვიწვევს რომელიმე ახალმშენებლობა... ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგიაში მომუშავენი სწრაფად მომრავლდნენ, — დღეს ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებაში 9 უფროსი მეცნიერი თანამშრომელია, 4 უმცროსი და 3 ასპირანტი,—ისინი ვერ ჰყოფნიან ამ დიდ სამუშაოს. ამის შესაბამისად ინსტიტუტი გვემავს არქეოლოგთა კადრის რიცხობრივ ზრდას (თვისობრივი ზრდის საპირობებაზე ზემოთ საკმაოდ ითქვა), რათა არქეოლოგიური სამუშაოების სწრაფად მოზარდი მოთხოვნილების შესაფერისი დაკმაყოფილება უზრუნველყოს.

ამ პირობებშიაც ინსტიტუტი მიმდინარე წელსაც ინარჩუნებს საკვლევ არქეოლოგიიდან ორ ძირითად პრობლემაზე მუშაობას:

1. საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური რუკის შედგენის ხაზით კომპლექსური ექსპედიცია აფხაზეთში.
2. მეტალურგიის (სპილენძი, ბრინჯაო, რკინა) პრობლემა უძველეს საქართველოში.

პირველი პრობლემის აქტუალობისა და საპირობების შესახებ ზემოთ საკმაოდ ითქვა, ხოლო წელს მისი აფხაზეთში დაგეგმვა თავისთავად გასაგებია და დამატებით სიტყვას არ მოითხოვს.

რაც შეეხება მეორე პრობლემას, მისი მნიშვნელობა ძველი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურის თუ კულტურულ-სამეურნეო ისტორიისათვის განსაკუთრებულია. ამავე დროს ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრა დღეს სავსებით შესაძლებელია: მასალა დიდია დაგროვილი და, გარდა ამისა, სრული იმედია, რომ ჩვენი ექსპედიციების შედეგად ის კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდება (განსაკუთრებით ქართველთმცოდნეობის სათანადო მომარჯვებით)...

ასეთია, ზოგად ხაზებში, ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური განყოფილების მუშაობის პრინციპები და ამ პრინციპების თანახმად მიმდინარე პრაქტიკული საქმიანობა.

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ფისუყოფილება¹

აფხაზეთის კათალიკოსი XIII—XV ს-ში

უძველესი თარიღიანი ცნობა აფხაზეთის კათალიკოსის შესახებ, პირველი დედნის სახით ჩვენამდის მოღწეული, მეცამეტე საუკუნეზე აღრინდელი ჭერჭერობით ცნობილი არ არის. ასეთი ერთადერთი თარიღიანი ძეგლი — დავით ნარინის სიგელი 1290 წლისა — ხელთა ჰქონია პატივცემულ პროფ. ექვთიმე თაყაიშვილს და აქამდის გამოცემული არ არის².

„ახალციხური ტყავის სახარება XII საუკუნისა“ მისი მინაწერებით, სადაც სვიმეონ აფხაზეთის კათალიკოსია მოხსენებული, და რომელთაც განსვენებული თედო ჟორდანია „პალეოგრაფიული ნიშნებით“ „XI საუკუნის დამლევს, ან XII საუკუნის დასაწყისს“ მიაწერს³, დათარიღების მეტ საფუძვლიანობას მოითხოვს. ესევე ითქმის იმ სიგლის შესახებაც, რომელსაც განსვენებული მკვლევარი 1078 წლით ათარიღებს⁴, ხოლო ბ-ნი სარგის კაკაბაძე კი ლაშა გიორგის მიაკუთვნებს⁵. უკანასკნელ აზრს იზიარებს პროფ. ექ. თაყაიშვილიც⁶.

ამის გამო ჭერჭერობით უდავო არ არის ის მოსაზრება, თითქო აფხაზეთის საკათალიკოსო XIII საუკუნის ერთმეფობის ხანაში აღდგენილიყოს.

რაც შეეხება შემდგომდროინდელი პირის სახით ჩვენამდის მოღწეულ უძველეს ძეგლებს, რომლებშიაც აფხაზეთის კათალიკოსი იხსენიება, ასეთებია ქაშითაღმწერლის თხზულება, „წესი და განგება“

¹ პირველად დაიბეჭდა 1926 წ., „მიმოხილველი“, I, 1926, გვ. 99—121.

² ჯელმწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის გამოცემა, წინასიტყვაობა, V.

³ თ. ჟორდანია, ქრონიკები II, 88—90.

⁴ იქვე, 50.

⁵ ს. კაკაბაძე, შიომღვიმის სამი სიგელი, II.

⁶ ე. თაყაიშვილი, ჯელმწიფის კარის გარიგება, წინასიტყვაობა, V.

მეფეთ კურთხევისა“, „ქელმწიფის კარის გარიგება“ და დავით ნარინის მეორე სიგელი.

გარდა ამისა, აფხაზეთის კათალიკოსი იხსენიება XIV—XV საუკუნეების სხვადასხვა თარიღიან სიგელებში. სამწუხაროდ, გამომცემელნი არ აღნიშნავენ, ხსენებული ძეგლები დედანია თუ პირი. ასეთი სიგელებიდან შეგვიძლია დავასახელოთ გიორგი მეფის სიგელი 1451 წლისა⁷, ალექსანდრე დიდის სიგელი 1439 წლისა⁸ და კონსტანტინე მეფის სიგელი 1408⁹.

ზემომოყვანილი ძეგლებიდან მხოლოდ დავით ნარინის სიგელებია ორმეფობის ხანისა. ყველა დანარჩენი ძეგლი ერთმეფობას გულისხმობს¹⁰.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ამჟამად უდავოა ჩვენთვის: XIII საუკუნის ერთმეფობისა თუ ორმეფობის ხანაში აღდგენილი თუ ახლად დაარსებული აფხაზეთის საკათალიკოსო არსებობდა მაშინაც კი, როცა საქართველო ერთი ხელმწიფის გამგებლობის ქვეშ მთლიან სახელმწიფოს წარმოადგენდა¹¹.

როგორი იყო ამ დროს აფხაზეთის კათალიკოსის უფლებრივი მდგომარეობა? როგორს უფლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა ის ლიხთამერის კათალიკოსთან?

აფხაზეთის კათალიკოსთა შესახებ ცნობების შემცველობის მხრით ჩვენ მიერ მოყვანილი ძეგლები ორ ჯგუფად იყოფა: მეფეთა სიგელები და სამი დანარჩენი ძეგლი. სიგელები აფხაზეთის კათალიკოსის მართიე მოხსენიების გარდა სხვა რაიმე პირდაპირ ცნობას მათ შესახებ არ გვაძლევენ. მაგრამ საინტერესოა თვით ამ მოხსენების ხასიათიც.

7 ექ. თაყაიშვილი, საქ. სიძველენი, I, გვ. 1-3; თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, 262-3.

8 თ. ჟორდანი, ქრონიკები II, 224.

9 ექ. თაყაიშვილი, საქ. სიძველენი, III, 432-435. ეს უკანასკნელი სიგელი ე. წ. სასისხლო სიგელთა ჯგუფს ეკუთვნის. აფხაზეთის კათალიკოსი სხვა სასისხლო სიგელებშიც იხსენიება, მაგრამ თვით ეს სიგელები სინამდვილის მხრით საეკონი, არიან, ამიტომაც მათ არც ევასახელებთ. ხოლო დასახელებული სასისხლო სიგელი, ჩვენი აზრით, მათ შორის ყველაზე უფრო სანდოა.

¹⁰ რა თქმა უნდა, თუ ისინი პირშო დედანს სისწორით ვადმოგვეცემენ. რაც შეეხება კერძოდ ე-ალმწერლის თხზულებას, გამოთქმული მოსაზრება ეხება მხოლოდ მის იმ ნაწილს, თუ ნაწილებს, სადაც აფხაზეთის კათალიკოსის შესახებ ცნობებია მოთავსებული.

¹¹ ცნობების უქონლობის გამო ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ XIII ს-ში აღდგენილი თუ დაარსებული აფხაზეთის საკათალიკოსო განუწყვეტლად არსებობდა XV ს-ის მიწურულამდის. ამა თუ იმ ერთმეფობის ხანაში მისი არსებობა ამის საკმაო საბუთად ვერ ჩაითვლება.

სიგლის ბოლოში მეფე მიჰმართავს: „...და თქუენ წ-ნო მეუფენო აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო... უჯუარობით დაუმტკიცეთ“... ან კიდევ: „და თქუენ წ-ნო ქართლისა და აფხაზეთისა კ-ზნო უჯუარობით დაუმტკიცეთ“... დასახელებულ ხუთ¹² სიგელთაგან სამში აფხაზეთის კათალიკოსის მოხსენიება წინ უსწრებს ქართლის კ-სის მოხსენიებას, ორში კი პირუკუ: ქართლის კათალიკოსი პირველადაა მოხსენიებული.

რა თქმა უნდა, აქედან რაიმე დასკვნის გამოყვანა ნაჩქარევი იქნებოდა. ჩვენ უნდა გათვალისწინებული გვეკონდეს: 1) ვის ეძლევა სიგელი, 2) ვის მიერ არის ის მიცემული, 3) სად იწერება ის? მესამე კითხვის შესახებ ჩვენ ჯერჯერობით უმწეო ვართ¹³. მხოლოდ დავით ნარინის სიგლის შესახებ, რამდენადაც ისტორიული ცნობები გვაბედვინებენ, შეიძლება ითქვას, რომ ის დასავლეთ საქართველოშია დაწერილი. რაც შეეხება პირველს ორ კითხვას, მათ შესახებ შეგვიძლია ვუპასუხოთ: ხუთი სიგლიდან მხოლოდ ერთი—ალექსანდრე დიდის მცხეთისადმი ბოძებული სიგელი 1419 წ. — ეხება აღმოსავლეთ საქართველოს, ყველა დანარჩენი დას. საქართველოს ძეგლებია: ორი გელათისა, ერთი გელათის მეღვინეთუხუცესის, ერთიც ვირშელ წულუკიძის. სიგლების მიმცემთა ვინაობა ასეთია: დავით ნარინი სიგელის მიცემის დროს—მეფობის 42-ე წელი—ფაქტიურად დასავლეთ საქართველოს მეფეა; ყველა დანარჩენი მთლიანი საქართველოს მეფეები არიან¹⁴.

რას გვეუბნება ყველა ეს გარემოება?

იმას რომ: 1) აფხაზეთის კათალიკოსი იხსენიება ისეთ სიგელებში, რომელნიც ლიხთიმერეთს ეხებიან და 2) აქ ის წინ უსწრებს ქართლის კათალიკოსის მოხსენიებას. როგორც პირველს, ისე მეორე დასკვნას რამდენადმე სათუოდ ხდის არსებული თითო გამონაკლისი: 1) ალექსანდრე დიდის სიგელი მცხეთისადმია ბოძებული და ქართლის კათალიკოსის გვერდით აფხაზეთის კათალიკოსიც არის შიგ მოწოდებული სიგელის დამამტკიცებლად, 2) გიორგი მეფის მიერ ბოძებულ წულუკიძის სიგელში ქართლის კათალიკოსი წინ უსწრებს აფხაზეთის კათალიკოსს.

პირველი გამონაკლისის მიერ გამოწვეულ ეჭვს ანელებს ის გარემოება, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი სხვა სიგელი ალექსანდრე დიდისა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ეხებოდეს და

¹² ექ. თაყაიშვილის ხელში არსებული სიგლის ცნობით, სამწუხაროდ, ვერ ვსარგებლობთ.

¹³ რა თქმა უნდა, ეს არ იქნება მაშინ, როცა ჩვენი დიპლომატიკა ზედმიწევნით შესწავლილი და გაშუქებული იქნება.

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, IV წიგნი.

შიგ დამამტკიცებელთ შორის აფხაზეთის კათალიკოსიც იყოს მოწოდებული. ეს ასეა არა მარტო ალექსანდრე დიდის მიმართ: პირადად ჩვენ არ შეგვხვედრია XIII—XV სს.¹⁵ არც ერთი ისეთი სიგელი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ენებოდეს, მეფის მიერ იყოს მიცემული და დამამტკიცებლად აფხაზეთის კათალიკოსს მოუწოდებდეს. ყველგან ამ დროის აღმ. საქ. სიგელებში, რომლებშიაც კი არის მიმართვა უმაღლესი სამღვდელთაგანს, კათალიკოსთა შორის მხოლოდ ქართლის კათალიკოსია მოხსენიებული, ის ამტკიცებს მათ¹⁶.

თუ ამასთან ერთად მოვიგონებთ იმ გარემოებას, რომ არ მოიპოვება არც ერთი სიგელი ხსენებული ეპოქისა, თუნდაც დას. საქართველოს შესახებ, რომელსაც მხოლოდ აფხაზეთის კათალიკოსი ამტკიცებდეს, მაშინ ჩვენ მიერ ზემოთ სათუოდ გამოთქმული დასკვნებიდან გადაჭრილი აზრის გამოტანა არც თუ სახიფათოდ გვეჩვენება: ერთმეფობისა და ორკათალიკოსობის ხანაში აფხაზეთის კათალიკოსი მხოლოდ ლიხთ-იმერეთის ეკლესიის კათალიკოსია მაშინ, როცა ქართლის კათალიკოსი სრულიად საქართველოს ეკლესიის უზენაესი საკეთმპყრობელია.

მივმართოთ სხვა ძეგლებს. თუ მართალია პროფ. ექ. თაყაიშვილის მოსაზრება, რომ რუსუდან მეფის კურთხევის დროს მოხსენიებულ „კათალიკოზნი ორნივე“-ს შორის „ერთი აფხაზეთის კათალიკოსი უნდა იყოს“¹⁷, მაშინ ესევე ითქმის ფ-ალმწერლის თხზულების იმ ადგილის შესახებაც, სადაც ის მოგვითხრობს, რომ გიორგი ლაშას შეუფერებელი საქციელი „კათალიკოზთა: ორთავე: და: თავადთა: ამის: სამეფოსათა: და: უმეტეს: ივანე:“ ათაბაგს უმძიმდათო. ამის გამო „არღარა ინებეს მასთანა სამარადისო ყოლა (ბარათ. ვარიანტით: ყოფა); არამედ განეშორნეს და თვს თვსად იყოფოდეს“¹⁸.

ორივე ამ ადგილიდან ირკვევა: აფხაზეთის კათალიკოსი მეფის კურთხევაში მონაწილეობს; როგორც უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალი, ის ქართლის კათალიკოსთან ერთად სამეფო კარის წევრია. ფ-ალმწერლის თხზულების მესამე ადგილი, სადაც სახელდობრ აფხაზეთის კათალიკოსია დასახელებული, ენება დავით ნარინის მეფედ კურთხევას. რუსუდან მეფემ „ვითარცა: წარგზავნა: ძმის: წული: საბერძნეთს: მოუწოდა: ყოველთა: სპათა: მისთა: აფხაზთა: დადია: ბედიანთა: რაჭის: ერის: თავთა: კათალიკოზსა: აფხაზეთისასა: და დასვეს: მეფედ: დავით: ძე: რუსუდანისა: აკურთხეს: ქუთათის: და დაადგეს: თავსა მისსა: გვირ-

¹⁵ ვეულისხმობთ XV საუკუნის მე-60 წლებამდის.

¹⁶ საქ. სიძ., II, 9, 12, 38; ქრონიკები, II, 149, 191, 260.

¹⁷ ე. თაყაიშვილი, ველმწიფის კარის ვარიგება, წინასიტყვ., VI, 3-8 ლ. ფლსუ ქ-ცა— 564, 742.

¹⁸ იქვე, 548, 730.

გვინის: დასვეს: ტახტსა: ზედა: სამეფოსა: და: მიულოცეს: მეფობა: წესისა: ებრ: (აქ ქ-ცა უმატებს: და) სრულყო: კათალიკოზმან: წესი: კურთხევისა:“¹⁹ ამ ამონაწერის კონტექსტი იმ აზრს უჭერს მხარს, რომ დავით რუსუდანის ძის კურთხევის წესი „სრულყო“ მხოლოდ აფხაზეთის კათალიკოსმა ტექსტის ასეთი გაგების სისწორეს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ იგივე ე-ალმწერელი რუსუდან მეფის კურთხევის მოთხრობის დროს თითქო ხაზგასმით აღნიშნავს „კათალიკოზთა ორთავ“-ეს მონაწილეობას²⁰. ამასვე უჭერს მხარს ისიც, რომ ე-ალმწერელი დავით ნარინის კურთხევის მოთხრობის ბოლოს საჭიროდ სცნობს გვამცნოს: „ხოლო: ამიერ: ესე: სამეფო: უცილო: (ქ-ცაში: უცალო) იყო: ხვარაზმელთაგან: რამეთუ: მანდატურთ: უხუცესი: შანშა: იყო: ანისა: და: ამირ: სპასალარი: ავაგ მიჯნისა: [ბიჯნის:] ეგრეთვე: ვარამ: გაგელო: ჰერნი: და: კახნი: სომხითარნი: ქართველნი: თორელნი: შავშნი, კლარჯელნი: ტაოელნი: ყოველნი: სიმაგრეთა: შინა: ციხოვნდებოდენ: თვით-ოეულნი: მორჩილებასა: შინა: მეფის: რუსუდანისასა: და: უცილოებისა: [—უცალოებისა] ძალითა: ვერ: დაუხვდეს: და: ლოცვასა:/დალოცვასა/მეფისა: დავითისა“²¹. მაგრამ აქ ქართლის კათალიკოსის მოუხსენიებლობა, ცოტა არ იყოს, უცნაურია და, თუ ეს ადგილი სწორად არის ჩვენამდის შოლწეული, მაშინ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ზემომოყვანილ „სრულ: ყო: კათალიკოზმან: წესი: კურთხევისა:“-ში ქართლის კათალიკოსი იგულისხმება,—რა თქმა უნდა, იმ აუცილებელი პირობით, თუ მთელი ეს მოთხრობა ლაშა გიორგიდან ვიღრე დავით რუსუდანის ძის გამეფებამდის ერთს ავტორს ეკუთვნის.

ამრიგად, მხოლოდ აფხაზეთის კათალიკოსის მიერ დავით რუსუდანის ძის კურთხევის სრულყოფა უდავო არ არის და ჩვენს ცოდნას ხსენებული მღვდელმთავრის შესახებ ახალს ვერაფერს ჰმატებს.

აფხაზეთის კათალიკოსის უფლებრივ დამოკიდებულებას ქართლის კათალიკოსთან უდავოდ ცხადჰყოფს „წესი და განგებაჲ მეფეთ კურთხევისა“²².

აქ აფხაზეთის კათალიკოსი კი არ აკურთხებს მეფეს, არამედ სრულიად საქართველოს კათალიკოსი ანუ „კათალიკოზი“, როგორც ის ამ ძეგლში იწოდება. მეფეთ კურთხევას შესაძლოა აფხაზეთის კათალიკოსი არ დაესწროს²³, ხოლო „ესე საცნაურ იყავნ, რომელ თვნიერ კათალიკოზისა არა ვისგან ჯერ არს კურთხევა“²⁴. აფხაზეთის კათალი-

19 მ-მ დ'ფლის ქ'ცა, 583, 757.

20 რა თქმა უნდა, თუ აქ აფხ. კ-სი იგულისხმება. მ-მ დ'ფლის ქ'ცა, 564, 742.

21 მ-მ დ'ფლის ქ'ცა, 584, 758.

22 „მეფის კურთხევის წესი“ — ტექსტი, ს. კაკაბაძის გამოც.

23 იქვე, 617, 76, 88.

24 იქვე, 822-23.

კოსის მავიკრობა მისი არ ყოფნის დროს შეუძლია იშხნელ მთავარ ეპისკოპოსმა გასწიოს²⁵. ეკლესიაში სამეფო ადგილზე დასაყენებლად წასაყვან მეფეს „დაუბყრას კელი მარჯუშენე კათალიკოსმან: ხოლო უკეთუ აფხაზეთისა კათალიკოსი არ იყოს: იშხნელმან ანუ მთავარ ეპისკოპოსმან: [მარცხენე] და წარიყვანონ და სამეფოსა ადგილსა დააყენონ“²⁶. ასევე ნაკურთხი მეფის პალატად წამოყვანის დროსაც²⁷.

როგორც აქ ნაჩვენებია ადგილებიდან, ისე მთლიანი ძეგლიდან უდავოდ ჩანს:

1. აფხაზეთის კათალიკოსის უფლება არა აქვს მთლიანი საქართველოს მეფის კურთხევისა, 2. საეკლესიო იერარქიის კიბურზე ის ქართლის კათალიკოსზე დაბლა დგას.

აქ მიღებული დასკვნები შესამჩნევად უდგება და ამტკიცებს სიგელების განხილვის შედეგად მიღებულ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს. ✕

ესლა ჩვენ მეტის გაბედულობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავით ნარინის მაკურთხეველი კათალიკოსი აფხაზეთის კათალიკოსი კი არ არის, არამედ ქართლის კათალიკოსია. წინააღმდეგი მოსაზრება საკითხს დასვამდა ერთის მხრით დავით ნარინის კურთხევის წესის სრულყოფის კანონიერების შესახებ და მეორეს მხრით (უკეთუ კურთხევის წესის სრულყოფა აფხაზეთის კათალიკოსის მიერ „წესისაებრ“ იყო) ამ კურთხევისა და „მეფეთკურთხევის წესი და განგება“-ს ტექსტის დაწერის ქრონოლოგიური ურთიერთობის შესახებ. თუ „მეფეთკურთხევის წესი და განგება“ დავით რუსუდანის ძის მეფედ კურთხევამდის არის შედგენილი, მაშინ მხოლოდ აფხაზეთის კათალიკოსის მიერ ხსენებული მეფის კურთხევის წესის სრულყოფა „წესისაებრ“ ვერ არის და მაშ უკანონოა. ხოლო თუ ასეთი რამ წესიერია, მაშინ „მეფეთკურთხევის წესი და განგება“-ს ტექსტის შედგენა დავით ნარინის მეფედ კურთხევის შემდგომ ხანას უნდა მიეკუთვნოს²⁸. თუ

25 მეფის კურთხევის წესი, 817-18, 76, 89.

26 იქვე, 816-19, რომ აქ ტექსტს მართლაც აკლია და ჩვენი დამატება: „მარცხენე“ სწორია, ამას ამტკიცებს შემასმენლები „წარიყვანონ“, „დააყენონ“.

27 იქვე, 87-8.

28 ბ-ნი სარგის კაკაბაძე ხსენებული ძეგლის შედგენას თამარის მეფობის მეორე ნახევრით და ლაშა გიორგის გამეფების წინა ხანით ათარიღებს (იხ. მეფის კურთხევის წესი, წინასიტყვაობა). ვფიქრობთ, ეს დათარიღება ვერ არის სწორი. სრულიად სამართლიანია ბ-ნი ს. კაკაბაძის მოსაზრება, რომ ეს წესი მეფეთკურთხევისა XIII საუკუნეზე აღრინდელი არ შეიძლება იყოს, „რადგან მასში მოხსენებული თანადგობა ათაბაგისა შემოვიდა ჩვენში XIII საუკუნის დასაწყისს და პირველი საქართველოს ათაბაგი იყო ივანე მხარგრძელი“. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ სწორედ იმავე ათაბაგის მოხსენიება უარყოფს ბ-ნი ს. კაკაბაძის მიერ დათარიღების სისწო-

უკანასკნელი შესაძლებლობა გამართლებოდა, მაშინ ჩვენ „მეფეთ-კურთხევის წესი და განგება“-ში აფხაზეთის კათალიკოსის უფლებრივ ჩამომცრობასთან გვექნებოდა საქმე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „მეფეთ კურთხევის წესის“ შედგენის მერმინდებლობა სრულიად არ განსაზღვრავს დავით რუსუდანის ძის მხოლოდ აფხაზეთის კათალიკოსის მიერ კურთხევის კანონიერება-უკა-

რეს. როგორც ცნობილია, ათაბაგობა საქართველოში შემოღებულ იქნა თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში, — სახელდობრ ზაქარია ამირსპასალარის სიკვდილის შემდგომ.

ზაქარია კი ჯერ კიდევ 1211 წელს ცოცხალი ჩანს (იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, ტომი II, გვ. 630—631). გიორგი ლაშა კი ამ დროს კარგა ხნის გამეფებული იყო და მეფედ ნაკურთხიც, თუ „1204 წლის დასასრულს ან 1205 წლის დასაწყისს“ არა, როგორც ანგარიშობს ს. კაკაბაძე, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 1207 წლისა (იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტომი II, გვ. 619, 634). აქედან ცხადია, ჯერ არ არსებული ათაბაგი გიორგი ლაშას კურთხევის ვერ მოულოცავდა, ამიტომ „წესი და განგება მეფეთ კურთხევისა“ „გიორგი ლაშას კურთხევისათვის“ არ შეიძლება იყოს შედგენილი.

არსებობს, ჩვენის ფიქრით, მეორე გარემოებაც, რომლის მიხედვით ხსენებულ დეგლი არ შეიძლება შედგენილი იყოს თვით პირველი ათაბაგის ივანეს და მისი ძის ავაგ ათაბაგ-ამირსპასალარის სიცოცხლეშიაც კი. საქმე ის არის, რომ ჩვენი რეგლის ტექსტი ათაბაგობას საესებით ჩამოყალიბებულ და ამირსპასალარობისაგან გამოჩნულ თანამდებობად გულისხმობს. „ამირსპასალარი ხრმალ შემორტყმული მარჯუენით კერძო „ჰყევიბოდეს“ ეკლესიაში საკურთხეველად მიმავალ მეფეს (იხ. მეფის კურთხ. წესი, 5—6), „ხოლო ჰყონდიდელი და ათაბაგი მარცხენით მეფისა ვილოდეს და სხვანი მთავარნი“ (იქვე, 6). ივანე სარგისის-ძე კი ათაბაგობის მიღების შემდგომ ამირსპასალარიც იყო. მან ორივე ეს ხელი ერთად მიიღო. მართალია, ამირსპასალარობის მიღების შემდეგ ის ამ ხელით ერთხელაც არ იმსენიება, არამედ მხოლოდ ათაბაგად იწოდება, მაგრამ არც ვინმე სხვა ჩანს ამირსპასალარი და ამავე დროს ყველა მნიშვნელოვან ომს ის მოთავეობს. ასევე ავაგიც. „რომელი: სპასალარობისაგან: [ქ-ცა; ამირსპასალარობისაგან: ათაბაგ: იქმნა: მეფისა. რუსუდანისა მიერ“. ამირსპასალარობა კი მან მიიღო, როცა „მოიცვალა ივანე: ათაბაგი: და: მთავარ: ყუეს: ძე: მისი: ავაგ: და უბოძეს ამირსპასალარობა“, (იხ. მ-მ დ'ფლის ქ-ცა. გვ. 570, 607).

ამის შემდეგ ავაგი ზოგჯერ მხოლოდ ამირსპასალარად იწოდება (იქვე, გვ. 584), ზოგჯერ ათაბაგად და ამირსპასალარად (იქვე, 572), ხან კიდევ მარტო ათაბაგად (იქვე, 630). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ არც ივანეს და არც მისი ძის ავაგის სიცოცხლეში ათაბაგობა ამირსპასალარობისაგან გამოჩნული ხელისუფლება არ ყოფილა (ყოველ შემთხვევაში ორივე ხელის მატარებელი ჯერ მამა იყო და მერმე მისი ძე). ამიტომ მეფედ კურთხევის ასეთი წესი საეჭვოა ამ დროს დაწერილიყოს.

ძეგლში მესამე დამაფიქრებელი გარემოებაცაა. იქ ვკითხულობთ, რომ ახლად კურთხეულ მეფეს, როცა მას კათალიკოსი და ჰყონდიდელი ტახტზე დააბრძანებენ, „პ'დ დედოფალმან თაყუანი სცეს, მერმეთა კათალიკოზმან, ჰყონდიდელმან, ათაბაგმან, მანდატურთუხუცესმან, ამირსპასალარმან, მეჭურჭლეთ უხუცესმან, მსახურთ-

ნონობას. ამისათვის ჩვენ უნდა გვეცოდნოდნო მეფეთ კურთხევის წესი გიორგი ლაშასა და რუსუდანის მეფობათა დროისა. მართალია, ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ რუსუდანის კურთხევა ორთავე კათალიკოსთა თანდასწრებით იქმნა სრულყოფილი, მაგრამ ისტორიული მოთხრობა, თუნდაც მოვლენის სისწორით გადმოცემში, სახელმწიფო სამართლის ძეგლი არ არის, რომ მისი გარდახვევა უკანონობად მივიდოდ.

განსახილველი დაგვრჩა „ქელმწიფის კარის გარიგების“ ცნობები.

სამწუხაროდ, როგორც ცნობილია²⁹, ტექსტი ამ შესანიშნავი ძეგლისა ნაკლულევანიც არის და გადამწერთაგან არეულიც. სწორედ ერთ იმ თავთაგანში, რომელსაც ჩვენამდის ნაკლულევანად მოუღწევია, როგორც გადარჩენილი ნაწილიდან ჩანს, ჩვენი მიზნისათვის მეტად საინტერესო ცნობები ყოფილა. იქ ვკითხულობთ:

„...პირმშობეაჲ მან მიილო და ოდეს აკურთხეს არ მაგად აკურთხევენეს, არ მოელის კათალიკოსსა, რომე არავი ქი ქვეშეთ შექმოდესო. ვარქვე, და აცილნეს ორნივე კათალიკოსნი: „არა მე მმართვესო, არა მეო“³⁰. აქედან ცხადად ჩანს, რომ ერთი კათალიკოსთაგანი სარგებლობს პირმშობის მიმდების კურთხევის უფლებით, მაშინ როცა ზეორისათვის ასეთი უფლების მინიჭება შესაძლებლად ვერ უცვნიათ. უკანასკნელი ასეთ მოვლენას მის მიმართ უკანონობად სთვლის და ამას იმით ასაბუთებს, რომ კათალიკოსი არ შეიძლება სამღვდელო-

უხუცესმან და შემდგომად ხელოსანთა და უხელოთა დარბაზის-ერთა სრულიდთა“ (მეფის კურთხ. წესი, 8).

ამ ამონაწერის ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ აქ მსახურთუხუცესი იმ განსაკუთრებულ ხელოსან დარბაზის-ერთა რიცხვშია, რომელთაც ვაზირები ეწოდებოთ. თუ ეს არა, მაშინ მსახურთ უხუცესის უწინ ამირაზორი იქნებოდა დასახელებული, რომელიც უკვე მსახურთუხუცესის გავაზირების შემდეგაც კი უკანასკნელის სწორი პატივით სარგებლობდა (იხ. ხელმწიფის კარის გარიგება, მუხ. 25), მაგრამ აქ, როგორც ვთქვით, ხელოსან დარბაზისერთა ჩამოთვლა ვაზირებთ წყდება. „მსახურთ უხუცესი“ კი „მანაველი რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზროსა და ვაჩნაძე შეუყვანია“ (ხელმწ. კარ. გარიგ., მუხ. 36).

ამის გამო ეს ძეგლი რუსუდანის გამეფებამდის არ შეიძლება იყოს დაწერილი. ხოლო რომ ეს წესი დავით ნარინის კურთხევისათვის არ არის შედგენილი, ეს აშკარაა ყველასათვის, ვინც დავით ნარინის მეფედ კურთხევის მოთხრობას (იხ. შამღვის ქცა, გვ. 583) ამ ძეგლს შეადარებს.

ყველა ამის გამო ვფიქრობთ, რომ „მეფის კურთხევის წესი და განგება“ არ შეიძლება დადებულ იყოს XIII საუკუნის 40-იან წლებზე ადრე.

²⁹ ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია; ე. თ ა ყ ა ი - შ ვ ი ლ ი, ხელმწიფის კარის გარიგება, წინასიტყვაობა.

საეკლესიო საკითხში მეორე კათალიკოსს ემორჩილებოდესო. მისი განცხადება ყურადღლიათ და ამ უფლებრივი საკითხის გამოსარკვევად კათალიკოსთა პაექრობა გაუმართავთ. პაექრობის დროს თითოეული თავისას ამტკიცებდაო.

სამწუხაროდ, ტექსტის ნაკლულევანობის გამო ჩვენ არ ვიცით ვინ იყო ის პირმშობის მიმღები, ან კიდევ, რომელ კათალიკოსს აკურთხევენ და რომელს არა. ზემოთ მიღებული დასკვნების შემდეგ საფიქრებელია, რომ აქ მოთხრობა უნდა ეხებოდეს რომელიმე მეფის კურთხევას, რომელიც აფხაზეთის კათალიკოსს არ აკურთხევენეს...

მაგრამ აქ საინტერესოა სწორედ ის მოვლენა, რომ ორ კათალიკოსს შორის ცილობაა უფლებრივ ნიადაგზე და „არავექ ქვეშეთ შექმნილი“ უფროსთან გათანასწორებას ლამობს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ძეგლის დაწერის დროს (ე. ი. არა უადრეს XIII საუკუნის დასასრულისა) ერთი კათალიკოსთაგანი მეორეზე დაბლა დგას და განსაზღვრული მოვლენები მხოლოდ უკანასკნელის უფლებაში შედის. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნაკლულევანობის გამო ტექსტი შეიძლება სხვაგვარადაც იქნეს გაგებული.

კარის გარიგების სხვა ადგილებიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის კათალიკოსი ისეთივე პატივით სარგებლობს წვევისა და მიგებების დროს, როგორც ქართლის კათალიკოსი: „ამირეჯიბს მართებსო ოთხთა მონაზონთა და სამთა ვეზირთა წვევაო“, ეკამათება ავტორი იმას, ვისაც „მოძღვართ მოძღვრისა, კათალიკოზთა, ჭყონიდლისა, რაჲ დარბაზს მოვიდნენ, წვევა სამთა საბატითთა დარბაისელთა საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია“³¹. „ეგრეთვე კ-ზი, რომელიც მოვიდეს, ეგრეთვე ეთაყვანოს და მეფემანცა ეგრევე ჭელნი დაასხნეს დამრუდებითცა, გინა ნოხსა ზელა მესამედი წამოიაროს“³² — წერს ავტორი მიგებების წესში.

ასევე თანასწორი პატივით სარგებლობენ ორივე კათალიკოსი პურობის დროსაც: „მწდე ჩვენთაცა დარბაზით ათქს ოთხთავე: მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა, ჭყონიდელსა და სამთა ვეზირთა“...³³ „ამირეჯიბი კათალიკოზთა, მოძღვართმოძღვარ(სა), ჭყონიდელსა. ამათ წინ ტაბლას დასდგამენ და ზედ ტაბაკს იგი დაუდგამს. ეს ოთხნივე ადგებიან“³⁴...

აქედან ირკვევა, რომ აფხაზეთის კათალიკოსი სამეფო დარბაზობა-პურობაში მონაწილეობს და ქართლის კათალიკოსის სწორი პატი-

30 ხელმწიფის კარის გარიგება, 18₂₄.

31 იქვე, 12₂₃.

32 იქვე, 13₂₄.

33 იქვე, 12₂₂.

34 იქვე, 17₂₃.

ვით სარგებლობს. მაგრამ ჩვენ მართალი არ ვიქნებოდით, თუ ვიტყოდით, რომ მათი პატივის თანსწორობა სრულია, სანამ გამორკვეული არ არის, თუ რომელი კათალიკოსი იჯდა პურობა-დარბაზობის დროს მეფესთან უფრო ახლოს. რომ სწორედ ჯდომის წესს აქვს არსებითი მნიშვნელობა ორ თითქმის თანასწორ პატივით მოსარგებლე ხელისუფალთა შორის განსხვავების გამოსარკვევად და არა იმ გარემოებას, თუ როგორ მიესალმება მათ მეფე, ან კიდევ რამდენის ჯამით დაუდგამენ შექამადს პურობის დროს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მეფე თანასწორად მიესალმება „სამთა ვეზირთა“³⁵, ასევე პურობის დროს „განმგეთ უხუცესი მონაზონთა ოთხთავე სამ-სამის ჯამით, ეგრეთვე სამთა ვეზირთა ითვალავს“³⁶. ჩვენ კი ყოველ ეჭვს გარეშე ვიცით, რომ ჰყონდიდელსა და ვაზირთ შორის უფროს-უმცროსობის მხრით განსხვავება იყო. მისალმების წესში მხოლოდ ჯგუფები განსხვავდებიან და თითოეულ ჯგუფში მოყოლილ ჯელისუფალთა პატივის მეტნაკლებობა არ მოჩანს. ასევე არის შექამადის მირთმევის წესშიაც. სულ სხვაა ჯდომის წესი: აქ პატივის მეტნაკლებობა აუცილებლად ჩანს ერთი ჯგუფის წევრთ შორისაც. სამწუხაროდ, „კელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი გარკვევით არას ამბობს იმაზე, თუ ვინ სად (მარჯვენით მეფისა თუ მარცხენით) და ვის შემდგომ იჯდა (შესაძლებელია ეს სწორედ დაკარგულ ნაწილში იყო). თუ სხვა ჯელისუფალთა ჯდომის წესის გამოსარკვევად შეგვიძლია მათი დასახელების რიგის მიხედვითაც ვიხელმძღვანელოთ, კათალიკოსთა შესახებ ასეთი ხერხი არ გამოდგება: ისინი ცალ-ცალკე არ არიან მოხსენიებული.

მხოლოდ ერთი ადგილი მოიპოვება, რომელიც, მართალია, საკითხს დამოუკიდებლად ვერ გადაგვაწყვეტინებს, მაგრამ რამდენიმე მოსაზრების გამოთქმის საშუალებას იძლევა. ეს ის ადგილია, სადაც ჩვენი ავტორი ეკამათება „ზოგთა ვი[ე]თმე“, რომელთაც „ასრე დაუწერია, ვითა ტრაპიზონელ[ნი] და შარვან-შანშე და სომეხთა მეფე რა მოვიდნენ საჯდომი ერთი [არ] არის ოთხთავე“³⁷... „ამ ოთხთაგან ერთი საჯდომი მარჯვენით დაუწერია მოძღვართ-მოძღვრისა და აფხაზეთის კ-ზისა ქვეშეთ და ჰყონდიდლისა ზემოთ, ეს თვთ მართალია მუნ მათი, მაგრამ მე ვიცი პატრონისა ბრძანებად, რომე ოთხნივე დაისხმიან დიდროანითა სკამითა“³⁸. ეხლა ერთი მაინც ვიცით: დიდი დარბაზობის დროს აფხაზეთის კათალიკოსის ქვემოთ ქართლის კათალიკოსი არ ზის. კარის გარი-

35 იქვე, 324.

36 იქვე 1733.

37 იქვე, 1220.

38 იქვე, 1221.

გების სხვა ადგილებიდან ჩანს, რომ ორივე კათალიკოსი მეტი პატივით სარგებლობენ, ვიდრე ჭყონდიდელი³⁹. ამიტომ დასაშვებია არ არის, რომ ქართლის კათალიკოსი დიდი დარბაზობის დრო ჭყონდიდლის ქვემოთ იჯდეს. წვევისა და მისალმება-მოკითხვის წესიდან ვიცით აგრეთვე, რომ მოძღვართ-მოძღვარი მეტის პატივით სარგებლობს, ვიდრე კათალიკოსნი⁴⁰. ამიტომ საფიქრებელი არაა, თითქო კათალიკოსი მოძღვართ-მოძღვრის ზემოთ იჯდა. დარჩა ორი შესაძლებლობა:

³⁹ სრულიად საწინააღმდეგო აზრისაა ძველის პატივცემული გამოცემული. წინასიტყვაობის XXIX გვერდზე, სადაც მოძღვართ-მოძღვარზე აქვს საუბარი, ბ-ნი ექვთიმე ამბობს: „მოძღვართ-მოძღვარს უფრო მეტი პატივი აქვს ვიდრე სხვა ეპისკოპოსებს, მეტი პატივი აქვს ვიდრე ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსებს. პატივი მისი სწორია ჭყონდიდელის პატივისა, მაგრამ ზოგჯერ ამასაც მეტობს“. აქედან ცხადა, ბ-ნი ექვთიმეს აზრით ჭყონდიდელის პატივი ჰმეტობს კათალიკოსთა პატივს, ყოველ შემთხვევაში ზოგჯერ მაინც. ჩვენის აზრით, კარის გარიგების ტექსტი ასეთ დასკვნას არ ამართლებს. იქ ვკითხულობთ: „მწღე ჩვენთაჲცა დარბაზით ათქს ოთხთაჲვე; მოძღვართ-მოძღვარსა. კათალიკოსთა და ჭყონდიდისა, რა დარბაზს მოვიდნენ... საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია...“ (მუხ. 23). „ამირეჯიბს მართებსო ოთხთა მონაზონთა და სამთა ვეზირთა წვევა“ (მუხ. 23). „ეგრეთვე კ-ზი, რომელიც მოვიდეს, ეგრეთვე ეთაყვანოს და მეფემანცა ეგრევე ხელნი დაასხნეს დამრუდებითა გინა ნომსა ზედა მესამედი წამოიაროს და მითვე წესითა ჭყონდიდელსა“... (მუხ. 24). „აწ ესე მოძღვართ-მოძღვარი, კათალიკოსნი, ჭყონდიდელი... ქვე ღვანან თავის ადგილსა“ (მუხ. 32). „კათალიკოსნი, მოძღვართ-მოძღვარი, ჭყონდიდელი... ყოველნი ზეადგებიან“ (მუხ. 33). „მეფე აწვევს კათალიკოსთა, მოძღვართ-მოძღვართა, ჭყონდიდელსა (იქვე). „ამირეჯიბი კათალიკოსთა, მოძღვართ-მოძღვართა, ჭყონდიდელსა ამათ წინ ტაბლას დასდგამენ და ზედ ტაბაკს იგი დაუდგამს“ (იქვე). „ვანმგეთ უხუცესი მონაზონთა ოთხთაჲცა სამსამის ჯამით ითვალავს“ (იქვე). „ამ ოთხთაგან ერთი საჯდომი მარჯვენით დაუწერია მოძღვართ-მოძღვრისა და აფხ. კათალიკოსისა ქვეშეთ და ჭყონდიდელისა ზემოთ“ (მუხ. 21).

აი, ყველა ის ადგილი, სადაც ოთხნივე მონაზონი ერთად არიან მოხსენებული, მეფის მიერ მისალმების წესიდან (ე. ი. ვის უწინ უნდა მიესალმოს და ვის შემდგომ ან უკეთ, ვინ ვის შემდგომ უნდა წარუდგეს მეფეს სადარბაზოდ) და ჩამოთვლის რიგის ხასიათიდანაც ნათელია ის, რაც მე-21 მუხლიდან აშკარა ხდება. ჭყონდიდელს მეფე მიესალმება მოძღვართ-მოძღვრისა და კ-ზთა — „რომელიც მოვიდეს“ — მისალმების შემდგომ. „ოთხთა მონაზონთა“ ჩამოთვლის დროს ის ყოველთვის უკანასკნელად მოხსენიება. ის აფხაზეთის კ-სის ქვემოთ ზის.

⁴⁰ 1324, 1221. მოძღვართ-მოძღვრის მეტ პატივმოსილობას კათალიკოსებთან შედარებით თითქო კარის გარიგების 33-ე მუხლი ეწინააღმდეგება. აქ არაერთი მოძღვართ-მოძღვარია ნაგულისხმევი და ისინი კათალიკოსთა შემდგომ არიან დასახელებული. ვფიქრობთ, რომ ეს ადგილი შეცვლილია მერმინდელი გადამწერის მიერ. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ სწორედ იმ დარბაზობის აღწერილობის ბოლო მუხლში, რომელსაც უშუალოდ პურობის აღწერილობა მოსდევს, ერთი მოძღვართ-მოძღვარია დასახელებული და ჩამოთვლის წესში, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველი ადგილი უჭირავს (იხ. მუხ. 32). ეს მუხლი თანაბრად ეკუთვნის როგორც

დიდი დარბაზობის დროს ქართლის კათალიკოსი ზის ან მოძღვართ-მოძღვრის შემდგომ და აფხაზეთის კათალიკოსის ზემოთ⁴¹ ან კიდევ ის მარცხენით მეფისა ზის და აქ პირველი ადგილი უჭირავს. უკანასკნელ აზრს თითქო მხარს უჭერს მეორე ნაკლულევანად შენახული დარბაზობის აღწერილობის შემდგომ მოყოლილი პურობის ერთი ადგილი:

აეტორი ჩამოთვლის პატივის მეტ-ნაკლებობის წესის მიხედვით საეკლესიო და საერო კელისუფალთ და განაგრძობს: „ამას ზედა ეპისკოპოზნი ქართლისა კათალიკოზისავე, გელათელნი, ძმანი გარესჯელნი და თორმეტნი უდაბნოთანი, ვითარცა მართებს, ქვემო სწერია, ესენი მარცხენის მკარს სუფრასა“⁴²: თუ აქ პრ. ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ დასმულ განკვეთის ნიშნებს მივიღებთ, მაშინ „ეპისკოპოზნი ქართლისა კათალიკოზისავე“ „მარცხენის მკარს სუფრასა“ ყოფილან. ხმარებული ნაწილაკი „ვე“ („კათალიკოზისავე“) კი გვაფიქრებინებს, რომ დაკარგულ წინა ფურცლებში უნდა ყოფილიყო აღნიშნული, რომ ქართლის კათალიკოსი მარცხნით მეფისა იჯდა. მაგრამ თუ პლი გამომცემლის წინააღმდეგ სიტყვა „კათალიკოზისავე“-ს შემდგომ წერტილს დავსვამთ მძიმეს მაგიერ, — სულ სხვას მივიღებთ: მონასტრების წარმომადგენელნი მარცხენის მკარს სუფრასა ყოფილან, ხოლო „ეპისკოპოზნი ქართლისა კათალიკოზისავე“ და მაშ თვითონ ქართ. კ-სიც მარჯვენის მკარს სუფრასა. სამწუხაროდ, ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი ჩვენი სახელმწიფო სამართლის ისტორიისათვის—დარბაზობის წესი — არც ისტორიულად და არც რომელიმე ეპოქისათვის ჯერ შესწავლილი არ არის. ამიტომ ამ კითხვის გადაწყვეტა სახელდახელოდ შეუძლებელია, მით უფრო, რომ ჩვენთვის ამ ყამად საინტერესო ხა-

დარბაზობას (მის დასასრულს), ისე პურობას (დასაწყისს). თუ, ამრიგად, პურობის დასაწყისში ერთი მოძღვართ-მოძღვარი იყო, საითვანდა გაჩნდნენ პურობის დროს მოძღვართ-მოძღვარნი და ისიც პატივშემცირებულნი?

რომ ეს მუხლი შემდგომ არის შეცვლილი და რომ თავდაპირველად აქაც ერთი მოძღვართ-მოძღვარი იჯულისხმებოდა (და ალბათ ეწერებოდა კიდევ). ამას ცხადპყოფს შემდეგიც. იქ ვკითხულობთ: „ამირეჯიბი კათალიკოზთა, მოძღვართ-მოძღვართა, ჭყონდელსა, ამათ წინ ტაბლას დასდგამენ... ეს ოთხნივე ადგებიან“ ან კიდევ: „განმგეთ უხუცესი მონაზონთა ოთხთავე სამ-სამის ჯამით... ითვალავს“ (ხაზი ჩვენია). ოთხი მონაზონი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ მოძღვართ-მოძღვარი ერთია ნაგულისხმევი. გადამწერლის მოძღვართ-მოძღვარი თავისი დროის მიხედვით მოძღვართ-მოძღვრებად გადაუკეთებია, მათთვის მეორე ადგილი მიუჩენია და მონაზონთა რიცხვის აღმნიშვნელი — „ოთხნივე“ კი შეუცვლელად დარჩენია.

41 მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ტექსტი ამ ადგილას გადაკეთებულ-დამახინჯებულია.

42 ხელმწიფის კარის გარიგება, 1732

ნის დარბაზობის ცოტად თუ ბევრად ზედმიწევნილობითი აღწერა არც ერთ ქართველ მწერალს არ მოეპოვება. „განგება დარბაზობისა“ მერმინდელი ხანისაა და ჩვენთვის არ გამოდგება⁴³.

კიდევ უფრო გამოუსადეგარია ჩვენი მიზნისთვის რუსი ელჩების მიერ აღუქსანდრე იმერთა მეფის დარბაზობის აღწერა XVII ს-ში⁴⁴.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ის მაინც ვიცით, რომ ქართლის კათალიკოსს დარბაზობის დროს, თუ ის მარჯვენით მეფისა იჯდა, მეორე ადგილი ეჭირა, ხოლო თუ მარცხენით იჯდა—პირველი. პირველ შემთხვევაში ის უდავოდ მეტი პატივმოსილია აფხაზეთის კათალიკოსზე. მეორე შემთხვევაში კი ის, თუ მეტი არა, აფხაზეთის კათალიკოსის სწორი პატივით მაინც სარგებლობს (თუმცა კვლავ უნდა შევნიშნოთ, რომ სანამ დარბაზობის წესი შეუსწავლელია, ეს უკანასკნელი დებულება სათუთა).

ესლა თუ გავიხსენებთ იმ ადგილს, სადაც კათალიკოსთ შორის ცილობაზეა საუბარი და დავსვამთ კითხვას: რომელია ის „არავიქ ქვეშეთ შექმნილი“ კათალიკოსი, — შეგვაძლია ვუპასუხოთ, რომ ის აფხაზეთის კათალიკოსია.

ჩვენს ასეთ მოსაზრებას, როგორც ვხედავთ, სავსებით ეთანხმება სიგელებისა და „მეფეთ კურთხევის წესი“-ს განხილვის შედეგად ზემოთ მიღებული დასკვნები.

ამრიგად, კარის გარიგება ადასტურებს სხვა წყაროების ცნობებს და ერთ შესანიშნავ ახალ ცნობასაც გვაძლევს:

აფხაზეთის კათალიკოსი მიილტვის ქართლის კათალიკოსთან უფლებრივი გათანასწოებისაკენ.

ქელმწიფის კარის გარიგებაში აფხაზეთის კათალიკოსის შესახებ სხვა ცნობაც მოიპოვება. 27-ე მუხლში ვკითხულობთ: „ამიერი ბედიელი მოსაფლავეა და ქუთათელი მოსაფლავეც არის... და ოდეს პირველ ვახტანგ დალოცეს და მერმე კოსტანტინე და ისარჩლნეს აფხაზეთის კათალიკოზი და ქუთათელი იოვანე. ქუთათელმან ასე თქუა: „თუ აწ ორჯელ-სამჯერ ჩემს საყდარსა შიგან ორნი მეფენი დალოცვილან, და არ მემართლები გვრგვნი ანუ სკიპტრა ჩემს საყდარსა შიგან არ დასდვა“. და მერმე ვეზირთ და ერთობილთ ლაშქართა თქვეს, თუ „ქუთათელი უმართლეა“ და სკიპტრა ქუთათელს გაუჩინეს და მონანება აფხაზეთის კათალიკოზმა...“⁴⁵ პატივცემული გამოძ-

43 თ. ქორდანი, ქრონიკები, I, 45—46.

44 მიხ. პოლიევქტოვი, „სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველევის ელჩობა იმერთში“, 64.

45 ქელმწიფის კარის გარიგება, 1427.



ცემელი ამ ძეგლისა პრ. ე. თაყაიშვილი ამ ადგილის მიხედვით ამბობს⁴⁶: „აფხაზეთის კათალიკოსი კ. გარიგების მიხედვით ბედიში უნდა ცხოვრობდეს“⁴⁷.

ჩვენი მიზნისათვის ეს მეტად საინტერესო საკითხია. თუ პ-ლი პროფესორის მოსაზრება სწორი იქნებოდა და მამ აფხაზეთის კ-სის ტასტი ბედიში იყო, მაშინ ჩვენ წინ წამოიჭრებოდა ახალი საკითხი: როდის და რა მიზეზით იქმნა საკათალიკოსო ტასტი ბედიიდან ბიჭვინთაში გადატანილი? (1529 წელს საკათალიკოსო ტასტი ბიჭვინთაში ჩანს).

სამწუხაროდ, კ. გარიგების ხსენებული ადგილი გადაჭრილი პასუხის მიღების შესაძლებლობას არ იძლევა. ეს ადგილი შესაძლებელია შემდეგნაირადაც აიხსნას, რაც ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია:

აფხაზეთის კათალიკოსი ამ დროს. (და შეიძლება სხვა დროსაც) ბედიელი მთ. ეპისკოპოსიც არის. პ-ლი პროფესორის დასკვნის მიხედვით გამოდის, რომ კ. გარიგების ავტორს „ამიერი ბედიელი“ აფხაზეთის კათალიკოსის შესატყვისობით აქვს ნახმარი. ვფიქრობთ, ეს არ უნდა იყოს სწორი. წინააღმდეგ: ბედიელის, ისე როგორც ქუთათელის, შემდეგ აქ „მთავარეპისკოპოსი“ იგულისხმება და ერთს ვინმე ბედიელ მთ.-ეპისკოპოსზე ან ქუთათელზე ვი არ აქვს ავტორს საუბარი, არამედ საერთოდ ამ საეპისკოპოსო კათედრათა წარმომადგენლებზე. ცოტა ქვემოთ ვი, როცა ავტორს დასჭირდა მისი დროის (ყოველშემთხვევაში განსაზღვრული დროის) ბედიელის და ქუთათელის სახელდობრ აღნიშვნა, ის ამბობს: „და დაისარჩლნეს აფხაზეთის კათალიკოსი და ქუთათელი იოანე“.

ამით ავტორმა გვამცნო, რომ იმ დროს ბედიელი აფხაზეთის კათალიკოსი იყო. აფხაზეთის კათალიკოსი სხვა დროსაც იყო ბედიელი მთ. ეპისკოპოსი. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებში მოიხსენება „ბედიელი კათალიკოსი ნიკოლოზ“⁴⁸. მაგრამ რომ ეს ადგილი ისევე უნდა გავიგოთ, როგორც ესლახან განხილული, ეს იქიდან ჩანს, რომ იმავე აღაპებში მოიხსენებიან „აფხაზეთის კათალიკოსი დანიელი“⁴⁹ (არა ბედიელი) და მიქელ ბედიელი ანუ მიქელ გონგლობაძე ბედიელი⁵⁰. რომ უკანასკნელი მღვდელმთავარი კათალიკოსიც ყოფილიყო, ის ნიკოლოზ „ბედიელ კათალიკოსივით“ კათალიკოსადვე

46 სხვა ადგილი, აფხ. კ-სის საჯდომის მაჩვენებელი, კ. გარიგებაში არ არის.

47 ე. თაყაიშვილი, ჭელმწიფის კარის გარიგება, წინასიტყვაობა, 6.

48 აღაპნი ჯვარის მონასტრისანი, პროფ. ნ. მარის გამოცემა, აღაპი № 97.

49 იქვე, № 292.

50 იქვე, № 10.

იქნებოდა წოდებული. არც ერთი აქ დასახელებული ალაპათგანი მეთხუთმეტე საუკუნეზე უფრო გვიან არ უნდა იყოს დადებული⁵¹. როგორც ჩანს, აფხაზეთის კათალიკოსები XIII—XV საუკუნეში ხშირად იყვნენ ამავე დროს ბედიელი მთ. ეპისკოპოსებიც, მაგრამ აქედან ბედიელობის აფხაზეთის კათალიკოსთან შესატყვისობამდე შორსაა, ისე როგორც ქუთათლობა და გენათლობა XVII—XVIII საუკუნეებისა არ შეესატყვისება იმავე ხანების აფხაზეთის კათალიკოსობას მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს კათალიკოსები ხშირად იყვნენ გენათელნიც თუ ქუთათელნიც. ამიტომ, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული ის აზრი, რომ აფხაზეთის კათალიკოსი ბედილაში ცხოვრობდა, ან უკეთ, რომ ბედილაში იყო აფხ. საკათალიკოსო ტახტი. აქვე ვისწრაფვით აღვნიშნოთ, რომ სრულის უეჭველობით არც ჩვენი დებულებაა ნათელქმნილი, და ეს არა მარტო საეკლესიო ისტორიისათვის მნიშვნელოვანი საკითხი უთუშცაო გადაწყვეტას მოითხოვს.

ქარის გარიგებიდან ზემოთ მოყვანილი ამონაწერი ერთ ახალ ცნობასაც გვაწოდის: აფხაზეთის კათალიკოსისა და ქუთათელის სარჩელს მხოლოდ ქართლის კათალიკოსი არ წყვეტს. ეს კი თითქო გვაფიქრებინებს, რომ აფხ. კ-სი ლიხთ იმერეთის საეკლესიო საქმეებში დამოუკიდებელია. ქუთათელის სიტყვები „არ მე მართლები გვრგვინი და სკიპტრა ჩემს საყდარსა შიგან არ დასდვა“ — გვიჩვენებს უმცროსის იმ უფროსისადმი მიმართვას, რომელიც მოწოდებულია სამართალი (ამ შემთხვევაში საეკლესიო სამართალი) გააჩინოს⁵². საინტერესოა, რომ სარჩელი გადაწყვიტეს „ვეზირთ და ერთობილთ ლაშქართა“, ე. ი. დარბაზმა (აქ, რა თქმა უნდა, ქართლის კათალიკოსიც და ჭყონდიდელიც მონაწილენი იქნებოდნენ). საკითხის გადაწყვეტა დარბაზის მიერ, ვფიქრობთ, სარჩელის ხასიათით უნდა აიხსნებოდეს. მაგრამ ის ამ შემთხვევაშიაც დამახასიათებელია და საყურადღებო.

ყველა ზემოთ მიღებულ დასკვნას რომ თავი მოვუყაროთ, შემდეგს მივიღებთ XIII—XV საუკუნეებში აფხაზეთის კათალიკოსების შესახებ:

1. აფხაზეთის საკათალიკოსო XIII საუკუნიდან ჩანს. 2. გადაჭრილი არ არის საკითხი: ერთმეფობის თუ ორმეფობის ხანაში დაარსდა ის. 3. აფხაზეთის კათალიკოსს მთლიანი საქართველოს მეფის კურთხევის უფლება არ აქვს. უკანასკნელი ქართლის კათალიკოსის საქმეა და ეს საქ-

⁵¹ აფხ. კ-ის დანიელის შესახებ იხილეთ ს. კაკაბაძე, წერილი შტუდიები, 2—6. მჭელ გონგლობას ძის შესახებ პროფ. მარის შენიშვნა იმავე წიგნში, გვ. 3.

⁵² რა თქმა უნდა, ეს დასკვნა საეგვიპტოა, ხანამ ჩვენი სასამართლო ტერმინოლოგია ისტორიულად შესწავლილი არ არის.

მე მას აფხაზეთის კათალიკოსის დაუსწრებლადაც შეუძლია შეასრულოს. 4. აფხაზეთის კათალიკოსს ხელი არ მიუწვდებია ლიხთ ამერის საეკლესიო-სასულიერო საქმეებში, მაშინ როცა ქართლის კათალიკოსი მთლიანი საქართველოს ეკლესიის უზენაესი წარმომადგენელია. 5. XIV საუკუნეში აფხაზეთის კათალიკოსი ცდილობს სავსებით გაუსწორდეს ქართ. კათალიკოსს. მისი პატივი თითქმის სწორია ქართ. კათალიკოსის პატივისა. 6. მთლიანი საქართველოს მეფის კურთხევის უფლება მას არც ეხლა აქვს, — ამისთვის იბრძვის ის. 7. აფხაზეთის კათალიკოსის ტახტი ბედიში არ არის. 8. აფხაზეთის კათალიკოსი ხშირად ბედიელი მთავარი ეპისკოპოსიც არის. 9. ლიხთ იმერეთის საშინაო საეკლესიო საკითხების მოწესრიგებაში აფხაზეთის კათალიკოსი დამოუკიდებელია.

სამწუხაროდ, აფხაზეთის კათალიკოსის ეს უფლებრივი სურათი სრული არ არის. ზოგი დებულება სადაოც არის. მაგრამ საერთო ხასიათი, ვფიქრობთ, სწორია.

დაახლოებით ასეთი იყო აფხაზეთის კათალიკოსის უფლებრივი და ფაქტიური მდგომარეობა, როცა „დიდად ეღვაწათ მეფეთა, მთავართა და დარბაზიერთა განდიდება ცათა მობაძავეისა კათოლიკე ეკლესიისა ბი. ჰენტიისა ღუთისმშობელისა და სამოციქულოსა საყდრისა და მას ზედა მკდომარისა კ. ზისა ამაღლებ და აღმატება, რათა შეეკვრითა და განხსნითა მისითა ეგნენ სამეფონი ესე ლიხთ ამერისა, აფხაზეთისა და ყოვლისა ჩრდილოეთისა ეკლესიანი...“⁵³

მოყვანილი ამონაწერი გრიგოლ კათალიკოსის დიდი სიგლიდან 1733 წლისა, მართალია, არ ასახელებს, თუ რომელ მეფეთა, მთავართა და დარბაზიერთა „ეღვაწათ“ აფხაზეთის კათალიკოსის „ამაღლებ და აღმატება“, მაგრამ ხასიათი, გამონათქმები და დასაბუთება როგორც ამ ამონაწერის, ისე მის მიმყოფი ადგილისა გვარწმუნებენ, რომ კათალიკოსი გრიგოლი სარგებლობს „მცნება სარჯულოს“ ტექსტით. თუ ეს ასეა, ჩვენ მეტად საინტერესო ახალი ცნობა გვეძლევა აფხაზეთის კათალიკოსის მდგომარეობის შესახებ XV საუკუნის მიწურულის წინა ხანაში: მისი აღმატება და განდიდება ყოფილა საჭირო, რათა „შეეკვრითა და გახსნითა მისითა ეგნენ სამეფონი ესე ლიხთ ამერისა აფხაზეთისა და ყოვლისა ჩრდილოეთისა ეკლესიანი“. თუნდაც რომ სწორი არ იყოს ჩვენი ეს ქრონოლოგიური მოსაზრება, გრიგოლ კათალიკოსის მოწმობა, რომელიც ასე საუცხოოდ ეთანხმება და ავსებს ზემოთ ჩვენ მიერ მიღებულ დასკვნებს, მეტად ძვირფასია.

სასულიერო საქმეებში ლიხთ იმერეთის ეკლესიის უზენაესი მოთავე ქართლის კათალიკოსი ყოფილა, სამეფოთა და ეკლესიათა შეეკრა

⁵³ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართ. საეკლესიო საბუთები, I, 139.

და გახსნა მის ხელთ ყოფილა. თუ ესლა დავსვამთ საკითხს: რად იყო საჭირო „ღ“ის მიერ მოვლენილი“ იერუსალიმის ანტიოქიის პატრიარქის მიერ აფხაზეთის კათალიკოსის კურთხევა, თუ კი ის უკვე განდიდებული და აღმატებული იყო, — შეგვიძლია გადაჭრით ვუპასუხოთ, რომ XV საუკუნის მეორე ნახევრამდის (უფრო დაახლოებით 60-იან წლებამდის) აფხაზეთის კათალიკოსი „არაეიქ ქვეშეთ შექმნილი“ კათალიკოსი იყო. ამიტომ, ვფიქრობთ, ზერელე და უსაბუთო არ იქნება იმის თქმა, რომ აფხაზეთის კათალიკოსი მის განდიდება-აღმატებამდის ქართლის კათალიკოსის მიერ იკურთხებოდა ხოლმე. ესლა ნათელი და გასაგები ხდება ის თითქო და იდეოლოგიური დასაყრდენი, რომელიც მიქაელ პატრიარქს მოჰყავს თავისი საქციელის გასამართლებლად. მართლა და რად სჭიროდა მიქაელ პატრიარქს ასეთი ღალადისი: ვ⁵⁴ე ნინოჲ ქართველთა] დედაჲმან მოაქცინა ქართლი მისთა სამზღრთა: აქათი წ⁵⁵ნ ან[დრია მცქლმან] ნათლითა მიუ-აჩრდილებელთა გნანათლნ[ა და განას]უჩრნელნა ყლნი მორჩილნი სჯლისნი“⁵⁴. ასეთი „დასაფუძვლება“ სრულიად საჭირო არ იყო იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის საკათალიკოსო მის მობრძანებამდისაც სავსებით გამოყოფილი იყო ქართ. საკათალიკოსოდან და ლიხთ იმერის კათალიკოსს ამ ქვეყნის ეპისკოპოსთა კრებული აკურთხებდა. ასეთ შემთხვევაში, მისთვის სრულიად საკმაო იყო მის მიერ ახლად გამომზეურებული არგუმენტი: „ვ⁵⁵რ იგი პ⁵⁵ლდ ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნი ანდიოზისა პატრიარქთგნ იკურთხეოდინ და ჟამთა სიძუჭლისაგან და სფლისა სივერაგეთაგ⁵⁵ნ იყუნეს მრავალნი წესნი შემლით და გარდაქცევით“⁵⁵.

მეორე მხრით, თუ აფხაზეთის კათალიკოსი უკვე განდიდებული და აღმატებული იყო და აფხაზეთის ეკლესიას თვითმწყობა და დამოუკიდებლობა მოპოვებული ჰქონდა, — ამ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი ხდება ლიხთ იმერეთის საერო ხელისუფალთა ყოფაქცევა. ასეთ პირობებში რაღა საჭირო იყო ანტიოქიის პატრიარქის „შემთხუჭვა“? სადღა უნდა იქმნას გამოძებნილი ის მიზეზი, რომელმაც სამოწყალოდ მიმომავალ პატრიარქს ასეთი მადა აღუძრა და „ჟამთა სიძუჭლისაგან“ სრულიად ფასდაკარგული და უკანონო პრეტენზიები გაანადღებინა? მიქაელ პატრიარქი „შემლით და გარდაქცევით“ ხედავდა არა მართო აფხ. საკათალიკოსოს თვითმწყობას (თუ ასეთი ოდესმე არსებობდა), ის ასევე უყურებდა მცხეთასაც. მაშ რატომ არ „მიივლინა ღ“სა მიერ“ და თავისი საბუთმძიმეობა ქართლის კათალიკოსის მიმართ

54 ს. კაკაბაძე, მცნება სარჯულო, 918-21.

55 იქვე 420-25.

არ მოიხმარა? და ბოლოს, როგორ უნდა ავხსნათ უკვე თვითმწყობა მოპოვებული აფხ. ეკლესიის ყოფა-ქცევა? დამოუკიდებელი ეკლესია თავისი ნებით განა დასთმობდა ამ ძვირფას განძს?

ან კიდევ საქართველოს დაქუცმაცების საქმეში მოკავშირეთა მათებელ ლიხთიმურეთის საერო ხელისუფლებას განა შეეძლო ისეთი ძალა, როგორც ეკლესია იყო, თავის წინააღმდეგ აემხედრებინა ანტიოქიის პატრიარქის გულის მოსაგებად? თუ „შესაძლებლობანი“ რაიმე საბუთად გამოდგება ისტორიული მოვლენის ახსნის საქმეში,—გადაჭრით შეიძლება ითქვას: არ არსებობს არც ერთი შესაძლებლობა იმის სასარგებლოდ, რომ აფხაზეთის ეკლესია „მცნება სარჯულოს“ დადებამდე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისაგან დამოუკიდებელი იყო და თვითმწყობის სრული უფლებით სარგებლობდა.

ორივე საბუთი მიქაელ პატრიარქისა იქითკენ იყო მიმართული, რომ მცხეთის მოსალოდნელი იერიშები გაებათილებინა. პატრიარქი გაღმა ედავებოდა, რომ გამოღმა შერჩენოდა. ორივე საბუთი ერთი მეორეს ავსებდა და მომხდარ უკუღმართობას ასე თუ ისე კანონიერ გამართლებას უძებნიდა. მაგრამ ეს საბუთები თანასწორი ღირებულების იარაღი არ იყვნენ მცხეთისაგან თავდაცვის საქმეში. მცხეთის ტახტი თუნდაც XV საუკუნის მიწურულში არც ისე უმწეო იყო, რომ ყოველივე ფასს მოკლებული საბუთით: „ეწო იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთის კ-ზნი ანდიოზისა პატრიარქთაგან იკურთხეოდიან“-ო, მის წინააღმდეგ გალაშქრება ვერ მოეგერიებინა. ეფრემ მცირესა და გ-ი მთაწმინდელის ცნობებით მას შეეძლო ყოველგვარი ფასი დაეკარგა პატრიარქის ამ „საბუთისათვის“. სულ სხვა სიმძიმის იყო მეორე არგუმენტი წმ. ნინოს და ანდრია მოციქულის ქადაგებათა ტერიტორიული გამიჯვნის შესახებ საქართველოში. მართალია, მცხეთის ტახტს ჰქონდა ამის საწინააღმდეგო საბუთიც რუის-ურბნისის ძეგლის წერის სახით, მაგრამ 1103 წლის საეკლესიო კრების ამ საბუთთანობას არ ამართლებდნენ არც წმ. ნინოს ცხოვრების და არც ანდრია მოციქულის ქადაგების არსებული რედაქციები.

საეკლესიო განცალკევების უფლების დამსაბუთებელი ასეთი „მოძღვრება“, საფიქრებელია, ანტიოქიის პატრიარქის მიქაელის მობრძანებამდის დიდის ხნით ადრე წარმოიშვა. ქართლის კათალიკოსთან გათანასწოებისათვის მებრძოლი აფხ. კათალიკოსები, რა თქმა უნდა, არ დააყოვნებდნენ ასეთი იარაღის აღმოჩენა-გამოყენებას. მაგრამ საუკუნეთა სიგრძეზე შექმნილი ტრადიცია მთლიანი საქართველოს ეკლესიისა მცხეთის ტახტის მოთავეობით, ქართლის კათალიკოსის ავტორიტეტი და საბუთთანობა განცალკევების წინააღმდეგ, საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური მთლიანობის იდეის სიცხოველე, მიუხე-

დავად ზოგჯერ ორ სამეფოდ დაყოფისა, — ყველა ესენი აფხაზეთის კათალიკოსთა ზრახვების წინააღმდეგ მოქმედებდნენ და მათ განხორციელებას შეუძლებლად ხდიდნენ. საჭირო იყო ცენტრისაკენ მიმზიდველ ძალთა ღრმა დასუსტება, პოლიტიკური პარტიკულარიზმის იდეის საბოლოო გამარჯვება და კულტურული მთლიანობის მოშლა, რომ ხსენებული მოძღვრება ცხოველმყოფელი გამხდარიყო და მას ძლიერი საბუთის ძალა მინიჭებოდა.

საზოგადოების ნებისყოფითი აქტი ბუნებრივ-მექანიკური მოვლენა არ არის, რომ მისი დროულობაში გამოვლენა ფატალური აუცილებლობით და მათემატიკური ზედმიწევნობით მოხდეს. მომზადებული პირობები სრულიად არ ჰგულისხმობენ მათ ნიადაგზე შესაძლებელ მოვლენათა აუცილებლობას. აქ სარბიელი ეშლება შემთხვევითს და ის ისტორიული აქტის მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება.

მიქაელ პატრიარქი „შეემთხვა“ სწორედ ისეთ დროსა და პირობებს, როცა მისი კურთხევა და მადლი საჭირო და ნაყოფიერი იყო მთლიანი საქართველოს მესაფლავეთათვის. მან შეასრულა უკანასკნელთა ნანატრი: აფხ. კათალიკოსი მცხეთის ტახტის მორჩილებისაგან განათავისუფლა და იჭრუსალიმის მარჯუშნაჲ“-ს მაღალი სახელი მიანიჭა. სამაგიეროდ მოკარდაკარე პატრიარქმა შემოსავლის წყარო გაიჩინა. XVII საუკუნის შუაზე სამეგრელოში მყოფი იტალიელი მისიონერი პატრი არქანჯელო ლამბერტი თავის სამეგრელოს აღწერაში მოგვითხრობს: „საქართველოს და სამეგრელოს ერნი⁵⁶... ემორჩილებიან ბერძნის მსოფლიო პატრიარქს, რომელიც კოსტანტინოპოლში არის, თუმცა წინათ ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდნენ⁵⁷, ხოლო ეს მორჩილება მარტო იმაში გამოიხატება, რომ როცა ხანგამოშვებით კოსტანტინეპოლის პატრიარქი იმ ქვეყნებში თავის ბერებს გაგზავნის შემოსაწირავთა მოსაკრეფად, მათ მოწყალებას და შესაწირავს⁵⁸ აძლევენ. გარნა ქართველებს და მეგრელებს ჰყავთ ორი თავისი პატრიარქი, რო-

⁵⁶ განი ამ ოთხი სიტყვის მაგიერად ხმარობს: „народы всей страны“.

⁵⁷ ეს ცნობა ქართლისა (sic) და აფხ. საკათალიკოსოთა კოსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებისა ჩვენთვის უცხოა. ის მეტად საინტერესოა და, თუ ლამბერტის ეს ცნობა სწორია და მთარგმნელთაგან ლამბერტის აზრი მეცნიერული სისწორით არის გადმოცემული, მაშინ ის განსაკუთრებული შესწავლის ღირსია. ჯერჯერობით კი ჩვენ ვკვირვებით თვალთ ვუყურებთ ამ ცნობას და სწორედ იმიტომ, რომ ის მცხეთის სამწყოსსაც ეხება. ასეთი რამის ოდნავად მაჩვენებელიც კი ქართულ წყაროებში ჩვენ არ შეგვხვედრია.

ამიტომ ამ ცნობას ჯერჯერობით გვერდს ვუვლით.

⁵⁸ განით „им дают милостыню“.

მელნიც განაგებენ მთელ სამღვდელეობას⁵⁹ როგორც საქართველოში, ისე კოლხიდაში⁶⁰. ეს ცნობა საეხსებით ადასტურებს ზემორე გამოთქმულ მოსაზრებას.

მსოფლიო პატრიარქს უზომო პრეტენზიები რეალ შესაძლებლობაზე ადვილად შეუცვლია. ის მოწყალების შეგროვების უფლებას დაკმაყოფილებულა.

როგორც უწინარეს, ისე მიქაელის შემდგომაც იყვნენ ასეთა მოგზაურობის მოყვარული პატრიარქები. მათ შორის ყველაზე მეტად ბედმა მიქაელს გაუღიმა: იგი მეტს „შემთხვა“, ვიდრე თვითონ ელოდა. მცხეთის ტახტს მთელი მხარე ჩამოაგლიჯა და მკვიდრი შემოსავალი გაიჩინა. ხოლო რომ მისი (საკუთრივ მისი) საბუთიანობა დღენაკლული და უსიცოცხლო იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იოაკიმეს შემდეგ არც ერთი აფხაზეთის კათალიკოსი პატრიარქთაგან არ კურთხეულა.

მოკლედ, „მცნება სარჯულო“-ს აქტი შემდეგნაირად გვეხატება: აფხაზეთის კათალიკოსები მათი არსებობის დღიდანვე ცდილობენ მცხეთის ტახტს საეხსებით ჩამოსცილდნენ. ისინი პოულობენ საამისო კანონიურ საფუძველს. მათი ქადაგება დიდ ხანს ფეხს ვერ იკიდებს, რადგან საამისო ნიადაგი ჯერ მზად არ არის. საქართველოს საბოლოო დასუსტება აცხოველებს პარტიკულარისტულ ტენდენციებს. მცხეთა, მთლიანობის იდეის მატარებელი, ძლიერი იარაღია საქართველოს მეფეთა ხელში.

გამდგარ მთავართათვის მცხეთა მიუღებელია. აფხაზეთის კათალიკოსთა ზრახვები კი მათთვის სახელდახელოა და მისი კანონიური მოსაზრებანი საკმაო საფუძვლად და მიჩნეული ლიხთიმერეთის ეკლესიის გამოყოფა-თვითმწყობისათვის. ანტიოქიის პატრიარქი შემთხვევითი ხასიათის მოვლენაა. მისი ავტორიტეტი სწორედ ზედგამოჭრილია მცხეთის ტახტისათვის დასაპირდაპირებლად. მის მიერ გამოძენილი კანონიური საფუძველიც, თუმცა ფასნაკლულია, მაგრამ მაინც მისაღებია.

ასეთ პირობებში მოხდა „განდიდება“ და „აღმატება“ აფხაზეთის კათალიკოსისა. ამიერიდან ის ანდრია მოციქულის მოსაყდრეა⁶¹ და პავლე „ღმრთისა მეორის“ თანამოსაგრე ქრისტეს არანებისმყოფელებთან ბრძოლის საქმეში⁶². მის ხელთ არის გახსნა და შეკრვა ლიხთამერის

⁵⁹ განით „зазедуют всеми духовными делами“.

⁶⁰ არქანჯ. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრ. აღწერა, თარგმანი აღ. ჭ უ ნ ი ა ს ი — 120... განის თარგმანი იხ. Сборник материалов для опис. местност. и им. Кавказа, XLIII, 125.

⁶¹ მცნება სარჯულო, ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 714-17.

⁶² იქვე, 78-9.

„სამეფოთა“ და „ეკლესიათა“, ის „სჯულისა და მერჯულეთა უფროსი“ და უხუცესია⁶³.

ამიერიდან მისგან მიიღებენ კურთხევას საეკლესიო და საერო დიდნი და მცირენი⁶⁴, ე. ი. ეპისკოპოს-მიტროპოლიტნი, მეფენი და მთავარნი.

ამრიგად, აფხაზთა კათალიკოსს მიენიჭა დამოუკიდებელი ეკლესიის მესაქის ყველა უფლება. ამ მხრით ის მცხეთის ტახტის საკეთმპყრობელს გაუთანასწორდა. სწორედ ეს იყო აფხაზეთის კათალიკოსთა ზრახვებიც. დარჩა ერთი რამ: აფხაზეთის კათალიკოსი იკურთხა ანტიოქიის პატრიარქის მიერ. ამიტომ ის არ შეიძლებოდა უკანასკნელის სწორად ჩათვლილიყო. და მართლაც, თუ კათალიკოსი ანდრია მოციქულის მოსაყდრედ არის აღიარებული, ანტიოქიის და იერუსალიმის პატრიარქი თვით ქრისტეს მოსაყდრედ უწოდს თავის თავს⁶⁵.

აფხაზეთის კათალიკოსი ანტიოქიის პატრიარქს დაემორჩილა. როგორი იყო და რაში გამოიხატებოდა ეს მორჩილება? ამიერიდან აფხ. კათალიკოსნი ანტიოქიის პატრიარქთა მიერ უნდა კურთხეულიყვნენ, თუ თვით ლიხთ-იმერეთის ეპისკოპოსთ კრებული აკურთხებდა მას? „მცნება-სარჯულო“ ამის პასუხს არ იძლევა. მერმინდელი პრაქტიკა კი უკანასკნელ კითხვას ამართლებს. თუ შემდგომ საუკუნეებში აფხაზეთის კათალიკოსთა კურთხევა ისევ აფხ. ეკლესიას ეკუთვნოდა, მაშ ეს უფლება მას ბრძოლით მოუპოვებია, ან არა და ასეთი უფლება იმთავითვე მიენიჭა მას? არც ერთი ამ კითხვის პასუხს გამცემი საბუთი არ არსებობს.

ბრძოლის კვალი არა ჩანს, არც ასეთი უფლების მინიჭების ძეგლია ცნობილი, თუ არ დავუშვებთ, რომ თვითმწყობის ყველა ნიშნის მატარებელი ეკლესიის უფლებაშეუზღუდველ კათალიკოსთა ხელდასხმა ამავე ეკლესიის ეპისკოპოსთა მიერ თავისთავად იგულისხმებოდა.

როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ერთი მაინც ცხადია: „მცნება-სარჯულო“-მ აფხაზეთის კათალიკოსი მართლაც განადიდა და აღამატა, ის ქართლის კათალიკოსს გაუთანასწორა. მართალია, ქართლის კათალიკოსები ანტიოქიის პატრიარქთაგან არ მიიღებდნენ კურთხევას, მაგრამ ეს ხომ „ქამთა სიძველისაგან“ და „სოფლის სივერაგეთაგან“ შეშლილი და გარდაქცეული წესი იყო. ასეთი „თეორია“, თუნდაც დროებით და მოჩვენებით, მაინც ხომ გაზიარებული იყო ლიხთიმერეთის საეკლესიო და საერო განცალკევება-განდიდების მოქირანახულეთაგან.

63 იქვე, 7¹⁴⁻¹⁷, 5²⁵.

64 იქვე, 5²⁷...

65 იქვე, 7¹²⁻¹⁴.

სამწუხაროდ, ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ როდის და რა კონკრეტულ პირობებში მოხდა ეს ღირსმნიშვნელოვანი აქტი. მასში მოხსენებული ნიშნებით ის მხოლოდ დაახლოებით თარიღდება⁶⁶.

მცნება სარჯულო განსაზღვრავს აფხაზეთის საკათალიკოსოს ტერიტორიასაც, მაგრამ ეს უმთავრესად საინტერესოა აფხ. ეკლესიის გიტარების მერმინდელი ხანისათვის, ამიტომ აქ მას არ შეეხებით.

დასასრულ, უნდა მოვიყვანოთ ერთი ცნობაც. ლამბერტის აღნიშნული აქვს, რომ „ძველად ორსავე კათალიკოსს ირჩევდა საქართველოს მეფე, მაგრამ როცა დადიანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ოდიშის პატრიარქის არჩევის უფლებაც მიითვისა“⁶⁷.

ჩვენთვის ამეამად ამ ცნობის პირველი ნახევარია საინტერესო, საიდანაც ცხადი ხდება, თუ ვინ ირჩევდა აფხ. კათალიკოსს „ძველად“.

რაც შეეხება ცნობის მეორე ნახევარს, ის შესწორებას ან უკეთ. დამატებას, საჭიროებს, მაგრამ, რადგან ის XV საუკუნის შემდგომ ხანას ეკუთვნის, ამიტომ აქ მასზე მსჯელობა უადგილოა.

DER KATHALIKOS VON ABCHASIEN IN XIII—XV JH.

VON

Die Quellen, die der Verfasser benutzt hat: 1. Eine Urkunde des Königs Giorgi, deren Date endgültig noch nicht bestimmt ist und die dem XI-ten oder dem XIII-ten Jh. zugeschrieben wird. 2. Das im XIII-ten Jh. verfasste „მეფეთ კურთხევის წესი“. 3. Das Werk des Jamthaaghmtsereli—eines Historikers des XIV-ten Jh. 4. Urkunde des Königs David-Narin vom J. 1390. 5. Eine andere Urkunde desselben Königs. 6. „გელმწიფის კარის გარიგება“—ein Denkmal der ersten Hälfte des XIV Jh. 7. Urkunden anderer Könige d. XIV—XV Jahrhunderte. 8. „მცნება სასჯულო“—ein Werk der zweiten Hälfte d. XV-ten Jh. 9. Eine Urkunde des Kathalikos Grigol vom J. 1733.

Die vergleichende Erlernung der erwähnten geschichtlichen Denkmäler führt uns zu folgenden Schlüssen;

1. Das im XII. Jh. wiederhergestellte (oder gegründete) Patriarchat von Abchasien bleibt ein Teil der ungeteilten Kirche Geor-

⁶⁶ ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, IV წიგნი, I ნაწილი, გვ. 124—125.

⁶⁷ არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თარგმ. აღ. ჭკონიასი, გვ. 121.

Сб. мат. для описи местност. и племен Кавказа, XLIII, 125.

giens, die durch den Kathalikos von Karthli (=Georgien) vertreten ist, während ihr Teil—die Kirche von West-Georgien—durch den Kathalikos von Abchasien verwaltet wird. Der Letztere besitzt nicht alle Rechte des Erzpriesters einer unabhängigen Kirche und in der Hierarchie der georgischen Kirche nimmt er eine zweite Stellung ein.

2. Der Kathalikos von Abchasien ist bestrebt in rechtlicher Beziehung dem Kathalikos von Karthli gleich zu kommen, d. h. das Patriarchat von Abchasien unabhängig von Mzchetha zu machen, doch bietet ihm der noch starke Gedanke der-kultur-politischen Einigkeit Georgiens keine Möglichkeit hierzu.

3. In der zweiten Hälfte des XV Jh. hat die gegen den König von ungeteilten Georgien sich empörende weltliche Gewalt von Lichth-Imerethi den Patriarchen von Antiochia, Michael, dazu bewogen den Erzbischof von Bedia und Zaischi, Joakime, zum vollmächtigen Kathalikos von Abchasien zu weihen Von nun ab bis zum XIX Jh. tjührt die Kirche von Abchasien eine unabhängige Existenz.

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება XIV—XVIII სს¹.

I. საკათალიკოსოს საგზავრები

XV საუკუნის მესამე მეოთხედიდან აფხაზეთის საკათალიკოსოს ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. ხსენებული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ლიხთიმერეთის ეკლესია სავსებით და საბოლოოდ მოსწყდა მცხეთის საკათალიკოსო ტახტს. ბაგრატ მეფისა და შამადავლა დადიან-გურიელის სურვილით და მეცადინეობით ბედიელ-ცაიშელი მთავარ-ეპისკოპოსი იოაკიმე აფხაზეთის კათალიკოსად აკურთხა არა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, როგორც ეს, უნდა ვიფიქროთ, აქამდის იყო², არამედ—ლიხთიმერეთში ამ დროს სტუმრად მყოფმა იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქმა მიქაელმა³. ამიერიდან აფხაზეთის საკათალიკოსო დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგა⁴.

¹ იხევედნა პირველად.

² ნ. ბერძენიშვილი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება, მიმოშხილველი, გვ. 114—120.

³ ამ აქტის განხილვა-შეფასება იხ. პრ. ივ. ჭავჭავიძევილი, ქართველი ერის ისტორია, ტომი IV, გვ. 120—125 და ზემო შენიშვნაში დასახელებული წერილი.

⁴ ჩვენ არ შეგვხვედრია არც ერთი საბუთი, რომელიც რაიმე დამოკიდებულებას ამჟღავნებდეს აფხაზეთის საკათალიკოსოსისას ანტიოქიის პატრიარქისაგან. არსებობს რამდენიმე სიგელი, სადაც ქართველ სამღვდელთებს შორის მოიხსენიებიან ბერძნული სამღვდელთების პირნიც. ასეთებია: „პატრიარქის ვეჟილი პაპა-ლაერენტი“ კს გრიგოლის კრებულის წევრი (საქ. სიძე. I, ტ. I, გვ. 46); „პატრიარქის კაცი ექვსარხოსი სკუმონ-სუ ბესარიონის კრებულის წევრი (დას. საქ. საეკ. საბ. ტ. I, 1964); „იერუსალიმის პატრიარქის ვეჟილი სკუმონ“ (დას., საქ. საეკ. საბ., II); „ბერძნის მიტროპოლიტი დასკალ დანიელ“—1759 და 1761 წ. საეკ. კრებებზე (ს. კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმები სოლომონ I დროს).

არც ერთ ამ ძეგლთან არა ჩანს, თუ რა მათვის ბრძანდებოდნენ ეს პატრიარქის ვეჟილ-ექსარხოსები აფხაზეთის კათალიკოსთან. ჩანს მხოლოდ ისა, რომ ყველა ისინი აფხაზეთის კათალიკოსის კრებულის წევრები არიან და არც ერთი მათგანი დღემდე პატივცემული არ არის: მიტროპოლიტთა შორის დასკალ დანიელს ბოლოდან მეორე ადგილი უჭირავს, ხოლო პატრიარქის ვეჟილს სკუმონს — უკანასკნელი.

განსვენებულ ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს (იხ. Арх. пут. по Гурии и Аджарге

დავიწყით ტერიტორიით. აფხაზეთის საკათალიკოსოს სამწყსოს საზღვრების გამოსარკვევად ჩვენ რამდენიმე ცნობა მოგვეპოვება. არც ერთი მათგანი უდავო და ნათელ წარმოდგენას ამ საზღვრების შესახებ არ იძლევა.

გვ. 320—321) მოჰყავს შინაარსი ვინმე არქიმანდრიტ ათანასიოსის მიერ მღვდელ ბლაგიძისადმი მიცემული სიგლისა, საიდანაც ჩანს, რომ ეს ათანასიოსი „უწყმინდესი პატრიარქის ვეჭილი იერუსალიმელი არქიმანდრიტი ჯვარის მამა“ ყოფილა. ხოლო ბლაგიძე — ჯვარის მონასტრის ყმა. ათანასიოსის უშუამდგომლა ვახტანგ გურიელის წინააღმდეგ, რის შედეგად გურიელი პირობას აძლევს, რომ ის ქრისტეს საფლავის ყმებს საყმო-სავლენო გადასახადებსა და სამსახურს აღარ მოსთხოვს. გლეხებს ეცისრებათ ჯვარის მამის სამსახური და ბეგარა კომლზე მ ყურღში არქიმანდრიტის სასარგებლოდ. განსვენებული ბაქრაძე სხვა მის მიერ გურიაში შეგროვილი ძეგლებიდანაც უჩვენებს რამდენიმე არქიმანდრიტზე, რომელნიც ისეთსავე საქმიანობას ეწევიან, როგორც ეს ათანასიოსი, ე. ი. განაგებენ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ყმებს, და აგროვებენ შესაწირავს ჯვარის მონასტრის სასარგებლოდ. მათ შესახებ ცნობებს გვაწვდის აგრეთვე იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოს თავის წერილებში ვახტანგ VI-სადმი („Дух. вестник“, 1866, май). აქ აღსანიშნავია რჩება ერთი რამ: ჯვარის მონასტრის მამები, იმავე დოსითეოსის წერილებიდან ჩანს, ქართლის კათალიკოსის მიერ და ქართველთაგანნი ინიშნებოდნენ (იქვე, апрель), მაშ როგორღა ეწოდებოდათ მათ „პატრიარქის ვეჭილი“, ან „პატრიარქის ექსარხოზი“? შეიძლება ათანასიოსი და ზოგიერთი სხვანი ჯვარის მამანი, ქართლის კ-სის მიერ დადგენილები, პატრიარქის მიერაც აღკურვილი იყვნენ საპატრიარქოს წარმომადგენლობის უფლებით ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში? ასეთი წარმომადგენელნი შესაძლებელია ყოველთვის ჯვარის მამანი არ ყოფილიყვნენ, არამედ ბერძენი მღვდელთმსახურნიც, როგორც საფიქრებელია იყო მიტროპოლიტი დასკალი დანიელი. მათი მოვალეობის შესახებ თანამოძლიე გვაცნობენ პატრი არქანჯელო ლამბერტი („სამეგრელოს აღწერა“ თარგმანი ალ. ჭყონიასი 120 და Гап-ის თარგმანი Сборник мат. для опис. М и П Кавказа, XLIII, 1 5) და პატრიარქი დოსითეოსის ვახტანგ VI-ისადმი ერთ-ერთ წერილში (Духовный вестник, 1866, გვ. 186): „Когда уже отцы греческие придут в Еверине — да имеют позволение собирать милостыню по древнему обычаю“. ლამბერტი: საქართველოს და სამეგრელოს ერნი... ემორჩილებიან ბერძნის მსოფლიო პატრიარქს, რომელიც კონსტანტინეპოლში არის, თუმცა წინათ ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდნენ, ხოლო ეს მორჩილება იმაში გამოიხატება, რომ როცა ხანგამოშებით კონსტანტინეპოლის პატრიარქი იმ ქვეყნებში თავის ბერებს გაგზავნის შესაწირავთა შესაკრებად, მათ მოწყალებას და შესაწირავს აძლევენ. გარნა ქართველებს და მეგრელებს ჰყავთ ორი თავისი პატრიარქი, რომელნი განაგებენ მთელ სამღვდელთებას როგორც საქართველოში, ისე კოლხიდაში.

დოსითეოს პატრიარქის წერილა საბოლოოდ ასწორებს არქანჯელო ლამბერტის ამ საინტერესო ცნობას: მოწყალების შეგროვების უფლება „ძველთაგანვე“ ჰქონდა არა კონსტანტინეპოლის პატრიარქს, არამედ ანტიოქია-იერუსალიმისას და ამდენადვე ეს „მორჩილება“ უკანასკნელს განეკუთვნება.

ძველი პირობები რომ ყოფილიყო, როცა პატრიარქი უდიდესს, უძველესს და ავსებებულ სამწყსოს უღდა სათავეში, მაშინ, რა თქმა უნდა, ასეთი პატრიარქის მი-

უპირველეს ყოვლისა, ახლად განდიდებულ საკათალიკოსოს ქვეყნის კუთხედი ძეგლი „მცნება სარჯულო“ განსაზღვრავს ამ ტერიტორიას. პატრიარქი მიხაელი ამბობს: „დაეყენეთ და დავსუით აფხაზეთის საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა ყ-თა ქეანთა ლიხთამერსა ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისა... და ეპისკოპოსი ლიხთამერისა ჳოროხსა აქათ, ოვრეთსა აქათ ზღჳ პონტოსა აქათ სადა დიდისა ბიჭუინტისა სამზღუარი მიაწევს ებისკოპოსნი ამა იჳლმისა მიჯნისგნ კათალიკოსგნ იკხეოდნენ“⁵. ასეთი იყო სამწყსო „ს-დ ლიხთამერისა და აფხაზეთის კათალიკოზ“-ისა⁶ მცნება სარჯულოთი.

პირველის შეხედვით, ეს თითქოს ნათელი მოხაზულობა ტერიტორიისა ჩაკვირვების შემდგომ ბუნდოვან სურათსა შლის და ამიტომაც განმარტებას მოითხოვს. რას ნიშნავს ზემოაღნიშნულში ცნებები „აფხაზეთი“ და „ლიხთამერი“? არიან ისინი ვიწრო სათემო სახელწოდება—ე. ი. აწინდელი „იმერეთი“ და „აფხაზეთი“, თუ თითოეული მათგანი ფართო პოლიტიკურ-გეოგრაფიული ტერმინებია დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით?

როგორც „აფხაზეთი“, აგრეთვე „ლიხთამერიც“ მოყვანილ ამონაწერებში ყოველთვის ერთისა და იმავე შინაარსის შემცველი არ არიან. მაგალითად, როცა ვკითხულობთ: „დავსუით აფხაზეთს საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა იოაკიმეო“, აქ „აფხაზეთს“ ფართო გაგებით არის ნახმარი, ისე როგორც ამავე ძეგლის მეორე ადგილას: „ვითარ იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნი ანდროშისა პატრიარქათგან იკურთხეოდინა“⁷. ხოლო შემდეგ ადგილას: „ყოველთა ქეანთა ლიხთამერსა ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისა ჳოველთა ურჩთა... მომაქცევლად ვაკურთხეთო“-ო⁸. აქ კი „აფხაზეთი“ სათემო გაგებით არის ხმარებული.

ასევეა „ლიხთამერიც“. მაგალითად, უკანასკნელ ამონაწერში „ლიხთამერი“, ისე როგორც „აფხაზეთი“, ვიწრო გაგებით არის მოყ-

ვრ. აფხაზეთის კათალიკოსის კურთხევა უფლებების მხრივ იაფად არ დაუჭდებოდა უკანასკნელს: მაგრამ ეხლა სულ სხვა დრო იყო: ანტიოქიის პატრიარქი თურქ-ოსმალთაგან შეპირებული თვითონ ეძიებდა შველა-შემწეობას; გაღარიბებულ-შემცირებულ იმ მთელ აღმოსავლეთ საქრისტიანოში ჰკრეფდა მოწყალეობა-შესაწირავს თავისი ტახტისათვის, გაძარცულ-გაოხრებული ეკლესია-მონასტრებისათვის. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ის ადვილად იტყოდა უარს განსაზღვრულ უფლებებზე, ოღონდ სამაგიეროდ რაიმე მატერიალური სარგებელი მიეღო.

5 მცნება სარჯულო, ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 4—5.

6 იქვე, გვ. 10.

7 იქვე, გვ. 4.

8 იქვე.

ვანილი: მასში არ შედის არც ოდიში, არც გურია, არც აფხაზეთი მაგრამ შემდეგ ამონაწერში: „ეპისკოპოზი ლიხთა ამერიისა ჭოროხსა აქათ, ოვსეთსა აქათ ზა პონტოსა აქათ სადა დიდისა ბიჭუინტისა სამზღური მიაწევს“⁹... აქ იგივე ლიხთა ამერი ფართო გაგებით არის ხმარებული: მასში შედიან გურიაც, ოდიშიც და აფხაზეთიც ზემორე ვიწროდ გაგებულ ლიხთამერთან ერთად. რაც შეეხება გამოთქმას: ლიხთამერიისა და აფხაზეთისა კათალიკოსი ან კიდევ „სლ ლიხთამერიისა და აფხაზეთისა კათალიკოზს“ — აქ ჩვენ საქმე გვაქვს შემდეგ მოვლენასთან: ტერმინი „აფხაზეთი“, როგორც მთელი ლიხთიმერიის შემცველი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცნება, უკვე დიდი ხანია ცოცხალი აღარ არის. ამ დროს „აფხაზეთი“, როგორც ცოცხალი სიტყვა, მხოლოდ სათემო ცნებაა. აფხაზეთის კათალიკოსი ძველიდან მომავალი ტრადიციით მხოლოდ და XV ს. ლიხთიმერთა ცნობიერებაში ის ვეღარ იწვევს სათანადო წარმოდგენას. ამის გამო საჭირო ხდება მეორე ტერმინის მოშველიება, რომელიც ჯერ კიდევ XII საუკუნიდან ებრძოდა პირველს¹⁰ და უკვე კარგა ხანია მისი ადგილი დაიჭირა ცოცხალ მეტყველებაში. ეს ტერმინია ლიხთამერი. მოყვანილ ამონაწერებში ის ისეთივე ოდენობის ცნებაა, როგორც აფხაზეთი. ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს დუალიზმი — ორი იდენტური ცნება, რომელთაგან ერთი ცოცხალია, მეორე კი მწიგნობრულია მხოლოდ¹¹.

ამ განმარტებათა შემდგომ, შეგვიძლია არსებითად შევეხოთ მოყვანილ ცნობებს. მათი მიხედვით, აღმოსავლეთით აფხაზეთის საკათალიკოსოს სამზღვარია ლიხი, ჩრდილოეთით—ოფრეთი და კავკასიონი, ჩრდილო-დასავლეთით — „სადა დიდისა ბიჭუინტისა სამზღუარი მიაწევს“, დასავლეთით — „ზღა პონტოსა“, სამხრეთ-დასავლეთით: „ჭოროხს აქათ“, სამხრეთით—არაფერია ნაჩვენები. აქ ბუნდოვანია ჩრდილო-დასავლეთისა, სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის სამზღვრები.

სად მიაწევდა „დიდისა ბიჭუინტისა სამზღვარი“, ჩვენ არ ვიცით. ამავე დროს, როგორც შემდგომი ხანის ძეგლებიდან ჩანს, „ჩრდილოს“ გაგებაში აფხაზეთის საკათალიკოსო უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე აფხაზეთის (ჯიქეთითურთ) ტომობრივ-სახელმწიფოებრივი სამზღვრები.

იოსაფა ბარბარო სამეგრელოს ჩრდილოეთის სამზღვრად (XV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, აფხაზეთი, როგორც ჩანს, სამეგრელოს სამზღვრებში შედიოდა) ჩერქეზეთის მთავრებელს უჩვენებს, ხოლო

⁹ იქვე, გვ. 5, ასეთივე გაგებით იხმარება „ლიხთა ამერი“, იქვე, გვ. 7.

¹⁰ სხვაგვარად ესმის ხსენებული ადგილი პროფ. ივ. ჯავახიშვილს. იხ. ქართველი ერის ისტორია, IV, 122.

¹¹ შოამბე, 1894, გვ. 47.

ერთ მე-16 საუკუნის ძეგლში კი ჩრდილო და ჩრდილო დასავლეთით ნაჩვენებია „კაფა“ და „რუსეთის სამზღღუარი“¹².

ამ გარემოებას ეთანხმება და ერთგვარ გაშუქებასაც პოულობს აფხაზეთის კათალიკოსის წოდებულების ერთი ნაწილი: „ჩრდილოსა და.. კ-ზი“ ან „ყოვლისა ჩრდილოსა და... კ-ზი“¹³.

გაცილებით რთულია საკითხის გადაწყვეტა სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების შესახებ. სადავოა, აჭარისა და შავი ზღვისპირის ტერიტორიის (ქანეთამდის) ამა თუ იმ სამწყსოსადმი მიკუთვნება „მცნება სარჯულო“ ჭოროხს სდებს სამხრეთ-დასავლეთ სამზღღურად. ამ შემთხვევაში ჭოროხი სამზღღურად უნდა იგულისხმებოდეს ზღვისგან ვიდრე აჭარის წყლის შესართავამდე. ამას ზემოთ ჭოროხი უკვე სამხრეთისკენ წყდება და „ჭოროხს აქათი“-ც მიჭიხიანი და ნიგალია, რომელთაგან პირველი ტბეთის სამწყსოში, ხოლო მეორე ანჩისაში შედიოდა¹⁴. ამრიგად, „მცნება სარჯულოს“ მიხედვით, აჭარის ერთი ნაწილი მაინც აფხაზეთის საკათალიკოსოში იყო¹⁵. იმის გასარკვევად, თუ რაოდენი იყო აფხაზეთის საკათალიკოსოში მოყოლილი აჭარის ეს ნაწილი, ჩვენ შეიძლება მოვიშველოთ სამცხე-საათაბაგოს მღვდელთ-

¹² ტურ. „საისტორიო მოამბე“. წ. II, 1925, გვ. 183. აფხ. საკ-ზო დიდი იადგარი. გამოცემა ს. კაკაბაძისა.

¹³ ეს საკითხა თავისთავადაც საინტერესოა არა მარტო საეკლესიო არქეოლოგიისათვის, არამედ კულტურის ისტორიისათვისაც. მომავალი, იმეღია, ნათელს ყოფს, თუ საითგან ვრცელდებოდა საქრისტიანო სწავლა ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში — ჩერქეზეთსა და მის მიმდგომ ქვეყნებში. ჩვენ კი შეუძლებელს აქ არაფერს ვხედავთ. პარიჭით, თუ ერთის მხრით მხედველობაში მივიღებთ აფხაზ-ჩქეთა და ჩერქეზთა მონათესაობას და მეორეს მხრით აფხაზეთის კულტურულ-ეკონომიურ დაწინაურებას, როგორც მას ემჩნეოდა VII—VIII საუკუნეებში (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართ. ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 357, 358 და ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქ. სამოთხე, გვ. 339, 340), ჩვენ მეტის შესაძლებლობით შეგვიძლია დაეუშვათ, რომ კონსტანტინეპოლს საპატრიარქოს ეს უკიდურესი სამიტროპოლიტო — აფხაზეთი სწორედ მოწოდებული იყო ქრისტიანული მოძღვრების გამავრცელებლად ჩრდილო დასავლეთ კავკასიის თავის თანამომე ხალხებში.

კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი მორჩილებისაგან თავდაღწეული აფხაზეთის ეკლესია, უნდა ვიფიქროთ, დამოუკიდებლევ განაგრძობდა სამისიონერო მოღვაწეობას ჩრდილოეთის ქვეყნებში და ამდენადვე მისი კათალიკოსის წოდებულების ასეთი სამკაული რეალური შინაარსის მატარებელი ცნება იყო. რა თქმა უნდა, XVI—XVIII საუკუნეთა აფხაზეთის კათალიკოსები ასეთ მოღვაწეობაზე ვერც იოცნებებდნენ: მათ ხელიდან ეცლებოდათ არა თუ „ჩრდილოეთი“, თვით „აფხაზეთი“ და „პონტოც“. ამიტომ მათ წოდებულებაში „ჩრდილოს“ კათალიკოსობა მხოლოდ გაცეცხებულ ტრადიციას წარმოადგენს, რომლის ზემომოყვანილი ახსნა, ვფიქრობთ, დაუწვევებელი არ უნდა იყოს.

¹⁴ ბატ. ვ ა ხ უ შ ტ ი, გეოგრაფია, გვ. 226, 228; ტორდ., ქრონ., II, 53.

¹⁵ ტ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები II, 53;

მთავარნი¹⁶. მტბვეარის სამწყსოს შესახებ იქ კვითხულობთ: მტბვეარის სამწყსო დახატულას ზედათი ანაკერის აქეთი, სულა-შავშეთი მიჭიხიანი ბატონის კათალიკოსის ყოფილა, იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიც. ის ყოფილა: აქარა დანდალოს ზევითი მას ჰქონებია და დან-

¹⁶ აქვე უნდა შეინიშნულ იქნას, რომ ბათომის მხარე ჭოროხამდის გეოგრაფიულად აქარის ნაწილი (აქარის ნაწილადვე იგულისხმება ის ლეონტი მროველის ცნობითაც. — იხ. მ-მ დ¹ ფსი ქ¹ ცა* 129, გვ. 21), როგორც ჩანს, პოლიტიკურად უმთავრესად გურიაში შედიოდა და ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ბატონიშვილი ვახუშტი ბათომის მხარეს გურიის ნაწილად სოფლის (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, გეოგრაფია, 318) და ეს ნაწილი მას ეკლესიურად ხინოწმინდელის სამწყსოდ მიაჩნია (იქვე, 322, 323). ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ეჭვი შეეატანოთ ბატონიშვილი ვახუშტის ცნობის იმ ნაწილში, როცა ის ბათომის მხარეს ხინოწმინდელის ეპისკოპოსის სამწყსოში ითავსებს. ვახუშტის დროს ხინოწმინდის ეპარქია ჯერ კიდევ არსებობდა. როგორც ცნობილია, ის XVIII ს-ის მიწურულში გაუქმდა ქობულეთის გამაჰმადიანების გამო, ხ¹ ლ სხვა საკითხია ისა, თუ რა დროიდან შედიოდა ხსენებული მხარე ხინოწმინდელის სამწყსოში.

გურიის ნაწილადვე სოფლის ბათომს ამპროზიო კონტარინი — XV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში საქართველრზე გზად გამვლელი იტალიელი დესპანი — ის ამბობს: „ბათომი ციხეა და მცირე ქალაქი სამეგრელოს მთავრისა, რომელსაც სახელად ჰქვია გორბოლა (Gorbola) ამ მთავარს კიდევ აქვს მეორე პატარა ქალაქი შავი ზღვისპირად, სახელდობრ კალთიხეა (Caltichea), სადაც ჰყიდიან აბრეშუმის მომსახო ტილოს და მცირეოდენ შალსაც“ (მოამბე, XI, 1894 წ., გვ. 49). სიტყვა Corbola, რენი აზრით, „გურიელი“-ს ტრანსკრიბიციაა. Caltichea კიდევ დამაზიხეებულნი „ქაჯთიხეა“ — მაგრამ როგორ ჰქვია სამეგრელოს მთავარს „გურიელი“? საქმე ის გახლავთ, რომ მაშინდელი სამეგრელოს მთავარი შამადავლა გურიასაც ჰყოლობდა, ე. ი. გურიელიც იყო. ამიტომაც უწოდებს ის თავის თავს „დადიან-გურიელს“. თუ სამეგრელოში მას დადიანს ან ბედიანს უწოდებენ, გურიაში მისი სახელი გურიელი იყო. მთავრის ცნების გამოსახატავად გურიაში ეს სიტყვა იყო, ისე როგორც სამეგრელოში დადიანი ან ბედიანი. ამიტომაც იყო, რომ გურიის დამპყრობი დადიანი ვაგურიელიდებოდა, — „დადიან-გურიელად“ იწოდებოდა, ისე როგორც სამეგრელოს დამპყრობი გურიელი გადადიანდებოდა ხოლმე, — „გურიელ-დადიანად იწოდებოდა“ (Бакрадзе, Арх. нум. etc. გვ. 298, 269; და Такайшвили, Арх. зкс... вып. III, 20). ორსავე შემთხვევაში გურიის მთავარს გურიაში „გურიელს უწოდებენ, ისე როგორც სამეგრელოს მთავარს ოდიში მხოლოდ დადიანად ან ბედიანად — მიუხედავად იმისა, ჰყოლობდა ის გურიას თუ არა.

და მართლაც, რომ კონტარინის ზემოთ მოყვანილ ამონაწერში მხოლოდ გურია აქვს მხედველობაში, ეს ჩანს შემდეგიდან: კონტარინი განავრძობს — „ფაზის ქალაქი“ (Fasso) მეგრელების არის. მათ მთავარს ბედიელი ეწოდება. ბედიელის სამთავრო მცირე არის, ასე რომ სამ დღეში სამზღვრითგან სამზღვრამდის მიხვალთ და ამ სამ დღესაც იმიტომ მოუნდებით, რომ მრავალი ტყე და მთა შეგხედებათ“. რომ კონტარინის ეს ბედიანის სამთავრო სხვად მიაჩნია ვიდრე Corbola-სი, ეს იქიდანა ჩანს, რომ: 1) პირველის მთავარს ბედიანი (Bedian) ჰქვია, მეორესას Corbola; 2) Corbola რომ სამეგრელოს მთავრადაც ჰყავდეს კონტარინის ნაგულისხმევი. მაშინ მის შესახებ ვერ იტყოდა: „ამ მთავარს კიდევ აქვს (ზაზი ჩვენია) მეორე პატარა ქალაქი (ბათომს გარდა) შავი ზღვის პირად კალთიხეა“, რადგან სამეგრელოს

დალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა“. ამ ამონაწერის კრიტიკული განხილვა მთელი ძეგლის ასეთსავე შესწავლას მოითხოვს. ეს ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს. კერძოდ იმის შესახებ კი, რომ აქ ქვემო აჭარა ქუთათლის სამწყსოდ არის ცნობილი, ვფიქრობთ, ეს არ არის შეუძლებელი, რადგან გურიის საეპისკოპოსო კათედრები არ უნდა იყვნენ ძველი. კერძოდ, შემოქმედის შესახებ გარკვეული ცნობაც არსებობს, რომ საეპისკოპოსო კათედრა იქ მხოლოდ XV ს-ში დაარსდა. ამიტომაც როგორც გურია, ისე აჭარის ნაწილიც, დასაშვებია, ქუთათლის სამწყსოში შედიოდა.

ეხლა თუ ჩვენ „მცნება სარჯულოსა“ და „სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავარნი“-ს ცნებებს ერთიმეორეს მივაშველებთ, აფხაზეთის საკათალიკოსოს სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთით სამზღვრები შემდგენიარად წარმოგვიდგება: დანდალოზე გადავლილი ხაზით გადაჭრილი აჭარა, შავშეთის მთები ჭოროხის დასავლეთისაკენ მიქცევამდის და მდინარე ჭოროხი ზღვამდის.

მაგრამ აქ შესაძლებელია ანაქრონიზმი მოგვედიოდეს: აჭარის ასეთი გაყოფა ორ საკათალიკოსო სამწყსოს შორის მანამ იყო შესაძლებელი, სანამ საქართველო მთლიან სახელმწიფოს წარმოადგენდა. ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველო ერთი მეორის მოქიშპე ერთეულებად ჩამოყალიბდა და აჭარაც ერთ ამ ერთეულთაგანში — საათაბაგოში მოექცა (მართალია, ის სადავო ტერიტორია იყო მესხეთის მთავ-

მთავარს ამათ ვარდაც ჰქონდა ზღვის პირას ქალაქები თუნდაც ანაკლია და სებასტოპოლი (უკანასკნელს კდღე იხსენიებს მეორე დესპანი იოსაფა ბარბარო), 3) როდესაც კონტარინი ბედიანის სამფლობელოს სიმცირეზე მოგვიტორობს, მას მხედველობაში მხოლოდ სამეგრელო აქვს: მან სწორედ სამი დღე მონადღმა ფოთიდან ცხენსწყაღზე მისვლას. ბათომიდან ფოთამდის კი კონტარინის ორი დღე დასჭირდა. ასე რომ დადიან-გურიელის „სამზღვრითგან-სამზღვრამდე“ კონტარინით 5 დღე იყო საჭირო. აშკარაა მისი სამი დღე მხოლოდ საკუთრივ სამეგრელოს გულისხმობს.

ასევე ცალ-ცალკე აქვს წარმოდგენილი გურია და სამეგრელო იოსაფა ბარბაროსაც. სამეგრელოს სამზღვრებს ის შემდეგნაირად გვაძინობს: „ქვეყანა ყაიტაღების (Caitchi), რომლებიც ცხოვრობენ კასპიის მთის მახლობლად (il monte Caspio), საქართველო, შავი ზღვა (il mare maggiore) და ჩერქეზეთის მთავრებილი რამდენადმე ფაზისის მდინარეც უღლის გარშემო ამ ქვეყანას და შერე ჩაერთვის შავ ზღვას“. აქ ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა ის, რომ სამხრეთით სამზღვრად რიონია დასახელებული, აქვე შემდგომ წინადადებაში ისა წერს: „სამეგრელოს ზე აეარს ჰქვია ბედიელი. შავი ზღვის პირად ამ მთავარს აქვს ორი ციხე: ბათომი და სებასტოპოლი და აგრეთვე სხვა კოშკები და მცირე ციხეები“ (მოამბე, XI, 1894). მან როგორღაა ფაზისი სამეგრელოს სამზღვარი? პასუხი ერთია: იოსაფა ბარბარომ იცის, რომ საკუთრივ სამეგრელო ან საბედიანო ერთია და მისი დროის პოლიტიკური სადადიან-გურიელო მეორე. სწორედ ამით არის გამოწვეული სიტყვა „რამდენადმე“ ფაზისის სამზღვრად დასახელებისას.

რებსა და გურიელებს შორის). რომელიც საბოლოოდ ეკლესიურად მცხეთის ტახტს დაემორჩილა, — ასეთ პირობებში აჰარის ასეთი დანაწილებულ ყოფა ორ საკათალიკოსოს შორის ძნელი საქმე იყო. მით უფრო, რომ თვით აჰარაში არ იყო საეპისკოპოსო კათედრა. ამიტომ საფიქრებელია, რომ აჰარის პოლიტიკურ ბედს განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა მის საეკლესიო მდგომარეობაზე. სწორედ ასეთი მოვლენის შედეგი უნდა იყოს ბატონიშვილი ვახუშტის ცნობა, რომ „ანჩას იჯდა ეპისკოპოსი მწყემსი ლიგანის ხევისა გაღმა გამოღმართისა გონიამდე, ფორჩხის ხეობისა და აჰარისა“ (ვახუშტი, გეოგრაფია, 226). მართალია, ჩვენ ვიცით იმავე ვახუშტით, რომ ბათომის მხარე, როგორც გურიის ნაწილი და ხინოწმიდელის სამწყსოში შემავალი, აქ მოხსენებული აჰარისაგან გამოირიცხულია, მაგრამ ამით კიდევ არ ისპობა ფაქტი ანჩელის სამწყსოდ ძველად ქუთათლის სამწყსოსადმი კუთვნილი ქვემო აჰარის ნაწილის გადასვლისა (შესაძლებელია მეცნიერი გეოგრაფი აქ ცდებოდეს ან შეიძლება წყარო ჰქონდა დამახინჯებული, როცა აჰარას ანჩელს აკუთვნებს და არტანუჯს — მტბევარს, მაგრამ ჩვენი თემისათვის აქ მთავარი ის არის, რომ აჰარა მის ბოლოზე მცირე ოთხკუთხედს გარდა აფხაზეთის საკათალიკოსო სამწყსოში არ შედის)¹⁷.

განუხილველი დაგვრჩა სამხრეთ-დასავლეთი სამზღვრის საკითხი.

აფხაზეთის საკათალიკოსო დიდ იადგარში სამხრეთ-დასავლეთ სამზღვრად ქანეთია ნაჩვენები: „სამწყსო ლიხსა და კაფას შუაა და რუსეთის სამზღვარსა და ქანეთს შუა“¹⁸. ჩვენ არ ვიცით, სად გულისხმობს ეს ცნობა სამზღვრის ხაზს ქანეთსა და აფხაზეთის კათალიკოსის შუა. სხვადასხვა დროს ეს სამზღვარი ერთი და იგივე გეოგრაფიული ხაზი არ იყო. ბატონიშვილი ვახუშტით ქანეთი—„არს ესე შავი ზღვის კიდის წადენებით გონიიდან ტრაპიზონის საზღვრამდე“¹⁹. გონია მიაჩნია გონიერ ბატონიშვილს გურია-ქანეთის სამზღვრად XVI ს-შიც²⁰.

17 მთელი ამ საუბრის დროს, რა თქმა უნდა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს გეოგრაფიულად უკვე ჩამოყალიბებული აჰარა „ნოსტის თავითგან ზღუამდის“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 326). სულ სხვა საკითხია, როგორ მოექცა აჰარა ორ საკათალიკოსო სამწყსოში. შეიძლება ეს მოვლენა ერთობ შორეულ წარსულზე მიგვიითებდეს, როცა აღმოს. — დას. საქართველოს ეკლესიები ჯერ კიდევ გაერთიანებული არ იყვნენ და დანდალოს ხაზი ამავე დროს სახელმწიფოებრივი სამზღვარი არ იყო „აფხაზეთა“ მეფეებსა და ტაო-კლარჯეთის ქართველ ხელმწიფეთა შორის? სამწუხაროდ, ეს საკითხი ამჟამად ჩვენი კვლევის საგნად ვერ გახდება: მას არა აქვს უშუალო კავშირი ჩვენს თემისთან.

18 საისტორიო მოამბე, წიგნი II, 1925, გვ. 183.

19 ვახუშტი, გეოგრაფია, 246.

20 საქართველოს ცხოვრება 1469—1800 წლამდე ბატონ. ვახუშტის მიერ. გამ. ზაქ. კვიციანიძისა, 289.

ძველად, როგორც ქართული წყაროები მოწმობენ, სომხური უსახელო გეოგრაფიის „ეგრი“ კლარჯეთის სამზღვრებს უნდა ჰკუთვნებოდა²¹ და მამუქანეთი იწყებოდა არა გონიასთან, არამედ „ადგილი ხუფთათ წოდებულის“ ახლო. თვით ეს ხუფათიც კი XX ს-ის დასაწყისიდან მაინც საქართველოს სახელმწიფოებრივ სამზღვრებში შედიოდა²², თუმცა ამავე დროს ეს ქალაქი, როგორც ჩანს, კლარჯეთში არც მაშინ ითვლებოდა²³.

ხუთი საუკუნის სიგრძეზე (XII—XVI სს.) ამ ტერიტორიის (ეგრის) საქართველოს სახელმწიფოებრივ სამზღვრებში ყოფნა უდავოდ ზღის ქართული ეკლესიისადმი მის დაქვემდებარებას. სხვა საკითხია რომელ ტახტს ექვემდებარებოდა ის, მცხეთისას თუ ბიჭვინტისას. ლეონტი მროველით, როგორც მოვიხსენიეთ, ეგრი კლარჯეთში შედიოდა. მაგრამ ხსენებული ადგილის განსაკუთრებული სახელი „ეგრი“ გვაფიქრებინებს, რომ ლეონტი მროველი თავისი დროის კლარჯეთის პოლიტიკურ სამზღვრებს უძველეს ამბად ასაღებს, რომ ეგრი კლარჯეთისაგან დამოუკიდებელი ტერიტორია იყო ძველად (შეიძლება თვით კლარჯეთი გვიან შემოსული ცნებაა...?).

XIII ს-ში როგორც ეგრი, ისე ძანსულის ხეობაც დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო სამზღვრებში მოჰყვა²⁴. ამ დროიდან ეგრი მთლიანად მაინც კლარჯეთში აღარ შედიოდა.

სამცხე-საათაბაგოს „მღვდელთ-მთავარნი“²⁵ „ანჩელის სამწყსო სამწყალს აქეთი ხანხას (ხანძიას) და ოპიზას შუა დახატულა ამას ქვემოთი ნიგალის ხევი გაღმა და გამოღმართი გონიის სამზღვრამდინ“²⁵. ჩვენ არ ვიცით სანამდის გულისხმობს ეს წყარო ნიგალის ხევს, საფიქრებელია ფორჩხამდის, ე. ი. ჭოროხის, ჩრდილოეთისაკენ მიქცევამდის, მაგრამ თუნდაც ამას გადასცდეს ის, მიჭიხიანის სამზღვარს მაინც ვეღარ გადავა, ასე რომ ნიგალის გაღმა-გამოღმართი მთელ ეგრის მაინც არ ნიშნავს. მაგრამ ვფიქრობთ ტექსტი უფრო გადაჭრილს გვეუბნება: „ნიგალის ხევი გაღმა გამოღმართი გონიის სამზღვრამდის“. რას ნიშნავს ეს? ჩვენ ეხლა ვნახეთ, რომ ნიგალის ხევის გაღმა-გამოღმართი მიჭიხიანს მაინც ვერ გასცდებოდა (მიჭიხიანი იმავე წყაროთი მტბევარის სამწყსო იყო). ამიტომ გონია აქ დაბა-ქალაქის ან ციხის სახე-

21 ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 329.

22 შშ დ^რფლისი ქ^ც, 532, გვ. 258, და 494, გვ. 266.

23 იქვე, გვ. 298.

24 ამას ამტკიცებს კორიდეთის სახარების პირველი ქართული შინაწერი (რიგით), რომელიც XIII ს-ის შორეულ ნახევარს ეკუთვნის, როგორც ეს ნიკო მარშია დაამტკიცა.

25 თ. ეორდანიია, ქრ-კები, II, 53.

ლად კი არ არის ნახმარი, არამედ მთელი მხარის და თუ მთელი ეგრის შესატყვისობით არა, მისი ზღვისაკენ მიქცეული პირისა მაინც.

ვახუშტით: „ანჩას ეპისკოპოზი მწყემსი ლიგანის ხევისა გაღმა-გამოღმართისა გონიამდე, ფორჩხის ხეობისა და აჭარის“²⁶. ლიგანის ხევი გაღმა-გამოღმართი რომ გონიამდის ვერ აღწევდა, თუ გონია აქ ციხე გონიად ვიგულისხმეთ, ეს თვით ვახუშტის ცნობებიდან ცხადია: შავშეთი, აჭარა და გურია — ყველანი ეკერიან ჭოროხს ჩრდილოეთისა თუ ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით. ეს ქვეყნები კი მტბვეარისა და ხინოწმიდელის სამწყსოში შედიან. ამიტომ, „ლიგანის ხევი გონიამდე“ გაუგებრობა იქნებოდა, თუ გონია აქ მთელი მხარის აღმნიშვნელად არ ვიგულისხმეთ. მეორე მხრით ჩვენ ვიცით, რომ ჭანეთი „არს ესე შავი ზღვის კითის (კიდის) წადევნებით გონიიდან ტრაპიზონის საზღვრამდე“, ე. ი. გონია (მხარეა ის თუ მხოლოდ ციხე) ჭანეთში შედის და ანჩელის სამწყსოს არ შეადგენს. ამავე დროს რომ ეს „შავი ზღვისკიდის წადევნებით“ ძველ ეგრს არ ნიშნავს მთლიანად, ეს იქიდან ჩანს, რომ ვახუშტი ფორჩხის ხევს ანჩელის სამწყსოს აკუთვნებს და ეს ხევი კი ძველი ეგრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კარგა მოზრდილ ნაწილს შეადგენს.

იოკვევა: ანჩელის სამწყსოში მთელი ეგრი არ შედიოდა; და ჭანეთი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ძველად გონიიდან არ იწყებოდა, არამედ გაცილებით სამხრეთ-დასავლეთით.

როგორც ვხედავთ, ჩრდილოეთისა და სამხრეთ-დასავლეთის სამზღვრები აფხაზეთის საკათალიკოსოს იმთავითვე ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ განსაზღვრული არ ჰქონია. თუ ჩრდილოეთის მიმართულებით ასეთი რამ ბუნებრივი იყო (ჩრდილოეთი ამ ეკლესიის სამისიონერო სარბიელს წარმოადგენდა და სხვა ეკლესიის ინტერესს ნაკლებად ეჯახებოდა), სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით საკითხი სულ სხვა რიგად იდგა. აქ ერთიმეორეს ხვდებოდა სამი ერთიმეორისაგან ტერიტორიულად გამიჯნული ეკლესია: ქართლის საკათალიკოსო, აფხაზეთის საკათალიკოსო და კონსტანტინეპოლის საპატრიარქო.

აქვე ხვდებიან ერთიმეორეს სახელმწიფო ტერიტორიებიც... ასეთ პირობებში აღნიშნული ტერიტორიის ერთი სახელმწიფოდან მეორის ხელში დიდის ხნით გადასვლას გადაწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა მისი ერთი ეკლესიითგან მეორისადმი მისაკუთვნებლად.

ზემოთქმულის მიხედვით: თუმცა აფხაზეთის საკათალიკოსო სამწყსოს ფარგლები სამხრეთის მიმართულებით გარკვეულ დროს ჭოროხს მიჰყვება, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ იყო. დიდი იადგარის ცნობა, მართალია, ფაქტიურად იგვევა, რაც მცნება სარჯულს „ჭოროხს აქ-

ათ“-ი („ჭანეთს შუაჲ“), მაგრამ, ვფიქრობთ აქ შემთხვევითი შეხვედრაა. ცოტა ამაზე უწინარეს, ვიდრე XIII საუკუნითგან მოყოლებული, ეს სამზღვარი გაცილებით შორს იყო დასავლეთით. ჰოროხითგან და „ჭანეთს შუაჲ“ სრულიად არ უდრიდა „ჰოროხს აქათს“ (შეიძლება სწორედ ამ გარემოებით აიხსნებოდეს აფხაზეთის კათალიკოსის წოდებულებაში „პონტოს“ შეტანა. ერთი ცხადია: თუ კათალიკოსის წოდებულების ეს ნაწილი ოდესმე სინამდვილეს ასახავდა, ასეთი სინამდვილე სწორედ ამ მიმართულებით არის საძიებელი).

ეხლა, როცა აფხაზეთის საკათალიკოსოს საზღვრები ასე თუ ისე გამოკვლეული გვაქვს, ჩვენთვის უფრო გასაგები იქნება აფხაზეთის კათალიკოსის წოდებულების გეოგრაფიული შინაარსი. ამ მხრივ კათალიკოსის წოდებულება შემდეგი სხვადასხვა სახით გვხვდება: „აფხაზეთის კ-ზი“²⁷, „ჩრდილოსა და აფხაზეთის კ-ზი“²⁸, „ჩრდილოსა აფხაზეთისა და ყოვლისა ქვემოსა იმერეთისა კ-ზი“²⁹, „პონტო ჩრდილოსა და აფხაზ-იმერთა სავსებისა კ-ზი“³⁰, „პონტო ჩრდილით აფხაზ-იმერთა და ყოვლისა ქვემოსა ივერიისა კ-ზი“³¹. თუ ყველა ესენი ასე თუ ისე გასაგებია ჩვენ მიერ ზემოთ მიღებულ განმარტებათა შემდგომ, კ-სის წოდებულებანი გამონაკლისის სახით მაინც გვხვდება ჩვენთვის ჭერ-ჭერობით აუხსნელი შინაარსის შემცველნი. ასეთებია: „აღმოსავლისა და ყოვლისა ჩრდილოს და აფხაზეთის კ-ზ პატრიარქი“³², „დიდისა აფხაზეთისა და ყოვლისა საქართველოსა პატრიარქისა კ-ზისა“³³, „ყოვლისა საქართველოს მწყემსი კ-ზ“³⁴, „სრულიად საქართველოს მაკურთხეველი აფხაზეთისა (sic) კ-ზი“³⁵. ასეთი გამონაკლისები ხშირი არ არის. პირადად ჩვენ სხვა ასეთი მაგალითები არ შეგვხვედრია. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ თვით ასეთი წოდებულების მატარებელი კათალიკოსი ყველა სხვა ჩვენთვის ცნობილ შემთხვევაში ჩვეულებრივი წოდებულებით გვხვდება. რა იგულისხმება მალაქია კ-ზის „აღმოსავლისა“-ში და რით არის გამოწვეული მისი „პატრიარქობა“? ან კიდევ ეფთვიმე საყვარელიძის — „ყოვლისა საქართველო-

27 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. ს. კაკაბაძის გამოცემა, I, 58²⁷, 59¹⁶, 60¹¹, 115 და სხვ.

28 იქვე, 70¹¹⁻¹², 79⁵⁻⁶, 85⁶, 101¹⁵ და სხვ.

29 იქვე, II, 41²¹.

30 იქვე, 47¹⁰⁻¹¹.

31 იქვე, 63⁷⁻⁸.

32 იქვე, 10⁷⁻¹⁰.

36 თ. ჟორდანიას კრონიკები, II, 435¹⁵⁻¹⁶.

34 დას. საქ. საეკლ. საბ-ბი, ს. კაკაბაძის გამოცემა, I, 170^{ვე}.

35 საქართ. სიძველენი, I, 32.

მსა პატრიარქობა? ასევე „ყოველსა საქართველომ წყემსად“ და „მაკურთხეულად“ უწოდებენ თავის თავს კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე და მალაქია გურიელი. არის ეს მდივან-მწიგნობრული გადაჭარბება, ნაწილობრივ მაინც სინამდვილეზე აგებული ცნება, თუ მცხეთის კათალიკოსის წოდებულების შეგნებული დაპირისპირება? ყველაზე ბუნებრივი უკანასკნელი შესაძლებლობა იქნებოდა, რომ ჩვენ საქმე გვქონდეს ასეთი წოდებულების სისტემატურ ხმარებასთან. ჯერჯერობით ეს საკითხი ჩვენთვის ნათელი არ არის, მაგრამ აფხაზეთის კათალიკოსთა წოდებულება არა მარტო ამ მხრივ არის საყურადღებო. საყურადღებოა, რომ ყველა კ-სი სახელთან ერთად თავის გვარსაც იხსენიებს, წოდება კ-ს, უმრავლეს შემთხვევაში, წინ უძღვის ან თან დასდევს „უფალი“, „ბატონი“, „პატრონი“, ზოგჯერ: „უფალი-ბატონი“, ერთხელ კი „ხელმწიფე“³⁶, ზოგი კ-სი ორის ან კიდევ სამის თანამდებობათა შემცველ წოდებულებას ატარებს³⁷.

აქ ჩვენ შევხვებით წოდებულების მხოლოდ ამ უკანასკნელ მხარეს, რაც შეეხება პირველ ორს, იმათ შესახებ ჩვენ საუბარი გვექნება საკათალიკოსოს პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

როდესაც რომელიმე კათალიკოსის წოდებულებაში რამდენიმე თანამდებობის შემცველი შინაარსი გვხვდება, ბუნებრივად იბადება საკითხი: ასეთი წოდებულებათა მატარებელი კათალიკოსები არიან ამავე დროს მათ წოდებულებაში მოხსენებული ეპარქიის (ანუ ეპარქიათა) ეპისკოპოსნიც, თუ ასეთი სამკაული მხოლოდ და მხოლოდ ნაკვალევია მათ მიერ განვლილ სამღვდელთმსახურო კარიერისა და ამდე-

36 კ-ზი გურიელის ძე ბატონი მალაქია (დას. საქ. საბ. I, 43გ), აფხაზთა კ-მან მაკურთხეულად მაქსიმე (იქვე 58გ), აფხაზთა კ-ზი პატრონი მაქსიმე (იქვე 59), ბ-ნი გენათელ კათალიკოზი ზაქარია ქუარიანი (იქვე 63გ), ქუთათელ კ-სა ჩხეტიძესა პატრონსა სწემონ (იქვე 66), კ-ს ნეესაძეს ბ-ნს დავითს (იქვე 75), კ-ს ლორთქიფანიძეს ბატონს გრიგოლს (იქვე 126), რაჯის ერისთავის ძემან კ-ზ პატრიარქმან უფალმან ბატონმან ბესარიონ (დას. საქ. საეკ. საბ. II, 7გ),... კ-ზ ბატონიშვილი იოსებ (იქვე 41გ), უფალს ბატონს კ-ს მაქსიმეს (იქვე 60), კ-ზ მამამთავარმან აბაშიძემან მაქსიმე (იქვე 63-გ), საქართველოს სიმღვლენი, I, 32.

37 ...აფხაზთა კ-ზი კაიშელ ჭუმათლისა ხონელი მთავარ ეპისკოპოზისა გურიელს გიორგის ძესა ბ-ნის მალაქისა. (აფხაზთა საე-ზო გლეხების დიდი დავთარი, 46), გელათელი კ-ზი ზაქარია ქუარიანი (დას. საქ. საეკ. საბ. I, 61გ), ...აფხაზთა კ-ზს ქუთათელსა ჩხეტიძესე პატრონსა სწემონს (იქვე, 66), ჩრდილოსა და აფხ-სა შემოქმედელი ნეესაძე დავით (Бакрадзе, АГПА, 290), ბ-ნ კ-ზს გენათელს... იოსებს (დას. საქ. საბ., II, 46), ...კ-ზ ქუთათელი მაქსიმე (იქვე, 67).

ნადევ მათი წოდებულობის ეს ნაწილი აწმყოში, რეალობას მოკლებული, მხოლოდ ისტორიული შინაარსის შემცველია? დასმულ კითხვაზე გარკვეული პასუხის გასაცემად ჩვენ დაგვჭირდება რამდენიმე ასეთ წოდებულებათა ისტორიული შეჯერება.

პირველ ყოვლისა ერთი ზოგადი კითხვა უნდა დაისვას: რატომ არის, რომ მხოლოდ ზოგიერთი კ-სი ატარებს ასეთ წოდებულებას? განა ის კ-სები, რომელნიც ასეთ წოდებულებას არ ატარებენ, კ-სად კურთხევამდის რომელიმე ეპარქიის ეპისკოპოსნი არ იყვნენ? რა თქმა უნდა, იყვნენ. მაშ პასუხი თითქოს ერთია: კ-სის წოდებულებაში რომელიმე ეპარქიის ეპისკოპოსის მოხსენება რეალური შინაარსის მატარებელი ცნებაა. მაგრამ განვამტკიცოთ ასეთი დასკვნა კონკრეტულ შემთხვევათა განხილვით.

ექვთიმე თაყაიშვილს მოჰყავს ცაიშის ჯვარცმის წარწერა, სადაც მალაქია კათალიკოს ცაიშელ-ჯუმათლად იწოდება. ამავე ხატის ჩასასვენებლის გრძელ წარწერაში 1617 წლისა კ-სი მალაქია მოგვითხრობს: „მას ჟამსა ოდეს საჲედ ვიპყრობდი ცაიშის, ჯუმათის საყდარსა ზედა ჩვენ ძემან გურიელისა პატრონისა გიორგისამან პატრონმან მალაქია, ქელეყავ ცაიშისა ტაძრისა შემკობად“... და ჩემი სურვილი სრულეყავით. ერთი წლის შემდგომად ამისა იქმნა საშინელი მიწისძვრა, რომელმაც ცაიშის ტაძარი საფუძვლამდე დაანგრიაო და ჩემი გაკათალიკოსობის შემდგომ. რომელიც ამ მიწისძვრის მეორე წელს მოხდაო — „ჩვენ დიდმან მამამთავარმან ყოვლისა ჩრდილოეთისა კედართა კათალიკოს-პატრიარქმან ცაიშელ-ჯუმათელმან... პატრონმან მალაქია მეორედ ხელეყავ აღშენებად ტაძრისა ამისა და მკობად ხატთა და მოვაჭედინეთ ძელი ცხოველი და ხატი უხილავი, თვით ესე ცაიშთა ღმრთის მშობელი... ქორონიკონსა ტზ...“³⁹. 1621 წელს გადაწერილს აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში შეტანილია საცაიშლოს გამოსავლის დავთარი, რომელიც შედგენილია მალაქია კ-სის ბრძანებით ნაცვლად მიწისძვრის დროს დაღუპული დავთრისა⁴⁰. დავთრის შედგენას ბ-ნი სარგის კაკაბაძე სამართლიანად მიაკუთვნებს 1619—1621 წწ. ხსენებულ დავთარში მოცემულია როგორც საცაიშლოს სოფლებისა და ყმების სია მათის გამოსადებლით, ისე საცაიშლოს სამზღვრები. ასეთი დავთრები ჰქონდა ყოველ საეპისკოპოსოს და გარეშე მისა როგორც ეკონომიური, აგრეთვე მრავალი სხვა საქმიანობა ყოვე-

38 ძველი საქართველო, III, 165.

39 იქვე, 168—169.

40 ს. კაკაბაძე, საცაიშლოს გამოსავლის დავთარი, 41.

ლად წარმოუდგენელი იყო. ზემომოყვანილი წარწერებიდანაც შეიძლება იმის დასკვნა, რაც ასე უდავოდ მტკიცდება საცაიშლო-გამოსავლის დავთრის საკ-სო დავთარში შეტანით მალაქია კ-სის მიერ: ცაიშელ-ჯუმათელი მთავარეპისკოპოსი მალაქია 1613 წელს ამთავრებს ცაიშის შემკობას, 1615 წელს მიწისძვრა ანგრევს ტაძარს. 1616 წელს მალაქია კ-სი ხდება⁴¹ და იმავე წელს ის იწყებს ცაიშის აღდგენას და ამთავრებს მას 1619 წელს. 1621 წელს საცაიშლო გამოსავლის მის მიერვე განახლებული გუჯარი მალაქია კ-სის ბრძანებით აფხაზთა საკათალიკოსო დიდ დავთარში შეაქვთ. უდავოა: კ-სი მალაქია ცაიშის საეპისკოპოსო კათედრასაც განაგებს. ის მარტო სახელით კი არა, რეალურად არის ცაიშელი მთავარეპისკოპოსიც.

ეხლა განვიხილოთ მალაქია კათალიკოსის ჯუმათელობა. ზემომოყვანილ ერთ-ერთ წარწერაში მალაქია ხაზგასმით ამბობს: „მას ეამსა ოდეს

⁴¹ განსვენებული თ. ფორდანი უსწორებს აკ. მ. ბროსეს მალაქიას გაკათალიკოსების თარიღს (უკანასკნელს ზემო წარწერის 1619 წელი მიუჩნევია ასეთად) და დიქტობს, „რომ 1619 წელი არის დრო ცაიშის ეკლესიის შენობის სრულად დამთავრებისა“ (ქრონიკ. I, 306). ამ აზრს არ იზიარებს ბ-ნი სარჯის კაკაბაძეც (საცაიშლოს გამოსავლის დავთარი, გვ. 2). მართალია, აღნიშნულ თარიღთან წარწერაში ცაიშის ღმრთისმშობლის შემკობაზეც არის ლაპარაკი. თვით წარწერაში „ეკლესიის შენობის სრულად დამთავრებაზე“ არ არის ლაპარაკი, მაგრამ ვფიქრობთ, თ. ფორდანი მაინც მართალია. საქმე ის არის, რომ ამ თარიღთან წარწერაში ცაიშის ღმრთის მშობლის შემკობაზეც არის ლაპარაკი. თვით ღმრთის მშობლის ხატის წარწერაში კი, რომელიც უთარილოა, ნათქვამია: „ახლად კელეჯაფ აღშენებდ საყდრისა და აღვაშენე ცაიშისა ღმრთის მშობლისა საყდარი და შევიამვევი“ (ძვ. საქართველო, 171). სწორედ ეს ხატი (უთარილო წარწერაში) 1619 წელს შემკობილა. ეს ჩანს ზემო თარიღიანი წარწერიდან. მას ეკლესიის აგებაც 1619 წელს დამთავრებულა. ეს მართალი იქნებოდა მხოლოდ იმ პირობით, რომ სხენებული ხატის შემკობა და წარწერა ერთ წელიწადში მოხდა. ამას კი გვაფიქრებინებს დამწერლობის ერთნაირი ხასიათი: გამოთქმების, სტილის, ქარაგმების ერთნაირობა (იხ. ძვ. საქართველო, გვ. 167—171). აქ ამის შემდეგაც კი ერთი კორექტივი აუცილებელია: უთარილო წარწერაში კ-ზ მალაქიას წოდებულზეც განსხვავებულია: თუ ის წინა წარწერებში კ-ზ ცაიშელ-ჯუმათელი იყო, აქ ის კათალიკოზ ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელ მთავარ ეპ-სად გვევლინება. ასევეა ის წოდებული საცაიშლოს გამოსავლის დავთარში და 1621 წლის საკ-ზო გლეხების დიდ დავთარში. საფიქრებელია არაა, რომ წინა წარწერებში კ-ზ მალაქიას ხონელობა დამწერელს დავიწყებოდეს. მაშინ როცა მისი ჯუმათელ-ცაიშელობა მოხსენებულია. ამიტომ უნდა ვიფიქროთ: 1619 წლამდის მალაქია კ-ზი ხონელი მთ. ეპისკოპოსი არ ყოფილა. მას ხონელობა სწორედ 1619 წელს შესაძლოა, მიეღოს. ყოველ შემთხვევაში არა უკვიანეს 1620 წლისა. ხონელობა მიუღია მას უფრო გვიან, ვიდრე ცაიშის ტაძრის აღდგენა დამთავრდებოდა და უფრო ადრე, ვინემ უკვე მოქედილ-შემკობილი ცაიშის ღმრთისმშობლის ხატის წარწერა გაკეთდებოდა.

საქედ ვიპყრობდი ცაიშის ჯუმათის საყდარსა ზედა“-ო⁴². ცხადია, ის ერთსა და იმავე დროს ცაიშელი მთავარეპისკოპოსიც არის და ჯუმათელიც. მაგრამ ამ დროს მალაქია ჯერ კიდევ კათალიკოსი არ იყო. ცაიშლობის ანალოგიით ჩვენ შეგვეძლო გვემსჯელა მალაქია კათალიკოსის ჯუმათლობაზედაც, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, უკეთესი საბუთიც გვაქვს, ვიდრე ანალოგია. შემოქმედის გულანის ქრონიკაში ვკითხულობთ: „ტკჲ. აქა ჯუმათელი კათალიკოზი მიიცივალა“—ამას მოსდევს: „ტკჲ. აქა ჯუმათელი ნიკოლოზ მანველიშვილი დაჯდა“. აქ მოხსენებული „ჯუმათელი კ-ნი“, 1639 წელს მიცვლილი, არის მალაქია კ-სი, ჯერ ერთი გამოთქმა „ჯუმათელი კ-ნი“, მეორე ამ ჯუმათელი კ-სის გარდაცვალების დაკავშირება ნიკოლოზ მანველიშვილის ჯუმათლად დაჯდომასთან უშუალოდ აცხადებენ, რომ ჯუმათელი კ-სი გარდაცვალებამდის ჯუმათელი ეპისკოპოსის თანამდებობასაც ასრულებდა კ-სობასთან ერთად. და მხოლოდ მისი სიკვდილის შემდგომ შესაძლებელი შეიქმნა ჯუმათლობის არა კათალიკოსისადმი ბოძება (თუ რატომ იყო, რომ საეპისკოპოსო კათედრა ჯუმათისა 1639 წლიდან 1640 წლამდე — დაახლ. 1 წელი — უეპისკოპოსოდ იყო, — ამაზე საუბარი ქვემოთ თავის ალაგას გვექნება).

განსახილველი დავგრჩა მალაქია კ-სის „ხოწელობა“. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კ-სი მალაქია ხოწელი მთავარეპისკოპოსი იქმნა შემდგომად კათალიკოსობის მიღებისა, 1619 წელს. რომ კ-სად კურთხევამდის ის ხოწელი არ ყოფილა, ამას უდავოდ ამტკიცებს ჯვარცმის ხატის ჩასასვენებლის ზემოთ ნაჩვენები თარიღიანი წარწერა.

„აფხაზეთის საკ-სო გლეხების დიდ დავთარში“ 1621 წლისა, სადაც კათალიკოსი მალაქია სხვათა შორის ხონის მთავარეპისკოპოსად იწოდება, შეტანილია „ხოწის საყდრის გამოსავლის დავთარი“⁴³. უკანასკნელი საკ-სო გლეხების დიდ დავთარზე უწინ არის შედგენილი⁴⁴. ხონის საყდრის გამოსავლის დავთარი ცალკე წიგნადაც არსებობდა და ხონის საეპისკოპოსო სამწყისოს გამოსავლის აღწერილობას შეადგენდა⁴⁵. ამ დავთრის შესავალი, რომელიც ძეგლის გამომცემელს, ბ-

⁴² ძვ. საქართველო III, 168. მალაქიას გაკათალიკოსების თარიღს ჩვენ ვიღებთ 1616 წელს ბ-ნი ს. კაკაბაძის კატეგორიული განცხადების თანახმად შესახებ ევლათური წ-ა გ-ის გულანის წარწერისა. ვანსვ. თ. ჟორდანიას რაღაც „გუჯარები“ ჰქონია, „სადაც მალაქია კ-ნი მოხსენებულია 1606 და 1613 წლის ქვეშე“-ო—გვარ-წმუნებს ის, მაგრამ ეს „გუჯარები“, სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, სად არის, რომ მათი შემოწმება შეიძლებოდეს და ამიტომ იძულებული ვართ ჯერჯერობით სწორად წაკითხულ ქრონიკულ ცნობას ვენდოთ.

⁴³ „აფხ. საკ-ზო გლეხების დიდ დავთარი“, ს. კაკაბაძის გამოც., 44.

⁴⁴ „ხოწის საყდრის დავთარი“, ს. კაკაბაძის გამოცემა, წინასიტყვაობა, გვ. 3-4.

⁴⁵ იქვე, 17-20.

სარგის კაკაბაძეს საკ-სო დიდი დავთრის მიხედვით აღუდგენია, მოწმობს, რომ ხსენებული ძეგლის შედგენა მთავარეპისკოპოსის ინიციატივით მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, ხონის გამოსავლის საკ-სო დიდ დავთარში შემტანი სარგებლობს ხონელ მთავარეპისკოპოსთა სამეურნეო ნამოქმედართ: „ამის გულისათვის მთავარ ეპისკოპოსსა ხუთ-ხუთი თეთრი დაედვა, ეპრიანებოდეს თეთრი თეთრი გადაიხადოს, ეპრიანებოდეს საქმელი მოიტანოს ქორეპისკოპოსმან“⁴⁶.

ხონის საყდრის დავთრის შეტანა საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში თავისთავად გულისხმობს იმ გარემოებას, რომ ხონის ეკლესიას ამ დროს ცალკე ეპისკოპოსი არ ჰყოლია და ხონის მთავარეპისკოპოსად იგივე კათალიკოსი ითვლებოდა. წინასიტყვაობაში მოხსენებული „ბატონი“ იგივე კათალიკოსია. ეს წინასიტყვაობა თუ მის მიერ არა მისი პირით არის დაწერილი⁴⁷. „ბატონს“ ერგება ეხლა ის შემოსავალი, რომელიც ამ ალაგის ეპისკოპოსს ერგებოდა. მას უნდა მოაბაროს ანჩის ხატის მსვენებელმა ორასი თეთრი, ის ადასტურებს ძველად მთავარეპისკოპოსის მიერ გარიგებულ გადასახადს ხუცებზე, რომელიც აგრეთვე მას უნდა მიუვიდეს. მისი წარმომადგენელი აქ ქორეპისკოპოსია. ყველა ამის შემდეგ, სადავო აღარ უნდა იყოს, რომ მალაქია კ-სი ხონის მთავარეპისკოპოსის თანამდებობასაც ასრულებდა.

ასეთივე გავლენა ჩანს ლევან II დადიანის განჩინების წიგნიდან, რომელსაც ის ხონის ტაძარს უბოძებს⁴⁸. აქაც ხონის საეპისკოპოსო ტაძრის ინტერესების დამცველად მალაქია კათალიკოსი ჩანს, რომელსაც დადიანი ხონის წმ. გიორგის ტაძრის საქეთსაპყრობელოს უწოდებს.

ამრიგად, ჩვენ ვნახეთ, რომ მალაქია კათალიკოსის წოდებულების ყველა ნაწილი ამ მხრივ ისტორიულ სინამდვილეს გადმოგვცემს.

როგორია მდგომარეობა სხვა კ-სების მიმართ? გენათელ კათალიკოს ზაქარია ქუარიანის შესახებ ჩვენ ვიცით, რომ ის 1650 წელს გე-

⁴⁶ ხონის საყდრის დავთარი, ს. კაკაბაძის გამოცემა, 5.

⁴⁷ ამ ძეგლის გამომცემელი, ბ-ნი სარგის კაკაბაძე, ვფიქრობთ, ვერ არის შარბალი, როცა ხონის საყდრის დავთრის ნაკლებლვან თავს უკომენტაროდ აღადგენს 1621 წლის საკათალიკოსო დავთრით. მთელი შესავალი ამ დავთრისა შეუძლებელია ამ რედაქციით ყოფილიყო დედანში, თუ უკანასკნელი იმ დროს იქნებოდა შედგენილი, როცა ხონის სამწყსოს ცალკე ეპისკოპოსი განაგებდა. ასეთი შესავალი მხოლოდ კ-სს და ამავე დროს ხონის მთავარეპისკოპოსს შეეძლო დაეწერა. ხონის საყდრის დავთარი კი, თვით ბ-ნი სარგისის აზრით, XIV საუკუნის დასასრულს ან XVII ს-ის დასაწყისს არის შედგენილი (ხონის საყდრის დავთარი, წინასიტყვაობა. საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 192).

⁴⁸ დას. საქ. საბ., I, 51, ს. კაკაბაძის გამოცემა.

ლათის მთავარეპისკოპოსია⁴⁹. ასევეა ის 1655 წელს⁵⁰. 1656 წელს ზაქარია ქუარიანი მიტროპოლიტად იქმნა კურთხეული⁵¹, თუმცა ის აქამდეც მიტროპოლიტად იწოდებოდა.

1657 წელს მიიწვალა კ-სი მაქსიმე მაჭუტაძე⁵². საფიქრებელია, რომ გენათელი მიტროპოლიტი ზაქარია ამავე წელს იქმნა კ-სი. მაგრამ თარიღიანი ცნობა მისი კათალიკოსობისა მხოლოდ 1659 წლისა გვაქვს⁵³, სადაც ის გენათელ კათალიკოსად იწოდებოდა.

ზაქარია კ-სი 1660 წელს უნდა გარდაცვლილიყო, განსვენებულ თედო ეორდანიას მოპყავს ზონის ტაძრს ერთი სიგლის ცნობა, სადაც 1660 წელს კ-სი ზაქარია ცოცხალი ჩანს⁵⁴. თუმცა, ქრონიკული ცნობის თანახმად, ზაქარია 1659 წელს უნდა მიცვლილიყოს⁵⁵. ამრიგად, ზაქარია ქუარიანის კ-სობა 1657—1660 წლებში მოდის დაახლოებით. ამ დროის განმავლობაში ჩვენ არა გვაქვს ცნობა სხვა გენათლის შესახებ. 1660 წელს კი ჩანს გენათელი ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, რომელიც, საფიქრებელია, სწორედ ამ წელს „დაესვას“ მეფეს „გენათლად“. ამას უჩვენებს ალექსანდრე მეფის სიგლის ნაწყვეტი კონტექსტი, რომელიც თედო ეორდანიას აქვს მოყვანილი⁵⁶. თუ ეს ასეა, მაშინ გენათელი კ-სი სიკვდილამდის გენათლადაც დარჩენილა. თედო ეორდანიას მოპყავს მ. ბროსეს მიერ გადმოღებული გელათის წარწერა: „უფალო შუე დიდისა საყდრისა გენათის მიტროპოლიტი და აწ აფხაზეთისა და საქართველოსა დიდისა ბიჭვინტისა კ-სი ზაქარია ქვარიანი“⁵⁷. ამ წარწერიდან ის უფროა საფიქრებელი, რომ კ-სი ზაქარია „აწ“ გენათელი მიტროპოლიტი აღარ არის. მაგრამ ზემომოყვანილი ცნობები გვაძლვლებენ დასკვნა არ გამოვიტანოთ და საკითხი კ-სის გენათლობის შესახებ ღია დავტოვოთ.

გარკვეულ ცნობათა წყალობით საკითხი ადვილად წყდება ქუთათელ კ-სის სვიმეონ ჩხეტიძის შესახებ.

ჩვენ ვიცით, რომ სვიმეონი ქუთათელი მიტროპოლიტი იყო გაკათალიკოსებამდის⁵⁸. ქრონიკული ცნობით, სვიმეონი კათალიკოსად

49 სტოლნიკი ტოლჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში, 195.

მ. პოლიკეტოვის გამოცემა.

50 გულანი საეკ. მუზ. გვ. 2023; К. Кекелидзе, Лит. памятники, 406.

51 Описание рукописей Тифл. церк. муз. Ф. Жордания. 196.

52 თ. ეორდანია, ქრონიკები, 11, 469.

53 დას. საქ. საეკ. საბ-ბი, 1, 61.

54 თ. ეორდანია, ქრონიკები, 11, 476.

55 იქვე.

56 იქვე, 478.

57 იქვე, 476.

58 სტოლნიკი ტოლჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში. მ. პოლიკეტოვის გამ., 195.

დაჯდა 1659 წელს⁵⁹ და გარდაიცვალა 1666⁶⁰. კ-ზ ქუთათლად იხსენიება სვიმეონი 1661 წლის სიგელში⁶¹. ასევეა ის წოდებული 1664 წლის სიგელშიც⁶². ამავე დროს არსებობს სოფელ როკითში ეკლესია თარიღიანი ასომთავრული წარწერით: ჩ-ნ.: ცვა: ფ-რ-ვათა: მონღობილმან: და მსაგმან: დიდისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა ბიჭვინტისა ემბ-ზისა საკეთმპყრობელმან კ-ზ ქუთათელმან ჩხეტიქემან ს-ნ აღვიშენათ ტ-ძარი ესე მცხოვრისა როკითს სახსრად და საოხად ძ-ლისა ჩ-ისა ა-ნ ჰ-კს ტ.: მ.: თ.:⁶³.

თარიღი წარწერისა 1661 წელს უჩვენებს. სოფელი როკითი, სადაც კათალიკოსი ქუთათელი სვიმეონი ტაძარს აგებს, ქუთათლის სამწყურსოში შედიოდა. თვით სოფელი, თავისი მცხოვრებლებით, სანახევროდ მაინც ქუთათისის ტაძრის საკუთრებას შეადგენდა. ამას მოწმობს 1578 წლის ქუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარი. საკ-სო ყმა მამული როკითში ერთხელაც არა გვხვდება. ამიტომ, როცა „კათალიკოსი ქუთათელი“ ტაძარს აგებს ამ სოფელში, ის საქმიანობს როგორც ქუთათელი მიტროპოლიტი. ამრიგად ცხადია, რომ კ-სი სვიმეონ ჩხეტიქე კათალიკოსობასთან ერთად ქუთათელობასაც ასრულებს.

კათალიკოსი დავით ნემსაძის შესახებ ვიცით, რომ ის კათალიკოსობამდის გელათელი მიტროპოლიტი იყო.⁶⁴ კათალიკოსობაში ის ერთხელაც არ იხსენიება გენათლად. სამაგიეროდ განსვენებულ დიმიტრი ბაქრაძეს მოჰყავს აჭის წინამძღვრისადმი ბოძებული სიგლის შინაარსი, სადაც სიგლის მბოძებელია „ჩრდილოსა და აფხაზეთის კათალიკოსი შემოქმედელი ნევესაძე დავით“⁶⁵. აჭის საწინამძღვარო საშემოქმედლოში იყო და შემოქმედელ მიტროპოლიტებს ექვემდებარებოდა. და როცა კ-სი დავით ნემსაძე აჭის წინამძღვრობას იოსებ სალუქვაძეს და შემდგომად მის შვილს ნიკოლოზს უმტკიცებს, ის ამ შემთხვევაში მოქმედებს როგორც შემოქმედელი მიტროპოლიტი. ჩვენ არ ვიცით, როდის მიიღო დ. ნემსაძემ შემოქმედლობა ან რამდენ ხანს ექირა ის, მაგრამ ეს კია, რომ შემოქმედლად ის სხვაგან არსად იხსენიება. თუმცა, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით იმის საბუთად, თითქოს ის ამავე დროს შემოქმედელი არ იყო.

შემდგომ კათალიკოსთაგან მეფის ძე იოსები გენათელ კათალიკოსის წოდებულებით გვხვდება, ხოლო მაქსიმე აბაშიძე — ქუთათელ კათალიკოსად.

⁵⁹ თ. ქორდანია, ქრონიკები, II, 476.

⁶⁰ იქვე, 483.

⁶¹ დას. საქ. საეკლ. საბ-ბი, I, ს. კავაძის გამოცემა, 65.

⁶² იქვე, 70.

⁶³ ესარგებლობთ როკითის ეკლესიის წარწერის ბ-ნი გ. ბოჭორიძის შიერ გადმოცემული პირით, რისთვისაც გულთაოდ მადლობას მოვხსენებთ.

⁶⁴ საქ. სიძვ., ტ. III, 93.

⁶⁵ Д. Бакрадзе, АПГА, 290.

მეფის ძე იოსები უკვე 1750 წ. მარტის 17 გენათელ მიტროპოლიტად მოიხსენება⁶⁶. ასევე მოიხსენება ის 1764 წლის სოლომონ I შეწირულობის წიგნში მარტიელის ტაძრისადმი⁶⁷. 1769 წლის ივლისის თარიღით სვიმონ ჯიფიშვილის ხახულის ღმერთის მშობლისადმი შეწირულობის წიგნს ამტკიცებს „ყოელისა საიმერეთოსა კ-ზ ბატონიშვილი იოსები“⁶⁸. აშკარად: მეფის ძე იოსებ უკვე კ-ზ ქმნილი გენათლობასაც ასრულებს. 1770 წლის ბიჭვინთის ღმერთის მშობლისადმი შეწირულობის წიგნში იოსებ კ-სი გენათლად იწოდება⁶⁹. 1772 წლის კათალიკოს იოსებისადმი მიცემულ ნასყიდობის წიგნში სწერია: „ეს უდებობის წიგნი მოგართვით თქვე ბატონს კ-ზს გენათელ ბატონიშვილს იოსებს“⁷⁰. 1774 წლის ბიჭვინთის სიგელში მეფისძე იოსებ მხოლოდ კათალიკოსია⁷¹, ხოლო ამავე წლის გელათისადმი კათალიკოსის მიერ დადებული წიგნი იწყება: „ჩვენ აფხაზ იმერთა სავსებისა კათალიკოზის მამამთავარმან და გენათელმან ძემან მეფისამან იოსებ“⁷². საგულისხმეოა, რომ ყველა ამ სიგლის დამწერი ერთი და იგივე პირია — მღვდელ-მონაზონი დიონისი.

თუ ამ ცნობებს ჩაუუკვირდებით, დაინახავთ, რომ მეფის ძე იოსები „კ-ზ გენათლად“ მხოლოდ ისეთ სიგელებში მოიხსენიება, რომელნიც გელათის საეპისკოპოსოს შეეხებიან. ამის შემდგომ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ: იოსებ კათალიკოსი გელათის საქმეებსაც განაგებს და ბიჭვინთისასაც. ამიტომ ის კათალიკოსიც არის და გენათელიც. კათალიკოსის წოდებულებას ის მუდამ ატარებს, ხოლო „კათალიკოს გენათლისას“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის, როგორც გენათელი, საქმიანობს. მაგრამ შესაძლოა ასეთ შემთხვევებშიაც ის გენათლად არ იყოს მოხსენიებული⁷³. ყოველს შემთხვევაში ერთი აშკარაა: იოსებ კათალიკოსი ორივე კელის რეალურად მატარებელია.

დაგვრჩა უკანასკნელი კათალიკოსი მაქსიმე. გაკათალიკოსობამდის ის რომ ქუთათელი მიტროპოლიტი იყო, ამის მოწმობანი მრავალია⁷⁴. 1776 წლის საკ-სო ტახტის საგანძურის ნუსხას ამოწმებს ჩრდილო აფხაზეთის იმერთა კ-სი მაქსიმე, ხოლო იმავე წლის და იმავე ტახტის სა-

⁶⁶ ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქ. ისტორიისათვის. და დას. საქ. ს.ე.გ. საბ., II, 1.

⁶⁷ დას. საქ. ს.ე.გ. საბ., ს. კაკაბაძის გამოცემა, II, 20.

⁶⁸ იქვე, 39.

⁶⁹ იქვე, 41.

⁷⁰ იქვე, 46.

⁷¹ იქვე, 47.

⁷² იქვე, 48.

⁷³ იქვე, 39.

⁷⁴ ძვ. საქ., III, 80.

განძურთა მეორე ნუსხაში ვკითხულობთ: „ჩვენ კ-ზე ქუთათელს მოგვე-
 ბარა მეფის ბრძანებით ეს ზემოაწერილი ნუსხა ივნისს იგ წელთა ჩლოვ⁷⁵.
 არც 1778 წლის კ-სის განჩინების წიგნში უწოდებს მაქსიმე თავის თავს
 ქუთათელს⁷⁶. ამავე წლის ზონის ერთ სიგელს ამტკიცებენ: „აფხაზ-იმ-
 ერთა მამამთავარი კ-ში მაქსიმე“ და ყოვლად სამღუდლო ქუთათე-
 ლი მიტროპოლიტი დოსითეოს⁷⁷. 1780 წლის ქუთათისის ტაძრისადმი შე-
 წირულობის წიგნში ვკითხულობთ: „ჩვენ აფხაზ იმერთა კ-ზე ქუთათელ-
 მან მაქსიმე ესე საუკუნო შეწირულობისა და ბეგრისადა სამსახურის
 წიგნი აღვსწერე და დავსდევით ქუთათისს წ-სა ეკლესიას ღმრთის
 მშობლისა“⁷⁸. რას ნიშნავს ეს გარემოება? თუ 1778 წელს დოსითეოს
 წერეთელი უკვე ქუთათელი მიტროპოლიტი იყო, როგორღა უწოდებს
 თავის თავს 1780 წელს კ-სი მაქსიმე ქუთათელი და ქუთათლის საქმეს
 როგორღა არიგებს? შეიძლება დოსითეოსი ამ დროს დროებით აღარ
 იყო ქუთათლად ან კიდევ ზონის სიგლის დამტკიცება მის მიერ შემდ-
 გომ, ნაგვიანებ დროს ეკუთვნის? ამ საკითხის გადაწყვეტას ახალი ცნო-
 ბა ესაჭიროება. ყოველ შემთხვევაში ერთი ეხლავ შეიძლება ითქვას:
 1780 წლის ქუთათისის ტაძრის სიგელში მაქსიმე კ-სის ქუთათლად წო-
 დება სავსებით შეეფერება იმ საქმეს, რომელსაც ის ამ დროს აკეთებს.

ყველა ამის შემდგომ, თავში დასმულ კითხვაზე ჩვენი პასუხი იქ-
 ნება: როდესაც კ-სი რომელიმე ეპარქიის ეპისკოპოსის წოდებულე-
 ბასაც ატარებს, ის ამ დროს ნამდვილად ეპისკოპოსია ხსენებული ეპარ-
 ქიისა. თუ ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან მხოლოდ ორიოდ
 შემთხვევაში ჩვენ ეს ვერ ნათელვყავით, ვფიქრობთ, ეს მხოლოდ
 ჩვენ ხელთ არსებულ ცნობათა ნაკლებობას მიეწერება.

კათალიკოსობისა და ეპისკოპოსობის შეთავსება მეტად საინტე-
 რესო მოვლენაა საეკლესიო ცხოვრებაში. ის მარტო დას. საქართვე-
 ლოს ეკლესიას არ ახასიათებს, მას ადგილი აქვს აღმოსავლეთ საქარ-
 თველოშიაც. საეკლესიო ცხოვრების განსაზღვრულმა პირობებმა წარ-
 მოშვეს ასეთი მოვლენა. შეთავსებას ამ დროს ადგილი აქვს არა მარ-
 ტო უმაღლესი იერარქიის სახით: ეპისკოპოსებიც წმირად აერთიანებენ
 თავიანთ მწყსელობის ქვეშ ორს ან სამს საეპისკოპოსოსს. განსაზღვ-
 რული პირობებით გამოწვეული ეს მოვლენა გარკვეულ მიზანს ემსა-
 ხურებოდა. ამჟამად ჩვენ ამ საინტერესო საკითხზე ბაას ვერ გამოვუდ-
 გებით. ჩვენთვის ჭერჯერობით საკმაოა ფაქტის დადგენა, ხოლო მის
 შეფასებაზე ჩვენ სხვა მოვლენებთან დაკავშირებით გადავალთ.

75 დას. საქ. საეკ. საბ., ს. კაკაბაძის გამოცემა, II, 58.

76 იქვე, გვ. 67.

77 იქვე.

78 იქვე, გვ. 70.

სიტყვა

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების ასი
წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე
1963 წლის 15 იანვარს¹

— წავაკალ თუ არა შენს უნამუსობას? ... წავაყვედრე მე.

— კვი! — ჩაიცინა იმან ისე გულდინჯად, თითქო ქვეშაგებში მშვი-
ლობით წევსო: — ამით გათავდა შენი შერმადინობა?

— როგორი ავთანდილიც შენ იყავ, მეც იმისთანა შერმადინობა
გაგიწიე²...

ჩვენ ამჟამად ვერ გამოვუდგებით იმ საკითხის კვლევას, თუ რო-
გორ ესმოდა „ჩატეხილი ხიდის“ დიდ მხატვარს ამ ხიდის ჩატეხის დრო
და ვითარება, არც იმ მომენტის გამოდევნებას ვაპირებთ, თუ როგორ
ესმოდა მას „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილ-შერმადინობა (ილია ჭავ-
ჭავაძეს და შოთა რუსთაველს ჩვენში ყურადღება არ აკლია და, იმედია,
სპეციალისტები ამ საკითხებსაც გაარკვევენ). ამჟამად ჩვენთვის სრუ-
ლიად საკმაოა იმის ჩვენება, თუ რამდენად ჩამორჩებოდა ქართული
ისტორიოგრაფია მოწინავე ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას.
მხატვრული ლიტერატურის სახით, განსაკუთრებით, რომ ასე ბრწყინ-
ვალედ წარმოსდგა მე-19 საუკუნის სამოციან წლებში... აბა, სად „ქართ-
ლის ცხოვრების“ საზოგადოებრივი იდეები „ისტორიანი და აზმანიდან“
და სად საზოგადოებრივი იდეები „სურამის ციხისა“, „კაკო ყაჩაღისა“
და „გლახის ნამბობისა“?³...

მხატვრულმა ლიტერატურამ განუზომლად გაუსწრო ქართულ ის-
ტორიოგრაფიას. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ავთანდილ-შერმადინის
ადგილზე მან დათიკო და გაბრო აღმოაჩინა. ასეთი იყო რეალური ვითა-

¹ პირველად დაიბეჭდა 1966 წელს კრებულში „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვი-
ლი“.

² „გლახის ნამბობი“ ილია ჭავჭავაძისა, გამოცემული ა. საფაროვისაგან. ტფილი-
სი, 1879, გვ. 128.

რება, ხოლო ქართულ ისტორიოგრაფიას კი ვერც „ხიდის ჩატეხვა“ აღნიშნა და ვერც ის დრო, როცა ეს ხიდი ჩატყდა. აქ რომ საამისო დრო და ადგილი იყოს, შეიძლებოდა ამ თემაზე საინტერესო საუბარი გამართულიყო. ცნობილია, მაგალითად, იმ დროის (მე-19 საუკუნის 60-იანი წლების) და შემდგომი ხანისაც არა ერთი მოღვაწე, პროგრესისტა წრიდანაც კი, რომელთა ისტორიული კონცეფცია ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების საკითხში „ქართლის ცხოვრებისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ იდეების ფარგლებში რჩებოდა...

და ახალი დროის მესიტყვე იყო დიდი ილია, როცა ის ჩვენი ისტორიოგრაფიის ამ ჩამორჩენას აღნიშნავდა და ახალი „ქართლის ცხოვრების“ დაწერას მოითხოვდა. — „ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუშუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტიკუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში, ერთი სიტყვით, ჩვენი შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდააუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თვითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა“³.

„ქართლის ცხოვრების“ ახლებურად დაწერის საჭიროებას სცნობდნენ არა მარტო ქართული მხატვრული ლიტერატურის მოღვაწენი. ილია ჭავჭავაძის ამ აზრს ემხრობოდა 60-იანელთა მთელი პროგრესული ნაწილი. კერძოდ, ამავე აზრისა იყო ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომლის ნაყოფიერ მოღვაწეობას და მიღწევებს ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდ ფასსა სდებდა ილია ჭავჭავაძე.

დ. ბაქრაძე პირველი მეცნიერი ისტორიკოსი იყო, „ქართლის ცხოვრების“ პრინციპული კრიტიკით რომ გამოვიდა. ის აღიარებდა „ქართლის ცხოვრების“ ახლებურად გამართვის საჭიროებას, წარმატებით განაგრძობდა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის დარგში ცნობილი ორიენტალისტის მარი ბროსეს მიერ წამოწყებულ მუშაობას და ახლად მოპოვებული მასალის მოწინავე ბურჟუაზიული

3 ი. ჭავჭავაძე, ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ, ნაწერების სრული კრებული, ტ. V, ტფილისი, 1927, გვ. 201.

ისტორიოგრაფიის კონცეფციასთან შეწყობას დიდი მონღომებით ცდილობდა⁴.

მოკლედ რომ ვთქვათ, „ქართლის ცხოვრებას“ კრიზისი უდგა და მისი ამ ვითარებიდან გამოყვანა ახალი საქართველოს მოღვაწეთა უპირველესი ვალი იყო.

ყოველ ეპოქას თავისი ისტორიოგრაფია შეეფერება. იყო „მშობის ხანა“, უეჭველია, მას თავისი „ისტორიოგრაფია“ ჰქონდა, თავისი „ქართლის ცხოვრება“. გვიან „მშობა“ მოიშალა, საზოგადოება კლასებად დაიყო და მის „ქართლის ცხოვრებაშიაც“ შესაფერისმა მოტივებმა იჩინა თავი, — კლასობრივი ურთიერთობის, კლასობრივი ბრძოლის მოტივებმა. ეკონომიურად და სოციალურად გაბატონებული კლასი დაეუფლა „ქართლის ცხოვრებას“ და ის თანდათან საკუთარი იდეოლოგიის იარაღად აქცია. ეს იყო პირველი კრიზისი „ქართლის ცხოვრებისა“.

თანდათან გაიმართა ფეოდალური კლასის „ქართლის ცხოვრება“.

ფეოდალური საქართველოს „ქართლის ცხოვრება“ ვითარდებოდა თვით ფეოდალური საზოგადოების ზრდა-განვითარებისა თუ დაცემის შესაფერისად. ამ მხრით ადვილად გამოირჩევა აღმავალი ფეოდალური ხანის „ქართლის ცხოვრება“ „ჩიხისა“ და დაცემის ხანის „ქართლის ცხოვრებისაგან“ (ეს ფაქტი პირველად შენიშნა და მეცნიერული დასაბუთებით ცხადყო აკად. ივ. ჭავჭავიძემ. იხ. მისი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“).

და ბოლოს, როცა ფეოდალურ საზოგადოებას არსებობის კრიტიკული ხანა დაუდგა, როცა ის, მეტისმეტად ხანმოკლეული, დასაღუპავად გაიწირა, კრიზისი დაუდგა მის „ქართლის ცხოვრებასაც“. ახალმა საქართველომ აშკარად შეუტია ფეოდალური საზოგადოების ამ იდეოლოგიურ საყრდენს და ახალი ღრრის შესაფერისი „ქართლის ცხოვრების“ გამართვა დღის წესრიგში დასვა.

ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერული შეუსწავლელობის მოწმობაა, რომ ჩვენ დღემდე არა გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ ჩასახვისა და მისი განვითარების შესახებ ჩვენი ღრრის შესაფერისი ერთიანი მო-

⁴ მაშინა დღემდე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1952, 138—139. ი. კაჭარავა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბილისი, 1962, გვ. 29; აბელ კიკვიძე, XIX ს. ქართული ისტორიული აზროვნება, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბილისი, 1951; ა. ბარამიძე, „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორიიდან, მასალები... ნაკვ. 34, თბილისი, 1962.

ნოგრაფია. აკად. ივ. ჯავახიშვილის დიდი წამოწყება დღემდე შეუთავებელია.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ისტორიკოსთა მიერ უკანასკნელ დროს ამ მიმართულებით მუშაობის გაცხოველება. კერძოდ, ამ საპატრიო ამოცანის გადაწყვეტა უმთავრესი მიზანია მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში ახლახან შექმნილი სამეცნიერო უჯრედის, — ისტორიოგრაფიის განყოფილებისა.

ისტორიოგრაფია („ქართლის ცხოვრება“) საზოგადოებრივი აზროვნების დარგია და, როგორც ასეთს, კრიზისული ხანა, შეიძლება apriori ვამტკიცოთ, მას არა ერთგზის განუცდია. ის ხომ ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების მოთხრობაა და, ბუნებრივია, თითოეული სოციალური ფენა მას საკუთარ მოთხოვნილებას უყენებდა.

ჩვენ დღემდე არ შეგვიწუხებია თავი, რომ აღგვედგინა „ქართლის ცხოვრება“ „ძმობის ხანისა“ (გლეხობა „ქართლის ცხოვრებაში“ კი პირველად დიდმა ილიამ მოიკითხა, ხოლო პროლეტარიატი — ჩვენმადრომ).

ჩვენ მოგვეპოვება პოზიტიური ცნობები, რომ თვით ფეოდალთა კლასის შიგნითაც ბრძოლა მიმდინარეობდა „ქართლის ცხოვრების“ შინაარსისათვის...

საბოლოოდ, როგორც ცნობილია, საქართველოს ფეოდალური საზოგადოების იდეურად გამართული „ქართლის ცხოვრება“, მისი ეს „წმინდა და პატიოსანი“ წიგნი, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება-აღმავლობის ხანაში ჩამოყალიბდა.

სახარებისა და „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით, „ქართლის ცხოვრება“ მოწოდებული იყო ფეოდალური საქართველოს იდეურ-მორალური დასაყრდენი ყოფილიყო და, შეიძლება ითქვას, ის წარმატებით ასრულებდა ამ თავის დანიშნულებას.

იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია სამ სვეტს ემყარებოდა. სახარება, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ იყო გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის სამი „წმინდა წიგნი“. სახარებას (ქრისტიანობას) იმდენი წილი ედო ქართული ფეოდალური კულტურის განმტკიცების საქმეში, რომ „ქართველი“ ქრისტიანობის (ქალკედონურის) სინონიმად იქცა. არანაკლები მნიშვნელობისა იყო ფეოდალური საქართველოს კულტურული სახის გამოკვეთის საქმეში „ვეფხისტყაოსანი“, ფეოდალური საქართველოს ეს პიშნი, ქართული ფეოდალური ზნეობის ეს კოდექსი⁵. „ქართლის ცხოვ-

⁵ რა თქმა უნდა, ეს შოთას უკვდავი ქმნილების ძხოლოდ ერთი, ამ შემთხვევაში ჩვენთვის მეტადრე ყურადსაღები ასპექტია, თორემ განა ვინმესღა შეიძლება აეკ-

რება“ კი ფეოდალური საქართველოს მეცნიერულ-ისტორიულ დასაფუძვლებას ემსახურებოდა (ქართლის წარმოშობა, ზრდა-განვითარება, საქართველოს ეროვნული დადგინება, აყვავება...).

დამახასიათებელია, რომ ქართული ფეოდალური კულტურის დიდი მოამაგე ვახტანგ VI თანაბრად ზრუნავდა სახარებაზე, „ვეფხისტყაოსანზე“ და „ქართლის ცხოვრებაზე“: საღმრთო წერილის ბეჭდვა, „ქართლის ცხოვრების“ რედაქცია-გაგრძელება და „ვეფხისტყაოსნის“ „საღმრთოდ“ თარგმნა ქართული ეროვნული ფეოდალური კულტურის ამ სამი სვეტის შემაგრება-შემტკიცების ცდა იყო.

ასე ესმოდათ ქართული ფეოდალური საზოგადოების კულტურის მესვეურთ საქართველოს ეროვნული კულტურა. ეს იყო ფეოდალური ხანის „ქართველობა“.

„ვეფხისტყაოსანი“ რომ ქართული ეროვნული ძეგლი იყო, ეს ღრმად სწამდა ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას. ვახტანგის მიერ მისი საღმრთოდ თარგმნა მხოლოდ ამ ნიადაგზეა გასაგები. „ვეფხისტყაოსანი“ იქამდე ძლიერი მოქმედი ფაქტორი იყო ქართული ფეოდალური კულტურისა, რომ მისი ასეთი კომენტირება სავალდებულო იყო ქართული ფეოდალური კულტურის მოამაგისათვის. და არც მისი ეროვნულ-ქართულობა შეიძლებოდა ეჭვს ქვეშ დამდგარიყო. ასეთ ეჭვს არც აყენებდნენ. ხოლო სდევნიდნენ „ვეფხისტყაოსანს“ იმიტომ, რომ ის „სახარების“ ყველაზე ძლიერ მეტოქედ ეჩვენებოდათ გვიანფეოდალური საქართველოს ამ, ჩიხისა და რეაქციის ბატონობის, ხანაში.

ფეოდალური საქართველოს განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოქმნილი და „ვეფხისტყაოსანში“ რეალისტურად არეკლილი კონფლიქტი ფეოდალურ ზნეობასა (რენესანსი) და ქრისტიანულ კლერიკალურ ზნეობას შორის ვახტანგს ხელოვნურად სურდა შეენელებინა და ეს ორი, ურთიერთისაგან გაკიდებანებული სვეტი, — „სახარება“ და „ვეფხისტყაოსანი“ — „ქართველობის“ სამსახურში თანხმობით ჩაეყენებინა.

ქართული ფეოდალური საზოგადოება ყოველად დაჭერებული იყო „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა სანდოობაში და ამდენადვე „ქართლის ცხოვრება“ ამ საზოგადოებისათვის მეცნიერული ისტორია იყო.

ვებდეს, რომ რუსთაველმა—გენიალურმა მოაზროვნემ და შემოქმედმა — დიდად გაუსწრო თავის დროსაც, და თავის წარმომქმნელ საზოგადოებასაც; რომ იგი ადრეული რენესანსის მოციქულად მოგვევლინა და რომ უკვე მაშინ ჩაეყარა საძირკველი „ვეფხისტყაოსნის“ მკვიდრად ჩადგომას მსოფლიო—და არა მარტოოდენ ქართული კულტურის, აზროვნებისა და პოეზიის უმწვერვალეს მინაწევართა არც თუ პრაქტიკული მწკრივში?

გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის პირობებში სხვაგვარი „ქართლის ცხოვრება“ არც შეიძლებოდა შექმნილიყო, თუ არ ფეოდალების (მეფის, ეკლესიის, დიდგვარიანების) შემოქმედების მოთხოვნა. ქვეყანა (საზოგადოება) გარკვეული სახით (ფეოდალურად) ორგანიზებული იყო და ამ ორგანიზაციის ხელშეუხებლობის სადარაჯოზე „მიწყივ“ ფეოდალებმა სწორედ ეს ფეოდალები: მუშა მიწყივ მუშაკობდა, მეომარი გულოვნობდა“. ამ წესს იცავდა ფეოდალთა კლასი და „თხა და მგელი ერთად ძოვდეს“. ამ ცხოვრების ზედაპირზე, მის სარბიელზე, ბუნებრივია, საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველად ფეოდალი ჩანდა, ის იყო ამ საზოგადოების მომწესრიგებელი. ის ებრძოდა არსებული წესების დამრღვევთ, ებრძოდა გარეშე თუ შინაურ მტერს, ე. ი. ყველას, ვინც მას ამ ბატონობაში შემოეცილებოდა. ასეთი იყო საზოგადოებრივი ცხოვრება და, ბუნებრივია, ასეთივე იდეების უნდა ყოფილიყო მისი ოფიციალური ისტორია („ქართლის ცხოვრება“).

ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხომ უბირი ქრონიკა არაა, რომ იქ თავმოყრილი იყოს ყოველგვარი ცნობა, «доны и злу внимая равнодушно». ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ისტორიაა და საყვედური მისი მისამართით, თუ რატომ არის ის ფეოდალური საქართველოს გამართული ისტორია, — გაუგებრობაა. ილია ჭავჭავაძეს, დ. ბაქრაძეს და სხვა სამოციანელებს ცალმხრივობა სჭირდათ „ქართლის ცხოვრების“ შეფასებისას. მათ ავიწყდებოდათ ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრება“ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებს იდეების საქადაგოდ კი არ იყო შექმნილი, არამედ—თავისი დროისათვის, ე. ი. ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისათვის, ფეოდალთა კლასობრივი ბატონობისათვის, რასაც ის დიდი წარმატებით ემსახურებოდა.

აღნიშნული გაუგებრობა დღემდე არ გადალუწა. დღესაც ხშირად გაიგონებთ „ქართლის ცხოვრების“ მისამართით მრავალგვარ საყვედურს. იშვიათია ისეთი მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე თუ მწერალი, რომელიც ჩვენს ქართლის ცხოვრებას მის საკადრის სამართლიან ფასს სდებდეს. (ივ. ჯავახიშვილმაც კი, ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერული შესწავლის ამ ფუძემდებელმა, ვერ სცნო საჭიროდ ამ მხრით სპეციალურად გამოსარჩლებოდა „ქართლის ცხოვრებას“ და ეს „პატიოსანი წიგნი“ უსამართლო შემფასებელთა თავდასხმისაგან დაეცვა).

ზოგი რასა სთხოვს მას, ზოგი რას და კი არავენ ფიქრობს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო „ქართლის ცხოვრება“, რომ მას ფეოდალური საქართველოს იდეური მომსახურება შესძლებოდა.

განა ამ დროს უგანათლებულესი საზოგადო მოღვაწე, ვთქვით რომელიმე ეფრემ მცირე, სარგის თმოგველი ან, თუ გნებავთ, შოთა რუსთაველი პრინციპულად სხვა რიგ „ქართლის ცხოვრებას“ დაწერდა? (აქი შესაძლებლად თვლიან და ამ გაგებით სრულიად სამართლიანად, — რომ შოთა რუსთაველი თამარის ეპოქის ერთ-ერთი ისტორიკოსია...).

აქედან თითქო გარკვეულია, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი მეცნიერული დამოკიდებულება „ქართლის ცხოვრებისადმი“. ჩვენ უნდა ღრმად შევისწავლოთ იგი, შესაფერისი ფასი დავდოთ ფეოდალური საქართველოს ამ იდეოლოგიურ შენამოქმედს, უნდა გადავლახოთ ის და გავმართოთ ჩვენი დროის შესაფერისი „ქართლის ცხოვრება“.

* * *

მე-19 საუკუნის 60-იანი წლების პოლიტიკურმა მერცხლებმა ქართულ საზოგადოებას გაზაფხული ახარეს. ქვეყანა ახალი ცხოვრების სარბიელზე გამოდიოდა. ახალსა და ძველს შორის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა და, ბუნებრივია, „ქართლის ცხოვრების“ საკითხიც დაისვა. ახლისათვის მებრძოლთ ახალი შინაარსის ისტორია სჭიროდათ, — მშრომელთა „ქართლის ცხოვრება“ — და ახალი ცხოვრების მედროშემ, დიდმა ილიამ, დაიწუნა ახალი ცხოვრებისათვის შეუფერებელი იდეოლოგია—ფეოდალური „ქართლის ცხოვრება“ და დიდის გულისყურით უსმენდა ახალი დროის ქართველ ისტორიკოსს, თავის სახელოვან თანამოსანგრეს დიმიტრი ბაქრაძეს.

და ყველაფერი ეს ადვილად გასაგებია: ისტორია („ქართლის ცხოვრება“) სამოციანელებისათვის ტყბილ მოგონებათა თავშესაქცევი წიგნი კი არა ყოფილა, არამედ ის უნდა ყოფილიყო მძიმე იდეოლოგიური საჭურველი ქართველი ერის სოციალურ და ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

თავის ისტორიოგრაფიულ შეხედულებებს ქართველი სამოციანელები, როგორც ცნობილია, თანამედროვე რუსულსა და დასავლეთევროპულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას დაესესხნენ. ეს დასესხება სავსებით დროული იყო და შესაფერისიც, ამდენადვე ცხოველმყოფელი და ნაყოფიერი.

დღის წესრიგში დადგა „ქართლის ცხოვრების“ ახლებურად დაწერის საკითხი. ცხოველი ენერგიით შეუდგნენ სამოციანელები დიმიტრი ბაქრაძის მოთავეობით ამ დიდ საქმეს, მაგრამ თანდათან ცხადი გახდა, რომ მისი შესრულება დიდ წინასწარ მომზადებას გულისხმობდა. საჭირო თეორიული აღჭურვილობის გვერდით აუცილებელი

იყო დიდი წყარომცოდნეობითი სამუშაოს შესრულება (პირველ რიგში მასალის შეგროვება).

თვალსაჩინო წარმატების მიუხედავად, დიმიტრი ბაქრაძეს არ დასცალდა ჩანაფიქრის განხორციელება და ახალი ქართლის ცხოვრების გამართვა მან შემდგომ თაობას უანდერძა.

1890 წელს, როცა დ. ბაქრაძე გარდაიცვალა, ექვეთიმე თაყაიშვილი უკვე გამოსული იყო სამეცნიერო ასპარეზზე.

სამოციანელთა მოღვაწეობას იმ დროისათვის ხელშესახები ნაყოფი ჰქონდა გამოღებული. საქართველოში და მის გარეთაც მოქმედებდნენ ორგანიზაციები, რომელთა დანიშნულება ქართული ეროვნული კულტურის სამსახური იყო. საქართველოში შეკრულიყო კულტურისა და მეცნიერების სარბიელზე მოქმედი წრეები. იმავე დროს იშვებოდა ქართველმცოდნეობის პეტერბურგის სკოლა. ალ. ცაგარელი, უფრო გვიან ნიკო მარი და შემდეგ ივ. ჯავახიშვილი დიდის წარმატებით მოღვაწეობდნენ „ქართლის ცხოვრების“ შევსება-განახლების სარბიელზე. სწრაფად წავიდა ქართველოლოგიის, კერძოდ, საქართველოს ისტორიის წყაროების შემოკრება (იერუსალიმი, სინა, ათონი, პეტერბურგი, მოსკოვი).

ასეთივე ინტენსიური მუშაობა გაჩაღდა საქართველოში (მ. ჯანაშვილი, თ. ქორდანია, ე. თაყაიშვილი, ივ. როსტომაშვილი, დ. ფურცელაძე, გ. წერეთელი და სხვ.).

ხელშესახები გახდა დიდი შედეგები, უხვად შეგროვდა მასალა საქართველოს ისტორიის ახლებურად გამართვისათვის.

ე. თაყაიშვილის ღვაწლი ამ საქმეში განსაკუთრებულია: პეტერბურგის ისტორიულ-ფილოლოგიური სკოლის აღზრდილი, ახალგაზრდა თაყაიშვილი პატრიოტული გატაცებით შეუდგა ახალი ქართლის ცხოვრებისათვის მასალების შემოკრებას და ოცდაათი წლის დაუღალავე შრომით საქართველოს ისტორიის მეცნიერულად შემუშავების საქმეს ამ მიმართულებით დასდო ისეთი ამაგი, რომ მისი ბადალი არც მის დრომდე და არც მის შემდეგ ამ დარგის არც ერთ მოღვაწეს არ გაუწევია.

ე. თაყაიშვილის ამ კეთილშობილ თავდადებას სცნობდა მის დროს ქართველი პროგრესული საზოგადოებრიობა. ამის მოწმობა არის ის დიდი მორალური ავტორიტეტი, რომლითაც იყო შემოსილი ეს უანგარო მოღვაწე, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია გვერდში უდგა დიდ პატრიოტს და სწორედ ამით გახდა შესაძლებელი მის მიერ ასეთი კოლოსალური საქმის შესრულება...

ამ დიდი საქმის საზოგადოებრივად თავის მობმას, მის კიდევ უფრო გაფართოება-გაღრმავებას ჰგულისხმობდა 1907 წელს ე. თაყაი-

შვილის თაოსნობით დაარსებული საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება...

1921 წლიდან ე. თაყაიშვილი რომ საქართველოში დარჩენილიყო, ის, უეჭველია, ჩვენი ისტორიისათვის იმ ახალი მასალის მოპოვების საქმეს მოახმარდა ძალ-ღონეს, რომელიც უკვე მის მიერ და მისივე ინიციატივითი ისახებოდა. ვგულისხმობ წიაღისეულის არქეოლოგიას, ე. ი. ისტორიული მეცნიერების იმ დარგს, რომელიც მოწოდებულია კრიტიკულად შეაფასოს წერილობითი ხასიათის ისტორიული მოწმობანი და დამწერლობის წინა ხანის დაბინდულ საუკუნეებშიც მეცნიერული შუქი შეიტანოს.

ბევრი რამ გაკეთდა, დიდი საქმე შემზადდა, თუმცა ბურჟუაზიულად საქართველოს ისტორია ვერ გაიმართა (ესეც ნიშანდობლივია!..).

ასე რომ, საქართველოს ბურჟუაზიულ ხანას ფეოდალური „ქართლის ცხოვრება“ არსებითად გადაულახავი დარჩა...

სხვა ვითარებაა დღეს. მაღალგანვითარებულია საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა, შემოკრებილია წერილობითი წყაროების დიდი ნაწილი, მოწიფულია წიაღისეული არქეოლოგია, ლინგვისტიკა-ფილოლოგია, ისტორიული ეთნოგრაფია, ისტორიული ზეპირსიტყვიერება-ფოლკლორის შესწავლა, ისტორიული გეოგრაფია, ნუმიზმატიკა, დიპლომატიკა, პალეოგრაფია და სხვა დამხმარე თუ მონათესავე სამეცნიერო დისციპლინები.

მომზადებულია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღებულ ისტორიკოსთა ლეგიონი, ერთი სიტყვით, ყველაფერი მზადაა იმისათვის, რომ ჩვენი სოციალისტური ხანის შესაფერისი დიდი „ქართლის ცხოვრება“ დაიწეროს და ეს ასეც იქნება.

დღეს კი ჩვენი წმინდა ვალია უღრმესი პატივისცემა და მადლიერება იმ პატრიოტების მიმართ, რომელთაც ჩვენი ძნელბედობის ხანაში თავდადებული უანგარო შრომით განადგურებას გადაარჩინეს, შეაგროვეს და შემოგვინახეს ფასდაუდებელი წყაროები ახლებური „ქართლის ცხოვრების“ შესაქმნელად.

ამ პატრიოტ მეწინავეთა რიგს ამშვენებს ჩვენი უანგარო მოღვაწე, საქართველოს ისტორიული მეცნიერების რაინდი ექვთიმე თაყაიშვილი.

სიმონ ჯანაშია როგორც ისტორიკოსი¹

წინასწარ ბოდიშს ვიხდი პატივცემული საზოგადოების წინაშე.

იმ მცირე დროში, ამ მოხსენების შემუშავებისათვის ჩემს განკარგულებაში რომ იყო, და ისეთს მორალურ ვითარებაში, როგორსაც მე ამ ხანებში განვიცდი, ბუნებრივია, თუ ჩემი სიტყვა მოკლევ იქნება და ნაკლულიც.

სიმონ ჯანაშიას მოღვაწეობა, თუმცა ხანმოკლე, ისეთი მრავალმხრივი, ნაყოფიერი და დიდმნიშვნელოვანი იყო, რომ ამ მოღვაწეობის რამდენადმე სრული და შესაფერისი შესწავლა-შეფასებისათვის გაცილებით უფრო დიდი დრო და სულ სხვაგვარი სულიერი განწყობილებაა საჭირო.

თავის დროზე ქართული საზოგადოებათმეცნიერების მუშაკთა კოლექტივი (სიმონის მეგობარ-ამხანაგები, მისი მოწაფეები) ასეთ შრომას უსათუოდ შეასრულებს. ამას მოითხოვს ქართული საბჭოთა კულტურის ინტერესები. მაშინ ჩემი ამ სიტყვის უსრულობა და მისი სხვა ნაკლიც საზოგადოებისათვის სიმწვავეს დაკარგავს.

ეს იმედია, რომ მამბედვინებს ასეთი ნაკლული სიტყვით გამოსვლას პატივცემული საზოგადოების წინაშე.

სიმონ ჯანაშიას წარმოშობილობა მეტად საინტერესოა XIX—XX საუკუნის ქართული ეროვნულ-კულტურული თვალსაზრისით. მამის ხაზით სიმონის წინაპრები სამეგრელოდან აფხაზეთში გასული გლეხებია. სიმონის მამა, ნიკო ჯანაშია, მეგრულ-აფხაზური ოჯახის შვილია. ნიკოს დედა აფხაზი ქალია და სასაუბრო ენაც მათ ოჯახში უპირატესად აფხაზურია. ნიკო ჯანაშია (სოხუმის) რუსულ სკოლაში სწავლობდა.

¹ წაკითხულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიაზე, 1947 წლის 25 ნოემბერს. შემოკლებით დაიბეჭდა 1947 წ. („მნათობი“, № 12), ხოლო ვრცლად 1949 წ. (კრებულში: აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია).

1888 წელს ის გორის საოსტატო სემინარიაში შევიდა. ესეც რუსული სკოლა იყო, მაგრამ აქ, გორში, ქართული კულტურის კერა იქამდე ძლიერი აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა ნიჭიერმა ადამიანმა გადალახა ხელოვნური დაბრკოლებანი, ცარიზმის მოხელე-მასწავლებელნი რომ უქმნიდნენ ქართული ენის შესწავლის მსურველს, დაეწაფა მშობლიურ ქართულ კულტურას და მალე ნიკო ჯანაშია მგზნებარე ქართველი პატრიოტი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე დადგა. 90-იანი წლების გორის ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწეებთან (ნიკო ლომოური, თედო რაზიკაშვილი და სხვ.) მჭიდრო ურთიერთობაში შემუშავდა ნიკო ჯანაშიას ეროვნულ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა.

ეს მოვლენა უთუოდ სხვა იყო, ვიდრე ის, რასაც აგრე მახვილი თვალი მიაპყრო სიმონ ჯანაშიამ თავის „გიორგი შარვაშიძეში“, აფხაზი შარვაშიძე ქართული ფეოდალური კულტურის წარმონაქმნია. შარვაშიძე არც შეიძლება და სხვა ყოფილიყო, თუ არა ქართველი, რამდენადაც ის თავადი იყო: ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება ფეოდალთა კლასის ეროვნულ-კულტურულ გაერთიანებას გულისხმობდა.

სულ სხვა რიგისაა ჯანაშიას სახლის მაგალითი. აქ უკვე ბურჟუაზიული საქართველოა, ეს უკვე ქართული ბურჟუაზიული კულტურის დადგინების ერთ-ერთი გამოსახულებაა: ბურჟუაზიული საქართველოს წარმოქმნა მისი ფართო მასების (ტომობრივობის განურჩევლად) ეროვნულ-კულტურულ გაერთიანებას გულისხმობდა. საქართველოს პატრიოტი ნიკო ჯანაშია ქართული ბურჟუაზიული კულტურის წარმონაქმნია, ის ქართველი ერის შვილია.

ბრძოლა მშობელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ბრძოლა მისი განათლებისათვის, ბრძოლა ქართული კულტურის აღდგენა-გაძლიერებისათვის, ბრძოლა ცარიზმის მოხელე რუსიფიკატორთა წინააღმდეგ ეს იყო ნიკო ჯანაშიას და მის თანამოაზრეთა სამოქმედო პროგრამა.

ამ ქართველი პატრიოტისა და საზოგადო მოღვაწის ოჯახში იშვა სიმონი 1900 წლის 18 ნოემბერს გურიაში (სოფ. მაკვანეთში), სადაც ამ დროს ნიკო ჯანაშია მასწავლებლობდა. დედა მომავალი მოღვაწისა გურული ქალია.

ყრმობა სიმონ ჯანაშიამ ძველ სენაკში გაატარა. ნიკო ჯანაშია აქ სათავადაზნაურო სკოლაში მასწავლებლობდა 1901—1910 წლებში.

1910—1918 წლებში სიმონ ჯანაშია სოხუმშია. სწავლობს სოხუმის რეალურ სასწავლებელში. ამავე ხანებში მამამისი მასწავლებლობდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის ქართულ სკოლაში, რომელიც მან შექმნა თავდაუზოგველი შრომით.

„მოამბეზე“ ვიზრდებოდიო (იგულისხმება მდიდარშინაარსიანი ყურნალი „მოამბე“, ჯაბადარის რედაქციით რომ გამოდიოდა 1894—1904 წლებში), ხშირად უთქვამს ჩემთვის სიმონს, მაგრამ, უეჭველია, 1905 წელმა, რომელსაც მისი ყრმობა დაემთხვა, აგრეთვე ძლიერი გავლენა იქონია მომავალი მოღვაწის მსოფლმხედველობის შემუშავებაზე (უცნაურად და გაუგებრად მეჩვენებოდაო, იტყოდა ხოლმე სიმონი, როცა ჩემი ტოლი ვინმე მემარჯვენე მიმართულების პარტიაში შედიოდა სამოღვაწეოდ).

რეალურ სასწავლებელში სიმონ ჯანაშია მასწავლებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. ის სამაგალითო მოწაფედ ითვლებოდა და არაერთი მასწავლებელი მას ბრწყინვალე მომავალს უქადდა: *per aspera ad astram* — წერს ვინმე მასწავლებელი, აღტაცებული სიმონის ერთი სასკოლო წერთი ნამუშევრით.

1918 წელს სიმონმა საშუალო სასწავლებელი დაამთავრა. ამავე წელს მას მამა გარდაეცვალა (45 წლის ასაკში) და მომავალი მოღვაწე თბილისში გადმოვიდა, სადაც იმავე წელს ახლადგახსნილ ქართულ უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩაერთცხა.

უნივერსიტეტში სწავლა სიმონმა 1922 წელს დაამთავრა, 22 წლის ახალგაზრდამ, და იმავე წელს ივ. ჯავახიშვილის მიერ იგი დატოვებულ იქნა საქართველოს ისტორიაში საპროფესოროდ მოსამზადებლად.

1924 წელი ს. ჯანაშიას სულ ერთიანად გაუცდა მძიმე ფიზიკური ავადმყოფობის გამო. 1925 წელს მან შესძლო მეცადინეობის განახლება და 1926 წელს სადოქტორო ზეპირი გამოცდები ჩააბარა.

1926 წლიდანვე ს. ჯანაშია მიიწვიეს სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზური ენის ლექტორად და ამავე დროს დაეცალა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის კურსის წაკითხვა.

პირველი სამეცნიერო შრომა ახალგაზრდა მკვლევარმა ჯერ კიდევ 1923 წელს დაბეჭდა.

ასე დაიწყო ს. ჯანაშიას სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.

ამს. ს. ჯანაშია პირველია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, კერძოდ, მისი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პირველი. ეს ფაკულტეტი კი იმ დროს, ახალგაზრდა უნივერსიტეტში, უკეთ იყო მომარაგებული სამეცნიერო ძალებით, ვიდრე სხვა რომელიმე. და ეს გარემოება არც ძნელი ასახსნელია. უძველესი და მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერება ცარიზმის დუხჭირ პირობებშიაც კი არ მომკვდარა. 70—90-იანი წლების ეროვნულ-დემოკრატიულმა მოძრაობამ მისი გამოცოცხლება გამოიწვია, ხოლო 1905 წლის რევოლუციამ ახალი იდეების ცხოველყოფე-

ლი ძალა შემატა ქართულ ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებას და მას ფართო სამოქმედო პორიზონტიც გადაუშალა. XIX—XX საუკუნეში თანდათან წარმოიშვა და წამოიზარდა ქართული ენათმეცნიერება, ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, ახალი ქართული ისტორიოგრაფია, ქართული ეთნოგრაფია, არქეოლოგია.

ასე რომ, 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაარსება ამ მხრით იყო ქართველთმცოდნეობის ხსენებული დარგების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა. ახლად გახსნილ უნივერსიტეტში ქართულ ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებას სათავეში ჩაუდგნენ პეტერბურგის მაღალ ისტორიულ-ფილოლოგიურ სკოლაგავილი, მკაცრად დახვეწილი ქართველი მეცნიერები პროფ. ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით. მოსულთა და დამხდურთ შექმნეს თავდადებულ მეცნიერ-მასწავლებელთა ძლიერი კოლექტივი და ქართული სიბრძნისმეტყველება დაჯერებული ნაბიჯით შეუდგა მეცნიერების აღმართს.

ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, კ. კეკელიძე, აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი შეადგენდნენ ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერების ძირითად ბირთვს. ამათ უსმენდა სტუდენტი სიმონ ჯანაშია, ამათგანვე მიიღო მან მეცნიერული წრთობა.

ს. ჯანაშიამ სანიშნუშო მეცნიერულ-ტექნიკური შეიარაღება შეიძინა. ჯერ ისევ სტუდენტობა-ასპირანტობისას ის ჩინებულად დაეუფლა პეტერბურგის (აწ. თბილისის) ისტორიულ-ფილოლოგიური სკოლის მაღალ ტექნიკურ ხერხებს, რაც მან თავის პირველსავე ნაშრომებში გამოამჟღავნა.

მაგრამ ახალგაზრდა მეცნიერი ამას როდი დაკმაყოფილდა. მან გაბედულად იტვირთა სხვა მეტად საპატიო და პასუხსაგები საქმე. საკითხი შეეხება მარქსისტული მეთოდის დანერგვას საქართველოს ძველი ისტორიის კვლევის საქმეში.

საქმე ის გახლავთ, რომ XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში და XX საუკუნის დამდეგს შემუშავებული ახალი დროის ქართული ისტორიოგრაფია ახლა, სოციალიზმის გამარჯვების პირობებში, მცირედაც კი არ შეესაბამებოდა მარქსისტული მეცნიერების მოთხოვნილებას და ერთობ ჩამორჩენილად გამოიყურებოდა. ქართული ისტორიოგრაფია ძირითად გადახალისებას მოითხოვდა.

თუ რამდენად დიდი იყო საამისო მოთხოვნილება, იქიდანაც ჩანდა, რომ ამ ხანებში (საუბარი შეეხება ოცი-ოცდაათიანი წლების მიჯნას) არაერთმა ავტორმა სცადა საქართველოს ისტორიის მარქსისტულად გაშუქება. სამწუხაროდ, ასეთი ცდა თითქმის ყველა მარცხით დასრულდა. ზოგი ავტორი საქართველოს ისტორიის სპეციალისტი არ იყო, ზოგს კიდევ კვლევის მარქსისტული მეთოდის სწორი გამოყენება

არ ენერგებოდა. ცხადი იყო, რომ დიდი საქმის ღირსეულად წარმართვას ის შესძლებდა, ვინც თანაბრად კარგად დაეუფლებოდა როგორც ტექნიკურ ხერხებს, ისე კვლევის მარქსისტულ მეთოდს.

საქართველოს ისტორიის უბანზე მომუშავეთა შორის ს. ჯანაშია ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც თანაბრად აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ ორივე პირობას.

1932 წლიდან ჩვენი მეცნიერი აქვეყნებს მთელ რიგს ერთი მეორეზე უფრო საინტერესო უაღრესად ორიგინალურ ნაშრომებს საქართველოს ისტორიიდან, მისი უძველესი პერიოდიდან. ამ ნაშრომებში ახალგაზრდა მეცნიერი მის დრომდე არსებულ შეხედულებათაგან განსხვავებით (ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, გ. ნათაძე) სრულიად ახლებურად სვამს საქართველოს ისტორიის არაერთ საკვანძო საკითხს და ფაქტების მარქსისტული ანალიზით და სანაქებო გონებამახვილობით გაბედულად აშუქებს მათ ახალ სინათლეზე.

ვაიმბობთ „გაბედულად“ მეთქი და აქ როდი ვაქარბებთ...

ს. ჯანაშიას მიერ მიღებულ დასკვნებში იმდენი იყო ახალი და მოულოდნელი, რომ აქამდე გაბატონებულ მეცნიერულ შეხედულებათა მიჩვეულ თვალსა და გონებას ყველაფერი ეს დაუჯერებლად ეჩვენებოდა. დიდი ბრძოლა გაიმართა, ს. ჯანაშია ნიჭიერად, დინჯად და დიდის ცოდნით იცავდა მის მიერ წამოყენებულ დებულებათა სისწორეს.

დიდხანს გრძელდებოდა აზრთა სხვადასხვაობა (საბოლოოდ ის დღესაც არაა ამოწურული).

ამ კამათმა უდიდესი სარგებლობა მოუტანა ქართულ ისტორიოგრაფიას. მან უკიდურესად გაამახვილა მკვლევართა ყურადღება ისტორიის თეორიულსა თუ ტექნიკურ საკითხებზე და დიდად წინ წასწია საქართველოს ისტორიის ამ ხანის შესწავლა. ამ საქმეში სიმონ ჯანაშიას უდავოდ წამყვანი როლი ეკუთვნის.

ხოლო ის გარემოება, რომ შემდგომმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ამ მეცნიერის არაერთი მიხვედრა დაადასტურა, უცილებელი მოწმობაა მისი ბრწყინვალე ნიჭისა.

ჩვენ ამჯერად არა გვაქვს შესაძლებლობა თითოეულ ამ შრომას ცალკე შევხვით (ასეთი ამოცანის შესრულება ჩვენ სხვა დროისათვის გვაქვს განზრახული, აქ კი ამ ნაშრომების მხოლოდ მარტივი აღნიშვნით დაგვაყოფილდებით. საქართველოს ისტორიის ამ უძველესი ხანის გაშუქებას უძღვნა ამხ. ს. ჯანაშიამ „გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში“, „საზოგადოებრივ კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ქართველ ტომებში“, „ადრეული ფეოდალიზმი“, „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, „ფეოდალური რევილუცია საქართველოში“ და სხვ.

არსებული წყაროების სრულად გათვალისწინებით, ახალი მასალის (უპირატესად ენობრივი და ეთნოგრაფიული ხასიათისა) უხვად მოპოვებით, ყველა ამის ისტორიულ-მარქსისტული ანალიზით ს. ჯანაშიამ დიდად გაამდიდრა ჩვენი მეცნიერული ცოდნა ქართველ ტომებში საგვარეულო წყობილების შესახებ, ხოლო პირველმა აღნიშნა და უხვი მასალით დაამტკიცა, რომ ფეოდალური ურთიერთობა ქართველ ტომებში გაცილებით უფრო ადრე ჩასახულა და გაბატონებულა, ვიდრე ეს აქამდე წარმოდგენილი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში.

„მარგილი“ და „წერაქვი“, „სეფობა“ თუ „ბეგარა“, „მეფე“ და „სეფეწული“, „ერი“ და „ერისთავი“, „წარჩინებული“ და „გლეხი“ და სხვა ასეთი ფაქტები ხალისით დამორჩილდნენ ხელოვან ისტორიკოსს და ქართველი საზოგადოების ისტორიული მშენებლობის სურათში თავისი ადგილი დაიჭირეს.

სულ სხვა სახით, ვიდრე აქამდე იყო, წარმოდგა ჩვენ თვალწინ არაერთი საკვანძო საკითხი საქართველოს ძველი ისტორიისა. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და მისი სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება ამ ფაქტის მკიდრო კავშირი ქართული საზოგადოების შიგნით არსებულ კლასობრივ თუ შინაკლასობრივ ბრძოლასთან; ქრისტიანობის გაბატონების დაკავშირება აღმავალი ფეოდალური კლასის ინტერესებთან; სპარსელთა მიერ მეფობის გაუქმება იბერიაში, როგორც აზნაურთა უცილობელი ბატონობის დამყარება, როგორც ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო გამარჯვების ნიშანი, — ყოველი ეს (და არაერთი სხვა) სრულიად ახალი სიტყვა იყო საქართველოს ისტორიის ამ უბანზე, სიტყვა არა დეკლარაციული, არამედ მეცნიერულ-მარქსისტული, უხვი ფაქტებით შემტკიცებული.

მაგრამ ს. ჯანაშიას მეცნიერული ინტერესები საქართველოს ისტორიაში ამით არ შემოფარგლულა.

საკითხი ქართველ ტომთა პირველსაცხოვრისის შესახებ, საკითხი ქართველ ტომთა მოქარაობის შესახებ, საკითხი ქართველების წინაპართა შესახებ მახლობელ აღმოსავლეთში, იბერია-კოლხეთის ეთნიკურ-პოლიტიკური საზღვრების საკითხი ანტიკურ ხანაში, საკითხი კოლხეთ-იბერიის სახელმწიფოთა წარმოქმნის დროის შესახებ, — ამასა და სხვა რიგის საკითხებს მიუძღვნა ამხ. ს. ჯანაშიამ არაერთი გამოკვლევა, სადაც მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ღრმა შესწავლის საფუძველზე, ეროვნულ თუ უცხოურ ცნობათა კრიტიკული შეჯერებით და ენობრივ მონაცემთა ბრწყინვალე გამოყენებით სრულიად ახლებურად, მეცნიერული საბუთიანობით არის არაერთი პრობლემა დასმულ-გადაჭრილი.

საერთოდ, შეიძლება ზოგ რამეში არ დაეთანხმით ავტორს, მისი დებულება ამა თუ იმ საკითხზე არ გაიზიაროთ და ფაქტის სხვაგვარი გაგება წარმოიდგინოთ, მაგრამ ვერაინ დაუწუნებს განსვენებულ მკვლევარს ფაქტების მოპოვება-შერჩევის უნარს, სამუშაო სარბიელის ნათლად და სრულად გათვალისწინებას, მოპოვებული ფაქტების კრიტიკულ შეჯერებას, მსჯელობის ლოგიკას.

აღნიშნული საკითხების შესწავლას ს. ჯანაშიამ მიუძღვნა გამოკვლევები: „თუბალ თაბალი, ტიბარენი, იბერი“, „უძველესი ეროვნულ ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მასლობელ აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე“, „მესხთა ტომის ისტორიიდან“, „კავკასიელ ეთნარქ-ეპონიმების ანტიკური სქემა“.

მოპოვებული მასალის შესწავლის საფუძველზე ს. ჯანაშიას შესაძლებლობა ჰქონდა კატეგორიულად აღენიშნა, რომ „ხეთები და სუბარები ქართველების წინაპრები არიან“ (საქ. ისტორია, 1946, გვ. 20). რომ „ხალდების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია: ისინი ქართველი ხალხის ერთ ნაწილს შეადგენდნენ“ (იქვე, გვ. 41).

ენათმეცნიერული ხასიათის გამოკვლევებში — „სვანურ-ადიღეურული (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები“, „ჩერქეზული ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში“ და „საქართველოს ისტორიის უძველესი ქრონოლოგიიდან ენობრივი მასალების მიხედვით“, — ს. ჯანაშია შეეხება არა მარტო ლინგვისტურ საკითხს ქართველური და ადიღეური ენების ნათესაობის შესახებ, არამედ შეისწავლის ამ ენების მატარებელ ხალხთა განსახლებასა და ურთიერთ გავლენას. ხსენებულ წერილებში ავტორი განიხილავს უძველეს ისტორიულ პრობლემებს ქართული ონომასტიკონისა და სხვა ენობრივი მასალის ნიადაგზე.

აკად. ს. ჯანაშიამ რიგი გამოკვლევები მიუძღვნა იბერია-კოლხეთის ისტორიულ გეოგრაფიას. ასეთ საკითხებს ეხება მისი წერილები: „იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში“, „პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები“ და სხვ.

აქ დასახელებულიდან პირველ წერილში ბერძნულ-ლათინური ცნობების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე აღდგენილია ქართლის უძველესი პოლიტიკური საზღვრები, კერძოდ, ს. ჯანაშიას აზრით, ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს ქართლის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედზე გადიოდა (დარიალის კარი ამ დროს ქართველების ხელშია და მათ მიერვეა გამაგრებული). აღმოსავლეთის საზღვარი — ალაზნის ველზე, დასავლეთით — სკანდა-შორაპნის ხაზზე, ხოლო სამხრეთით — წყალგამყოფ ხაზზე მტკვარსა და არაქსს შორის.

ამ წერილით ჩვენმა მეცნიერმა ბოლო მოუღო ხსენებული საკითხის გარშემო აქამდე არსებულ შეუწყნარებელ მდგომარეობას. იყენენ

მეცნიერნი (დღესაც არიან), რომელნიც წყაროების ისეთ ინტერპრეტაციას გვაწვდიდნენ, რომ, სიმონ ჯანაშიასვე მოსწრებული ენით რომ ვთქვათ, „თუ იბერიის პოლიტიკური საზღვრების ამგვარ განმარტებას დავეთანხმებოდით, მივიღებდით ორიგინალურს, უთუოდ უნიკალურს მსოფლიო ისტორიაში ვითარებას, როცა ერთი სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში იბერიის) დედაქალაქის (მცხეთის) უდიდესი ნაწილი ორი უცხო სახელმწიფოს ფარგლებში მდებარეობს: ერთი მესამედი, სამეფო რეზიდენციის (არმაზი) შემცველი—არმენიაში, მეორე მესამედი — კი (არაგვის მარცხენა ნაპირი) — ალბანიაში“.

ზემოდასახელებულ მეორე წერილში — „პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები“ აკად. ს. ჯანაშია უკუაგდება ამ გეოგრაფიული პუნქტების აქამდე მიღებულ ლოკალიზაციას და წყაროების (ქართულ-ბერძნულ-სომხური ჩვენებანი) კრიტიკული შესწავლით ცდილობს დაადგინოს, რომ „სკიდისი ის მთებია, რომლებიც გირესუნ-კერასუნტისა და ტრაბზონ-ტრაპეზუნტის ხაზზე გასდევს შავი ზღვის სანაპიროს, მოსხური მთები სკიდისის გაგრძელებაა აღმოსავლეთისაკენ, გადაკიმული ტრაპეზუნდ-ბაიბურდის ხაზიდან, ვიდრე ჭოროხის ქვემოწელამდე, პარიადრი კიდევ — ყველაზე დასავლეთით მდებარე ნაწილი, რომელიც სტრაბონის წარმოდგენით, იწყება ფატისა-ტერმეს რაიონიდან და გასდევს დასავლეთისაკენ“.

დასახელებული მთების ასეთ ლოკალიზაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ამ ოროგრაფიული ობიექტების მიხედვითაა განსაზღვრული არაერთი სარწმუნო მითითება ქართველთა განსახლებისა და მათი სამოქალაქო ცხოვრების ისტორიიდან.

ქართველთა უძველესი განსახლებისა და პოლიტიკური ცენტრის საკითხს შეეხო აკად. ს. ჯანაშია აგრეთვე სპეციალურ ნარკვევში „აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის“. ავტორი არკვევს, რომ ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დამდგენისათვის იბერიის (ქართლის) სამეფო წვდება სამხრეთისაკენ ჭოროხის ხეობის ქვემო წელსა და ჰანეთის (მოსხურ) მთებს, ე. ი. უკვე შეიცავს საშუალო საუკუნეების „ზემოქართლსაც“, რომლის პოლიტიკური ცენტრი მცხეთა იყო.

აკად. ს. ჯანაშიას ინტენსიური ყურადღების საგანი იყო აგრეთვე კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. ამ პრობლემას მიუძღვნა მან ნაშრომი „კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან“, რომლის მხოლოდ ერთი თავის — „ფასიდი“ — გამოქვეყნება-და დასცალდა ავტორს. ისტორიული გეოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევებით ს. ჯანაშია ცდილობს დაადგინოს ქართველ ტომთა გეოგრაფიული განსახლების უწყვეტი სურათი, ახსნას ქართველ ტომთა მოჩვე-

ნებითი გადმოსახლება კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების თანდათან გადმონაცვლებით და გადალახოს ის დაბრკოლებანი, რომელნიც ხელს უშლიდნენ ქართველ ტომთა გეოგრაფიული განსახლების საკითხის სწორ გაგებას.

საქართველოს ისტორიის ძველი და უძველესი ხანის გვერდით ს. ჯანაშია უყურადღებოდ არც მის შუა ხანას სტოვებს. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიას შეეხება მისი საყურადღებო მონოგრაფია „არაბობა საქართველოში“. მსოფლიო ისტორიულ ლიტერატურაში არსებული მასალების ორიგინალურ ქართულ ცნობებთან შეჯერების საფუძველზე ს. ჯანაშიამ ზედმიწევნით შეისწავლა და სრულიად ახლებურად გააშუქა რიგი მნიშვნელოვანი საკითხი არაბთა მფლობელობიდან (საქართველოში არაბთა ბატონობის დამყარების თარიღი, არაბთა მფლობელობის რაობა, საადგილმამულო ურთიერთობის საკითხი არაბთა მფლობელობის პირობებში, პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობის საკითხები არაბობის დროს და სხვ.).

შუასაუკუნეებსავე შეეხება აკად. ს. ჯანაშიას გამოკვლევა „ქართული პატრონჟიმობის წარმოშობისა და ბუნების საკითხისათვის“ (ამ გამოკვლევის მხოლოდ თეზისები დაიბეჭდა) და „ბარათაშვილების გენეალოგიისათვის“. ამ უკანასკნელ ნაშრომში ავტორი მასალის ლინგვისტური ანალიზის მოშველიებით ცდილობს აღადგინოს შინაკოლონიზაციის საინტერესო ისტორიული სურათი შუასაუკუნეების საქართველოში.

სისწრაფის გამო ჩვენ იძულებული ვართ გვერდი ავუაროთ ავტორის არაერთ ისტორიულ წერილს, ოღონდ ზოგიერთის მოუხსენიებლობა აქაც არ ეგების.

თავისი ამ საკვლევო-სამეცნიერო მუშაობის შედეგები აკად. ს. ჯანაშიამ ისტორიის სისტემატური კურსის სახით მოგვცა შრომაში: „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან X საუკუნემდე“, ეს შრომა დაიწერა მრავალტომიან „საბჭოთა კავშირის ისტორიისათვის“.

თანაავტორია სიმონ ჯანაშია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსი. მაგრამ ის ამავე დროს ამ სახელმძღვანელოს რედაქტორია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ წიგნის შექმნის მთავარი სიმძიმე ს. ჯანაშიას აწვა მხრებზე.

აკად. ს. ჯანაშიას ისტორიული ხასიათის შრომებიდან ცალკე უნდა აღინიშნოს გამოკვლევა: „ქართველი ერის წარმოშობა სტალინის მოძღვრების სინათლეზე ნაციის შესახებ“. ეს გამოკვლევა საჯარო მოხსენებების სახით ფართოდ გავრცელდა ჩვენს საზოგადოებაში და მისი ძირითადი დასკვნები „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში“

შევიდა. აკად. ს. ჯანაშიამ ამ მეტად მნიშვნელოვან გამოკვლევებაში მოგვცა ქართველი ერის წარმოშობის სტალინური გაგება. დიდი ფაქტიური მასალის მოშველიებით ავტორმა გვიჩვენა, „რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს ვამტიციოთ, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ჩადის, თითქოს ერის წარმოქმნის პროცესი საქართველოში, ან საერთოდ კავკასიაში უჩვეულოს რასმე წარმოადგენდა და XIX საუკუნის ფარგლებში მიმდინარეობდა. ამ ავტორებს უთუოდ ავიწყდებათ, რომ „ერი ყალიბდება მხოლოდ ხანგრძლივი და რეგულარული ურთიერთკავშირის შედეგად, ადამიანთა ერთად ცხოვრების შედეგად თაობიდან თაობამდე“ (სტალინი) — (საქ. ისტორია, 12).

აკად. ს. ჯანაშია მეცნიერების არა მარტო ერთგული მსახური იყო, არამედ ის იყო ამავე დროს მისი ღირსებისა და სიწმინდის ერთგული დარაჯიც. სიმონს უკიდურესად სძაგდა ზედაპირულობა მეცნიერებაში, ყოვლად დაუნდობელი იყო მეცნიერების გამყალბებელთა მიმართ და დაურიდებლად ამათრახებდა ყალბისმქნელთ. ასეთია მისი რეცენზიები სსრკ ხალხთა ისტორიის სახელმძღვანელოზე უმაღლესი სკოლებისათვის და ტოკარსკის ნაშრომზე „Архитектура древней Армении“.

აკად. ს. ჯანაშიას მეცნიერული ცხოვრება საკუთრივ ისტორიის საკითხებით არ ამოიწურებოდა. სიმონი განსაკუთრებით ახლო იდგა არქეოლოგიასთან. საქართველოს ახალგაზრდა არქეოლოგიის ზრდის საქმეში სიმონ ჯანაშიას საპატიო ღვაწლი მიუძღვის. ხოლო მცხეთა-არმაზის დიდი არქეოლოგიური აღმოჩენები სიმონის სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული.

აკად. ს. ჯანაშიას მნიშვნელობა ქართული საბჭოთა მეცნიერებისათვის სხვა მხრივაც დიდი იყო. ს. ჯანაშია დიდი საქმის ორგანიზაციის განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული. არავის ჩვენს წრეში ისე, როგორც სიმონს, არ შეეძლო თავი გაერთვა ურთულესი ორგანიზაციული საქმისათვის, არავის ისე, როგორც სიმონს, არ შეეძლო მოეზიდა და აემუშავებინა მეცნიერული ძალები რაიმე ამოცანის გადაწყვეტისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. ს. ჯანაშიას რედაქტორული მუშაობა. ინსტიტუტის სამეცნიერო პროდუქციის მრავალი ტომი ს. ჯანაშიას უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ დაიბეჭდა. ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ნაშრომებს ს. ჯანაშია დიდი მოთმინებით, ენერგიის დაუზოგავად და დიდის მოფრთხილებით (ტაქტიით) ხშირად არსებითად ასწორებდა, ხვეწავდა, აშალაშინებდა. განსვენებული მეცნიერ-რედაქტორის ხელში ნაკლულ-გაუმართავი ნაშრომი სწორდებოდა,

ხოლო მისი ავტორი, ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი, სწავლობდა და იზრდებოდა.

მაგრამ ს. ჯანაშიას რექტორულ დახმარებას არა მარტო ახალგაზრდანი საჭიროებდნენ. არაერთი შრომის, — ზოგიერთი მათგანის ავტორი ფართოდ სახელმძღვანელოა, — დასახელება შეიძლება, რომელთა ღირსებაში ს. ჯანაშიას არსებითი წილი უდევს.

დიდ საორგანიზაციო და ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობასთან სიმონ ჯანაშია მნიშვნელოვან პედაგოგიურ მუშაობას ათავსებდა. 1926 წლიდან მოკიდებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ის საქართველოს ისტორიის კათედრის მუშაკი იყო, აქედან ათი წლის განმავლობაში (1935—1946 წწ.) — კათედრის გამგე, ასე რომ, სტალინის სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის მშენებლობაში ს. ჯანაშიას ღვაწლი ფრიად საპატიოა. ასეთივეა მისი ღვაწლი კათედრის მეცნიერულსა თუ პედაგოგიურ მიღწევებში.

დიდია სიმონ ჯანაშიას ღვაწლი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზაციის საქმეში. აკადემიის დაარსების დღიდან სიმონ ჯანაშია მისი ნამდვილი წევრი და ვიცე-პრეზიდენტი იყო. ამ პასუხსაგებ თანამდებობაზე იგი ნაყოფიერად მუშაობდა უკანასკნელ დღემდე და მუდამ არსებით გავლენას ახდენდა ქართული მეცნიერების ამ შტაბის მთელ საქმიანობაზე.

დიდი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ჯანაშია უანგარო საბჭოთა პატრიოტი — მოქალაქე იყო. ომის დროს თუ მშვიდობიანი მშენებლობისას ის მთელი სულით და გულით საბჭოთა ხალხთან, პარტიასა და ხელისუფლებასთან იყო.

შთამაგონებელი ზეპირი სიტყვით თუ ბასრი კალმით ის თავდაუზოგველად იბრძოდა საბჭოთა სამშობლოს სამხედრო თუ სამეურნეო გამარჯვებისათვის.

უსაზღვრო იყო ს. ჯანაშიას სიხარული, როდესაც მას, საქართველოს ისტორიკოსს, ბედნიერება მიეცა ანგარიში მოეთხოვა ჩვენი სამშობლოს გამაოხრებელი ოსმალეთისათვის. კარგად ხედავდა ჩვენი მეცნიერი, რომ საქართველო ახლა, სოციალისტურ რესპუბლიკათა ძმურ კავშირში, გრძნობს რეალურ ძალას იმისათვის, რათა თავისი კუთვნილი მიწა-წყალი მოჰკითხოს მიმტაცებელთ.

ყველა ამასთან სიმონ ჯანაშია განსაკუთრებული მიმზიდველი პირადი თვისებებით უზღავდ იყო დაჯილდოებული: გულისხმიერი ხელმძღვანელი, ყველასთან მორიდებული და თავაზიანი ადამიანი, მოყვარული მეგობარი, საიმედო ამხანაგი, პრინციპიანი მოქალაქე, მეცნიერი ბოლშევიკი.

1932 წლიდან ს. ჯანაშიას საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი თარიღები ასეთია:

1935 წლიდან ის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; 1936 წლიდან ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორია; 1938 წლიდან მან დისერტაცია დაიცვა და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოიპოვა; 1941 წლიდან ის ნამდვილი წევრია და ვიცე-პრეზიდენტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა; 1943 წლიდან ის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია; 1940 წლიდან სიმონ ჯანაშია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წევრია.

პარტიამ და ხელისუფლებამ ღირსებისებრ შეუფასა შრომა ერთგულსა და მაღალნიჭიერ მეცნიერსა და მოქალაქეს: 1938 წელს ამხ. ს. ჯანაშიას მიენიჭა საქართველოს ცაკის საპატიო სიგელი;

1941 წელს ს. ჯანაშია ლენინის ორდენით დააჯილდოვეს;

1944 წელს ის კვლავ დააჯილდოვეს ლენინის ორდენით, ხოლო 1945 წელს — შრომის წითელი დროშის ორდენით და სამხედრო მედლით: „კავკასიის დაცვისათვის“;

1946 წელს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით აკად. ს. ჯანაშიას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება;

1947 წელს მას მეორეჯერ მიენიჭა სტალინური პრემია;

1939 წელს თბილისის მშრომელებმა ის აირჩიეს ქალაქის დეპუტატთა საბჭოში წევრად, ხოლო 1946 წელს ოჩამჩირის საარჩევნო რაიონის მშრომელებმა ამხ. ს. ჯანაშია კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატად აირჩიეს.

მეტად ხანმოკლე, თუმცა ბრწყინვალე და განსაკუთრებით შინაარსიანი იყო სიმონ ჯანაშიას ცხოვრება. მეტისმეტად ადრე შეწყდა ან შესანიშნავი მეცნიერისა და მოქალაქის მღუღარე სიცოცხლე. მაგრამ ამ მცირე დროშიც სიმონმა იმდენი გააკეთა, რომ პირნათელი წარსულმა საშუალოდ კეთილდღეობისათვის თავდადებულ და დამაშვრალ გამირთა წინაშე, მთაწმინდას რომ განისვენებენ.

მძიმე დანაკლისი¹

ქართველმა ერმა მძიმე დანაკლისი განიცადა, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე—ქართულმა ისტორიოგრაფიამ.

ჯერ ათი წელიც კი არ გასულა მას შემდეგ, რაც ქართულ საისტორიო მეცნიერებას გამოეცალა მისი ფუძემდებელი, დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი.

მალე მის კვალს გაჰყვა მისივე მოწაფე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ დიდი იმედის მომცემი ლევან მუსხელიშვილი.

დღეს კი კვლავ დედაბოძი გამოეცალა ქართულ საისტორიო მეცნიერებას.

ალარა გვყავს სიმონ ჯანაშია, რომელმაც არა მარტო მასწავლებლის დიდი მეცნიერული მემკვიდრეობის გაძლოლის მძიმე ტვირთი იკისრა, არამედ ქართული საისტორიო მეცნიერება ახალ სიმაღლეზე აიყვანა. საქართველოს ისტორიის მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე გაშუქების საქმეში სიმონ ჯანაშიას ღვაწლი განსაკუთრებით საპატიოა.

მხოლოდ მარქსიზმით გამახვილებულ თვალს შეეძლო აღმოეჩინა თითქოს გაცვეთილ ცნობებში სრულიად ახალი სინამდვილე. ქართველთა წინაპრები წინა აზიაში, სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხი საქართველოში, მონათმფლობელობისა და ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობა-არსებობის საკითხები ჩვენში და სხვა არაერთი ძირითადი მნიშვნელობის პრობლემა საქართველოს ისტორიისა სრულიად ახლებურად დასვა და გადაჭრა ქართული საისტორიო მეცნიერების ამ ნოვატორმა. მის მიერ განჭვრეტილი არაერთი მეცნიერული დებულება, სადავოდ და საცილობლად შექმნილი, ურყევად დაადასტურა შემდგომმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, რაც უდავო მოწმობაა სიმონ ჯანაშიას მაღალი მეცნიერული ნიჭისა და მის მიერ მარქსისტული მეთოდის მართებულად მოხმარებისა.

¹ პირველად დაიბეჭდა 1947 წ., გაზ. „კომუნისტი“, № 230.

მასალის ფაქიზი შესწავლა პირველწყაროებში, ღრმა მარქსისტული ანალიზი, მაღალნიჭიერი მეცნიერული შემოქმედება, დარბაისლური კეთილშობილი ენა, — აი რა ახასიათებდა ამ ჰერმარიტად ბრწყინვალე საბჭოთა მეცნიერს.

მაგრამ სიმონ ჯანაშიას მნიშვნელობა ქართული მეცნიერებისათვის სხვა მხრივაც არანაკლები იყო.

სიმონ ჯანაშია დიდი საქმის ორგანიზაციის განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული. არავის ჩვენს წრეში ისე, როგორც სიმონს, არ შეეძლო თავი გაერთვა უმძიმესი ორგანიზაციული საქმისათვის, არავის ისე, როგორც სიმონს, არ შეეძლო მოეზიდა და აემუშავებინა ძალები რაიმე ამოცანის გადაწყვეტისათვის. ამ განსაკუთრებული ნიჭის წყალობით იყო, რომ ს. ჯანაშია ასეთი წარმატებით ხელმძღვანელობდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მუშაკთა დიდ სამეცნიერო კოლექტივს, რომელმაც შეთანხმებული, ინტენსიური მრავალწლოვანი მუშაობით ქართული საზოგადოებათმცოდნეობის არაერთი დარგი ღირსეულ სიმალღეზე აიყვანა.

არავინ იდგა ჩვენს შორის მეცნიერული სინდისის სადარაჯოზე უფრო ფხიზლად, ვიდრე სიმონი, არავინ იყო სიმონზე უფრო პრინციპული, უშიშარი და გამყალბებელთა მიმართ ულმობელი, მაგრამ არც არავინ იყო მასავით სათუთი, გულთბილი და თავაზიანი. ამიტომ იყო, რომ ეს ახალგაზრდა კაცი მამად მიაჩნდა არა მარტო მის მოწაფეებს, მის უფროს თაობასაც.

ჰერმარიტად მძიმეა ჩვენი დანაკლისი. ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ დაკარგა გამოცდილი და საიმედო წინამძღოლი, ქართულმა ახალგაზრდა არქეოლოგიამ — აღმზრდელ-ხელმძღვანელი, ქართულმა ენათმეცნიერებამ — პირველხარისხოვანი მეცნიერი მუშაკი, ქართულმა კულტურამ — დიდი მოამაგე და საბჭოთა ქვეყანამ — ღირსეული მოქალაქე-პატრიოტი.

აკადემიკოს ს. ჯანაშიას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებულის წინასიტყვა!

ისტორიის ინსტიტუტის ორგანოს ეს ნაკვეთი მიძღვნილია აკად. ს. ჯანაშიას ხსოვნისადმი.

ორ წელზე მეტია, რაც სიმონ ჯანაშია ფიზიკურად ჩვენ შორის აღარ არის. ორ წელზე მეტია, რაც ჩვენი კოლექტივი ჩვენს პატრიოტულ საქმეს, ჩვენი პატივისა და ღირსების საქმეს, სიმონის მონაწილეობას, მის ხელმძღვანელობას მოკლებული განაგრძობს. მაგრამ ორი წელი მეტად მცირე დროა იმისათვის, რომ ისეთი მეთაურისა და ხელმძღვანელის დაკარგვას, როგორც იყო სიმონი, ჯერ ისევ შეუწყველებელი სიმწვავეთ არ განვიცდიდეთ.

დღეს, როცა ჩვენს ქვეყანას გოლიათური საქმისათვის შეუმართნია, როცა მას კაცობრიობის ბედნიერების შენობის საძირკველი ამოუყვანია და მთელის ძალღონით იბრძვის ამ შენობის დამთავრებისათვის, ჩვენი მეცნიერების მუშაკთა პატივისა და ღირსების საკითხია სწორად მხარში ვუდგეთ ჩვენი ქვეყნის სხვა მშენებელთ და შრომის ამ მუწუხისას მეცნიერების ისეთი ხუროთმოძღვარის ხელიდან გამოცლა, როგორც სიმონ ჯანაშია იყო, რასაკვირველია, განსაკუთრებით მძიმე დანაკლისია.

სიმონ ჯანაშია არ იყო ჩვეულებრივი ტიპის ხელმძღვანელი, ეთქვამთ, ხელმძღვანელი იმიტომ, რომ გარკვეულის მხრით მას, სხვებთან შედარებით, რაიმე უპირატესობა ჰქონოდა და ამ ნიშნისდა მიხედვით დადგენილი იყო მეთაურად. არა, სიმონ ჯანაშია იმ ტიპის ხელმძღვანელი იყო, რომლის შეცვლა თუ დადგენა არ ხდება. ის ხელმძღვანელია მაშინაც, როცა შესაძლებელია, ოფიციალურ-თანამდებობრივად ასეთი არ იყოს. ავტორიტეტი იყო ის ბუნებით თანდაყო-

ლილი რამ, რაც სიმონს აგრე განასხვავებდა ყველა ჩვენგან. აქ ლაპარაკი არაა ავტორიტეტზე რაიმე დარგში, ვთქვათ, იმავე ისტორიაში, რაშიაც აკად. სიმონ ჯანაშია, რა თქმა უნდა, ავტორიტეტული სიტყვის მქონებელი მეცნიერი იყო. ავტორიტეტიანი სიტყვის მეცნიერი ამა თუ იმ დარგში ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვებინა, მაგრამ საერთო ავტორიტეტის მქონეს, სიმონისებურს, ჩვენ შორის, სამწუხაროდ, ვერვის დავასახელებდით.

სიმონ ჯანაშია შესანიშნავად ათავსებდა მეცნიერებას საზოგადო მოღვაწეობასთან. მეცნიერების სარბიელზე ის დიდ საზოგადო მოღვაწედ რჩებოდა, ისევე როგორც საზოგადო მოღვაწეობისას ის არასდროს მეცნიერების ალამს ხელიდან არ უშვებდა. სიმონ ჯანაშიასთვის მეცნიერება და საზოგადო მოღვაწეობა ერთი და იმავე მოვლენის ორი მხარე იყო. აი ამ განსაკუთრებული ნიჟის წყალობით იყო, რომ სიმონის ავტორიტეტს უყოყმანოდ სცნობდნენ, სიმონის წინამძღოლობა აგრე ბუნებრივად ეჩვენებოდათ.

ორი წელი გავიდა სიმონის გარდაცვალებიდან და რამდენი ოხვრა მისდევს მის ხსოვნას დღესაც, როცა ამა თუ იმ საზოგადოებრივ-სამეცნიერო საკითხის მოგვარება რთულდება, როცა აგრე მწვევედ იგრძნობა, რომ გვაკლია სიმონი მისი მომჩადოებელი ავტორიტეტით.

ბევრს მოგვაგონდება, თუ როგორი იყო საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმე ამ ოცდახუთიოდე წლის წინ, როცა სიმონ ჯანაშია სამოღვაწეოდ გამოდიოდა. იმ დროს ჩვენი მასწავლებელი აკად. ივ. ჯავახიშვილი პატრიოტული გატაცებით მხნედ იბრძოდა საქართველოს ახალი ისტორიის შექმნისათვის. გასაოცარ ლიტერატურულ ნაყოფიერებასთან ერთად, რითაც სურდა ამ დიდ მეცნიერს საფუძველი ჩაეყარა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ყოველი დარგისათვის, იყო ეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ისტორია, ეკონომიური ისტორია, სამართლის ისტორია, ისტორიის წყაროთმცოდნეობა და სხვა და სხვა, — ივანე ჯავახიშვილი არანაკლები თავდადებით იბრძოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში მომუშავეთა კადრების შექმნისათვის. ამ მიზნით განსვენებული მეცნიერი ორგვარ ზერხს მიმართავდა. ერთის მხრივ ის ცდილობდა მოეზივნა სხვა და სხვა დარგის ქართველი მეცნიერები (იურისტები, ეკონომისტები, ფილოსოფოსები) საქართველოს ისტორიის შესადგურის მასალაზე სამუშაოდ, მეორეს მხრივ ის ძალღონეს არ ზოგავდა საქართველოს ისტორიაში სამეცნიერო მუშაობისათვის ახალი თაობის მოსამზადებლად.

მძიმე და ძნელი იყო დიდი საქმის გამართვა განსაკუთრებით იმ დროს, როცა საქართველოს ახალი ისტორიოგრაფიის ამ ფუძემდებელს თითქმის მარტო უხდებოდა ამისათვის ბრძოლა. მაინც ივ. ჯა-

ვანიშვილმა გააკეთა მაქსიმუმი იმისა, რის გაკეთებაც იმ პირობებში ერთი ადამიანისაგან შესაძლებელი იყო.

საქართველოს უახლესი ისტორიოგრაფიისათვის დიდი საქმე იყო უკვე შემზადებული.

შრომაგადახდილ მასწავლებელს მალე „შვილივით მოესწრო“ ღირსეული მოწაფე და ახალგაზრდული ენერგიით „ძმასავით მხარში ამოუდგა“ მას. ამ დროიდან ივანე ჯავახიშვილს შეეძლო გულდამშვიდებული ყოფილიყო, იმიტომ რომ საქართველოს უახლესი ისტორიოგრაფიის საქმე საიმედო ხელში გადადიოდა.

მძიმე ბრძოლით, ბრწყინვალე მეცნიერული ნიჭით, უებრო ორგანიზაციული უნარით სიმონ ჯანაშიამ უზრუნველყო ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფიის მტკიცე საფუძველი.

ღრმად და ფართოდ გაშალა მუშაობა ს. ჯანაშიამ. მან შეძლო დაერაზმა, ზოგან კი სავსებით ახლად შეექმნა საქართველოს ისტორიის უბანზე მომუშავე მეცნიერთა მჭიდრო კოლექტივები და მტკიცე მიზანდასახულობით მათი საქმიანობა წარემართა.

ქართული თუ უცხოური წერილობითი წყაროების შემოკრება და მარქსისტული თვალსაზრისით მათი კრიტიკული შესწავლა, ენობრივი, ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორულ-საისტორიო მასალის მარქსისტული მოპოვება, მარქსისტული არქეოლოგია, — მიწის ზედა თუ წიაღისეული, და სხვა, ყველაფერი ს. ჯანაშიას თანაბარი ყურადღების და შეუწელებელი ზრუნვის საგანი იყო. ამის შედეგია, რომ დღეს საქართველოს მარქსისტულ ისტორიოგრაფიას მდიდარი, პირველხარისხოვანი მასალა მოეპოვება საქართველოს ისტორიის მრავალტომეულის შესაქმნელად.

ს. ჯანაშიას არ დასცალდა თავისი შემოქმედებითი ნიჭის ამ მიმართულების სრულად გაშლა. მეცნიერულ წამოწყებათა თუ ჩანაფიქრთა უდიდესი ნაწილი მას შეუხსრულებელი დარჩა, მაგრამ, უკიდურესი მოუცლევლობისა და სავალალო ხანმოკლეობისდა მიუხედავად, მან ის მაინც მოასწრო, რომ საკუთარი შემოქმედების ბრწყინვალე მაგალითებზე აჩვენა საბჭოთა საზოგადოებას, განსაკუთრებით, საბჭოთა მეცნიერ ახალგაზრდობას, თუ როგორ უნდა მუშაობდეს მარქსისტი ისტორიკოსი, თუ როგორი უნდა იყოს მარქსისტული ისტორიოგრაფია.

მასალის კრიტიკულად ათვისება, განუხრელი იდეურობა, შეუფერავი სიმართლე, გამყალბებელთა დაუნდობელი მხილება, მეცნიერული სიზუსტე, ენისა და სტილის სიფაქიზე, აი რა ნიშნები ახასიათებს სიმონ ჯანაშიას ისტორიულ ნაშრომებს.

მოკლედ, მარქსისტულ-ლენინური ქართული ისტორიოგრაფიის შექმნა იყო სიმონ ჯანაშიას სამეცნიერო პოლვაწეობის უმთავრესი მიზანი, რასაც მან ესოდენი ამაგი დასდო. ამავე საქმის განუხრელი სამსახური ამ ბრწყინვალე მეცნიერმა ჩვენ ანდერძად დაგვიტოვა.

ამ ანდერძის შესრულება ჩვენი, მეცნიერების მუშაკთა კოლექტივის, წმინდა ვალია.

საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიული მნიშვნელობისათვის¹

წერილი პირველი

IX—XI სს. ამიერკავკასიაში დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობდა. ფეოდალური ურთიერთობა მოწიფულობის ასაკში შედიოდა და ამის შესაბამისად მცირე პოლიტიკურ ერთეულთა გამსხვილების ტენდენციები დაქინებით თავს იჩენდა. საბოლოოდ ყალიბდებოდნენ ფეოდალური ხალხები — სომხები, ალბანელები, ქართველები.

X საუკუნის ფეოდალური ქართლი დიდი ხანია, რაც გადასცდა თავის ტერიტორიულ საზღვრებს, დიდი ხანია, რაც მონათმფლობელობის დროის ეთნიკურ-პოლიტიკურმა ტერმინმა „ქართლმა“ ვერ დაიტია ახალი შინაარსი, ქართველურ თუ არაქართველურ ტომთა ფეოდალური გაერთიანების შემცველი. ახალ შინაარსთან ამ ძველი დროის ტერმინის — „ქართლის“ — შეუსაბამობის მოწმობაა, რომ X საუკუნის ქართველ მწერალს გიორგი მერჩულეს საგანგებო განმარტება სჭირდებოდა, თუ რას ეწოდებოდა მისი დროის ქართლი — „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულათა ენითა ეამი შეწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“². ამ ნიადაგზე აუცილებელი შეიქნა, და კიდევაც შემუშავდა (იმავე X საუკუნეში), ახალი ტერმინი „საქართველო“. ასე რომ, ტერმინი „საქართველო“ ქართველურ თუ არაქართველურ ტომთა ფეოდალური გაერთიანების ხანის წარმონაქმნია და ამ გაერთიანების ხასიათის მაჩვენებელია. „საქართველო“ არ ნიშნავდა ეთნიკურ-ტერიტორიულ მონახაზს ერთხელ აღებულ საზღვრებში, „საქართველო“ თავის შინაარსშივე შეიცავდა გაფართოების (თუ შემცირების) უსაზღვრო შესაძლებლობას: „საქართველოა“ ყოველგან, სადაც „ქართველი“ ჩნდება, ხოლო ქართველი არ-

¹ პირველად დაიბეჭდა 1954 წელს.

² გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ნ. მარის გამოცემა, თავი მკ, 5—8.

ის ყველა ის, ვინც ქალკედონიტია (კავკასიაში თუ მის მეზობლად) და ვინც საეკლესიო მსახურებას ქართულ ენაზე ისმენს.

კურაპალატების ქართული სახელმწიფო პოლიტიკა ტაო-ბასიანში, აფხაზთა მეფეების ღონისძიებანი კავკასიის მთიანეთში („ქართული“ ქრისტიანობის გავრცელება) და ჰერეთის საბოლოო „გაქართველება“ (ჰერთა მოქცევა დინარ დედოფლის მიერ) თანხმობით მოწმობდნენ, რომ ფეოდალური საქართველო კავკასიის შემკრებლის როლში გამოსვლას აპირებდა.

მელქისედეკ კათალიკოსის გაპატრიარქება XI საუკუნის დასაწყისს ამ მხრით ფრიად დამახასიათებელი აქტი ჩანს: ქართული (ქალკედონიტური) ქრისტიანობის ცენტრი კავკასიაში აღარ შეიძლებოდა დამოკიდებული ყოფილიყო, თუნდაც ნომინალურად, სხვა საპატრიარქოსაგან.

ამისივე შესაბამისი იყო ქართული ენის „გაელისურება“, X—XI საუკუნეში რომ მოხდა: ქართულს არ შეეძლო განმანათლებელის როლი ეთამაშა ახლად მოქცეულს და მოსაქცევ ხალხებში, თუ ის კულტურულ დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებდა, თუ ის ბერძნულს ვერ გაუთანასწორდებოდა, თუ ის „ბარბაროსულივე“ დარჩებოდა და იმ დროის სიბრძნის ლიტერატურული შემცველი სრულად ვერ იქნებოდა. ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებელი, მისივე ისტორიკოსის ავტორიტეტული მოწმობით, ყოვლად განათლებული ადამიანი იყო, ხოლო ეს სიბრძნე მას შეთვისებული ჰქონდა ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურით³.

გაერთიანების ხანის ეს იდეურ-პოლიტიკური და კულტურული რიგის მოვლენები შესაფერის სოციალურ-ეკონომიურ პირობებს გულისხმობდა და მას ემყარებოდა. ასეთი იყო ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება, სავაჭრო-სახელოსნო პუნქტების მრავლად წარმოშობა („ახალ-ქალაქების ხანა“), სოფლის მეურნეობის აღმავლობა: ტყისა და ყამირის გატეხა, არხების მშენებლობა, სოფლობით თუ მცირე სამეურნეო ნაკვეთებად მიწის ყიდვა-გაყიდვის გახშირება, მევენახეობის ინტენსიფიკაცია (საგანგებოდ შემოღობილი „ზერები“), საბატონო-სასაკუთრო მეურნეობის გამრავლება (ხოდაბუნები, „სეფენი აზნაურთანი“), გზების (კლდეკარების, ხიდების, ასპინძა-ფუნდუკების) მშენებლობა, დიდვაჭრობის გაცხოველება. ამის შესაბამისი იყო უმკაცრესი კლასობრივი ბრძოლა, რომელიც სათემო მიწების მიტაცებისა, თემების დაშლისა, თავისუფალ მოლაშქრეთა („ყმათა“) დაკნინება-აღზევების, აზნაურთა გამდიდრება-დამცრობის, გლეხთა ბეგარის დამძიმებისა და მისი შემდგომი დამონების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა.

³ ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 222.

სწორედ ასეთივე პროცესი მიმდინარეობდა ამავე დროს ფეოდალურ სომხეთსა და ალბანიაში. აქაც მსხვილი ფეოდალური ერთეულების წარმოქმნა სადღეისო პოლიტიკურ ამოცანად იდგა.

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ ეს ფეოდალური ერთეულები (ქართული, სომხური, ალბანური) თავიანთ ეთნიკურ საზღვრებს არ სჭერდებიან და უფრო დიდი გაერთიანების ტენდენციებს ამჟღავნებენ. ორი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა ეს პროცესი. სულ უფრო და უფრო ცხადად ჩანდა იმის ნიშნები, რომ ეს პროცესი გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა და ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი ერთ სახელმწიფო ორგანიზაციაში მოექცეოდა. ეს იყო ყოველად პროგრესული მოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობდა. საფუძველს შეუქმნიდა ამიერკავკასიის ფეოდალური საზოგადოების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას. ისახებოდა ე. წ. წინაბურჟუაზიული გაერთიანება. ი. სტალინი ამბობდა: „არც ერთ ქვეყანას მსოფლიოში არ შეუძლია იმედი იქონიოს თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა, სერიოზული სამეურნეო და კულტურული ზრდისა, თუ მან ვერ მოახერხა ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და მთავრების უთანხმოებათაგან განთავისუფლება. მხოლოდ ერთიან ცენტრალურ სახელმწიფოდ გაერთიანებულ ქვეყანას შეუძლია იქონიოს სერიოზული კულტურულ-სამეურნეო ზრდის შესაძლებლობის, თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცების შესაძლებლობის იმედი“⁴.

XI საუკუნეში ფეოდალურმა სომხეთმა მძიმე მარცხი განიცადა. ჯერ ის ბიზანტიამ ჩაიგდო ხელში, ხოლო შემდეგ, XI საუკუნის მეორე ნახევარში, ბიზანტიელი დამპყრობლები თურქ-სელჩუკებმა შეცვალეს. ამრიგად, ფეოდალურმა სომხეთმა გაერთიანება ვერც კი მოასწრო, რომ მას სახელმწიფოებრივობა მოეშალა. მარცხი განიცადა ალბანეთმაც. მან ვერ მოასწრო ერთ მთლიან პოლიტიკურ (და ეთნიკურ-კულტურულ) ერთეულად ჩამოყალიბება. ალბანეთი დიდი ხანია საცილობელი ქვეყანა იყო სომხეთსა და საქართველოს შორის. აღნიშნული ხანისათვის მისი ერთი (სამხრეთ-აღმოსავლეთ) ნაწილი გასომხების გზაზე იდგა, მეორე (ჩრდილო-დასავლეთი) ნაწილი საქართველოს შერწყმოდა. XI საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიის ალბანეთის დაუფლებისათვის იბრძოდა და აქედან ამირების (არაბულ-მაჰმადიანური მფლობელობის ნაშთები) გაძევებას ლამობდა. XI საუკუნის მეორე ნახევარში აქაც ბიზანტიელი დამპყრობლები თურქ-სელჩუკებმა შეცვალეს.

საქართველომ გაუძლო ბიზანტიის შემოტევას. კიდევ მეტი, ის გა-

⁴ გაზ. „კომუნისტი“ 1947, № 179.

ერთიანდა და ლამობდა ამიერკავკასიიდან გაეძევიებინა ბიზანტია, რო-
შელიც „საწუნელი“ შექმნილიყო ღონეძოცემული ხელდებულისათვის.

თურქ-სელჩუკების შემოსევით პოლიტიკური ვითარება ამიერ-
კავკასიაში (და მთელს ახლო აღმოსავლეთში) სულ ერთიანად შეიცვა-
ლა. სასტიკად დამარცხებულმა ბიზანტიამ (1071 წ.) ამ მომთაბარეთა
წინაშე ასპარეზი დაცალა. თურქები დაეპატრონენ სომხეთს, ალბანეთს.
მათვე დაიპყრეს საქართველოს სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილები.

თურქების შემოსევა არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელებისა
თუ არაბების ბატონობისაგან. თურქები მომთაბარე-მეჯოგენი იყვნენ.
ისინი გადმოსახლებით მოდიოდნენ და დაპყრობილ ქვეყნებში თავისი
მეურნეობისათვის საჭირო მიწებს იჭერდნენ. დავით აღმაშენებლის ის-
ტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ როგორ შეუთავსებელი იყო, რო-
გორ ერთიმეორის გამომრიცხველი იყო ორი მეურნეობა — თურქულ-
მომთაბარული და ქართულ-ფეოდალური⁵. თურქი დამპყრობლები, რო-
გორც შევნიშნეთ, გადმოსახლებით მოდიოდნენ. მათ პრიმიტიულ მეურ-
ნეობას (მომთაბარე მეჯოგეობას) მიწის დიდი ფართობი სჭიროდა. დიდ
მდინარეთა (არეზის, მტკვრის, ალაზნის, ივრის) ნოყიერი ქალები და მა-
ღალმთიანეთის ალპური საძოვრები თურქ მომთაბარეების ყიშლად-ია-
ლაღებად უნდა ქცულიყვნენ. ადგილობრივ მკვიდრთა ინტენსიური სა-
მიწათმოქმედო კულტურა იკვეცებოდა. ბაღ-ვენახი, სელი და პურეული
ადგილს უთმობდა პირველყოფილ საძოვრებს. ქართული (კავკასიური)
ფეოდალური საზოგადოების განვითარება ფერხდებოდა, მას დაკნინება-
გადაგვარება ემუქრებოდა. ასე რომ, თურქ-სელჩუკთა შემოსევა შე-
უდარებლად უფრო მძიმე და საშიში იყო, ვიდრე არაბთა (ან ბიზანტი-
ელთა) ბატონობა. არაბობა ქართული (კავკასიური) ფეოდალური მეურ-
ნეობის განვითარებას მძიმე ხარკით აფერხებდა. „თურქობა“ კი ამ
მეურნეობას საფუძველს (მიწას) აცლიდა და მას ერთიანად გადაშენე-
ბის საფრთხეს უქმნიდა.

შეფერხდა, ამრიგად, დიდი და პროგრესული
საქმე კავკასიის გაერთიანებისა, შეიქმნა დიდი საფრთ-
ხე მოწინავე ფეოდალური ქვეყნების გადაგვარებისა. გაჩაღდა დაუნდო-
ბელი ბრძოლა დამპყრობელ თურქებსა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის:

ძალა, რომელიც ამ საფრთხის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის მე-
თაურობას იკისრებდა, მეზობლთა ორგანიზებას შეძლებდა და სამი-
წათმოქმედო ფეოდალური კულტურის გადასარჩენად გამოვიდოდა, გა-
ნასახიერებდა კავკასიის პროგრესისათვის მეზო-
ლის საპატიო მისიას.

ეს მისია წილად ხვდა საქართველოს.

⁵ ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 210 და სხვ.

X თურქობასთან ბრძოლაში, საქართველომ, მართალია, მძიმე ზიანის ფასად, მაგრამ მაინც შეინარჩუნა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. კრიტიკულ მომენტში ფეოდალურ-მონარქმა საქართველომ გამოიჩინა უნარი საზოგადოების შიგნით არსებითი ხასიათის სოციალურ-პოლიტიკური ღონისძიებების გატარებისა. ამის შედეგად მან შეძლო საკუთარ ძალთა სრული მობილიზაცია და თურქობის წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიის განმათავისუფლებლის როლში წარმატებით გამოვიდა.

საერთო საფრთხისაგან თავდაცვის საჭიროებამ ამიერკავკასიის ხალხთა პროგრესული ნაწილი თურქობის წინააღმდეგ ბრძოლაში გააერთიანა. დავით აღმაშენებლის ლაშქრობას თურქთა წინააღმდეგ სომხეთსა თუ შარვანში მხარს უჭერდნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ სომეხი ხალხის ფართო მასები და ალბანური (შარვანული) ტომები („ქურდნი, ლეკნი, და თარსანნი“).

საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთ კარგად ესმოდათ თავისი ამოცანა. ესმოდათ, თუ რაოდენ დიდი და ძნელი საქმისათვის შეემართათ და შესაფერისი მოფიქრებით, ტაქტით და გაბედულობით მოქმედებდნენ. საქართველო მოწოდებული აღმოჩნდა აქციული იმ ცენტრად, რომლის გარშემო ერთიანდებოდა მთელი კავკასია; 1. სომხეთი — მეურნეობრივად მაღალგანვითარებული, კულტურულად გამოკვეთილი, ისტორიული ტრადიციებით ძლიერი და კონფესიურად განსხვავებული (მონოფიზიტური). 2. აღმოსავლეთ ამიერკავკასია, ძველი ალბანიის დიდი ნაწილი (შარვანი, რანი) მაჰმადიანურ კულტურას ზიარებული და 3. კავკასიის მთიანეთი.

ამის შესაფერისი იყო დავით აღმაშენებლის კარზე შემუშავებული ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა XII საუკუნეში. საქართველოს სამეფო კარი თურქობის წინააღმდეგ ბრძოლაში არა მარტო სომეხთა მფარველობას იჩენებდა, არამედ ის ასეთივე პატივით ეპყრობოდა ისლამს და მის მსახურთ, სასტიკად იცავდა შევიწროებისაგან მაჰმადიან ვაჭრებს, მეგობრობდა და მფარველობდა მაჰმადიან პოეტებსა და მეცნიერებს. თბილისში თუ საქართველოს სხვა ქალაქებში მაჰმადიანები თავს სრულუფლებიან მოქალაქეებად გრძნობდნენ და მათ აქ სრულიად უფრო ცუდად არ ეცხოვრებოდათ, ვიდრე ვთქვათ, ბაღდადსა თუ თავრიზში. ასე რომ, ქართული სახელმწიფო კარის პოლიტიკა მიმართული იყო თურქობისა და არა მაჰმადიანობის წინააღმდეგ. ამ ბრძნული პოლიტიკის შედეგი ის იყო, რომ საქართველომ თავიდან აიცილინა საშიში იზოლაცია და მტერთა მრავალგზისი საამისო ცდანი ბრწყინვალედ გააქარწყლა.

თბილისი მრავალეროვანი სახელმწიფოს პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი ხდებოდა, ხოლო საქართველოს მეფე რეალურად იყო „შაჰან-შა“ და „შარვან-შა“, „მეფობისა და სულტნობის გამაერთიანებელი“.

✠ სწლოვან ბრძოლაში საქართველომ სძლია თურქობას. ისტორიული განვითარების თვალსაზრისით ეს იყო პროგრესის დიდი გამარჯვება. ამ ბრძოლის პროცესში წარმოიქმნა სახელმწიფო („ყოველი საქართველო“), რომლის გარშემო სხვადასხვა დამოკიდებულებით თავს იყრიდა „ფრიადი ქვეყანა“ (ეს „ქვეყანა“ კავკასიის საზღვრებს დიდად გადასცდებოდა).

ამავე დროს, XII საუკუნის დასასრულს, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში თავს იჩენდნენ მოვლენები, რომელნიც აშკარად მოწმობდნენ, რომ მწიფდებოდა წინაპირობა საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლისათვის. ✠ უმკაცრესი სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლების ხასიათი XII საუკუნის მანძილზე კარგად მოწმობდა, რომ ქართული ფეოდალური ურთიერთობა თავისი ზრდის კრიტიკულ ფაზაში შედიოდა.

სოციალური განვითარების თვალსაზრისით, ფეოდალურ საქართველოს XIII საუკუნისათვის თავისი ზრდა ძირითადად უკვე დასრულებული ჰქონდა. საუბარია, რა თქმა უნდა, ბარის საქართველოზე (მთიანეთი ბოლო დრომდე დარჩა ნახევრად პირველყოფილ-თემური, ნახევრად თავისუფალი. მან არაერთგზის აიყარა კისრით ბარიდან ძალად დადგმული ფეოდალური უღელი). თავისუფალი, უბატონო მწარმოებელ საზოგადოებაში აღარავინ იყო. ძველი მონათმფლობელობის დროის „ერი“ (სამხედრო დემოკრატია) გადაშენებულიყო, „გლეხობაში“ (და აზნაურობაში) გადასულიყო (ამას არ ეწინააღმდეგება ის მოვლენა, რომ ზოგან საქართველოს ბარში მწარმოებელი საზოგადოება თემურ მიწათმფლობელობას შერჩა: სულ ერთია, უბატონო თავისუფალი თემი აქ მებეგრე თემად იქცა). ფეოდალურ-სოციალური განვითარების სარეზერვო კლასი (თავისუფალი „ერი“) უკვე გამქრალიყო, რეზერვი ამოწურული იყო. საზოგადოება ძირითადად უკვე დაყოფილი იყო ბატონებად და ყმაგლეხებად. ეს იყო ფეოდალური ურთიერთობის ზრდის დასასრული, ამ ურთიერთობის განვითარების აღმავლობის საზღვარი, მისი შუახანის დასასრული. ამის შემდგომი განვითარება ამ ურთიერთობის დაშლის ტენდენციების ზრდის ნიშნის ქვეშ, ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის ნიშნის ქვეშ შეიძლება მოხდეს.

6 ქართული ფეოდალიზმის განვითარების ძირითადი ეტაპები ჩვენ შემდგენილად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ადრეფეოდალური ხანა VI საუკუნიდან X საუკუნის

კავკასიის ეს გაერთიანება საქართველოს მოთავეობით ერთი უბრწყინვალესი ფურცელია ამქვეყნის ფეოდალიზმის განვითარებაში. ნიშამი განჯელი და შოთა რუსთაველი ამის საუკეთესო მაჩვენებლები არიან.

სამწუხაროდ, თურქ მომთაბარეთა უკუქცევა ხანმოკლე აღმოჩნდა.

XIII საუკუნის 30-იან წლებში მრავლის მნახველ კავკასიას (ისევე როგორც მთელს შუა აღმოსავლეთსა და ევრაზიას) მომთაბარეთა ახალი ურდოები (მონღოლ-თათრები) გაუბატონდნენ. 1

უმძიმესი ხარკი, ხარკის ამკრებთა თავაშვებული მტაცებლობა (ბასკაკობა), აუტანელი საბეგრო მოვალეობანი, ბოლომოუღებელი შორეული ლაშქრობანი დამატებით ტვირთად დააწვა ისედაც მძიმედ დაბეგრულს მატერიალური დოვლათის მწარმოებელ საზოგადოებას (განსაკუთრებით აუტანელი იყო მონღოლური საგადასახადო სისტემა). აღმოსავლურ-ბარბაროსული (პრიმიტიული) ის პრინციპულად განსხვავდებოდა განვითარებული ქართულ-ფეოდალური მეურნეობის საგადასახადო სისტემისაგან. მონღოლური საგადასახადო სისტემა არსებითად გამორიცხავდა მწარმოებლის დაინტერესებულობას მეურნეობაში, მის თაოსნობას, დაუნჯებისა და რეპროდუქციის შესაძლებლობას. ამ სისტემით მეურნე გადასახადის კაცი იყო, გადასახადს მიმაგრებული პირი, ზოლო მისი მეურნეობა, ისევე როგორც პირადად თვითონ ამ გადასახადის ობიექტი. აქ ყველა და ყველაფერი აღწერილი და დაბეგრილი იყო „კაცთამდე და პირუტყვთამდე, ყანით ვენახთამდე და წალკოტით ბოსტნამდე“⁷. სულ სხვა პრინციპზე იყო აგებული ქართული ფეოდალური საგადასახადო სისტემა. აქ გადასახადი ფუძეს ედო გარკვეული სახეობით და ერთხელ გადაკვეთილი რაოდენობით. ეს კი მწარმოებელს საშუალებას აძლევდა ფუძის შიგნით თავისუფალი მოქმედებისას (ფუძის დანაწილება, ნაკვეთების გაყიდვა-გასხვისება, მეურნეობის ახალი სახეების წამოწყება და სხვ.), დაუნჯება-რეპროდუქციისას. ქართული საგადასახადო სისტემა შეუდარებლად უფრო მაღალი და პროგრესული იყო, ვიდრე თათრულ-მონღოლური.

ამავე დროს თათარ-მონღოლები ურდოებად ჩამოსხდნენ დაპყრობილ ქვეყანაში და მისი ნოყიერი ჭალები თუ მაღალმთიანი საძოვრები თავიანთ ყიშლალ-იალაღებად აქციეს. განსაკუთრებით დაზიანდნენ ამ

შუამდე, შუაფეოდალური ხანა X საუკუნის ნახევრიდან XII საუკუნის მიწურულამდე და გვიანფეოდალური ხანა XIII საუკუნიდან ვიდრე XIX საუკუნის 60-იან წლებამდე.

7 ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ნუსხა, გვ. 664.

მხრივ შარვანი, რანი და სომხეთ-საქართველოს აღმოსავლეთი მხარეები.

შველავ შეფერხდა კავკასიის შემდგომი წინსვლა. განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობას აღმოსავლურ-ბარბაროსული ფეოდალიზმი გადაგვარებით დაემუქრა.

ასწლოვანი ბრძოლით, დიდი ზიანის ფასად, საქართველომ კისრიდან გადაიგდო თათარ-მონღოლთა ბატონობის მძიმე უღელი, მაგრამ თავისუფალი განვითარების ხანა ახლა კიდევ უფრო მოკლე აღმოჩნდა. XIV საუკუნის უკანასკნელ ოცეულში საქართველოს (ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთსა და ევრაზიას) თემურ-ლენგი მოეველინა თათართურქმანთა ახალი ურდოებით.

17 წლის მანძილზე (1386—1403 წწ.) თემურ-ლენგის რვაგზისმა შემოსევამ ამიერკავკასია მძიმედ დააზიანა. თემურთან ომის შედეგად საქართველოს საბოლოოდ ჩამოსცილდა მისი სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილები (მომხე სომხეთი), სადაც ადგილობრივ მიწისმფლობელთა კლასი უმთავრესად მონღოლ-თათარ-თურქმან მომთაბარეთა არისტოკრატიაში შეცვალა.

ასევე ჩამოსცილდა საქართველოს შაჰის ქვეყანა და უშინაგანესი ტაშირიც კი (ლორე), სადაც ქართველი აზნაურობა იძულებული გახდა მიწისმფლობელობა თურქმანებისთვის დაეთმო და თვითონ მამაპაპეულს გასცლოდა.

თემურის იმპერია თან გადაჰყვა მის შემქმნელს, მაგრამ დამპყრობელის მიერ მიყენებული ზიანი საქართველოსათვის აუნაზღაურებელი იყო. ქვეყანა სისხლისაგან დაიცალა, მტერმა, სადაც კი მისწვდა, ველური ენერგიით გაანადგურა ქართული კულტურის ყოველივე მატერიალური შენამოქმედი: სამხედრო, სამოქალაქო, საკულტო, სასოფლო-სამეურნეო. მაინც ყველაზე მძიმე საქართველოსათვის (ისევე როგორც მთელი კავკასიისათვის) თემურის ლაშქრობათა პოლიტიკური შედეგები იყო. სამასწლოვანი ბრძოლა „ველურ“ მომთაბარეთა წინააღმდეგ ბოლოს და ბოლოს საქართველოს (—კავკასიის) დამარცხებით დამთავრდა. დავით აღმაშენებლის პოლიტიკური წამოწყება მოიშალა. საქართველომ ვერ განახორციელა დიდი ამოცანა კავკასიის გაერთიანებისა. მომხე — მეზობელი ქრისტიანული ქვეყნები (სომხეთი, ალბანეთი) მან საბოლოოდ დაკარგა და მოზღვავებულ მომთაბარეთა აგრესიის პირისპირ მარტო აღმოჩნდა. მიწისმფლობელობისათვის მებრძოლმა „ველურ“-მომთაბარეებმა მაჰმადიანობა თავის აღმად აღიარეს და გააურთა (ქრისტიან მიწათმფლობელთა) წინააღმდეგ ბრძოლა „საღმრ-

თო საქმედ^ა გამოაცხადეს. თემურლენგი ამ „მაჰმადიანური“ პოლიტიკის თანმიმდევრული გამტარებელი იყო. ამისათვის, ე. ი. ადგილობრივ მაღალ ფეოდალური კულტურის მოშლისათვის და მის ადგილზე აღმოსავლურ-ბარბაროსულ-ფეოდალური ურთიერთობის დამყარებისათვის იბრძოდა ყველა ეს მომთაბარე: მონღოლები, თათართურქმანები, თურქ-ოსმალები თუ ყიზილბაშები.

XV საუკუნის მეორე ნახევრისათვის (ე. ი. ორასწლოვანი ბრძოლის შედეგად) ახლო აღმოსავლეთისა და, კერძოდ, კავკასიის პოლიტიკური რუკა სულ ერთიანად შეცვლილი იყო მონღოლთა მოსვლისწინა დროის ვითარებასთან შედარებით. მთელს ახლო აღმოსავლეთში ბარბაროსულ-ფეოდალური ურთიერთობა გაბატონებულიყო. სპარსეთსა და აზერბაიჯანს თურქმანები ფლობდნენ. თურქ-ოსმალები მცირე აზიას და ბალკანეთის ნახევარკუნძულს დაპატრონებოდნენ, ბიზანტია გაექროთ, შავი ზღვის გასაღები — კონსტანტინეპოლი აედოთ და დასავლეთ ევროპას ბარბარიზაციით დამუქრებოდნენ.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დიდ ნაწილში, ისევე როგორც სომხეთში, თურქმანები დაეპატრონენ ადგილობრივ მკვიდრთა მიწა-წყალს. მწარმოებელი მოსახლეობა აუტანელ პირობებში აღმოჩნდა. ის, ბრძოლაში დამარცხებული, დიდი რაოდენობით აიყარა და შორეულსა თუ ახლობელ ქვეყნებში გადასახლდა, სხვებს კი ახალმა მებატონეებმა ბარბაროსული ფეოდალიზმის მძიმე უღელი დააკისრეს.

ორასწლოვანი ბრძოლის შედეგად საქართველო მოძმეებშემოცილი, ტერიტორიულად შემცირებული და მტრული ბარბაროსული ფეოდალიზმის ქვეყნებით გარემოცული აღმოჩნდა. მართალია, საქართველო გადაურჩა მტერთა მიერ უშუალო დაპყრობას, მან შეინარჩუნა თავისი სოციალურ-ეკონომიური (პროგრესული) წყობა, სამაგიეროდ, ქვეყნის შიგნით თავი იჩინა სოციალურ-ეკონომიური განვითარების შეფერხების მძიმე შედეგებმა. მტერთა მიერ ქვეყნის ხშირი რბევა, მშვიდობიანი შრომისათვის საჭირო პირობების მოშლა, მოსახლეობის აწყვეტა, უზომო ხარკით ქვეყნის დაცლა დოვლათისაგან, ვაჭრობა-ხელოსნობის შემცირება, ქალაქების დაცემა, საბატონო ბეგრის დამძიმება იწვევდა მწარმოებელი კლასის მძაფრ შემცირებას, მფლობელი და მწარმოებელი კლასების რიცხობრივი შეფარდების მძაფრ დარღვევას, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ისედაც მწვავე კლასობრივ ბრძოლას. შემცირებული მწარმოებელი მოსახლეობის ნაშრომი სამეფო-საეკლესიო-საბატონო გადასახადებსა და სათათრო ხარკს ვერ აუდიოდა. დაუნჯებისა და რეპროდუქციისათვის მწარმოებელს აღარაფერი რჩებოდა. სოციალურად ზრდადასრულებული ქართული

ფეოდალური საზოგადოება დაიჩინა, მას განვითარებისათვის საჭირო პირობები მეტიმეტად შეეზღუდა. ყველა ამის ნიადაგზე სათავადოები წარმოიშვა, ხოლო სათავადოების ნიადაგზე ერთიანი ფეოდალური ქვეყანა პოლიტიკურად დაიშალა, სამეფო-სამთავროები გაჩნდა. ამრიგად, ქვეყნის პარტიკულარისტულმა ტენდენციებმა გაიმარჯვა ცენტრალისტურ ტენდენციებზე, და ეს იმიტომ, რომ ძლიერად შემცირდა და დაეცა ამ უკანასკნელის მასაზრდოებელი ძალები. ეს იყო პროგრესის შედეგება, ფეოდალური რეაქციის გამარჯვება. ამ რეაქციის ნაშობნი იყვნენ სათავადო-სამთავრო-სამეფოები.

საქართველო, მისი პროგრესული ძალები, ამის შემდეგაც მუდამ განაგრძობდნენ ბრძოლას საგარეო თუ შინაურ რეაქციულ ძალებთან, ბრძოლას პროგრესისათვის, „გამოხსნა-აღდგომისათვის“, დამპრობელთა უკუგდებისა და კვლავ გაერთიანებისათვის, სათავადო-სამთავრო-სამეფოების ლიკვიდაციისათვის. საქართველოში პროგრესული იდეების მატარებელ საზოგადოებას არასოდეს არ დაუვიწყია კავკასიის ოდინდელი ერთიანობის შესახებ და შესაფერის მომენტში არ დაუყოვნებია ამ იდეის პრაქტიკულ სარბიელზე გამოტანა. არ დაუვიწყია ამის შესახებ არც სომეხი საზოგადოების პროგრესულ ნაწილს.

თურქთა მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობამ შეაშფოთა ქართული ფეოდალური საზოგადოება. სრულს გარემოცვაში მოყოლილი ქვეყანა ამაოდ ცდილობდა, დას. ევროპის ხალხებთან საკუთარ ძალთა გაერთიანებით გაერღვია ეს მტრული გარემოცვა. დას. ევროპა ასეთი მიზნებისათვის აღარ გამოდგებოდა. მთავარ პარტნიორებს (ბურჟუაზიულ ურთიერთობაში გარდამავალ სახელმწიფოებს) იქ უკვე ოსმალეთთან მორიგების პოლიტიკური კურსი აეღოთ. ასეთივე პოლიტიკური კურსი ირჩიეს მათ, ცოტა უფრო გვიან, ყიზილბაშური სპარსეთის მიმართაც, ასე რომ, ოსმალურ-ყიზილბაშური გარემოცვის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველთა ორიენტაცია დას. ევროპის სახელმწიფოებზე უიმედო საქმე იყო: პოლიტიკურ სასწორზე დას. ევროპის ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის საქართველოს წონა განუზომლად მცირე იყო, ვიდრე ოსმალეთის ან სპარსეთისა. ასე იყო მაგალითად, XV საუკუნეში, როცა რომის პაპისა და ქართველთა გეგმა ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობის შესახებ ბურჟუნდია-საფრანგეთის მეფეთა „გულგრილობის“ გამო ჩაიშალა, ასევე იყო XVIII საუკუნეში, როცა საბა ორბელიანის ელჩობა უნაყოფოდ დასრულდა, ასევე იყო XIX

საუკუნეში, როცა ნაპოლეონი თუ ინგლისი საქართველოს ხან სპარსეთს აღუთქვამდნენ, ხან ოსმალეთს და სხვ. და სხვ.

ასეთ ვითარებაში ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა არ დააყოვნა, კურსი აედო რუსეთზე და მისი მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ საქმეებში სწორად შეეფასებინა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ძველი დროიდანვე მოდიოდა. XI—XII საუკუნეებში კიევის რუსეთი და საქართველო ურთიერთს კარგად იცნობდნენ და პოლიტიკურსა და კულტურულ ასპარეზზე ერთიმეორესთან ცხოვლად თანამშრომლობდნენ. თუმცა დონზე და იმიერკავკასიაში მომთაბარე ურდოები (ყომან-პაჭანიკები, ყივჩაყები) ხშირად ხელს უშლიდნენ ამ ორი კულტურული ხალხის ურთიერთობის ნორმალურ განვითარებას, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს ურთიერთობა შავი ზღვით ხელშეუშლელად ხორციელდებოდა.

XIII საუკუნის 30-იან წლებში რუსეთსა და საქართველოს საერთო ჭირი ეწვია. ერთი და მეორეც მომთაბარე მონღოლთა ურდოებმა ააოხრეს, დაიპყრეს და დახარკეს. ამ დროიდან მოკიდებული, ვიდრე XV საუკუნის მიწურულამდე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ არავითარი ცნობა არ შემონახულა. საფიქრებელია, რომ ეს ურთიერთობა ან მთლიანად შეწყვეტილი იყო, ან, ყოველშემთხვევაში, ის მონღოლთა მეშვეობით (და არა დამოუკიდებლად) მცირედ ბოგინობდა.

ორასი წლის მანძილზე ფეოდალურ რუსეთში დიდი ცვლილება მოხდა. თათართა ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლმა ქვეყანამ მოსკოვის გარშემო თავი მოიყარა, სოციალურ-ეკონომიურად თანდათან დაწინაურდა, პოლიტიკურად გაძლიერდა და მომთაბარე დამპყრობელთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ომი წამოიწყო. 1480 წელს რუსეთმა საბოლოოდ გაიმარჯვა და თათართა მორჩილების უღელი სამუდამოდ გადაიგდო კისრიდან. ეს იყო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი ევრაზია-ახლო აღმოსავლეთში: „ველურ“ მომთაბარეთა ბატონობის დასასრული იწყებოდა.

კავკასია-საქართველოში ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთი გაძლიერდა და თათრები დაამარცხა, განსაკუთრებული მნიშვნელობისა და დიდი იმედის აღმძვრელი უნდა ყოფილიყო: პოლიტიკური პორიზონტის უკუნეთი გაიზარდა, შორს ჩრდილოეთში ინათა.

ამის შემდეგ სწრაფად მოზარდი რუსეთი მეთოდურად უტევდა მომთაბარულ პირველყოფილობაში უმოძრაოდ განსვენებულ თათართა

ურდობებს. XVI საუკუნეში მოსკოვის რუსეთი უკვე დიდი ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო. ყაზან-ასტრახანის თათრულ სამეფოთა დაპყრობით რუსეთმა გაათავისუფლა ვოლგის დიდი სავაჭრო გზა და უშუალოდ კავკასიას გაუმეზობლდა.

ყირიმის თათრული სახანოს დღეები დათვლილი ჩანდა. რუსული შავიზღვისპირეთი, საცა იყო, მოსკოვის სახელმწიფოს დაუბრუნდებოდა.

მაგრამ სწორედ XV — XVI საუკუნეებში ოსმალ-თურქთა სახელმწიფოს ყირიმსა და მის მეზობელ მხარეებში დიდი პოლიტიკური წარმატებანი მოეპოვებინა. ოსმალეთმა ჯერ ყირიმის სახანო დაიმორჩილა ყმობის პირზე და იმიერკავკასიის ქვეყნებს, როგორც ყირიმ-ხანის ვითომცდასამფლობელოს, საბატონოდ ხელი დაადო, კიდევ მეტი—ოსმალეთი ასტრახანის თათრულ სამეფოს იჩემებდა. ამით მას სურდა ხელთ ეგდო ვოლგის დიდი სავაჭრო გზის გასაღები. ამრიგად, ოსმალეთი მონღოლ-თათართა ურდობის „მფარველობა“-მემკვიდერობას იჩემებდა, თათართა წინააღმდეგ რუსი ხალხის ორსაუკუნოვან ბრძოლას აქარწყლებდა და მოსკოვის სახელმწიფოს ბუნებრივ ზრდას ეღობებოდა.

ადვილად გასაგებია, რომ XV—XVI საუკუნეებში, ე. ი. იმ დროს, როდესაც, ერთი მხრით, მოსკოვის სახელმწიფო თათართა ურდობზე იმარჯვებდა, კავკასიას უახლოვდებოდა და ოსმალეთს სამტროდ უპირისპირდებოდა, ხოლო, მეორე მხრით, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები კაპიტულაციებით ოსმალეთს მშვიდობიანად ესაქმებოდნენ, აქ, კავკასიაში (საქართველოში) შემუშავდა იდეა, რომ აღმოსავლეთის განთავისუფლება მოვა არა კონსტანტინოპოლის გზით, არამედ ჩრდილოეთიდან დარუბანდის გზით. ეს უკვე მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ბარბაროსული ფეოდალიზმის წინააღმდეგ პროგრესისათვის მებრძოლი კავკასიელი ხალხები გამარჯვების საბოლოო იმედს რუსეთთან კავშირზე ამყარებდნენ.

მედგრად იბრძოდა მტრულ გარემოცვაში მოყოლილი ქართველი ხალხი და თავის სოციალურ-პოლიტიკურსა და კულტურულ მიღწევათა დაცვა-განვითარებას ცდილობდა.

XVI საუკუნე ქართველი ხალხის ცხოვრებაში ერთთავად ბოლომოდულბელ ომს წარმოადგენდა. ორი ბარბაროსი დამპყრობელი — ოსმალეთი და ყიზილბაშთა სახელმწიფო (ერანი) — კავკასიაში ბატონობას ერთიმეორეს დაეცილნენ. 1555 წელს დამპყრობლებმა იმიერკავკასია გაინაწილეს. ამ ზავის თანახმად საქართველოს ერთი ნახევარი ოსმალეთს ერგო, ხოლო მეორე ნახევარი ყიზილბაშებს. ბრძოლა აგრესიის წინააღმდეგ ამიერიდან კიდევ უფრო გაძნელდა. საქართველოს დამო-

ნების საქმეში ერან-ოსმალეთი შეთანხმდნენ და, ვიდრე 1555 წლის ზავი მათ შორის არ დარღვეულიყო, ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი ერთიმეორეს შევლოდნენ.

აგრესორთა ეს ზავი მკვეთრად აუარესებდა საქართველოში პროგრესულ ძალთა ბრძოლის საგარეო და საშინაო პირობებს. საქართველოს თითოეული ნაწილი მტერს დამარტოხელეზული ჰყავდა და, მეორე მხრით, ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის აღდგენის საქმეს ამიერიდან ერან-ოსმალეთი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა. ერთი სიტყვით, რეაქციულ სათავადო-სამთავროებს მოკავშირე-მფარველები გაუჩნდათ.

მაგრამ უარესი ის იყო, რომ XVI საუკუნეში საქართველოში თავი იჩინა მეტად მძიმე ნიშანდობლივმა მოვლენამ, რაც საზოგადოებრივი განივთარების დაჩიხულობის ნიადაგზე ფეოდალური საზოგადოების გადაგვარების, ფეოდალური საზოგადოების დაშლის მომასწავებელი იყო. ეს იყო „ტყვეთა სყიდვა“ და „ლეკიანობა“. ყველა და ყველაფერი, რაც კი ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში პროგრესული იყო, ამ სოციალური სენის წინააღმდეგ ბრძოლად იყო მოწოდებული, ყველა და ყველაფერი რაც კი საქართველოში რეაქციული იყო, ხელს უწყობდა ამ სენის გავრცელება-განმტკიცებას. გამხეცებული თავადი (თავადიშვილებით), გააბრაგებული აზნაური (ცალ-ცალკე თუ გვარობით), პირველყოფილობაში „ისტორიის მიღმა“ (ლენინი) ჩარჩენილი ან ამ პირველყოფილობას დაბრუნებული „მარად ავის მოხარკული“ (ბარის მიმართ) მთა, — ესენი იყვნენ ტყვის მყიდველები, იესირაგები, თულეები, „ლეკები“, ხოლო ყველა ამათი მფარველი და წამქეზებელი იყო ყიზილბაშურთა სპარსეთი და, განსაკუთრებით, ოსმალეთი.

საქართველოს ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი მხნედ იბრძოდა ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად, თუმცა, ვიდრე ქვეყანა სოციალურ-ეკონომიურ დაჩიხულობაში რჩებოდა, ვიდრე ის ამ ბარბაროსულ გარემოცვაში იმყოფებოდა, ვიდრე ქვეყნის შიგნით სათავადო-სამთავროების სისტემა მტკიცე იყო, ხოლო გარშემო მათი მფარველი ერან-ოსმალეთი ქვეყანას დასამონებლად შემოსდგომოდნენ, — ამ სოციალური სენისაგან განკურნება ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას არ შეეძლო. მაგრამ, მეორე მხრით, თუ ეს მოვლენა ქართული ფეოდალური საზოგადოების დაავადების მოწმობა იყო, ამ დაავადების წინააღმდეგ დაუღალავი ბრძოლა იმას ნიშნავდა, რომ ეს საზოგადოება სიცოცხლის საღ უნარს ინარჩუნებდა, პროგრესისათვის იბრძოდა.

და ყველგან და ყოველთვის, სადაც და როცა კი, თუნდაც მცირედი, ხელსაყრელი პირობა იქმნებოდა, ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი გადამწყვეტ ბრძოლას ერთპირად იწყებდა

მტრული ბარბაროსული გარემოცვის გასარღვევად, სათავადო-სამთავროების სისტემის მოსაშლელად, საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის აღსადგენად, „ტყვის სყიდვისა“ და „ლეკიანობის“ აღმოსაფხვრელად. ესა ჩანს XVI საუკუნის იმერეთსა და კახეთში, XVII საუკუნის ქართლში, XVIII საუკუნის ქართლ-კახეთსა და იმერეთში.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიაში დიდმნიშვნელოვანი ამბები მოხდა. 1578 წელს ოსმალეთმა ისარგებლა სპარსეთის არეულობით, დაარღვია 1555 წლის ზავი, განდევნა ყიზილბაშები ამიერკავკასიის დიდი ნაწილიდან და ამ ქვეყნის დაპყრობას გამალებით შეუდგა. ოსმალებმა დაიპყრეს საქართველოს სამხრეთი ნაწილი (ქართული სამცხე-საათბაგო) და ეს ქვეყანა ოსმალურ საფაშოდ აქციეს. ასეთივე ხვედრი ელოდა საქართველოს სხვა ნაწილებსაც. ქვეყანა უდიდესი საფრთხის წინაშე დადგა: „ქართველობას“, ე. ი. ქართულს ოცი ალურ-პოლიტიკურსა და ეკონომიურ წყობას „ოსმალობა“, ე. ი. ფეოდალიზმის ბარბაროსული სტადია გაქრობით ემუქრებოდა.

ქართველები მხნედ იგერიებდნენ შეტევას და უთანასწორო ბრძოლაში მოკავშირეს ეძებდნენ.

კასპიის ზღვის რაიონში ოსმალეთის გამოჩენამ შეაშფოთა რუსეთი. შეთანხმების პირზე გაიმართა მოლაპარაკება ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ სპარსეთსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის. ამავე დროს მოსკოვის სახელმწიფომ სრულიად კონკრეტული სამხედრო ღონისძიებებით (თერგზე ციხის ჩადგმა რუსი მეციხოვნეებით) ნათლად გამოამჟღავნა, რომ მას ამ რაიონში (კასპიის დასავლეთ ზღვისპირეთში) რეალური პოლიტიკური ინტერესები აქვს.

ოსმალობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველობა, ბუნებრივია, ფიცხლავ გამოეხმაურა მოსკოვის მთავრობის დიპლომატიურ ნაბიჯებს კავკასიაში. რეალური დახმარების სრული იმედი იყო. ასე რომ მფარველი „მოსკოვი უფრო ახლოს“ ჩანდა, ვიდრე მტრული სტამბოლი⁸.

1587—1589 წლებში გაფორმდა პირველი აქტი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ.

ხანგრძლივ დიპლომატიურ მიმოწერაში თუ ზეპირ მოლაპარაკებაში ქართველებმა ცხადად გამოთქვეს თავისი გულისნადები, თავისი შეხედულებანი ოსმალეთზე, სპარსეთზე, კავკასიის მთიანეთზე, თავისი უსაიდუმლოესი ზრახვანი, სამშობლოს „გამოხსნისა და აღდგომის“ გზები. ქართველი დიპლომატები სავსებით დარწმუნდნენ, რომ რუსეთი კავკასიით რეალურად არის დაინტერესებული, რომ ამდენადვე ის მოწინააღმდეგეა როგორც ოსმალეთის, ისე სპარსეთისა, მიუხედავად

⁸ აღექსანდრე კახთა მეფის პასუხი ოსმალეთის დიპლომატიური აგენტისადმი.

იმისა, რომ ამჯერად ის ერანთან კავშირის შეკვრას აპირებს ოსმალეთის საწინააღმდეგოდ (დამახასიათებელია, რომ ალექსანდრე კახთა მეფე ცდილობს იყოს მოსაშუაღე რუსეთ-ერანის ამ კავშირისა), რომ რუსეთი კავკასიაში ამ აგრესორების (ერან-ოსმალების) წინააღმდეგ მებრძოლი ხალხების მფარველ-მოკავშირეა. ამის შედეგად იყო, რომ თავისი პოლიტიკური ზრახვების განხორციელება ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა რუსეთთან თანამშრომლობას მტკიცედ დაუკავშირა.

რუსეთის გამოჩენამ კასპიის დასავლეთ ზღვისპირეთში და, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში, ღრმად შეაფფოთა ყიზილბაშური ერანი: იმიერსა თუ ამიერკავკასიაში მოსკოვის სახელმწიფო შევიწროებულ კავკასიელ ხალხთა მათრგანიხებელ ძალად გამოდიოდა როგორც დამპყრობელი ოსმალეთის, ისე დამპყრობელი ერანის წინააღმდეგ. თერგის ციხის გარშემო რუსეთი თავს უყრიდა ჩერქეზ-ყაბარდო-დაღისტნურ ტომებს, ხოლო ამიერკავკასიაში ქართულ სამეფო-სამთავროების შემოკრებას ცდილობდა. თავის მხრივ ქართველებს რუსეთის მფარველობა აუცილებელ პირობად მიაჩნდათ ქართულ სამეფო-სამთავროების პოლიტიკური გაერთიანებისათვის (მათ კარგად ესმოდათ, რომ საქართველოს გაერთიანების შეურიგებელი მოწინააღმდეგენი იყვნენ როგორც ოსმალეთი, ისე ერანი). ერთი სიტყვით, იმიერსა თუ ამიერკავკასიაში ისახებოდა ახალი ვითარება, რომელიც რეაქცია-ბარბაროსობის სუფევას ამ მხარეში რეალურად ემუქრებოდა. ამის საპასუხოდ შაჰ-აბასმა ყიზილბაშობის წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს ერთიანი მოსპობა განიზრახა და ამ განზრახვის შესრულება სცადა კიდეც, ოცა საამისოდ შესაფერისი ღრო იხელთა⁹. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. ყიზილბაშებს თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის ძალა არ აღმოაჩნდა. საქართველო „ქართველობით“ გადარჩა, თუმცა სასტიკად დაზიანდა (კახეთი, ქართლი).

მთელი ამ ბრძოლის განმავლობაში, ისევე როგორც მასზე წინ და მის შემდეგ (XVII ს.), მებრძოლ ქართველებს თავის ერთადერთ მოკავშირედ მიაჩნდათ რუსეთი, რომელიც ჭეშმარიტად დაინტერესებული იყო ქართველთა გამარჯვებით და, რაც გაეწყობოდა, ამ საქმისათვის ძალღონეს არ ზოგავდა. მოსკოვის სამეფოს სამხედრო

⁹ შაჰაბასის პოლიტიკური გეგმების ამ მხარეს დღემდე ყურადღება არ ექცეოდა და მის ღონისძიებებს ქართველებისა და ქართველობის წინააღმდეგ მხოლოდ ოსმალეთთან ომით ხსნიდნენ.

გამოსვლა კავკასიის ასპარეზზე, მართალია, ამჯერად მარცხით დამთავრდა, სამაგიეროდ, მისი დიპლომატიური ღონისძიებანი საქართველოს სასარგებლოდ ერანის შაჰის კარზე მეტადრე დიდი მნიშვნელობის მორალური ფაქტორი იყო მებრძოლი ქართველებისათვის: ამიერიდან საქართველო მარტო არ იყო და პროგრესისათვის ბრძოლაში მას ზურგს უმაგრებდა დიდი მოძმე ქვეყანა.

XVII საუკუნეში ქართველთა ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო გაღრმავდა და განმტკიცდა. მოსკოვის ხელმწიფემ მფარველობის ხელი დასდო კახეთს გარდა, იმერეთსაც. ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური გაერთიანებისათვის რუსეთის მფარველობის ქვეშ (თეიმურაზ, ალექსანდრე, არჩილ). სწორედ ამ ხანებში მოხდა აგრესორთა შეთანხმება (1639 წ.) საქართველოს დანაწილების თაობაზე. რუსეთის მთავრობა, რაც გაეწყობოდა, ძალებს არ ზოგავდა ერან-ოსმალეთის მძლავრობის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა დახმარებისათვის. ასე რომ მოსკოვის სახელმწიფო თანდათან იქცა ქართველ პატრიოტთა მორალური სიმტკიცის წყაროდ. იგივე იქცა, ბუნებრივია, ძნელბედობის ეპოს, ქართველ პატრიოტთა თავშესაფარად.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპამ (საფრანგეთმა) საქართველო თვალზე აიღო. ეს მოვლენა დაკავშირებული იყო ევროპა-სპარსეთ-ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობასთან. ამიერკავკასია ამ საქმეში მარჯვე გზად ივლისხმებოდა. საქართველოში მრავლად გაჩნდნენ საფრანგეთის აგენტები (მისიონერები, ვაჭრები). ქართველები ცხოვლად გამოეხმაურნენ ევროპელთა გამოჩენას და მას, ბუნებრივია, თავისი პოლიტიკური ზრახვები (ერან-ოსმალეთის მძლავრობისაგან სამშობლოს განთავისუფლება) დაუკავშირეს. მაგრამ კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, რომ დასავლეთი ევროპა ერან-ოსმალეთის ძალადობისაგან სამშობლოს განთავისუფლების საქმეში ქართველებს არსებითად ვერ დაეხმარება (საბა ორბელიანის ელჩობის მარცხი).

XVIII საუკუნის ოციან წლებში საქართველო (და ამიერკავკასია) მეორეჯერ იქცა სამი დიდი სახელმწიფოს ინტერესთა მწვევე შეჯახების კენჭად ახლო აღმოსავლეთში. განვითარების უნარდაკარგული ყიზილბაშთა სახელმწიფო ფეოდალურ არეულობას მოეცვა და პოლიტიკური დაშლის კარზე იდგა. მძიმე კრიზისს განიცდიდა ბარბაროსული ოსმალეთიც, რომელიც ამ მდგომარეობისათვის თავის დაღწევას ჩვეულა ხერხებით — მტაცებლური ომებითა და ახალი ტერიტორიების მიტაცებით — ლამობდა.

ოსმალეთმა ისარგებლა სპარსეთის არეულობით და კავკასია-აზერბაიჯანის მიტაცება განიზრახა. შეიქნა რეალური საფრთხე იმისა, რომ ოსმალეთის ხელში გადავიდოდა კასპიის ზღვისპირეთი. ეს კი ყოველად მიუღებელი იყო ახალმოზარდი რუსეთისათვის. რუსეთი აღმოსავლეთ-დასავლეთ (ინდოეთ-ევროპა) შორის ვაჭრობის მოსაშვალეობას იჩემებდა და ამისთვის კასპიის ზღვისპირეთის დაუფლება თავის გარდაუვალ საქმედ მიაჩნდა. ის დაუყოვნებლივ გამოვიდა საბრძოლო ასპარეზზე.

ამიერკავკასიის ხალხებს (ქართველებს, სომხებს) „ფოცხვერის ყბისა“ და „ბაბრის კლანჭებისაგან გამოხსნის“ დღე დასდგომოდა¹⁰. „ღარუბანდის გზით“ მართლაც შემოდიოდა ოსმალეთ-სპარსეთის მძლავრობის შემმუსვრელი ძალა. ქართველები (და სომხები) გულმხურვალედ გამოეხმაურნენ რუსთ ხელმწიფის მოწოდებას, მყისვე საომრად გაემგზავრნენ და მოკავშირე (რუსთა) ლაშქრის მოსვლას ამიერკავკასიაში მოუთმენლად ელოდნენ. მაგრამ საქმე შეფერხდა და რუსეთი იძულებული შეიქნა ამიერკავკასიის უდიდეს ნაწილში ოსმალთა გაბატონებას დროებით შერიგებოდა.

1723 წელს ოსმალებმა ქართლი დაიპყრეს და აქ „ოსმალთა“ (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური წესები, ოსმალური ფეოდალიზმი) შემოიღეს. მალე, სამცხე-საათაბაგოს მსგავსად, ოსმალებმა ქართლიც საფაშოდ აქციეს. ამავე დროს ოსმალეთი შეეცადა დას. საქართველოს ასევე დაპყრობას და იქაც საფაშოების შექმნას. ოსმალებმა დაიპყრეს ფოთი და ის საფაშოდ აქციეს, ამავე დროს ფაშობა „მიანიჭეს“ აფხაზეთის მთავარს, დაიპყრეს ქვემო გურია (კახაბერი, ბათომი), ხოლო იმერეთში მათვე ეპყრათ ქუთაისის, ბაღდადის, შორაპნისა და ცუცხვათის ციხეები.

ერთი სიტყვით, ოსმალეთი საქართველოს გასაქრობად გადამწყვეტ შეტევაზე გადმოსულიყო. ეს იყო ამ აგრესორის მხრით საპასუხო ღონისძიება საქართველოს გამოხსნა-აღდგომის იმ გეგმისა, რომლის სისრულეში მოყვანა ქართველ პატრიოტებს (ვახტანგ VI) რუსეთის დახმარებით რეალურ საქმედ ეჩვენებოდათ. ოსმალეთს, ისევე როგორც შაჰ-აბას XVII საუკუნის დასაწყისში, გადაეწყვიტა, რათა ამიერკავკასიაში რუსეთის ეს დასაყრდენი მოეშალა.

სასტიკი ბრძოლა გაიმართა. დამპყრობელმა ქართულ-ფეოდალურ საზოგადოებაში რამდენადმე მნიშვნელოვანი სოციალური დასაყრდენი ვერ გაიჩინა: „ოსმალთა“ შეუთავსებელი იყო ქარ-

¹⁰ ასე უწოდებდა ვახტანგ მეფე სპარსეთსა და ოსმალეთს.

თულ ფეოდალურ ურთიერთობასთან. „ქართველობის“ დასაცავად ქვეყანა აჯანყდა.

მაღე სპარსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე თავაზ ყული ხანი (ნადირ შაჰი) გაძლიერდა. ხანგრძლივი და სისხლიანი ბრძოლით მან მოახერხა ყიზილბაში ფეოდალების (ხანების) დამორჩილება და აზერბაიჯან-კავკასიაში ოსმალთა წინააღმდეგ გამოილაშქრა. აჯანყებით მოცულ ქვეყანაში ოსმალებმა ვერ გაუძლეს ყიზილბაშების შემოტევას. დამარცხდნენ და აზერბაიჯან-აღმოსავლეთ ამიერკავკასია დასცალეს. ოსმალთა დამპყრობელი ამ ქვეყნებში, ამრიგად, ისევ ყიზილბაშ დამპყრობელმა შეცვალა (1735 წ.).

ქართლ-კახეთში ნადირ შაჰმა ყიზილბაშური სოციალურ-პოლიტიკური წყობილება — „ყიზილბაშობა“ შემოიღო, რაც ისევე შეუთავსებელი იყო ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ წყობასთან, როგორც „ოსმალობა“. და ქართველი ხალხი ახლა ამ ახალ დამპყრობლებს აუჯანყდა. თორმეტ წელს გრძელდებოდა ეს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა „ყიზილბაშობის“ წინააღმდეგ, ბრძოლა „ქართველობის“ დასაცავად. ერანის შაჰი იძულებული გახდა, ხელი აეღო განზრახვაზე, ქართლ-კახეთში ქართული წყობილება აღდგენილი იქნა.

„ოსმალობა-ყიზილბაშობასთან“ ოცდახუთწლიანი მძიმე ბრძოლის მთელს მანძილზე ქართველთა ერთადერთი იმედი და ზურგის მომხმე-ლი რუსეთი იყო. რუსეთი ეგულებოდათ საიმედო თავშესაფრად ოსმალობა-ყიზილბაშობის წინააღმდეგ აჯანყების მოთავეებს (შანშე ქსნის ერისთავი, გივი ამილახვარი), რუსეთს მიმართავდნენ პოლიტიკური გეგმებით ქართველი მეფეები (ვახტანგ VI, ალექსანდრე იმერეთის მეფე, თეიმურაზ II), რუსეთში პოულობდნენ შესაფერის პირობებს ქართული კულტურის მოღვაწენი. ამ ნიადაგზე წარმოიშვა მოსკოვში ქართველთა კოლონია, ქართველებისათვის მებრძოლ ემიგრანტთა მოსახლეობა, რომელიც დიდ პოლიტიკურსა და კულტურულ საქმიანობას ეწეოდა სამშობლოს სასარგებლოდ.

ეს კოლონია უცილობელი მოწმობა იყო იმისა, რომ პროგრესისათვის მებრძოლ ქართველებს რუსეთი სწამდათ თავის ნამდვილ მოკავშირედ. ესევე კოლონია იყო აგრეთვე იმის მოწმობა, რომ პროგრესისათვის მებრძოლი ქართველები არ გადალუულიყვნენ და მძიმე ბრძოლას მხნედ განაგრძობდნენ.

მოსკოვის ქართველთა კოლონიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუს და ქართველ ხალხთა დაახლოებისათვის, ამ კოლონიამ აზიარა პირველად საქართველო მოწინავე რუსულ კულტურას.

ამავე დროს წარმოიქმნა წინაკავკასიაში მოსახლეობანი, ხოლო ასტრახანი და ყიზლარი და, უფრო გვიან, მოზდოკი თბილისელ და გორელ ვაჭართა სარბიელი გახდა თავრიზის, ხოის, რეშტისა თუ აღმოსავლეთის სხვა სავაჭრო ქალაქების გვერდით. ასტრახან-ყიზლარიდან ქართველმა ვაჭრებმა თანდათან გზა გაიკვლიეს რუსეთის სხვა სავაჭრო ქალაქებისაკენ. ეკონომიური კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის ამიერიდან სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და მტკიცდებოდა (თუმცა რუსეთთან ვაჭრობის ხვედრითი წონა დიდხანს ამის შემდეგაც უფრო მცირე იყო, ვიდრე ვაჭრობისა აღმოსავლეთის ქვეყნებთან). პირველად ეს სავაჭრო ურთიერთობა დარუბანდ-შამახის ან დარუბანდ-ბაქოს გზით ხორციელდებოდა, მაგრამ XVIII საუკუნის 40-იან წლებში ხელახლა აღდგა დიდი ხნის წინ დაყრუებული საქარაენო-სავაჭრო „გზაჲ დარიალანისაჲ“, რომელსაც ახალს პირობებში „რუსეთის გზა“ შეერქვა. აღნიშნული გზის გახსნა საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი იყო. ეს გზა საქართველოს უშუალოდ აკავშირებდა ახალ მსოფლიოსთან და ყიზილბაშურ-ოსმალური გარემოცვის პირველ შენგრევას მოასწავებდა. ქართლ-კახეთის, ამიერკავკასიის ამ გეოგრაფიული ცენტრის, მნიშვნელობა „რუსეთის გზის“ გახსნასთან დაკავშირებით განსაკუთრებით იზრდებოდა: ისახებოდა პირობები, როცა საქართველო თბილისით კვლავ ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრი გახდებოდა.

ნადირ-შაჰმა ვერ უშველა ერანის სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს. შაჰი ყიზილბაშურმა რეაქციამ იმსხვერპლა, ქვეყანა ღრმა ფეოდალურმა არეულობამ მოიცვა. ქართლ-კახეთი (ისევე როგორც მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია) ფაქტიურად უცხოელთა მფლობელობისაგან განთავისუფლდა.

XVIII საუკუნე იდგა, ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვების საუკუნე. ევროპული ქვეყნები ჩამორჩენილ აღმოსავლეთს სხვადასხვა მხრიდან შემოსდგომოდნენ: ჩრდილოეთიდან რუსეთი, დასავლეთ-აღმოსავლეთიდან საფრანგეთ-ინგლისი; ახლო-აღმოსავლეთი, უპირველეს ყოვლისა ტრანს-ოსმალეთი, ამ სახელმწიფოთა ქიშპის საგანი ხდებოდა.

ამიერკავკასიის ხალხების მიმართ ამ ევროპულ სახელმწიფოებს ერთიმეორის საწინააღმდეგო პოზიციები ეკირათ. ინგლისსა და საფრანგეთს ამიერკავკასიის ხალხთა უშუალო დაპყრობის საშუალება არა ჰქონდათ ამიტომ ისინი ირჩევდნენ, რათა ეს ქვეყნები ძველებურადვე ერანისა და ოსმალეთის ხელქვეით დარჩენილიყვნენ; ამ უკანასკნელთა კოლონიურ ექსპლოატაციას კი ისინი საკუთრად აპირებდნენ. ამრიგად, რუსეთთან ქიშპში ინგლისი და საფრანგეთი ამიერკავ-

კასიის ხალხთა ერან-ოსმალეთისათვის დამონების მოღვაწეებად გამოდიოდნენ. სულ სხვა იყო რუსეთის პოზიცია. ახალგაზრდა რუსეთი ოსმალეთის (და ერანის) წინააღმდეგ გამოდიოდა და ამიერკავკასიის ხალხთა მხარისდაჭერას საჭიროებდა. ამდენადვე, რუსეთი ერან-ოსმალეთის ბატონობისაგან ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლებების მოღვაწე იყო.

ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკის კვანძი ამიერკავკასიაში იხლართებოდა. საქართველო გადამწყვეტი მომენტის წინაშე დგებოდა.

დაჩიხული საქართველოს პოლიტიკური არსებობის „გარანტია“— ძველი აგრესორების—ერან-ოსმალეთის — ჩამორჩენილობა იყო. მოწინავე ქვეყნების ქიშპში საქართველო, როგორც პოლიტიკური ერთეული, ვერ გადაჩნებოდა, თუ ის ამ დაჩიხულობიდან ვერ გამოვიდოდა. მას უნდა დიდი სოციალურ-პოლიტიკური ნახტომი განეხორციელებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა მას არ ასცდებოდა.

ყველაფერი ეს უახლოესი მომავლის საქმე იყო. ჯერჯერობით კი მოწინააღმდეგე ძალები, ერთიმეორის რიდით, პოზიციურ მანევრს სჯერდებოდნენ და მთავარი საბრძოლო ასპარეზი ნეიტრალური რჩებოდა.

ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ნაწილს კარგად ესმოდა მომენტის მნიშვნელობა და სამშობლოს სასარგებლოდ მის გამოყენებას ყოველი ღონით ცდილობდა.

ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი ამ ხანას „გამოხსნისა და აღდგომის დროს“ უწოდებდა. „გამოხსნაში“ ქართველები სამშობლოს განთავისუფლებას გულისხმობდნენ ერან-ოსმალეთის დამპყრობთა მძლავრობისაგან, „აღდგომაში“ კი საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება, პოლიტიკური გაძლიერება, მისთვის ძველი მნიშვნელობისა და როლის კვლავ მოპოვება— კავკასიის ხალხთა გაერთიანების პროგრესული მიზანია — იგულისხმებოდა. კავკასიის ხალხთა გაერთიანების ეს იდეა არამარტო ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ნაწილში ცოცხლობდა. ასევე ცოცხლობდა ის სომეხ პროგრესულ მოღვაწეთა წრეებშიაც. სომეხი პოლიტიკური მოღვაწენი არამარტო XII—XIII საუკუნეში იბრძოდნენ ქართველების მხარდამხარ დიდი პროგრესული საქმისათვის, საქართველოს ჰეგემონობით რომ ხორციელდებოდა იმ დროს კავკასიაში, არამედ შემდეგაც, საუკუნეთა მანძილზე იბრძოდნენ, ქართველებთან ერთად იმ ვითარების დაბრუნე-

ბისათვის, როცა ერთ სახელმწიფო ორგანიზაციაში გაერთიანებულია მონათესავე კულტურის მოძმე ხალხები — ქართველები, სომხები, ალბანელები — წარმატებით იღწვოდნენ პროგრესისათვის. ამის მოწმობანია არა მარტო იმ სომეხთა საქმიანობა, რომელთაც საქართველოში სამშობლო მოიპოვეს, ამის მოწმობანია აგრეთვე საქართველოს საზღვარგარეთელ სომეხთა თუ სომხურ ორგანიზაციათა თანამშრომლობა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებთან XV საუკუნეში (ალექსანდრე მეფის დროს), XVII საუკუნეში (თეიმურაზ მეფის დროს), XVIII საუკუნის პირველ ნახევარში (ვახტანგ VI დროს) და, განსაკუთრებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ერეკლე II-ის დროს).

მძიმე ზიანად აჩნდა საქართველოს მის თავსებადხდილი ძნელბედობანი, როცა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რამდენადმე ხელსაყრელი პოლიტიკური პირობა შეიქმნა დაპყრობილ-დამონებულ ხალხთა „გამოხსნა-აღდგომისათვის“: სამხრეთ საქართველო ახალციხის საფაშოდ იყო ქცეული და ოსმალთა აგრესორის დასაყრდენს წარმოადგენდა საქართველოს დანარჩენი ნაწილების დასამონებლად; საფაშოდვე იყო ქცეული აფხაზეთი — ოსმალთა აგრესორის მეორე დასაყრდენი (დასავლეთის მხრიდან); იგივე ოსმალები დაუფლებოდნენ დანარჩენ ზღვისპირეთსაც, რომელიც ფოთის ფაშის საგამგეოში შედიოდა, ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული ქვემო გურია ბათომით და იმერეთის ციხეები: ქუთაისი, შორაპანი, ცუცხვათი, ბაღდათი. აღმოსავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქებში, მართალია, უცხო დამპყრობლები აღარ ისხდნენ, სამაგიეროდ აქ სხვა რიგის ზიანი აჩნდა ქვეყანას. „ოსმალთა“-„ყიზილბაშობასთან“ ოცდახუთწლოვან ბრძოლაში მძიმედ დაზიანებულიყო ქართლი, და, განსაკუთრებით, მისი სამხრეთი ნაწილი: ზოგიერთი კუთხე სულ დაკლილიყო მოსახლეობისაგან, ზოგან კი ქართველთა ნამოსახლარზე თურქმანი მომთაბარენი ჩამომსხდარიყვნენ. მძიმე იყო მდგომარეობა კახეთშიც, მისი აღმოსავლეთი ნაწილი დაღესტნელებს დაეპყრათ და ის საქართველოს მარბიელ აბრავთა ბუნავად ექციათ.

ამ მოვლენებთან უშუალო კავშირში იმყოფებოდა და მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ქვეყნის ხანგრძლივი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური დაჩიხულობა (სათავადოები, სამთავროები, სამეფოები), რომლის ნიადაგზე საქართველოში უკვე დიდი ხანია საშიშ სოციალურ სენის სახედ მძვინვარებდა კლასობრივი ბრძოლის გადაგვარებული ფორმები „ტყვის სყიდვა“ და „ლეკიანობა“. როგორც ერთი, ისე მეორე საეხებით გამოხატავდა ფეოდალური საზოგადოების შემდგომ განვითარებას.

1745 წლის აქტი (საქართველოს მეფის კურთხევა საგანგებოდ შემუშავებული წესით) მხოლოდ იმის მოწმობა როდი იყო, რომ ქართლ-კახეთში „ქართველობა“ (ქართული სოციალურ-პოლიტიკური წესწყობილება) აღდგა. ხსენებული აქტი და ამის შემდგომი პოლიტიკური ფაქტები (ერევნის, განჯისა და ნახჭევანის სახანოების დამორჩილება და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის წარმატებით ბრძოლა) იმას მოწმობდნენ, რომ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს საქართველოს აღდგომაში ამიერკავკასიის ოდინდელი გაერთიანება ეგულებოდათ. ამასვე მოწმობს ის პოლიტიკური პრეტენზიები, ერეკლე II რომ ცნობად მოახსენებდა რუსეთის სამეფო კარს 70-იან წლებში. ჩანდა, რომ ამ ახალს პირობებშიაც საქართველო იმ პროგრესული საქმის შესრულებას აპირებდა, რომელიც ამიერკავკასიის ხალხთა თავისუფალი განვითარების ერთადერთი გარანტია იქნებოდა.

ღროსია და გარემოებათა სწორად შეგნებას მოწმობს ორგანულად მთლიანი საშინაო და საგარეო პოლიტიკა ერეკლე მეორისა.

ბურჯუაზიის („ევროპის“) გამარჯვების ამ საუკუნეში ერეკლე II საქართველოს ტიპური მეფე აღარ იყო. ამის საბუთია მისი დაუცხრომელი ზრუნვა იმისათვის, რომ თავისი ქვეყანა „ევროპულად“ მოეწყო. ღონისძიებანი სამხედრო თუ სამოქალაქო ასპარეზზე, რეფორმები სახელმწიფო თუ კერძო საქართლის საქმეში, ახალი წამოწყებანი ეკონომიკისა თუ კულტურის დარგში, — თანხმობით მოწმობდნენ, რომ მზადდებოდა პირობები ახალი საქართველოს წარმოქმნისათვის, რომ თავადურ-ბატონყმური სისტემა პომეშჩიკურ-ბატონყმური სისტემით უნდა შეცვლილიყო, რომ ქვეყანა ბურჯუაზიული განვითარების გზაზე უნდა დამდგარიყო. მართლაცდა, თავადების შევიწროება (ზოგი სათავადოს საეცებით მოშლა, ზოგის შემცირება), „ახალთავადების“ (პომეშჩიკების) გაჩენა (ლეონიძე, ოსეველი, არღუთაშვილი), საგლეხო კანონები, საქალაქო წყობილების წესები, კანონი მოქალაქის საკუთრების შესახებ, სახელმწიფო წყობილების საკითხები (მმართველობის დარგობლივი დანაწილება: სამხედრო, საგარეო საქმეთა, სასამართლო, სასწავლო-საგანათლებლო), სამხედრო რეფორმის ცდები (აზატ-მოლაშქრეთა ინსტიტუტის შექმნა, მორიგე, რეგული), მსაჯულთ შეკრებულობის ინსტიტუტი (მდივანბეგების სასამართლო), საქარხნო-საფაბრიკო წარმოების დანერგვის ცდები (შაქრის, მინის, შალის, იარაღის), სამთამაღნო (სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თუჯის, რკინის) წარმოების წამოწყება, ზარაფხანის განახლება, კულტურა-განათლების საქმეები: სტამბის განახლება, სემინარიების დაარსება, განათლებულ მოღვაწეთა ძლიერი

დასის წარმოქმნა, გაცხოველებული თარგმნა სამეცნიერო-პოლიტიკურ თუ მხატვრული ლიტერატურისა რუსული ენიდან, — ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ფეოდალურ-თავადურ ქვეყანას აღარ ეგუებოდა და ამზადებდა პირობებს იმ პოლიტიკური ნახტომისათვის, რომელსაც მხოლოდ ერთს შეეძლო საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა გაქრობას გადაერჩინა.

განსაკუთრებით ძნელ პირობებში უხდებოდა ბრძოლა ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ძალებს. ქვეყანაში თავადურ-ბატონყმური სისტემა სუფევდა („ჩიხი“). ასეთ ვითარებაში პროგრესისათვის მეზობელ ძალებს ქვეყნის შიგნით ძლიერი სოციალური დასაყრდენი არ შეიძლებოდა შექმნოდა. ამავე დროს თავადურ რეაქციას ოსმალეთ-ერანის აგრესორთა სახით ერთგული მოკავშირე ჰყავდა. ასე რომ ბრძოლა პროგრესისათვის, ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ბრძოლა თავადურ-ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ, ბრძოლა ტყვის სყიდვა-ლევკიანობის წინააღმდეგ — უშუალოდ უკავშირდებოდა ერან-ოსმალეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლას და უერთმანეთოდ არც წარმოიდგინებოდა. საქართველოში ერან-ოსმალეთის მძლავრობა და თავადურ-ბატონყმური სისტემა ერთიმეორეს ავსებდა და ერთიმეორეს გულისხმობდა.

არაერთი მძიმე დამარცხება აგემა შინაური და საგარეო რეაქციის ამ ბლოკმა პროგრესისათვის მეზობელ ძალებს გვიანფეოდალური საუკუნეების გრძელ მანძილზე. მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა, და ის მით უფრო მწვავედებოდა, რაც უფრო აშკარა საფრთხეს უქმნიდა გამარჯვებული რეაქცია ქართველი ხალხის არსებობას, ქართველობის არსებობას.

რაგინდ დაჩიხული იყო ქვეყანა, რაგინდ უმოძრაო ჩანდა ქართული ფეოდალური საზოგადოება, შიგადაშიგ, ხან იქ, ხან აქ მაინც თავს იჩენდა წინსვლის ნიშნები, ბრძოლის სარბიელზე გამოდიოდა პროგრესული ფენა, რეაქციის წინააღმდეგ ქვეყნის ძალთა მობილიზაციას ცდილობდა და საგარეო მეშველ ძალას თავისთვის გაფაციცებით ეძებდა.

ასევე იყო ახლაც, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. იმ დროს, როცა ქართულ ფეოდალურ რეაქციას თვალყურს ადევნებდა ოსმალეთში ეჭირა, პროგრესული ძალები საქართველოს გამოხსნა-აღდგომის საქმისათვის ბრძოლაში, საქართველოს პროგრესისათვის ბრძოლაში მოკავშირეს რუსეთში ხედავდა. ქართველ პროგრესისტებს ურყევად სწამდათ, რომ რუსეთი მოწოდებული

იყო ხელი შეეწყო საქართველოში პროგრესისათვის. ისინი კარგად იცნენ მიხედვრილი რუსეთის პოზიციებს ერან-ოსმალეთის საკითხში და თავიანთ რწმენას ამ ცოდნაზე მართებულად აგებდნენ. *

ამავე დროს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდა რუსეთს პოლიტიკურად, ეკონომიურად, კულტურულად. ასე რომ ხსენებული საუკუნის 70-იანი წლებისათვის ბარბაროსული ვარემოცვა არსებითად უკვე გარღვეული იყო და საქართველო პროგრესული ევროპის ორბიტში უშუალოდ შედიოდა.

მე-18 საუკუნის 70-იან წლებში სამშობლოს გამოხსნა-აღდგომისათვის ბრძოლაში ქართველ პროგრესისტებს არსებითი წარმატება ჰქონდათ. ერეკლე II ქართლ-კახეთში მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა: ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულსა და სოციალურ სფეროში. მეფემ ალაგმა თავადების თავგასულობა, მოშალა ლეკიანობა და ქვეყნის შიგნით წელმომაგრებულმა ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანების მიმართულებით დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება დასახა. მეფემ ერეკლესი ყიზილბაშური სახანოს გაუქმება და ამ სომხური ოლქის საქართველოსთან უშუალოდ შემოერთება განიზრახა. რა თქმა უნდა, ეს დიდმნიშვნელოვანი აქტი სომხურ პოლიტიკურ წრეებთან შეთანხმების გარეშე არ ისახებოდა.

სოლომონ მეფემ რუსეთის სამხედრო დახმარებით იმერეთის ციხეებიდან ოსმალები გააძევა. იმერეთის მეფემ წარმატებულად უკუაგდო თავადურ-მთავრული რეაქციისა და ოსმალეთის შემოტევანი (ჩხევის ომი, რუხის ომი), განამტკიცა სახელმწიფო სუვერენიტეტი და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმე პრაქტიკულად წამოიწყო.

მაგრამ ირაზმებოდა რეაქციაც... ერანი თავს იყრიდა. ის ვერ ურიგდებოდა საქართველოს რუსეთისაკენ პირობითურად და მის ძველებურად დამონებას აპირებდა. აგრესორის ამ განზრახვას სასოებით შეპყრებდნენ რეაქციონერი თავადები, რომელთა წარმომადგენელი (ალექსანდრე ბატონიშვილი) ქარიზმან-ზანდის კარზე იმყოფებოდა და აქტიურად გამოსვლისათვის მოხერხებულ დროს ელოდა.

თავის მარცხს არც ოსმალეთი ურიგდებოდა. აგრესორი მფარველობდა სოლომონ მეფის ყველა მტერს: მთავრებს, ქვეყნის მოღალატე თავადებს, ტყვის მსყიდველ აბრაგებს და ამ რეაქციული ძალების საშუალებით იმერეთის კვლავინდებურად დამონებას დაჟინებით ცდილობდა.

საქართველოში პროგრესისა და რეაქციის ძალთა გადამწყვეტი ჭიდილი იყო. ქვეყნის გამოხსნა-აღდგომისათვის თუ დამონების საქმე წყდებოდა. რეაქციის ძალებს მხარში

ედგათ და აქტიურად ეხმარებოდნენ ოსმალეთი და ერანი. ასეთივე და-
მხმარე უნდა გაეჩინა პროგრესისათვის მებრძოლ ძალებსაც.

მე-18 საუკუნის სამოცდაათიან წლებში რუსეთმა ერთხელ კიდევ
დაარწმუნა ქართველი პროგრესისტები, რომ ამ სახელმწიფოს პოლიტი-
კური ინტერესები ამიერკავკასიაში ეთანხმება საქართველოს გამოხსნა-
აღდგომის საქმეს; ამავე დროს ქართველები იმაშიაც მტკიცედ დარ-
წმუნდნენ, რომ რუსეთი რეალურად მოიწვევს ამიერკავკასიისაკენ და
მოიწვევს სწორედ ერან-ოსმალეთის საწინააღმდეგოდ.

ასეთ პირობებში ბუნებრივია ერეკლე მეფის პოლიტიკური ნაბიჯი:
1771 წელს პროგრესისათვის მებრძოლმა საქარ-
თველომ თავის დამხმარედ (მფარველად) პრო-
გრესული რუსეთი მოიწვია.

ასეთი პოლიტიკური კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის
მხოლოდ 1783 წელს განხორციელდა (როცა საამისოდ შედარებით
ზელსაყრელი პოლიტიკური პირობები შეიქმნა).

საქართველოს ისტორიაში ეს იყო უდიდესი
მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი. გაირღვა ბარბა-
როსული გარემოცვა, რომელიც 331 წლის განმავლობაში სულს უხუ-
თავდა პროგრესულ ქვეყანას, რომელიც ასაზრდოებდა მის პოლიტიკურ
დაცემას და სოციალურ-ეკონომიურ დაჩიხულობას. ამ აქტით საქარ-
თველო გაემიჯნა აზიურ (ოსმალურ-ყიზილბაშურ)
ჩამორჩენილობას და გადაქრით პირი მიექცია
პროგრესული ჩრდილოეთისაკენ.

მეორე მხრით, ეს აქტი იმის აღიარებაც იყო, რომ გარედან დახმა-
რების გარეშე, დამოუკიდებლად, საქართველოს ღონე არ შესწევდა და-
ემარცხებინა რეაქციის ძალები და უზრუნველყო ქვეყნის გამოხსნა-
აღდგომის საქმის გამარჯვება.

არსებულ პირობებში ეს იყო საუკეთესო
გამოსავალი, რომელსაც ერთადერთს შეეძლო
ქვეყანა პროგრესის გზით ახალი ცხოვრებისა-
კენ წაეყვანა.

რეაქცია შემოფოთდა, ძალები შემოიყარა და გადამწყვეტ იერიშზე
გადმოვიდა. ერან-ოსმალეთის ინსპირაციით და აქტიური დახმარებით
ქვეყნის სამტროდ წამოიშალნენ მოღალატე თავადები, აბრაგ-ლეკები,
მეზობელი ფაშები, ხანები და, ბოლოს, თვით სპარსეთის ყანი.

17 წლის განმავლობაში წარმოებდა ეს მძიმე ბრძოლა; მან ქართლ-
კახეთის მოსახლეობის ნახევარი შეიწირა: „Тавады (ე. ი. რეაქცია) доканали
грузинскую государственность“. პროგრესისათვის მებრძოლმა დასმა
დაინახა, რომ რეაქციისთან ბრძოლაში გამარჯვებისათვის საქართველოს

არ ეყო შინაგანი რესურსები, ხოლო 1783 წლის აქტით გათვლისწინებული კავშირი (რუსეთთან) საკმაო არ აღმოჩნდა პროგრესის ძალთა ამ სისტემის საკომპენსაციოდ... და 1801 წელი გარდუვალი გახდა: საქართველოს პროგრესის საქმე ამიერიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა წარმართულიყო. შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი ახლა ეს იყო.

ПУТЕВОДИТЕЛЬ К ВЫСТАВКЕ «ГРУЗИНСКАЯ КОЛОНИЯ В МОСКВЕ¹»

Культурные взаимоотношения между Россией и Грузией могут быть прослежены по историческим данным, дошедшим до нас уже с древнейших времен.

Уже в древние времена русские и грузинские культурные и политические деятели встречались не только в Византии (Константинополь, Афон и др.), но и в самой Грузии и России. Северное (русское) и восточное (грузинское) побережья Черного моря являлись исключительно благоприятным местом для таких встреч: Черное море делало Россию и Грузию непосредственными соседями.

В XI—XII столетиях грузинскому феодальному обществу хорошо была знакома Россия, так же, как русскому феодальному обществу — Грузия. Факты тесных взаимоотношений между этими двумя народами, имевших место с указанного времени, засвидетельствованы неоспоримо. К таким фактам относятся, например, замужество дочери царя Грузии Деметра за киевским великим князем Изяславом (1154 г.), украшение росписью храма Спаса-Нередицы живописцем-грузином, выбор в мужья грузинской царицы Тамары сына Андрея Боголюбского Юрия (1185 г.) и др.

В XIII столетии Россию и Грузию постигло общее бедствие: обе страны были завоеваны ордами монголов, которые в качестве захватчиков надолго задержали нормальное развитие как русского, так и грузинского народов. Естественно, что в таких условиях культурные взаимоотношения грузинского и русского народов были прерваны.

Русско-грузинские культурные связи были восстановлены в конце XV столетия, когда политическая обстановка Передней Азии в сравнении с обстановкой XII столетия резко изменилась. Правда, южная орда монголов (государство Ильханов) пала, но над древней Персией, как и над братской для Грузии Арменией, вместо монголов теперь властвовали такие же степняки-кочевники — Туркмены-кизилбаши. Не было уже и Византии. «Второй Рим» вместе с Малой Азией и балканами

¹ პირველი დაბეჭდა 1953 წელს („მომთხილველი“, III ტ., გვ. 281—285).

был завоеван кочевниками, османскими турками, угрожавшими одичанием этой страны древней цивилизации. Под влиянием турок находились татарские орды Крыма, Южной России и Северного Кавказа. Таким образом, ослабевшая Грузия оказалась во вражеском и чуждом по культуре окружении, отныне ей приходилось упорно бороться в неослабном стремлении восстановить былые связи с передовыми народами. Грузины самоотверженно защищали свою независимость продолжая вместе с тем энергичные усилия найти союзника в борьбе за свободу.

Безрезультатными оказались попытки организации коалиционного похода совместно с народами Западной Европы (Францией, Бургундией, Испанией) против Турции в XV столетии.

К этому времени русские княжества были объединены вокруг Московского государства. Молодая Россия поднялась в качестве крупной силы; она окончательно сбросила иго монголов и готовилась к полному уничтожению остатков их государства.

Грузинские политики быстро уяснили себе значение усиления Московского царства и усмотрели в нем «союзную Византию» в борьбе против варварского окружения.

В XVI столетии Московское государство добилось решительных успехов на Юго-Востоке. Оно уничтожило татаро-монгольские ханства в Казани и Астрахани и овладело волжским великим торговым путем.

Вместе с тем Московское государство укрепилось и на Северо-Восточном Кавказе. В 1563 году во владения кабардинского владельца Темурква царь Иван IV выстроил крепость и поставил там русский гарнизон.

Покорением ханства Казанского и Астраханского и утверждением своей власти в восточной части Северного Кавказа Московское государство решительно противопоставило себя Крымскому хану и его «покровителю» — Турции.

Утвердившись у порога Северного Кавказа, Россия стала искать союзников на Ближнем Востоке и, в частности, Закавказии.

Грузины правильно оценили непримиримое противоречие политических интересов России и Турции и в оборонительной борьбе против Турции и Кизилбашского Ирана взяли политическую ориентацию на Россию.

Выражением совпадения этих политических интересов явился договор (покровительственный договор), заключенный в 80 годах XVI столетия (1587—1589) между царем Федором Ивановичем и царем Кахетии Александром.

При дворе кахетинского царя Александра был разработан новый план антитурецкой коалиции, который ставил целью

уничтожение турецкого государства и восстановление былой политической ситуации на Ближнем Востоке.

Эта первая попытка прорыва вражеского окружения в союзе с Россией имела весьма тяжелые последствия для Грузии.

Шах-Аббас опустошил Кахетию (якобы за союз с Турцией), иранский двор принял решение о физическом уничтожении грузин и заселении Грузии туркменами.

Жертвой этой войны явились многие десятки тысяч грузин, также и царь Кахетии Александр вместе с царевичем Георгием, царь Картли Луарсаб, мать кахетинского царя Теймураза Кетеван и два его сына.

Беспримерное мужество грузинских патриотов, руководимых царем Теймуразом и Георгием Саакадзе, сорвало вражеские планы.

Борьба продолжалась. Царь Теймураз (1606—1663) был самоотверженным борцом за дело объединения грузинских царств и княжеств под покровительством московского царя и пал жертвой борьбы за это дело.

И впоследствии политический курс на союз с Россией самоотверженно защищал каждый грузинский патриот, борющийся за высвобождение родины из вражеского окружения.

Россия XVII века правильно расценивала важное значение политической ориентации Грузии в деле регулирования своих взаимоотношений с Ираном и Турцией и всегда проявляла полную готовность за соответствующие ответные акции.

Грузинские патриоты глубоко понимали то значение, какое имела Россия для осуществления грузинского политического идеала (прорыва вражеского окружения), они хорошо разбирались в реальных государственных интересах России на Ближнем Востоке и поэтому считали русское государство своим наиболее надежным покровителем и союзником.

В 20-х годах XVIII столетия Грузия вновь пострадала за вторую решительную попытку прорвать вражеское окружение. Жертвой турецкой и иранской политической мести теперь явилась уже вся Грузия. За русскую ориентацию за союз с Россией Грузию попыталась разгромить сначала Турция (1723—1735), замыслив создать на ее месте, кроме уже существовавшего Ахалцихского пашалыка, еще новый турецко-магометанский пашалык, а вслед за нею (1736—1747) Иран повторил попытку шаха Аббаса истребить грузин и заселить территорию Грузии кизилбашами.

Грузинский народ и на этот раз сумел защитить себя от разгрома и уничтожения.

Ценой 25-летней беспримерно героической борьбы и тяжелых жертв грузины лишили врагов возможности осуществить свои коварные замыслы.

В продолжение всей этой борьбы единственным надежным оплотом грузинских патриотов была Россия.

В этой обстановке и в результате этой борьбы, как выразитель непреклонной веры грузинских воинов-патриотов в Россию, была создана грузинская колония в Москве. Она зародилась уже на исходе XVII века, а главой её явился царь Арчил, поэт-патриот, неустанный борец против турок и кизилбашей и крупный деятель родной культуры.

В 20-х годах XVIII столетия грузинская колония в Москве значительно возросла. В 1724 году за картлийским царем Вахтангом VI последовала в Россию большая группа грузинских политических и культурных деятелей.

Грузинская колония в Москве была настоящим центром политических эмигрантов-патриотов, неустанно боровшихся за дело освобождения родины от насилия кизилбашей и турок.

Наряду с политической деятельностью грузинские патриоты развернули в Москве большую культурную деятельность, основали грузинскую типографию, продолжили прерванные на родине научно-литературные работы, приобщились к русской культуре и приступили к большой переводческой работе.

Во второй половине XVIII века Грузия еще раз сумела оградить себя от большого национального бедствия. Захватчики временно отступили и Грузия под предводительством Ираклия II и Соломона I повела упорную борьбу за конечное «освобождение и возрождение». Залогом победы в этой борьбе по убеждению грузинских политиков и теперь было осуществление политического союза («Покровительство») с Россией. Это было конкретно-реальным выражением политического идеала Грузии, стремившейся к прорыву вражеского окружения и восстановлению непосредственного союза с великим русским народом — народом родственной ей культуры. В этих условиях политическая роль и значение грузинской московской колонии изменились. Во второй половине XVIII века колония уже не представляла собой официальной политической группы эмигрантов, но ее значение все же не снижалось. Она была призвана приобщить Грузию к русской культуре, она становилась посредницей между русскими и грузинскими народами. Благодаря московским грузинам Грузия ознакомилась как с русской культурой, так и при ее же посредстве — с западно-европейской культурой того времени. Колония повела большую работу. В условиях, обеспечивавших культурную работу, грузинская колония во второй половине XVIII века еще шире развернула и углубила литературную деятельность, в частности, переводческую. Грузины в России с глубоким интересом взялись за освоение дос-

тнжений в области науки, искусства и политической мысли приобщали ко всему этому свою родину.

Широко распространяется в Грузии школьно-учебная литература передовых культурных народов, поэзия, художественная проза и драматургия, науки — физика, география, геометрия, философия и также политические учения. — что стимулировало стремление к возрождению страны.

В 1783 году в истории Грузии произошел акт большого исторического значения. 300-летняя борьба за прорыв неприятельского окружения закончилась победой. В Грузию вступила прогрессивная Россия; этот факт предвещал новую эру в жизни закавказских народов. Реакционный Восток встревожился — и грузинский народ еще раз (теперь уже третий раз) оказался жестоко «отомщенный» за свою прогрессивную миссию. Иран и Турция, объединившись, поднялись на Грузию с целью — либо снова обратить ее в сторону Востока, либо стереть с лица земли. За кровавые 17 лет (1783—1800) почти половина населения Грузии оказалась жертвой мести со стороны реакционных Ирана и Турции. Но прогрессивная Грузия не изменила своего политического курса и, несмотря ни на какие испытания, стойко отстаивала союз с Россией.

В 1801 году царизм превратил Грузию в свою колонию, но это зло было наименьшим сравнительно с тем, которое ожидало Грузию со стороны Турции и Ирана; именно потому грузинские патриоты и после этого оставались непреклонными борцами за союз с Россией и единство с русским народом, хотя они же явились непримиримыми противниками царской колониальной политики и неустанными борцами за национальную независимость.

Грузинская колония в Москве и после этого (XIX в.) долгое время существовала как очаг грузинской культуры и с успехом продолжала свою деятельность. Благодаря этой колонии русское просвещенное общество ознакомилось с прошлым и с настоящим Грузии. Образованные деятели колонии и в дальнейшем продолжали служить отечественной культуре.

Политическое значение колонии теперь выражалось в том, что из ее среды вышло большое число политических и военных деятелей, которые положили много труда для осуществления русско-грузинского общего дела — утверждения России в Закавказье.

Примечание: Предлежащий текст должен быть разбит на соответствующие части, которые служат экспликациями для отдельных экспозиционных групп, или же полный текст может быть отпечатан в виде брошюры путеводителя к выставке.

რ ე ც ე ნ ზ ი ი ზ ი

იასე ცინცაძე — ძივბანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის
ისტორიიდან (X—XVI სს).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე იასე ცინცაძე დიდი ხანია მუშაობს. შეიძლება ითქვას, რომ მისი მეცნიერული მუშაობის ძირითად ობიექტს მრავალი წლის განმავლობაში სწორედ ამ ორი ხალხის ურთიერთობის ისტორია შეადგენს. მეცნიერული მუშაობის ასეთი წესი გამოცდილია და მის მიმდევარს უეჭველი წარმატება ელის, ი. ცინცაძე თვითონ არის ამ დებულების სისწორის ერთი თვალსაჩინო მაგალითი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საქმეში მან შესამჩნევი კვალი გააუღო. ავტორის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ მან (ი. ცინცაძემ) საუნივერსიტეტო განათლება საქართველოს ისტორიის სპეციალობით მიიღო, ხოლო რუსეთის ისტორიაში მის დასპეციალებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ისეთი მკვლევარი ხელმძღვანელობდა, როგორც განსვ. პროფ. მ. პოლიევქტოვი ივო.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან ი. ცინცაძემ არა ერთი წერილი გამოაქვეყნა, არა ერთი საკითხი ახლებურად გადაჭრა, არა ერთი საკითხი ახლად დასვა, თავისი საკანდიდატო დისერტაციაც ავტორმა ამავე პრობლემის ერთ-ერთ მონაკვეთს მიუძღვნა. ისტორიული კვლევის გვერდით ი. ცინცაძე ფრიალ საჭირო შრომას ნაყოფიერად ეწევა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის დოკუმენტური მასალების გამოვლინება-გამოცემის ხაზით. მან ამ მიზნით შეისწავლა რუსეთის სიძველეთსაცავებში არსებული დიდძალი საარქივო მასალა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შემცველი არა ერთი ასეული დოკუმენტი პირველად გამოავლინა და გამოსაცემად დაამზადა.

ასეთი სისტემიანი მუშაობის შედეგად ი. ცინცაძე უფრო ზედმიწევნით, ვიდრე სხვა ვინმე, გაეცნო რუსეთ-საქართველოს ურთიერთ-

¹ წაკითხული იყო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე 1957 წელს

ბის ისტორიის ფაქტებს და ბუნებრივია, მას გაუჩნდა სურვილი ამ ურთიერთობის ისტორიის დამუშავება-შესწავლისა მთელ მის სივრცეზე. სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამ რიგისაა; ავტორს, როგორც ამავე წიგნის წინასიტყვაობიდან ჩანს, ეს ნაშრომი შესავალად აქვს ნაგულისხმევი იმ ერთიანი შრომისა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მთელს ისტორიას გააშუქებს. ასეთი ისტორია, ზოგად ხაზებში, ავტორს, როგორც ჩანს, შემუშავებულიც აქვს².

სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომი დაბეჭდილია 305 გვერდზე და ექვსი თავისაგან შედგება. ნაშრომს წინ უძღვის სარჩევი (გვ. 0) და წინასიტყვაობა (გვ. 1—2), ხოლო დართული აქვს სია „ნაშრომში მოხსენებული, ციტირებული ან ნაგულისხმევი წყაროებისა და ლიტერატურის“ (91 სახელწოდება).

ნაშრომის პირველ თავში თავმოყრილია და განხილული „უძველესი ცნობები რუსების, ვარანგების და სლავების შესახებ ქართულ ძეგლებში“ (გვ. 3—52);

2 მაგრამ ჯერ თვითონ თემის ქრონოლოგიური მოხაზვის გამო გამართლებულია თუ არა ი. ცინცაძის მიერ სადისერტაციო თემაში აღებული ქრონოლოგიური საზღვრები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა? სამწუხაროდ, არა. აღებული მონაცემთი ხსენებული ურთიერთობისა არაფერს მთლიანს არ წარმოადგენს, ის ერთიმეორისაგან განსხვავებულ ურთიერთობათა მექანიკური შეერთებაა. თუ ი. ცინცაძე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ხასიათიდან გამოვიღოდა, და სწორედ ეს იქნებოდა ერთადერთი მართებული, მას ამ ურთიერთობის ქრონოლოგიური საზღვრებიც უნდა ამავე ხასიათის თვალსაზრისით მოეხაზა. სამწუხაროდ, ასეთი რამ აქ არა ჩანს.

რაა, მაგალითად, საერთო X—XV საუკუნეების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასა და XVI საუკუნის 60—70-იანი წლების ამათივე ურთიერთობას შორის? იმას გარდა, რა თქმა უნდა, არაფერი, რომ ორივე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაა. ეს კი, ცხადია, არ კმარა იმისათვის, რათა მათ უსათუოდ ერთად განიხილავდე.

მაგრამ, თუ ეს ზოგადი საფუძველი ავტორმა საქმოდ მიიჩნია, რატომ შემდეგ დროის ურთიერთობაც აქვე არ განიხილა?

მართლა და, რა საფუძველი ჰქონდა ჩვენს ავტორს, რომ XVI საუკუნის 70-იანი წლებზე შეჩერდა? რით განსხვავდება ამ ურთიერთობის თვალსაზრისით XVI საუკუნის 60—70-იანი წლები ამავე საუკუნის 80-იანი წლებისაგან? გადაკრით შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ურთიერთობა ორივე შემთხვევაში ერთი ბუნებისაა და მათი ურთიერთობისაგან დაშორება ხელოვნურია და უსაფუძველო.

ამრიგად, ავტორმა თემა ვერ მოხაზა ხელმარჯვედ და ეს იმიტომ, რომ თემის მოხაზვისას ავტორის ამოსავალი პრინციპი არ იყო ამ ურთიერთობის ხასიათი, მისი განვითარება, არამედ ის. უშთავრესად, ურთიერთობის ფაქტების დადგენით კმაყოფილდებოდა. ამიტომაც მოხდა, რომ წარმოდგენილი ნაშრომი დასრულებულ ისტორიულ სურათს ვერ გვაძლევს და ნებისმიერად გაწყვეტილი ჩანს. ამითვე აიხსნება, რომ ავტორს ეს თავისი ნაშრომი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესახებ აღად წარმოუდგენია. უნდა მოვახსენოთ, გაუმართლებელი შესავალი იქნებოდა...

მეორე თავის საგანია „კიევის სამთავროს ურთიერთობა საქართველოსთან XII საუკუნეში და რუსი უფლისწული საქართველოში“ (გვ. 53—174);

მესამე თავია: „ცნობები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის პერიოდში“ (გვ. 175—199);

მეოთხე თავში განხილულია „პირველი ცნობები XV საუკ. მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ისტორიიდან“ (გვ. 200—241);

მეხუთეში კი — „პირველი ცნობები XVI საუკუნის მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ისტორიიდან“ (გვ. 241—289).

უკანასკნელი — მეშვიდე თავია „დასკვნა“ — გვ. 290—299, სადაც თეზისების სახით 53 დებულებად არის მოცემული ავტორის მიერ მიღებული მეცნიერული შედეგები.

ერთი სიტყვით, სარეცენზიო წიგნი ყველა იმ გარეგნულ ნიშანს ატარებს, რაც სერიოზული მეცნიერული მონოგრაფიისათვის აუცილებელია; მეშვიდე თავის — „დასკვნის“ — გადაკითხვა კი ამ წიგნის შინაგანი ნიშნების შესახებაც დამაჯერებლობით გვაუწყებს: აქ წარმოდგენილი დებულებები, ავტორს რომ მიუღია, ნაშრომის შინაგან ღირსებათა უეჭველი მოწმობაა.

ნაშრომის ზოგადი დადებითი მხარეების შესახებვე ითქმის: ავტორი, რა თქმა უნდა, კარგად იცნობს საგნის ლიტერატურას. ის წინა მკვლევართა მთელ რიგ შეცდომას ასწორებს და მათ მიერ გადაჭრილ საკითხებს ახლებურად და მართებულად წყვეტს. აქ ავტორს ხელს უწყობს, როგორც საკვლევო მეთოდის სისწორე და სათანადო მეცნიერული დაკვირვების უნარი, ისე საფუძვლიანი ცოდნა როგორც რუსეთის, აგრეთვე საქართველოს ისტორიისა. ამ მხრით, ის შესამჩნევად განსხვავდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე მომუშავე ყველა აქამდე ცნობილ მკვლევართაგან.

ავტორი საჭირო ცოდნით და მეცნიერული შემოქმედების უნარით ახერხებს ძუნწად მოღწეული ქრონიკული ცნობების მეცნიერულ ინტერპრეტაციას და ამ საშუალებით დაადგენს არა ერთ ფაქტს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, — აქამდე უცნობს, ან მცირედ ნაცნობს. წყაროების შედარებითი (კრიტიკული) ანალიზით ავტორი სწორად დაადგენს ხოლმე ამა თუ იმ ცნობის უპირატესად სანდოობას. თუ მცდარობას და, რიგ შემთხვევაში, სანიმუშო მეცნიერული სიფრთხილის მაგალითს იძლევა (246—251).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის კვლევის გვერდით ავტორი საკუთრივ საქართველოს ისტორიის საკითხების გადაჭრასაც ხშირად ცდილობს. თუ ზოგჯერ ავტორის დასკვნები აქ საცილობელია ან მიუღებელი, ზოგ შემთხვევაში მაინც ის ახერხებს დადებითი

წელილის შეტანას საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის გაშუქებაში.

მოხსენებულს თუ ჯერ კიდევ მოუხსენებელს, დადებით მხარეებზე ჩვენ ქვემოთაც, თავთავის ადგილას, მივუთითებთ და ასეთ მიღწევათა შეფასებასაც იქვე შევეცდებით. ახლა კი ნაშრომის უფრო ზედმიწევნით განხილვას და მისი ღირსება-ნაკლის წარმოჩენას უნდა შევეუბნო.

ჩვეულებრივ წესადაა ჩვენთან გადაქცეული, რომ რეცენზენტი (ან შემდეგ, თბონენტი) სარეცენზიო ნაშრომის ღირსება-ნაკლის აღნიშვნისას უკანასკნელ პუნქტში შეაფასებს ავტორის ენას, შეაქებს მას, აღნიშნავს მარცხის მაგალითებს, განსაკუთრებით რომ თვალში სცემს, მიუთითებს კორექტურულ შეცდომებზე (რაც უმაღლვე შემანქანეს დაბრალებს) და საქმეც ამით ბოლოვდება.

ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა სერიოზულ ყურადღებას უთმობს მეცნიერული ნაშრომის წიგნიერების საკითხს. მიმდინარე წელს სამეცნიერო ნაწილში პრორექტორის ხელის მოწერით საამისო სპეციალური ბრძანებაც გამოიცა. გულწრფელად მოგახსენებთ, მეზარება, რომ ი. ცინცაძის შრომის შეფასებისას ასეთ რამეზე მიხდება სიტყვის ჩამოგდება, და რომ ოფიციალურ რეცენზენტ-თბონენტის უსიამოვნო მოვალეობა არ მაიძულებდეს, ნაშრომის ამ მხარეზე მე არას ვიტყვოდი.

მე რომ ცინცაძის სხვა ნაშრომებს არ ვიცნობდე და ამ მკვლევარის წიგნიერება ჩემთვის სხვა გზებით ცნობილი არ იყოს, სარეცენზიოდ წარმოდგენილი ეს ნაშრომი, მისი დეფექტურობის გამო, ავტორს უკან უნდა დაბრუნებოდა. მე, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ნაშრომის გრამატიკულსა და სტილისტურ ნაკლს³.

რით აიხსნება ასეთი მარცხი, ვერ მოგახსენებთ. ალბათ, არა ერთი რაიმე მიზეზით. იმედი გვაქვს, ავტორი დამაკმაყოფილებელ ახსნა-განმარტებას მოგვაწვდის საამისოდ, მე კი სურვილი მაქვს ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს საყურადღებოდ ერთხელ კიდევ დავსვა საკითხი სადისერტაციოდ წარმოდგენილ ნაშრომთა გაფორმების ერთი მხარის შესახებ. უაღრესად სასურველია, რომ სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომი სტამბურად დაბეჭდილი წიგნი იყოს. მე მესმის, რომ ეს ყოველთვის მოსახერხებელი არაა, განსაკუთრებით, საკანდიდატო დისერტაციების მიმართ, მაგრამ, ვფიქრობ, სადოქტორო დისერტაცია, როგორც წესი, უნდა სტამბურად და-

³ ამ უსიამოვნო მაგალითების შობანით თავს არ შეგაწყენთ, ოღონდ მივუთითებ ნაშრომის გვერდებს: გვ. გვ. 2, 6, 7, 9, 11, 12, 14, 47, 48, 57, 70, 77, 78 (bis), 92, 100, 106, 108(bis), 109, 114, 116, 122, 139, 142, 145 152, 168, 172, 181, 204, 212, 214, 221, 223 (bis), 226, 227, 233, 235, 236, 240, 262 (bis), 267, 271, 281, 289, 298...

ბექდილი გამოქვეყნდეს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქმნეს დასაცავად გამოტანილი. ეს წესი, დარწმუნებული ვარ, ფრიად ნაყოფიერ შედეგებს მოგვცემდა. ეს მომენტი (დასტამბვა) ძლიერად და სასიკეთოდ იმოქმედებდა როგორც სადისერტაციო თემის შერჩევაზე, აგრეთვე მის დამუშავება-გაფორმებაზე. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურას კი სწრაფად შეეძინებოდა სანიმუშოდ შესრულებული ნაშრომები, თორემ რა სურათი გვაქვს დღეს? სამეცნიერო კადრების პროგრესულ ზრდას ყოველწლიურად აღვნიშნავთ, ხოლო ამ ზრდის მაჩვენებელ შესაფერის მეცნიერულ პროდუქციას, სამწუხაროდ, როდი ვხედავთ. იშვიათია შემთხვევა, რომ სადისერტაციოდ ნავარაუდევი ნაშრომი წინასწარ დაბეჭდილიყოს, მაგრამ, რაც კიდევ უფრო დამაფიქრებელია, არც ისაა ხშირი, რომ ესა თუ ის ნაშრომი მისი სადისერტაციოდ გამოტანისა და დაცვის შემდეგ მალე დაბეჭდილიყოს. ზოგიერთი მათგანი მრავალი წლის დაყოვნებით იბეჭდება „შემოკლებით“, ან კიდევ სრულიად გადამუშავებული, დიდი უმრავლესობა კი სულაც არ ჩნდება მზის სინათლეზე... სხვა მიზეზებზე აქ არას მოგახსენებთ, სიტყვა ისედაც მიგრძელდება, და ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ამ მოვლენისა ის უნდა იყოს, რომ სადისერტაციოდ გამოტანილი და აპრობაციქმნილი ნაშრომი უმრავლეს შემთხვევაში გაუმართავ-დაუსრულებელია. გამოდის, რომ ავტორს შავად შესრულებული ნაშრომი გამოაქვს სახარისხოდ, მხოლოდ ასეთი ვითარებისას არის ბუნებრივად გასაგები, რომ ოპონენტ-რეცენზენტი ბოლო პუნქტში ღიმილით და თითქმის ბოდიშით აღნიშნავს ხოლმე ნაშრომის გრამატიკულ-სტილისტური უწიგნურობის მაგალითებს, დისერტანტი თავის მხრით (ისიც ღიმილით) მაღლობით შეპირდება სამეცნიერო საბჭოს ასეთ შეცდომათა გათვალისწინებას წიგნის დაბეჭდვისას.

ვიმეორებთ, ამ მძიმე მდგომარეობის კარდინალური საშველი იმ წესის შემოღება-გატარებაშია, რომ სადისერტაციოდ ნავარაუდევი ნაშრომი, განსაკუთრებით სადოქტორო, უნდა გამოქვეყნებული იყოს, ვიდრე მას დასაცავად გამოიტანდნენ. დღეს ჩვენს უნივერსიტეტს ამის შესაძლებლობა აქვს და კიდევაც უნდა განახორციელოს მან ეს წესი. აქვე უნდა ზაზი გაფუსვა ერთ მომენტსაც: ამ წესის განხორციელება სასიკეთოდ იმოქმედებს არა მხოლოდ დისერტანტის მუშაობაზე, ის ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ნაშრომის ზრდას, არამედ ასევე სასიკეთოდ იმოქმედებს იგი რეცენზენტ-ოპონენტის მუშაობაზე. დაბეჭდილ-გამოქვეყნებული ნაშრომის შეფასება რეცენზენტ-ოპონენტს დიდად გაუზრდის როგორც პასუხისმგებლობის გრძნობას, ისე მუშაობის ხალისს. ამ შემთხვევაში რეცენზენტს საქმე ექნება არა რალაც ნახევარფაბრიკატთან, რომლის შეფასება მას, სამწუხაროდ, მხოლოდ იმდენად აინ-

ტერეგებს, რამდენადაც ამ ნაშრომის მიზანია მის ავტორს ესა თუ ის ხარისხი მოუპოვოს, არამედ მას საქმე ექნება საბჭოთა საზოგადოების წინაშე გამოტანილ მეცნიერულად ყოველმხრივ გამართულ ნაწარმოებთან; მის საჯარო შეფასებისას, ობონენტ-რეცენზენტს უპირველეს ყოვლისა საქმე აქვს იმავე საბჭოთა მეცნიერულ საზოგადოებასთან, რომელიც შემფასებელია არა მხოლოდ სარეცენზიოდ წარმოდგენილი შრომის, არამედ ამ შრომაზე წარმოდგენილი რეცენზიებისაც¹.

სადისერტაციო ნაშრომთა წინასწარი დაბეჭდვის წესის გატარებისას ჩვენ მივიღებთ ნაშრომის სერიოზულ მეცნიერულ შეფასებას (და არა სახელდახელო და ზეპირად დაწერილ ატესტაციას), რაც, კერძოდ, დარწმუნებული ვარ, უკიდურესად შეამცირებდა იმ ყოვლად უსიამოვნო შემთხვევებს, როცა ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ აპრობაცია ქმნილ დისერტაციას წუნსა სდებს უმაღლესი საკვალიფიკაციო კომისია.

თავისი შრომის წინასიტყვაობაში ი. ცინცაძე ასახელებს იმ ავტორებს, რომელთაც აღებული პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ უწერიათ. ჩვენი ავტორი აღნიშნავს მათი შრომის შესაბამისობას XIX საუკუნის მეცნიერული მოთხოვნილებებისადმი და დასძენს: „საბჭოთა მოქალაქე (უფრო სწორი იქნებოდა — საბჭოური მეცნიერება, — ნ. ბ.) სულ სხვა მოთხოვნილებებს უყენებს მკვლევარებს და, თავისთავად ცხადია, XIX საუკუნეში არსებული მდგომარეობით და მიღწევებით მას დაკმაყოფილება არ შეუძლია“. ამ სამართლიანი მსჯელობიდან მკითხველი იმ ერთადერთ დასკვნას გამოიტანს, რომ ჩვენი ავტორი მის წინამორბედთაგან არსებითად განსხვავებული ხასიათის ნაშრომს გვპირდება, ნაშრომს, რომელიც საბჭოთა მკითხველის მეცნიერულ მოთხოვნილებას შეესაბამება, და, წინასიტყვაობის დასასრულს, ი. ცინცაძე აცხადებს კიდევაც, რომ „საქმის ნამდვილი ვითარების სურათი თუ საეხებით ვერ აღადგინა“, მან ის მაინც შეძლო, რომ „ჩვენამდე არსებული მდგომარეობა უდავოდ“ შეცვალა. ასეთი განცხადების ავტორს უთუოდ ევალეობოდა გაეცნო მკითხველისათვის წინამორბედ მკვლევართა მიღწევები, რათა ცხადი და დამაჯერებელი ყოფილიყო

¹ ჩვენს მეცნიერულ პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, რომ სადისერტაციოდ წარმოდგენილ ნაშრომს იწუნებენ, მაგრამ მე არ მახსოვს, რომ რეცენზიის დაწუნება ვინმეს ფიქრად მოსკლოდეს. ჩვენში რეცენზენტს რაღაც „მეცნიერული შეუვალობა“ მოუპოვებია და მის ნებაზეა დამოკიდებული გააბედნიერებს თუ გააუბედურებს ზარისხის მძიებელს. ეს უპასუხისმგებლობა აბედვინებს ზოგიერთ რეცენზენტს კერძო საუბარში „თავი მოიწონოს“, რომ წუნიათ ნაშრომი დადებითად შეაფასა, ან კიდევ, რომ შრომა, ერთხელ ვადათვალეირებით ზეპირად შეაფასა.

იგივე „მეცნიერული შეუვალობა“ აბედვინებს ზოგიერთ მოხალისეს ყოველგვარი ნაშრომის შეფასება იკისროს...

განცხადება, რომ მისი ეს ახალი ნაშრომი არსებითად (ხარისხობრივად) განსხვავდება წინა ნაშრომთაგან.

სამწუხაროდ, ი. ცინცაძეს ამისათვის თავი საგანგებოდ არ შეუწუხებია და მკითხველი იძულებულია მის ზეპირ განცხადებას ენდოს⁵.

შრომის პირველ თავში — „უძველესი ცნობები რუსების, ვარანგების და სლავების შესახებ ქართულ ძეგლებში“ (3—52) — ავტორი თავს უყრის და განიხილავს ყველა ცნობას, რომელიც პირდაპირ მიუთითებს რუსების, ვარანგებისა და სლავების ქართველებთან შეხვედრა-ნაცნობობის შესახებ ან კიდევ ასეთ შეხვედრა-ნაცნობობას გვაპარაულებინებს.

ავტორი აქ, ბუნებრივია, არ კმაყოფილდება ქართული ძეგლებით (ამდენადღვე ამ თავის დასათაურებია უნდა შესწორდეს) და მოაქვს ბერძნული, სომხური თუ არაბული წყაროები (სამწუხაროა, რომ ყველა ეს მას თარგმანის და არა დედნის ენაზე აქვს მოტანილი).

ქართულ-სომხურ-ბერძნული წყაროების ამ ცნობებს რუსეთ-საქართველოს იმ დროის ურთიერთობით დაინტერესებული არა ერთი მკვლევარი შეხებია (ბროსე, ბაქრაძე, ჯანაშვილი). მათგან ჩვენი ავტორი განსხვავდება როგორც მოტანილ მოწმობათა სისრულით, აგრეთვე ამ მოწმობათა ინტერპრეტაციით. ი. ცინცაძე მართებულად ასწორებს მის წინამორბედ მკვლევართა ზოგიერთ შეცდომას.

ჩვენი ავტორი არ კმაყოფილდება ამ პირდაპირი ჩვენებებით და ითვალისწინებს ისტორიულ გარემოს, რომელიც მას უფლებას აძლევს რუსთა და ქართველთა ურთიერთნაცნობობა, უშუალო წყაროებით რომაა დადასტურებული, სავსებით უეჭველი გახადოს.

ავტორის წარმატებაა, უთუოდ, რომ ცნობილი ფაქტების თავის მოყრით და მათზე გარკვეულის მიმართულებით ყურადღების გამახვილებით მან უფრო დამაჯერებელი გახადა აქამდეც არსებული შეხედულება (ჯანაშვილი, ბაქრაძე) რუსებისა და ქართველების ურთიერთობის შესახებ X—XI საუკუნეში. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, ავტორი არ უნდა დასჯერებოდა ხსენებული ურთიერთობის ფაქტების დადგენას და უნდა დადრმავებით ცდილიყო წარმოეჩინა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სავარაუდებელი სურათი: პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული.

⁵ პირადად ჩვენთვის, მაგალითად, სადავოა ავტორის დებულება, რომ ეს ნაშრომი ისევე განსხვავებულია მის წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებისაგან, როგორც საბჭოური მეცნიერების მოთხოვნილებანი განსხვავებულია XIX საუკუნის მეცნიერების მოთხოვნილებისაგან.

მართლაც და სლავები (რუს-ვარანგ-სლავები) დიდი „ნათესავია“, მას იცნობენ არაბები, ბიზანტიელები, ხაზარები, ოს-ჩერქეზები (ეს უკანასკნელი გარემოება უნდა განსაკუთრებით გაეხაზა ავტორს). სკლავ-რუსები ამიერკავკასიაში იჭრებიან, ბიზანტიას უტყვენ, ხაზარებს და ჩერქეზებს ებრძვიან, შავ ზღვაზე დათარეშობენ, კავკასიის ქალაქებში ტყვე-მონებად ისყიდებიან, ბიზანტიაში ესახლებიან, ბიზანტიის იმპერატორის თუ სხვა დამჭირავებელთა ლაშქარში შედიან. ასეთი ფაქტების გათვალისწინებისას ავტორს საფუძველი ჰქონდა მეტი და არსებითი ეთქვა. ეს ფაქტები არა მარტო რუსებისა და ქართველების ურთიერთ ნაცნობობას მოწმობს, არამედ ამ ნაცნობობის ხასიათზედაც მიუთითებს. სამწუხაროდ, ავტორი ყურადღებას ამ მიმართულებით არ ამახვილებს, რაც ერთი ძირითადი ნაკლთაგანია ამ შრომისა (ამით არის, რომ ეს ნაშრომი არსებითად არ განსხვავდება მის წინამორბედთაგან).

სწორედ ამ თვალსაზრისის არქონებით აიხსნება ის გარემოება, რომ ავტორი აგრე ნდობით ეკიდება და ეთანხმება აკად. ვასილევსკის (გვ. 11). „აკად. ვასილევსკი სავსებით მართალი უნდა იყოს, როცა ასოლიკის ცნობის გამო შენიშნავს, რომ 1001—2 წლებში ქართველებსა და რუსთა რაზმს შორის მომხდარი კონფლიქტი 989 წლის ამბებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. ბიზანტიაში ქართულ რაზმებს ახალი ძალა გაუჩნდა მოქიშპედ და 989 წელს დამარცხებული ქართველები საკონფლიქტოდ განწყობილი იყვნენო“.

ჩვენს ავტორი, იგი რომ ურთიერთობის არა მხოლოდ ფაქტით, არამედ ამ ურთიერთობის ბუნებით, მისი ხასიათით იყოს დაინტერესებული, — უნდა შეეჭვებულყო აკად. ვასილევსკის ნაგულისხმევ თეზის სისწორეში, საიდანაც მისი მსჯელობა გამომდინარეობს, რომ „ბიზანტიაში ქართულ რაზმებს ახალი ძალა გაუჩნდა მოქიშპედ“. მაინც და მაინც ი. ცინცაძეს უნდა ცხადეყო თავისი დამოკიდებულება აკად. ვასილევსკის თეზასთან, რომ რუს-ვარანგები და ქართველები თითქო თანაბარი ხარისხის მოვლენას წარმოადგენდნენ ბიზანტიის ლაშქარში.

სხვა უფრო მცირე მნიშვნელობის შენიშვნებზე საუბრით ჩვენ თავს არ შეგაწყენთ (გვ. გვ. 13, 30—31). შევნიშნავთ მხოლოდ ერთს: ავტორი უნდა გასჯილიყო და ეუწყებინა მკითხველთათვის, რომ რუსი, ვარანგი, სკლავი, წყაროებში რომ სხვადასხვა სახელით გვხვდება და ზოგჯერ ერთი ავტორიც რომ სხვადასხვა სახელით იხსენიებს მათ, — რომ ყველა ესენი ერთი და იგივეა. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ არც ისე დიდი ხანია, რაც მიღებული იყო დებულება ვარანგთა (რუსთა?) და სლავთა ეთნიკური სხვადასხვაობის შესახებ.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ჩვენი ავტორი თავის შრომაში ზუსტად აღწერს ისტორიის საკითხებს და მათ გადაჭრას ცდილობს. თავისთავად აქ დასაძრახი არაფერია. პირიქით, სრულიად ბუნებრივია, რომ ორი ხალხის ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე მომუშავემ თითოეული ამ ხალხის წარსულის შესახებ არის ის საკითხები შეისწავლოს. სამწუხაროდ, სარეცენზიო ნაშრომი ამ მხრივ უნაკლო არ არის და ავტორის ისტორიული წიაღსვლები ხშირად სწორედ იმ საკითხების გაშუქებას არ ისახავს მიზნად, რომელთაც, სადაც სამართალია, უნდა შეეხებოდეს. ურთიერთობაზე საუბრობს ავტორი, ამ ურთიერთობის ფაქტებს დაადგენს, ვთქვათ, მეათე, მეთერთმეტე საუკუნისათვის. ბუნებრივად მოსალოდნელი იყო, რომ ამ ურთიერთობის ხასიათის ნათელსაყოფად ავტორი შეეხებოდა საკითხებს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ ამ ურთიერთობის კონტრაგენტები (X—XI საუკუნეთა რუსეთი, X—XI საუკუნეთა საქართველო. რა ხასიათის მოვლენა იყო რუზიკთა მიერ ბარდავის აღება. ტმუტარაკანის სამეფო, ვარანგები ბიზანტიის ლაშქარში, ქართველები ბიზანტიაში და სხვ.). ი. ცინცაძე ასეთი საკითხებისათვის თავს არ იწუხებს და ხელში გვრჩება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კი არა X—XI საუკუნეებში, არამედ რუსთა და ქართველთა შეხვედრის ფაქტები X—XI საუკუნეებში. ამავე დროს ჩვენი ავტორი 17 გვერდს უთმობს იმის შესახებ მსჯელობას, თუ ვის ეხმარებოდა ვარანგთა რაზმი XI საუკუნის შუაზე, ბაგრატ მეფეს, თუ მის წინააღმდეგ აჯანყებულ ლიპარიტს. ეს ფართო მსჯელობა რომ ავტორს იმ მიზნით ეწარმოებინა, რათა შეუქი-რაიმე შეეტანა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში, ასეთი შრომა გამართლებული იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ეტყობა, რომ ავტორს ამ შემთხვევაში ასეთი მიზანი ამოქმედებდა. ამიტომ ეს წიაღსვლა ავტორის ხელში უბრალო ცნობისმოყვარეობად და, მაშასადამე, გაუმართლებელ შრომად გამოიყურება, მაგრამ აღნიშნული ცოდვა, სამწუხაროდ, დამძიმებულია იმით, რომ აქ ავტორის მსჯელობა არსებითადაც მცდარია.

საქმე შემდეგშია, ქართულ წყაროში (მატიანე ქართლისაჲ), იქ, სადაც საუბარია ბაგრატ მეფესა და ლიპარიტ ერისთავს შორის ბრძოლაზე (XI საუკუნის 40-იანი წლები), აღნიშნულია: „და იყუნეს თანადგომ (M თანადგომნი) ლიპარიტის კახნი ძალითა მათითა, და დავით სომეხთა მეფე ძალითა მისითა. განძლიერდეს ივინი ძალითა მათითა ამას (M-ამის) კერძოსა ქართლისასა, და იყო მი-და-მო საუბარი კელოვნებისა (M-საურავი⁶ კელოვნად).

⁶ აბზაცი ჩვენია.

და მოვიდეს ვარგნი (M-ვარანგნი) სამი ათასი (M-სამ ათასი) კაცი (M-და დააყენა შუას—B: ბაშს—გარედამოიტანა—B: გარდმოიტანა თანა შვიდასი კაცი). (M, B უმატებენ: და), მოვიდა ბაგრატ შიდათ (M — შვიდასითა) ლაშქრითა და ამით ვარანგითა, მესხნი ველარა მოილოდინენს. მივიდეს და შეიბნეს თავსა სასირეთის ჭალისასა, გაიქცა შიდას (M-შიგა, B-შიდა) ლაშქარი. და ომსა (M-ჰმისა) ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მისთანა; და (MB-abest) ვერლარა უძლეს ბრძოლად (M-ბრძოლა, B-ბრძოლაჲ) ვარანგთა ბრძოლად (M-ვარანგთა). (M-უმატებს:—და) მისცნა (M-მისცა) ლიპარიტ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს და ეგრეთ ლიხი (—ლხინი) გარდავლეს⁴⁷. თავდაპირველად უნდა ვუსაყვედუროთ ავტორს: როცა ნარიაშისა და ანასეული ნუსხები გვაქვს, მხოლოდ ბროსეს მიერ დაბეჭდილი ვარიანტით დაკმაყოფილება შეუძლებელია. ასეთი საყვედური მით უფრო მართებულია, რომ მოტანილი ტექსტი ი. ცინცაძეს და ზოგიერთ ვინმეს სხვადასხვანაირად ესმით. ამავე დროს ამ თხზულების მეცნიერული (კრიტიკულად დადგენილი) ტექსტი არ მოიპოვება. ასეთ პირობებში სხვადასხვა ნუსხების ტექსტუალური ჩვენებანი გადამწყვეტი მნიშვნელობისა შეიძლება აღმოჩნდეს.

მოტანილ ტექსტში ი. ცინცაძეს აინტერესებს, თუ ვის მხარეზე იბრძვიან „ვარანგები“. ჩვენი ავტორისათვის უდავოა, „რომ სამი ათასი ვარანგი ბაგრატ VI-თან მოვიდნენ (sic.—ნ. ბ.). ბაგრატს ისინი დაუბანაკებია ბაშს. ამათგან შვიდასი კაცი წაუყვანია ბაგრატს და თავის „შიდა ლაშქრისათვის შეუერთებია, მესხების შემოერთებას და მოსვლას ველარ დაელოდა ბაგრატი და შეება ლიპარიტს სასირეთის ჭალის თავს, ბაგრატ მეფის ქართველთაგან შემდგარი ძირითადი რაზმი გაქცეულა, მართო ვარანგებს ბრძოლა ვერ გაუგრძელებიათ და ბაგრატი დამარცხებულა“ (გვ. 18). ამრიგად, ჩვენი ავტორის აზრით, ვარანგები ბაგრატის მხარეზე იბრძვიან (ამავე აზრის არიან ვახუშტი, მ. ჯანაშვილი). ამ ცნობის სისწორეში დაეჭვებულა ბიზანტიანისტი ვასილევსკი: ბურძნულ წყაროების მიხედვით მოსალოდნელი იყო წინააღმდეგი. ვასილევსკის თხზულებათა გამომცემელთ ნ. მარისათვის მიუმართავთ თხოვნით, რათა მატიაზე ქართლისაჲს ეს ადგილი, რომელსაც აკად. ვასილევსკი ბროსეს თარგმანით იცნობდა, შეემოწმებინა და ეთარგმნა, ნ. მარს ტექსტი არსებითად შეუსწორებია, თუმცა საამისო დასაბუთება არ წარმოუდგენია, და მიუღია, რომ ვარანგები არა ბაგრატის, არამედ ლიპარიტის მხარეზე იბრძოდნენ.

7 ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 137. ვარიანტული ჩვენებანი ჩვენია. განვეთილობის ნიშნები რედაქტორისეულია.

ი. ცინცაძე ამ პუნქტში მარს არ ეთანხმება და საკმაო საფუძვლიანობით ამტკიცებს, რომ ისტორიული მონაცემები (ქართული და ბერძნული წყაროები) არ იძლევიან იმის კატეგორიულად მტკიცების უფლებას, თითქო ბაშს მოსული ვარანგები ლიპარიტის დამხმარე ის ჯარი იყო, ბერძენთა კეთსარმა რომ მოაშველა მას ბაგრატის წინააღმდეგ (მაგრამ ჩვენი ავტორი ამით იმ გარემოებას მაინც ვერ უარჰყოფს, რომ აღნიშნული ისტორიული მონაცემები ასეთ ეჭვს საკმაო საფუძველს უქმნის).

ასეთ პირობებშიო, მსჯელობს ავტორი, „მატიანის ცნობა უნდა იქნეს გამოსავალ წერტილად მიჩნეული“. და ვინც არ უნდა წაიკითხოს მატიანის ეს ადგილიო, — განაგრძობს ის, — არ შეიძლება მან ვარანგები ლიპარიტის მხარეზე დაინახოს. საკმაოდ გარკვევით არის იქ ნათქვამი, რომ ვარანგები ბაგრატის ლაშქარში იმყოფებიან (გვ. 22).

ი. ცინცაძის მსჯელობა იმ მხრით არის სწორი, რომ ასეთ პირობებში ჩვენი წყაროს „ცნობა უნდა იქნეს გამოსავალ წერტილად მიჩნეული“. მაგრამ საქმეც „მატიანის ამ ცნობის“ გაგება-დადგენაშია. აქ კი ჩვენი ავტორის პოზიცია სადავოა. მკვლევარი უნდა ცდილიყო ტექსტის კრიტიკულ დადგენას. ის კი ამისათვის თავს არ იწუხებს და უკრიტიკოდ იზიარებს ერთ-ერთ ვარიანტს. წყაროს ავტორისეული კრიტიკა, სამწუხაროდ, მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მან (ი. ცინცაძემ), დაუსაბუთებლად (და უმართებულოდ) უკუაგდო და არც კი მოიტანა ტექსტის ის ადგილი, რომელიც მას „სრულიად გაუგებარი და უადგილო“ ეჩვენა (25). ამავე დროს ისე ჩანს, რომ ხსენებული ადგილი სწორედ ვარანგებს შეეხება. ჩვენი ავტორი სამართლიანად უსაყვედურებს ნ. მარს ნებისმიერად, საკმაო დასაბუთების გარეშე, ტექსტის შესწორებას და ვერ ამჩნევს, რომ თვითონაც ასევე სცოდავს, როცა სრულიად დაუსაბუთებლად უკუაგდებს ტექსტის იმ მონაცემს, რომელიც ნ. მარისმიერი ოპერაციის ერთ-ერთ საფუძვლად გამოიყურება.

ჩვენ კი გვგონია, რომ ვარანგები ლიპარიტის მხარეზე იბრძვიან და ამის საფუძველია არა სხვა ისტორიული მონაცემები იმდენად, არამედ სწორედ ეს ტექსტი.

ი. ცინცაძის პოზიცია, ერთი შეხედვით, იმითაა ძლიერი, რომ ქ-ცას სამივე ვარიანტი თანხმობით უჩვენებს „მოვიდა ბაგრატ შიდა ლაშქრითა ამით ვარანგითა“ (უხეირო იქნებოდა ფორმა „ვარანგითა“ უნდა დაგვეშვა, რომ მწერალმა იხმარა *pars pro toto*). სამივე ვარიანტი მოწმობს, თითქო, რომ ვარანგები ბაგრატის მხარეზე იბრძვიან. მაგრამ ი. ცინცაძის პოზიციის სიმტკიცე ამაზე თავდება. როგორც ისტორიული მონაცემები, ისე ტექსტზე დაკვირვება თანხმობით იძლევა იმის საფუძველს, რომ მოტანილი ადგილი უნდა შესწორდეს.

1. უპირველეს ყოვლისა, ამ ტექსტიდან, როგორც ის ჩვენამდეა მოღწეული, პირდაპირ არც კი ჩანს, ვინ გაიმარჯვა სასირეთის ომში: ლიპარიტის გამარჯვებას აქ ბაგრატის დამარცხებით დავასკვნით მხოლოდ. არც ის ჩანს პირდაპირ, თუ ლიპარიტმა ვისი საშუალებით გაიმარჯვა ისტორიკოსი ვახუშტი, როგორც ჩანს, ამ გარემოებას დაუფიქრებია. სიძნელის გადასალახავად ვახუშტი ლიპარიტის მხარეზე ამ ომში კახელებსა და სომხითარებს ვარაუდობს (ვახუშტი, საქ. ისტორია, ნაწ. 1, დ. ბაქრაძის რედაქციით, 1885 წ., გვ. 156—157). ტექსტი კი არ გულისხმობს, რომ კახნი და სომხითარნი ამ ომში უთუოდ მონაწილეობდნენ. კახთა და სომხითართა შესახებ, რომ ისინი „იყუნეს თანადგომ ლიპარიტისა“, ამ წყაროს ავტორს საუბარი აქვს ზემორე, ძალთა საერთო განწყობილების დახასიათებისას. სასირეთის ომში ამ მოკავშირეთა მონაწილეობას, ასეთ რასმე რომ ადგილი ჰქონოდა, ავტორი, საფიქრებელია, ამას პირდაპირ აღნიშნავდა, როგორც აღნიშნავს ხოლმე სხვა შემთხვევებში (ანასეული ქცა, 188).

წყაროში, ამრიგად, სასირეთის ომის მონაწილედ ჩანან მხოლოდ შიდა ლაშქარი და ვარანგნი. ისინი ბაგრატისანი არიან და მარცხდებიან. ვის მიერ? წყაროში ეს არ ჩანს. ამიტომ ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ა ტ ე ქ ს ტ ი ს შ ე ს წ ო რ ე ბ ა ზ ე ფ ი ქ რ ი.

2. ი. ცინცაძე არ ეთანხმება ნ. მარს იმაში, რომ მესხნი აქ ჩვენ წყაროს ლიპარიტის მომხრედ ჰყავს ნაგულისხმევი (ტექსტი, როგორც ჰყავდავთ, ისეა გამართული, რომ, თუ მესხნი ლიპარიტის მხარეზე იქნებიან ნავარაუდები, მაშინ ვარანგებიც ლიპარიტის მხარეზე უნდა ვიგულისხმოთ, და, მაშასადამე, ტ ე ქ ს ტ ი უ ნ დ ა შ ე ს წ ო რ დ ე ს). ი. ცინცაძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ მესხები შეიძლება ბაგრატის მხარეზედაც ყოფილიყვნენ და მოტანილი ადგილიც შეიძლება ასეთებს გულისხმობდესო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ „მატ. ქართლისაჲს“ ავტორი, აქ მოტანილი ადგილის ზემორე, სწორედ იმ მესხებზე საუბრობს, მაწყვერელის მეთაურობით ბაგრატს რომ განუდგნენ და ლიპარიტს მიუვიდნენ. და როცა უშუალოდ ამის შემდეგ საუბრისას ჩვენი წყაროს ავტორი ლაპარაკობს: „მესხნი ველარა მოილოდინესო“, მას, ბუნებრივია, მხედველობაში ჰყავს იგივე მესხები, ლიპარიტის მომხრენი. თუ ეს არა, მაშინ მოსალოდნელი იყო, რომ ავტორი განმარტავდა ამ სხვა მესხებს ბაგრატის მომხრეებად. ასე რომ მესხნი ლიპარიტის მომხრენი ჩანან, მაშასადამე, კ ა ნ ო ნ ი ე რ ი ა ფ ი ქ რ ი ტ ე ქ ს ტ ი ს შ ე ს წ ო რ ე ბ ა ზ ე.

3. მოვიტანოთ ერთხელ კიდევ ტექსტი: და მოვიდეს ვარგნი (M — ვარანგნი) სამი ათასი (M — სამათასი) კაცი. (M—და დააყენა შუას —

B—ბაშს. გარდამოიტანა — B: გარდმოიტანა თანა შვიდასი კაცი (MB უმატებენ—და) მოვიდა ბაგრატ შიდათ (M—შვიდასითა) ლაშქრითა და ამით ვარანგითა...“

ი. ცინცაძე აქ ორ წინადადებას ხედავს. პირველის ქვემდებარე ვარანგნი, მეორესი — ბაგრატ. მაგრამ ეს მეორე წინადადება ასეთი სახით ყოვლად უჩვეულო და უწიგნურია ქვემდებარის ადგილის თვალსაზრისით: „და დააყენა ბაშს გარდმოიტანა თანა შვიდასი კაცი მოვიდა ბაგრატ შიდას ლაშქართა და ამით ვარანგითა“ (ჩვენ ზემოთ შევნიშნეთ, რომ „ვარანგითა“ ასევე მოულოდნელია). მაგრამ უწიგნურობა უმალ გაქრება, თუ „დააყენა“ — „გარდმოიტანა“ შემასმენელთა ქვემდებარე ზემოთ იქნება ნაგულისხმევი (ანასეული ქცა, გვ. 185ი). რომელმაც „გამოიყენანა ახლად საბერძნეთით დემეტრე... განხეთქნა ამისა სამეფოსა კაცნი... რომელნიმე წარუდგინა დემეტრეს... ითხოვა (თავისი შვილი ივანე) ბაგრატისაგან, ნაცულად გაუშუა აბუსერი“. აი, ამანვე „დააყენა ბაშს (ვარანგები და) გარდმოიტანა თანა შვიდასი კაცი“. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ შინაარსეულად შეუძლებელია: „მოვიდა ბაგრატ შიდა ლაშქრითა და ამით ვარანგითა“ იმიტომ, რომ ვარანგები ლიპარიტმა „გადმოიტანა“. და ტექსტიც უნდა შეესწორდეს.

4. რას ნიშნავს გამოთქმა „ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა“? იმას კი არა, თითქო ვარანგებმა ვერ შეძლეს ბრძოლა (როგორც ამას ი. ცინცაძე ფიქრობს), არამედ იმას, რომ „იმათ“ ვერ შეძლეს ვარანგებთან ბრძოლა ან უკეთ, რომ იმათ ვერ გაუძლეს ვარანგებთან ბრძოლას. ავტორს რომ იმისი თქმა სურვებოდა, რასაც ი. ცინცაძე გულისხმობს, ის იტყოდა: „ვარანგთა ვერღარა უძლეს ბრძოლა“. ვინ ვერ შეძლო ვარანგებთან ბრძოლა, ვინ ვერ გაუძლო მათ ბრძოლას? — ვინც მათ შეება. საქმის ისე წარმოდგენა, თითქო ვარანგებს არ უბრძოლნიათ, შეუძლებელია, ამას უარყოფს გამოთქმა „ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა“.

რალა გამოდის? ბაგრატმა შიდა ლაშქარი და ვარანგები მოიყვანა. შიდა ლაშქარი გაიქცა, დიდებულები ტყვედ ჩაუცვივდნენ მტერს, ხოლო ვარანგებმა გაიმარჯვეს, ბაგრატი კი დამარცხდა (და აფხაზეთს გადავიდა). გაუგებრობა აშკარაა. მაშ ტექსტი უნდა შეესწორდეს.

ეხლა ერთის წუთით დავეთანხმეთ ი. ცინცაძეს და ვიგულისხმეთ, რომ „ველარ უძლეს ბრძოლად ვარანგთა“ ნიშნავს, რომ ვარანგებმა ვერ შეძლეს ბრძოლა ლიპარიტის ჯართან, ე. ი. რომ ვარანგები დამარცხდნენ. მაშინ მართლაც ყოვლად გაუგებარი დარჩება, თუ რატომ მისცნა მათ ლიპარიტმა პაშტნი. და ჩვენ ან უნდა ი. ცინცაძესავით ტექსტს ჩამო-

ვაცილოთ ეს ადგილი (რა უფლებით??) ან უნდა ტექსტის შესწორებაზე ვიფიქროთ.

5. ტექსტის ისეთი გაგებისას, როგორც ის ი. ცინცაძეს ესმის, მართლაც „სრულიად გაუგებარი და უადგილო ჩანს“ მისი ბოლო ნაწილი: „მისცნა ლიპარიტ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს და ეგრეთ ლიხი გარდავლეს“. „შიდა ლაშქარი“ გაიქცა, აბუსერი და სხვანი დიდებულნი შეიპყრეს, მართო ვარანგებმა ბრძოლა ვერ შეძლეს, ბაგრატი დამარცხდა, ლიპარიტმა გაიმარჯვა. ასეთ პირობებში გაუგებარია, ვის „მისცნა ლიპარიტ პაშტნი (კონტექსტით თითქო დამარცხებულ ვარანგებს...), ვინ ისინი (ვარანგები?) უკაზმიდეს პურსა და ვის იმათ, — და ვინ „გარდავლეს“ ლიხი...

მაგრამ საკმაოა ტექსტი შესწორდეს, რომ ეს „სრულიად გაუგებარი და უადგილო“ რამ ბუნებრივი და გასაგები გახდეს (სწორედ ეს გარემოებაა ერთ-ერთი საბუთი იმისა, რომ ტექსტი უნდა „შესწორდეს“). ი. ცინცაძე რომ ამ ფაქტს ჩაფიქრებოდა, ის სულ სხვა დასკვნებს მიიღებდა.

ლიპარიტმა (ვარანგებით) დაამარცხა ბაგრატი (მისი „შიდა ლაშქარი“). ამ ომში შეიპყრეს აბუსერი და ბაგრატის სხვა დიდებულები. ლიპარიტმა ტყვე დიდებულები შეურაცხყოფელი სასჯელით დაამცირა: მისცა მათ ცხრილები (მისცა პაშტნი⁸) და ფქვილი აცრევიანა (თუ ხორბალი აწმენდინა?) გამარჯვებული ვარანგებისათვის („და წინა მათრა პურსა უკაზმიდეს“).

6. მარი იწყნარებს B ქცას მონაცემს — „და ეგრეთ ლიხი გარდავლეს“ და თარგმნის ასე: так потешились (победители). M ვერსიის მონაცემი — „და ეგრეთ ლიხი გარდავლეს“ — მას გადამწერის დამახინგებად მიაჩნია და ურთავს: „Случайно так называется одна горная цепь и потому чтение версии ц. Марии можно понять так: „как перешли через [гору] Лих““. труды В. Г. Васильевского, т. 1, 316 — п. 7 ეს კონიექტურა მისაღები არაა. ჯერ ერთი „ლიხი გარდავლეს (потешились) უჩ-

⁸ მაგრამ შეიძლება სიტყვა პაშტნი სომხურ պաշտի, պաշտისაკ-ს* და ელავშიროთ და პაშტი მსახურის შესატყვისად ვიცნოთ (თუ შახურს* ასეთი შესატყვისი აღმოაჩნდებოდა ქართულში, სულერთია, უშუალოდ ძველი სპარსულიდან შემოსული, სომხურის მეშვეობით, — ეს მეტად საინტერესო ფაქტი იქნებოდა „მსახურის“ ცნების შინაარსის ევოლუციის გასათვალისწინებლად). მაშინ საქმე შემდეგნაირად წარმოგვიდგება. ლიპარიტმა თავის მოკავშირე ვარანგებს მისცა მსახურები, რომელნიც მათ „პურს უკაზმიდეს“, ვიდრე გამარჯვებული ვარანგები ლიხს გარდავილიდნენ და თავისიანებს დაუბრუნდებოდნენ.

ასეთი გაგების წინააღმდეგ არსებითად არაფრის თქმა არ შეიძლება და ის უფრო ბუნებრივიადაც გამოიყურება.

ვეულოა და სათუო. ავტორი გრძნობს ამ გარემოებას და თავისი თარგმანის გამო შენიშნავს: „Буквально по идиомизму грузинской речи: так перешли потеху“. მეორე, ნ. მარს შესადარებლად ქცას M ვერსია ჰქონდა. დღეს ჩვენ ქცას A ვერსიაც მოგვეპოვება, რომელიც ამ ადგილში მხარს უჭერს M ვერსიას—ლიხი. რატომ უნდა მიენიქოს უპირატესობა B ვერსიას?

მესამე, ასეთ პირობებში ამა თუ იმ წინაკითხის მეტი სანდოობა სხვა დამატებითი საფუძვლებით უნდა დამტკიცდეს. ნ. მარს საამისო რაიმე საბუთი არ მოაქვს. ჩვენ კი მისი მოსაზრების საწინააღმდეგოდ შეგვიძლია მოვიტანოთ: „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორმა ზემოთ აღნიშნა, რომ ლიპარიტმა სამი ათასი ვარანგი ბაშს დააბანაკა და მათი ერთი რაზმი, — შეიდასი კაცისაგან შემდგარი, თან გადმოიყვანა ქართლში. მოსალოდნელი იყო, რომ მემატიანე იმასაც გვაცნობებდა, თუ ომის დამთავრების შემდეგ რა მოუვიდა ვარანგების ამ რაზმს. და მართლაც, ამბის მთხრობელი გვატყობინებს იმასაც, თუ საით წავიდნენ გამარჯვებული ვარანგები, როგორც მოსალოდნელი იყო, ვარანგებმა ლიხი (თუ ლიხნი) გარდავლეს, ე. ი. უკან დაბრუნდნენ თავიანთ მეტომეებთან).

სურათი ნათელია და ისტორიულად სავსებით მისაღები. ამიტომ ჩვენ გვგონია ქცას B და M ვერსიების წაკითხვა — „და ეგრეთ ლიხი გარდავლეს“ — სწორია, ხოლო ქცას B ვერსიის „ლიხნი“, ნ. მარი რომ იწყნარებს, გადამწერის დამახინჯებაა: უნდა ყოფილიყო „ლიხნი“ („ლიხის“ ძველი ფორმა).

როგორც ხედავთ, „გაუგებარი და უადგილო“ აქ აღარაფერია: პირიქით, მოვიპოვეთ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობა იმის შესახებ, თუ საით წავიდა გამარჯვების შემდეგ ვარანგთა რაზმი.

მაგრამ ყველაფერი ეს, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებელი შეიქმნა იმიტომ, რომ გავიზიარეთ მოსაზრება ვარანგთა ლიპარიტის მხარეზე ყოფნის შესახებ სასირეთის ომში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სათანადო ტექსტი ისე უნდა შესწორდეს, როგორც ეს ნ. მარმა შეასწორა: „ამათ ვარანგთა“.

ი. ცინცაძე ტექსტის ასეთი შესწორებისათვის ერთ-ერთ დაბრკოლებას იმაში ხედავს, რომ ბაში „აფხაზეთში“ (—იმერეთში) იყო, ხოლო იქ ვარანგების „დასაყენებლად ლიპარიტს ხელი არ მიუწვდებოდა“. ეს დაბრკოლება მოჩვენებითია. ჩვენს ავტორს ავიწყდება საკუთარი მოსაზრება იმის შესახებ, რომ მესხები შესაძლებელია ყოფილიყვნენ და იყვნენ კიდევაც. მომხრენი როგორც ლიპარიტის, ისე ბაგრატის, და ასეთი დაყოფა მეფისა თუ ლიპარიტის მომხრეებად დამახასიათებელი იყო იმ დროს არა მხოლოდ სამცხისათვის, არამედ ასევე საქართველოს სხვა მხარეებისათვისაც. აკი წყაროს ავტორი სწორედ ამის

ზემორევე აღნიშნავს, რომ ლიბარიტმა „განხეთქნა ამის სამეფოსა კაცნი, რომელნიმე წარუდგინა დემეტრეს და რომელნიმე დარჩეს ბაგრატის ერთგულებასა შინა“ (ანასეული ქცა, 187). ვინა სთქვა და სად, რომ ლიბარიტ-დემეტრეს დას. საქართველოში („აფხაზეთში“) მომხრენი არა ჰყოლიათ? აკი ზემოთ მემატიანე პირდაპირ მიუთითებს კიდევაც (ანასეული ქცა, 183, 184), რომ ანაკოფიის ციხეში მყოფი დემეტრეს გამეფება „გულს ედვა“ არა ერთ აზნაურს. დასაშვებია განა, რომ დემეტრეს მომხრე ეს აზნაურები ყველა აღმოსავლეთ საქართველოდან იყვნენ?

არც ის დაბრკოლებაა გარდაუღლაველი, ი. ცინცაძე რომ აღნიშნავს მარის მიერ შესწორებული ტექსტის გამო: „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვარანგთა 700 კაცისაგან შემდგარი რაზმი თვით არის ბრძოლის თადარიგის ინიციატორი, ლიბარტი არსად ჩანს, ვარანგები წყვეტენ საკითხს, მესხებს დაელოდონ თუ არა. ვინ მისცა ვარანგებს ამის უფლება“ (გვ. 29).

წყაროს მიხედვით აქ არც ინიციატივის საკითხია დასასმელი და არც უფლებიანა. მარის მიერ შესწორებულ ტექსტში ვკითხულობთ: „და ამით ვარანგთა მესხნი ვ ე ღ ა რ ა მოილოდინნეს“ და არ სწერია „მესხნი არღარა მოილოდინნეს“. ე. ი. ლიბარტის მიერ მოყვანილი ვარანგები იძულებული იყვნენ შებმოდნენ ბაგრატის შიდა-ლაშქარს, რომელიც ბაშიდან მოსულ ვარანგებს თავს წამოადგა (თუმცა ესეც რომ არ იყოს და „ვეღარა მოილოდინნეს“ ნაცვლად „არღარა მოილოდინნეს“ ეწეროს, მაშინაც კი უცნაური არაფერი იქნებოდა: ვარანგების ამ „ინიციატივიდან“ ლიბარტის მეთავეობა გამორიცხულად მაინც არ იქნებოდა საგულისხმებელი).

ი. ცინცაძე ძირითადად იზიარებს ვასილევსკის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვარანგთა რაზმი, რომელიც „თავდაპირველად დემეტრეს და ლიბარტს გამოჰყვა, — შემდეგ ბაგრატმა გადაიმხრო“ (31).

ყველა იმის შემდეგ, რაც ზემოთ ითქვა, სპეციალური საუბარი ავტორის ამ მოსაზრების შესახებ ჩვენ აღარ დაგვიკირდება, რადგან ვარანგები ბაგრატს არც თავისით მისვლიან და ისინი მას არც გადმოუბირებია.

9 საბოლოოდ ამ საკამათო ტექსტის ისტორია ჩვენ შემდეგნაირად წარმოგვიდგება. თავდაპირველად ტექსტი ასეთი იყო:

„და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი და დააყენა ბაშს; ვარდმოიტანნა თანა წელიასი კაცი. და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა, და ამით ვარანგთ მესხნი ვეღარა მოილოდინნეს, მივიდეს და შეებნეს თავსა სასირეთის ჰალისასა: გაიქცა შიდა ლაშქარი და ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მისთანა: ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა; მისცნა ლიბარტ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს: ეგრეთ ლინნი გარდაელეს“. ერთ-ერთი უძველესი ნუსხის გადამწერმა „ამათ ვა-

როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, ი. ცინცაძე არ ეთანხმება ვასილევსკის, თითქო „ბერძენთა მეფისა ლაშქარი“ და ბაშს დაყენებული სამი ათასი „ვარანგი“ ერთი და იგივე იყოს. აქ ჩვენი ავტორი უსაბუთო არ ჩანს, ვარანგთა და ქართველთა ურთიერთობის საკითხის შესწავლისათვის ხსენებული დეტალის კატეგორიულად გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამდენადვე სამწუხაროა, რომ ი. ცინცაძე აქ უფრო

რანგთა“ ნაცვლად დაწერა „ამით ვარანგითა“. ასეთი შეცდომა შეიძლებოდა სამი მიზეზის გამო: 1. მატინანე ქართლისა, გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, ნუსხა ხუცურით იყო დაწერილი. ასეთ პირობებში ადვილწარმოსადგენია, რომ პატივ ქვეშ მყოფი, შესაძლებელი, სიტყვები: ა მ ა თ ვ რ ნ გ თ ა გადაწერა ვახსნა „ამით ვარანგითა“, 2. და ეს იმიტომ, რომ, მისი აზრით, ვარანგები ბაგრატს შევლოდნენ, ხოლო ასეთ გაგებას ხელა შეუწყო, უნდა ვიფიქროთ, იმ გარემოებამ, რომ ის, ვინც ვარანგები „დააყენა“ და ვინც მათგან შეიღასა კაცი „გადმოიტანა“ (ე. ი. ქვემდებარე „ლიბარტი“) მეტად შორსაა აქედან დასახელებული. 3. ამასვე, უნდა ვიფიქროთ, ხელი შეუწყო იმ გარემოებებმა, რომ, თუ განსაკუთრებით არ ჩაუყვირდებით, ადამიანს ადვილად ეჩვენება, თითქო ლიბარტი შეყრილი ლაშქრით (ბერძენთა ძალით, სომეხთა მეფის ძალით და კახელებით) მზადა დგას ბაგრატთან ომს ელოდება, თითქო ამ დროს მოვიდნენ ვარანგნი, რომელთა დახმარებით ბაგრატი შეეება მას. ნამდვილად კი ეს ასე არაა. ის, რაც ზემორეა მოთხრობილი, ამაზე წინ მომხდარი ამბავია. ავტორი აქ გვაცნობს საერთო სიტუაციას...

რაკი გადამწერმა შეცდომა დაუშვა, შეიქმნა სრულიად ახალი კონიექტურა. რომლის გამართვა თავს იღვეს შემდგომმა გადამწერლებმა თუ რედაქტორებმა. ჯერ კიდევ ანასეული ნუსხის გადამწერი შეეცადა (ქვეცნობიერად?) შეესწორებინა ერთი შეუსაბამობა. ძველ ტექსტში ეწერა „ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა“— (ე. ი. „იმით“ იერ შემდგეს ვარანგებთან ბრძოლა) გადამწერმა კავშირი და-ს წინდართვით ეს წინადადება უშუალოდ დაუკავშირა ბაგრატის შიდა ლაშქრის დამარცხებას და მის დიდებულთა დატყვევებას, ხოლო ამავე წინადადების ბოლოს სიტყვა „ბრძოლად“ გამეორებით (და ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა „ბრძოლად“) გადამწერმა (ქვეცნობიერად?) გამოამჟღავნა, რომ ის ამ წინადადების აზრს არ ეთანხმება, თუმცა ტექსტი გადაჭრით ისე მაინც ვერ შეცვალა, როგორც, უნდა ვიფიქროთ, მას ესმოდა: რომ ვარანგებმა ვერ უძლეს ბრძოლა იმით წინააღმდეგ: ამას მოითხოვდა მიღებული კონიექტურა, რომ ვარანგები ბაგრატის მხარეს იბრძოდნენ. ი. ცინცაძის გაგება, რომ ვარანგებს ომში მონაწილეობა არ მიუღიათ, რა თქმა უნდა, ყოველ შემთხვევაში მცდარია). რედაქციის შემდგომი საფეხურია ჯანაშვილისეული ნუსხა. სწავლულ კაცთა კომისიამ ტექსტი კიდევ უფრო არსებითად შეასწორა— „და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი და დააყენა ბაშს გარდამოიტანა თანა შეიღასი კაცი მოვიდა ბაგრატ შიდას ლაშქრითა და ამით ვარანგითა“, უწიგნურად რომ გამოიყურებოდა (უკეთეს ბაგრატი იყო ის, ვინც დააყენა ვარანგები ბაშს და ვინც გარდამოიტანა თანა შეიღასი კაცი), კომისიამ წიგნიერად შეცვალა. „მაშინ მოერთნეს მეფესა ბაგრატს ვარანგნი სამი ათასი კაცი და დააყენა ბაშს და გარდამოიტანა მეფემან თანა შეიღასი კაცი და მოვიდა შიდათ ლაშქრითა და ამით ვარანგითა“. აქ უკვე, როგორც ვხედავთ, ნათელია, თუ ვის მოუვიდნენ ვარანგები, ვინ დააყენა ისინი ბაშს, ზინ გადმოიტანა შეიღასი კაცი. მართალია, კომისიას ამას ქვემოთ დარჩა რამდენიმე ბნელი ადგილი: მან არ აღნიშნა გარკვევით, თუ ვის შე-

მეტის საბუთიანობით ვერ წარმოდგა და წყაროების ჩვენება-
ნი ამოწურვით ვერ გამოიყენა. „აფხაზეთში“ (—დას. სა-
ქართველში) სამი ათასი ვარანგი მოვიდა. რატომ აფხაზეთს მოვიდა?
საიდან მოვიდა? ზღვით მოვიდა თუ ხმელით? რატომ დააყენეს ბაშს?
საფიქრებელი ხდება, რომ ისინი ზღვით მოვიდნენ: სანაოსნო პუნქტ-
ში—ბაშს—დააყენეს; რატომ მხოლოდ 700 კაცი მოიხმარიეს ომში და

ება ბაგრატი შიდა ლაშქრით და ვარანგებით. კომისია ლიპარიტის მხარეზე, უეპვე-
ლია, ბერძენთა ძალას, კახელებსა და სომხთარებს ვარაუდობს, მაგრამ რედაქტორებს
შეშვენოდათ აქაც, მეტი გარკვეულობისათვის, დაესახელებინათ ისინი, როგორც ეს
ჩაიღინა ამ ტექსტის უკანასკნელმა რედაქტორმა ვახუშტიმ (იხ. ქვემოთ). სამწუხაროდ,
ჯანაშვილისეული ნუსხა ამ ადვილას ნაკლულია და ჩვენთვის საინტერესო ტექსტს ბო-
ლო აკლია. ამიტომ ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ გაართვა თავი კომისიამ ამ უკანას-
კნელ სიძნელეს, ცნობის ბოლოზე რომ გვხვდება — „მისცნა ლიპარიტ პაშტნი და
წინა მათსა პურსა უკაზმიდეს და ევრეთ ლიხი ვარდავლეს“. რედაქციის უკანასკნელი
საფეხურია ვახუშტი. ეს მეცნიერი იწყნარებს ვახტანგის კომისიის მეთოდს და ტექსტს
გაზრთავს ისე, როგორც ეს მას ესმის. ამას ის აკეთებს უფრო გაბედულად და თან-
მომდევრულად, ვიდრე სწავლულ კაცთა კომისია.

ისევე, როგორც სწავლულ კაცთა კომისიის რედაქციით, ვახუშტითაც „ბაგრატს
მოერთვნენ სამი ათასი ვარანგნი“. ამის შემდეგ ვახუშტი სხვებისაგან განსხვავებით,
არ აღნიშნავს, რომ მეფემ ისინი ბაშს დააყენა, მაგრამ, რომ ასეთი ცნობა მას ნებისად
გამოუტოვებია, იქიდან ჩანს, რომ „მოიყვანა (და არა ვარდამოიარანა) მეფემან შვი-
ლასი მათგან ი“. შემდეგ ვახუშტი, ასევე სხვებისაგან განსხვავებით, „შილითა
ლაშქარისა“ მაგივრად წერს „შიდა ქართველნი“, რაც ამ მეცნიერის კომენტარს
წარმოადგენს (თავისთავად „შიდა ლაშქარი“ სრულიადაც არ ნიშნავს მაინცა და მა-
ინც „შიდა ქართველს“, ის ასევე შეიძლება „აფხაზეთის“ ე. ი. ლიხთი იქითის ლაშქარს
ნიშნავდეს. შირ. ანასეული ქცა 212, სადაც „შილითა სპითა“ ნიშნავს ლიხთ-
იმერეთის სპას...). ასევე მეტი გარკვეულობა შეაქვს ტექსტში მეცნიერ-ისტორიკოსს,
როცა არც მთლიანად ნათელ „მესხნი ვერღარა მოილოდინეს“ (ვინ ვერ მოილოდინა?)
ნაცვლად გარკვევით წერს: „მეფემან... მესხნი ვერღარა მოიცადა“. ასევე, ისტორიული
თქრობის გარკვეულობისათვის მეცნიერი რედაქტორი ურთავს ტექსტში იმ წინადადებ-
ას, რომელიც მისი აზრით (ისევე როგორც სხვა რედაქტორების აზრითაც) აქ იგუ-
ლისხმება: „და ლიპარიტცა მოვიდა კახით და სომეხთა მეფით დავითით“, ესლა სრუ-
ლიად ნათელია ვინ ვის შეება სასირეთის „ჭალასა შინა“. ამის შემდეგ ვახუშტი მოკ-
ლედ აღნიშნავს „იძლიენეს ბაგრატიანნი“ (ნაცვლად წყაროსეული „გაიქცა შიდა
ლაშქარი“) და „შეიპყრეს კუალად აბუსერი და სხვანი დიდებულნიცა“ — და აქ მეც-
ნიერი რედაქტორი კიდევ ერთხელ აქტიურად ასწორებს ტექსტს: „და ვარანგთა ვერ-
ღარა უყვეს ბრძოლა“ (ნაცვლად წყაროსეული „ვერღარა უყვეს ბრძოლად ვა-
რანგთა“), მაგრამ რას ნიშნავს „და ვარანგთა ვერღარა უყვეს ბრძოლა“? იმას, რომ
ლიპარიტმა და მისმა მომხრეებმა, რომელთაც გაიმარჯვეს ბაგრატზე და „შეიპყრეს
კუალად აბუსერი და სხვანი დიდებულნიცა“, აი ამათ „ვარანგთა ვერღარა უყვეს ბრძო-
ლა“. რატომ ვერ „უყვეს ბრძოლა“, ვახუშტი არა ხსნის, მაგრამ ტექსტის ასეთი გა-
ება მას შევლის სიძნელეც გადალახოს, თუ რატომ მისცა ლიპარიტმა პაშტნი ვარან-
გებს: ვარანგები, მართალია, ბაგრატს ახლდნენ, მაგრამ ომში მონაწილეობა არ
შეუძლიათ. ბაგრატის ჯარის ქართული ნაწილის დამარცხების შემდეგ ლიპარიტის

არა ყველა სამი ათასი? საფიქრებელი ხდება, რომ ამისათვის მათი დაქირავება იყო საჭირო. ამასთან ხომ არ არის კავშირში მათიანე ქართლისას ავტორის ცნობა იმის შესახებ, რომ „ბერძენთა მეფისა განძი — შემეწე იყო“ ლიპარიტისა? რატომ აღარსად იხსენიებიან ეს ვარანგნი მას შემდეგ, რაც სასირეთის ომი მოიგეს და უკანვე „ლიხი გარდავლეს“? (გამოდის, რომ „ვარანგნი“, თუ ისინი მათიანე ქართლისაჲს იგივე „ბერძენნი“ არ არიან, — და ი. ცინცაძე ამტკიცებს, რომ არ არიანო, — საქართველოდან უკანვე წასულან). საით უნდა წასულიყვნენ ვარანგები, თუ ისინი მართლაც წავიდნენ? (საფიქრებელია, რომ ეს ვარანგები ბიზანტიაში არ დაბრუნებულან, თუნდაც რომ იქიდან მოსული ყოფილიყვნენ: ბერძნული წყაროები ასეთ მოსაზრებას უჭერენ მხარს).

ხოლო, თუ ვასილევსკი მართალია და დემეტრე-ლიპარიტის დასახმარებლად გამოგზავნილი ლაშქარი ბერძენთა მეფისა იგივე ვარანგებია (ე. ი. თუ მათიანე ქართლისაჲ ტერმინებს — „ბერძენთა მეფისა ლაშქარი“ — 187, „ვარანგნი“ — 187 და „ბერძენნი“ — 188 ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად ურთიერთის შესატყვისობით ხმარობს), მაშინ მთელი რიგი სხვა ისტორიული საკითხებისა იჩენს თავს, როგორც საქართველოს საშინაო თუ საგარეო (ბიზანტია) ურთიერთობიდან, ისე, კერძოდ, ქართველებისა და ვარანგების ურთიერთობიდან (ამ შემთხვევაში, მაგალითად, იძულებული ვიქნებოდით გვევარაუდნა, რომ ვარანგები მრავალი წლის განმავლობაში საქართველოში ბანაკობდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის შინაურ პოლიტიკურ ცხოვრებაში...).

სამწუხაროა, რომ ი. ცინცაძე ვარანგ-ქართველთა ურთიერთ ნაცნობობის ფაქტის აღნიშვნით კმაყოფილდება და ამ მოვლენის დადრმავებით შესწავლარი ვარანგებს უნდა შეგბოდა, მაგრამ „ვერღარ უყვეს ბრძოლა“ და ლიპარიტმა საშინო ვარანგები მშვიდობით გაისტუმრა: „მისცა პაშტნი, მათ გარდავლეს ეგრეთვე ლიხი“. უნდა ითქვას, რომ ვახუშტიმ არსებულს პირობებში, როგორც რედაქტორმა, საუკეთესო გამოსავალი ნახა, თუმცა ამისათვის მას დასჭირდა ტექსტში არსებითი ხასიათის შესწორების შეტანა: „უძღეს“ ნაცვლად „უყვეს“. წყაროსეული „ვერღარა უძღეს ბრძოლად ვარანგთა“ ნიშნავს, რომ „ისინი“ შეეგბნენ ვარანგებს და დამარცხდნენ, ხოლო ვახუშტისეული „და ვარანგთა ევლარა უყვეს ბრძოლა“ ნიშნავს, ისინი ვერ შეეგბნენ ვარანგებს, რომ საქმე ვარანგებსა და „იმათ“ შორის მშვიდობით დამთავრდა. მაგრამ, როგორც ვხედავთ ვახუშტის სხვა გამოსავალი არ ჰქონდა იმის ასახსნელად, თუ რატომ მისცა ლიპარიტმა ბაგრატიის მხარეზე მყოფ ვარანგებს პაშტნი (და ვარანგთა ვერღარა შეუძღეს ბრძოლა ლიპარიტის ლაშქართან. ამის თქმა რომ სურვებოდა, ვახუშტი დაწერდა „და ვარანგთა ვერღარა უყვეს ბრძოლა“ და მეორეც: მაშინ აუხსნელი დარჩებოდა ლიპარიტის მიერ პაშტის მცემა ვარანგებისათვის).

ლის მიზნით ფაქტისათვის ფიქრი არ მიუღევ-
 ნებია.

შემდეგ ავტორი აკვირდება სხვა ქართულ ლიტერატურულ ძეგ-
 ლებს და მართებულად განმარტავს, რომ ათონის მონასტრის სულთა
 მატიანეში მოხსენიებული იოანე რუსყოფილი არ არის ჩამომავლობით
 რუსი, როგორც ეს მოსე ჟანაშვილს და ეპისკოპოს კირონს ეგო-
 ნათ (35—38).

აქვე უნდა შევნიშნოთ: თუ ბიზანტია რუსთა და ქართველთა შეხ-
 ვედრის მარჯვე ადგილი იყო (და ეს მართლაც ასე იყო), ათონის მთა.
 როგორც შეხვედრის ადგილი რუსი და ქართველი მონაზვნებისა, რა
 თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა არის სავარაუდებელი. უნდა ვიცო-
 დეთ მხოლოდ, და ეს უნდა ეჩვენებინა ჩვენს ავტორს, თუ რა დროი-
 დანაა ბიზანტიაში და, კერძოდ, ათონზე რუსი მონაზვნების მოღვაწე-
 ობა დადასტურებული.

ამ პირველი თავის დასასრულს ი. ცინცაძე აკვირდება ბერძნუ-
 ლიდან ქართულად ნათარგმნ ლიტერატურას (42—52), საიდანაც მარ-
 თლაც ჩანს, რომ ქართველი საზოგადოება ამ ლიტერატურის გზით
 ასე თუ ისე იცნობდა „სკლავებს“ მაგრამ ესენი, როგორც სწორად
 შენიშნავს ჩვენი ავტორი, ბალკანეთის სლავები არიან (50) და, მაშ,
 შრომის ამ ნაწილს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან საერთო
 არაფერი აქვს.

ნაშრომის მეორე თავია: „კიევის სამთავროს ურთიერთობა საქარ-
 თველოსთან XII საუკუნეში და რუსი უფლისწული საქართველოში“.
 ის შეიცავს 122 გვერდს და მისი ორი მესამედი საქართველოში რუსი
 უფლისწულის შემოყვანასთან ასე თუ ისე დაკავშირებულ საკითხებს
 უჭირავს, როგორცაა: რუსი უფლისწულის შემოყვანის საკითხი, რუ-
 სი უფლისწული და ქართული პოლიტიკური დასები, „მეფე-ქმარის“
 საკითხი საქართველოში, რუსი უფლისწულის გაძევებისა და მისი
 კვლავ შემოყვანის საკითხი სამეფო კარის გარშემო პოლიტიკური
 ბრძოლის სინათლეზე და სხვ.

XII საუკუნის საქართველოს ამ უაღრესად საინტერესო შინა-პო-
 ლიტკურ საკითხებს არავითარი კავშირი არა აქვთ რუსეთ-საქართვე-
 ლოს ურთიერთობასთან და ამ თვალსაზრისით აქ ისინი ზედმეტი ჩანან.
 ეს მსჯელობა, მას 80 გვერდი უჭირავს, საქმისათვის უზიანოდ შეეძლო
 გამოეშვა ავტორს: ნაშრომი ამით არა თუ არაფერს დაკარგავდა, მოი-
 გებდა კიდევაც: ზედმეტ სიმძიმესთან ერთად ავტორი თავის ნაშრომს
 იმ შეცდომებისაგანაც განტვირთავდა, ამ ფრიად რთული და სპეცია-
 ლური საკითხების შესახებ მსჯელობისას რომ მოსვლია მას.

ჩვენ შეგვეძლო ასეთი შენიშვნით გვერდი აგვევლო ნაშრომის ამ ნაწილისათვის და სხვა, საკუთრივ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიასთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხებისათვის დაგვეთმო გულისყური, მაგრამ ამ ნაშრომის სრულად შეფასების თვალსაზრისით ეს ხერხი მართებული არ იქნებოდა: ჩვენი ავტორი თავისი ნაშრომის მეტად მოზრდილ ნაწილს სწორედ ასეთი საკითხების განხილვას უთმობს და ჩვენ მის ამ შრომაზე ასე თუ ისე სრული წარმოდგენა არ გვექნებოდა, თუ ამ, ჩვენი აზრით ზედმეტს, საკითხებსაც არ განვიხილავდით და აქ ავტორის მეცნიერულ წარმატება-წარუმატებლობას არ შეეფასებდით.

იწყებს ი. ცინცაძე რუსი უფლისწულის თამარის საქმროდ მოყვანის საკითხიდან. ის აკვირდება საამისო ქართულ წყაროებს და ცდილობს აღადგინოს სურათი, თუ როგორ შეარჩიეს თამარის საქმროდ რუსი უფლისწული და როგორ მოაგვარეს მისი საქართველოში შემოყვანის საქმე.

ი. ცინცაძე მართალია, როცა ფიქრობს, რომ რუსი უფლისწულის მოწვევის ინიციატივა საერო ფეოდალების („ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი“ — ბასილი ეზოსმოძღუარი, 16) საქმე იყო, ცდება, ოღონდ, იმაში, რომ ჰგონია, თითქო რუსი უფლისწულის მოწვევის საკითხი „საეკლესიო კრებაზე გადაწყდა“ (55—58). და „ეს გადაწყვეტილება რუსუდან დედოფალს აცნობეს“ (58). ჩვენს ავტორს არ მოჰგონებია, ჩანს, რომ საეკლესიო კრებაზე საერო პირებს მონაწილეობა არ შეეძლოთ. ამდენადვე საეკლესიო კრების საგანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის საკითხი, რომლის მოსაგვარებლად „ზოგად ილუაწეს“ (ბ. ე—მ. 16) საერო და საეკლესიო პირებმა.

წყაროს ჩვენებით საქმე ასე წარმოიდგინება. საერო დიდებულთა თათბირი გაიმართა. მეფე-ქალისათვის საქმროს შერჩევის საკითხი იდგა. აქ (რა თქმა უნდა, სხვათა შორის) ქართლისა და თბილისის ამირა აბულასანის წინადადება მოისმინეს. მოიწონეს, რომ რუსი უფლისწული „გასანახავად“ და „განსაცადად“ საქართველოში შემოიყვანონ. მაგრამ, როგორც ჩანს, საერო დიდებულთა ასეთი სურვილი საქმაო არ იყო და საქმის გადასაწყვეტად და მის სისრულეში მოსაყვანად „სპასალარ-ერისთავებს“ საჭიროდ მიაჩნდათ საეკლესიო მოღვაწეთა დახმარება. ის იყო ეს კრება დასრულდა („აღივსებოდა რა კრება“), რომ საერო დიდებულები („ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი“) მოვიდნენ და საეკლესიო კრების წევრთ მონაწილეობის მიღება სთხოვეს თამარისათვის საქმროს შემოყვანის საქმის მოგვარებაში („მოაჯსენეს მამათა, რათა ზოგად ილუაწონ შემოყვანებად სიძისა თამარისათვის“ ბ. ე—მ. 16). საფიქრებელია, თავიანთი ნათათბირევი სა-

ერო დადებულებმა გააცნეს ეკლესიის მამებს. და თუ აქ თათბირი რაიმე მოხდა („რომელი ყუესცა“ ბ. ე—მ. 16), ეს უკვე საეკლესიო კრება, რათქმა უნდა, აღარ იყო. მაგრამ საკითხი საბოლოოდ არც აქ გადაწყვეტილა. საერო და საეკლესიო ხელისუფალნი ამის შემდეგ რუსუდანთან წავიდნენ და საქმე საბოლოოდ აქ გადაწყდა და სხვაგან არც შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო („შემოკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა და განზრახვითა ყოველთათა წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ“. ბ. ე—მ. 16).

ი. ცინცაძე მართებულად იქცევა როცა საქართველოს შინაპოლიტიკურ მოვლენებთან კავშირში ცდილობს განიხილოს რუსი უფლისწულის თამარის საქმროდ შერჩევის საკითხი. სამწუხაროა, მხოლოდ, რომ მას ამასთან დაკავშირებით არ აგონდება ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან სხვა ავტორი, რომელიც ამავე საკითხს ასეთივე თვალსაზრისით აშუქებს (პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, 166—171).

ჩვენი ავტორი აკვირდება ბასილი ეზოსმოძღვარის (თამარის მეორე ისტორიკოსი) გამონათქვამს, სადაც აღნიშნულია რუსი უფლისწულის შერჩევის ერთ-ერთი მოტივი: „წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობისათვის მათ ნათესავთასა“ (ბ. ე—მ. 16) და ამის გამო აცხადებს: „და სწორედ საეკლესიო კრების დადგენილების კვალი ამჩნევია... მოცემულ წინადადებასო“ (60). ასეთი მოსაზრება ავტორს უჩნდება იმ შეცდომის გამო, რომ მისი აზრით „საეკლესიო კრებას დიდებულთა კანდიდატურა დაუმტკიცებია“ (იქვე). არაფერი „საეკლესიო კრების დადგენილების“ სპეციფიკური „კვალი“ აქ არ ჩანს. ჩანს მხოლოდ, რომ მსჯელობის დროს (არა „საეკლესიო კრებაზე“, არამედ საერო და საეკლესიო ხელისუფალთა თათბირზე რუსუდან დედოფალის „წინაშე“) რუსი უფლისწულის მართლმადიდებლობა ის მიძიმე არგუმენტი ყოფილა, რომლის წყალობით მის მომხრეებს გაუმარჯვნიათ. ჩანს, თამარის საქმროები სხვებიც იყვნენ, რომელთა შესახებ მსჯელობდნენ, მაგრამ მათ ეს სათნოება (მართლმადიდებლობა) ჰკლებიათ. საქმე ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ რუსი უფლისწულის მომხრეებს მეტისმეტად გაუზვიადებიათ ეს არგუმენტი, რომლის პრაქტიკული მნიშვნელობა ამ შემთხვევაში არც აგრე დიდი იყო, რამდენადაც საქართველოს მეფის ქმარი *eo ipso* ქრისტიანი და მართლმადიდებელი უნდა ყოფილიყო. ასე რომ რუსი უფლისწული სხვა სასიძოებს აჯობებდა *ceteris paribus*. აქი არაა ამ არჩევით კმაყოფილი ბასილი ეზოსმოძღვარი და საყვედურობს კიდევაც, რომ ამ ნიშანს (მართლმადიდებლობას) აგრე გადაწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭეს: „და ეს ვერა კეთილად განაგეს“ (ბ. ე—მ. 16).

ჩვენი ავტორი აკვირდება, რომელი სოციალური ფენები უკერ-

დნენ მხარს რუსი უფლისწულის საქართველოში შემოყვანას და ასახელებს „დიდგვარიან და გავლენიან აზნაურებში“ ძირძველ აზნაურთა იმ ნაწილს ვიგულისხმებდით, რომელიც ამ დროს სამეფო კარზე და ქვეყანაში წარმატებით იბრძოდა მეფის ხელისუფლების ცენტრალისტური ტენდენციების წინააღმდეგ. ი. ცინცაძე ბუნებრივად აკვირდება აბუ ლასანს, რათა მისი სოციალური ვინაობა გაარკვიოს (62). როგორც ცნობილია, აბულასანი რუსი უფლისწულის საქართველოში შემოყვანის ინიციატორი იყო. ამდენადვე ჩვენი ავტორის ცდა მართებულა. ოლონდ არა საკმაო სიღრმისა ჩანს მისი საამისო მსჯელობა („თავადი“, „მკვიდრი“, „ამირა ქართლისა და ტფილისისა“, „ლურჯი მონასტრის წარწერა“...). სამწუხაროდ, არც საამისო სამეცნიერო ლიტერატურა აქვს ავტორს ვათვალისწინებული (რუსთველიანა, 172—174); ი. ცინცაძის დასკვნა, რომ აბულასანი დიდგვარიანი აზნაურია, როგორც ჩანს, სწორია, მაგრამ მისი საამისო არგუმენტაცია ნაკლებია.

შემდეგ, რუსი უფლისწულის საქართველოში შემოყვანის მომხრედ ი. ცინცაძე სამართლიანად ვარაუდობს გარკვეულ ჯგუფს საეკლესიო მოღვაწეებისას მიქაელ კათალიკოზის მოთავეობით. ავტორი მხოლოდ იმაში ცდებდა, რომ ჰგონია, თითქოს მიქაელ კათალიკოზის გამარჯვება საეკლესიო კრებაზე მორალურადაც სრული იყო, ე. ი. თითქო საეკლესიო კრების უმრავლესობა მიქაელის მომხრე იყო. ასეთი დასკვნა ჩვენს ავტორს იქიდან გამოაქვს, რომ მეფის პოლიტიკის მომხრეებმა მიქაელი „ვერა განაყენეს“, „დაღაცათუ ფრიდ ილუაწეს“. მეორეგან ჩვენი ავტორი ტექსტის აშკარა ჩვენების წინააღმდეგ ამბობს: „კრებამ (sic) არ ინება მიქაელი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ“ (101). წყარო კი აღნიშნავს რომ კრებამ კი არა, „წინამძღვართა კრებასთან ნიკოლოზ და ანტონი.. არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოზი“-ო (ბ. ე.—მ., 15—16).

საერთოდ, უნდა ითქვას, მიქაელის „გამარჯვება“ ხსენებულ კრებაზე არც ასე უკომპრომისო იყო, როგორც ეს ი. ცინცაძეს ჰგონია, და თუ მან მაინც გაიმარჯვა („ვერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად ილუაწეს“), არა იმიტომ, მასავით „წინაუკმო“ და, უნდა ვიფიქროთ, მისი მომხრე არა ერთი ეპისკოპოზი („სხვა ვინმე ებისკოპოზნი“) „შეცვალნეს და მათ წილ საღმრთონი კაცნი დასხნეს“ (ბ. ე.—მ. 16), არამედ ვერ განაყენეს იმიტომ, საფიქრებელი ხდება, რომ დიდგვარიან მირიანისძეთა სახლის შვილი მიქაელ ქართლისა კათალიკოსი დიდი მხარის დაჭერით სარგებლობდა დიდგვარიანთა მხრით და ამავე დროს ის არც ისე „წინაუკმო იყო წესთაგან ეკლესიისათა“, როგორც ეს სურს წარმოგვიდგინოს მისმა მოწინააღმდეგე დასმა (მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ, რა თქმა უნდა, რომ საეკლესიო წესები სხვადასხვანაირად, სხვა-

დასხვა სოციალურ-წოდებრივი ელფერით ესმოდათ ეკლესიის მსახურთა სხვადასხვა წრეს. საამისო საყურადღებო მოწმობანი ჩვენ არ გვაქლია). რაც შეეხება ჭყონდიდლობის „მოვერაგებას უფლისაგან“, ეს, მართალია, უჩვეულო რამ იყო ქართულ სახელმწიფო და საეკლესიო პრაქტიკაში, მაგრამ საეკლესიო კანონის თვალსაზრისით აქ დანაშაული რაიმე არ იგულისხმება. ხოლო მეფის ცენტრალისტურ მისწრაფებათა წინააღმდეგ ოპოზიციაში მყოფ ძირძველ აზნაურთათვის მიქაელის მიერ ჭყონდიდლობის „მოვერაგება“ განსაკუთრებით სასურველი რამ იყო... საერთოდ უნდა ითქვას, აღნიშნული დროის პოლიტიკური ამბების შესწავლა ჭერჭერობით მხოლოდ დაწყებულია (ი. ჯავახიშვილი) და ჩვენი ავტორის შეცდომა მხოლოდ იმაშია, რომ ამ თითქმის შეუსწავლელისა და უაღრესად სადავო საკითხების გაშუქებას ის სხვათაშორის აპირებს.

ი. ცინცაძე, შემდეგ, სვამს კითხვას, თუ სამხედრო და საეკლესიო წრეებს გარდა ვინ იყო რუსი უფლისწულის შემოყვანის მომხრე. ის აკვირდება დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელის მისიას, მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალის როლს რუსი უფლისწულის მეორედ შემოყვანის საქმეში, აგონდება ისიც, რომ „თამარ მეფეს 1185 წელს მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუარსლანი განუდგა“ და რომ „ვაჭრები ამ სავაზიროს უწყებაში შედიოდნენ“ (64). მისი აზრით, მოხსენებული გარემოებანი შესაძლებელია გარკვეული მიმართულებით ერთი რიგისა იყოს და „მხედველობაში მისაღებიც“ (64) იმისათვის, რათა კაცმა იფიქროს, რომ „ვაჭართა გავლენიანი წრეც რუს უფლისწულს უჭერდა თითქო მხარს“. ჩვენი ავტორი აქ თავის აზრს გარკვევით და ნათლად არ გამოთქვამს, მაგრამ უნდა გულისხმობდეს, თითქო, რომ მეჭურჭლეთუხუცესები შესაძლებელია „ვაჭართა გავლენიანი წრის“ პოლიტიკურ განწყობილებას რამდენადმე მაინც გამოხატავდნენ. ჩვენ შეგვეძლო ერთი ფაქტიც მიგვეჩვენებინა ავტორისათვის: თვით აბულასანი ტფილისის ამირა იყო და შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესი, რომლის ნაცვალიც (აბულასანის დავალებით და თანხმობით¹⁰) რუსი უფლისწულის მეორედ შემოყვანას მცდელობდა. მაგრამ აქედან ისეთი დასკვნის მიღება, ჩვენი ავტორი რომ ვარაუდობს, შეუძლებელია. ჩვენ სახელდახელოდ მოვავაგონებდით ი. ცინცაძეს მეჭურჭლეთუხუცესთა სიას: კახაბერ ვარდანძე („დიდი და გუარიანი კაცი“, ყვარყვარე ჯაყელი, კახა თორელი, სარგის ჯაყელი. ამათივე მსგავსი იყო აბულასან მეჭურჭლეთუხუცესი და ერისთავთ ერისთავი, ხოლო ყუთლუარსლან მეჭურჭლეთუხუცესი, რომლის ჩამომავლობა

10 თუმცა თავისთავად ასეთი ვარაუდი სავალდებულო არაა: მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი („საჭურჭლის ნაცვალი“) ის ჯელისუფალი იყო, რომელიც მეფის და ვაზართა საბჭოს დავალებით სამოციქულო (დიპლომატიურ) საქმეებს ასრულებდა (გარიგება ჯელმწიფის კარისა, გვ. 19 § ა).

ჯერჯერობით დადგენილი არაა (ფიქრობენ რომ ის უგვაროთაგანი იყო, რაც საეკვეთა), იყო, „თავისა თვისისა ამირსპასალარად მწოდებელი და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილსა, ლორეს, დაჯდომად განმზადებული“ (ისტ. და აზმ. 77). ასე რომ მეჭურჭლეთუხუცესთა საქმიანობიდან ვაჭართა ფენაზე, ვაჭართა პოლიტიკურ ინტერესებზე რამე დასკვნების კეთება სახიფათო და ნაადრევია, სანამ არ დაგვიმტკიცებია, რომ ვაჭართა ამ გავლენიანი წრის პოლიტიკური პოზიცია მეფის ხელისუფლებასთან დამოკიდებულების საკითხში ეთანხმებოდა დიდგვარიან ფეოდალთა პოლიტიკურ პოზიციას: მეჭურჭლეთუხუცესი XII—XIII ს-თა საქართველოში ისეთივე ფეოდალია (ვაზირი და ერისთავთერისთავი), როგორც ვთქვათ, მანდატურთუხუცესი ან ამირსპასალარი.

მას შემდეგ, რაც ჩვენმა ავტორმა დაასკვნა, რომ რუსი უფლისწული „გარკვეულმა წრემ“ მოიწვია, ის სამართლიანად სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ „რატომ უნდა ყოფილიყო მიზნიდველი რუსი უფლისწული გარკვეული წრეებისათვის, რატომ მიენიჭა მას უპირატესობა“ (66). ამ კითხვასთან დაკავშირებით მას აინტერესებს, თუ „რა უფლების მატარებლად ვარაუდობენ მეფე-ქმარს მაშინდელი მოწინააღმდეგე დასეხები და თვით თამარის“ (იქვე). საამისო მასალაზე სახელდახელო დაკვირვებით (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ რუსუდანის დროის საამისო მასალა, მისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის გარეშე, გამოუსადეგარია და ის არც უნდა მოეტანა ავტორს) ი. ცინცაძე დაასკვნის, რომ „მათ (ე. ი. მეფე-ქალის მეუღლეს) სახელმწიფო-სამხედრო საქმე აბარიათ“ (19). ავტორის ასეთი დასკვნა არასრულია და განმარტებას საჭიროებს: „სამხედრო საქმე“ რთული შინაარსის ცნებაა და ყველა ის საქმე, რაც ამ ცნებაში შედიოდა, „მეფე-ქმარს“ როდი ეკითხებოდა. „მეფე-ქმარი“ იყო „წინამძღვარი სპათა“, ხოლო ომის გამორჩევა, ლაშქრის განახვა, ლაშქრის წვევა, ლაშქრის ორგანიზაცია და სამხედრო მეურნეობა ისევ მეფისა (თამარის) და მის ვაზირთა ხელში რჩებოდა.

ამრიგად, ავტორმა არც თუ შეუმცდარად, მაგრამ მაინც დაადგინა, რომ საქ-ში „მეფე-ქმარის“ უფლებები მეტად შეზღუდული იყო და ამით კმაყოფილნი იყვნენ ძლიერნი ამა სოფლისანი“ (74). მამ რითღა იხსენებო, კითხულობს ის, „საქართველოდან გაძევებული რუსი უფლისწულის მხარეზე გადასვლა დიდგვარიან და საკმაო საპატიო თანამდებობის მქონე აზნაურების როგორც კი დავით სოსლანი შეირთო თამარმა?“ (74—75). „ეს საკითხი მით უფრო საყურადღებოა, — განავრძობს ი. ცინცაძე, — რომ რუს უფლისწულს თამარ მეფის ორივე ისტორიკოსთა (sic) ცნობებით პრესტიჟი საკმაოდ შერყეული ჰქონდა“ (75). ჩვენი ავტორი აკვირდება თამარის ორივე ისტორიკოსის ცნობებს და პოუ-

ლობს, რომ სოსლანი „ყველასათვის მისაღები პირი იყო“ (75—76). ი. ცინცაძე არ ცდილობს ექვი შეიტანოს თამარის ისტორიკოსთა ამ ცნობის სრულს სიმართლეში და იძულებულია ეძიოს ახსნა დიდგვარიანთა მოზრდილი ნაწილის ამ უცნაურად სწრაფი პოლიტიკური ტრანსფორმაციისა.

თამარის პირველ ისტორიკოსთან ის პოულობს ცნობას, რომ შამქორის ომის წინ საქართველოს სამეფო კარზე იმყოფებოდნენ „ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი“ (ი. ა. 103). უკანასკნელთ წინამძღვრობდა ყივჩაყთა მეფის ძმა სალავათი, რომელიც „აქა იყო სამსახურად“ (ი. ა. 102). ეს გარემოება ექვის საბუთს აძლევს ჩვენს ავტორს, თუ ვის და რად სჭირდება ეს უცხო ჯარები ოს-ყივჩაყებისა და კითხულობს: „ამ ჯარის (ე. ი. ყივჩაყების, — ნ. ბ.) მოწვევა და დავით სოსლანის მამულის ოვსთა რაზმი ჭარბად ხომ არ აძლიერებდა თამარ მეფესა და დავით სოსლანს და საშიშროება რაიმე ხომ არ ექმნებოდა „თანამდგომ და მეფობის თანაზიარობას“ მოპოვებულ დიდებულებს, რომელთაც განდევნილი რუსი უფლისწულის მეორედ სასახლეში მოყვანა სცადეს?“ (77), ანუ რაიმე საფრთხე ხომ არ მოელოდა დავით სოსლანის შერთვის შემდეგ „თანადგომობისა და ერთიანობის უფლებებს“ (79).

საკითხის აგრე დასმა სასარგებლო იქნებოდა, რომ მას (საკითხის დასმას) საკმაო საფუძველი ჰქონდეს. რა გამოდის? თამარმა სოსლანი შეირთო. ამის მომხრე ყველა იყო. სოსლანმა ოს-ყივჩაყები მოიწვია და დიდებულები მიუხვდნენ, რომ ეს ზომა მათ გასატეხად და მეფის შეუზღუდველი უფლებების აღსადგენად არის მოღონებული. და დიდგვარიანთა გარკვეული ნაწილი (რატომ ყველა არა?—ნ. ბ.) აჯანყდა და ისევ რუსი უფლისწული, თუმცა საკმაოდ სახელგატეხილი, მოიწვიეს. აქ თავდება ჩვენი ავტორის ვარაუდების თავისუფალი სარბიელი. და მერმე რა მოხდა? რა და აჯანყებული დიდებულები დამარცხდნენ, რუსი კვლავ გააძევეს, აჯანყების მონაწილენი დასაჯეს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ განახორციელეს თამარმა და დავით სოსლანმა ბრძოლის მთავარი მიზანი? გაააუქმეს, ჩვენი ავტორის ენით რომ ვთქვათ, „თანადგომობისა და ერთიანობის უფლებებს“? უცნაურია, რომ ი. ცინცაძე ასეთი კითხვით თავს აღარ იწუხებს. მაგრამ ავტორს აქ სხვა ცოდვაც სჭირს. როგორც დავინახეთ, დიდგვარიანთა აჯანყება თამარ-დავითის წინააღმდეგ და რუსი უფლისწულის კვლავ გამეფების ცდა ი. ცინცაძემ ოსებისა და ყივჩაყების მოწვევას დაუკავშირა. ავტორს ასეთი მარცხი იმის გამო მოუვიდა, რომ მან მოვლენათა ქრონოლოგია მართებულად ვერ გაითვალისწინა.

ი. ცინცაძის საამისო ქრონოლოგია ასეთია: დიდგვარიანთა აჯანყება თამარსა და დავითის წინააღმდეგ „ემთხვევა დავით სოსლანის შერ-

თვის წელს“ (75), შამქორის ომი მოხდა 1191—1192 წელს (77), ამიტომ, მსჯელობს ავტორი, „შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 1190 წელს ან 1191 წლის დასაწყისში ყივჩაყთა ახალი ჯარი საქართველოში“ (78).

„ამავე წლებშია დავით სოსლანის გამეფება და რუსი უფლისწულის საქართველოში დაბრუნების ცდაც“ (78).

თუ მოტანილი თარიღები ჩვენს ავტორს მეცნიერულად დადგენილი აქვს, მას უნდა ეჩვენებინა ეს. ჩვენ კი გვეუქვება და ამის საბუთად ისა გვაქვს, რომ ი. ცინცაძე შამქორის ომს 1191—1192 წლით ათარიღებს და ისიც ი. ჯავახიშვილის დამოწმებით (77). განსვ. მეცნიერის საამისო თარიღი კი არის 1194—1195 წელი (საქ. ისტორია, II, 596—607).

დღესდღეობით მიღებული მეცნიერული ქრონოლოგია ხსენებული ამბებისა ასეთია:

რუსი უფლისწული პირველად გააძევეს 1187—1188 წელს; თამარმა დავით სოსლანი შეირთო 1189 წელს;

დიდებულები აჯანყდნენ და რუსი უფლისწულის კვლავ გამეფება სცადეს 1190—1191 წელს;

შამქორის ომი მოხდა არა უადრეს 1194 წლისა. „ყივჩაყნი ახალნი“ კი ტექსტის მიხედვით შამქორის ომის წინ მართლაც ახლად მოსულნი ჩანან. მაშასადამე, ისინი რუსი უფლისწულის მომხრეთა აჯანყებიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ მოსულან. ამდენადვე ამ ახალი ყივჩაყებისა და ოსების მოყვანა (მოიყვანა ვინმემ, თუ თავისით მოვიდნენ „სამსახურად“? — ნ. ბ.) ხსენებული აჯანყების მიზეზებს ვერ დაუკავშირდება (რუსი უფლისწულის მომხრეთა აჯანყების დროსაც. მართალია, იხსენებიათ ყივჩაღები — უოსებოდ — თამარის მომხრეთა ლაშქარში, მაგრამ ისინი, როგორც ამას სამართლიანად ჰგონებენ, ჩვენი ავტორიც (78) და B ქცას რედაქციაც (439), „ახალნი“ არ არიან, „ძველნი“ არიან).

ავტორის მთელი ეს შემცდარი ვარაუდები ემყარება, გარდა ზემოხსენებულისა, წყაროს ცნობებთან არასაკმაო კრიტიკულ დამოკიდებულებას. ისტორიკოსთა ცნობები ჩვენ რომ სიტყვა-სიტყვით დაგვეჩერებინა, მაშინ „ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით რუსი უფლისწულის პირველად შემოყვანა ყველასათვის სასურველ აქტად უნდა მიგვეჩნია.

რა თქმა უნდა, სოსლანი, ისევე როგორც რუსი უფლისწული. ყველასათვის სასურველი არ ყოფილა და რუსი უფლისწულის მომხრე დასი აბულასან მეჭურჭლეთუხუცესისა და ვარდან მსახურთუხუცესის მეთაურობით, მართალია, მიჩუმებულია რუსი უფლისწულის სკანდალის გამო (რომელიც ამ დასს, უნდა ვიფიქროთ, ისე არ ესმის, როგორც ეს ისტორიკოსებსა და თამარ-სოსლანის სხვა მომხრეებს

ესმით), მაგრამ მიჩუმებულია დროებით. სოსლანის გამეფება არ შეიძლებოდა რუსი უფლისწულის მომხრე დასის დამარცხებად არ შეფასებულყო მათ მოწინააღმდეგეთა მიერ და არ შეიძლებოდა ამ უკანასკნელთ იმედი არ მისცემოდათ, რომ სოსლანის მიერ მხარის დაქვრით ისინი რუსი უფლისწულის მომხრე დასს, აქამდე გაბატონებულს, შეავიწროებდნენ. ამდენადვე ამ უკანასკნელთა ეჭვი და შეშფოთება ბუნებრივია.

ამრიგად ავტორმა, თუმცა მცდარი წანამძღვრების საფუძველზე, მიიღო დასკვნა, რომ დავით სოსლანის გამეფების მომდევნო წლებში „საქართველოში უკმაყოფილება სუფევს გარკვეულ წრეებში. დავით სოსლანის სასახლეში შესვლა წინათ არსებულ მდგომარეობას ცვლის ან ემუქრება შეცვლით“ (84). ამის შემდეგ ი. ცინცაძეს საჭიროდ მიაჩნია, მისივე ენით რომ ვთქვათ, „რუსი უფლისწულის სასარგებლოდ განდგომილების მოწყობის განხილვა“ (79). ჩვენი ავტორი სწავლობს საამისო ცნობებს და კვლავ სვამს კითხვას, თუ რა ნიადაგზე უნდა ყოფილიყო ეს განდგომილება აღმოცენებული. კვლავ უბრუნდება „თანადგომობისა და ერთნებაობის უფლებას“, მაგრამ ეხლა არსებითად განსხვავებულ მოსაზრებას უპერს მხარს, ვიდრე ზემოთ ვარაუდობდა: უარყოფს შესაძლებლობას, რომ ამ „უფლებას“ რაიმე საფრთხე მოელოდა (იგულისხმება, რა თქმა უნდა, მეფის მხრით)—(84) და ეხლა სვამს საკითხს: ის ჯგუფი, რომელიც თამარს და დავით სოსლანს განუდგა „თანადგომობისა და ერთნებაობის“ არსებული უფლების საფუძველზე ხომ არ იჩაგრებოდა უმრავლესობის მიერ და დავითის მიერ ეს მიმძღვერება ხომ უფრო საგრძნობი არ შეიქმნა“ (84). ავტორს, ჩანს არ აგონდებოდა, რომ განდგომილების მეთაურები სწორედ ამ ერთნებაობათანადგომის წესის პირველად შემოღებისას ან კიდევ ამის შემდეგ და, მაშასადამე, იმავე ერთნებაობათანადგომის წესის არსებობის საფუძველზევე იყვნენ აღზევებულ-დაწინაურებულნი,—მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი და სამცხის ერისთავი და სპასალარი ბოცო ჭაყელი 1185 წელს (ი. ა. 78), ხოლო გუზან—„პატრონი შავშეთისა და კლარჯეთისა“—შემდეგ. და აკი აღნიშნავს ისტორიკოსი, რომ განდგომილებას სათავეში ჩაუდგნენო არა მიმძღვერებულ-დაჩაგრულები, არამედ ისინი, „რომელნიც თანაზიარ მეფობისა მათისა და უხუად და გულსავსედ წყალობითა აღვსილ იყვნეს“ (ი. ა. 90).

ამრიგად, ფაქტობრივი ისტორიული ვითარებაც და ისტორიკოსის მოწმობაც თანხმობით უარყოფს ჩვენი ავტორის ამ ვარაუდს. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეუძლებლად არ მიგვაჩნია, რომ „ერთნებაობათანადგომის“ წესის არსებობის პირობებში შეიძლება ვინმე დიდგვარიანი ან დიდ-

გვარიანთა რომელიმე ჯგუფი დაიჩაგროს, მაგრამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ამის მოწმობანი, როგორც ვნახეთ, არა გვაქვს.

ამის შემდეგ ი. ცინცაძე განდგომილთა ვინაობის საკითხს განიხილავს და დაასკვნის (არც თუ მთლად სამართლიანად), რომ ლიხს იქითი მთლიანად აჯანყებულია, ხოლო ამერეთი მთლიანად, მცირე გამონაკლისის გარდა, თამარის „მხარეზე დარჩა“ (85). რაკი ასეთი სურათი მიიღო, ავტორს ბუნებრივად ებადება კითხვა: ეს განდგომილება საქართველოს ორად გაყოფას ხომ არ ისახავდა მიზნად? და ავტორი ამ კითხვის დადებითად გადაწყვეტისაკენ იხრება (86—87).

ჯერ ერთი, აჯანყებული ლიხთიმერის შესახებ. აქ გასათვალისწინებელია, რომ აჯანყების მეთაურია მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი „ლიხთ იქით ნიკოფსადმი უცილობელად მქონებელი“ (ი. ა. 91). ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარკვეული ხაზით მას ხელი მიუწვდებოდა დასავლეთ საქართველოს ხუთივე საერისთავოზე. ასე რომ ვარდან დადიანი თავისი „მოკიდულითურთ“, მეტად დიდი ძალა იყო, რომელსაც შეეძლო ბევრი ვინმე ნებაუნებლიედ ჩაეთრია თამარის წინააღმდეგ აჯანყებაში. ჩვენ ამით იმის თქმა გვსურს, რომ ლიხთიქითის დიდი აზნაურები ყველანი თამარის მოწინააღმდეგედ ისევე არ შეიძლება ვივარაუდოთ, როგორც არ შეიძლება თამარის მომხრედ დავსახოთ ყოველი დადი აზნაური ლიხთამერეთიდან თამარის მომხრე ოლქებში. ერთი დეტალიც: ისტორიანი და აზმანის ტექსტი აქ თითქო იმის ფიქრის უფლებასაც იძლევა, რომ ვარდან დადიანმა მთელი ლიხთიქითის ლაშქარი შეყარა „რეცა პატრონისა წადილითა“ (ი. ა. 91). თუ ასეთი გაგება სწორია, მაშინ მსახურთუხუცესის ზემოქმედების მომენტი ამ ლაშქარზე, ჩვენ რომ უამისოდაც ვვარაუდობდით, სრულიად გარკვეული და მეტად თვალსაჩინო ყოფილა. ასე რომ „მთელი ლიხთიქითის“ დიდებულთა აქტივობა რუსი უფლისწულის სასარგებლოდ საგრძნობლად ნელდება (აქვე ვბოდიშობთ: ჩვენ საერთოდ თავს ვიკავებთ ამ შრომაში აღძრული საკითხების პოზიტიური კრიტიკისაგან. ასეთი კრიტიკისათვის აქ არც ადგილია და ეს საქმე არც ადვილია, რომ სახელდახელოდ ისტორიულ-მეცნიერული სურათის გადმოშლა შეიძლებოდეს და, თუ ზოგჯერ მაინც ვერ ვიცავთ მიღებულ წესს და პოზიტიური ხასიათის მსჯელობანი შემოგვაქვს, ეს უფრო ნაკლია ჩვენი რეცენზიისა, ვიდრე მისი ღირსება).

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, მომხრენი არც აქედან აკლდათ აჯანყებულებს.

თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად, — რომ აჯანყებულთა მიზანი სამეფოს ორად გაყოფა იყო, — ჩვენი ავტორი ცდილობს წყაროების მოხმობას, მაგრამ ცდება.

საქმე ასე იყო: გაძევებული გიორგი რუსი კონსტანტინეპოლიდან კარნუქალაქს დაბრუნებულიყო. ამ დროს მექურჭლეთუხუცესის ნაცვ-ალი საქართველოს სამეფოს კარიდან კარნუქალაქს გაიგზავნა რაღაც საქმისათვის. აქ ის რუს უფლისწულს შეეყარა და მისი საქართველოში შემოყვანის საქმეში გაერია. გიორგი რუსს თამარისა და დავით სოს-ლანის წინააღმდეგ მიემხრნენ გუზან—„შავშეთისა და კლარჯეთის პატ-რონი“, ბოცო—სამცხის სპასალარი, ვარდან დადიანი—მსახურთუხუცე-სი. ამ უკანასკნელმა თამარს განუყენა მთელი დასავლეთი საქართველო. ქვეშის ციხიდან ის გადავიდა გეგუთს და აქ იხმო მთელი ლიხთიქითის ლაშქარი. შეყრილი ჯარი მან რუსი უფლისწულის ერთგულებაზე და-აფიცა, აქედან გაგზავნა ლაშქარი გუზანთან, სადაც გიორგი რუსი მო-სულიყო. მომხრეებმა რუსი უფლისწული გეგუთს გადმოიყვანეს და აქ სამეფო ტახტზე დასვეს.

შემფოთებულმა თამარმა დიდებულ-ერისთავნი იხმო. კარზე მო-სულეებმა „ჰკადრეს ფიცით არა მათგან ნებადართულობა საქმისა და ვითარცა შეაჯერეს უმათოდ ქმნილება, მკეცებრ განკდა გული მათი ერთგულებისათვის და თავისა საწამებლად დადებისათვის“ (ი. ა. 91).

მოტანილ ციტატაზე დაკვირვებით ი. ცინცაძე დასკვნის, რომ აქ ნაგულისხმევია საქართველოს ორად გაყოფა. აი, ჩვენი ავტორის მსჯე-ლობა: „რას გვეუბნება მოტანილ ტექსტში ისტორიკოსი? შეყრილი „დიდებულნი და მეურნენი საქმეთანი“ რუსი უფლისწულის მომხრენი რომ არ არიან, ისედაც ნათელი არ არის თამარისათვის? იმის მომხრენი თამართან რათ მოვიდნენ (ალბათ უნდა: „მივიდოდნენ“, — ნ. ბ.). რის „ნებადართულობა“ არ გაუტიათ თამართან შეკრებილთ? საფიქრებელია, რომ განდგომილებით საქართველოს სამეფო ორ სამეფოდ გაიყო, „იმი-ერთ“ რუსი გაიჟიფეს, ამიერთ დავითი და თამარი დაუტოვეს. სხვა რი-გად შეკრებილთა საუბარი და ფიცი თამართან გაუგებარია“ (87).

ავტორის ეს მსჯელობა არც სრულია, არც დამაჯერებელი. როცა თამარმა შეიტყო, რომ გეგუთში გიორგი რუსი კვლავ გაამეფეს, მან მოიწვია ყველა, ვინც არ გამდგარიყო. თამარისათვის სრულიადაც არაა ნათელი, ჩვენი ავტორი რომ ფიქრობს, თითქო კარზე მოსულნი ყველანი მისი ერგულნი არიან. ლიხთამერეთიდან ყოველი ორგული, ვიდრე აჯან-ყებულნი არ გადმოსულიყვნენ, გაბედავდა და მეფეს არ ეახლებოდა? მაგალითად, ის „ქართლელნიც“, რომელნიც, როგორც ჩანს, მას შემ-დეგ „მიერთნეს“ აჯანყებულთ, როცა ეს უკანასკნელნი ნაქარმაგვეისა და გორის მიდამოებში გაჩნდნენ? სწორედ ამ ეჭვის გამოა, რომ თამა-რი სიტყვას არა სჯერდება და დიდებულებს ფიცს ქვეშ ათქმევინებს. რომ ისინი რუსი უფლისწულის შემოყვანისა და მისი „კვლავ გამეფე-ბის“ „ნებისდამრთველნი“, ე. ი. ამ შეთქმულების თანახმანი არ არიან

და რომ ეს საქმე მათი მონაწილეობის გარეშე წამოწყებულია („უმათოთ ქმნილობაჲ“). თავისი მკდარი ვარაუდისას, — თითქო „იმიერთ“ რუსი გაიმეფეს, ხოლო ამიერთ თამარი და დავითი დაუტევეს“, — ჩვენს ავტორს აუხსნელი რჩება „ამიერთა“ (ბოცო ჯაყელი სამცხის დიდი ნაწილით, შიდა ქართლის ნაწილი, ყოველი სომხითი ქურდვაქრის იქით და „სიმრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთეულობისა“, აქვე უნდა დასახელებული იყოს გუზანიც „შავშეთ-კლარჯეთის პატრონი“ და „მეფეთა ტაოელთა ადგილს ზედა“ შეწყალებული) მონაწილეობა ამ აჯანყებაში რუსი უფლისწულის მხარეზე.

მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, ტექსტის ავტორისეული გაგება სხვა მხრივაც უსაფუძვლოდ გამოიყურება. ქვეყნის ასეთი გაყოფა იმ დროს რა ჭკუაში მოსასვლელი იყო, როცა თბილისში იჯდა მემკვიდრე მეფე („აფხაზთა მეფე“), რომლის საკუთარ „სახლს“ სწორედ ეს „ძველი სამეფო“ (სამსახურთუხუცესო) წარმოადგენდა? მსახურთუხუცეს ვარდან დადიანს ყველაზე კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ქვეყნის აგრე გაყოფას თამარი („აფხაზთა მეფე“) ცოცხალის თავით ვერ შეურიგდებოდა. იცოდნენ და ამიტომაც არც არავინ ფიქრობდა ქვეყნის აგრე გაყოფას. ამიტომაც იყო, რომ აჯანყებულნი, რა მომაგრდნენ, თბილისზე წამოვიდნენ. როგორც დავინახეთ ამ აჯანყებაში რუსი უფლისწულის მხარეზე არა-იმერელნიც მრავლად მონაწილეობდნენ. ეს გარემოება აიძულებს ჩვენს ავტორს იფიქროს ამ სიძნელის გადალახვაზე. ამ მიზნით ის სხვადასხვა მოსაზრებას მიმართავს.

პირველად ის ცნება „იმიერის“ გაფართოებას ცდილობს. მაგრამ წყაროები არ მოსდევნენ ჩვენს ავტორს. „იმიერი“ იქ სრულიად გარკვეული ცნებაა და ლიხს იქითს ნიშნავს. არც შავშეთ-კლარჯეთი და, მით უფრო, არც სამცხე „იმიერში“ არ იგულისხმება (ქართლსა და სომხითს, ალბათ, არც ჩვენი ავტორი დაობს იმერეთად).

ი. ცინცაძე, ჩანს, გრძნობს ამ თავისი არგუმენტის უკმარისობას და სხვა მოსაზრებებს მოიშველიებს: „მიმძლავრებული და შევიწროებული ზოგიერთი „ამიერიც“ შეიძლებოდა ყოფილიყო და დაწინაურება ახალ სამეფოში უფრო რეალურად წარმოედგინა“ (89). ავტორი, ჩანს, ბოლომდე არ ჩაფიქრებია ამ თავის ახალ მოსაზრებას. საკითხი ეხება იმერეთის სამეფოს შექმნას, ავტორი რომ ვარაუდობს, და იმას, თუ როგორ შეიძლებოდა „ამიერი“ უკმაყოფილოს მხარი დაეჭირა ამ აქტისათვის. თანაც გაუგებარია, რომელ „ახალ სამეფოს“ (იმერეთს? — ნ. ბ.) ჰგულისხმობს ავტორი, სადაც მისი აზრით, „დაწინაურება“ „უფრო რეალურად წარმოედგინა“, ვთქვათ ქართლელსა თუ სამცხელ „მიმძლავრებულს“?

ავტორის სხვა ახალი მოსაზრება ამავე საკითხის გამო შემდეგია:

„განდგომილებაში ყოველთვის ყველა ერთი მიზეზით მონაწილეობას არ იღებს. ზოგიერთი სხვა მოტივით ემხრობა მას“ (89). ეს მოსაზრება კიდევ უფრო ნაკლებად შველის საქმეს. კითხვა დგას არა იმის შესახებ, თუ ვინ რა მიზეზით ან მოტივით ემხრობა აჯანყებას (მოტივი, რა თქმა უნდა, სხვადასხვა შეიძლება იყოს და უეჭველადაც ასე არის), არამედ კითხვა დგას იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა „ამერელი“ აჯანყებულის, ვთქვათ, ბოცო ჯაყელის განდგომილების მიზანი იმერეთის სამეფოს შექმნა ყოფილიყო ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, შეიძლებოდა თუ არა „ამერელ“-„იმერელ“ აჯანყებულთა შეთანხმება ასეთ პოლიტიკურ „პლატფორმაზე“? ჩვენი ავტორი, ვფიქრობთ, დაგვეთანხმება, რომ ასეთი შეთანხმება იმ საფუძველზე შეიძლებოდა, უკეთეს არა მარტო იმერეთის (—„აფხაზეთის“), არამედ სხვა ქართული სამეფოების („ქართველთა“, „რანთა და კახთა“, „სომეხთა“) აღდგენის საკითხიც აგრეთვე დღის წესრიგში იდგა, ე. ი. თუ თამარის დროის საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური დაშლის წინაშე იდგა. არა გვეგონია, რომ ჩვენმა ავტორმა ასეთი შესაძლებლობა დაუშვას.

გარდა ამისა, ჩვენ ამ აჯანყების მოტივების ვარაუდის უფლება გვაქვს, მაგრამ, ის, თუ რა იყო აჯანყებულთა ოფიციალური მიზანი, სავარაუდოდ არა გვაქვს. ის სრულიად გარკვევით აქვთ ჩვენს ისტორიკოსებს დასახელებული. ეს იყო—რუსი უფლისწულის „კუალად გამეფება“ (ბ. ე.—მ. 18). სხვა მიზნებიც შეიძლება ამას იქით იმალებოდეს, მაგრამ დასახელებული მიზანი უმთავრესია და უახლოესი. ვამოდის მაშასადამე, ი. ცინცაძის ვარაუდით, რომ რუსის იმერეთში გასამეფებლად იბრძოდნენ ტაოელნი, შავშ-კლარჯნი, სამცხელები, სომხითარნი, ქართლები და აღმოს. საქართველოს მთიელებიც...

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ასეთი შესაძლებლობა დაუშვებელია. მართალია, რომ „ძუელი სამეფოს“ დიდგვარიანებში უფრო ძლიერი იყო უკმაყოფილება (ი. ცინცაძის ეს მითითება-გუმანი სწორი და მისაღები ჩანს, მას სხვა ფაქტებიც მოწმობს), მაგრამ აქედან არ მიიღება ლიხთიმერეთის სამეფოს შექმნის (თუ აღდგენის) იდეა. მაინც და მაინც ჩვენ აქ საქმე არა გვაქვს ასეთი იდეის განხორციელების ცდასთან.

ბასილი ეზოსმოძღვარი, რომელიც ამ საქმეში ხაზს უსვამს იმერელ-სვანთა ინიციატივას, აღნიშნავს: „რუსი მოიყუანეს რეცა კუალად განსამეფებლად. ეუბნებოდეს მესხთაცა მირთვისა, რომელი ვერა უძლეს, არამედ უფროსდა შეიმტერნეს, გააქცივნეს და წარვიდეს სირცხვილეულნი, რამეთუ ღმერთი თამარისათუის მოუტრნებდა“ (ბ. ე.—მ. 18). თავი რომ დავანებოთ ფაქტობრივ შეცდომებს, ამ ისტორიკოსს რომ მოსდის (მესხები არ მიუღდგენო, სხვას ამერეთიდან ვერავის ჰხე-

დავს, არც გუზანი იცის), მისი თვალსაზრისი ჩვენი საკითხის გარკვევისათვის მეტად საყურადღებოა (მით უფრო, რომ ი. ცინცაძე უპირველესად ამ ავტორს ემყარება ხსენებული აჯანყების იმერულობაში). ბ. ე-მოძღვრის წარმოდგენით, „იმერელ-სუანნი“ თავს იწუხებენ რუსის „კჟულად განსამეფებლად“ და, უეჭველია, ამ პერსპექტივით „ეუბნებოდეს მესხთაცა მირთვისა“. ამ გამოთქმის—„კჟულად განსამეფებლად“—გაგება მხოლოდ ერთნაირად შეიძლება, სახელდობრ რომ რუსი უფლისწული აჯანყებულთ არა მხოლოდ იმერეთის, არამედ მთელი საქართველოს მეფეთ სურდათ: მისი მხოლოდ იმერეთში გამეფებას „კჟულად“ აღარ ერქმეოდა. ბ. ე-მოძღვრის ამ თვალსაზრისს მოწმობს ის გარემოებაც, რომ ეს ავტორი არაფერს ამბობს გეგუთის სასახლეში რუსის შეყვანისა და მისი იქ გამეფების შესახებ. და ეს იმიტომ, რომ მას იგი ამით „კჟულად განმეფებულად“ არ მიაჩნია (იხე. როგორც არ მიაჩნდათ ის საბოლოოდ გამეფებულად თვით აჯანყებულებსაც, რომელნიც ამ საქმისათვის თავის მობმას თბილისში აპირებდნენ და ამ პერსპექტივით სხვებსაც „ეუბნებოდეს მირთვისა“).

დასასრულ, ი. ცინცაძის მოსაზრებას მხარს არ უჭერს აგრეთვე აჯანყებულთა საქციელი მას შემდეგ, რაც მათი შეტევა თბილისის წინააღმდეგ ჯავახეთში დამარცხდა. „იმერეთის მეფე“ მოსალოდნელი იყო იმერეთში დაბრუნდებოდა და თავს დაიკავდა, მით უფრო, რომ მთელი იმერეთი, ჩვენი ავტორის გაგებით, მას ერთსულოვნად მხარს უჭერდა. მაგრამ, როგორც ვიცით, მისი იმერეთის მეფობა არავის მოჰგონებია და, მთლიან საქართველოს მასშტაბით მოქმედნი, იარაღს ჰყრიან, რაკი ამ მასშტაბით ბრძოლა წააგეს.

ამრიგად, ი. ცინცაძის დებულება რუსი უფლისწულის ლიხთიმერეთის მეფედ დასმის შესახებ მცდარია.

ამასთან დაკავშირებით ი. ცინცაძე იმის შესახებ სვამს კითხვას, „თუ რამდენად მისაღები შეიძლებოდა ყოფილიყო ექსორიად მყოფი რუსი უფლისწული დავით სოსლანთან შედარებით“ (89), ანუ მაღლიერნი იყვნენ თუ არა, დრომდე მაინც, რუსი უფლისწულისა მისი ყოჩაყეთიდამ მოყვანის მოქმედნი? მკვლევარი აკვირდება ცნობებს რუსი უფლისწულის საქართველოში საქმიანობის შესახებ, თამარის ისტორიკოსებს რომ აქვთ დაცული, ცდილობს ამ ცნობების კრიტიკულად შეფასებას (93) და დაასკვნის, რომ საქართველოს სამეფო კარიდან რუსი უფლისწულის გაძევება საკმაო იურიდიულსა და მორალურ საფუძვლებს ემყარებოდა (93—95). და რაკი ასეთი დასკვნა მიიღო, ჩვენს ავტორს უმაღვე საკითხი წამოეჭრა: თუ ორივე ისტორიკოსის ეს თანხმობლივი მოწმობანი სამართლიანია და რუსი უფლისწული მართლაც ყოვლად უკეთური იყო, „გაუგებარი ხდებოა“, მსჯელობს ის, „რას ფიქრობდნენ

განდგომილნი, როცა რუსი უფლისწული მეორედ სასახლეში შეჰყავდათ“ (95).

აქ ი. ცინცაძე მზადაა შეექვდეს ისტორიკოსთა ცნობების სისწორეში რუსი უფლისწულის უკეთურებათა შესახებ, მაგრამ თავს ანებებს ასეთ განზრახვას. იმიტომაც, გვაუწყებს ჩვენი ავტორი, „რომ წყაროები ერთხმად ერთს გვეუბნებიან და, რაც მთავარია, სხვანაირადაც შეიძლება განდგომილთა მიერ რუსი უფლისწულის მოწვევა ვარაუდით წარმოვიდგინოთ ისე, რომ ცნობები მის უკეთურებათა შესახებ ძალაში დარჩეს“ (95).

მკვლევარის ეს სხვანაირი შესაძლებლობა შემდეგია: მისი სიტყვით „განდგომილნი, შესაძლებელია, სრულიადაც არ ფიქრობდნენ საბოლოოდ და სამუდამოდ საქართველოს ორად გაყოფას. რუსი უფლისწულის მოყვანით და გაყოფის (sic) მუქარით თამარი გარკვეულ დათმობაზე უნდოდათ, იქნებ, წაეყვანათ და შემდეგ რუსი უფლისწული იმავე გზით გაესტუმრებინათ, საიდანაც მოვიდა“ (95).

რა გამოდის ი. ცინცაძის ამ ვარაუდით? აჯანყების მომწყობნი მეტად სათუო მორალისა და ჭკუის პოლიტიკური მოღვაწეები არიან. მეფის წინააღმდეგ აჯანყებას აწყობენ, ქვეყნის დიდ ნაწილს შიგ ითრევენ, რუსი უფლისწულის ერთგულებაზე აფიცებენ („უკეთურის“ ერთგულებაზე?), ლიხთიმერეთს ცალკე სამეფოდ აცხადებენ და ყველაფერი ეს მხოლოდ იმიტომ მოიმიტმედეს, რომ თამარი მოატყუონ, შეაშინონ, რათა „გარკვეულ დათმობაზე წაიყვანონ“. მაგრამ ეს უკაცრავად პოლიტიკოსები რუს უფლისწულსაც ატყუებენ. ის გასაგდებად უნდათ, როგორც კი თამარს მოურიგდებიან. რა თქმა უნდა, მათ არც ეს იმერეთის სამეფო სწამთ. ერთიან სახელმწიფოსაც უმაღლვე აღადგენენ. მაგრამ ეს პოლიტიკოსები იმათაც ატყუებენ, ვინც მათვე ააჯანყეს. ფიცი ამათ ხელში საკუთარ მომხრეთა მოსატყუებელი საშუალებაა.

რატომ არ იკითხავს ავტორი, შეიძლება თუ არა ასეთი პოლიტიკური დასი. და ვინდა ენდობოდა ან მხარს ვინდა დაუჭერდა ამის შემდეგ ამ პირისა და ფიცის მტეხელ შეთქმულ მატყუარებს?

სამწუხაროა, რომ ასეთი არასერიოზული მსჯელობა ახლავს ამ სერიოზულ ნაშრომს.

უცნაურია, რომ ჩვენი ავტორი არ ჩაფიქრებია, თუ როგორ მოახერხა ვარდან მსახურთუხუცესმა, რომ მთელი დას. საქლოს ფეოდალურ საზოგადოებას რუსი უფლისწულის ერთგულების ფიცი დაადებინა. ხომ უეჭველია, რომ ვარდან დადიანს პირადი გავლენის გვერდით სხვა არგუმენტიც უნდა ჰხლებოდა. ან როგორ მოხდა, რომ დას. საქართველოს ეკლესიის მესვეურნი ყველანი (გარდა ანტონი საღირისძისა) ამ „სოლომია“ რუსი უფლისწულის მხარეზე აღმოჩნდნენ. განა ეს საკ-

მაო საბუთი არაა იმისა, რომ ეჭვი შევიტანოთ რუსი უფლისწულის „უკეთურებათა“ შესახებ ცნობებში და ეს ცნობები გაზვიადებულად წარმოვიდგინოთ?...

უეჭველად მართალია ი. ცინცაძე, როცა წყაროების სიმცირეს უჩივის, მაგრამ ისიც მართალია, რომ მან ეს მცირე ცნობები სისრულით ვერ გამოიყენა.

ამის შემდეგ ჩვენი ავტორი საქართველოს ისტორიის კიდევ უფრო ბნელ საკითხს ეხება. ის ცდილობს გაარკვიოს, თუ როგორი ცვლილებანი მოჰყვა სამეფო კარზე რუსი უფლისწულის გამეფებას. ბუნებრივად ვარაუდობს მკვლევარი, რომ რუსი უფლისწულის გამეფებით უნდა ესარგებლნათ იმათ, ვინც მისი შემოყვანა-გამეფების მომხრე-მონაწილენი იყვნენ, და ერთ-ერთ ასეთ პირს ჩვენი ავტორი, მისი აზრით, პოულობს კიდევაც, ეს არის მიქაელ კათალიკოსი.

თამარის ისტორიკოსთა ცნობების გათვალისწინებით ი. ცინცაძე ცდილობს გადასინჯოს ზოგიერთ ისტორიულ მოვლენათა შესახებ ქართულს ისტორიოგრაფიაში აქამდე არსებული შეხედულებანი. ერთ-ერთი ასეთი საკითხია, თუ როგორ და როდის მიიღო მიქაელ ქართლის კათალიკოსმა ჰყონდიდელ--მწიგნობართუხუცესობა. ჩვენი ავტორი უარყოფს „ახალი ქართლის ცხოვრებისა“ და ივ. ჯავახიშვილის კონიექტურას, თითქო მიქაელ კათალიკოსი იმ საეკლესიო კრების დროს, თამარის მეფობის დასაწყისში რომ იქმნა მოწვეული, უკვე ჰყონდიდელიც იყო და მწიგნობართუხუცესიც.

ცნობა, რომლის გაგება უთანხმოებას იწვევს, ასეთი სახით აქვს დაცული ბასილ ეზოსმოძღვრის თხზულების ჩვენ დრომდე მოღწეულ ხელნაწერს: საეკლესიო კრებაზე ნიკოლოზ გულაბერიძემ და ანტონ სალირისძემ (ამ კრების ხელმძღვანელებმა) „არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოზი, რამეთუ წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჰყონდიდელ მაწყუერელთ უხუცესობა მოევერაგა უფლისაგან“ (ბ. ე.—მ. 16). ამ ცნობაში გამოთქმა „ჰყონდიდელ მაწყუერელთ უხუცესობა“ სამართლიან ეჭვს იწვევს როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით. საქმე უნდა გვქონდეს ტექსტის დამახინჯებასთან. ი. ჯავახიშვილი ამ ტექსტს ასე აღადგენს: „ჰყონდიდელ მაწყუერელობა და მწიგნობართ უხუცესობაც მოევერაგა უფლისაგან“ (ბ. ე.—მ. 16). ქართლის ცხოვრების შემვსებლებით კი: „ჰყონდიდელ მაწყუერელობა და მწიგნობართ უხუცესობაც მას მოეხვეჭა უფლისაგან“.

ჩვენი ავტორი არ ეთანხმება ტექსტის ასე აღდგენას. მისი აზრით, მიქაელ კათალიკოსი ამ დროს მწიგნობართუხუცესი არ იყო, ის იყო კათალიკოსი, მაწყუერელი და ჰყონდიდელი. მიქაელ კათალიკოსმა ჩვე-

ნი ავტორის აზრით, უფლისაგან „მოივერაგა“ მხოლოდ ჭყონდიდლობა. მან ის ანტონი გნოლისთავისძეს წაართვა. და რადგან ცნობილია, რომ ჭყონდიდლობა ქართული სახელმწიფო სამართლით მწიგნობართუხუცესობასთან იყო შეერთებული, ი. ცინცაძე დაასკვნის, რომ მიქაელ კათალიკოსმა, მაშასადამე, 1184—1185 წელს „ჭყონდიდლობა მწიგნობართ უხუცესობას მოსწყვიტა და თვით მიისაკუთრა“ (102), ხოლო მწიგნობართუხუცესად ამის შედეგად რჩებოდა იგივე ანტონი გნოლისთავისძე. ამ უკანასკნელი დებულებისათვის ცინცაძე იმოწმებს თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობას ანტონი გნოლისთავისძის „ჭყონდიდლად მწიგნობართა უხუცესად“ დამტკიცების შესახებ 1185 წელს („თანდგომა-ერთნებაობის“ წესის გატარებისას სამეფო კარზე). სამწუხაროდ, ჩვენი ავტორის მსჯელობა აქაც შემცდარია. ჯერ თამარის მეორე ისტორიკოსის ტექსტის აღდგენის შესახებ: „ჭყონდიდელ მაწყვერელთ უხუცესობა მოვევერაგა უფლისაგან“. საქართველოს ისტორიის მოვლენათა და ამავე წყაროს სხვა მონაცემების გათვალისწინებით ამ დამახინჯებული ადგილის აღდგენა ასე შეიძლება: უნდა ვიფიქროთ, ეწერა — „ჭყონდიდელ მწეთ¹¹ უხუცესობა მოვევერაგა უფლისაგან“ (მოიგონე „მწეთუხუცესი“ — დავით აღმაშენებლის ანდერძში). გადამწერმა (შეიძლება გვიან, როცა „მწიგნობართუხუცესობა, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტი, გამქრალი იყო) დაქარაგმებული სიტყვა „მწეთ სწორად ვერ გაიგო და ისე გახსნა, როგორც შეეძლო: — „მაწყვერელთ“. ქცას გამგრძელებლებმა უხეირო „მაწყვერელთ“ შეცვალეს გასაგებ „მაწყვერელობა“-დ, ხოლო უნივთოდ დარჩენილ „უხუცესობა“-ს საგანი მოუძებნეს, მის წინ ჩაურთეს სიტყვა „მწიგნობართა“. ასევე აღადგინა ეს დამახინჯებული ადგილი აკად. ი. ჯავახიშვილმაც.

უნდა ითქვას: ეს უნივთო „უხუცესობა“ ი. ცინცაძესაც მეტად აწუხებს. ამ სიძნელისათვის მას ვერ მოუვლია და გულწრფელად აცხადებს, რომ ეს გარემოება „საეჭვოდ ხდის მთელ ჩვენს მსჯელობას“-ო (105). ეს „მსჯელობა“ კი მას ათ გვერდზე აქვს გაშლილი. ოჯახაშენებულს ჯერ ამ სიძნელისათვის მოევლო ბარემ...

ამრიგად, ჩვენი კონიექტურისას დედნის ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია სრულად. იქ არც მეტია რამე და არც ნაკლები. მას, ამიტომ, არც შევსება სჭირია და არც მოკლება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქარაგმინი „მწეთ“ გადამწერმა თავისებურად გახსნა (ფორმა „მაწყვერელთ“ სწორედ იმის მოწმობაა, რომ ქარაგმინი სიტყვა „მწეთ“ ფორმით იყო მოცემული: გადამწერმა სხვა ვერაფერი მოისაზრა ამ უცნაური მწეთ-ს

¹¹ აქ პატივის ქვეშ შეიძლება დატული იყო ფორმა მწეთ ან, კიდევ უფრო საინტერესო მწეთ (= მწიგნობრეთ). შდრ. ვ. დონდუა — „ლიბარიტეთ“ და სხვ. უნივერსიტეტის „შრომები“, 32).

ქვეშ, თუ არ „მაწყვერელთ“, რომელიც, მართალია, „უხუცესობას“ არ ეხამებოდა, მაგრამ ჰყონდიდლობის გვერდით ერთადერთ მისაღებ კონიექტურად ეჩვენა ვადამწერს).

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბასილი ეზოსმოძღვრის ამ ცნობის მიხედვით მიქაელ კათალიკოსი მაწყვერელი არ ყოფილა (ამის საბუთად ისიც გამოდგება, რომ ესევე ავტორი მიქაელ კათალიკოსს უფრო გვიან მაწყვერელად აღარ იხსენიებს...), არამედ მას „მოვეერაგა უფლისაგან“ ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა“ (ასევე კომპოზიციის ფორმით აქვს აღნიშნული ეს კელი ამავე ავტორის მეორეჯერაც: „მოკუდა ქართლისა კათალიკოზი, ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი“...).

ი. ცინცაძე, გატაცებული საკუთარი კონცეფციით, საჭირო ყურადღებას ვერ აქცევს წყაროების იმ ჩვენებებს, მის დასკვნებს რომ არ ეთანხმებიან. ჯერ ერთი, ასეთი საკითხების მკვლევარს, ი. ცინცაძეს, უნდა სცოდნოდა, რომ ამ დროს ტერმინი „ჰყონდიდელი“ უპირატესად მწიგნობართუხუცესს ნიშნავდა, რომ ტერმინები „ჰყონდიდელი“, „ჰყონდიდლობა“, „მწიგნობართუხუცესისა“ და „მწიგნობართუხუცესობა“-ს შესატყვისობით იხმარებოდა, რომ კომპოზიციის — „ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის“ — შემადგენელი ნაწილები შინაარსის თვალსაზრისით გაიგივებული იყო.

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ავტორს უნდა მეტი ყურადღება მიექცია წყაროს ჩვენებათათვის. ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობით: „მოკუდა ქართლისა კათალიკოზი, ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ქართველი მირიანის ძე მიქაელ“ (ბ. ე.—მ. 118), და თამარმაო „მოიყვანა ანტონი გნოლისთავის ძე გარეჯით, რომელ პირველ ჰყონდიდელ[ი] იყო და მიქაელ კათალიკოზმან მას მისტაცა მოძმაცვითა ვიეთთამე მეფისა განმზრახთათა... ესე დასუეს ვაზირად, მისცეს ჰყონდიდი სამთავისი, კისისტევი და მწიგნობართუხუცესობა“ (ბ. ე. — მ. 18).

ი. ცინცაძის კონცეფცია ასეთია: 1184 წელს ანტონ გნოლისთავის-ძე ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესია. ამის საბუთია თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა, რომ გიორგი III გარდაცვალებისას სამეფოსასახლეში თამარს შეხედნენ „მიქაელ ბატრიარქი ყოველთა ებისკოპოზთა თანა მდგომი და ვაზირი ანტონი და ამირსპასალარი ყუბასარ და სხვანი კელისუფალნი“ (ი. ა. 72); 1184-85 წელს მიქაელ კათალიკოსმა „მოივერაგა უფლისაგან“ ჰყონდიდლობა, რომელიც მან ამით „მწიგნობართუხუცესობას მოსწყვიტა“. ამის საბუთია, ჩვენი ავტორის აზრით, ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობა, დამახინჯებული სახით რომ არის ჩვენამდე მოღწეული: „ჰყონდიდელ მაწყვერელთუხუცესობა მოვეერაგა უფლისაგან“ (ბ. ე.—მ. 16).

შემდეგ უფრო გვიან, მიქაელ კათალიკოსმა მწიგნობართუხუცესობაც მისტაცა ანტონ გნოლისთავისძეს. ამის საბუთი ისაა, რომ მიქაელ კათალიკოსი გარდაცვალების ქამს „ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა“ (ბ. ე.—მ. 18). და ჩვენს ავტორს საბუთიერად მიაჩნია ვარაუდი, რომ მიქაელ კათალიკოსმა მწიგნობართუხუცესობა ანტონს მისტაცა“ რუსი უფლისწულის გამეფების შემდეგ და მისივე წყალობით. უკანასკნელ გარემობას უნდა ჰგულისხმობდეს, მკვლევარის აზრით, ბასილი ეზოსმოძღვრის გამოთქმა: „მისტაცა მოძმაცვითა ვიეთთამე მეფისა განმზრახთათა“ (ბ. ე.—მ. 18).

ამრიგად, ჩვენი ავტორის აზრით, მიქაელ კათალიკოსმა პირველად ჰყონდიდის ეპისკოპოსობა წაართვა ანტონს, ხოლო შემდეგ მწიგნობართუხუცესობა.

მაგრამ როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში ანტონი კარგავს, ხოლო მიქაელი მოივერაგებს თუ მიიტაცებს „ჰყონდიდლობას“ (პირველ შემთხვევაში, წყაროს ჩვენებისდა მიუხედავად, ი. ცინცაძე ამტკიცებს, რომ მიქაელმა მხოლოდ „ჰყონდიდლობა“ — ჰყონდიდის ეპისკოპოსობა მოივერაგაო, ხოლო მეორე შემთხვევაში თვით წყარო აჩვენებს უდავოდ, რომ ანტონი „პირველ ჰყონდიდელი იყო და მიქაელ კათალიკოსმა მას მისტაცა მოძმაცვითა ვიეთთამე მეფისა განმზრახთათა“). ჩვენი ავტორი კი ერთ შემთხვევაში „ჰყონდიდლობაში“ მხოლოდ ჰყონდიდის ეპისკოპოსობას ჰხედავს, მეორე შემთხვევაში კი „ჰყონდიდელში“ ის ჰყონდიდის ეპისკოპოსობას აღარ ჰხედავს, არამედ მხოლოდ მწიგნობართუხუცესობას.

ასე, რომ მცდარი ჩანს მოსაზრება, თითქო მიქაელ კათალიკოსმა პირველად ჰყონდიდელ-ეპისკოპოსობა მოივერაგა, ხოლო შემდეგ მწიგნობართუხუცესობა მიიტაცა. წყარო (ბასილი ეზოსმოძღვარი) ორივე ცნობაში ერთ ფაქტს გულისხმობს, როცა მიქაელ ქართლისა კათალიკოსმა ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა მოივერაგა უფლისაგან „მოძმაცვითა ვიეთთამე მეფისა განმზრახთათა“ (ჩვენ აქ აღარას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ჩვენს ავტორს არ ესმის სწორად ტერმინი „მეფის განმზრახნი“. ეს ტექნიკური ტერმინია ისევე, ვთქვათ, როგორც გვიან ფეოდალურ ხანაში „მუსაჰიბი“, და, მაშასადამე, არ იძლევა საბუთს „მეფე“-ში მაინც და მაინც რუსი უფლისწულის ვარაუდისას). თუ როდის მიიტაცა მიქაელ კათალიკოსმა ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა, ეს ცალკე კვლევის საგანია და აქ ამ საკითხისათვის გამოდევნება ჩვენი საქმე არაა. ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნით ვკმაყოფილდებით, რომ ისტორიული სურათი, ი. ცინცაძემ რომ სცადა აღედგინა, წყაროთა მონაცემებს არ ეთანხ-

მ ე ბ ა (ჩვენ აქ, ამის შემდეგ, აღარც იმის შესახებ საუბარს დავიწყებთ, თუ როგორ და რაში ცდება ჩვენი ავტორი, როცა ამტკიცებს, რომ მიქაელმა „უკონდილობა მოსწყვიტა მწიგნობართუხუცესობას“ და ამით „ეკლესია ცენტრალურ ხელისუფლების გავლენისაგან დაიხსნა“ (102). აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ასეთი დასკვნები საქართველოს ისტორიის სპეციალური საკითხების არასაკმაო შესწავლის ნიადაგზე წარმომდგარი შეცდომებია).

გარდა მიქაელ კათალიკოსისა ი. ცინცაძეს რუსი უფლისწულის მეოხებით დაწინაურებულად მიაჩნია აბულასან მეჭურჭლეთუხუცესი (197). თავისთავად ასეთი ვარაუდი მართებულია. საჭიროა ოღონდ საამისოდ საკმაო არგუმენტი. ასეთი კი არა ჩანს. სამწუხაროა აგრეთვე, რომ ჩვენს ავტორს პ. ინგოროყვას „რუსთველიანა“ არც აქ მოპგონებია.

ამის შემდეგ ი. ცინცაძე კანონიერად სვამს საკითხს: „რით მიიზიდა რუსმა უფლისწულმა საქართველოს მმართველი კლასის გარკვეული წრეები და ეკლესიის მეთაურნი“ (108) და აწარმოებს კვლევას იმის შესახებ, თუ ვინ იყო რუსი უფლისწული. რუსული წყაროების მოშველიებით ის საინტერესო ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის ხსენებული უფლისწულის შესახებ და დამაჯერებელი ჩანს აგრეთვე მოტივაცია მისი საქართველოში წამოსვლისა (108—117). ჩვენი ავტორი უთუოდ მართალია, როცა ფიქრობს, რომ თამარის ქმრად რუსი უფლისწულის მოწვევა გარკვეულ პოლიტიკურ მოვლენებთან კავშირში უნდა იქნეს განხილული. ამის საბუთი უთუოდ არსებობს (მთელი აჯანყება), მაგრამ მკვლევარი მეტისმეტად ამარტივებს საკითხს, როცა ვარაუდობს, რომ უფლისწულის უთვისტომობა „ქართველ დიდებულთა გარკვეული წრეებისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი და მიმზიდველი უნდა ყოფილიყო“ (119). იმიტომ, თურმე, რომ „უთვისტომო გიორგის აქ საქართველოს სამეფო კარზე ადგილობრივ გაბატონებულ წრეში დასაყრდენის ძიებაზე უნდა ეზრუნა“ (იქვე), „ამდენად იგი საშიში ვერ იქნებოდა გაბატონებულ და მებრძოლ დიდგვარიან აზნაურთა გარკვეულ წრეებისათვის“ (იქვე).

ჯერ ერთი, „ქმარი-მეფე“ რომ უთვისტომო არ ყოფილიყო, ის ვითომ ვის დაეყრდნობოდა, თუ არა „გაბატონებულ წრეს“? მეორეც, არ ჩანს, რომ რუსი უფლისწულის შემოყვანის შემდეგ განვითარებული პოლიტიკური მოვლენები ავტორის ამ ვარაუდებს უჭერდნენ მხარს. მაინც და მაინც ავტორი უნდა ცდილიყო ეს მოვლენები შეეთანხმებინა თავის თეორიასთან, ან უკეთ, ეს თეორია ამ მოვლენათა ანალიზიდან გამოეტანა.

უთვისტომო მოიყვანეს, უძლიერეს დასს დაეყრდნო. ვინდა გააძევა ის? როცა რუსი შემოიყვანეს „თანადგომა-ერთნებაობის“ წესი უკვე გატარებული იყო. როგორ შეეძლო ამ უთვისტომო მეფეს, რომელიც უძლიერესთა დასს ეყრდნობოდა, ამათი ნების გარეშე ვილაცხები დაეწინაურებინა? ვარდანი, გუზანი, ბოცო — ერთნებაობის წესის შედეგად დაწინაურებულნი — რატომ აჯანყდნენ? საფრთხე ელოდათ? ვის-ვან? სულ ყველაფერი შეუსწავლელია...

რუსი უფლისწულის ყივჩაყეთიდან მოყვანასთან დაკავშირებით ჩვენი ავტორი გაკვირვებით ეხება საქართველოსა და ყივჩაყეთის ურთიერთობას XII საუკუნეში. ის ყურადღებას აქცევს ქართული წყაროების მონაცემებს და საბუთიანად დაასკვნის, რომ „XII საუკუნის მიწურულს (გიორგისა და თამარის მეფობაში) ყივჩაყეთი საქართველოს უშუალო გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყანად უნდა მივიჩნიოთ, თუ მთელი ყივჩაყეთი არა, ნაწილი მაინც“ (124). საცილობელი აქ შესაძლებელია მხოლოდ ის იყოს, თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს „უშუალო გავლენა“, ფორმალური საპატრონუმო ურთიერთობის სახით, როგორც ეს ი. ცინცაძეს ჰგონია, თუ უფრო განსხვავებული დამოკიდებულების სახით მდიდარსა და კულტურულ სამეფოს ერთის მხრით და უკულტურო, ღარიბ მომთაბარეთა შორის — მეორეს მხრით. უკანასკნელი ვარაუდი ჩვენ უფრო საბუთიერად გვეჩვენება.

არაა აგრეთვე საფუძველს მოკლებული ჩვენი ავტორის გუშანი. რომ რუსი უფლისწულის „კანდიდატურის წამოყენება“ შესაძლებელია „მისი ამ მიმართულებით წინასწარ გადადგმული ნაბიჯის შედეგი იყვეს. მას შეეძლო ყივჩაყეთში გაცნობოდა საქართველოს ტახტზე არსებულ მდგომარეობას და მოლაპარაკება ეწარმოებინა საქართველოს ზოგიერთ დაწინაურებულ პირთან ვაჭრების საშუალებით, მათ შორის აბულასან-თანაც“ (125).

მართალი ჩანს ჩვენი ავტორი, რომ ყივჩაყეთი XII საუკუნეში რუსთა და ქართველთა მშვიდობიანი შეხვედრების ცხოველი ასპარეზი უნდა ყოფილიყო, რომ ყივჩაყეთის მეშვეობით რუსეთის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბები საქართველომდე მოდიოდა (125).

სწორია და ფასიანი ავტორის მიერ რუსული წყაროებიდან შემოკრებილი ცნობები კიევის დიდი მთავრის იზიასლავის ქორწინების შესახებ ქართველ დედოფალზე (135—157). სავსებით ახალი, კიდევ უფრო საინტერესოა ავტორის დაკვირვება ვოლინელ მემატიანის ცნობაზე და იმ ფაქტის მართებული დადგენა, რომ რუსი დიდი მთავრის ვლადიმერ მონომახოსის შეტევითი ომები ყივჩალთა წინააღმდეგ და დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოში ყივჩაყეთა გადმოყვანა 1118 წელს უშუალო კავშირში იმყოფება ერთიმეორესთან (157—174).

ჩვენი ავტორის განსაკუთრებულ დამსახურებად დარჩება ამ ფაქტის დადგენა, რომლითაც მან მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია ქართულ ისტორიოგრაფიას დიდი დავითის ეპოქის შესწავლის საქმეში.

საერთოდ, მთელი ამ პირველი და მეორე თავის შესახებ შეიძლება ითქვას:

ავტორის წარმატებაა, რომ მან აქამდე ცნობილი ფაქტების ახალი შეწყობით და უცნობი ფაქტების აღმოჩენით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უწყვეტი სურათი XI—XII საუკუნეთა სივრცეზე უდავოდ დაადგინა. მაგრამ სანანებლად მკითხველს ისა რჩება, რომ ავტორი ამ ისტორიული ფაქტების დადგენის იქით არ მიიღოს, რომ ამ ურთიერთობის ბუნებას არ იკვლევს.

ამიტომაცაა, რომ ი. ცინცაძეს, მაგალითად, ერთხელაც არ მოსდის თავში კითხვა იმის შესახებ, თუ რა იყო მიზეზი, რომ ქართული ისტორიული მწერლობა უძველესი დროიდანვე პირმიქცეული ჩანს აღმოსავლეთ-სამხრეთ-დასავლეთისაკენ, რომ ამ მწერლობის წარმოდგენაში ჩრდილოეთი ბარბაროსთა ქვეყანაა, „ხაზარეთი“ და „სკვითეთი“. ეს ფაქტი განა ურთიერთობის ბუნებაზე არაფერს ლაპარაკობს?

მრავალმეტყველია ჩვენი ავტორის მიერ შემოკრებილი ცნობები. X საუკუნეში იწყება რუსთა და ქართველთა ურთიერთნაცნობობა.

XI საუკუნეში ეს ურთიერთობა ამ ორ ხალხს შორის კიდევ უფრო ძლიერი ჩანს, როგორც ბიზანტიის მეშვეობით (კვისრის კარი, კონსტანტინოპოლი), ისე უშუალო შეხვედრებითაც (ტმუტარაკანი?). შეიძლება მტკიცება, რომ XI საუკუნეში ქართველები ქირაობენ ვარანგებს (ბაშელები...).

XII საუკუნეში საქართველოს პოლიტიკური წონა ახლო-აღმოსავლეთში განსაკუთრებით იზრდება. ის ბიზანტიის თანასწორობას ჩემობს. ამ დროს მისი პოლიტიკური და კულტურული გავლენა იმიერკავკასიაში სრულიად უდავოა. კიევის რუს მთავრებს, რაღა საეჭვოა, საქართველოზე გარკვეული ცოდნა ჰქონდათ. ქართველებსაც საკმაოდ უნდა სცოდნოდათ რუსთა დიდი სამთავრო. თუ ინტენსიური პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა არა, ქართველი დედოფლის გათხოვება იზიასლაზე ყოვლად წარმოდგენელი იქნებოდა. ყოჩაყეთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოსაშუალე ჩანს, თუმცა პირდაპირი კავშირიც, უეჭველად სავარაუდებელია: ზღვის გზა. ამ მწკრივში თამარის საქმროდ რუსი უფლისწულის შერჩევის ფაქტს სრულიად ახალი შუქი ეფინება.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ორ ხალხს შორის ურთიერთობის კვლევისას ეს არის შრომის პირველი საფეხური. შემდგომი, და უმთავ-

რესი ამოცანაა ამ ურთიერთობის კვალიფიკაცია: როდის როგორია ეს ურთიერთობა, ვინ ვის როგორ საჭიროებს, ვინ ვის როგორ უყურებს, ვინ ვისგან უპირატესად სესხულობს, ვინ ვის უპირატეს გავლენას განიცდის და სხვ.

სამწუხაროა, რომ ი. ცინცაძე საკითხის აგრე შესწავლას არ ცდილა.

შეიძლება ამით აიხსნებოდეს, რომ ჩვენს მკვლევარს არ აგონდება კედლის მხატვრობა დიდ ნოვგოროდში (ნერედიცი 1185 წლისა), რომლის შესახებ არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ეს მხატვრობა (მისი გარკვეული ნაწილი მაინც) ქართველი ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული.

დასკვნა: ი. ცინცაძის დამსახურებაა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფაქტების დადგენაში უდავო და მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ურთიერთობის მის მიერ კვლევა (კვლევის ხასიათი) უთუოდ ნაკლებია.

ავტორის მიერ დადგენილი ურთიერთობის ფაქტები შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისთვის. სამწუხაროდ, ესევე არ ითქმის ავტორის შტუდიებზე საკუთრივ საქართველოს ისტორიის სფეროდან. აქ მისი ცდები უმეტეს შემთხვევაში მარცხის უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამის შემდეგ ავტორი ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს XIII—XIV საუკუნეებში. აღნიშნული ხანისათვის ასეთი ურთიერთობის ცნობებს მკვლევარი ვერ პოულობს. მაგრამ ეს არ იქნებოდა, ვფიქრობთ, საკმაო იმაში დასარწმუნებლად, რომ „მონღოლთა ბატონობამ XIII საუკუნემდე არსებული ურთიერთობის ძაფი გაწყვიტა ძველ რუსეთსა და საქართველოს შორის“ (200). ასეთი ურთიერთობა, უეჭველია, განელებულ-გამნელებული, უნდა არსებებულიყო XIII—XIV საუკუნეებშიაც. საქართველოს მხრით ამის შესაძლებლობა გამორიცხული არ ჩანს — (დიდ ვაჭრობა შავი ზღვით...). თათართა ბატონობა თავისთავად (სუბიექტურად) ხელს არ უშლიდა ხალხთა შორის მშვიდობიან სავაჭრო ურთიერთობას. ხოლო XV საუკუნიდან ხომ სრულიად უტყუარი სურათი გვაქვს იმისა, თუ როგორ ხერხდებოდა სამხრეთისა და ჩრდილოეთის ხალხთა შორის სავაჭრო (თუ არასავაჭრო) ურთიერთობა ასტრახან-ვოლგის მეშვეობით. არა გვაქვს საბუთი გამოვრიცხოთ საქართველოს ვაჭრები ამ ურთიერთობიდან, პირიქით, ალექსანდრე მეფის წიგნი 1492 წელს მოსკოვის მეფესთან ამ ურთიერთობის მაჩვენებელი შეიძლება იყოს სწორედ.

ვერაა მარჯვე მეოთხე თავის დასათაურება: „პირველი ცნობები XV საუკუნის მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის ისტორიიდან“. როგორც ირკვევა, ამ საუკუნიდან ჩვენი საკითხისათვის მხოლოდ ერთი ცნობა მოგვეპოვება და ისიც 1491/1492 წლისა. ასე, რომ აქ არც „პირველი“ და არც „ცნობები“.

აღნიშნული თავის დასაწყისში ავტორი სწორად შენიშნავს, რომ XV საუკუნეში მონღოლთა „ძლიერების დაცემას მოსკოვის რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის განახლება მოჰყვა, მაგრამ შინაარსით, წინა ხანასთან შედარებით, განსხვავებული“ (200). ჩანს, ავტორი ამჩნევს რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მონღოლთა შემდგომი ხანისა შინაარსით განსხვავებულია ამის წინადროინდელი ურთიერთობისაგან. სამწუხაროა, რომ ავტორი გულდაგულ არ მოეკიდა ამ კეთილ აზრს და, შემთხვევით წარმოთქმული, მან ის დაუსაბუთებელი დატოვა. რით და რაში იყო ეს ურთიერთობანი ერთიმეორისაგან განსხვავებული, რა ნიშნის მიხედვით შეიძლება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაყოფა ასეთ ორ ხანად (რა თქმა უნდა, „მონღოლების ძლიერების დაცემა“ არც ქრონოლოგიურ ნიშნად გამოდგება და არც სხვა რაიმე ნიშნად). ასეთი განმასხვავებელი ნიშანი, სწორია ავტორის გუშანი, ამ ურთიერთობის შინაარსში უნდა ვეძიოთ. ი. ცინცაძე, როგორც ჩანს, ამჩნევს ამ განსხვავებას, მით უფრო სამწუხაროა, რომ ის არ ცდილა დაემუშავებინა ეს საკითხი და მკითხველისათვის ეჩვენებინა იგი. სწორედ ესაა ის უმთავრესი, რაც ამ შრომას აკლია.

ი. ცინცაძე აკვირდება რუსულ კვინკლოსურ ცნობას იმის შესახებ, რომ 1492 წლის ზამთარში მოსკოვის დიდ მთავარს ივერიის ქვეყნიდან ჰხლებია ალექსანდრე მთავრის ელჩი მურატი: „Тоя же зимы прииде посол к великому князю из Ыверския земли от князя Александра именовем Мурат.“ ამ ცნობასთან კავშირში ი. ცინცაძეს მოაქვს მეორე საბუთი. ესაა ალექსანდრე ივერთა მეფის მოკითხვის წიგნი მოსკოვის დიდ მთავართან. ამ უკანასკნელი დოკუმენტის თარიღი სადავოა. ჩვენი ავტორი ზედმიწევნით და საბუთიერი მსჯელობით არკვევს, რომ ხსენებული დოკუმენტი XV საუკუნის მიწურულს უნდა ეკუთვნოდეს (203—211), მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ დროს საქართველოში ორი ალექსანდრე ერთად მეფობდა: კახეთში და ლიხთ-იმერეთში. ამ საკითხის გადასაწყვეტად — თუ რომელს ამ ალექსანდრეთაგანს ეკუთვნის ეს საბუთი — ავტორი აკვირდება მოკითხვის წიგნის ბოლო აბზაცს, სადაც „ივერიის“ მეფე ასახელებს თავის ელჩებს: „И еще сведомо буди, много государю челом бьючи, Наримана, Дамяна к твоему порогу послали есмя; Хоземарума шекинца в товарищех с ними же послали есмя“.

აქ ჩვენი ავტორის ყურადღების საგანია ელჩობის ერთ-ერთი მონაწილე **Хоземарум Шекинец**. მკვლევარი საბჭოთიერად ასწორებს მარი ბროსესა და ს. ბელოკუროვის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ **Шекинец** არ ნიშნავს **чеченец**-ს და შემოაქვს უფრო მისაღები კონიეტურა, რომ აქ აღნიშნული პირის სადაურობაა მოცემული: შ ა ქ ე ლ ი (214—215). ავტორის ეს მსჯელობა იმ მხრითაა ნაკლები, რომ ეს შაქელი კაცი მას თავადი ან აზნაური ჰგონია და საკითხს ამის მიხედვით სწყვეტს კახეთის მეფის სასარგებლოდ (215), მკვლევარი არ ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ ეს **Хоземарум Шекинец** ვაჭარი შეიძლება იყოს. „ხო-ზემარუმის“ აზნაურობა ან თავადობა ამ დოკუმენტიდან სრულიადაც არა ჩანს, ხოლო იმის საწინააღმდეგო არაფერი ითქმის, რომ ეს პირი ვაჭარი ვინმეა, მაგრამ თუ „ხო-ზემარუმი“ მხოლოდ „შაქელი“ ვაჭარია და მისი შაქელობა ამ ელჩობასთან არაფერ შუაშია, მაშინ ის ისევე ადვილად შეიძლება იყოს **В това-рищех** გაპყოლოდა კახეთის მეფის ელჩებს, როგორც იმერეთის მეფის ალექსანდრეს ელჩებს. ხოლო თუ ეს ვაჭარი აქ შაქელობით დასახელებულია ამ ელჩობასთან მისი სამშობლოს (შაქი) დაკავშირებით, მაშინ უეჭველია, რომ ელჩობის ორგანიზატორ ალექსანდრე მეფეს შაქზე როგორღაც ხელი მიუწვდება და რომ, მაშასადამე, ეს ალექსანდრე მეფე კახელი და არა იმერელი შეიძლება იყოს. ამის შემდეგ ი. ცინცაძე საკითხს სვამს ზემოაღნიშნული კვინკლოსური ცნობის ურთიერთობის შესახებ ალექსანდრე კახთა მეფის ამ „წიგნთან“. ის სწორად შენიშნავს, რომ 1491 წელს გაგზავნილი ეს წიგნი (და ელჩობა), როგორც ეს აღნიშნულია ამ დოკუმენტში, მოსკოვს მართლაც 1492 წლის ზამთარს მივიდოდა. ასე რომ ქრონოლოგიური დაბრკოლება ამ ორი ცნობის გაიგივებაში არა ჩანს. მაგრამ დაბრკოლება ისაა, რომ კვინკლოსურ ცნობაში, როგორც ვხედავთ, ელჩი ერთია და არა სამი, როგორც ეს „მოკითხვის წიგნშია“ დასახელებული, და ამ ელჩის სახელიც სხვაა— **Мурат**.

ჩვენი ავტორი ცდილობს მოუაროს ამ დაბრკოლებას (215—219). ის საბუთიერად უარყოფს იქ რაიმე სხვა ელჩობას იმერთა თუ კახთა მეფისაგან და ვარაუდობს, რომ კვინკლოსურ ცნობაში დასახელებული **Мурат** შეიძლება „მოკითხვის წიგნში“ დასახელებული **Нариман**-ის დამახინჯება იყოს (219).

სამწუხაროდ, ავტორი არ გვიჩვენებს, თუ სად, რატომ და როგორ უნდა მომხდარიყო **Нариман**-ის გადამახინჯება **Мурат**-ად (ავტორის საამისო მაგალითები დამაჩერებელი არაა: გრემი — **Крым**, ალავერდი — **Лаверди**, ლევან — **Леонтей** ყველა ადვილად გასაგებია. არც

ხორეშან — Христина არის აუხსნელი. მაგრამ Нариман და Мурат ერთი მეორეს ვერ დაუახლოვდება ვერც ბგერითი მიმსგავსებით და ვერც ქრისტიანულად გაშინაარსებით).

გაცილებით უფრო ბუნებრივად გვეჩვენება კვინკლოსის Мурат მოკითხვის წიგნის Хоземарум-ად გავიგოთ. ასეთ კონიექტურას ჩვენი ავტორი უმართებულოდ უარყოფს (მას თავისდათავად შეუძლებლად არ მიაჩნია, რომ Хоземარум ბერძნული დამწერლობის ნიადაგზე მიღებული იყოს ჰაჯი მურატისაგან) — 219.

საქმე შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ, ალექსანდრე კახთა მეფის მიერ დანიშნულ ელჩობაში შედიოდნენ ორი ქართველი (თუ ქრისტიანი) და ერთი შაქელი კაცი; ეს უკანასკნელი იყო ვ ა ქ ა რ ი — „ხოჯა“ და მისი სახელი იყო Мурат (ან Марум) „Хоземарум“-ში ეს ხოჯა ჩანს (ისე როგორც რუსული წყაროების Ази Хосров არის ჰ ა ჯ ი ხო-სროვ და სხვ.). ხოჯა ამ დროს ჩვეულებრივ ვაჭარს („დიდ ვაჭარს“) აღნიშნავდა, ხოლო დიდვაჭრების მონაწილეობა ელჩობაში ცნობილი ამბავია. ელჩობა შემდგარა. ნარიმანი (თავადი?) და დამიანე (ბერი?) ვერ მისულან საელჩოდ (შეიძლება ალექსანდრე მეფეს რაიმე მიზეზის გამო ისინი არც გაუგზავნია. „გამოსახვენიერ წიგნში“, რომ არიან დასახელებული, ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, თითქო ამ პირთა შეცვლა ან ელჩობის მონაწილეთა რიცხვის შემცირება არ შეიძლებოდა. საამისო მაგალითი ჩვენ გვაქვს კიდევაც XVI საუკუნის 90-იანი წლებიდან) და ელჩობა შეუსრულებია შაქელ ვაჭარს ხოჯა მურადს (ეს სახელი ალექსანდრე მეფის წიგნის რუსული თარგმანის გადაწერაში Хоземарум-ად ქცეულა). კვინკლოსურ ჩანაწერში ამ რთულ სახელს ტიტული ხოჯა (-Хозя) — ჩამოსცილებია და გადაჩენილია მარტივი Мурат.

შემდეგ ი. ცინცაძე გადადის მოსკოვ-კახეთის ურთიერთობის შინაარსის განხილვაზე. ალექსანდრე მეფის ზემოაღნიშნული წიგნი საამისო რაიმე პირდაპირ ცნობას არ იძლევა. მიუხედავად ამისა, ჩვენი ავტორი ფიქრობს, რომ ეს გარემოება ვერ იქნება დაბრკოლება იმისათვის, რათა ჩვენ ეს წიგნი პოლიტიკური ურთიერთობის მაჩვენებელ დოკუმენტად ვივარაუდოთ.

ამ მიზნით ი. ცინცაძე მოკლე ისტორიული ექსკურსით აცნობს მკითხველს იმ დროის მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკურ ვითარებას, მის სწრაფ ზრდას, მის ურთიერთობას ერანთან, შირვანის ხანთან, მის ვაჭრობას ამ ქვეყნებთან. ყურადღებას აქცევს ოქროს ურდოს საბოლოო დასუსტებას და დასკვნის: „ყველა ზემოთ მოტანილი ფაქტი ჩვენ საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კახეთის მეფეს მოსკოვის შესახებ საკმაო ინფორმაცია უნდა ჰქონოდა და ელჩების გაგზავნა წმინდა პოლიტიკური ხასიათის მიზნებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ალე-

ქსანდრეს წერილში რომ არაფერია ამის შესახებ, სწორედ იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ელჩს საიდუმლო პოლიტიკური ხასიათის დავალებები ჰქონდა“ (228—229).

არ გვეჩვენება, რომ ასეთი დასკვნა შეთანხმებული იყოს რუსეთისათვის საქართველოს ყველა იმ დროის ცნობილ საგარეო ურთიერთობის საკითხებთან.

ასეთი მსჯელობის უფლება მკვლევარს მაშინ ექნებოდა, თუ — 1. ალექსანდრე მეფის წინგში ამის მაჩვენებელს რასმე აღმოაჩენდა, ან არა და, 2. დამტკიცებდა, რომ ალექსანდრე კახთა მეფეს, „საკმაო ინფორმაციის“ მქონეს მოსკოვის სახელმწიფოს შესახებ, შეეძლო თავისი რეალური პოლიტიკური მიზნების შესაბამისად ასეთი ელჩობა მოსკოვს გაეგზავნა.

ჩვენი ავტორი ამას ვერ ამტკიცებს. მოსკოვი ჯერ ოსმალეთს არსად შეხვედროდა; ოსმალეთი კი იყო ამ დროს საქართველოს საერთაშორისო პილიტიკის საგანი (ამით აიხსნება, რომ კონსტანტინე მეფე რუსეთზე გავლით ესპანეთში გზავნის ელჩს ოსმალეთის წინააღმდეგ ქრისტიანული სახელმწიფოების კოალიციის შექმნის მოწოდებით და ამ კოალიციაში მოსკოვის სახელმწიფოს არც კი ჰგულისხმობს). ოქროს ურდო და მისი ნამსხვრევები, მოსკოვის დიდი მთავრის ყურადღების საგანი რომ იყო, საქართველოს სრულიად არ აინტერესებდა. ამავე დროს თვით ი. ცინცაძე ამტკიცებს, რომ მოსკოვის პოლიტიკა ამ დროს არ შეიძლებოდა კავკასიონს მოსწვდომოდა. მაშ რა და სად იყო მოსკოვ-საქართველოს (კახეთის) რეალური საგარეო პოლიტიკის შეხვედრის წერტილი? თუ ეს არ იქნა აღმოჩენილი, უქმია საუბარი იმის შესახებ, თითქოს ალექსანდრე კახთა მეფის „მოკითხვის წიგნს“ იქით რაღაც კონკრეტული პოლიტიკური ამბები იგულისხმება.

შემდეგ (229—231) ი. ცინცაძე მსჯელობს იმის შესახებ, თუ რომელი მიმართულებით უნდა ემგზავრათ ალექსანდრე მეფის ელჩებს კახეთიდან მოსკოვამდე. ავტორი ითვალისწინებს სხვადასხვა მარშრუტს. მაგრამ მხედველობიდან გამორჩენია, როგორც ჩანს, კახეთ-თარლუს გზა (ძველი „ბელაქნის გზა“), რომელიც კახელების აზრით, ყველაზე მოხერხებული იყო კახეთიდან ჩრდილოეთისაკენ (კასპიისპირეთ-ვოლგისპირეთი) სამოგზაუროდ და, როგორც ეს კახთა მეფის ალექსანდრე II მოწმობიდან საგულისხმებელია, ამ გზის უდიდესი ნაწილი (კავკასიონზე) XV საუკუნეში ჯერ კიდევ კახეთის მეფის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

ამ მეოთხე განყოფილების დასასრულს ავტორი ეხება „ყველაზე უფრო საინტერესო“ საკითხს, თუ „რით იყო გამოწვეული ასეთი შო-

რეული (sic) მოგზაურობა და რა დავალებით გაიგზავნა ელჩები მოსკოვის მთავართან“ (231).

ი. ცინცაძე საბუთიერად უარყოფს კარამზინის და ბაქრაძის მოსაზრებას, თითქო ამ ელჩობით კახეთის მეფე მფარველობას სთხოვდა მოსკოვის დიდ მთავარს; ეკამათება ბელოკუროვს და იცავს ბროსეს, რომელიც ფიქრობდა, რომ ამ ელჩობით ალექსანდრე მეფე ულოცავდა მოსკოვის დიდმთავარს ყაზანის სახანოს დამორჩილებას, 1487 წელს რომ მოხდა. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენი ავტორი ფიქრობს, რომ ამ ელჩობას „იმავე სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის მისია ეკისრებოდა უდავოთ“ (238) და ი. ცინცაძე ვარაუდობს: „შესაძლებელია ალექსანდრე კახთა მეფეც თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნაში იყო ჩაბმული და მოსკოვის მთავართან ამ კოალიციაში მონაწილეობის მისაღებად ელჩები გაგზავნა ქართველ მეფეებთან შეთანხმებით“ (238). „ასეთი შესაძლებლობა არის“, დაასკვნის ჩვენი ავტორი, თუმცა „ამის დასაბუთება ჭერჭერობით არ ხერხდებაო“ (238).

ჩვენს ავტორს, რა თქმა უნდა, მოეხსენება, რომ „შესაძლებელსაც“ საკმაო საფუძველი სჭირია. სამწუხაროდ, ის თავს არ იწუხებს ასეთი საფუძვლის ჩვენებით.

მართლაც და, ი. ცინცაძე თვითონვე აღნიშნავდა ზემორე, რომ მოსკოვის სახელმწიფოს ამ დროს ჯერ კიდევ ოსმალეთთან უშუალო შეხების წერტილი არსად ჰქონია. არც ის აეჭვებს ჩვენს ავტორს, რომ ქართველები კარგად ერკვეოდნენ საერთაშორისო ხასიათის პოლიტიკურ მოვლენებში და მათ მოქმედებას ამ სფეროში საჭირო სიფრთხილე და სიფხიზლე ახასიათებდა. თუ ეს ასე იყო, როგორღა უნდა გაეგზავნა ალექსანდრე მეფეს (ისიც „სხვა ქართველ მეფეებთან შეთანხმებით“) ელჩობა „მოსკოვის მთავართან ამ კოალიციაში (ე. ი. ოსმალების წინააღმდეგ) მონაწილეობის მისაღებად“?? რატომ კონსტანტინე მეფემ, ხსენებული კოალიციის ამ აქტიურმა მოღვაწემ, არ გაუგზავნა ასეთი ელჩი მოსკოვის მთავარს? აქვე ერთი კითხვაც: თუ ალექსანდრე კახთა მეფე, ქართველი მეფეების სახელით, მოსკოვის დიდ მთავარს ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციაში მოუწოდებდა, რატომ ამისი კვალი რაიმე არა ჩანს მის წიგნში? ვითომ სიფრთხილით აიხსნება ეს? თითქო, არა. მაშინ კონსტანტინე მეფე, ოსმალეთის წინააღმდეგ რომ მოუწოდებდა ესპანეთის კოროლს, რუსეთზე გავლით არ გაგზავნიდა თავის ელჩს. აღკურვილს ასეთი წერილობითი მოწოდებით. კონსტანტინე მეფის მოქმედებიდან ჩანს თითქო: 1. რომ გზა საქართველოდან რუსეთისაკენ ამ მხრით ჯერ კიდევ უშიშარი იყო, ე. ი. ოსმალთა კონტროლი ამ გზაზე არავითარი არ იგულისხმებოდა და 2. რომ საქართველოში ამ დროს მოსკოვის რუსეთი ოსმალეთის მიმართ ინდიფერენტულად განწყობილი

ეგულებოდათ. ამ უკანასკნელ გარემოებას უნდა მოწმობდეს ალექსანდრეს წერილიც...

მაინც და მაინც ჯერ ასეთი კითხვების პასუხზე უნდა ეზრუნა ჩვენს ავტორს, ვიდრე მის მიერ ნაგარაუდევს როგორც „შესაძლებელს“ დააკვალიფიცირებდა.

საკმაოდ მოჭარბებული მსჯელობის შემდეგ (231—239) ჩვენი ავტორი აცხადებს: „ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით ალექსანდრე მეფის ელჩების მიზნის დანამდვილებით გარკვევა შეუძლებელია“ (239). ავტორი მართალია, რომ „დანამდვილებით გარკვევა შეუძლებელია“, მაგრამ ყველა მონაცემისაგან უფრო შესაძლებლის გარკვევა მკვლევარის ვალია. არა ჩანს, რომ ჩვენი ავტორის გუშანი (ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიცია) ასეთი იყო.

მაინც 1492 წლის ამ ელჩობის შესახებ უფრო გარკვეული რამ თქო შეიძლებოდა თქმულიყო. რატომ კახთა მეფე გზავნის ამ ელჩებს და არა ქართლის მეფე კონსტანტინე? ოსმალეთის საკითხი რაიმე მხრით იყო აქტიური ხასიათისა კახეთის მეფისათვის ამ დროს თუ არა? და თუ ოსმალეთი არა, თურქმანების ერანი შეიძლებოდა თუ არა ალექსანდრე კახთა მეფის რეალური საგარეო პოლიტიკის საგანი ყოფილიყო მოსკოვის რუსეთთან ურთიერთობაში?

XV საუკუნის მეორე ნახევარში, როცა მოსკოვის სახელმწიფო ყაზანსაც ფლობს და ასტრახანსაც, კახეთის მეფე (ლევანი) ფრთხილად ზვერაავს მოსკოვის მეფის შესაძლებლობას და მის პოლიტიკურ დაინტერესებულობას ახლო-აღმოსავლეთში. დასაშვებია, რომ XV საუკუნეში, როცა მოსკოვის სახელმწიფოს საზღვრები აგრე შორს იყო ახლო-აღმოსავლეთის სამყაროდან, ალექსანდრე კახთა მეფეს რეალური ვარაუდები ჰქონოდა მოსკოვის მხრით რაიმე დახმარების მიღებისათუნდაც თურქმანების ერანთან ურთიერთობაში? თითქო შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ელჩობის კონკრეტული მიზანი არც ერანი უნდა ყოფილიყო და, მით უფრო, არც ოსმალეთი. კახთა მეფემ XV საუკუნის ბიწურულს შეიტყო მოსკოვის დიდი მთავრის წარმატებათა შესახებ (თათართა გატეხა; ყაზანის დამორჩილება), მოსკოვის სახელმწიფოს სიმდიდრისა და გაძლიერების შესახებ და ალექსანდრე მეფე ზვერაავს მას, ბუნებრივია, სიამოვნებს დიდი საქრისტიანოს წარმოქმნა და გზავნის მოსკოვის დიდ მთავართან ელჩებს მოკითხვის წიგნით (ნავალი დიდვაჟარი შაქელი ხოჯა მურადი ასეთ ელჩობაში სასურველი პერსონაა). ასეთ პირობებში არაა სავალდებულო ვეძიოთ, თუ რა კონკრეტული პოლიტიკური წინადადება მიჰქონდათ ამ ელჩებს მოსკოვის დიდმთავართან. ასეთი წინადადებანი, ჩვეულებრივ, გამოითქმის მაშინ, როცა სა-

ამისთ წინასწარი მუშაობა უკვე საკმაოდაა გაწეული და ამ წინადადებათა ხორცშესხმის რეალურობა მეტ-ნაკლებად გარკვეულია.

შრომის უკანასკნელ თავში ი. ცინცაძე მიმოიხილავს ქართულ ცნობებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ XVI საუკუნის პირველ ნახევარში, ის მართებულად აკრიტიკებს და უარყოფს „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ცნობას მოსკოვის მთავრის მიერ ლევან ბატონიშვილისათვის რუსთა ჯარის მიშველების შესახებ XVI საუკუნის ოციან წლებში (243—251).

ამის შემდეგ ავტორი განიხილავს ვახუშტის ცნობას რუსთა მეფის ივანე IV მიერ მეციხოვნე ჯარის თხოვნების შესახებ ლევან კახთა მეფისათვის. მკვლევარი ითვალისწინებს რუსული მატიანის ცნობას, რომ ივანე მეფის კარზე 1564 წლის ნოემბერში „ლევან ქართველი მთავრის“ ელჩი იაკობი ყოფილა (254). ამ ფაქტთან კავშირში ჩვენს ავტორს შემოაქვს ინგლისელი კომერსანტის ჯეკინსონის ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდა ქართველი მეფის მიერ მასთან შამახიაში საგანგებოდ მოგზავნილი კაცი, რათა პოლიტიკური რჩევა-დახმარება მიეღო თავისი მეფისათვის. ი. ცინცაძე ჰგონებს, რომ ჯეკინსონის ცნობაში ნავულისხმევი ქართველი მეფე არის კახთა მეფე ლევანი. უსაბუთო არა ჩანს ჩვენი ავტორის ასეთი ვარაუდი, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ჯეკინსონის ინფორმატორი სიმონ ქართლის მეფის მოციქული იყო (რომ ამ ქართველ მეფეს ერანის წინააღმდეგ განუწყვეტელი ომი აქვს, რომ ჯეკინსონის წარმოდგენით საქართველოს დედაქალაქი თბილისია, — უფრო იმ ვარაუდს უპერს მხარს, რომ აქ სიმონ ქართლის მეფე იგულისხმება. ამასვე გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ამ ქართველ მეფეს, როგორც ჩანს, აქამდე რუსთა მეფესთან არც ელჩები გაუგზავნია და არც სიტყვა რაიმე შეუთვლია. ლევანზე კი ეს არ ითქმის. მან ჯერ კიდევ 1557 წელს „თავი დაუკრა“ რუსთა მეფეს ყაბარდო-ჩერქეზ ბატონებთან ერთად ამ უკანასკნელთა ელჩის „კანკლიჩის“ პირით, მაინც და მაინც ი. ცინცაძე მოვალე იყო ამ ფაქტების მოვლავზე ეზრუნა, ვიდრე გადაჭრით იმ აზრს დაადგებოდა, რომ ჯეკინსონის ქართველი მეფე იგივე ლევან კახთა მეფეა).

ჩვენი ავტორი საკმაო სისრულით აღწერს ამდროის რუსეთის საგარეო პოლიტიკას საერთოდ და ამ პოლიტიკის იმ უბანს, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობას შეეხება, კერძოდ, და დამაჯერებელ სურათს დაადგენს იმისას, თუ რამდენად იყო მოსკოვის რუსეთი დაინტერესებული, რათა იმიერსა და ამიერ-კავკასიაში ხელდებულ-მოკავშირეები მოეპოვებინა (259—271).

ამის შემდეგ ი. ცინცაძე საკითხს სვამს იმის შესახებ, „გააფორმა თუ არა მოსკოვმა ლევანთან ის ცნობილი ფიცის წიგნი, რომელზედაც დიდის ვაი-ვაგლახით, შემდეგ, ხელს აწერდნენ კახეთის მეფე ალექსანდრე და მისი შთამომავალნი 1587 წლიდან“ (271). ავტორი აკვირდება მოსკოვის მეფის მიხეილის მიერ თეიმურაზ კახთა მეფისადმი ბოძებულ წყალობის სიგელს (1641 წ.). ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ მოსკოვის დიპლომატები ერანთან ურთიერთობაში ან სხვაგან არსად არ იხსენიებენ ამ ფაქტს და, ბოლოსდაბოლოს, იმ აზრისაკენ იხრება, რომ ლევან კახთა მეფეს მოსკოვის მეფისათვის ფიცის წიგნი არ უნდა მიეცეს (271—276). უსიამოვნების მიუხედავად უნდა მივეუთოთთოთ ავტორს, რომ ამ საკითხის შესახებ მოიპოვება მოსაზრება ქართულ მეცნიერულ პუბლიკაციაში (იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944 წ., ნაკვეთი 1, გვ. 17). ავტორი მოვალეა იცოდეს ასეთი ფაქტის არსებობა და სათანადო ანგარიში გაუწიოს მას. რაც შეეხება საკითხის არსებით მხარეს, შეიძლება დაჯერებით ითქვას, რომ ივანე IV-სა და ლევან მეფეს შორის მფარველობა-ხელღებულების აქტი არ გაფორმებულა. ჩვენს ავტორს სათანადო ყურადღება არ მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ მოსკოვის მეფე ფიცის წიგნს ვერც მოსთხოვდა კახეთის მეფეს, რადგან უკანასკნელს ასეთი მოქმედების თავისუფლება არ ჰქონია, ის ერანის შაჰის ყმა იყო (მძველი ცი შაჰის კარზე ჰყავდა). მოსკოვის მეფეს უნდა სცოდნოდა, რომ კახეთში მისი ასეთი საქმიანობა ერანის შაჰის მხრით საბასუხო სამტრო აქტს გამოიწვევდა. საამისო საბუთია, რომ რუსეთის სამეფო კარი 1587—1589 წლების მოსკოვ-კახეთის მფარველობა-ხელღებულების საერთაშორისო აქტის კანონიერებას იმით უსაბუთებს ერანის შაჰს (1607 წელს), რომ ერანი თავის მოვალეობას ვასალური კახეთის მიმართ ვეღარ ასრულებდა და კახეთი, თავის ანაბარად მიტოვებული, მაშასადამე, თავისუფალი და უფლებამოსილი იყო, როცა 1587 წელს, მაჰმადიანური ოსმალეთისაგან შევიწროებული, ის ერთმორწმუნე მოსკოვის მეფის მფარველობაში შევიდა (იხ. მასალები, 1, 1944 წ., გვ. 12).

ლევან მეფეს რომ მოსკოვის მეფისათვის ფიცის წიგნი არ მიუცია, ეს იქიდანაც ჩანს, და ამას ჩვენი ავტორიც აქცევს ყურადღებას, რომ რუსეთის სამეფო კარი ამ ფაქტს არსად იხსენიებს, მაშინ როცა ასეთ მოხსენიებაში ის დაინტერესებულია (იხ. მასალები, 1, 1944 წ., გვ. 17); ესევე გარემოება ჩანს იქიდანაც, რომ მიხეილ რუსთა მეფის 1641 წლის წყალობის წიგნი სრულად გარკვევით განასხვავებს რუსეთის მეფეების ურთიერთობის ხასიათს ლევან მეფესთან და, შემდეგ, მის შემკვიდრე ალექსანდრე კახთა მეფესთან. იქ ნათქვამია, რომ მეფე ივანემ „принял Леонтия царя ...во оборону“, ალექსანდრე კახთა

მეფემ კი თავისი შვილებით „Феодору Ивановичю... крест... целовали“ ვინ და სად, მაგრამ ასეთ დოკუმენტში მიხეილ რუსთა მეფე აღუნიშვნელად, რასაკვირველია, არ დატოვებდა, რომ ლევან მეფის ყმობისა და ერთგულების ფიცის წიგნი მოსკოვის „პრიაკში“ არსებულყო.

ამ გარემოებასთან, საფიქრებელია, კავშირშია ისიც, რომ ივანე მეფემ ლევან კახთა მეფეს სწორედ ყაზახთა რაზმი (500 კაცი) მიაშველა მეციხოვნეებად დაღისტანის მხრით კახურ ციხეებში შესაყენებლად: ყაზახები „უბატონონი“ იყვნენ და მათი მოქმედებისათვის მოსკოვის მეფე პასუხისმგებლობას ფორმალურად არ კისრულობდა (ვგულისხმობთ შაჰთამაზის შესაძლებელ პრეტენზიებს).

ამის შემდეგ ჩვენი ავტორი აკვირდება ვახუშტის ცნობის იმ ნაწილს, რუსთა დამხმარე რაზმის მოსვლას რომ შეეხება. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოაქვს ს. ბელოკუროვთან დაკული ცნობა და საბუთიერი მოსაზრებებით იმ სწორ დასკვნამდე მიდის, რომ ამ ცნობაში მოხსენებული 500 ყაზახი სწორედ ის რაზმია, რომელიც, ვახუშტის ცნობით, ივანე IV ლევან მეფეს მიაშველა მეციხოვნეებად. სამწუხაროა ოღონდ, რომ მკვლევარმა აქაც უყურადღებოდ დატოვა ამავე საკითხის შესახებ მეცნიერულს პუბლიკაციაში გამოთქმული აზრი (იხ. მასალები, 1944 წ. 1, 17², 27—28).

ი. ცინცაძე მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორი იყო ლევან მეფის პოლიტიკური მიზნები, როცა ის რუსთა მეფის კარზე ელჩისა გზავნიდა. ავტორი ცდილობს დაგვიხატოს ის ისტორიული ვითარება, რომელშიაც ამ დროს კახეთი იმყოფებოდა (281). სამწუხაროდ, ეს სურათი არა ჩანს შეთანხმებული სხვა ცნობებთან და დამაჯერებლად არ გამოიყურება (ლევან მეფის ურთიერთობა შამხალ-დაღისტანთან, ერანთან, ოსმალეთთან).

სწორია ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ და როდის უნდა გასულიყო რუსთა ეს დამხმარე რაზმი კახეთიდან.

დასასრულ, ჩვენი ავტორი კიდევ ერთხელ მოავლებს თვალს იმ ისტორიულ ვითარებას, რომელმაც სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წამოსული მოსკოვის რუსეთისა და მტრული გარემოცვით შევიწროებული კახეთის რეალური საგარეო პოლიტიკური ინტერესები ერთი-მეორეს შეუთანხმა.

ასეთია ძირითად ხაზებში სარეცენზიო ნაშრომი. ვამბობთ „ძირითად ხაზებში“, რადგან ზოგი რამ ნებისად გამოვტოვე: რეცენზიის მეტისმეტ სიგრძეს მოვერიდე, ზოგი რამ უნებლიედ გამომრჩა, ალბათ, და ეს შეეხება, როგორც ნაკლს, ისე წარმატება-მიღწევებსაც.

როგორც ვხედავთ, შრომა უნაკლო არაა. მაგრამ, ნაკლთა ხასიათს თუ ჩაუვკვირდებით, ჩვენ ავტორის ბრალის შემამსუბუქებელ გარემო-

ეხანაც დავინახეთ: შეცდომები, ავტორს, უმთავრესად, ისეთი საკითხების კვლევისას მოსდის, რომელნიც მის ვიწრო სპეციალობის სფეროში არ შედიან და ავტორის მარცხი აქ, უპირველეს ყოვლისა, ისაა, რომ მან თავს იღო ასეთი საკითხების გადაჭრა. რიგი შეცდომა კი გამოწვეულია თემის იმ თავისებურობით, რომ აქ მკვლევარი ზოგჯერ იძულებულია თავის ვიწრო სპეციალობას გადასცილდეს და მეზობელი სპეციალობის საკითხები აშუქოს. აქ ჩვენი ავტორის მარცხი იმაშია რომ, მან ასეთი საკითხები წინასწარ არ გაიტანა იმ სპეციალისტთა წრეში, სადაც მას სასარგებლო შენიშვნები შეეძლო მიეღო.

მოიპოვება, როგორც ვნახეთ, სხვა სახის შეცდომებიც.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ნაშრომი უეჭველად დადებითი შენაძენია ჩვენი საისტორიო სამეცნიერო მწერლობისა. ასევე შენაძენია ის რუსული ისტორიოგრაფიისათვის, რომელიც ჯერ კიდევ მეტად დარიბია ახლო-აღმოსავლეთის საგარეო ურთიერთობის ისტორიის უბანზე.

ჩვენი ავტორის ამ შრომის დიდი ღირსებაა, რომ აქ, როგორც ეს მეცნიერულ მონოგრაფიას შეეფერება, ამოწურვით (თითქმის) არის გათვალისწინებული საკითხის ლიტერატურა და წყაროებიც. მიღებულია, როგორც ვნახეთ, არა ერთი მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნა, მოპოვებულია ახალი მნიშვნელოვანი ფაქტები, წარმოჩენილია უწყვეტი ისტორიული თავგადასავალი ამ ურთიერთობისა მისი ჩასახვიდან XVI საუკუნის მიწურულამდე. ასე რომ უეჭველად მართალია ჩვენი ავტორი, როცა ფიქრობს, რომ მან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის აქ განხილული მონაკვეთის შესწავლა საგრძნობლად წინ წასწია.

Н. Б. МАХАРАДЗЕ — ВОССТАНИЕ В ИМЕРЕТИИ 1819—20 ГГ.¹

ამ დღეებში დაიბეჭდა ამხ. ნ. მახარაძის გამოკვლევა — Восстание в Имеретии 1819—1820 гг.² ამ სასიამოვნო მოვლენაში სხენებული სამეცნიერო ნაშრომის დადებითი შედეგებია იგულისხმება. თუმცა რა თქმა უნდა, რედაქციის (ენიშვილ-ის ისტორიის განყოფილება) ასეთი აზრი კერძო ხასიათის გარემოებაა და ეს ნაშრომი ამით შესაძლებელი დაწუნებისაგან დაზღვეული ვერ იქნება.

1819—1820 წლის აჯანყება იმერეთში (თუ „იმერეთის აჯანყება“) საბჭოთა ისტორიკოსების კვლევის სპეციალური თემა დღემდის არ ყოფილა (რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში კი მას მეტის თუ ნაკლების სისრულით არა ერთი ისტორიკოსი შეხებია). შეიძლება ეს მოვლენა რამდენიმე იმ გარემოებით აიხსნებოდეს, რომ იმერეთის აჯანყება (მე მაინც ამ ტერმინს ვირჩევდი, შეიძლება არც ამხ. ნ. მახარაძეა ქართულად აგრე დასახელების წინააღმდეგი?) ისე მიმზიდველად არ ეჩვენებოდათ აჯანყებათა კვლევის მოტრფიალე ჩვენს ისტორიკოსებს, როგორც, ვთქვათ, კახეთის აჯანყება, აჯანყება გურიაში, აჯანყება სამეგრელოში და სხვ.; ვერ იზიდავდა, ჩანს, ჩვენს ისტორიკოსებს ამ აჯანყების ოდიოზური სახელიც „Церковный бунт“. ამხ. ნ. მახარაძეს უეჭველ ღვაწლად ჩაეთვლება, რომ მან პირველმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი და ამ დაწუნებული აჯანყების მეცნიერული რეაბილიტაცია სცადა.

და მუშაკს შრომა დაჰფასებია: ისტორიული მოვლენის სერიოზული შესწავლის შედეგად ავტორს არა ერთი ახალი და მეტად მნიშვნელოვანი გარემოება შეუნიშნავს და გამოუმკლავებია. ასეთი შესწავლის შედეგად ამხ. ნ. მახარაძეს თავისებურად შეუფასებია ისტორიული

¹ პირველად დაიბეჭდა 1942 წელს, ენიშვილ-ის შოამბე, ტ. XIII.

² საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ. ნაკვეთი III.

ფაქტი და თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის დიად ბრძოლაში მისთვის სრულიად გარკვეული ადგილი მიუჩენია.

ნაშრომი შესავალისა და შვიდი თავისაგან შედგება. შესავალში (1—11) ავტორი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თავგადასავალს ეხება. აღნიშნავს საქართველოს განვითარების ნელ ტემპს გვიანფო-დალურ ხანაში, ქვეყნის მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას, უკიდურესად არახელსაყრელ საგარეო პირობებს, ერან-რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლას ამიერკავკასიის დაუფლებისათვის და ამ ბრძოლაში რუსეთის გამარჯვებას. მის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში და ამ მოვლენის მნიშვნელობას ქართველი ხალხისათვის.

გამოკვლევის პირველ თავში (12—21)—Имеретинское восстание в исторической литературе—ავტორი მიმოიხილავს საკითხის გარშემო არსებულ ლიტერატურას და აღნიშნავს ამ ლიტერატურის უდიდესი ნაწილის იდეოლოგიურ მიუღებლობას; აქვე ასახელებს ავტორი წყაროებს, დაბეჭდილს თუ დაუბეჭდას, რაც მას თავისი შრომის დაწერისას გამოუყენებია.

შრომის მეორე თავი (22—53)—Имеретия перед восстанием—შეეხება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ მიმოხილვას 1804—1818 წლებში. ავტორი მოკლედ მოგვითხრობს, თუ მეფის რუსეთის პოლიტიკის შედეგად იმერეთის მეფე სოლომონი როგორ იყო იძულებული ხელმწიფის „მფარველობა“ ეთხოვა. სწორად აღნიშნავს ხერხებს, სოლომონის დასუსტება-წამოჩოქების მიზნით მეფის რუსეთი რომ მიჰმართავდა (დადიანისა და გურიელის წაქეზება მეფის წინააღმდეგ, ინტრიგები მეფის კარზე, გავლენიანი თავადების მოსყიდვა), ასწერს იმერეთის მეფის ამო ბრძოლას სამეფო ტახტის შენარჩუნებისათვის. შემდეგ ამხ. მასარაძე ახასიათებს იმერეთის ახალ (რუსულ) მმართველობას 1809—1819 წლებში. აღნიშნავს იმერეთის საგარეო და საშინაო პირობების სიმძიმეებს და ამასთან დაკავშირებით მთავრობის გაუბედავ ნაბიჯებს მმართველობის რუსული სისტემის შემოღების საქმეში. ამას მიჰყვება იმერეთის სოციალური ურთიერთობის სურათი. ავტორი აღნიშნავს არამწარმოებელი კლასის შედარებით სიმრავლეს, სათავადო აზნაურების წვრილმამულაიანობას და საარქივო (საილუსტრაციო) მასალის მოშველიებით გვისურათებს უმსხვილესი თავადების დიდ ყმა-მამულაიანობას და გლეხების წელში-გაწყვეტილობას უზომო საბატონყმოდ ვალდებულებებით. თავისი ამ კვლევის შედეგს აქ ავტორი ხუთი დასკვნითი დებულების სახით იძლევა (39—40). ამის შემდეგ ავტორი არკვევს გლეხთა სხვა ვალდებულებებს სახელმწიფოსა თუ მებატონეების მიმართ და სახელდახელოდ ცდილობს შეავსოს ქართული ისტორიოგრაფიის ხარვეზი: საკუთარი დამოუკიდებელი და-

კვირებით ის იმერელი გლეხობის სოცალური კატეგორიების სურათის დადგენას ლამობს (41—46).

რუსული ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით ავტორი საბუთიერად აღნიშნავს საგლეხო მოვალეობათა დამძიმებას იმერეთში (რუსთა ჯარის საჭიროებათა მომსახურება, საგზაო ბეგარა, სახაზინო-დაბალფასებში პურის იძულებითი გასყიდვა...). აქვე საინტერესო საბუთები მოაქვს ჩვენს ავტორს იმისა, თუ როგორ უკმაყოფილებას იწვევდა ფართო ხალხში „რუსობა“ (ხალხისთვის გაუგებარ რუსულ ენაზე მმართველობა, რუსული ბიუროკრატიული სამართალი, რუსი მოხელეების მედიდურობა, მექრთამეობა-მტაცებლობა, გაუკითხავობა...).

ნაშრომის მომდევნო (III) თავში — Церковная реформа (54—68) — ავტორი აღნიშნავს ეგზარხოს რუსანოვის უნებურ რუსიფიკატორულ პოლიტიკას. მისი საეკლესიო „რეფორმის“ პროექტის ანალიზით ამხ. მახარაძე სწორად დაადგენს ამ რეფორმის მთავარ მიზანს: ქართული ეკლესიის რუსეთის თვითმპყრობელობის სამსახურში შეყვანას (56). აქვე ავტორი აღნიშნავს, თუ როგორ უკმაყოფილებას (და რატომ) იწვევდა ეს „რეფორმა“ იმერეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენში. ამხ. მახარაძე სამართლიანად მიუთითებს „რეფორმის“ ფისკალურ ხასიათს, განსაკუთრებით ჩერდება საეკლესიო გლეხთა მდგომარეობაზე და საარქივო მასალის გამოყენებით საბუთიერად ამტკიცებს „რეფორმის“ შედეგად ამ გლეხთა საგადასახადო ტვირთის მეტისმეტ დამძიმებას.

ნაშრომის IV თავში — Подготовка и начало восстания (69—92) — აღწერილია „რეფორმის“ გატარების წინააღმდეგ მოძრაობის დაწყება, მისი სწრაფი ზრდა და აშკარა აჯანყებად გაშლა; ხელისუფლების მოუშვადებლობა და მარცხი: „რეფორმის“ გატარების შეჩერება (რუსანოვის გასვლა იმერეთიდან) და აჯანყების შენელება. შემდეგ ავტორი ცდილობს გვიჩვენოს აჯანყების ახალი ძალით ავარდნის მიზეზი (75), აღნიშნავს აჯანყების საყოველთაო ხასიათს და მის ახალ ლოზუნგს — „სამშობლოს განთავისუფლება“; აგვიწერს გასაჭირში ჩავარდნილი მთავრობის მანევრებს და მის ენერგიულ სამხედრო მზადებას აჯანყების ჩასაქრობად, აჯანყებულთა საპასუხო მზადებას (შეიარაღებას, გაფიცვას) და აჯანყების გაფართოების ცდას გურიაში, სამეგრელოში და ქართლ-კახეთში. აქ ამხ. მახარაძეს გამოაქვს და ცდილობს დაამტკიცოს თავისი შრომის მთავარი თეზისი, რომ საეკლესიო რეფორმების გატარების ცდით გამოწვეული ეს აჯანყება „в своем развитии... переросло в борьбу против крепостничества“ (82), რომ აჯანყებამ მიი-

ლო „ярко выраженный антикрепостнический характер“ (80). ამის შემდეგ ავტორი მართებული ანალიზით აღნიშნავს, თუ რა მიზნები ამოძრავებდა აჯანყებაში მონაწილე სხვადასხვა წრეს, ახასიათებს ამ მოძრაობის მონაწილე სხვადასხვა პირს (ივანე აბაშიძე, ზურაბ წერეთელი), ცდილობს შეაფასოს იმერეთის უმაღლესი სამღვდლოების (დოსითეოს ქუთათლისა და ექვთიმე გენათლის) როლი ამ აჯანყებაში (91).

ნაშრომის მეხუთე თავში — Отголоски Имеретинского восстания в Гурии и Мингрелии (93—107)—პირველად მოცემულია გურიის მოკლე პოლიტიკური მიმოხილვა (უთანხმოება გურიელის სახლში), შემდეგ აღნიშნულია იმერელ აჯანყებულთა ერთ-ერთი მეთაურის (ივანე აბაშიძე) შეხიზვნა გურიელის ბიძა ქაიხოსროსთან, პოლკოვნიკ პუზირევსკის შესვლა ჯარით გურიაში, მისი მოკვლა და გურულების საყოველთაო აჯანყება. იმერეთის აჯანყებისაგან განსხვავებით ამხ. მახარაძე გურიაში მხოლოდ რუს კოლონიზატორთა წინააღმდეგ აჯანყებას ჰხედავს (114). შემდეგ ავტორი ეხება აჯანყების გავრცელებას სამეგრელოში, სადაც ის, ამხ. ნ. მახარაძის განცხადებით, ყველაზე სუსტი აღმოჩენილა და ლევან დადიანსა და მის ძმას გიორგის შორის სადადიანო ტახტისათვის ცილობაში მოთავსებულა. აქვე, ქვემოთ, ავტორი აღნიშნავს მეზობელი ოსმალთა ფაშების ყურადღების გამახვილებას გურია-იმერეთის აჯანყებისადმი და სვამს საკითხს, თუ ვისი ორიენტაციისა იყო რუს კოლონიზატორთა ჩაგვრის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი ხალხი. ამ საკითხზე ამხ. მახარაძე საგნებით სწორ პასუხს იძლევა, რომ „народные массы боролись за свободу“ (105) ე. ი. თავისი ქვეყნის დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობისათვის (თუ სწორად მესმის ამ ადგილას ამხ. მახარაძის რამდენადმე ბუნდოვანი აზრთა წყობა). აქვე, ბოლოს, ავტორს მოჰყავს ახალციხის ფაშის ფრიად საინტერესო აზრი ზემორე თქმულის დასამტკიცებლად: „Они (იმერლები,—ნ. ბ.) хитры чрезвычайно и вероломны также, теперь не хотят повиноваться русским и предаются им, туркам, но после не упустят стараться сбыть их с рук“ (105).

ნაშრომის მეექვსე თავში — Новый подъем восстания и его поражение (107—120)—აღნიშნულია აჯანყების გაძლიერება 1820 წლის აპრილში, სამეფო პრეტენდენტების (ივანე აბაშიძისა, დავახტანგ ბატონიშვილის) გამოჩენა, აღწერილია ამ მოვლენებით შემუფთებული მთავრობის პოლიტიკური და სამხედრო ღონისძიებანი, თადარიგი აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელი აჯანყების წინააღმდეგ. დიპლომატიური მიმოწერა მეზობელ ოსმალთა ფაშებთან, აჯანყების მო-

ლალატე მამია გურიელის, ლევან დადიანის, როსტომ ერისთავის დასხვა მოლალატე თავადების და აზნაურების გამხნეება; დიდი სამხედრო ძალის მოზილზაცია და კორპუსის შტაბის უფროსის ველიამინოვის გალაშქრება აჯანყებულთა წინააღმდეგ. დამსჯელი ჯარის ოპერაციები (ხანის წყლის ხეობაში, რაქაში, გურიაში), სისხლიანი შეტაკებანი და უმკაცრესი რეპრესიები შაჰაბაზთემურლენგის მეთოდებით (ციხეების დათხრა, სოფლების დაბუკვა, ვენახებისა და ხეილის აკაფვა, ნათესების გადათელვა), აჯანყების მონაწილეთა მრავლად დასჯა სიკვდილით, გაციმბირებით, ქონების კონფისკაციით, აჯანყების მოლალატეთა უხვი დაჭილდოება.

ნაშრომის უკანასკნელ (VII) თავში — Причины поражения и результаты восстания (120—128) — ევჯორი ამ აჯანყების დამარცხების მთელ რიგ მიზეზებს ასახელებს: 1. მთავრობა წარმატებით ახორციელებდა ძვირფასი საჩუქრებით და ხელმწიფისაგან ჯილდოს დაპირებით გავლენიანი თავადების შესყიდვას; 2. ყმა-მამულის ჩამორთმევის მუქარით მთავრობა აიძულებდა მებატონეებს აჯანყებაში მონაწილეობის მიღების საშუალება არ მიეცათ საკუთარი ყმებისათვის, ხოლო აჯანყების მონაწილე გლეხები დაეტუქსათ და დაესაჯათ; 3. აჯანყების მონაწილე თავად-აზნაურთ ერთმეოდა ყმა-მამული, 4. მთავრობა არ ერიდებოდა აჯანყებულ მებატონეთა გლეხების გადაბირებას (იმ პირობით, რომ ეს გლეხები უნდა ყოფილიყვნენ „Непоколебимы в верности к великому государю“), ასეთი გლეხები სახაზინო ყმებელ ჩაერიცხებოდნენ; 5. სწორად აღნიშნავს ევჯორი, რომ აჯანყების სიმტკიცეს ხელს ვერ შეუწყობდა აგრეთვე მისი ხელმძღვანელი თავადაზნაურობის ციწრო წოდებრივი პოზიცია, — ყოვლად შეუურიგებელი აჯანყების მონაწილე გლეხობის ინტერესთან; 6. და აქვე ამხ. ნ. მახარაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აჯანყების მონაწილე გლეხობა, თუ, ერთი მხრით, „რუსული ცარიზმის მიერ იმერეთში შემოღებულ სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმისა და კოლონიური ექსპლოატაციის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდა, მეორე მხრით იგი არანაკლები ენერგიით გამოდიოდა ბატონყმური ჩაგვრისა და მისი (ე. ი. ამ ჩაგვრის. — ნ. ბ.) გაძლიერების წინააღმდეგ“ (123). აჯანყების მონაწილე თავადაზნაურობა კი, ავტორის გამოთქმით „...Сомкнулось с реакционным духовенством Имеретии. Ограничиваясь тресозанием, хотя глухо и в туманной форме выраженным, восстание Имеретинского царства, оно (ე. ი. дворянство; აქ შეცდომით სწერია „она“ — ნ. ბ.) не могло пользоваться симпатиями и поддержкой крестьянских масс“ (123) და აქვე ამხ. ნ. მახარაძე ავითარებს ზემორე გამოთქმულ მოსაზრებას აჯანყებაში მონაწილე სო-

ციალური წრეების ინტერესთა ასეთი შეურიგებლობის შესახებ და ასრულებს მას აჯანყების დამარცხების ერთი მთავარი მიზეზის აღმოჩენით, რომ 7. „Как только обнаружился антикрепостнический характер движения и крестьяне начинают выходить из повиновения помещиков, последние спешат под крылышко царских войск, поощряя их на кровавую расправу с погстанцами, оказывают царским войскам вооруженную помощь и содействуют поражению восстания“ (124).

დაბოლოს, ამხ. ნ. მახარაძე შეაფასებს ამ აჯანყებას, როგორც ძლიერ პროტესტს კოლონიური და ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ და საპატიო ადგილს მიაკუთვნებს მას იმ ბრძოლაში, რომელსაც მეფის რუსეთის დამონებული ხალხები თავისუფლების მოპოვების მიზნით აწარმოებდნენ (127).

ასეთია მოკლე გადმოცემით ამხ. ნ. მახარაძის შრომის შინაარსი. როგორც ვხედავთ, ნაშრომი სერიოზული მეცნიერული გამოკვლევაა მრავალი დასაბუთებული მოსაზრებით (ასეთებს ჩვენ ზემორე ვზადაგზა მივუთითებდით), მოვლენათა მართებული ანალიზით, მათი სწორი მეცნიერული შეფასების ცდით, საკმაოდ ფართო ისტორიული პერსპექტივით.

ამხ. ნ. მახარაძის ნაშრომი რომ საუკეთესო სამეცნიერო გამოკვლევა იმერეთის 1819—20 წლის აჯანყების შესახებ, ეს მაინცდამაინც დიდ მიღწევად ვერ ჩაეთვლება ავტორს. უფრო თვალსაჩინო ისაა, რომ საქართველოში აჯანყებათა შესახებ არსებულ ლიტერატურაში ეს ნაშრომი თუ ყველაზე წინ არ დგას, არც არავის ჩამოუვარდება.

ტექნიკურადაც ამხ. ნ. მახარაძის ნაშრომი საკმაოდ სწორადაა შესრულებული. ენა, სტილი, ტონი აგრეთვე მეცნიერულ-დამაკმაყოფილებელია.

მაგრამ ნაშრომს ნაკლიც გააჩნია. ზოგიერთი მათგანი არსებითი ხასიათისაა, ზოგი კიდეც მცირე მნიშვნელობისაა. ნაშრომის ამ დეფექტებზე მითითება ჩვენი მოვალეობაა და ეს არა მარტო ამ ნაშრომის შეფასების თვალსაზრისით. ასეთი კრიტიკა ხელს შეუწყობს ახლად დამწყები მუშაკის მეცნიერულ ზრდას და წინ წასწევს აღებული საკითხის უფრო ღრმად და სრულად შესწავლის საქმეს.

ნაშრომის ერთი ძირითადი ნაკლი, ჩვენი აზრით, ის გახლავთ, რომ ავტორი არ ცდილა იმერეთის აჯანყების დეტალური სურათი მოეცა. ამხ. მახარაძე თითქო ჰგულისხმობს, რომ მისი შრომის მკითხველს იმერეთის აჯანყების „ამბავი“ სადღაც სხვაგან აქვს გაცნობილი და აქ კი მხოლოდ ამ მოვლენის ისტორიულ მიმოხილვა-ანა-

ლიზს იპოვის... ამ ნაკლის გამო მკითხველი იძულებულია მრავალ რამე-ში ავტორს უსაბუთოდ ენდოს, რადგან მასალის ხელზე არ ქონების გამო მას საშუალება არ გააჩნია ავტორის მეცნიერულ აზრთა მსვლელობას კრიტიკულად თვალი მიადევნოს.

ამ საერთო შენიშვნის შემდეგ მივყვებით ღირსება-ნაკლთა აღნიშვნას პასიური მეთოდით: გვერდობლივ მიყოლებით.

ნაშრომის შესავალში არსებითი ხასიათის შეცდომა რამე ჩვენ ვერ შევნიშნეთ. ის ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად შეწყნარებული აზრების სწორი გადმოცემაა. ესაა მხოლოდ, რომ ეს შესავალი მეტად მრავალ საკითხს ეხება. ამიტომ ის არასრული ჩანს და არც ორგანულად მთლიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

აქ აღსანიშნავია შემდეგი შეცდომა: ავტორის აზრით, საქართველოსათვის ბრძოლა ოსმალეთსა, ერანსა და რუსეთს შორის დასრულდა XIX საუკუნეში, „...когда под власть России подпала кроме Восточной Грузии и Западная Грузия, а именно царство Имеретии и княжества Гурия, Мингрелия и Абхазия“ (4). მეტად დამახასიათებელი შეცდომაა: ავტორს ფიქრდაც არ მოსდის სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (სამცხე-საათაბაგო), რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ (ჰანეთის გამოკლებით) იქმნა შემოერთებულს XIX საუკუნის 30-იან და 80-იან წლებში.

აქვე, ალბათ, კორექტურული ხასიათისაა შეცდომა, თითქო რუსეთის მეფეებმა უკვე 1586 წლიდან მიითვისეს ტიტული „Государь Иверской земли грузинских царей“ (7). ასეთი რამ მხოლოდ 1588 წლიდან ჩანს, უფრო უეჭველად კი 1593 წლიდან. 1586 წელს ჯერ კიდევ ასეთი ტიტულის მითვისების საფუძველი არ არსებობდა.

ნაშრომის პირველი თავი. ლიტერატურა თითქმის სრულადაა დასახელებული, მაგრამ მისი მიმოხილვა უეჭველად ნაკლულია. ჩვენი ავტორი მის მიერ დასახელებული შრომების მხოლოდ უარყოფითი თვისებების აღნიშვნით დაკმაყოფილებულა. მაგრამ კიდევ უფრო მძიმე ისაა, რომ ავტორი ასეთი მიმოხილვის შემდეგ თითქოს საესებით ივიწყებს ამ ლიტერატურას და მთელი შრომის მანძილზე თითქმის არც ერთხელ, არც დადებითად, არც უარყოფითად მას აღარ იმეორებს. მონოგრაფიულ სამეცნიერო ნაშრომში ამა თუ იმ საკითხის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა ღირსებისად ეჩვენება იგი მკვლევარს, მეტი ანგარიშის გაწევა შეუძლებელია. მაგალითად, რაღა გამოვიდოდა, რომ ვინმეს ახლო თუ შორეულ მომავალში „იმერეთის აჯანყება“ მონოგრაფიულად დასამუშავებლად აეღო (ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამხ. მახარაძის ამ გამოკ-

ვლევის შემდეგ „იმერეთის აჯანყება“ ძველებურად საწუნელი აღარ იქნება და მისი დამუშავების მოხალისეებიც გაჩნდებიან), ლიტერატურის მიმოხილვაში ამხ. მახარაძის ნაშრომს „მოკლედ გასწორებოდა“ და მიევიწყებინა ის. ასეთი მეთოდი ჩვენი ისტორიოგრაფიის ზრდას ხელს ვერ შეუწყობს და ამდენადვე უარსაყოფია (ამხ. ნ. მახარაძეს მხოლოდ ნაწილობრივ ხდის ბოდიშს ის გარემოება, რომ მისი გამოკვლევა მოკლეა და მიმოხილვისებური).

თავი—*Имеретия перед восстанием* მოფიქრებულია სწორად (და შრომის ნამდვილი შესავალიც, თუ გნებავთ, ეს არის). აქ ავტორის მიზანია წარმოგვიდგინოს იმერეთის ისტორიული სურათი აჯანყების წინ. ე. ი. 1804—1819 წწ. შრომის ეს ნაწილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აქ მიღებული დებულებიდან დიდად არის დამოკიდებული საკუთრივ თემის მთავარი საკითხების სწორი თუ მცდარი გაგება. სამწუხაროდ, ამ ეპოქის იმერეთის ცხოვრების მეცნიერული სურათი არ მოიპოვება, რომ ჩვენი ავტორი დაესხებოდა. ასეთ პირობებში ის იძულებულია მრავალი ხარვეზი სახელდახელო საკუთარი დაკვირვებით შეავსოს. ამ მხრივ ამხ. მახარაძეს სერიოზული შრომა გაუწევია და ნაყოფიერადაც, თუმცა სახელდახელო დაკვირვება მაინც უკმარი აღმოჩენილა. ავტორის მიერ მოხაზული სურათი მეტად სქემატურია და ფაქტებით ღარიბი, ამავე დროს ავტორს უფრო მეტი ყურადღება გარკვეული საკითხების (გლეხთა საბატონყმო ვალდებულებანი) გამოკვლევისათვის მიუქცევია, მაშინ როდესაც სხვებიც ასეთივე გულისყურის ღირსი იყო.

აქ ორიოდ მაგალითს მოვიყვანდი. ამხ. მახარაძე ცარიზმის მიერ იმერეთის შეერთებაზე საუბრისას გაგვაცნობს სოლომონ II ბრძოლას მეფის რუსეთთან და მის ფრთებქვეშ შეფარებულ დადიანთან, გურიელთან და ავტორი არ აღნიშნავს (უეჭველია, შეუსწავლულობის გამო), რომ იმერეთის მეფე დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და ქართული პოლიტიკური ხელისუფლების შენარჩუნებისათვის იბრძოდა (ხოლო ცარიზმი კი დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებას და აქ ქართული პოლიტიკური ხელისუფლების გაუქმებას ისახავდა მიზნად). რომ სოლომონ მეფის ეს ბრძოლა, მაშასადამე, პროგრესული ხასიათისა იყო. ასეთი დებულების მიღებას, ავტორი დამეთანხმება, ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა 1819—20 წლის აჯანყების გაგება-შეფასებისათვის (სოლომონის ბრძოლის ასეთ ხასიათს განზრახ ჩქმალავდნენ ცარიზმის ისტორიკოსები და „ოსმალოფილობის“ მიჩემებით მკითხველი საზოგადოების თვალში მის გაშავებას ცდილობდნენ. სამწუხაროდ, არა ერთი ჩვენი დროის ისტორიკოსიც უკრიტიკოდ მოჰყოლია

ცარიზმის მოხელეთა ამ ნაყალბევის გავლენის ქვეშ და „ქართველობისათვის“ იმერეთის მეფის ბრძოლას რეაქციულ მოვლენად აცხადებს).

ამხ. ნ. მახარაძე სავესებით მართალია, რომ იმერეთის შეერთება და იქ ქართული პოლიტიკური ხელისუფლების გაუქმება მეფის რუსეთისათვის აუცილებელი იყო მას შემდეგ, რაც მან აღმოსავლეთ საქართველო შეიერთა და იქ „რუსობა“ შემოიღო; იმერეთი საქართველოს საკითხის ერთი უბანი იყო. ამდენადვე სოლომონის ბრძოლა იმერეთში „რუსობის“ დამყარების წინააღმდეგ ეს იყო ქართველი ხალხის ბუნებრივი პასუხი მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიმტაცებლისადმი. რა თქმა უნდა, ეს იმას ოდნავადაც არ ნიშნავს, თითქო ამით ქართველი ხალხი რუსეთთან კავშირს უარყოფდა და ერანს თუ ოსმალეთს ირჩევდა. არჩევანი რუსეთთან კავშირის სასარგებლოდ ქართველი ხალხისათვის ისევე გარდუვალი იყო, როგორც თვით „ქართველობის“ დაცვა (და სწორედ ამ „ქართველობის“ დაცვის მიზნით იმეორებდნენ ამ არჩევანს აგრე დაჟინებით უდიდესი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ორი საუკუნის მანძილზე).

ამ საკითხზე აქ არც ამდენს ვისაუბრებდით, რომ მის გაუთვალისწინებლობას თავი არ ეჩინა ამხ. მახარაძის მიერ 1819—20 წლების აჯანყების შეფასებაში.

მეორე რამ, რაც განსაკუთრებით აკლია ნაშრომის ამ თავს, არის აზნაურთა წოდების შეუსწავლელობა. ამხ. მახარაძე ყურადღებას აქცევს გლეხებს, სამღვდელოებს, დიდ თავადებს და სრულიად გაურკვეველს სტოვებს აზნაურებს, მაშინ როცა აზნაურთა ფენი მეტად მნიშვნელოვანი სოციალური კატეგორია იყო იმერულ ფეოდალურ საზოგადოებაში და მისი მონაწილეობა 1819—20 წლის აჯანყებაში ასევე აქტიური და მნიშვნელოვანი იყო. კიდევ უარესად: ამხ. მახარაძე საერთო სახელ *азнауры*-ში ათავსებს მთელ თავადაზნაურობას და მისი პოლიტიკური და სოციალური ინტერესების შესახებ ისე მსჯელობს, თითქო ეს *азнауры* ერთჯეროვანი სოციალურ-ეკონომიური კატეგორია ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ასეთი მასალით აჯანყების მონაწილე ძალებზე, აჯანყების იდეებზე ან მის ძლიერსა თუ სუსტ მხარეებზე სწორი წარმოდგენის შექმნა ძნელია (აბა, ბევრი რამ საერთო ინტერესები შეიძლება გადასაჭრელია ზურაბ წერეთელს, — 6 ათასი სული ყმის პატრონს, და რომელიმე ცალ-მოგვლეჯავას, რომელიც, შესაძლებელია, ნახევარი კომლი ყმით, ან მთლად უყმოდ აზნაურობდა?... და ზურაბსა და ლევაჯას შორის რამდენი გარდამავალი კატეგორია იყო აზნაურებისა თუ თავადების?..).

უფრო მცირე მნიშვნელობის შეცდომიდან ნაშრომის ამ თავში უნდა დავასახელოთ: ამხ. მახარაძე ბეგრის რაოდენობის მიხედვით დაასკვნის გლეხთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ „Размеры позинностей в пределах округа у большинства крестьян были одинаковыми. Это говорит о том, что имущественное неравенство среди крестьян высокого уровня не достигло, иначе оно нашло бы отражение в размерах повинности“ (39). შემცდარი მსჯელობაა. სამწუხაროდ, გლეხის ქონებისა და ბეგარა-მუშაობის ურთიერთობა აგრე მარჯიე არ არის: ავტორის მსჯელობის მცდარობის საილუსტრაციოდ აქვე, 38-ე გვერდზე, მოტანილი საარქივო ცნობაც საკმაოა: გოგია ჯალალანიას და მარკოზა უგლავას ბეგარა და მუშაობა (ფულზე გადაყვანილი) თითქმის ერთნაირი აქვთ, ქონება კი ორჯერ მეტი ურთიერთზე...

ამხ. მახარაძეს შრომა არ დაუზოგავს საეკლესიო რეფორმის საკითხის ისტორიულ-კრიტიკულად შესწავლაზე; მიუხედავად ამისა, სასურველი სისრულით შესწავლილი ის მაინც არ ჩანს. ჩვენი ავტორი კარგად გრძნობს, რომ საეკლესიო რეფორმის გატარების საკითხი ამ საყოველთაო სახალხო აჯანყების განსაკუთრებული ხასიათის მიზეზად იქცა და ცდილობს გაარკვიოს ეს „უცნაური“ გარემოება. ამხ. მახარაძე ამ მიზნით შეისწავლის იმერეთის საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის დამოკიდებულებას საეკლესიო რეფორმისადმი და საბუთიერად აღნიშნავს, რომ რეფორმა მატერიალურად აზიანებდა საეკლესიო გლეხების ინტერესებს (განსაკუთრებით), საეკლესიო აზნაურების ინტერესებს, მაღალი სამღვდელოების ინტერესებს (აგრეთვე ძლიერად) და თავდადების ინტერესებს (შედარებით მცირედ). მაგრამ სრულიად დაუსაბუთებელი რჩება, თუ რატომ უნდა გამხდარიყო საეკლესიო რეფორმა იმერეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის (საბატონო ან სახაზინო გლეხებისა და აზნაურების) აჯანყების მიზეზი? ხომ ცნობილია, რომ აჯანყებაში თავიდანვე ფართო მასები მონაწილეობდნენ (ამის შესახებ იხ. გვ. 75, კურნატოვსკისა და ერმოლოვის ცნობები), ხოლო ამხ. მახარაძის საბუთიერი განცხადებით „...отмена церковной реформы является основным требованием населения в начальный период движения“ (თეზისები, 6)³.

ამხ. მახარაძე ძირითადად სწორად აფასებს, თუ რად დასჭირდა მეფის მთავრობას ამ რეფორმის გატარება. მაგრამ აქაც, ვფიქრობთ, მან ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია ერთ მომენტს. ამ მხრით ეგზარქოსი რუსანოვი ერთ ძვირფას ცნობას გვაწვდის. ეს ცნობა ჩვენს ავტორს

³ Н. Б. Махарадзе, Восстание в Имеретии в 1819—1820 гг., Тезисы на соискание ученой степени кандидата исторических наук.

მოტანილი აქვს, მაგრამ სხვა მიზნით. რუსანოვი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „Смятение в народе произведено имеретинскими архиереями, дабы им остаться в прежней независимости от святейшего синода“ (64).

ამ ცნობაში, თუ ის სადავოა, რომ აჯანყება არქიერებმა გამოიწვიეს, მაინც მართალია, რომ არქიერების მიზანი რუსეთის სინოდისაგან ძველბურთული დამოუკიდებლობის შენარჩუნება ყოფილა (ამხ. მახარაძეს, სამწუხაროდ, ეს დამოუკიდებლობა მხოლოდ საეკლესიო გლახების უკონტროლო ყვლეფამდის დაუყვანია).

ქვეყნის პოლიტიკური დამონება უზრუნველყოფილი არ იქნებოდა. სანამ ცარიზმი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას არ გააუქმებდა და მას, როგორც სამართლიანად შენიშნავეს ჩვენი ავტორი, თავის რუსიფიკატორულ-კოლონიზატორული პოლიტიკის ერთგულ აგენტად არ გადააქცევდა. ცარიზმის ამ მიზანს ემსახურებოდა ეს რეფორმა, ასე რომ „საეკლესიო რეფორმა“ ერთი უკანასკნელი დამეტად მნიშვნელოვანი დონის ძიება იყო საქართველოს პოლიტიკური დამონების გზით. მაშასადამე, ბრძოლა საეკლესიო რეფორმების წინააღმდეგ, ე. ი. ბრძოლა საეკლესიო დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის იგივე პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო, „რუსობის“ წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ამ ნიადაგზე იყო, როგორც ჩანს, რომ საეკლესიო რეფორმების წინააღმდეგ ბრძოლა უმალ სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლად იქცა (ამ ნიადაგზევე შეიძლება სწორი პასუხი გავცეს საკითხს ქუთათელ-გენათელის გავლენისა და როლის შესახებ ამ აჯანყებაში. პატივცემული ავტორის მოსაზრებას ამ საკითხში ჩვენ ვერ დავეთანხმებით).

სათქმელი დაგვრჩა ნაშრომის მთავარი თეზის შესახებ. ჩვენი ავტორი ამხ. ლენინის სახელმძღვანელო პრინციპს იმარჯვებს: „Понятие общенациональная революция“ должно указывать марксисту на необходимость точного анализа тех различных интересов различных классов, которые сходятся на известных определенных ограниченных общих задачах. Ни в коем случае не может служить это понятие для того, чтобы затушевать, заслонить изучение классовою борьбы в ходе той или иной революции“ (стр. 11) და ამხ. მახარაძე შეეცადა შეესწავლა კლასთა ბრძოლა იმერეთის აჯანყებაში. აქ მან გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. ავტორმა უდავოდ ცხადყო, რომ იმერეთის აჯანყებაში გლახთა მასები ანტიბატონყმური განწყობილებით მოვიდნენ, ხოლო თავადები ძველი ქართული თავადობის შენარჩუნებისათვის იღვწოდნენ (სამწუხაროდ, ამხ. მახარაძემ

უყურადღებოდ დატოვა, თუ რა ინტერესებით მოვიდა ამ აჯანყებაში წვირილ აზნაურთა მასა). ყველაფერი ეს მკვლევარის უეჭველი მიღწევაა, მაგრამ აქაც, ვფიქრობთ, საკითხი უნაკლოდ გადაწყვეტილი არაა. ამხ. მახარაძე აქარბებს, როცა აცხადებს, თითქო აჯანყება „в своем развитии... переросло в борьбу против крепостничества“ და თითქო აჯანყებამ მიიღო „ярко выраженный антикрепостнический характер“ ყველა საამისო მოწმობა (აჯანყების მონაწილე საბატონო თუ სახაზინო გლეხთა მოქმედება, აჯანყების მოლაღატე თავადების თუ აზნაურების მოქმედება, აჯანყების ხელმძღვანელთა თუ მთავრობის ღონისძიებები გლეხთა გადაბირების მიზნით) იმის უდავო დადასტურებაა მხოლოდ, რომ გლეხებში ძლიერი იყო ბატონყმობის სიძულვილი და სათანადო პირობებში ეს სიძულვილი თავს მოქმედებაშიც იჩენდა. მაგრამ როგორც ამ საბუთების, ისე აჯანყების ყველა სხვა მომენტის გათვალისწინებით, ჩვენ გვგონია უცილობლად მტკიცდება, რომ ამ აჯანყების მთავარ ღოზუნგად თავიდანვე იყო და ბოლომდის დარჩა სამშობლოს განთავისუფლება. სულ სხვა საქმეა აჯანყებაში მონაწილე ესა თუ ის კლასი რა მოტივებით მიდიოდა ამ საერთო ღოზუნგთან, როგორ ესმოდა ეს ღოზუნგი, ან რას მოელოდა მისი განხორციელებისაგან. ამხ. მახარაძის მოტანილი ყველა საბუთი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ თითოეულ კლასს ამ აჯანყებაში თავისი ინტერესი ჰქონდა და სწორედ ამ ინტერესთა რეალიზაციისათვის ყველა ეს კლასი შეთანხმებულიყვნენ („сходятся“) „на известных, определенных, ограниченных общих задачах“. ეს „общие задачи“ იმერეთის აჯანყებაში „ქართველობის“ აღდგენა ანუ „სამშობლოს განთავისუფლება“ იყო.

სამწუხაროდ, ამხ. მახარაძეს ამ მიმართულებით არ განუვითარებია თავისი კვლევა. ნაშრომს სხვა ნაკლიც გააჩნია. ამათგან აღსანიშნავია: 1. ავტორი მეტისმეტად უხვად სარგებლობს ანალოგიის მეთოდით (ქართლ-კახეთის მაგალითებით იმერეთზე მსჯელობს); 2. რამდენადაც კრიტიკულად ეპყრობა ისტორიკოსებს, იმდენად უკრიტიკოდ ენდობა დოკუმენტურ მასალას (წერილებს, მოხსენებებს), რის გამო არაერთი შეცდომა მოსდის.

ჩემი მთავარი შენიშვნები ამოვწურე. ასეთია ამ ნაშრომის ნაკლი და ღირსება და მე ერთხელ კიდევ გავიმეორებ: ამ ნაშრომის სახით ჩვენს ისტორიოგრაფიას სერიოზული ნარკვევი შეეძინა.

ა. კიკვიძე — საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა
საპარტიველიონი XIX საუკუნეში

(ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა)*.

ნაშრომს, რომელიც შედგება „სარჩევის“—1 გვ., ძირითადი ტექსტის 1—427 და „ლიტერატურა და წყაროებისაგან“, დართული აქვს ცალკე შესავალი—I—XX.

XIX საუკუნე დღემდე ნაკლებად შესწავლილ უზნად ითვლებოდა საქართველოს ისტორიაში. ქართული ისტორიოგრაფიის ამ ჩემორჩენილობის მიზეზი ის გარემოებაც იყო, რომ საქართველოს ისტორიის სპეციალისტი მკვლევარები უმთავრესს ყურადღებას ჩვენი ისტორიის იმ უბნების გაშუქებას უთმობდნენ, სადაც საკუთარ პატრიოტულ განწყობილებათა დაკმაყოფილება ეგულებოდათ (ასეთი ისტორიოგრაფია სკიროდა და სავსებით შეშენოდა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ბურჟუაზიულ საქართველოს). ამის გამო იყო, რომ გვიანფოდალურ საქართველოს ისტორიას მკვლევართა მხრით ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ვიდრე შუაფოდალურ ხანას (განსაკუთრებით ე. წ. „ოქროს ხანას“), ხოლო XIX საუკუნე სრულიად უყურადღებოდ რჩებოდა. მოსალოდნელი იყო, რომ 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ქართული ისტორიოგრაფიის იდეურ გადაიარაღებას გამოიწვევდა, თვალსაწიერს გაუფართოვებდა მას და ცალმხრივ (და მცდარ) მეცნიერულ კონცეფციას შეაცვლევინებდა. სამწუხაროდ, სასურველი მასშტაბით ეს აგრე არ მოხდა და ქართული ისტორიოგრაფიის ჩამორჩენა ხსენებულ უბნებზე სულ უფრო და უფრო მწვავე და რეალური ვითარებისათვის შეუსაბამი ხდებოდა.

მეორე მხრით არც ის ითქმის, რომ XIX საუკუნის საქართველოს (და კავკასიის) ისტორიას საერთოდ ყურადღება არ ექცეოდა. პირიქით, ცარიზმის ისტორიკოსები XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული დიდ მუშაობას ეწეოდნენ იმისათვის, რათა ცარიზმის უღმობელი

* ეს წერილი წარმოადგენს აშხ. ა. კიკვიძის სადისერტაციო შრომის რეცენზიას, წაკითხულს ისტორიის ინ-ტის სამეც. საბჭოს ღია სხდომაზე. პირველად დაიბეჭდა 1955 წელს, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I.

კოლონიური პოლიტიკა საქართველოში (და კავკასიაში) შევიწროებული მოყვასისათვის დახმარების უანგარო აქტად გაესაღებინათ (და ეს სავსებით ბუნებრივია: ქვეყნის პოლიტიკურად დამმონებელთ მოწოდებული იყო გვერდში ამოსდგომოდა შესაფერისი ისტორიოგრაფიაც).

როგორც აღენიშნეთ, ბურჟუაზიული საქართველოც ხალისით მიმართავდა ამ უაღრესად პოლიტიკურ მეცნიერებას (ისტორიოგრაფიას) და შეძლებისდაგვარად საკუთარი ინტერესების შესაბამისად იმარჯვებდა მას. აი, ამიტომ იყო, უმთავრესად, რომ XIX საუკუნის საქართველოს (და კავკასიის) ისტორია მრუდედ და ცალის მხრით გაშუქებული და არსებითად მეცნიერულად შეუსწავლელი რჩებოდა. მხოლოდ 1905 წლის რევოლუციიდან და განსაკუთრებით საბჭოთა წყობილების გამარჯვების შემდეგ ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი საქართველოს ისტორიის აღნიშნული უბნის ნამდვილ მეცნიერულ შესწავლას.

ბუნებრივია, რომ თბილისის სახ. უნივერსიტეტში შეიქმნა პირველი კერა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისა. დღეს ორი კათედრა (საქართველოს ისტორიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიისა) ეწევა იქ ამ მუშაობას, კერძოდ, საქართველოს ისტორიის კათედრაზე მე-19 საუკუნის ისტორიის შესწავლას მკვიდრი მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა პროფ. ს. ხუნდაძემ, ხოლო მისი უდროოდ გარდაცვალების შემდეგ ამ დარგს ხსენებულ კათედრაზე ამხ. ა. კიკვიძე უძღვის.

XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის მეცნიერულად დამუშავების საქმეში ხსენებულ კათედრებს მალე გვერდში ამოუდგა საქართველოს მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი. ასეთსავე ინტერესს იჩენს ამ დარგში „იმელსი“ და რიგი სხვა დაწესებულება თუ კერძო პირი საქართველოში და მის გარეთ.

ასეთი მუშაობის შედეგად დღეს ჩვენ მრავლად მოგვეპოვება, ხსენებული პრობლემის ამა თუ იმ საკითხს რომ შეეხება, სპეციალური გამოკვლევანი, სტატიების, მონოგრაფიებისა და მიმოხილვების სახით, ამავე დროს მრავლად გამოვლინდა და ნაწილობრივ კიდევაც დაიბეჭდა ჭეირფასი საარქივო მასალა.

მიუხედავად ამისა მეცნიერულად გამართული მთლიანი ისტორია XIX საუკუნის საქართველოსი ჩვენ ისევ არ გვაქვს და ქართულ ისტორიოგრაფიას საამისოდ ჯერ კიდევ დიდი შრომა მართებს (ასეთი მარცხის უმთავრესი მიზეზი სამუშაოს დაუგეგმაობაში, მუშაობის ძველს ანარქიულ მეთოდშია საძიებელი).

მე აქ ვწყვეტ საუბარს საგნის ისტორიოგრაფიაზე. სადაც სამართალია, ის უფრო დისერტანტის მოვალეობა იყო, ვიდრე ჩემი—ობონენცისა.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვი: სადოქტორო დისერტაციაში, სადაც საკითხი, იგულისხმება, მეცნიერულ-მონოგრაფიულად შეისწავლება, ავტორი მოვალეა კრიტიკულ--მეცნიერულად გააშუქოს მის მიერ აღებული საკითხის შესწავლის ისტორია.

თავისი ნაშრომის შესავალში ამხ. ა. კიკვიძე იძლევა საგნის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვას, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტისმეტად მოკლედ და დაუდევრად. ასე რომ ამ მიმოხილვიდან დაინტერესებული მკითხველი ვერ მიიღებს ცოდნას იმის შესახებ, თუ სად, როდის, ვის მიერ, როგორ და რატომ დაისვა საისტორიო მწერლობაში ეს საკითხი, ვინ, სად, როდის და რა შესძინა შემდეგ ხანებში ამ საკითხის შესწავლას, როგორ იღვა ხსენებული საკითხი სამეცნიერო მწერლობაში, როცა მის შესწავლას შეუდგა დისერტანტი. ამის გამო მკითხველს არ აქვს საშუალება იცოდეს, თუ როგორია ჩვენი ავტორის დამსახურება მის მიერ აღებული საკითხის მეცნიერულად შესწავლის საქმეში. ცხადია, ეს არსებითი ხასიათის ნაკლია ამ ნაშრომისა.

ამხ. ა. კიკვიძის ნაშრომი XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ უმთავრეს მომენტს შეეხება,—საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას.

ერთგვარ შენიშვნას იწვევს წარმოდგენილი ნაშრომის ავტორისეული დასათაურება. პირველ სათაურს—„საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“—ავტორი იქვე აზუსტებს (ფრჩხილებში სვამს): „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა“. ავტორი ცდება, როცა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას შორის თანასწორობის ნიშანს სვამს. საქმე ისაა, რომ XIX საუკუნის საქართველოში ყოველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობაა, მაგრამ ყოველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა როდია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. როგორც ნაშრომის შესავლიდან ჩანს, ავტორს ესმის, რომ მე-19 საუკუნეში ყოველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში არ არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა (თუმცა იქვე სხვა რიგის) შეცდომას უშვებს ავტორი, რის შესახებ ჩვენ ცალკე ვისაუბრებთ). ასე რომ ეს შეცდომა სათაურში ავტორის დაუდევრობით უნდა აიხსნას (ამ ხასიათის ნაკლი, უნდა აღინიშნოს, მოჭარბებით ახლავს ამ ნაშრომს).

სამწუხაროდ, ჩვენი ავტორი არსად განმარტავს, თუ როგორ ესმის მას ცნება: ე რ ო ვ ნ უ ლ - გ ა ნ მ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ლ ი ბ რ ძ ო ლ ა. ეს კი საჭირო იყო. საქართველოს განთავისუფლებისათვის ქართველები მონდოლებსაც ებრძოდნენ, სპარსელებსაც, ოსმალებსაც, ცა-

ბიზმსაც; რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თავადებიც იბრძოდნენ XIX საუკუნის პირველ ნახევარში და თერგდალეულებიც XIX საუკუნის 80-იან წლებში. ჩვენი დისერტანტი არა სცნობს (და სამართლიანადაც), რომ თავადების ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათისა იყო, ხოლო სცნობს, რომ თერგდალეულთა ბრძოლა კი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათისა. უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი ამ შემთხვევაში ბრძოლის პროგრესულობა-რეაქციულობით ხელმძღვანელობს და მართებულადაც იქცევა. ქართველების ბრძოლა ულუსობა-თათრობისა, ყიზილბაშობისა და ოსმალობის წინააღმდეგ უთუოდ პროგრესისათვის ბრძოლა იყო, ეს ბრძოლა მიზნად ისახავდა კულტურული ხალხის გადარჩენას ბარბაროსთა მიერ დაპყრობა-გადავარებისაგან, ამ ხალხის თავისუფალი ეროვნული განვითარებისათვის პირობების უზრუნველყოფას გულისხმობდა (ამიტომაც იყო, რომ ამ ბრძოლის გამოჩენად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მეფე დიმიტრი თავდადებული, ერისთავი ცოტნე დადიანი, თავადი ბიძინა ჩოლაყაშვილი, ახნაური გიორგი სააკაძე, გლეხი თედორე ხუცესი...). ერთი სიტყვით, ქართველთა ბრძოლა აზიელ დამპყრობელთა წინააღმდეგ პროგრესულ მიზნებს ემსახურებოდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა იყო.

არც იმისათვის შეუწუხებია თავი ჩვენს დისერტანტს, რომ ეჩვენებინა, თუ რომელი კლასი და როდის არის მოწოდებული ამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინამძღოლად. ამხანაგ სტალინის მითითებაზე დაყრდნობით დისერტანტი უარყოფს, რომ ქართველი თავადაზნაურობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეიძლებოდა ყოფილიყო ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მდროშე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ქართველი თავადაზნაურობა რეაქციული იყო, ის დამარცხებულ-გაკოტრებული წყობილების აღდგენისათვის იბრძოდა და არა პროგრესისათვის. ამიტომაც მას არც შეეძლო ეროვნულ-განმათავისუფლებელ სახალხო ბრძოლას სათავეში ჩადგომოდა. თავადაზნაურობის ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათი არ ჰქონია. რა თქმა უნდა, ეს ასეა. მაგრამ გამომდინარეობს თუ არა ამხანაგ სტალინის მითითებიდან ის დასკვნა, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი თავადაზნაურობა სულ ერთფეროვანი იყო და ამ თავადაზნაურობაში არ არსებობდა ფენა, რომელიც 1801 წლის წინა დროის სოციალურ-პოლიტიკური წყობილების აღდგენისათვის არ იბრძოდა? ვფიქრობთ, რომ არა. ი. ბ. სტალინის მითითება შეეხება თავადაზნაურობის იმ ნაწილს, რომელიც ფეოდალურ-ო-

ნარქიულ ნაციონალიზმს განასახიერებდა. ეს იყო ქართველი თავადაზნაურობის უძლიერესი ნაწილი. მაგრამ ქართველი თავადაზნაურობა ფრიად მრავალფეროვანი კლასი იყო როგორც ქონებრივად, ისე წოდებრივ-უფლებრივად. ამ კლასში შედიოდა მეფობის მამიებელი ბატონიშვილიც, ათასი ყმის (გლეხისა და აზნაურის) მფლობელი თავადიც, ცალყმიანი ან სრულიად უყმო აზნაურიც... რა საკითხავია, რომ ყველა ამათი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები ერთნაირი არ იყო.

პროგრესისათვის ბრძოლა, ფეოდალური დაჩიხულობისაგან ქვეყნის გამოყვანის ცდა საქართველოში მუდამ იყო მას შემდეგ, რაც ეს დაჩიხულობა ფაქტი გახდა. გიორგი სააკაძე, სოლომონ პირველი, ერეკლე მეორე ამ ბრძოლის ვმირები იყვნენ. ცხადია, არსებობდნენ საქართველოში საზოგადოებრივი ფენები თავადაზნაურობიდან, ვაჰრებიდან, სამღვდელოებიდან, რომელნიც გვერდში უდგნენ ზემოხსენებულ მოღვაწეებს პროგრესისათვის ბრძოლაში. თავადურ-ფეოდალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში. უცილობელია, რომ ეს ძალა სუსტი იყო, ის არ იყო საკმაო იმისათვის, რომ გარეშე და შინაურ მტერს ერთად გამკლავებოდა და საქართველო დამოუკიდებლობისა და პროგრესის გზაზე გამოეყვანა. ამ გარემოებით იყო შეპირობებული, რომ ფეოდალური საქართველოს პროგრესულ ძალთა მედროშემ, ერეკლე მეორემ, 1783 წელს საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ შეიყვანა. ქართული ფეოდალური საზოგადოების ამ პროგრესული ნაწილის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი კარგადა ჩანს იოანე ბატონიშვილის სახელმწიფო მმართველობის კანონ-პროექტში, ასევე ჩანს ის ე. წ. სათხოვარ პუნქტებში, გარსევან ჭავჭავაძის მეთაურობით რუსეთის მთავრობას რომ წარუდგინეს ქართველმა ელჩებმა 1801 წელს...

საქართველოს რუსეთთან შეერთებით ქართული ფეოდალური საზოგადოების ეს ნაწილი, რა თქმა უნდა, არ გამქრალა. XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის მეცნიერული დაუმუშავებლობით აიხსნება, რომ ეს საზოგადოებრივი ფენა დღემდე არ არის შესაფერისად გამოვლინებულ-შესწავლილი. საამისო მასალა კი არსებობს და ფრიად საინტერესოც.

ჩვენი დისერტანტი, სამწუხაროდ, ამ ფაქტს ვერ ამჩნევს და ასეთი მარცხი იმიტომაც მოსდის მას, რომ XIX საუკუნის საქართველოს ისტორიას, ისევე, როგორც არა ერთი სხვა ისტორიკოსი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან მოწყვეტილად განიხილავს. მოსალოდნელი კი იყო, რომ საქართველოს ძველი ისტორიის მცოდნე ამხ.

ა. კიკვიძე გამოასწორებდა მის თანამოსანგრეების ამ არსებითი ხასიათის ნაკლს.

ბევრს ჩვენს ისტორიკოსს დღესაც არ აქვს სწორი მენციურული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა მოხდა საქართველოში XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისს: რუსეთის შემოყვანა ქართველთა მიერ თუ რუსეთის შემოსვლა, საქართველოს შეერთება რუსეთთან თუ საქართველოს დაპყრობა ცარიზმის მიერ? ამ საკითხის გარშემო უბადრუკი ქაპანწყვეტა დღესაც გრძელდება და არაერთი ვაიისტორიკოსი დღესაც ამ მოვლენას ხან ასე განმარტავს, ხან ისე.

ხსენებული საკითხის განხილვას ჩვენ ამჟამად აქ არ ვაპირებთ. ერთს კი შევნიშნავთ: მთავარმართებელ ერმოლოვს ეს საკითხი უკეთ ესმოდა, ვიდრე ჩვენი დროის ზოგიერთ ისტორიკოსს ესმის ის. ასეთი სამწუხარო ფაქტი იმის შედეგია, რომ ჩვენი დროის ისტორიკოსებმა, XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის სპეციალისტებმა, XVIII საუკუნის ისტორია არ იციან და, რაც უარესია, ასეთი ცოდნის საჭიროებასაც არ სცნობენ... მაგრამ ამხ. ა. კიკვიძე ამათ რიცხვს არ ეკუთვნის. ეს შეიძლება გადაჭრით ითქვას. მით უფრო სამწუხაროა, რომ ამხ. ა. კიკვიძემ ასე გვერდი აუარა საკითხს, რომლის სწორად გაშუქებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მის მიერ საღისეულისოდ გამოტანილი ამოცანის ისტორიულად დასმისა და მართებულად გადაწყვეტისათვის.

ამხ. ა. კიკვიძეს უნდა გახსენებოდა ის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, რომ XVIII საუკუნის მიწურულს რუსეთი არა მარტო მოიწვევდა საქართველოსაკენ, არამედ მას ამავე დროს იწვევდა ქართველი ხალხი, ამ ხალხის პროგრესული ნაწილი, რომ რუსეთი მოიწვია ერეკლემ, რომელიც „ისე არაფრისაკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ“ (ბურნაშევი). მაშასადამე, რეკლე იწვევდა საქართველოში პროგრესულ ძალას, რომ ამ ძალის შემწეობით პროგრესული საქმე განეხორციელებინა ვანც საქართველოს ისტორიის იმ დროის ფაქტებს იცნობს, მისთვის სადავო არ არის, რომ ფეოდალური საქართველოს პროგრესული ნაწილი ქვეყნის პოლიტიკურ ხსნას მის „ევროპულად“ გარდაქმნას უკავშირებდა; იცნობს აგრეთვე იმასაც, თუ ფეოდალური საქართველოს წრეებში საკითხის როგორი შესწავლა და საქმის როგორი აწონ-დაწონვა წინ უსწრებდა თუ თან ახლდა რუსეთის აქ მოწვევას..

(ასე რომ, როცა რუსეთი XIX საუკუნეში „აღმოსავლეთში პროგრესულ საქმეს აკეთებდა“ (ენგელსი), ქართველ ხალხს, მის პროგრესულ

ნაწილს, ამ საქმეში უდავო დამსახურება მიუძღოდა და გარკვეული წილიც ედო. ეს სხვათა შორის).

გფიქრობთ არაა სადავო, რომ ასე საკითხის დასმას ჩვენი დისერტანტის პრობლემის სწორად გაშუქებისათვის არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა. ამრიგად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი თავადაზნაურობის ბრძოლა რუსული მმართველობის წინააღმდეგ იყო „ნაციონალურ რეაქციული მოძრაობა“, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს დისერტანტი. რატომ იყო ეს მოძრაობა ნაციონალურ-რეაქციული? ეს მოძრაობა ნაციონალურ-რეაქციული იყო იმიტომ, რომ ამ მოძრაობის მიზანი იყო იმ გაკოტრებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების (თავადურ-ბატონყმური სისტემის) აღდგენა, რომელმაც საქართველო 1795 წლის კატასტროფამდე მიიყვანა, რომელმაც ფეოდალურ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა დააკარგვინა. მასადაამე ქართველი თავადაზნაურობის ბრძოლა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ XIX საუკუნის პირველ ნახევარში არ იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამაში უნდა დავეთანხმეთ დისერტანტს.

სამავიეროდ, ჩვენი დისერტანტის აზრით, „გლახთა აჯანყებანი საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში თავიდან ბოლომდე ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებს“. უნდა ითქვას, რომ ეს აზრი მხოლოდ ჩვენი დისერტანტისა როდია. ამ მოსაზრებას XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ჩვენი დროის მკვლევართაგან თითქმის ყველა იზიარებს. ამხ. ა. კიკვიძის დამსახურება აქ ისაა, რომ მან ზოგადი დებულების სახით წამოადგინა ეს აზრი. ჩვენ კი გვგონია, რომ ცდება ამხ. ა. კიკვიძე, ცდება იან მისი აზრის თანაზიარნიც.

მთელი გვიანფეოდალური ხანის განმავლობაში საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ტემპი მეტისმეტად ნელი იყო და ხშირად კი უქანსვლად ახასიათებდა ქვეყანას. ამის გამოა, რომ ვამბობთ საქართველო დაიჩინაო. გლახთა კლასობრივი ბრძოლა, გამოსვლა-აჯანყებანი (კერძოული თუ კუთხე-სოფლობით) მას არც ამ დროს აკლდა, მაგრამ განა ეს გამოსვლები საქართველოს წინსვლას მოწმობდა? და თუ არა, რატომ? დაიჩინაო ქვეყანა ვამბობთ, იმიტომ რომ არ არსებობდა საკმაოდ ძლიერი სოციალური ფენა, რომელიც ქვეყნის წინსვლას იტვირთავდა, რომელიც ამ წინსვლას განახორციელებდა, რომელიც ამ გლახთა გამოსვლებს უხელმძღვანელებდა და მას მროგრესული მიზნებისათვის გამოიყენებდა. რომელიც მას საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ხასიათს მისცემდა.

გლახთა ამბოხება თავისთავად, დამოუკიდებლად ყოველთვის არ

გულისხმობს პროგრესულ-პოლიტიკურ მოძრაობას, თუ მას (გლახთა ბრძოლას) მიმართულება არ მისცა იმ საზოგადოებრივმა კლასმა (ბურჟუაზიამ, პროლეტარიატმა), რომელიც მოწოდებულია ამა თუ იმ დროს საზოგადოებრივი წინსვლა განასახიეროს.

განა რა მიზანს ისახავდა გლახთა აჯანყებანი XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რა სოციალური ან პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნილებებს აყენებდნენ აჯანყებული გლახები? ვინ ხელმძღვანელობდა ამ გლახთა აჯანყებას?

ქართველი გლახობა იბრძოდა იმ შევიწროებათა წინააღმდეგ, ახალი ხელისუფლების დამყარებას რომ შემოყვა ჩვენში, იბრძოდა იმ უჩვეულო და მძიმე ბეგარა-გადასახადების წინააღმდეგ, ახალმა ხელისუფლებამ რომ დააქისრა მას (ამხ. ა. კიკვიძე ცდება, როცა ამ ახალ მოვალეობებს „კოლონიურ ჩაგვრას“ უწოდებს). ქართველ გლახთა აჯანყების მიზეზები კოლონიურ ჩაგვრა კი არა, მოუწყობელ-განუვითარებელი სახელმწიფოს ადმინისტრაციული ღონისძიებებია სამხედრო პირობებში, მოხელეთა ბასაკობაა, რაც აგრე ნიშანდობლივია ჩამორჩენილი მკყრობელისათვის. ასეთი ჩაგვრა შეეძლო განეცადა გლახობას წმინდა რუსულ ოლქებშიაც, ყველგან, სადაც კი ღმერთი მეტად მაღლა იყო, ხოლო მეფე მეტად შორს იყო. მოხელე-ბასაკი (კაპიტანი-ისპრავნიკი თუ გუბერნატორი) არც რუსობით დაინდობდა თავის მსხვერპლს, თუ კი დაუსჯელობის იმედი ექნებოდა. კოლონიური ჩაგვრა სულ სხვა რიგის რამ იყო. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა თანდათან ფორმირდებოდა XIX საუკუნის სიგრძეზე, ვიდრე დასრულებულ სახეს მიიღებდა ამავე საუკუნის 50—60-იან წლებში. და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაც უმთავრესად XIX საუკუნის მეორე ნახევარს ახასიათებს საქართველოში და ამ პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლი უპირატესად აღმომავალი ქართული ბურჟუაზია არის თერგდალეულთა ხელმძღვანელობით.

გლახთა გამოსვლები განა ყოველთვის და ყოველგან პროგრესის საქმეს ემსახურება, რომ ჩვენში ისინი ხელაღებით ყველა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგისად ვალიართ? თავი რომ დავანებოთ გლახთა რეაქციული ბრძოლის მაგალითებს უცხოეთში, თვით საქართველოში განა გლახთა ყველა გამოსვლა მმართველობის წინააღმდეგ პროგრესული ხასიათისა იყო? აი, თუ გნებავთ, იმერეთის გლახთა აჯანყება 1819—1820 წწ. რა მიზანს ისახავდა ის? ძველი ქართული ფეოდალური წყობილების შენარჩუნებას (კერძოდ, საეკლესიო სფეროში) და ეს იყო პროგრესი? ან რა პროგრესული მიზანი შეეძლო დამოუკიდებლად დაესახა რუსულ მმართველობასთან ბრძოლაში ისეთ გლახობას, როგორებიც იყვნენ ქსნისა და

არაგვის ხეობათა ოსურ-ქართული თემები? ავიღოთ თუნდაც ყველაზე ცნობილი, ყველაზე გრანდიოზული და ჩვენი ისტორიოგრაფიის მიერ ყველაზე უფრო ყურადღებაშიქცეული კახეთის „გლეხთა აჯანყება“. არსებითად ეს აჯანყება ბატონყმობის წინააღმდეგ არც კი ყოფილა მიმართული. იქ არც ერთი მებატონე საკუთრივ მებატონეობისათვის არ დაუბრუნებიათ, არამედ თუ ვინმე მათგანი დაარბიეს, ეს მხოლოდ ისინი დასაჯეს, ვინც მთავრობის ჯარს აჯანყებულთა წინააღმდეგ გვერდში უდგა (როგორც ეს იყო იმერეთის აჯანყების დროს 1819—1820 წწ.). რა სოციალური ხასიათის ანტიბატონყმური მოთხოვნილება წამოაყენეს კახელმა გლეხებმა იმ მრავალრიცხოვან დოკუმენტებში, მათი სახელით რომ მიუვიდა რუსულ მართებლობას?—არავითარი. როგორი იყო ამ გლეხთა საჩივარ-მოთხოვნილებათა ხასიათი. სწორედ და მხოლოდ ისეთი, რაც ოდნავადაც არ ეწინააღმდეგებოდა მებატონეთა ინტერესებს (და საფუძვლიანი ჩანს ეჭვი. რომ ამ საჩივრების ტექსტის შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ის ფეოდალები, რომელნიც ამ აჯანყებას მოთავეობდნენ... მაინც და მაინც ალექსანდრე ჰავცაჰაძის მოხსენება, იმპერატორს რომ მიართვა 1838 წელს, მთლიანად მოიცავს აჯანყებულ გლეხთა საჩივრებს).

მამასაღამე, XIX საუკუნის პირველი ნახევრის, უფრო ზედმიწევნით—პირველი მეოთხედის, საქართველოს გლეხთა გამოსვლები მეტად მცირედ შეიცავდნენ ისეთს, რაც მათ დაუპირისპირებდა მებატონეებს. არსებითად ეს იყო ფეოდალური საქართველოს გლეხთა ამბოხებანი იმ ახალი, უფრო მოწინავე წყობილების წინააღმდეგ, რომელიც ჩამორჩენილ ქვეყანაში უცხო ხელით (და სასჯელის სახით) შემოდიოდა. არაფერს ეროვნულ-განმათავისუფლებელს ეს მოძრაობა არ გულისხმობდა და სწორედ ამიტომაც იყო, რომ ამ „გლეხთა აჯანყებებს“ იდეურად და ფიზიკურად იგივე თავდაზნაურობა ხელმძღვანელობდა.

ჩვენი დროის ისტორიკოსები და მათ შორის ჩვენი დისერტანტიც გვარწმუნებენ, რომ მთიულეთში აჯანყება 1804 წელს, აჯანყება კახეთში 1812 წელს, აჯანყება იმერეთში 1820 წელს და სხვა ასეთი აჯანყებანი საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში—ყველა ესენი საბატონყმო ურთიერთობის წინააღმდეგ მიმართული გლეხური აჯანყებანი იყო. ამ ისტორიკოსთა ასეთი დასკვნა იმ მოსაზრებას ემყარება, რომ რაკი აჯანყებაში გლეხები მონაწილეობენ და აჯანყების სიმძიმეც საკუთარ ზურგზე გლეხებს გადააქვთ, მამ აჯანყებაც გლეხურია (ე. ი. ანტიბატონყმური). ამ დებულების აღიარების გამოა, რომ ხსენებული ისტორიკოსები დიდის ჰაპანწყევტით ამტკიცებენ, რომ ესა თუ ის აჯანყე-

ბა დასაწყისში სულერთიანად გლეხური—მაშასადამე ანტიბატონყმური იყო და მხოლოდ შემდეგ ასეთი (გლეხურ-ანტიბატონყმური) ხასიათი მას დაუკარგა თავადაზნაურობამ (ბატონიშვილებმა), რომელიც შეეცადა ამ აჯანყების გამოყენებას საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის. თავი რომ დავანებოთ ამ მსჯელობის საერთო ვულუბრეყილობას, ის საწინააღმდეგო ფაქტების აშკარა მიჩქმალვის ხარჯზეა აგებული. ფაქტებთან ასეთი „თავისუფალი“ დამოკიდებულების ხაზით ჩვენს ისტორიკოსებს შორის ზოგიერთი მიამიტი კიდევ უფრო შორს მიდის (ამხ. ა. კიკვიძე ამათ რიცხვიდან გამორიცხულია): თუ ვინმე გლეხური, მისი აზრით, აჯანყების წინამძღოლი, მისდა საოცრად აზნაურთაგანი აღმოჩნდა, ეს ისტორიკოსი მოვლენის ორთოდოქსალურ-მეცნიერულად გამართულობის მიზნით, ასეთ უსიამოვნო წინამძღოლს გლეხად აცხადებს, ხოლო თუ ამავე (ე. ი. გლეხური) აჯანყების მოღალატე ვინმე გლეხთაგანი აღმოჩნდა, მას უმაღლვე აზნაურთა წოდებაში აიყვანს....

მაგრამ, ჯერ ერთი, მოწმობს თუ არა ამა თუ იმ აჯანყებაში გლეხთა მონაწილეობა ამ აჯანყების გლეხურს ე. ი. ანტიბატონყმურ ხასიათს; მეორე, როგორი იყო ეს აჯანყებანი XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში, რა თავისებურება ახლდა თითოეულს და რა საერთო რამ ახასიათებდა ყველას ერთად?

თუ ასეთ საკითხებზე პასუხი არ იქნა გაცემული, ე. ი. თუ მოვლენა კონკრეტულ ისტორიულ პირობებში არ იქნა შესწავლილ-შეფასებული, არც მისგან მიღებულ დასკვნებს შეიძლება ექნეს მეცნიერული ღირებულება.

სამწუხაროდ, XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის მკვლევართ და მათ შორის არც ამხ. ა. კიკვიძეს ხსენებული საკითხის აგრე შესწავლისათვის საგანგებოდ თავი არ შეუწყუხებია.

(ამხ. ა. კიკვიძის სადისერტაციო ნაშრომის თემა აჯანყებათა ასეთ შესწავლას აქვე, მართალია, არ მოითხოვდა, მაგრამ ჩვენი დისერტანტის მიერ წამოყენებული დებულება, რომ ყველა ეს „გლეხური აჯანყებანი ანტიბატონყმურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებს“ — ასეთ შესწავლას უთუოდ უნდა დამყარებოდა).

საქართველოში, მისი გრძელი ისტორიის მანძილზე, არა ერთი აჯანყება მომხდარა, როცა თავად-აზნაური და გლეხი, მთა და ბარი, ერი და ბერი დამპყრობელის წინააღმდეგ ერთად ამდგარა. კლასობრივი წინააღმდეგობანი აჯანყებულთა დასებს შორის, რა თქმა უნდა, ამ დროსაც რჩებოდა, მაგრამ წინა პლანზე განმსაზღვრელ მომენტად დამპყრობლის წინააღმდეგ ბრძოლა დგებოდა, რომელიც მოწინააღმდეგე კლასებს

დროებით აერთიანებდა იმდენად, რამდენადაც დამპყრობელი მეტნაკლებად ქართველი საზოგადოების ყოველ კლასს ემუქრებოდა.

რა თქმა უნდა, ყოველ აჯანყებაში და ყოველთვის ასეთი ერთსულოვნება არ არსებობდა. ზოგჯერ ესა თუ ის კლასი ამ უცხო ძალას (=დამპყრობელს) თავის მოკავშირედ უყურებდა და ამიტომაც აჯანყების „საერთო საქმეს“ „ლაღატობდა“. და ასე მოქმედებდა არა მარტო ფეოდალთა კლასი, ასე მოქმედებდნენ ვაჭართა კლასიც, წვრილი ერიც. კიდევ მეტი: ჩვენ არა ერთი მოგვეპოვება იმის მაგალითიც, როცა ესა თუ ის კლასი უცხო ძალას „ღონედ თავისი უძღურებისა“ მოიწვევდა მოწინააღმდეგე კლასის დასამარცხებლად.

საქართველოს ისტორიის სპეციალისტს მაგალითი საამისოდ მრავალი მოაგონდება.

ამიტომ საჭიროა თითოეული კერძო მოვლენის კრიტიკული შესწავლა და იმის ცხადყოფა, თუ რა ამოქმედებდა ან რა საფუძველზე მოქმედებდა ესა თუ ის საზოგადოებრივი კლასი ამა თუ იმ აჯანყების დროს, რა იყო ის საერთო, რაც ამ კლასებს ამა თუ იმ აჯანყებაში აერთიანებდა და დამპყრობლის წინააღმდეგ ერთპირად ამხედრებდა, ან როგორი იყო ის ინტერესთა სხვაობა, რომელიც ფეოდალური საზოგადოების შიგნით თავს იჩენდა და აჯანყებას საერთო ხასიათს უკარგავდა.

საჭიროა გარკვეულ იქნეს, თუ რას წარმოადგენდა ქვეყნის მპყრობელი უცხო ძალა, რა მოჰქონდა ან რა შეეძლო მოეტანა მას ქართული ფეოდალური საზოგადოების ამა თუ იმ კლასისათვის, როგორი იყო თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ამ ძალის დამოკიდებულება ამა თუ იმ კლასთან.

მეორე მხრით, საჭიროა გარკვეულ იქნეს, თუ რას წარმოადგენდა ამა თუ იმ დროს ქართული ფეოდალური საზოგადოება, საზოგადოებრივი კლასები და კლასთა შორის ურთიერთობა, განვითარების რა საფეხურზე იმყოფებოდა ქართული ფეოდალური საზოგადოება, კლასობრივი ბრძოლის რა სიღრმე ახასიათებდა მას.

აი, ასეთი შესწავლის შემდეგ შეიძლება მართებულად გადაწყდეს ამა თუ იმ აჯანყების ბუნება, მისი გლახური თუ არა გლახური ხასიათი, მისი პროგრესული თუ რეაქციული ხასიათი, მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი თუ ნაციონალურ-რეაქციული ხასიათი.

სამწუხაროდ, დღემდე ასეთი სპეციალური კვლევისათვის არვის მოუცლია და ამიტომაც არის, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის გლახთა აჯანყებანი საქართველოში აგრე მცდარად არის ხოლმე შეფასებული ჩვენს სპეციალურ ისტორიულ ლიტერატურაში.

ჩვენი დროის ისტორიკოსების და მათ შორის ჩვენი დისერტანტის

რწმუნებით XIX საუკუნის მთელ პირველ ნახევარში დაუწყნარებელი, ბოლომოუღებელი ანტიბატონყმური აჯანყებანია საქართველოში: ეს „გლეხთა აჯანყებანი“ აქ უფრო მეტია, ვიდრე სხვაგან სადმე, ვიდრე თვით რუსეთში. მაშასადამე, გამოდის, რომ ჩვენი ქვეყანა ტყავში ვედარ ეტევა, საბატონყმო ურთიერთობა მას სულს უხუთავს, მას იგი ბორკილად გადაქცევია, მან ის უნდა დაღეწოს, რომ ახალი ცხოვრება შექმნას, ცხოვრება—უნდა ვითქროთ — ბურჟუაზიული...

მეორე მხრით, ესევე ისტორიკოსები ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისათვის, რათა დაამტკიცონ (სამწუხაროდ, ჩვენი დისერტანტის აზრი აქ არ ვიცით), რომ ამავე დროს საქართველო ეკონომიურად განადგურებული, სოციალურად დაჩიხული და კულტურულად ყოველად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო... და არავენ ამ ისტორიკოსთაგანი არ კითხულობს, თუ როგორ თავსდება მათი ეს ორი დებულება ერთი მეორესთან.

პრიმიტიული მთა, გაჩანაგებული ბარი,—ესაა ამ ვითომცდა ანტი-ბატონყმურ „გლეხურ აჯანყებათა“ მამოძრავებელი ძალა, აქაა ამ აჯანყებათა რევოლუციური პოტენცია.. აი ასეთ უცნაურობამდე მიუღიით საქმე აჯანყებათა მოტრფიალე ჩვენს ისტორიკოსებს.

მარტო ის რად ღირს როგორც მოწმობა, რომ ამ ბოლომოუღებელ აჯანყებებში ერთი სიტყვაც ისეთი არ თქმულა, რომელიც გლეხთა სოციალურ საკითხს ითვალისწინებდეს, ბატონყმობისაგან მათ განთავისუფლებას მოითხოვდეს. მთელ ამ აჯანყებათა სიგრძეზე არ ჩანს არც ერთი ვინმე, რომელიც გლეხთა სოციალურ მიზნებს გამოსთქვამდეს. სრც ერთ აჯანყებას საკითხიც კი ასეთი არ დაუსვამს (პირველად ასეთი ლოზუნგი საქართველოში მართლაც და პირველმა გლეხურმა აჯანყებამ — სამეგრელოს გლეხთა აჯანყებამ მოგვცა 1857 წელს. სამწუხაროდ, გურიის გლეხთა აჯანყება 1841 წლისა ამ მხრივ საკმაოდ შესწავლილი არაა).

მაშასადამე, ეს აჯანყებანი XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად არ ჩაითვლება.

მთელი ზემონათქვამის შემდეგ დისერტანტთან საერთო გზა ჩვენ აღარა გვაქვს ვიდრე 1832 წლის შეთქმულებამდე. ჩვენი კონცეფცია, როგორც ვხედავთ, პრინციპულად განსხვავდება დისერტანტის შეხედულებებისაგან იმ საკითხზე, თუ სად უნდა ვეძიოთ ჩვენ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. გლეხთა ამბოხებებზე ასე გულმოდგინე საუბრის ნაცვლად, ჩვენი შეხედულებით, ავტორი უნდა ცდილიყო დაეხასიათებინა საქართველო მისი რუსეთთან შეერთების მომენტში, ეჩვენებინა ქართული ფეოდალური საზოგადოება მისი კლასობრივი შედგენილობით, ეჩვენე-

ბინა ამ კლასების დამოკიდებულება შეერთების ფაქტთან, თვალი გაედევნებინა იმ პროგრესული ძალებისათვის, თავის დროზე რომ ერეკლე მეფეს გვერდში უდგნენ თავადურ წყობილებასთან ბრძოლაში. რა პოზიცია დაიჭირა ქართული საზოგადოების ამ ნაწილმა რუსულ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, როგორ უყურებდა ის შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, როგორი იყო მისი დამოკიდებულება თავადურ გამოსვლებთან თუ გლეხთა ამბოხებებთან? ერთი სიტყვით, ავტორს უნდა აღმოეჩინა (სწორედ რომ უნდა აღმოეჩინა) ქართული პროგრესული საზოგადოება (ან, უფრო ზუსტად, პროგრესული ელემენტები ქართული ფეოდალური საზოგადოების შიგნით), რომელიც ჩვენი ისტორიოგრაფიის ჩამორჩენილობის გამო XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ცხოვრებაში დღემდისაც კი არვის შეუნიშნავს. ასეთი მუშაობით ავტორი დაგვანახებდა ამ პროგრესული იდეების მატარებელთა თავგადასავალს, მათ თავის მოყრას, თანდათან ზრდას, იდეურ დახვეწას, ბრძოლის თუ თანამშრომლობის მეთოდების გამომუშავებას. თუ ჩვენი ავტორი ასეთ მუშაობას შეასრულებდა, მას XIX საუკუნის „ისტორიის გარეთ“ არ დაურჩებოდნენ ჭილაშვილები, ფიცხელაურები, კობიაშვილები, მელიქიშვილები, ჩოფიკაშვილები, აფხაზები, ბებუთაშვილები, ყორღანაშვილები, თუმანიშვილები, სარაჯიშვილები და სხვა მრავალი; თავის შესაფერის საზოგადოებრივ წრეს მიკუთვნებული აღმოჩნდებოდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ჭილაშვილი, ივანე აფხაზი, ზაქარია ფალავანდიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ი. მამაცაშვილი, ზ. ავთანდილაშვილი, სოლომონ რაზმაძე, სოლომონ დოდაშვილი და სხვა მრავალი, დღეს რომ ასე უხერხულად გამოიყურებიან იმ პოლიტიკური ბანაკიდან, რომელშიაც ისინი პრიმიტიული დახარისხებისდა კვალად ჩვენს ისტორიკოსებს შეუტრეკნათ. აქვე იგულისხმება, რა თქმა უნდა, რომ ავტორს უნდა სრულად წარმოედგინა ძირითად ხაზებში, თუ რას წარმოადგენდა ის ძალა, რომლის ხელთ 1801 წლიდან პოლიტიკური ბატონობა მოექცა, აუცილებელი იყო ამ ძალის სოციალურ-პოლიტიკური დახასიათება, რათა ადვილგასაგები გამხდარიყო საქართველოს საზოგადოებრივი კლასების პოზიციები ამ ახალ ძალასთან ურთიერთობაში, რათა ადვილგასაგები გამხდარიყო, კერძოდ, თუ როდის რა პოზიცია ეჭირა პროგრესული იდეების მატარებელ ქართულ საზოგადოებრივ ფენას, ე. ი. სად არის საძიებელი ამა თუ იმ დროს „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“.

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა“, თუ ამ გამოთქმას არა ვიწრო-სპეციფიკურის, არამედ უფრო ფართო მნიშვნელობით ვიხმართ, სხვადასხვა დროს

სხვადასხვა შინაარსისაა. მაგალითად, ფეოდალური საქართველოს ბრძოლა ოსმალთა დამპყრობელთა წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათისა იყო დამოუკიდებლად იმისგან, რომ საქართველო იმ დროს ფეოდალური წყობილების ქვეყანა იყო და ეს იმიტომ, რომ ოსმალეთი—თვით ბარბაროსულ-ფეოდალური, ხელს არ უწყობდა, არამედ აფერხებდა ფეოდალური საქართველოს განვითარებას, ამიტომ და ამდენად ქართველთა ბრძოლა ოსმალთა-დამპყრობელთა წინააღმდეგ პროგრესული იყო და სამართლიანი, ე. ი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათისა იყო. ასევე დგას საკითხი საქართველო-სპარსეთის დამოკიდებულებაშიაც. სულ სხვა იყო რუსეთი. ის სპარსეთ-ოსმალეთზე ყოველის მხრით განუზომლად წინ იდგა. რუსეთი, მართალია, ფეოდალური ქვეყანა იყო, მაგრამ სოციალური განვითარების გზით ის ფეოდალურ საქართველოზე წინ იდგა (უფრო მეტიც: XIX საუკუნის რუსეთში, მართალია, მძიმე შეფერხებით, მაგრამ მაინც თანდათან და სულ უფრო და უფრო მეტის დაყინებით ბურჟუაზიული ურთიერთობა შემოდიოდა). საქართველოში გაბატონებულ მეფის ხელისუფლებას წილად ხვდა, ფეოდალური საქართველოს სოციალური განვითარების ახალ საფეხურზე ასვლისათვის ხელი შეეწყო. მართალია, მძიმე და რთულ პირობებში შემოდიოდა ეს „ახალი“, მაგრამ ის მაინც წინსვლას, მაინც პროგრესს მოწმობდა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ქართველი ფეოდალების ბრძოლა რუსული მმართველობის წინააღმდეგ პროგრესული ხასიათის მატარებელი ვერ იქნებოდა. ასე რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათისა ცარიზმის წინააღმდეგ შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი ბრძოლა, რომლის მიზანი იქნებოდა კოლონიურ შევიწროებათა მოსპობა, ბურჟუაზიული ურთიერთობის გაბატონება. ასეთი იდეებით ქართული საზოგადოებრივი მოძრაობა, როგორც ცნობილია, საბოლოოდ ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ასე რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაზე საუბარი მეფის რუსეთთან ურთიერთობაში, მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, არც შეიძლება („მეფის რუსეთთან ურთიერთობაში“—მეთქი ნაზნ ვუსვამ იმიტომ, რომ სხვა მიმართულებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ქართველებისა არც XIX საუკუნეში შეწყვეტილა. ასეთი იყო, ქართველების გავებით, ის ომები, რომელსაც რუსეთი აწარმოებდა ირან-ოსმალთა დამპყრობელთა და მათ დამხმარეთა წინააღმდეგ, — ომები, რომლებშიაც ქართველები აგრე ხალისით და თავგამეტებით მოღვაწეობდნენ. ამ დიდმნიშვნელობის ფაქტს, სამწუხაროდ, არავინ ამჩნევს. ჩვენს დისერტანტს, მისი სადისერტაციო თემის მიხედვით, მაინც უნდა დაენახა ის და სათანადოდ შეეფასებინა).

ასე რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში საუბარი შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ ცალკეული იდეების (პოლიტიკურის, სოციალურის, კულტურულის) ჩასახვა-განვითარებას, რომელთა საფუძველზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში თანდათან შემუშავდა და გაიშალა, მთლიანი, მწყობრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ცარიზმის ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეს ყველაფერი, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი დისერტანტის ყურადღების გარეშეა დარჩენილი.

ეხლა 1832 წლის შეთქმულების შესახებ. 1832 წლის შეთქმულებისათვის ჩვენს დისერტანტს 62 გვერდი დაუთმია. ჩვენი აზრით, ეს მოკარბებულად არ გამოიყურება შრომაში, რომელიც მიზნად ისახავს მონოგრაფიულად გააშუქოს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა.

1832 წლის შეთქმულების შესახებ დღეს მთელი ლიტერატურა მოგვეპოვება. ამხ. ა. კიკვიძე თავისი შრომის შესავალში ეხება ამ ლიტერატურას, მაგრამ სხვათა შორის და არა საკმაოდ. აქედან გარკვევით მხოლოდ იმას ვტყობილობთ, რომ ჩვენი ავტორი სხენებულ საკითხში სავსებით და მთლიანად პროფ. გ. ხაჭაპურიძის შეხედულებას იზიარებს.

ამხ. ა. კიკვიძე სწორად მოგვითხრობს შეთქმულების იდეის ჩასახვის შესახებ (პეტერბურგში, ბატონიშვილებთან), ამ იდეის თბილისში ჩამოტანისა და შეთქმულების ორგანიზაციის შესახებ, სწორად მოგვითხრობს ამ ორგანიზაციის თავგადასავლისა თუ შეთქმულთა ვინაობის შესახებ, შივა და შიგ ახალი საარქივო მასალაც შემოაქვს, სხვებს რომ არ შეუნიშნავთ, სამართლიანად ეკამათება ზოგ ვისმე მკვლევართ ამა თუ იმ მოვლენის გაგების საქმეში, ცდილობს გაარკვიოს შეთქმულების მარცხის მიზეზი და მართებულად ახასიათებს ამ შეთქმულებას როგორც რეაქციულ მოძრაობას და... ვერ ამჩნევს წინააღმდეგობას, რომელშიაც ის აღმოჩნდა თავისივე შრომის საგანთან. მართლაც და თუ ეს შეთქმულება რეაქციული მოძრაობა იყო, მაშინ „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა“ არ ყოფილა, ხოლო თუ ეს შეთქმულება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა არ იყო, რატომ განიხილავს მას ამხ. კიკვიძე თავის იმ ნაშრომში, რომლის მიზანია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესწავლა? აქი დასკვნით დებულებაში (გვ. 423—424) ამხ. კიკვიძე გვაწვდის: „ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლა აერთიანებს მოსახლეობის ყველა ფენას (sic), მაგრამ მებრძოლი რიგების კლასობრივი ზღუდეები გზა და გზა ერთმანეთს აცილებს ამ რიგებს, გაერთიანებული ბანაკის ცოტად თუ ბევრად საკმაოდ როის მანძილზე არსებობას შეუძლებელს ხდის.

რამდენად ამ ბრძოლაში გლახობაა ჩაბმული, მხოლოდ იმდენად შეიძლება ვილაპარაკოთ მის განმათავისუფლებელ ხასიათზე“.

ამხ. კიკვიძის ეს დებულება, რა თქმა უნდა, 1832 წლის შეთქმულებაზეც ვრცელდება. მაგრამ ამ შეთქმულებაში ხომ გლახობა არ იყო ჩაბმული (ამას ხაზგასმით აღნიშნავს ჩვენი ავტორი) და მაშასადამე, ამხ. ა. კიკვიძის აზრით, მის განმათავისუფლებელ ხასიათზე არ „შეიძლება ვილაპარაკოთ“. მაშ რაღა საჭირო იყო რეაქციულ შეთქმულებაზე ესოდენი საუბარი? თავისი სამსჯელობო პოზიციებიდან ამხ. ა. კიკვიძე ამ მოვლენას ვერ გაამართლებს.

სწორედ აქ იჩინა თავი იმ მთავარმა ცოდვამ, ჩვენს ავტორს რომ სჭირს (XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის არა ერთ მკვლევართან ერთად), როცა ფიქრობს, რომ „რამდენად ამ ბრძოლაში (ე. ი. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში — ნ. ბ.) გლახობაა ჩაბმული, მხოლოდ იმდენად შეიძლება ვილაპარაკოთ მის განმათავისუფლებელ ხასიათზე“, როცა, მაშასადამე, ფიქრობს, რომ XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში პროგრესულია მხოლოდ გლახური მოძრაობა. ეს მთავარი შეცდომა ნებას არ აძლევს ამხ. ა. კიკვიძეს თანმიმდევრული ღრმა ანალიზით აღმოაჩინოს, რომ 1832-იანელი ყველა რეტროგრად-რეაქციონერი როდი იყო.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამხ. ა. კიკვიძე ერთ ადგილას თავის ნაშრომში (გვ. 193) მიუთითებს რაღაც განსხვავებული წრის არსებობაზე შეთქმულთა შორის, რომელიც თურმე „უფრო ფართო მიზანს ისახავდა“ (ვიდრე ფეოდალური სამეფოს აღდგენა იყო, რისთვისაც, იგულისხმება, შეთქმულთა დანარჩენი ნაწილი იბრძოდა.—ნ. ბ.): „საქართველოზე მეფის ბიუროკრატიის ბატონობაში ეს წრე ხედავდა ქართველი ხალხის დამონებას და ხმას იმაღლებდა მჩაგვრელი ძალის წინააღმდეგ, რათა მეფის რუსეთის მფლობელობის მოსპობით საქართველოს აღედგინა თავისი სახელმწიფოებრიობა, დაეცვა თავისი ენა, ზნე-ჩვეულება, კულტურა—თავისი ეროვნული ტრადიციები. ფარული საზოგადოების ამ ერთი ნაწილის საუკეთესო წარმომადგენელია სოლომონ დოდაშვილი, შეთქმულთა ორგანიზაციის ერთ-ერთი მეთაური, დიდად განათლებული მოღვაწე, ფილოსოფოსი და ლიტერატორი. იგი იყო შეთქმულების იდეოლოგი და მთელი არსებით იბრძოდა საქართველოს განთავისუფლებისათვის“. სამწუხაროდ, ჩვენი ავტორი ზემონათქვამით დაკმაყოფილდა და თავი არ შეიწუხა იმისთვის, რომ დაეხასიათებინა ეს „ერთი ნაწილი ფარული საზოგადოებისა“, გამოეაშკარაებინა ამ წრის სოციალური სახე, ცდილიყო განესაზღვრა მისი პოლიტიკური იდეალები, ცდილიყო დაედგინა, თუ რომელ საზოგადოებრივ ფენას წარმო-

ადგენდა ეს წრე, შეეფასებინა ამ წრის პოლიტიკური ბრძოლის პროგრესულობა თუ რეაქციულობა.

ამხ. კიკვიძემ კი აღნიშნა ფაქტი, დოდაშვილის ვინაობა რომ ავალებდა მას და უმაღლეს დაიფიქრა ის. და ეს დაემართა იმიტომ, რომ ამხ. ა. კიკვიძე (რიგ სხვა მკვლევარებთან ერთად) ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში ვერ ამჩნევს სხვადასხვა ფენას და თავადაზნაურობას მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ერთფეროვან რეაქციონერებად უყურებს და აი მოულოდნელად შეთქმულების მასალებით აღმოჩნდა „ფარული საზოგადოების ერთი ნაწილი“, განსხვავებული წრე, პროგრესული ფენა. ამხ. კიკვიძემ აღნიშნა ეს ფაქტი და თვალი კი ვერ მიადევნა მის წარსულს, მის მომავალს და, რასაკვირველია, ვერც სათანადოდ შეაფასა ის.

ჩვენს ავტორს რომ თვალი გაემახვილებინა მის მიერ შენიშნულ ფაქტებზე, ის, ვინ იცის, სწორ გზას მიაკვლევდა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის გასაშუქებლად, აღმოაჩენდა იმ პროგრესულ სოციალურ ფენას ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში, რომელიც XVIII საუკუნიდანვე მოდიოდა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყნის ვითარების შესაბამისად ფორმირდებოდა. და რაკი ამას აღმოაჩენდა, მას ის აღარც დაივიწყებდა. აგრე შეიარაღებულს კი ჩვენს ავტორს არც ის მარცხი მოუვიდოდა, რაც ყველას—საქართველოს იმ ხანის ისტორიის მკვლევარს ახასიათებს: თითქო 1832 წლის შეთქმულების ჩაშლა საკმაო იყო, რომ ქართველი ფეოდალური საზოგადოება ერთიანად მონანული გამხდარიყო და მხოლოდ იმის ფიქრში იყო შესული, თუ როგორ დაემტკიცებინა თვითმპყრობელობის ტახტისათვის თავისი ერთგულება. ასეთი რამე გასაგები მხოლოდ იმ პირობებში იქნებოდა, თუ ჩვენ ამ შეთქმულებას სწორედ ისე შევხედავდით, როგორც სურდა ის მოეჩვენებინა ჩვენთვის რუსეთის თვითმპყრობელობას, ე. ი. რომ შეთქმულება პატივმოყვარე ახალგაზრდა თავადების მცირე ჯგუფის საქმე იყო, რომ ამ შეთქმულებას ფართო და ღრმა ნიადაგი არ გააჩნდა, რომ მას მომხრეები არ ჰყავდა.

მაგრამ ეს ხომ ისტორიკოსობა კი არა თვითმპყრობელობის დუღუკზე აყოლებული სიმღერა იქნებოდა... მართალია, არსებობდა პატივმოყვარე ახალგაზრდა თავადთა ჯგუფი, რომელიც ქართული თავადური პრივილეგიების დაკარგვას ვერ შერიგებოდა და რომლის პოლიტიკური „პროგრამა“ ამ პრივილეგიების აღდგენა იყო. შეთქმულების მასალებით ეს ჯგუფი ყველაზე აქტიური მოჩანს. მაგრამ ვანა 1832 წლის ქართული საზოგადოება მხოლოდ ამ დრომოკმული რეტროგრადებისაგან შედგებოდა? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ თვალები დავხუჭობ და ისტორიულ-კრიტიკულად ის მასალაც კი არ შევისწავლოთ, რომლის შეთითხნაში თვითმპყრობელობის ხელი არც თუ ძნელად შესამჩ-

ნევი... მხოლოდ კრიტიკული თვალის ასე დახუჭვის შედეგად შეიძლება განცხადება, რომ შეთქმულების დროს თურმე „ქართველ არისტოკრატთა თითქოს გამოეპარა ირან-თურქეთზე რუსეთის გამარჯვების დიდი მნიშვნელობა საქართველოსათვის“ (209), ხოლო „30-ანი წლების ბოლოს, როცა შეთქმულებაზე აღარავინ ფიქრობდა, ხოლო ირან-თურქეთზე გამარჯვებული რუსეთი დაღისტან-ჩაჩნეთს უტევდა წარმატებულად, ქართველთა წარჩინებულებმა ახლა დაინახეს რუსეთის ექსპანსიის დიდი სარგებლობა“ (210) და ყველანი შამილის წინააღმდეგ ომში წავიდნენო.

შეცდომაა, თითქო ქართველებს (შეთქმულებს) გამოეპარათ რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-ოსმალეთის ომის მნიშვნელობა საქართველოსათვის.

შეთქმული გრიგოლ ორბელიანი თავისი საუკეთესო პოეტური ნაწარმოების „სადღევრძელოს“ წამოწყებას ერევნის ომის იმ ეპიზოდს უკავშირებს, როცა ქართველები ერეკლეს გორაზე დაბანაკებულნი დღეის ნაომარნი და ხვალის ომის მოლოდინში ამ დიდებულ მეფეს და სარდალს იგონებდნენ; შეთქმულმა გ. ერისთავმა, როცა ის თავრიზში შეიჭრა, შაჰის სასახლეში შევიდა, თანმხლებ ქართველ მეომრებს უბრძანა ფერხული დაებათ სასახლეში, თითონაც მათში ჩადგა და ასე „თბილისის აოხრების ჯავრი ამოიყარა“. და განა ჩვენს ავტორს არ მოეხსენება, თუ როგორი მონაწილეობა მიიღო საერთოდ ქართველობამ სპარსეთის წინააღმდეგ ამ ომში? ამას ხომ რუსული მმართველობაც ძალაუხნებურად აღნიშნავდა?.. მოეხსენება, რა თქმა უნდა, მაგრამ „ჯიუტი ფაქტებიც“ კი, ჩანს, მის კონცეფციას აგრე ადვილად ვერ ანგრევენ.

ასევე რუსეთ-ოსმალეთის ომშიაც. შეთქმულმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ აიღო ბაიაზეთის საფაშო, ან რომელი შეთქმული ქართველი ამ შეთქმულების გამო არ მონაწილეობდა ომში ოსმალეთის წინააღმდეგ. ახალციხის ომში, სადაც ქართველმა მოხალისეებმა (მილიციამ) მედგარი იერიშებით გარდაუვალყვეს ოსმალთა გარნიზონის დამარცხება... განა ეს არ მოეხსენება ამხ. ა. კიკვიძეს?

ჩვენი ავტორის ასეთი განცხადება, გარდა იმისა, რომ სინამდვილეს ოდნავადაც არ შეეფერება, უმადურობა და უნებური ცილისწამებაც კი არის იმ ქართველებზე, რომელთაც ძალიან კარგად ესმოდათ ოსმალეთისა, სპარსეთისა თუ რუსეთის ფასი და მნიშვნელობა საქართველოსათვის და ამიტომაც მათი არჩევანი მუდმივ რუსეთის მხარე იყო. აქ ქართველები ერეკლეს ანდერძს განუხრელად იცავდნენ (ამხ. ა. კიკვიძეს აქ უნდა გახსენებოდა ისეთი „უცნაური“ ფაქტები, როცა რუსული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებულ იმერლებს მეფე სოლომონ ახალციხიდან არწმუნებდა, რომ ის რუსთა განსადევნად ოსმალ-ლეკთა ლაშ-

ქარს იმერეთში არ შემოიყვანდა ან როცა ალექსანდრე ბატონიშვილი აჯანყებულ კახელებს სპარსეთიდან არწმუნებდა, რომ სპარსელთა ჯარი, მას რომ მოყვება, აქ დასარჩენად და საბატონოდ კი არ მოდის, არამედ დროებით, რუსთა განდევნაში დასახმარებლად...)

არა, „შეთქმულების სამზადისში“ ქართველ არისტოკრატთა არ გამოპარვია ირან-თურქეთზე რუსეთის გამარჯვების დიდი მნიშვნელობა საქართველოსათვის. ამხ. ა. კიკვიძეს სწორედ ეს ფაქტი უნდა დაენახა და ქართველების (= შეთქმულთა) ეს „უცნაური“ საქციელი აეხსნა და არა ასე მარტივი ხერხით (ფაქტებზე თვალების დახუჭვით) „გასწორებოდა“ საკითხს. განა როგორი შეხედულებისა იყო საქართველოსათვის ამ ომების მნიშვნელობის შესახებ შეთქმული ალექსანდრე ჭავჭავაძე: ... მისი ჩვენება, საგამომძიებლო კომისიას რომ მისცა, ან სხვა ბრალდებულთა ჩვენება მის (ალექსანდრეს) შესახებ ან თვით ალექსანდრეს მოხსენება, ნიკოლოზ პირველს რომ მიართვა, არაა საკმაო საბუთი იმაში დასარწმუნებლად, რომ ამ „შეთქმულს“ არ გამოპარვია „ირან-თურქეთზე რუსეთის გამარჯვების დიდი მნიშვნელობა საქართველოსათვის“?

სწორედ ასეთივე შეცდომაა, თითქო ქართველები მიურიდების წინააღმდეგ ომში ხალისით იმიტომ წავიდნენ, რომ ამ დროს „შეთქმულებაზე აღარავინ ფიქრობდა“. ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში ფრიალ ღრმა იყო იმის შეგნება, თუ რა დიდი მნიშვნელობის საქმე სრულდებოდა, როცა რუსეთი ჩვენი ქვეყნის საუკუნოვან მტრებქერანს, ოსმალეთს და მის კავკასიელ აგენტურას—დალისტნელ მიურიდებს სტეხდა. ამით ხომ საქართველოს აღდგომის რეალური პირობები მზადდებოდა. განა ეს ნათლად არ აქვთ წარმოდგენილი გენერალ აფხაზს, ნ. ბარათაშვილს, გრიგოლ ორბელიანს, ლ. მელიქიშვილს, ალ. ჭავჭავაძეს? და განა ესენი „შეთქმულები“ არ იყვნენ?

ასეთი შეცდომა ჩვენს ავტორს მოსდის იმიტომ, რომ მას ავიწყდება, რაც ერთხელ შეამჩნია (თუმცა, სამწუხაროდ, ამას ბოლო ვერ მიაღვენდა): რომ შეთქმულები ერთფეროვანი მასა არ ყოფილა, რომ შეთქმულებაში რეტროგრად-რეაქციონერი თავადების გვერდით გარკვევით ჩანს პროგრესული ნაწილი, ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილის წარმომადგენელი, რომელიც ირან-ოსმალეთისა და მიურიდების წინააღმდეგ რუსეთის ომის პროგრესულ მნიშვნელობას საქართველოსათვის ძალიან კარგად ხედავდა, სათანადოდ აფასებდა მას და, ილია ჭავჭავაძის გამოთქმით, ქართული დროში თ ხელში დირსეულად თანამშრომლობდა ამ პროგრესულ ძალას. საკუთარი სამშობლოს (საქართველოს) ინტერესები უკარანახებდა მათ ასეთ მოქმედებას (ეხლა ეს იყო ერეკლეს ანდერძი) და სამ-

შობლოსავე ინტერესები აახლოვებდა ამ წრეს რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეთქმულებასთან (1832 წ. შეთქმულება განწირული იმიტომ იყო, რომ შეთქმულთა პროგრესული ნაწილი არ იყო დარწმუნებული ამ აქტის სისწორეში, რომ ეს ნაწილი, ამიტომ, მერყეობდა, პასიურობდა. ამდენადვე შეთქმულების აქტიური ნაწილი, რეაქციონური თავადების წარმომადგენელი, ქართული ფეოდალური საზოგადოების ფართო მასებს მოწყვეტილი იყვნენ და მათი ხელმძღვანელობით შეთქმულებაც უნიადაგო იყო).

ამხ. ა. კიკვიძეს მხედველობიდან არ უნდა გამორჩენოდა ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ამიერკავკასიაში რუსული მმართველობის გაძლიერება-განმტკიცებას ქართული ფეოდალური საზოგადოების სწორედ ამ პროგრესულმა ნაწილმა დიდად შეუწყო ხელი. ქართული ფეოდალური საზოგადოების ამ ნაწილს ღრმად სწამდა საქართველოში რუსეთის შემოსვლის პროგრესული მნიშვნელობა და გულწრფელი მომხრე იყო რუსეთის დიდი ხნით („ასი წლით“) დამკვიდრებისა ამიერკავკასიაში. ამიტომაც იყო, რომ ქართული ფეოდალური საზოგადოების ეს ნაწილი თუ ერთი მხრით, ამ ახალი რეჟიმის სიმახინჯეთა წინააღმდეგ პროტესტით გამოდიოდა, მეორე მხრით, ამავე ხელისუფლებასთან ერთად ამიერკავკასიაში რუსეთის დამკვიდრებისათვის თავდაუზოგავად ებრძოდა ერანს, ოსმალეთს და ყველა მათ აგენტს.

ერთი სიტყვით, ამხ. ა. კიკვიძეს რომ შეთქმულება ღრმად შეესწავლა, მას რომ ამ მოვლენისათვის კრიტიკულ ისტორიულად შეეხედნა, მას რომ ეს შეთქმულება ფართო საზოგადოებრივი მოძრაობისათვის დაეკავშირებინა, ის სულ სხვა რიგ პასუხებს აღმოაჩენდა წინა თუ მომდევნო მოვლენების ასახსნელად და არ დაკმაყოფილდებოდა ცარიზმის მოხელეთა მიერ შეთითხნილ ვერსიასთან შეთანხმებულ კონცეფციას: შეათქვანენ, ჩავარდნენ, მოინანიეს, შეურიგდნენ, დალისტის ომში წასვლით ცოდვა გამოისყიდეს და ბოლოს (1848 წელს) ცნობილი ადრესიც დაწერეს.

თუ რა ღრმად მიმდინარეობდა შეთქმულების შემდგომ ხანაში ჩუმი ბრძოლა, თუ როგორი იყო ზრახვები ქართული საზოგადოების პროგრესული ნაწილისა, ეს შესანიშნავად მოჩანს ნ. ბარათაშვილის შეპოქმედებაში. ნ. ბარათაშვილი ხომ დამარცხებული შეთქმულების ტიპიური წარმომადგენელია. მერმე და რის მონანულია ის ან საიდან ჩანს, რომ ის ბედს შერიგებია? განა „მერანი“ ბედთან შერიგების ან მორჩილების აღიარებაა? მხოლოდ გამოუსწორებელი შუმი მიამიტები ფიქრობენ, რომ პოემაში „ბედი ქართლისა“ „და ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ ნ. ბარათაშვილი ჯვარს უსვამს საქართველოს პოლიტიკურ მომავალს. განა ქვეყნის პოლიტიკურ წარსულზე ჯვარის დასმა, ერეკლეს რომ

ათქმევინა პოეტმა, მის პოლიტიკურ მომავალზე ჯვარის დასმას ნიშნავს? მაშინ ხომ ილია ჭავჭავაძე ქართველი ხალხის პოლიტიკური მომავლის მთავარ უარისმყოფელად უნდა ჩაგვეთვალა? განა „მოსვენება“, საქართველოს რომ, ბარათაშვილით, მოუპოვა ერეკლემ, სხვა რისთვის იგულისხმება, თუ არა ბრძოლისათვის მოსამზადებლად, ან ის განათლება და განახლება, რომლის შემოსვლა ასე ახარებს პოეტს, რად უნდა ქართველ ხალხს, თუ არა პოლიტიკურად აღდგომისათვის ბრძოლის იარაღად: „რა ხელყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული“.

რამდენად თვალდაბინდულია ჩვენი ისტორიოგრაფია! ის ვერ ახერხებს იმის გაშიფრვასაც კი, რაც ნიკოლოზ ხელმწიფემ სახელმძღვანელოდ მიუწერა ვორონცოვს ამ უკანასკნელის ნამესტნიკად დანიშვნის გამო. აქამდე მიღებული ყველა ზომა საქართველოს რუსული მმართველობის დარგში უეფექტო აღმოჩნდა, საქართველო ბოლომოუღებელი შეთქმულება-აჯანყების ბუდე შეიქნა (რუსეთის არც ერთ მხარეში ამ დროს ამდენი აჯანყება არ ყოფილა), არ იქნა და „შობელ დედა მოცილებულმა“ ქართველმა ხალხმა დედინაცვალი დედად არ შეითვისა. კავკასია, საერთოდ, და ამიერკავკასია, კერძოდ, საშიშ უბნად რჩებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. და თვითმპყრობელობა იძულებული გახდა მებრძოლი ქართველებისათვის ყური მიეგდო ისევე, როგორც სხვა ხალხებისათვის, მათ მიმართ დათმობაზე წასულიყო, მმართველობის პოლიტიკური კურსი შეეცვალა, ქართველებისათვის „დედინაცვალი“ შეეყვარებინა (სხვა ყველაფერს გარდა, ასეთი კურსიდან, უეჭველია, ელოდნენ და მართებულიც იყო, რომ ოსმალეთის აგენტურა მიუბრუნებინა, შამილის მეთაურობით რომ ეხლა აგრე მძვინვარებდა, გარიყავდა, დაასუსტებდა).

ასე რომ ვორონცოვის პოლიტიკა სრულიადაც მისი საკუთარი ინიციატივისა და ხელმარჯვეობის ნაყოფი არ ყოფილა. ეს პოლიტიკა მას ნიკოლოზ პირველმა უკარნახა, ხოლო კურსის ასეთი შეცვლა, როგორც აღვნიშნეთ, შედეგი იყო იმ ბრძოლისა, ქართველები რომ ნახევარი საუკუნე იყო, რაც თავდაუზოგველად ეწეოდნენ. ქართული ენა, ვეფხისტყაოსნის გამოცემის საქმე, ქართული თეატრი, ქართული პრესა, ქართული სტამბა თვითმპყრობელობის ამ საქმარაპის საყვარელი და საოცნებო რამ კი არ ყოფილა, არამედ იძულებითი კომპრომისი იყო. ქართველმა ხალხმა რომ ბრძოლით მოიპოვა (მთელი XIX საუკუნის მანძილზე საქართველოში ერთი მეორეს სცვლიდა ცარიზმის ორგვარი პოლიტიკური კურსი: პირველი, ალექსანდრე ხელმწიფის მანიფესტით აღთქმული მმართველობა იყო, რომელიც ქართველი ხალხის უმონაჩე-

ptание-ს უნდა შესწუობოდა და მეორე, რომელიც ჭიქურ გარჯებას, ქართველი ხალხის რუს ხალხში слияние-ს გულისხმობდა).

და როცა, დათმობის ეამს, ცარიზმის მოხელე-ნამესტნიკი ხელს უწყობს ქართული თეატრის შექმნას, ქართული პრესის გაცოცხლებას, ზრუნავს ვეფხისტყაოსნის გამოცემაზე და სხვ., ეს იმის უდავო მოწმობაა, რომ ქართველები ამისათვის იბრძვიან.

და მართლაც, საკმაო იყო ქართველ ისტორიკოსს ჩაეხედნა ქართული ცხოვრების შიგნით 1832—1845 წლებში და დაინახავდა, რომ ქართული ცხოვრება ამ დროს სრულიადაც არ მომკვდარა (სწორედ ამ დროს მოღვაწეობდნენ ქართველი ხალხის ზრახვათა ბრწყინვალე მესაიდუმლენი: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი...), სრულიადაც არ შერიგებიან რაღაცას, არამედ იბრძვიან, თუმცა არა შეთქმულებით, ქართული კულტურისათვის, საქართველოს პოლიტიკურად და კულტურულად გამთლიანებისათვის, ქართველი ერის შობისათვის. ქართული ჟურნალის გამოცემა („ცისკარი“), ვეფხისტყაოსნის გამოცემა, ბიბლიოთეკის ორგანიზაცია, ქართული ხელნაწერი წიგნების შეგროვება-დაცვა, საქართველოს ისტორიის მასალების შეგროვება, ქართული ლიტერატურა და ქართული პოეზია, აი რა იყო ამ დროის ქართული საზოგადოების ზრუნვის საგანი.

შეთქმულების ხაზი დამარცხდა, მაგრამ 1832-იანელები მხოლოდ შეთქმულები, უფრო სწორად, საკუთრივ შეთქმულები როდი იყვნენ და სამშობლოსათვის პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას მხოლოდ ხმლით და მაშინვე როდი აპირებდნენ. როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ალ. ჭავჭავაძეც და გ. ჭილაშვილიც ხომ 32-იანელები იყვნენ და ნ. ბარათაშვილიც ხომ 32-იანელთა დაესესხა იდეებს (დოდაშვილს, აფხაზს...) და არა მარტო „გიმნაზიის ყუავილში“. „ბედი ქართლისა“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“ ამოწურვით გადმოგვცემს არა მარტო გენიალური პოეტის პირად აზრს მისი დროის უდიდეს პოლიტიკურ საკითხზე, არამედ ასევე ამოწურვით და უკიდურესი სიზუსტით გადმოგვცემს ქართველი ხალხის პროგრესული ნაწილის პოლიტიკურ ზრახვას, მისი გულის საიდუმლოს, მის იდეალს, მისი ბრძოლის საგანს. და მიუხედავად იმისა, რომ მისი (ე. ი. პოეტის, ისევე როგორც ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილის) სიმპათიები „შეთქმულ“ სოლომონ ლიონიძის მხარესაა, სიბრძნე უკარნახებს ერეკლეს მხარე აირჩიოს იმიტომ, რომ უკეთესი გამოსავალი („უმცირესი ბოროტება“) შექმნილ ვითარებაში ისაა, რომ მან (საქართველომ) დროებით დათმოს თავისუფლება, თავი მოიყაროს რუსეთის მფარველობის ქვეშ, პოლიტიკურად გამთლიანდეს, ეკონომიურად და კულტურულად გაძლიერდეს, რათა შემდეგ თავისუფლება რეალურად აღიდგინოს. რა თქმა უნდა,

ნ. ბარათაშვილი აქ სცოდავს ისტორიულად: რუსხელმწიფისათვის დათმობის გზით ერეკლე აგრე შორს არ წასულა, სამაგიეროდ პოეტი, როგორც ჩანს, ზუსტად გადმოგვცემს იმდროინდელი ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილში შემუშავებულ შეხედულებას. თუმცა ბარათაშვილის ერეკლეს ამით საქართველოს მომავალი სრულიადაც არ უარუყვია, არამედ ახალ საქართველოზე ზრუნვა, მისი დაცვა და მისი მომავლისათვის ბრძოლა ქართველ საზოგადოებას უანდერძა.

ასე რომ „ბედი ქართლისა“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“ ესაა ოცდათორმეტიანელთა მოწინავე ნაწილის მხრით დასაბუთებული პასუხი საკითხზე, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი საზოგადოების პოლიტიკური კურსი. შეთქმულების ტაქტიკა უარყოფილია, ის არარეალურია და დამლუპველია, მაგრამ არც შერიგების (მით უფრო მონაწიეების) კურსია აღებული, არამედ ბრძოლა და სამზადისი გამარჯვების უზრუნველსაყოფად, „დატყვევებული“ სამშობლოს განსათავისუფლებლად.

ამხ. კიკვიძეს უნდა შეენიშნა, რომ განახლების გზაზე შემდგარი საქართველოს მაჯისცემა იმ ადრესში კი არაა, სოციალურ ბრძოლაში გამარჯვებულმა თავად-მეზატონეებმა მადლობისა და ერთგულების ნიშნად რომ მიართვეს მათი ამ გამარჯვების უზრუნველყოფელ მწყალობელ ხელმწიფეს, არამედ 32-იანელთა აი ამ პროგრესული ნაწილის მოღვაწეობაში, 60-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირთა ამ მშობლების ბრძოლაში, მათ ფიქრსა და ზრახვებში.

აი ესაა, რაც გამოეპარა ჩვენს ავტორს, ან უკეთ, რასაც მან ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია და ამიტომაც რუტინა, XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის ხსენებული საკითხების გაშუქებაში რომ დღემდე მიღებულია, ვერ დაარღვია.

როგორც ვხედავთ XIX საუკუნის პირველი ნახევრის რიგ ძირითად მოვლენათა შეფასებაში პრინციპული სხვაობა გვახასიათებს მე და ჩვენს ავტორს. კერძოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა (იდეა, პროგრამა, ბრძოლის ტაქტიკა) ჩვენის გაგებით სულ სხვა გზით მოდის, სხვა ხაზით მიიმართება და საბოლოოდ სხვა რიგად ფორმირდება, ვიდრე ეს ჩვენს ავტორს წარმოუდგენია.

*
* *

ნაშრომის შემდგომ თავში (214—239)—„ეკონომიური ცვლილებები და საქართველოს საზოგადოებრივი მდგომარეობა მე-19 საუკუნის 40—50-იან წლებში“—ავტორი სწორად ახასიათებს, იმ ცვლილებებს, რასაც ამიერკავკასია და კერძოდ, საქართველო განიცდიდა ამ დროს

ეკონომიურსა თუ სოციალურს დარგებში (ავტორს არც კულტურულს სარბიელი დაუვიწყინა). კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა, ახალი საწარმოები, ვაჭრობა და „მოქალაქეთა“ საკითხი, ხელოსნობა და ამქრული ორგანიზაციის საკითხი, სათავადო აზნაურთა საკითხი, ქართველი თავადაზნაურობის წოდებრიობის საკითხი, — ყველა ამის შესახებ ხსენებულ თავში მოკლედ და სწორად არის მოთხრობილი. მოსალოდნელი იყო, რომ ავტორი შეაჯამებდა და დასკვნის სახით აღნიშნავდა, თუ რით დამთავრდა ეს 50 წლოვანი ბრძოლა ქართულ თავადურ წყობილებასა და რუსულ თვითმპყრობელობას შორის: რომ საბოლოოდ გაქრა ქართული თავადური წყობილება, რომ გაქრა ქართველი თავადი და მისი ადგილი რუსულმა „პომეშიკმა“ დაიჭირა, რომ ეს იყო ახალი საფეხური საქართველოს საზოგადოებრივ განვითარებაში, რომ სამაგიეროდ ქართველმა „პომეშიკმა“ მთავრობისაგან მკვიდრი გარანტია მოიპოვა გლეხებზე სრული და შეუვალი ბატონობისა, რომ, მაშასადამე, თვითმპყრობელობა და ქართველი მებატონეები გლეხობის ხარჯზე მორიგდნენ.

ღიახ მორიგდნენ. ამ მორიგების შედეგია ის ადრესი, ქართველი თავადაზნაურობის სახელით რომ მიერთვა იმპერატორს ნიკოლოზ პირველს 1848 წელს. ამ ადრესში ქართველი თავადაზნაურობა უღრმეს მადლობას მოახსენებდა რუსეთის თვითმპყრობელობას იმ კეთილდღეობისათვის, რომელშიაც საქართველო დღეს ამ თვითმპყრობელობის წყალობით იმყოფებოდა და ერთგული სამსახურის მზაობას აღუთქვამდა მწყალობელ ხელმწიფეს, როცა და საცა ეს საჭირო აღმოჩნდებოდა.

ხსენებული ადრესის გამო ამხ. ა. კიკვიძე სამართლიანად შენიშნავს (236): ასე დასრულდა ქართველი თავადაზნაურობის „განმათავისუფლებელი“ ბრძოლა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მიჯნაზე. ეროვნული სამეფოს იდეა თავადაზნაურობამ გასცვალა რუსეთის მონარქიაზე, რომელსაც შეაფარა მან თავისი ენა, სარწმუნოება, მიწა-წყალი“ (მაგრამ ამხ. კიკვიძემ იცის, რომ ამ ადრესის ავტორი იყო დიმიტრი ყიფიანი, რომელიც ამავე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას ფიზიკურად შეეწირა 1887 წელს. სხვა არა იყოს რა, ეს გარემოება მაინც ავალებდა ამხ. კიკვიძეს ხსენებული ადრესი უფრო გულდასმით განეხილა და მოადრესე თავადაზნაურობა „ყველა ერთის ჯოხით არ გაერეკნა“: ყიფიანების და ორბელიანების გვერდით აქ, უეჭველია, აფხაზებიც იყვნენ, რომელთაც ეს მორიგება საქართველოს მომავალი აღდგომის პირობად მიაჩნდათ, მაგრამ აქვე არა მცირედ იყვნენ მუხრანსკებიც, რომელნიც საქართველოს არსებობასაც კი ზედმეტად სთვლიდნენ...).

მორიგდნენ... მაგრამ აქვე წამოიჭრება ჩვენი ავტორის შრომისათვის ერთი ძირითადი მნიშვნელობის საკითხი: საიდან და როგორ გაჩნდა ეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 60-იან წლებში თერგდალეულთა მეთაურობით? რა ურთიერთობაშია ეს მოძრაობა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან? რა კავშირია, რა მსგავსება ან განსხვავება მათ შორის? ჩვენი ავტორი ამ საკითხებს არ განიხილავს, რაც უთუოდ ნაკლია მისი შრომისა. ავტორი უნდა ცდილიყო და ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში აღმოეჩინა თვითმპყრობელობასთან შერიგებულებს გარდა სხვა ფენა თავდაზნაურებიდან, დიაკნიშვილებიდან, რომელიც ბრძოლას განაგრძობდა და, ბუნებრივია, ქართველ ხალხში ეძებდა თავისთვის საიმედო დასაყრდენ ძალას. და აი მოუსწრო მას ახალმა მოვლენებმა: ბურჟუაზიული ურთიერთობის თანდათანმა შემოსვლამ, გლენტა სოციალური განთავისუფლების გარდუვალმა აუცილებლობამ და რუსეთის დიდ რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეურმა გავლენამ. სრულიად ბუნებრივია, რომ ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უმაღლეს აღმოაჩინა თავისი ეს უტყუარი მოკავშირენი. ამიერიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში ახალ სოციალურ-ეკონომიური ცხოვრებისათვის ბრძოლად იქცა, ის რადიკალ-ბურჟუაზიულ მოძრაობას ორგანულად დაუკავშირდა.

XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ ძირითად ამოცანათაგანია იმ საკითხის სწორად გადაწყვეტა, თუ როგორია ნასესხობის მომენტი თერგდალეულთა იდეურ აღჭურვილობაში:—რამდენად არიან თერგდალეულნი და რაში რუსეთის დიდ რევოლუციონერ დემოკრატებისაგან დავალებულნი? სამწუხაროდ, ჩვენს ავტორს არც ამ საკითხისათვის მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება. ესეც ამ შრომის ნაკლია, რათქმა უნდა.

თერგდალეულთა იდეური აღჭურვილობაში უპირველეს ყოვლისა ორი ძირითადი მომენტი შეინიშნება: ეროვნული და სოციალური. და კითხვა დგას: გვაქვს თუ არა ჩვენ აქ საქმე ეროვნული იდეების ნასესხობის ფაქტთან? თამამად შეიძლება ითქვას, რომ თერგდალეულნი ეროვნული იდეების შემუშავებაში უფრო დამოუკიდებელნი იყვნენ, ვიდრე სხვაგან. სამართალი მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ დასასესხებელი აქაც ჰქონდათ თერგდალეულთ. რუსეთის დიდ განმანათლებელთა პატრიოტიზმი წარსულის უშინაარსო სიყვარული, უსაქმო რომანტიზმი კი არ იყო, არამედ ეს იყო განახლებული სამშობლოს სიყვარული, ან უკეთ, ბრძოლით განახლების სიყვარული სამშობლოსი. თერგდალეულთა, კერძოდ, ილიას პატრიოტიზმი ამ მომენტით ჰგავს სოვრემენიკელთა პატრიოტიზმს, მაგრამ თერგდალეულებს ამ „შემოქმედების რომან-

ტიზმში“ უშუალო წინაპარი აქვე საქართველოში 30—40-იან წლებში მოექცნება (ნ. ბარათაშვილი).

ამ იდეურ მემკვიდრეობას გულისხმობს ილია ჭავჭავაძე, როცა წერს: „დაიწყო მეორე მეოთხედი ამ საუკუნისა თუ არა, ეს ნასკვი შეიკრა ეხლა კი საქვეყნოდ და ბოლოს გაიხსნა კიდევ“ (ილია ზემოთ ლაპარაკობს იმ ეროვნულ იდეებზე, XVIII საუკუნიდანვე რომ მოდიოდა და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, ავტორისავე სიტყვებით, „ჯერ ისევ კარჩაკეტილი იყო, ხმაამოუღებელი; დაქსაქსული აქა-იქა ცალკე ბუჩუტავდა“). ავტორი განაგრძობს: „ცხოვრებამ თავისი უკეთესი კაცნი, სამშობლოს სიყვარულით თვალახილებულნი, აქეთიქით მიახედ-მოახედა, ყოფილსაც თვალი გადაავლებინა და არსებულსაც. მოიკითხეს — რა წაიღო ძველმა და რა მოიტანა ახალმა. ამ მოკითხვამ შესძრა გონება და გული მაშინდელი ყმაწვილკაცობისა. მოძრაობამ კიდევ შეჰკრა ის ბრწყინვალე წრე გონებაგახსნილ ყმაწვილ-კაცობისა... ამ წრის წმიდათა წმიდა იყო სამშობლოს სიყვარული, რომელმაც ბოლოს თავდადებულ ტრფიალებამდე გაიწია მათდა სასახელოდ“ (თხზ. ტ. 4, გვ. 268, 1927 წ. გამოც.).

მართალია, თერგდალეულთა ეროვნული იდეები შესამჩნევად განსხვავდებოდა XIX საუკუნის მეორე მეოთხედის მოღვაწეთა ეროვნული იდეებისაგან, მაგრამ ეს განსხვავება შედეგი იყო ამ უკანასკნელთა განვითარებისა, ამ იდეების ახალ ხარისხში აყვანისა: თერგდალეულთა ეროვნული იდეები ბურჟუაზიული საქართველოს ეროვნული იდეებია, მაშინ როცა 30—40-იან წლებში ეს იდეები ჯერ ისევ უპირატესად ფეოდალური ხანისაა.

ამ იდეურ განსხვავებას მოწმობს დიდი ილიას შესანიშნავი მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა 60-იან წლებში „მამულის“ აღმოჩენა საქართველოში.

1892 წელს ერთ-ერთ წერილში ქართულ ლიტერატურაზე ილია ამბობდა: „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულითმიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც კი რაიმე ნიშანწყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მონიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი ამ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც, ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდელა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას. რაკი „მამულს“ ბინა დაედვა ქართველთა გულში.

მისმა ცხოველყოფელმა სიტომ და ნათელმა მთელი მრავალგვარობა ჩვენის ცხოვრებისა გაუთვალისწინა თვითეულს მოღვაწეს ცალკე და ყველას ერთად. არ დარჩა არც ერთი მცირეოდენი კუნჭული ეგრეთ-წოდებულ მოსაქმე ცხოვრებისა, რომ ან ერთს, ან მეორეს მწერალს, ძველსა თუ ახალს, თავისი კალმის წვერი არ მიეწვდინა და დიდი ხნი-დამ დადუმებული ჩივილი დაჩაგრულ ადამიანობისა, მთა-ბარობა უსწორ-მასწორო ცხოვრებისა — არ გაეხადნა თავისის დაკვირვების და გულისტქმის საგნად და ყოველივე ეს ცალკე თავის კალმის წვერზე არ აეგო.

აღდგენილმა მამულმა დაჰბადა მამულის სიყვარული, მამულის-შვილობა და საკვირველი არ არის, რომ მისი წარსული, მისი აწმყო და მერმისი, კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქნა“... (იქვე 249—250).

ჩვენ შეგვიძლია არ დავეთანხმეთ ავტორს იმაში, რომ სიტყვა „მამულის“ უძველესი შინაარსი „სამშობლო“ იყო, ხოლო ნაგვიანევი კი — უძრავი ქონება (ნამდვილად პირუტყულმა იყო: „მამული“ უპირველესად უძრავ ქონების. მამისაგან ნამემკვიდრევის, აღსანიშნავად იხმარებოდა და შემდეგ თანდათან მოხდა მისი გავრცობა „სამშობლოს“ ცნებამდე), შეგვიძლია არც იმაში დავეთანხმეთ მას, რომ „მამული“ როგორც „სამშობლოს“ აღმნიშვნელი სიტყვა 30—40-იან წლებში სავსებით დავიწყებული იყო (ამის საწინააღმდეგო მაგალითი არაერთი მოიპოვება და არც შეიძლება, რომ ილიას ეს არ სცოდნოდა). მაგრამ ეს ამ შემთხვევაში წვრილმანია და ჩვენი დიდი მთაბროვნი იმ მთავარსა და არსებითში უთუოდ მართალია, რომ მთელი თავისი სიღრმით მრავალსახეობით და ყოვლისშემცველობით „მამული“ მხოლოდ სამოციან წლებში „გამობრწყინდა“. ეს იყო ის „მამული“, რომელიც ბურჟუაზიული ერის დადგინების შესაბამისად ახალი შინაარსით გაივსო. 60-იანი წლების ქართულმა რეალისტურმა მწერლობამ, ილიას მოწმობით, ეს ფაქტი (მამული) შენიშნა და სისავსით წარმოსახა ის.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს განსხვავება ამ იდეათა მემკვიდრეობის უარსაყოფელად არ გამოდგება. ყველაფერი იმას მოწმობს, რომ თერგდალეულთა ეროვნული იდეები უშუალო განვითარებაა, ახალ პირობებში, იმ იდეებისა, რომელნიც XIX საუკუნის მეორე მეოთხედის მოღვაწეთა სამოქმედო პროგრამას შეადგენდნენ. თვითონ ილია ჭავჭავაძე ყველაზე უფრო მეტყველი მოწმობაა საამისოდ. „მგზავრის წერილები“-ს ჰანიბალის ფიცი პეტერბურგში შეძენილი იდეების განაღდების აღთქმა კი არაა, არამედ განვითარება, დახვეწა იმ იდეებისა, რაც „ყვარლის მთების“ ავტორმა თან წაიღო. ეს იყო „ყრმობითგან აკიდებული“ იდეები „ქართველის ბედის“ ძიებისა (იხ. „ჩემო კალამო“).

სად ჩაესახა კაბუკ ილიას ეს იდეა ეროვნული თავისუფლებისა? რა თქმა უნდა, აქ—საქართველოში, სადაც ამ დროს (XIX საუკუნის 40—50-იანი წლები) ეროვნული იდეების გავლენა საკმაოდ ნათლად მოჩანს არა ერთ საზოგადოებრივი ხასიათის წამოწყებაში...

ან როცა დიდი ილია 70-იან წლებში აღნიშნავდა, რომ ქართული პრესის სახელოვანი დროშა 30-იან წლებში აღიმართაო, ის გულისხმობდა სწორედ დოდაშვილის პრესას, ეროვნული იდეით დატვირთულს.

ამრიგად, ეროვნული იდეები თერგდალეულებმა XIX საუკუნის მეორე მეოთხედის ქართველ მოღვაწეთაგან დაიმკვიდრეს და თავისი დროის შესაფერისად გაშალეს და გააღრმავეს ისინი. უკანასკნელ გარემოებაში რუსეთის დიდ რევოლუციონერ-დემოკრატთა გავლენა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა, პირიქით, ის სავარაუდებელია.

ДВЕ КНИГИ О ГРУЗИНСКОМ ДРЕВНЕМ ИСКУССТВЕ

Издательство Академии наук Грузинской ССР выпустило в свет два капитальных исследования действительного члена академии проф. Г. Н. Чубинашвили «Памятники типа Джвари» и «Пещерные монастыри Давид-Гареджи». Эти труды знаменуют важный этап в деле изучения богатейшего наследия древнегрузинского искусства.

Первая из названных книг посвящена группе архитектурных памятников ранне-феодальной эпохи (конец VI, первая половина VII веков), во главе с знаменитым храмом Джвари, расположенным на горе, напротив древней грузинской столицы Мцхета, у слияния Куры и Арагви.

Всестороннее изучение и освещение Мцхетского Джвари и примыкающих к нему по типу построек (Атенского Сиона, Мартвильского Кафедрала, храма в Шуамта) имеет исключительное значение для правильного понимания и оценки всего средневекового грузинского искусства. Эти памятники, достигшие высокой степени художественной законченности, по справедливому замечанию автора «являются выражением, доказательством гармонического завершения исканий целой эпохи» (стр. VII). Они особенно ярко выражают творческую самобытность грузинского древнего искусства, его органическую связь с коренными народными художественно-строительными традициями.

Основной части труда, в качестве введения, предпослано исследование о малом храме Джвари, характерном памятнике середины VII века, непосредственно связанном с главным храмом и имеющем значение для выяснения ряда вопросов художественного и хронологического порядка.

Первая глава посвящена подробному описанию памятников. Автор рассматривает тщательно внешние формы и внутреннее пространство каждой постройки, использованные строительные материалы, современное состояние зданий, выявляет различные строительные слои в памятниках, которые дошли до

* პირველი დიდიხედი ვაზ. „Заря Востока“, 1950, № 134 (19. X).

наших дней в переделанном виде (например, Мартвильский храм).

Следующая глава дает четкий, всесторонний архитектурно-художественный анализ всех построек типа Джвари не только в Грузии, но и в соседней Армении. Место данного архитектурного типа в развитии грузинской архитектуры, технические приемы и особенности, развитие форм плана, оформление внутреннего пространства, наружные и конструктивные формы, точные даты памятников—вот основные разделы, из которых состоит эта глава.

Автор не ограничивается показом конкретного материала. Он увязывает его в каждом разделе с общими проблемами развития грузинской архитектуры. На основе собранных им примеров он рассматривает вопросы взаимоотношения грузинской архитектуры с искусством соседних народов, в частности, армянского.

Весьма убедительно уточнение дат отдельных построек, данное автором на основании всестороннего изучения письменных источников и анализа самих памятников. Примером глубоко продуманного и тонкого художественного анализа может служить сравнение Атенского Сиона с Мцхетским Джвари, позволяющее автору доказать с полной ясностью, что первый из этих памятников является копией второго (стр. 121—123). Это заключение имеет принципиальное значение для выяснения многих, совершенно ложно освещенных в старой литературе вопросов не только относительно построек типа Джвари, но и всей древнегрузинской архитектуры в целом.

Большим достоинством этой содержательной главы является ее внутренняя последовательность и целеустремленность: автор рисует нам не только художественный облик, «индивидуальность» каждого отдельного памятника, но и яркую картину развития грузинской архитектуры. Рассматривая процесс формирования данного архитектурного типа, автор наглядно показывает внутреннюю закономерность этого процесса, его неразрывную связь с общим ростом грузинской культуры и художественного творчества. Именно это и позволяет ему, в конце главы, в параграфе, посвященном старым теориям о происхождении рассматриваемого типа стр. (126—128), говорить с полным правом о несостоятельности прочно укоренившихся в буржуазной науке взглядов, полностью отрицающих оригинальность, национальную самобытность грузинского искусства. Первоначальным источником этих ложных, псевдонаучных утверждений являлась неправильная датировка и толкование именно памятников типа Джвари, в частности Атенского Сиона.

В третьей, заключительной, главе — «Фасадное убранство» — проанализирована декоративная система Джвари, Атенского Сиона и Мартвили. Она не только пополняет харак-

теристику каждого из этих памятников, но по существу дает общую картину стилистической ступени, которой достигла грузинская архитектура на переломе VI и VII веков, т. е. в одну из наиболее блестящих эпох своего развития. Чрезвычайно интересен в этой главе стилистический анализ рельефов, показывающих, с одной стороны, различный, художественный уровень отдельных памятников (Джвари-Атени), с другой — опять-таки различные ступени в эволюции стиля (Джвари-Мартвили).

Нельзя также не отметить, что автор выясняет одновременно ряд вопросов (о строителях храма-правителях Картли), имеющих значение и для общей истории Грузии.

Труд проф. Чубинашвили — плод долголетних работ автора непосредственно над памятниками и критического обозрения колоссального историко-литературного материала.

Мцхетский Джвари — гениальное творение грузинского зодчего, и постройки, группирующиеся вокруг него, занимали с самого же начала в научных исследованиях Г. Н. Чубинашвили особое место, что вполне естественно, если принять во внимание исключительное значение этих памятников в развитии средневекового грузинского зодчества.

Г. Н. Чубинашвили доказал, что Мцхетский Джвари является оригинальным творением грузинской архитектурной мысли, имеющим глубокие национальные, народные корни. Автор доказывает также (стр. 31), что «изучаемая здесь группа и некоторые ее переработки на Кавказе же могут дать, по-видимому, материал для понимания развития известной группы греческих средневековых храмов (Хознос Лукас, Дафни, Мистра, Неа Мони и др.)». Рисуя картину высокоразвитой материальной культуры грузинского народа, книга Чубинашвили тем самым дает много нового для понимания общего состояния Грузии в эпоху, о которой сохранилось сравнительно мало письменных исторических данных. Наконец, книга Чубинашвили, убедительно выявляющая истинное значение и место грузинского искусства, как было указано, является настоящей отповедью буржуазным ученым, стоящим на ложных методологических позициях, а зачастую просто искажающим факты.

«Эти, рассматриваемые здесь, архитектурные памятники типа Джвари, — пишет автор, — были стержневыми и решающими в ходе развития тогдашней грузинской архитектуры. Они показывают четко очерченное, определенное лицо этого искусства, которое не может затеряться среди других произведений ранне-христианского искусства. Искусство Грузии той отдаленной эпохи, обладая вполне определенным, индивидуально очерченным характером, позволяет нам утверждать, что оно является самостоятельным представителем восточно-христианского искусства, рядом с другими и наравне с ними» (стр. VIII).

Многочисленные фотоиллюстрации и великолепно выпол-

ненные чертежи обмеров академика архитектуры Н. П. Северова, приложенные к книге, повышают ее научную ценность. Хотя следует отметить, что не все фото репродуцированы удовлетворительно.

Большой научный интерес представляет также вторая монография Г. Н. Чубинашвили.

По своему масштабу, продолжительности исторической жизни, богатству произведений искусства комплекс пещерных монастырей Давид Гареджи (неподалеку от Тбилиси, в Сагареджойском районе) следует признать исключительным памятником мирового значения. Основанные первоначально в VI веке одним из 13 сирийских отцов, проповедывавших в Грузии христианство, — Давидом Гареджом, эти монастыри просуществовали до конца XVIII века. Иными словами, развитие этого грандиозного монастырского ансамбля (количество искусственных пещер тут исчисляется сотнями) связано со всем периодом существования средневековой феодальной Грузии.

Своего апогея строительство монастырей достигло в эпоху царицы Тамары, на грани XII и XIII веков. К этому времени относятся фрески Бертубани (одного из монастырей Гареджи) с портретами Тамары и ее сына Георгия Лаша. Из других исторических портретов особенно интересно изображение царя Димитрия II, конца XIII века.

Как справедливо отмечает автор, «предшествующее изучение не дает никакого представления о характере монастырей, о находящихся в них памятниках старины и искусства и, таким образом, ничего не дает для понимания их значения в истории развития грузинской культуры и абсолютно ничего в отношении всемирной истории» (стр. 5).

Книга проф. Чубинашвили восполняет в значительной мере этот пробел.

Характеризуя архитектуру и устройство монастырских помещений, автор показывает, что ее создатели должны были быть обладателями высокоразвитой культуры. Анализ гареджинских пещер дает много ценного для изучения и правильного освещения гражданской архитектуры средневековой Грузии. Весьма важным и убедительным является положение автора, отвергающее мнение академика Н. Я. Марра, «будто светское искусство Грузии и Армении определяется влиянием исламского, иранского, тогда как церковное держится общих установок и мотивов христианского искусства» (стр. 48—49).

Богата содержанием IV глава книги, посвященная развитию гареджинской живописной школы и содержащая глубокий художественный анализ сохранившихся в громадном количестве фресковых росписей. Говоря об исключительной красоте и своеобразии Бертубанской росписи, автор отмечает, что тут «мы имеем одно из проявлений новых веяний, которые сказались

только с течением времени как в западно-европейской, так и в восточно-христианской живописи», что и показано конкретным анализом памятников (стр. 70). Но роспись Бертубани, по справедливому замечанию проф. Чубинашвили, имеет значение «не только для общей картины «византийского» течения восточной живописи. Точно также и иранской живописи придется считать с нею» (стр. 70).

Таким образом, изучая, исследуя памятники грузинского искусства, Г. Н. Чубинашвили увязывает каждый раз их рассмотрение с общими проблемами мирового искусства, помогая тем самым правильному, четкому пониманию исторического места и значения этих памятников.

Книга о Давид-Гареджинских монастырях также богато иллюстрирована фотографиями с натуры и с чертежей. Особо следует отметить чудесные, воспроизведенные в красках рисунки покойного академика Е. Е. Лансере, глубоко знавшего и любившего искусство грузинского народа.

Две книги Г. Н. Чубинашвили, как было отмечено выше, являются крупным вкладом в советскую искусствоведческую науку. Основанные на прочном фундаменте критически изученных фактов, характеризующиеся последовательностью и логичностью изложения, остротой художественного анализа, правильно увязывающие развитие грузинского искусства с исторической жизнью и развитием народа, глубоко патриотические труды проф. Г. Н. Чубинашвили обогащают наши знания о прошлом грузинского народа.

3. ბაბაბაძის „ღამით მერმე“¹

მე-13 საუკუნის დამდეგისათვის ფეოდალურმა საქართველომ სოციალურ-ეკონომიური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. მისი შემდგომი განვითარება ამ (ფეოდალური) ურთიერთობის რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლებოდა მხოლოდ წასულიყო. ამიტომაც, რომ ფეოდალური საქართველოს ისტორიის მონაკვეთს მე-13 საუკუნიდან მოკიდებული გვიანფეოდალური ხანა ეწოდება.

ეს გვიანფეოდალური ხანა საქართველოში მეტისმეტად ხანგრძლივი იყო და ბურჟუაზიულმა ურთიერთობამ ის მხოლოდ მე-19 საუკუნეში შეცვალა.

მე-13 საუკუნიდან ახლო-აღმოსავლეთში, საერთოდ, და საქართველოში, კერძოდ, ისეთი არახელსაყრელი პირობები შეიქმნა, რომ ქვეყნის შიგნით განვითარდა მოვლენები, რომელთაც საზოგადოებრივი წინსვლის ძლიერი შეფერხება გამოიწვიეს.

„თათრობა—ულუსობას“ და სხვა მრავალ „ველურობას“, XIII—XV საუკუნეებში რომ მძვინვარებდა, თან მოყვა „ყიზილბაშობა“, „ოსმალობა“ და ვინ მოსთვლის რამდენი მომთაბარე და რამდენი აბრაგი საუკუნეთა მანძილზე ანიაგებდა ქართველი ხელოსნის მშვიდობიანი შრომის ნაყოფს.

ქვეყნის წინსვლა დაეხუთა ხანმოთეულ ბატონყმობას, რომელიც გაუდაბურებით ემუქრებოდა ქართულ სოფელსა და ქალაქს. ტყვის სყიდვა, დასავლეთ საქართველო რომ ამოაგდო, და ლეკიანობა, აღმოსავლეთ საქართველო რომ გაანადგურა, კანონზომიერი მოვლენები იყო, ხანმოთეული ბატონყმობის ნიადაგზე რომ განვითარდნენ ოსმალურ-ყიზილბაშური გარემოცვის პირობებში.

ქვეყანას მართლაც რომ გარეშე და შინაური „მუმლი გარს ეხვეოდა“ და მას განვითარება-წინსვლის გზას უხშობდა, ქვეყანა „ჩიხში“ მოქცეულიყო.

¹ პირველად დაიბეჭდა 1955 წელს („ლიტერატურული გაზეთი“, № 14. 8. IV).

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მდგომარეობა სრულიად გამოუვალი იყო და, მაშასადამე, დალუბვა აუცილებელი. მდგომარეობა მეტად მძიმე იყო, მეტად ხანგრძლივი იყო რეაქცია, მაგრამ ქართული საზოგადოებრივი ურთიერთობა თავის შიგნით შეიცავდა პროგრესულ ელემენტებს, რომელნიც უმაღლვე ზრდას იწყებდნენ, როგორც კი საამისო ხელსაყრელი პირობები ჩნდებოდა (მესხეთი XIV ს-ში, კახეთი XVI ს-ში, ქართლი XVII ს-ში). იმ დროის საქართველოს სიმტკიცე და გამძლეობა მისი სოციალურ-ეკონომიური წყობის უპირატესობაში, უფრო პროგრესულობაში იყო აზიური ფეოდალიზმის ქვეყნებთან შედარებით და ქართველი ხალხი, უფრო სწორად, ქართველი ხალხის პროგრესული ნაწილი იბრძოდა ამ წყობის დაცვა-განვითარებისათვის. ებრძოდა შინაურსა თუ გარეშე მტერს, თავადსა თუ მთავარს, ოსმალსა თუ ყიზილბაშს.

საქართველო აზიაში იყო და აზიას ებრძოდა, საქართველო პროგრესისათვის იბრძოდა და ამ ბრძოლით მივიდა ის პროგრესულ რუსეთთან.

ამრიგად, გვიანფეოდალური საქართველო ჩვენ წარმოგვიდგება: როგორც აზიური ჩამორჩენილობის შემოტევა, როგორც რეაქციულ ძალთა ბატონობა და როგორც ქართველი ხალხის პროგრესული ნაწილის განუწყვეტელი ბრძოლა პროგრესის ძალთა განვითარების უზრუნველყოფისათვის, საქართველოს გადარჩენისათვის.

საქართველოს ისტორიის ამ გვიანფეოდალურ ხანას გულისხმობს პ. კაკაბაძის კომედია „დავით მერვე“.

გვიანფეოდალური საქართველო შეიძლება, რა თქმა უნდა, დრამის საგანიც ყოფილიყო (ასეთი დრამა ჩვენში არა ერთი მოიპოვება, სამწუხაროდ, ჩვენი დროისათვის ყველა მოძველებულია), მაგრამ პ. კაკაბაძემ სწორი აღლოთი მიაგნო, რომ კომედიის ხერხებით არანაქლები დამაჯერებლობით შეიძლება აღნიშნული ეპოქის დუხჭირი ვითარების დახატვა.

ქვეყანა ჩიხშია მოქცეული, მას წინსვლა არ ეტყობა, პროგრესის შემოქმედება, ახლის შენება არსადაა, საზოგადოებრივ სარბიელზე არა ჩანს შემოქმედი კლასი, რომ ხალხს უთავოს, წინ წაუძღვეს მას და პროგრესის გზით წაიყვანოს.

აქ გმირის ადგილი აღარსადაა და პ. კაკაბაძე მართალია, რომ გმირი კახაბერი ზღაპრულ ორმოში ჰყავს მოთავსებული. და ან კი ქართული ფეოდალური საზოგადოების რომელი ნაწილის ზრახვათა განსახიერება შეიძლება იყოს ამ დროს გმირი? გმირი ხომ ის არ არის, ვინც თავს სწირავს რაგინდარა საქმეს, არამედ გმირი ისაა, ვინც წინ უძღვის პროგრესის საქმეს, ვინც მზადაა თავი გასწიროს პროგრესის საქმი-

სათვის. გმირს წარმოშობს პროგრესისათვის მებრძოლი კლასი, მოწინავე კლასი. გვიანფეოდალური საქართველო კი ჩიხშიაც იმიტომ იმყოფებოდა, რომ იქ ფეოდალური ურთიერთობის დამანგრეველ რევოლუციურ კლასს განვითარების საშუალება არ ეძლეოდა.

და ვისი-ღა გმირი შეიძლება იყოს კახაბერი? თავადების საკუთრებად ქცეულს, დამონებულ, დაქსაქსულ გლეხობას გმირის წარმოშობა არ შეუძლია.

საზოგადოებრივი წინსვლის შეფერხების, საზოგადოებრივი ჩიხის ერთ-ერთი გამონახტულება იყო ის, რომ მეფეს გვიანფეოდალურ საქართველოში ხალხი არ ჰყავდა. მეფესა და ხალხს შორის დიდი ხანია, რაც თავადი ჩამდგარიყო. ხალხი, მწარმოებელი საზოგადოება, თავადებს, მთავრებს მიეტაცნათ, ხოლო ცხოვრება იქამდე შეფერხებულ მოდუნებული იყო, რომ ხალხის ფართო მასებს ლტოლვა ცენტრალური ხელისუფლებისაკენ არ ახასიათებდა. მთავრებისა და თავადების უსაცილო ბატონობა სუფევდა და მეფე გვიანფეოდალურ საქართველოში ქვეყნის პროგრესულ ძალთა შემკრების როლში (ენგელსი რომ აღნიშნავს) ვერ გამოდიოდა.

ქვეყნის რა დამცველის როლში შეიძლებოდა გამოსულიყო ასეთი მეფე, რომელ ხალხს უწინამძღვრებდა ის? და ღრმად მართალია კომედიის ავტორი, როცა მეფის ლაშქარში ქვეყნის უკიდურეს გასაჭირისას ას კაცს ითვლის. მოკლედ, ეს ხალხშემოცილი და ფუნქციანგამოლეული მეფე გვიანფეოდალურ საქართველოში უსაქმო იყო და პ. კაკაბაძე ასევე მართალია, როცა დავით მერვეს ტრაგიკომიკური სტიბოთი ხატავს და არსებითად ნაცარქექიათა წრეში ათავსებს მას.

რეალურ-ისტორიულია პ. კაკაბაძის მიერ დახატული მთავრები. აი, ესენი არ არიან ახლა უფუნქციონი. თავად-მთავრები გვიანფეოდალურ საქართველოში საზოგადოებრივი განვითარების შეფერხების ნაყოფნი არიან, საზოგადოებრივი რეაქციის ნაშობნი არიან, თავს ღვიძლ სტიქიონში გრძნობენ და მასვე (რეაქციას) ემსახურებიან.

ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობის მოღვაწენი, ხალხის უწყალო მძარცველები, ტყვის მსყიდველები, ლალატის ვირტუოზები, დაუნდობლობის, სიცრუისა და მლიქვნელობის ოსტატები ეს „ბრწყინვალე“ სათაგელნი თავს არხეინად გრძნობენ. სულერთია ტახტზე ვინ იქნება. ნაცარქექია დავით მერვე, თუ უცხოელი დამპყრობლების აგენტი მოლაღატე ბახტანგ ხანი. ღღეს ამ თავად-მთავრების ამინდია და ასე დარჩება, ვიდრე ქვეყანა ჩიხშია მოქცეული.

და ვიდრე ქვეყანა ჩიხშია, გმირი კახაბერი „ორმოშია“.

ამ კონტექსტში ადვილმისახვედრია, თუ რამდენად მართალია ჩვენი ავტორი, როცა აღნიშნავს (ლიბარიტეს ათქმევიანებს), რომ ქვეყანა

მოიშალა, გაოხრდა, დაეცა და გათახსირდა მას შემდეგ, რაც გმირი კახაბერი „ორმოში“ ჩააგდეს, კახაბერი კი, ჩვენი ისტორიული კონცეფციით, „ორმოში“ მაშინ „ჩააგდეს“, როცა გვიანფეოდალურ საქართველოში პროგრესის მედროშე კლასის წარმოშობა შეფერხდა. ამ თვალსაზრისით კახაბერი მეტნაკლებად „ორმოშია“ მთელი გვიანფეოდალური ხანის განმავლობაში.

ამიტომ პ. კაკაბაძე მართალია, როცა კახაბერს ნახევრად რეალურ, ნახევრად სიმბოლურ პირად წარმოგვიდგენს, როცა ამ გმირთან დაკავშირებული ყველა მოვლენა არც დასაჯერებელია, არც დაუჯერებელი.

კახაბერი ორმოშია ჩაგდებული.

ვინ ჩააგდო კახაბერი ორმოში, ჩვენ უკვე ვიცით. კახაბერი ორმოში ჩააგდო გვიანფეოდალური საქართველოს უმოძრაობამ, საზოგადოების ჩიხში მოქცევამ. პერსონალურად ეს შეეძლო მოემოქმედნა თითოეულს და ყველას — ამ ჩიხის ღვიძლ შვილებს.

ჩვენს ავტორს კომედიის კვანძის შესაკრავად სჭიროდა, რომ ასეთი აქტი ნაცარქექიათა წრიდან მომხდარიყო და არა თავად-მთავრების წრიდან (მაშინ ეს მოვლენა საკომედო ალარ იქნებოდა); ეს საესებით მართებულია; ეს ნაცარქექიებიც (ლიბარტიე-შოშკობა-გოსტაშაბ-როსტომი) ხომ იმავე ჩიხის ნაყოფ-ყვავილებია და კახაბერიც ხომ ამ ნაცარქექიობის მტერია.

და აი ქვეყანა ჩიხშია, გმირი ორმოშია, ხოლო მისი ხმალი ნაცარქექიას ხელთაა.

მაგრამ ავტორი სხვა სიმართლესაც გვეუბნება. როგორ მოხდა რომ უქნარა, ქოსატყუილა ლიბარტიე-კიკოტემ გმირი ორმოში ჩააგდო? განა ნამდვილი გმირის ორმოში ჩაგდება შეიძლება? რა თქმა უნდა, არა. კახაბერი რომ მოწინავე საზოგადოებრივი კლასის შვილი ყოფილიყო, განა ორმოში აღმოჩნდებოდა? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ კახაბერი ასეთი კლასის შვილი არ იყო, რადგან ასეთი კლასი ქართულ საზოგადოებრივ სარბიელზე ჯერ კიდევ არ გამოსულიყო. ამდენად გმირი კახაბერი არარეალურია და ჩვენი ავტორისათვის ალღოს არ უღალატნია, როცა კახაბერი რეალურ მოქმედ პირად არ გამოიყვანა თავის კომედიაში.

და ის ხალხი, ორმოდან ამოსულ კახაბერს რომ მისვლია, გმირის წარმოშობი და ქვეყნის დამხსნელი კლასი არ არის, რადგან ის არაა ძველის წინააღმდეგ აჯანყებულთა კლასი, ახლის შემოქმედი კლასი. ამიტომაცაა, რომ მთავრები და თავადები თავს არხეინად გრძნობენ და გმირი კახაბერის დაბრუნებისა არ ეშინიათ. კახაბერს ხალხი წაუჟვა, ის უჯაროდ დარჩება, მას ისევ ორმოში გდება მოელის და ეს ასე იქნება

სულ, ვიდრე გმირი კლასი, ახლის შემოქმედი კლასი არ წარმოიქმნება და რეალურ კახაბერს არ შობს.

ხალხისა და ქვეყნის მოღალატე მთავრების გვერდით, და არანაკლების სიმწვავეით, ამათრახებს ავტორი საზოგადოებრივი რეაქციის მეორე ფრთას — ამ უქნარა ნაცარქექიათა ბანაკს, რომლის იდეური გამომხატველი არის როსტომ ბრძენი. საზოგადოებრივი უმოძრაობის ნაყოფია, როგორც აღვნიშნეთ, როსტომ-გოსტაშაბი მათი მსჯელობით ინდოეთის მეფის გვირგვინზე, ტრაპიზონის ხელმწიფეზე.

მსჯელობა წუთისოფელზე, მის სრბოლაზე, სიცოცხლის ეფემერულობაზე, — ყველაფერი ეს საზოგადოებრივი ცხოვრების მოღუნების, უმოძრაობის ნიადაგზე შექმნილი ფილოსოფიაა, „აღმოსავლური სიბრძნეა“, რომელიც ბრძოლა-შრომისაკენ კი არ მოუწოდებს, არამედ უშრომელობას, უქმად გდებას ამართლებს.

ეს ჩივილი წუთისოფლის დაუნდობლობაზე, მის ეფემერულობაზე და ამოებაზე ლეიტ-მოტივად მოჰყვება გვიანფეოდალური ხანის ქართულ აზროვნებას და მის ნიშანდობლივ მხარეს შეადგენს. ეს არის თავისებური რომანტიზმი, მაგრამ რომანტიზმი არა რევოლუციური, არამედ რეაქციული.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა პირველმა უთხრა ქართველ ხალხს ამ მხრივ ახალი სიტყვა და ადამიანის წუთისოფელი მებრძოლის, ახლის მშენებლის თვალსაზრისით შეაფასა (და ეს იმიტომ, რომ ამ დროს ქართული ცხოვრება უკვე გამოსული იყო ინერტული უმოძრაობიდან და ახლის შენება იწყებოდა).

ეს ნაცარქექიობა, ეს როსტომის სიბრძნე და ჩივილი წუთისოფელზე რომ საზოგადოების უმოძრაობის პირობებში და მისივე ნიადაგზეა შექმნილი (და არა რაღაც მისტიკური „აღმოსავლეთის“ გამოუცნობელ ნიადაგზე — „აღმოსავლეთის ცის გასაღები“ დიდი ხანია აღმოაჩინეს მარქსიზმის კლასიკოსებმა და იქ გამოუცნობი ამ მხრივ აღარა არის რა), ამის შესანიშნავი საბუთია საქართველოს ისტორიის სხვა ხანაც, სახელდობრ აღმავალი ფეოდალიზმის ხანა, როცა ახალმოზარდმა პროგრესულმა საზოგადოებამ გაბედულად შეუტია არა მარტო უდაბურსა და ტყე ადგილებს, არამედ გონებრივ უმოძრაობასაც და შეიმუშავა არა ფაფის მათხოვარა როსტომის სასომიხილი და უიმედო „სიბრძნე“. არამედ დაუღალავი შრომის, მედგარი ბრძოლის და უდრეკი წინსვლის იმედიანი ფილოსოფია. საკმაოა ადამიანი გაეცნოს იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულის, გიორგი ათონელისა და გიორგი მცირის თხზულებებს და იქ იპოვის შემოქმედ საზოგადოებას, იპოვის გმირებს და ვერ იპოვის როსტომ-გოსტაშაბ-ლიპარიტებს. ამათი ადგილი იქ არ არის და არც კო-

შედის სარბიელია ქართული ფეოდალური ურთიერთობის აღმავლობის ეს ხანა.

ასეთია ჩემი, როგორც ისტორიკოსის, მცირე შენიშვნა ამ მეტად საინტერესო ნაწარმოებზე.

დასასრულ, ერთი რჩევა პატივცემულ ავტორს. გვიანფეოდალური ხანა საქართველოში მთელს ამ ვეება მანძილზე ერთნაირი არ იყო. დასაწყისში (XIII საუკუნის პირველი ნახევარი) მას უმოძრაობა და ჩიხი არ ახასიათებდა. მხოლოდ შემდეგ, მონღოლთა ბატონობის ხანიდან მოკიდებული, თადათან ჩნდებიან და ვითარდებიან საზოგადოებრივი წინსვლის შემხუთავი მოვლენები, ხოლო დასრულებულს (მხატვრული ნაწარმოების ენაზე—„ტიპიურს“) სახეს გვიანფეოდალური ჩიხი მე-15 საუკუნეში იღებს (რა თქმა უნდა, ის არც ამის შემდეგაა მუდამ ერთნაირი და განსაკუთრებით მე-18 საუკუნიდან, როცა ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა გმირი ერეკლეს მეთაურობით პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა: ბარბაროსული გარემოცვის გარღვევით გვიანფეოდალური ჩიხის მთავარი ბურჯი მოიშალა და პროგრესულ ძალთა წინსვლა-განვითარების გზა პროგრესულ რუსეთთან კავშირით უზრუნველყო).

ამიტომ სჯობდა, რომ ასეთი ისტორიული ნაწარმოები, რომელიც საქართველოში გვიანფეოდალური ხანის მთელს ეპოქას შეეხება, არ ყოფილიყო მიმავრებული რომელიმე მეფის სახელთან და ამ ნაწარმოებს იგივე ძველი სახელი „კახაბერის ხმალი“ აღდგენოდა.



მ. გიგეშიძე—სარწმუნო მიწათმოქმედება საქართველოში

თბილისი, 1961 წ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი.

მე პირველყოვლისა უნდა ბოდიში მოვიხადო იმ უჩვეულო ფორმისათვის, რომელსაც მივმართავ ამ პაექრობისას. ჩვეულებრივ ოპონენტი შენიშვნებს დაწერილ წარმოდგენს ხოლმე. ასე რომ დისერტანტს საკმაოდ რთვად დაფიქრებისა და პასუხისათვის. სამწუხაროდ, მე არ მქონდა შესაძლებლობა ჩემი შენიშვნები წინასწარ წარმოემდგინა და მომიხდება აქვე კითხვებისა და გასაუბრების სახით შეფასება დისერტანტის ნაშრომისა, მის იმ ნაწილში, რომელიც მე საკამათოდ მეჩვენება. საერთოდ კი მე აქ უკვე გამოსულმა ამხანაგებმა გამათავისუფლეს იმ მოვალეობისაგან, რომ დავიწყო საუბარი ამ ნაშრომის დადებითი მხარეების შესახებ. მათ ამომწურავად შეაფასეს ამ ნაშრომში მოცემული მეცნიერული ღირებულების მქონე მიღწევები და ეს არა მარტო ეთნოგრაფიის ხაზით, არამედ საკუთრივ საქართველოს ისტორიის ხაზითაც (განსაკუთრებით ეს ჩანს აკადემიის წ.-კორ. გ. ჩიტაიას რეცენზიაში). ამაში მე სავსებით ვეთანხმები ხსენებულ ამხანაგებს.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ამხ. მ. გეგშიძის ამ ნაშრომში დასახული მიზანი — საქართველოს სარწყავი მიწათმოქმედების ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ცდა და ამ ნაშრომში მიღებული დასკვნები ფრიალ საინტერესოა და შეეხება საქართველოს ისტორიული განვითარების ერთ უმთავრეს მომენტს.

ამ მიმართულებით ქართული ისტორიოგრაფიის ნაკლი გარკვევით აღნიშნულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში და ჩვენი ავტორის ნარკვევებიც ამის გამო ყოვლად გამართლებულია, ე. ი. მე ის მინდა მოგახსენოთ, რომ აქტუალობის თვალსაზრისით თემა წუნდაუდებელია და მისასაღმებელი, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ეს თემა მეტიმეტად დიდი და ძნელად მოსავლელია, განსაკუთრებით ჩვენს პი-

რობებში, სადაც ამ მიმართულებით დღემდე მცირე რამ არის გაკეთებული.

სადისერტაციო ნაშრომში მრავალი საკითხია გაშუქებული, რომელთა საფუძველზე მოცემულია საყურადღებო დებულებები. მე ამ დებულებებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყო შემდეგი:

1. სარწყავი საშუალებანი საქართველოს მეურნეობის დამხმარე ღონისძიებებია და არა მიწათმოქმედების აუცილებელი პირობა, როგორც აღმოსავლეთ ქვეყნებში. ეს ერთი დებულება.

2. სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში გარედან შემოტანილი კი არ არის, როგორც ბევრი ვინმე ფიქრობდა და ფიქრობს, არამედ აქვეა ჩასახული და განვითარებული.

3. მესამე დებულება: სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში ჩასახულია მთის წინა ზოლში, საიდანაც ის გავრცელებულია მალღამთაში და დაბლა ველში;

4. იქვე ქვეტიქსტურად ხაზგასმით მტკიცდება, რომ მთელი ეს რთული სამეურნეო კულტურა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების შემოქმედებითი ნაყოფია, რომ ის ნამდვილი ეროვნული სამეურნეო კულტურაა, ქართველი ხალხის მონაპოვარია და ამაშია ამ ნაშრომის თვალსაჩინო დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე.

ამის შემდეგ იწყება ავტორთან ჩვენი კამათი, მეტი თუ ნაკლები მნიშვნელობის შენიშვნები, რომელთა მეცნიერულად უკუგდებას დისერტანტი თუ მოახერხებს, ამით ჩვენ მხოლოდ სიამოვნებას მოგვაყენებს.

შესავალი ამ წიგნისა კარგია, ის ლიტერატურის ფართო მიმოხილვას შეიცავს: აქ დახასიათებულია შუამდინარეთის, ეგვიპტის, ირანის, შუააზიის სარწყავი მიწათმოქმედების გენეზისის საკითხები არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, მაგრამ ეს შესავალი მაინც ნაკლებულია, არაფერია ნათქვამი მიწათმოქმედების გენეზისზე დასავლეთში (ბალკანეთი, იტალია, ესპანეთი, საერთოდ ევროპის დასავლეთი და სამხრეთი ქვეყნები). მე განგებ ვეხები ამ ადგილებს, რადგან ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ამ ქვეყნებთან უფრო ახლო ვართ, ვიდრე იმ ქვეყნებთან, რომლებზედაც ავტორი ასე ბევრს მსჯელობს. აქ მხედველობაშია მისაღები შემდეგი არსებითი მნიშვნელობის გარემოება: რომ ავიღოთ, მაგალითად, ჩრდილოეთი, თუნდაც, ვთქვათ, რუსეთი, ან გერმანიის, ჩრდილოეთის ქვეყნები, აქ მიწა და წყალი (—მორწყვა) არ იყვნენ მეურნეობის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განუყოფელნი. „აზიაში“, ე. ი. აღმოსავლეთში კი წყალი (მორწყვა) და მიწა მეურნეობრივად ურთიერთისაგან განუყოფელია, წყალი აღმოსავ-

ლეთის ცის გასაღებია. რას წარმოადგენს ამ მხრივ საქართველო, როგორც ხმელთაშუაზღვის ევროპისპირეთის და აზიის დასავლეთი საზღვრის შუა ადგილი? წიგნში დისერტანტის მიერ დამტკიცებულია დებულება, რომ სარწყავი მეურნეობა საქართველოში ეფექტიანი დამხმარე ღონისძიებაა და არა მიწათმოქმედების აუცილებელი პირობა, როგორც „აღმოსავლეთში“. მაშასადამე, ეს გარემოება ავტორს ავალბობდა, რომ ყურადღება მიექცია ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც წყალი და მიწა მეურნეობრივად ერთმანეთისაგან განუყოფელნი არ არიან და სადაც ამ მორწყვას ასეთივე, ეფექტის გამაძლიერებელი როლი აკისრია და არა ისეთი, როგორც ეს აღმოსავლეთის ქვეყნებშია. რა თქმა უნდა შესაძლებელია, აქ საუბარი დაწყებულიყო, თუ სად იმყოფება საერთოდ საქართველო—„აზიაში“ თუ „ევროპაში“. მაგალითად, ფეოდალური ურთიერთობის პრობლემებთან დაკავშირებით ამის შესახებ ჩვენ გარკვეული მოსაზრება გავაჩნია და ის არაერთხელ გამოვითქვამს კიდევაც. ვამტკიცებთ: რომ ჩვენ სწორედ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნების რიგში ვიმყოფებით. სწორედ აქ მოჩანს ჩვენი დიდი მსგავსება „ევროპასთან“, რომ ჩვენ ფეოდალური მეურნეობის თვალსაზრისით „ევროპელები“ ვართ.

ეს არის ჩემი პირველი შენიშვნა.

სადისერტაციო შრომის თავი და თავი მნიშვნელობა იმაშია, რომ უცილობლად მტკიცდება მრავალის მთქმელი დებულება: საქართველოს სარწყავი მიწათმოქმედება ჩასახულა და განვითარებულა თვით საქართველოს ტერიტორიაზე, რომ ის ნასესხები არ არის. ავტორი საფუძვლიანად უარყოფს სარწყავი მიწათმოქმედების ირანიდან შემოტანის შესაძლებლობას, თუმცა ირანის გავლენას იზიარებს. აქ შეიძლება საყვედური გამოგვეთქვა: რაკი „მორწყვის მთელი ისტორია, მისი ჩასახვა და განვითარება, საქართველოს ისტორიას უნდა დაუკავშირდეს“, ამდენადვე უარყოფილია მორწყვის საქმის გარედან შემოტანილობის მოსაზრება. აქვე მართებული იქნებოდა მორწყვის საქმის ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე დასმულიყო საკითხი, რამდენად შეიძლება საქართველოში მორწყვის საქმის ზოგად ქართულ წესზე ლაპარაკი.

მე ხაზს ვუსვამ და თქვენს ყურადღებას მივაქცევ ამ შემთხვევაში მორწყვის საქმის ზოგადი ხასიათის საკითხის და არა წყლის პირველადი უმარტივესი სარგებლობის საერთო ხასიათს, რაც ბევრგან შეიძლება ერთნაირი ყოფილიყო. მაგრამ, როდესაც ზოგად წესზე არის ლაპარაკი, იგულისხმება, რომ იქ უკვე შემუშავებულია ასეთი წესი. ასე უნდა შეფასდეს მორწყვაში ზოგად ქართულ წესზე ლაპარაკიც. ტერმინოლოგიური დაკვირვება თითქოს იმის საბუთს იძლევა, რომ მორწყვა საქართველოს ტერიტორიაზე ეთნიკურ-კუთხობრივად არის განვითარებული.

რებული და განვითარებულია, მაშასადამე, მას შემდეგ, რაც ეთნიკური კუთხეები ჩამოყალიბდა, ე. ი. ქართველთა მოდგმის ერთად ყოფნის პირობებში სარწყავი მიწათმოქმედება არ არსებობდა, მორწყვა განვითარებულა შემდგომ ხანაში (მორწყვის ტერმინოლოგიის მხრივ განსხვავებებთან გვაქვს საქმე საკუთრივ ქართულ, სვანურ და ზანურში). დისერტანტი მორწყვის ზოგად ქართულობის შესახებ სვამს საკითხს და ამის დამამტყიცებელი საბუთები არ მოჰყავს.

ჩემი აზრით, სარწყავი მიწათმოქმედების ისტორიული საკითხების შესწავლისას აუცილებლად უნდა ყოფილიყო შესწავლილი მიწათმოქმედების ძირითადი დარგები. საკითხავია, სარწყავი მიწათმოქმედება როგორ შეიძლება ჩაითვალოს შესწავლილად, თუ პირველ პლანში არ იქნება განხილული მევენახეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა? ხოლო ასეთი მობოდიშება დისერტანტისა „...—ეს ისეთი დარგებია, რომ თითოეული ცალკე ეთნოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს“ (გვ. 171) არაა საკმარისი და რამოდენადმე გამართლებული, მით უფრო, რომ ამავე დროს დისერტანტი საჭიროდ თვლის ილაპარაკოს ქალაქების წარმოშობაზე. ჩვენი აზრით, დისერტანტს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მევენახეობაზე უნდა ელაპარაკა, რადგან საქართველოში თუ სადმე ჩანს მორწყვის დიდი ეფექტი, ეს მევენახეობაშია.

ქალაქების წარმოშობის შესახებ დისერტანტი გამოთქვამს საფუძვლიან მოსაზრებას. ის იწყებს გრძელ საუბარს (არც მთლად საჭიროს) ქალაქთა წარმოშობის სხვადასხვა თეორიებზე, ჩერდება კერძოდ საქართველოში ქალაქთა შესახებ ლიტერატურაზე და ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ქალაქები ჩვენში ნახევრად აგრარულია, ხოლო ასეთი რამ სარწყავი მიწათმოქმედების გამოხატულება უნდა ყოფილიყო და დებულობს დასკვნას სარწყავი მიწათმოქმედების მნიშვნელობის შესახებ ამ საკითხში.

სწორი ჩანს დებულება ინტენსიური მიწათმოქმედების საქართველოს მთის შუა ზოლში განვითარების შესახებ, მაგრამ ავტორის სურვილი აქვს მეტიც თქვას—ქალაქების წარმოშობაც ამ ზოლს დაუკავშიროს. ჯერ ერთი, საქართველოს ყველა ქალაქი სარწყავ მეურნეობასთან დაკავშირებული არ ყოფილა. საკმარისია დასახელებულ იქნას ქუთაისი, შორაპანი, ვანი, ვარციხე, დმანისი. მაშასადამე, მათი წარმოშობა სხვა მოვლენებს უნდა დაუკავშირდეს. მართალია, მიწათმოქმედება მკიდრო კავშირშია ძველი ქალაქების ჩასახვასთან და შესაძლებელია უფრო ცხოველი მაგალითების მოტანა საამისოდ, მაგრამ ამ ქვეყნების შემდგომი განვითარება უმთავრესად დამოკიდებულია სხვა რიგის მოვლენებთან. ავტორს უნდა ყურადღება მიექცია საქართველოს ქალაქების სხვადასხვა სახეობისათვის. მაგალითად, ამ მხრივ საყურადღებოა მთისა და

ბარის სასაზღვრო ზოლის ქალაქები: ლაგოდეხი, გავაზი, შილდა, თიანეთი, ცხაკაია, ხონი, ცაგერი, ბარის ქალაქები: მცხეთა, გორი, ქუთაისი, რუსთავი, დმანისი. ზღვისპირა ქალაქები: ფაზისი, დიოსკურია...

ჯობდა ავტორის სარწყავი მიწათმოქმედება სოციალურ-ეკონომიური განვითარების უფრო თვალსაჩინო მომენტებისათვის დაეკავშირებინა, სახელდობრ, მევენახეობისათვის, მეხორბლეობისათვის, მებოსტნეობისათვის.

წიგნის ცალკე თავში „საქართველოს სარწყავი მიწათმოქმედების ისტორიის ზოგიერთი საკითხი“ არა ერთი სადაო დებულება არის წამოყენებული, განსაკუთრებით შევეხები საკითხს მპყრობელთა დაინტერესების შესახებ საქართველოში ირიგაციის განვითარებით. ეს დამპყრობელთა კულტურტრეგერობის შთაბეჭდილებას ქმნის. ლაპარაკია ირანზე, არაბებზე და სხვებზე, რომელთაც, ავტორის შეხედულებით, ხელი უნდა შეეწყობოთ ჩვენში სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებისათვის. იგულისხმება, რომ გარკვეულ პირობებში ამა თუ იმ ხალხს დაპყრობილ ხალხში შეაქვს კულტურა, კერძოდ სპარსეთის სამიწათმოქმედო კულტურის გავრცელებაზე არის საუბარი სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის, ჩვენშიაც (ბურჯუაზიულ მეცნიერებაში ამის შესახებ ბევრჯერ თქმულა და დღესაც ამბობენ). ავტორი ასე აფასებს, მაგალითად, ირანის გავლენას იმის გამო, რომ ტერმინები და საწყლო ადმინისტრაციული პრაქტიკა ირანულია, თუმცა ვერ გვაძლევს ამის საკმარის დასაბუთებას.

საქმე შემდეგშია: სესხებაზე შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ კონკრეტული პირობებისა და მეურნეობის თავისებურების გათვალისწინებაა საჭირო, მეურნეობაში კი იგულისხმება ისეთი დარგები, რომელიც დამპყრობელმა ქვეყანამ დაპყრობილ ქვეყანაში საკუთარი ინიციატივით წამოიწყო. ანგარიშგასაწევია, რომ ისინი ჩვენი დროის კოლონისტები კი არ იყვნენ, არამედ მოხარკენი. ამასთან დაპყრობილ ქვეყანაში მათ, როგორც წესი, საკუთარი როტასტაკები ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, ავტორის დებულება, — რომ დამპყრობელი ქვეყნები დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოში ირიგაციის განვითარებით და მას ხელს უწყობდნენ, სადავოა. იქმნება შთაბეჭდილება კულტურულ ტრეგერობისა, თუ არ იქნა ახსნილი მათი ასეთი მოღვაწეობა. ამით რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა, რომ ამიერკავკასიაში ირანული კულტურა არ შემოდიოდა, მაგრამ კონკრეტული პირობები თუ არ იქნა აღნიშნული, მაშინ ეს დებულება ყალბ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ნაშრომის 196-ე გვერდზე დისერტანტი ამბობს:

„...ადრევე წყალზე, ისევე როგორც მიწაზე სათემო საკუთრება იყო გამოცხადებული“. ვფიქრობ, უზუსტობაა, სათემო საკუთრება

თემის შინაგანი ცხოვრების ჩანასახია და ვითარდება თემში კერძო საკუთრების განვითარების პარალელურად. იყო მიწა-წყალი ამა თუ იმ გვარისა, ეს იყო საერთო საქონე ბელი და არა საკუთრება. საკუთრება არავისი არ იყო. გვიან რამდენადაც სათემო-საგვარეულო საქონელის გვერდით ფეხს იკიდებდა და თანდათან მყარი ხდებოდა კერძო (ინდივიდუალური) მეურნეობა, ჩნდებოდა ორი საპირისპირო გაგება, ჩვენი და ჩემი... იმთავითვე სათემო საკუთრება რომ ყოფილიყო „გამოცხადებული“, ამის საფუძველი არ არსებობდა.

საქართველოში სარწყავი მიწათმოქმედების ისტორიულად შესწავლის ცდის დროს ავტორი მეტი ყურადღებით უნდა მოჰკიდებოდა საამისო წერილობით ცნობებს, ყოველ მხრივ გაეთვალისწინებინა ისინი და კრიტიკულად შეესწავლა. ორიოდე მაგალითის მოყვანა საკმაო არ არის. კერძოდ, ავტორი არ განიხილავს, საჭირო მასშტაბით, „მოქცევაი ქართლისაი“-ს მონაცემებს. ამავე დროს ეს უძველესი წერილობით ფიქსირებული გადმოცემა საქართველოს სარწყავი არხების მშენებლობის შესახებ შეიცავს ფრიად საგულისხმო მომენტს სოციალურ-ეკონომიური, თუ სამეურნეო ტექნიკური ხასიათისას. ეს ნაკლი მით უფრო უცნაურია, რომ ამ ცნობის შესახებ მოიბოვება ლიტერატურა—რომლისთვისაც ანგარიშის გაწევა დისერტანტისთვის სავალდებულო იყო. ვგულისხმობ აკად. ნ. მარის წერილს“. Н. Я. Марр, Мнимое географическое название эротастак [erotastak] в Истории Агафангела. Зап. Вост. Отд. Русск. Археолог. об-ва, т. IX, стр. 191—197.

„მოქცევაი ქართლისაი“-ს ცნობის გამოყენება სხვა რიგად იყო საჭირო და არა ისე, როგორც ეს დისერტანტს აქვს. ამ ცნობაში უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია ის, რომ ტრადიცია ამ დიდი არხის გატანას მეფეს მიაწერს (აქ მნიშვნელობა არა აქვს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ალ. მაკედონელი კავკასიაში არ ყოფილა). საყურადღებო და მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ არცერთი დიდი არხი არ არის საქართველოში, რომ მისი გატანა მეფეს არ მიეწეროს. არის თრდატ მეფის არხი, თამარის არხი და სხვა. ყველა დიდი არხი მეფეს მიეწერება. ეს ტენდენცია უბრალო ამბავი არ არის, სინამდვილეა და ნიშნავს, რომ ეს დიდი არხები გატანილი უნდა ყოფილიყო მობილიზებული ძალის მიერ, ამ შემთხვევაში—მეფის ხელისუფლების მიერ, ამ მხრივ საინტერესოა, რომ „ქართლის მოქცევის“ ცნობა ქსნიდან არხის გამოყვანას ალექსანდრე მაკედონელს მიაწერს. „მეფე“ აქ ნიშნავს მობილიზებულ ძალას (არა თემს). ქვეყნის მპყრობელ ძალას. წერილობითი ცნობებით არცერთი ხევის ან პატარა არხის გამყვანი არ ვიცით, წყაროები არავის არ ასახელებენ ისე, როგორც ამ დიდი არხის გატანის ინიციატორებს. ესენი კი „მეფეები“ ყოფილან. ამბობენ, რომ IX საუკუნეშია „ქართლის

მოქცევა“ შეთხზულიო (მე კი ვფიქრობ, უფრო ადრეა იგი დაწერილი). მოქცევაი-ს ამ ცნობაში მოხსენებულნი არიან „კაცი მერუვენი“. ამ ნაწარმოების შექმნისას საფიქრებელია, რომ ნასტაკისის მერუვენი მონები აღარ იყვნენ, მაგრამ იმ ძველი დროისათვის „მერუველ“ სხვა არავინ არ შეიძლება ყოფილიყო, თუ არა მონები. აქვე იყო საჭირო ნ. მარის მიერ ახსნილი ტერმინის გამოყენება როტასტაკის შესახებ. კიდევ ვიმეორებ, ნაშრომის ნაკლია, რომ დისერტანტი მცირედ ეხება ქვეყნახეობა-მეზოსტნეობას, მაშინ, როდესაც ეთნოგრაფს სწორედ ამის შესწავლა ევალებოდა.

წიგნის 191-ე გვერდზე დისერტანტი წერს:

„...საქართველოს ტერიტორიაზე სარწყავი მიწათმოქმედება მთების ხეობათა პირობებშია ჩასახული და განვითარებული, ბუნებრივია, რომ ამავე პირობებში უნდა ვივარაუდოთ საირიგაციო პრაქტიკასთან დაკავშირებული იურიდიული ნორმების ჩამოყალიბება და განვითარება“. ეს დებულება ნაკლულია. სარწყავი მიწათმოქმედება, მართალია, მთების, ე. ი. ზეგნების ხეობათა პირობებში ჩაისახა და განვითარდა, მაგრამ ის აქ არ დასრულებულა, სარწყავი მიწათმოქმედების განვითარება ველში დასრულდა. აქვე უნდა დასრულებულიყო საირიგაციო პრაქტიკასთან დაკავშირებული იურიდიული ნორმების ჩამოყალიბებაც. საირიგაციო პრაქტიკაში უნდა შემუშავებულიყო განსხვავებული ნორმები. ძველი სამთო ირიგაციული ნორმები უნდა შეცვლილიყო, შეესაბამებოდა. განა შეიძლება დაშვება, რომ ალაზნის რუ იმავე ნორმით მოქმედებდა, როგორც რომელიმე საბეროს რუ, რომლის შესახებ დისერტანტი წერს (გვ. 58).

სწორია დაკვირვება იმის შესახებ, რომ საქართველოს, განსხვავებით აღმოსავლეთის მშრალი ქვეყნებისაგან, არ შემუშავდა იურიდიული გაგება წყლისა და მიწის ერთმანეთისაგან განუყოფლობისა (გვ. 195).

აქ ეთნოგრაფი შეიძლება უფრო ღრმად წასულიყო და განსხვავებინა ეს მოვლენა ხალხურ იურიდიულ გაგებაში. სიტყვამ მოიტანა და უნდა მოვახსენოთ იმ დებულებათა შესახებ, რომლებიც მ. გეგეშიძეს აქვს გამოთქმული ჩემგან დამოუკიდებლად. ისე მოხდა, რომ მე უწინ გამოვაქვეყნე ნაშრომი, ვიდრე მ. გეგეშიძემ გამოსცა ეს წიგნი. ჩვენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, როგორც ჩანს, მივედით გარკვეულ დასკვნამდე, მაგრამ ერთი ამბავი მაინც მოხდა, მე ადრე გამოვაქვეყნე ჩემი ნაშრომი და შემდეგ გამოვიდა მ. გეგეშიძის წიგნი. ამხ. მ. გეგეშიძემ ვერ გაითვალისწინა ჩემი დასკვნები; ორიოდე ადგილი უჩვენა, მაგრამ სხვა დანარჩენის მოტანა არ მოუხერხდა. ეს მინდა განვაცხადო, დღეს, ამის შესახებ ამხ. გეგეშიძემაც აღნიშნა თავის შესავალ

სიტყვაში. საყურადღებოა ვახტანგის სამართალში მორწყვისთან დაკავშირებით არეკლილი ვითარება. ვახტანგის სამართალი ამ ნაწილში შუაზე დგას ისევე როგორც საქართველო, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის.

სამართლის ის მუხლი, რომელზეც მ. გეგეშიძეს საუბარი აქვს თავის წიგნში, რომ წყალი და საძოვარი არავის დაექირების და სადაც მეფეს უნდა წყალს იქ გაქრის, არ უდგება აღმოსავლეთს, მაგრამ არ უდგება არც ჩრდილოეთს, ე. ი. არ უდგება არც იმ ქვეყნებს, სადაც მორწყვა არ განვითარებულა და სადაც სარწყავი წყალი მიწასთან კავშირში არ არის. კარგი იქნებოდა ჩვენს დისერტანტს ამ მიმართულებითაც გაემახვილებინა ყურადღება.

კიდევ მეტი, ვახტანგის სამართლის ეს მუხლი დასავლეთ საქართველოსათვის გამოუსადეგარია და იქ (დასავლეთ საქართველოში) ასეთი რამ არც შემუშავდებოდა.

ამხანაგ მ. გეგეშიძეს ყურადღება უნდა მიექცია წყლისა და მიწის ურთიერთობისათვის საქართველოში შეფარდებით მისივე „ზოგად ქართულთან“, თუმცა არავითარი „ზოგად ქართული“ მას ამ მიმართულებით არ დაუმტკიცდებოდა, არამედ, პირიქით, რეალური განდებოდა ის, რასაც აქ ამ ორი მხარის (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს) ბუნება წარმოშობს. დისერტანტს სევანური, ან აქარული უფლებრივი გაგება მიწასა და სარწყავ წყალზე უნდა წარმოეჩინა. საქართველოში რომ „საშუალო“ ვითარებაა, იქიდან ჩანს, რომ არც „მიწა“ შეენაცვლა „წყალს“ და არც „წყალი“ შეენაცვლა „მიწას“, ამავე დროს მათი ურთიერთკავშირი აშკარაა. ეთნოგრაფი უნდა ცდილიყო მიწისა და წყლის ეს ურთიერთობა გაერჩია მთისა და ბარის პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ მ. გეგეშიძის მიერ ჩატარებული მუშაობა მასალების მოპოვების მხრით საპატიოა, თუმცა ამომწურავი მაინც არ არის. საქართველოს ზოგიერთი მხარე მის მიერ სრულიად უყურადღებოდ არის დარჩენილი. მაგალითად, ქვემო ქართლი დისერტანტს არა აქვს გათვალისწინებული, ასევე აჭარა მას გაუთვალისწინებელი დარჩენია. არც გარეკახეთია გათვალისწინებული ისეთი სისრულით, როგორც შიგნით კახეთი...

ავტორი ითვალისწინებს ხევის ივ. ჯავახიშვილისეულ გაგებას, როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულისას და არ აგონდება ლიტერატურაში ცნობილი დებულება, რომ:

„...სარწყავი მიწათმოქმედების საფუძველზე წარმოიქმნება მოსახლეობის ბუნებრივ-ტერიტორიული ერთეული“-ო (იხ. ჩემი „დღიური“). ავტორმა ეს იცის, მაგრამ რატომ არ უწევს ამას ანგარიშს, როცა ეძებს, თუ რა უნდა ეწოდოს ამ ერთეულს სოფლის თემი, ხევი თუ სხვა რამ.

უდავოა, რომ თითქოს სარწყავ წყაროსთან დაკავშირებული ერთეულია „დაბა“, ხოლო დაბების გაერთიანება ერთი სარწყავი რუს გარშემო არის „ხევი“ ან „ხეობა“, რამდენიმე ხევის, ანუ ხეობათა გაერთიანება არის „ქვეყანა“.

უმართებულოა წიგნის 217-ე გვერდზე ავტორისეული შეფასება მთიდან ბარში მოსახლეობის ჩამოსახლების პროცესების შესახებ ქართული ისტორიოგრაფიის მონაცემებისა. ავტორი აცხადებს, თითქოს ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული იყოს მხოლოდ ისეთი შეხედულება, რომ ეთნიკური ერთეულებისა, თუ მოსახლეობის ცალკე მსხვილი თუ მცირე ჯგუფების ქვეყნის ტერიტორიის შიგნით მოძრაობა და გადასახლება ძველთაგანვე ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული: ავბედობის დროს ბარის მოსახლეობა მთას აფარებდა თავს, მშვიდობიანობის დროს კი მთიდან ბარში ხდებოდა დაბრუნება-ჩამოსახლება. ეს ხომ სულ სხვა რიგის ისტორიული მოვლენაა და არა ის, რასაც დისერტანტი ჰგულისხმობს... არ ვიცი, რომელი შრომის საფუძველზე მიაწერს ისტორიკოსებს ასეთ კონცეფციას ჩვენი ავტორი. ავტორის მიერ შემოთავაზებული დაკვირვება მთის მეურნეობრივ შეზღუდულობათა გამო მოსახლეობის ჭარბი ნაწილის ბარში ჩამოსახლებისა, ცნობილია ყოველი ქართველი ისტორიკოსისათვის, უფრო მეტიც, ეს საკითხი ქართველი ისტორიკოსების თვალსაზრისით გაცილებით უფრო რთული ვითარებისაა, ვიდრე ამას ჩვენი ავტორი ვ რაუდობს.

საჭირო იყო სადისერტაციო ნაშრომში აგრეთვე მკვეთრად გამოიკვანა ველის მორწყვისა ხევის რწყვისაგან. დიდი მდინარეებით მორწყვა, მეფეები რომ აწარმოებდნენ მხოლოდ, იმით კი არ არის საინტერესო, რომ ასეთი მორწყვა მონის შრომას გულისხმობს, არამედ იმითაც არის საინტერესო, თუ როგორი იყო ეფექტი ქვეყნის შემდგომ განვითარებაში. ამან, როგორც ცნობილია, საქართველოში აღმოსავლური მონობა და დესპოტია ვერ მოგვცა. ადრინდენელმა მონათმფლობელურმა ურთიერთობამ ფეოდალიზმი განავითარა, ხევმა პირველობა სოციალური თვალსაზრისით ველს არ დაუთმო, — ეს იყო საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის თავისებურება და არა მარტო ფეოდალურის, არამედ მონათმფლობელურისაც. პირველის სიძლიერე-კლასიკურობა, მეორის—სისუსტე.

საქართველოს სარწყავი მიწათმოქმედების მთლიანად შესასწავლად საჭირო იყო დისერტანტის მიერ გათვალისწინება არა მარტო იმ მხარეებისა, სადაც მორწყვა იყო განვითარებული, არამედ ის მხარეებისაც, სადაც მორწყვა არ განვითარებულა. ასეთი შესწავლით სულ სხვა მნიშვნელობისად წარმოჩნდებოდა სარწყავი მიწათმოქმედების ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარებისათვის.

საყურადღებოა იმ ფაქტის დადგენის ცდა, რომ სვანეთის მოსახლეობის უძველეს საქმიანობას მიწათმოქმედება შეადგენს, თუმცა, ვფიქრობთ, აქ ამაში საჭიროა კორექტივის შეტანა. სვანური მიწათმოქმედება მესაქონლეობის დანართს წარმოადგენს. დისერტანტს ძალიან იტაცებს მთის ირიგაცია, ის მაღალი მთის ირიგაციას ბარის ირიგაციის წინამორბედად თვლის. საეჭვოა, თუ ეს ასეა, მაშინ უნდა გვევარაუდნა, რომ ირიგაციის პირველი ფორმები ამ მაღალი მთის პირობებში ჩაისახა, შემუშავდა. ამას არ ეთანხმება ნეოლით-ენეოლითისა და ე. წ. გორების არქეოლოგიური ჩვენებანი (ასეთ ძეგლთა ტერიტორიული განლაგება და შინაარსი).

სვანეთის ანალოგიურ ვითარებას, ე. ი. მიწათმოქმედების საწყისებს ვარაუდობს დისერტანტი რაქა-ლეჩხუმში, აგრეთვე ყშავ-ხევსურეთში, სადაც აგრეთვე ადგილი ჰქონდა: „...სარწყავ-სათიბ მეურნეობას“. მიწათმოქმედების საწყისი ფორმების, მიწათმოქმედების ჩასახვისა და განვითარების საკითხში ამოსავალი უნდა იყოს არა სარწყავ-სათიბი, არამედ არქეოლოგიური მონაცემები. მიწათმოქმედების ადრინდელი ფორმების შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნეოლითის ხანის ძეგლებს და მათი აღმოჩენის ადგილს. დღემდე კი არც ერთი ნეოლითის ხანის ძეგლი მაღალმთიანეთში არ აღმოჩენილა. სვანეთში მორწყვის საქმე მესაქონლეობასთან არის დაკავშირებული, ხოლო მესაქონლეობა არის მიწათმოქმედების თანმხლები. უკეთ, მომდევნო მეურნეობა, მესაქონლეობას კი სარწყავი მიწათმოქმედება არსად არ გამოუწვევია; როგორც შენიშნულია, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ჩაისახა და განვითარდა მთის წინა ზოლში და აქედან გავრცელდა როგორც მთაში, ისე ველში, მთაში მან განვითარებული მესაქონლეობა მოგვცა, ბარში კი განვითარებული მიწათმოქმედება. დისერტანტის შეცდომა იმაშია, რომ მთის წინა ზოლის ირიგაციას მაღალი მთის ირიგაციისაგან არ ასხვავებს.

სხვაგან კი დისერტანტი მიმოიხილავს აგრო და ბოტანიკურ სამეცნიერო ლიტერატურას და მართებულად დაასკვნის: „მრავალმხრივი მონაცემების მეცნიერული შესწავლის დღევანდელ დონეზე, ვფიქრობთ, შესაძლებელია ქართული უძველესი პურეული კულტურების, მათ შორის პირველ რიგში ენდემური სახეობების გაჩენა მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარებისათვის ხელსაყრელ გარემო-პირობებს დაუქვავშიროთ, რაც ჩვენი შეხედულებით პირველ ეტაპზე უმთავრესად შუამთის ზოლის მთების ხეობებს, წყლის ნაპირებსა და გვარდის ძირებს ემთხვევა. შემდეგ კი, საზოგადოების მზარდი განვითარების შესაბამისად, პირველად სწორედ ეს პურეული უნდა დაშორებოდა თავის ჩასახვა-განვითარების ხელსაყრელ გარემო პირობებს და ადამიანის

აქტიური საწარმოო ზემოქმედების შედეგად გადაენაცვლა ვერტიკალურად ორივე მიმართულებით“ (გვ. 169). ეს სწორი დასკვნა ჩანს, მაგრამ როგორღა ეგუება იგი სვანეთის შესახებ დისერტანტის მსჯელობას? სვანეთში ძველი ვითარებისათვის არ არის ცნობილი არც პურუელის ჯიშები, არც მათი მოჩუყვის პრაქტიკა, არც ნეოლითი და ენეოლითია იქიდან ცნობილი.

სწორია მოსაზრება, რომ სვანეთში მესაქონლეობა აუცილებელი პირობაა მიწათმოქმედებისა, მაგრამ ეს არ კმარა, მეტიც უნდა ვთქვათ: მიწათმოქმედება აქ მესაქონლეობის დანართია, მთავარი, გადამწყვეტი აქ მესაქონლეობაა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ მხოლოდ სათიბები ირწყვის.

მე მაქვს შენიშვნა ტერმინ „რუ“-ს შესახებ, მე მგონია იმ საბუთებით, რომელიც დისერტანტს მოაქვს, მტკიცდება, რომ ცნება „რუ“ სარწყავი არხის მნიშვნელობით გარედან შემოტანილი შეიძლება იყოს. კარგად ჩანს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ეს ცნება არსებობს პატარა მდინარის აღსანიშნავად. ეს საკმაო საბუთია იმისათვის, რომ ტერმინი „რუ“ ადგილობრივ გავრცელებული იყოს, მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ ტერმინი „რუ“, როგორც სარწყავი არხი არ იყოს შემოტანილი? „რუ“—მდინარე აქაც იხსენიება და სპარსეთშიაც და „რ“ ბევრით არა მარტო ჩვენი რიონი იწყება, არამედ რონა-რეინიც...

მე ვთვლი, რომ ეს (ინდოევროპული?) სიტყვა უძველესი დროიდან უნდა იყოს ჩვენშიაც და სხვა ქვეყნებშიაც გავრცელებული. რასაკვირველია, ეს არ ამტკიცებს იმას, რომ „რუ“ ქართული წარმოშობისაა. დღეს აქ საუბარი იყო და სავსებით ვიზიარებ გამოთქმულ მოსაზრებას („კ“ და „წ“-ს შესატყვისობის შესახებ), რომ „წყალი“ ქართული წარმოშობის სიტყვა არის. ამისაგან დამოუკიდებლად მე გამოვიცხულად არ მეჩვენება ის მოსაზრება, რომ რუ, როგორც სარწყავი წყაროს აღმნიშვნელი ტერმინი, შემოტანილია. აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ტერმინი „რუ“ პირველად IX საუკუნის ძეგლში მოიხსენიება, რომ ეს ტერმინი ამავე ხანაში ჩანს სპარსეთში შემუშავებული და სპარსეთიდან ჩვენში შემოუტანიათო. შეიძლება თუ არა ეს მოსაზრება ხელაღებით უარვყოთ? შეიძლება ქრონოლოგიაში არ დავეთანხმეთ განსვენებულ მეცნიერს, შეიძლება არც ის მოსაზრება გავიზიაროთ, რომ ტერმინი რუ აქამომდე ჩვენში არ არსებულა (საამისოდ რუისიც საკმაო იქნებოდა...), მაგრამ დამაფიქრებელი გარემოება ამის შემდეგაც რჩება: ჩვენში არც ერთ დიდ სარწყავ წყალს (ნაგებობას) არ ეწოდება „წყალი“ ან „წყარო“, არამედ ყველას გამოუკლებლივ — რუ. აი, ამ დიდ სარწყავ წყაროსთან ხომ არ არის დაკავშირებული ეს ტერმინი „რუ“? ტექნიკის გაუმჯობესებასთან დაკავ-

შირებული ამბები ზომ არ არის ასახული? მაგრამ ეს უნდა იყოს არა IX საუკუნისა, არამედ გაცილებით უფრო ადრინდელი, როდესაც როტასტაკები ჩნდება, როდესაც ჩვენში დადი მიწების მორწყვა იწყება. თავისთავად ეს შესაძლებლობა უარსაყოფი არ არის.

ერთი კერძო საკითხიც, რომელზედაც ავტორს ვერ დავეთანხმები. ესაა საკითხი ტერმინი ხეობის შინაარსის შესახებ. ავტორს ჰგონია, რომ ესა თუ ის ხეობა ატარებს მდინარის სახელს, ე. ი. ხეობის სახელი წარმოშობილია მდინარის სახელისაგან, მე კი მგონია პირიქით, ხეობა თავდაპირველი სახელია ამ ადგილებზე. დისერტანტი ითვალისწინებს საბა ორბელიანის განმარტებას, რომლის მიხედვითაც: „...რწყარონი შეკრებებიან და ჩაელიან კევი ეწოდების“, მაგრამ საბა ორბელიანის განმარტება ყოველთვის როდი არის უკრიტიკოდ მისაღები, ასე რომ ყოფილიყო, მაშინ საბასეული „ქალის“ განმარტებას მივიღებთ და დისერტანტის შეხედულებაც, რომელიც ამ საკითხში საბას არ ეთანხმება, აღარ იქნებოდა მისაღები. ხევი თუ მხოლოდ წყაროთა შესაკრებელია, მაშინ ხევისთავი, ხევისბერი რაღაა? ხევი ტერიტორიაა და არა წყალი. მართალია, იტყვიან: „ხევი მოვარდაო“, აქ ხევი წყლის ცნება არის ჩადებული, მაგრამ რომელია თავდაპირველი, ესაა გასარკვევი და რით დავამტკიცოთ, რომ ეს „ხ“ ბგერა წყლის აღმნიშვნელი ცნებაა და არა ტერიტორიის? წერილობით ძეგლებში ასეც არის და ისეც. მაგრამ რომელია თავდაპირველი. ამას სპეციალური კვლევა დასჭირდება. ჩემი დაკვირვება ხევის, როგორც ტერიტორიის, სასარგებლოდ იხრება, ხევი ეს არის ტერიტორია გარკვეული ფორმისა, რომელშიც წყალი შეიძლება მოდენილა, ან არ მოდენილა, აქედან არის „მშრალი ხევი“, „უწყლო ხევი“, „ჭეჭმელა“...

დისერტანტს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ალაზნის სარწყავი არხის გაყვანასთან დაკავშირებით წარმოიშვა ველისციხე, გულგულა და სხვა... უზუსტობაა. კი არ წარმოშობილა—გაძლიერდა, მაგალითად გულგულა დიდი ხანია, რაც ცნობილია არქეოლოგიური გათხრებით, ასეთივეა ველისციხეც. ისინი დაკავშირებულნი არიან არხთან. მაგრამ რომ ისინი წარმოშობილნი იყვნენ ამ არხის გატანასთან დაკავშირებით — ეს არ დასტურდება.

დასასრულ, მე თავიდანვე განვაცხადე და ეხლაც ვიმეორებ, რომ დისერტანტმა მ. გეგეშიძემ ამ შრომით გარკვეული სინათლე შეიტანა საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლა-გადაწყვეტაში. ამიერიდან ამ საკითხების მეცნიერული კვლევისას ამ წიგნს ვერავინ გვერდს ვერ აუვლის. ეს ისეთი დამსახურებაა ავტორისა, რომელიც მე მაძლევს საბუთს ამხ. მ. გეგეშიძე შეფასებული იყოს მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერ მუშაკად, დოქტორის სამეცნიერო ხარისხის ღირსად. ამისდა მიუხედავად, ამ ჩემს კითხვებზე მე დისერტანტის პასუხს მოველო.

ი. დოლიძე—ძველი ქართული სამართალი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ვაიმცემლობა. თბილისი. 1953 წ. იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
სადისერტაციო ნაშრომი

ი. დოლიძის სადისერტაციო ნაშრომი ფეოდალური ხანის საქარ-
თველოს სამართლის ისტორიის უაღრესად საინტერესო და დღემდე
ქალზე ნაკლებად შესწავლილ უბანს ეხება. ბექა-აღბუღას კანონების
სახელით ცნობილ ძველი ქართული სამართლის ძეგლს, უეჭველია, სა-
პატიო ადგილი უჭირავს ფეოდალური ხანის სამყაროს ანალოგიური
ხასიათის ძეგლთა შორის. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ჩვენი მეცნიე-
რების დიდი ინტერესი ამ ძეგლისადმი.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, როგორც ამის შესახებ სამართ-
ლიანად მიუთითებს თვით დისერტანტი, ქართული ფეოდალური სამა-
რთლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი ძეგლია, რომელმაც
დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე. გა-
საგებია, რომ „ძველი ქართული სამართლის“ ცალკეულ პრობლემათა
შკვლევარის ყურადღება უმთავრესად ამ ძეგლის გარშემო ტრიალებს
და ჩვენი დისერტანტის წიგნის მთავარი საგანიც ეს არის. ავტორი არ
იფარგლება ბექა-აღბუღას სამართლის მართო მეცნიერული გამოცემი-
სათვის საჭირო კვლევა-ძიებით. იგი სცილდება ამ ამოცანის ფარგლებს
და თავის საკმაოდ მოზრდილ წიგნში, რომელიც 20-ზე მეტ საავტორო
თაბახს შეიცავს, მსჯელობს შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური
სამართლის ცალკეულ პრობლემებსა და საკითხებზე.

სწორად იქცევა იგი, როცა ნაშრომის პირველ თავში იძლევა
სამცხე-საათაბაგოს საზოგადოებრივ კლასთა უფლებრივი მდგომარეო-
ბის ზოგად მიმოხილვას. აქ აღძრულია XIV საუკუნის საქართველოს

ამ ერთი დიდი პროვინციის და, საერთოდ, საქართველოს, საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მეტად საინტერესო საკითხები, რომლებიც განხილულია იურიდიული თვალთახედვით... სამართლის ძეგლთა ცოდნა და ზოგადი იურიდიული საფუძვლიანი განათლება შვედის ავტორს დასძული საკითხების გარშემო ძირითადად სწორ შეხედულებათა შემუშავებაში. აქვე მოხანს ბექა-ალბულას სამართლის, როგორც დიდმნიშვნელოვანი წყაროს, ღირსება საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების ისტორიის შესწავლის საქმეში.

დისერტანტის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს სამართლის წიგნის შედგენილობისა და სისტემის საფუძვლიანი გარკვევა, რასაც იგი წიგნის მეორე თავში იძლევა. აქ ავტორს მოცემული აქვს ძეგლის შემადგენელი ნაწილების აღწერა-დახასიათება ორი უძველესი ხელნაწერის მიხედვით. დისერტანტი ადგენს, რომ სამართლის წიგნი შეიცავს ოთხ საკანონმდებლო ძეგლს: ბექა მანდატურთუხუცესის, ალბულა ათაბაგ ამირსპასალარის, ბაგრატ კურაპალატისა და კანონიკური სამართლის ძეგლებს. შრომის ამავე თავში მოკლედ განხილულია ბექა-ალბულას კანონების პირველი ქართული და ფრანგული გამოცემა: მოცემულია სამართლის ცალკეული დარგების ინსტიტუტების განსაზღვრული სისტემით დალაგება.

დისერტანტის აზრით, მთელი ძეგლი 170 მუხლისაგან შედგება. აქედან ბექას სამართალი შეიცავს 1—65 მუხლებს, ალბულას სამართალი 66—98 მუხლებს, ბაგრატისა 99—160 მუხლებს, კანონიკური სამართლის ფრაგმენტი კი 161—170 მუხლებს. რაც შეეხება ხელნაწერის დანარჩენ 5 მუხლს, ისინი ავტორის სამართლიანი შენიშვნით, წარმოადგენენ სამართლის წიგნის 33-ე, 64-ე, 72-ე და 82-ე მუხლების სათანადო ადგილების ტექსტის განმეორებას და შეცდომით ნუსხის გადამწერის მიერ მიწერილია კანონთა ბოლოში.

განსაკუთრებით საყურადღებოა დისერტანტის მიერ გამოთქმული ახალი მოსაზრება ბაგრატის სამართლის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ფიქრობდნენ, რომ ბექა-ალბულას სამართლის წიგნში ბაგრატს ეკუთვნოდა მხოლოდ 4 მუხლი—100, 101, 102 და 103 (აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება). ი. დოლიძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ ბაგრატ მეფეს ეკუთვნის სამართლის წიგნის საკმაოდ დიდი ნაწილი—62 მუხლი (99-ე მუხლიდან ვიდრე 160-ე მუხლამდე).

შემდეგ ავტორი იკვლევს „ბაგრატ კურაპალატის“ სახელით ცნობილი სამართლის წიგნის ავტორობის საკითხს და ცდილობს დაადგინოს, თუ რომელ ბაგრატს ეკუთვნის მოცემული კანონმდებლობა. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ზემოთ დასახელებული ოთხი მუხლი ეკუთ-

ვნოდა ბაგრატ III კურაპალატს. ი. დოლიძე კი აღნიშნული კანონმდებლობის ავტორად ბაგრატ IV-ს თვლის. დისერტანტის ეს დასკვნა ემყარება ბაგრატ IV-ის დროინდელი საქართველოს შინაგანი მდგომარეობის გათვალისწინებას; ყურადღება ექცევა იმ დროს საერო და სასულიერო ხელისუფლების დამოკიდებულების საკითხს და ოპიზართა სიგელისა და ბექა-აღბუღას სამართლის ბაგრატიანული ნაწილის წინასიტყვაობათა მსგავსებას. ამ მხრივ საინტერესოა ავტორის დაკვირვება „თეთრის“, ანუ ვერცხლის მონეტის, კურსის დაკემის შესახებ მე-11 საუკუნეში. ბაგრატ IV-ის მეფობის ხანაში.

სარეცენზიო წიგნის მესამე თავი ეხება სამართლის ძეგლის წყაროების დახასიათებას. ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლების წყაროები დღემდე ნაკლებად შესწავლილი იყო. ამავე დროს აღნიშნული საკითხის გარკვევა აუცილებელია სამართლის ცალკეული ინსტიტუტების ისტორიის მეცნიერული დამუშავებისათვის. დისერტანტს შესწავლილი და გამოკვლეული აქვს ბექა-აღბუღას სამართლის ოთხი ძირითადი წყარო.

ავტორის სწორი დასკვნით, ბექასა და აღბუღას სამართლის ძირითად წყაროს ქართული ადათობრივი სამართალი წარმოადგენს. სამართლის წაგნი უმთავრესად ძველ ქართულ ზნე-ჩვეულებათა კრებულია. ადათობრივი სამართლის ნორმები აქ გამოყენებულია კანონმდებლობის მიერ როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და საპროცესო სამართლის დარგშიც.

სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელოვან ღირსებად მიგვაჩნია აგრეთვე სამართლის წიგნის საკანონმდებლო წყაროების გამოკვლევა დისერტანტი ამ საკითხს პირველად სვამს და გარკვეულ პასუხსაც იძლევა. დღემდე ჩვენ არ ვიცოდით, ეროვნული სამართლის რა წყაროებით სარგებლობდნენ სჯულმდებლები ბექა და აღბუღა, ან რა გავლენა იქონია მათმა სამართალმა შემდეგი დროის ქართულ კანონმდებლობაზე. ესლა გარკვეული და დადგენილია, რომ ბექამ და აღბუღამ სხვა საკანონმდებლო მასალასთან ერთად გამოიყენეს ბაგრატიან სამართლის ნორმები. თავის მხრივ ბექა მანდატურთუხუცესის სამართალმა, როგორც ამას ნათლად უჩვენებს სარეცენზიო შრომის ავტორი, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე, განსაკუთრებით გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებაზე“ და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნზე. ბექას სამართლის მთელი რიგი ნორმები რომლებიც სისხლის და გერმის დაურვებას და აგრეთვე საცოლეს მოტაცებას შეეხებიან, თითქმის უცვლელად ჩართულია „ძეგლის დებაში“.

გამორკვეულად და დადგენილად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე, რომ ბექა-აღბუღას სამართლის ძირითადი ნორმები თითქმის მთლიანად გა-

მოყენებულია ვახტანგის სამართალში. საათაბაგოს სამართლის გავლენა, ავტორის დასკვნით, განსაკუთრებით ემჩნევა ვახტანგის სამართალს 1-დან 88 მუხლამდე. აქედან ავტორი აკეთებს საყურადღებო დასკვნას, რომ ბექა-აღბუღას სამართალმა, როგორც ქართული სამართლის მნიშვნელოვანმა წყარომ, შეინარჩუნა თავისი სავალდებულო ძალა მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში.

სარეცენზიო შრომის აღნიშნულ თავში ავტორს განხილული აქვს, ბექა-აღბუღას სამართლის წყაროს თვალსაზრისით, საეკლესიო სჯულმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა. შრომის ამავე თავში მოცემულია ქართულ სამართალზე უცხო სამართლის „პირდაპირი და ძლიერი გავლენის“ შესახებ ბურჟუაზიულ შეხედულებათა კრიტიკა (კარსტი, კოვალევსკი, ხახანაშვილი).

მომდევნო (IV) თავში ავტორი განიხილავს სანიეთო სამართლის ინსტიტუტებს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით. იქვე ზოგადად გადმოცემულია ფეოდალური სანიეთო სამართლის უფლებრივი ბუნებაც. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საკუთრებისა და მფლობელობის სანიეთო უფლებრივი შინაარსის გარკვევას. საყურადღებოა სანიეთო სამართლის ტერმინის „საქონლის“ ახლებური განმარტება. აკად. ივ. ჯავახიშვილისაგან განსხვავებით, რომელიც ქართულ სამართალში (საქონლად) მიიჩნევდა როგორც ნივთებს, ისე ყოველგვარ სულდგმულ საქონელს, დისერტანტი ადასტურებს, რომ ძველ ქართულ სამართალში „საქონელი“ ნიშნავდა მხოლოდ უსულო „მოძრავ“ ქონებას, ყოველგვარ „მოძრავ“ ნივთს. მნიშვნელოვანია აგრეთვე დისერტანტის დაკვირვება ნივთების კლასიფიკაციის შესახებ—მათი დაყოფა ორ ჯგუფად — „სამამულოდ“ და „სასაქონლოდ“. ასეთი კლასიფიკაციის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების შესწავლის საქმეში.

IV თავში ავტორი გამოთქვამს აგრეთვე საყურადღებო დებულებებს საკუთრებისა და მფლობელობის შექმნა-დაკარგვის შესახებ და იძლევა გირავნობის უფლების დახასიათებას.

დისერტანტი ცალკე თავში (V) აშუქებს სასჯელთა სახეებს სამართლის წიგნის მიხედვით. უნდა ითქვას, რომ სასჯელთა სახეები და მათი თავისებურება მოცემული საკანონმდებლო ძეგლის მიხედვით აჭამდის არ ყოფილა შესწავლილი. დისერტანტი განსაზღვრავს სასჯელთა კლასიფიკაციას და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კომპოზიციების საჯარო ელემენტის არსებობის საკითხს ძველ ქართულ სისხლის სამართალში.

ახლებურია დისერტანტის დებულება „სისხლის“ შესახებაც. იგი ადასტურებს, რომ „სისხლი“ კანონით დაწესებული ქონებრივი საზღაურია, ფულადი ან ქონებრივი სასჯელია, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაუხადოს დაზარალებულს მისი ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. ამ დებულების დასამტკიცებლად ავტორი ყურადღებას მიაქცევს რიგ საინტერესო მომენტს და ამრიგად უარყოფს არსებულ არასწორ შეხედულებას, რომ თითქოს „სისხლი“ სასჯელს კი არა, არამედ მხოლოდ მიყენებული ზარალის ქონებრივად ანაზღაურებას გულისხმობდა და მას სასჯელის დამატებით იხდიდნენ (ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება).

„სისხლის“ საკითხთან ერთად ავტორს განხილული აქვს „პატივის“, როგორც განსაკუთრებული სასჯელის, მნიშვნელობა. იგი ასაბუთებს, რომ ბეჭა-აღბუღას სამართალში პატივი სისხლის სამართლის ჯარიმია, რომელიც განკუთვნილია საერო ან სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის. ამრიგად, დისერტანტი გვაძლევს ამ სასჯელის შინაარსის ახლებურ გაგებას.

წიგნის უკანასკნელი თავი ეხება სასამართლო გამოცდის ანუ ორდალების საკითხს. დღემდე ფიქრობდნენ, რომ შუა საუკუნეების ქართული საპროცესო სამართალი არ იცნობს დამამტკიცებელ საბუთთა იმ სახეს, რომელსაც ორდალები ანუ ღვთის მსჯავრი ეწოდება. დისერტანტი ადგენს, რომ მე-14 საუკუნის ქართული სამართალი იცნობს მტკიცების ასეთ საშუალებებს. ამით ავტორი სამართლიანად უარყოფს უცხოელ მკვლევართა აზრს იმის შესახებ, რომ თითქოს ორდალების სისტემა ქართულმა სამართალმა სპარსულისაგან შეითვისა მე-18 საუკუნის დასაწყისში.

გარდა აღნიშნულისა, ავტორის სერიოზულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სამართლის ძეგლის ტექსტის მეცნიერული გამოცემა. წიგნში ქვეყნდება ბეჭა-აღბუღას სამართლის ტექსტი ჩვენამდე მოღწეული ორი უძველესი ხელნაწერის მიხედვით. საკვლევი ძეგლის ტექსტის დამახინჯებული მრავალი ადგილის აღდგენის, თუ მისი ახლებურად წაკითხვის გაცნობისას აშკარად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და მოცულობიანი შრომა გაუწევია დისერტანტს. მიუხედავად გამოცემის ნაკლოვანი მხარეებისა, ტექსტის ეს გამოცემა უეჭველად წარმოადგენს მნიშვნელოვან საფეხურს საკანონმდებლო ძეგლების მეცნიერული შესწავლისა და პუბლიკაციის საქმეში.

გამოქვეყნებულ სამართლის წიგნს ერთვის ლექსიკონი, რომელიც ღახმარებას უწევს მკვლევარს ბუნდოვანი და გაუგებარი ადგილების გაგებაში.

ამრიგად, დოც. ი. დოლიძის სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს სოლიდურ მეცნიერულ გამოკვლევას. მისი ეს ნაშრომი სასარგებლო შენაძენია ქართული სამართლის ისტორიის დარგში.

სადისერტაციო ნაშრომს, საკმაო ღირსებასთან ერთად, ნაკლიც ახასიათებს.

წიგნის უმთავრეს ნაკლად ჩვენ მიგვაჩნია ძველი ქართული სამართლის საკითხების გაშუქებისას ისტორიული თვალსაზრისის მცირედ გამოყენება.

დისერტანტის მთავარი მიზანი იყო ბექა-ალბულასა და ბაგრატის სამართლის ტექსტების მეცნიერული შესწავლა და გამოცემა. ავტორი ვეაძლევს ამ ძეგლების იურიდიული ხასიათის შეფასებას, ისტორიკოსი კი მისგან მოელოდა ისტორიული შეფასების მოცემას. დასახული პრობლემისადმი ისტორიული თვალსაზრისით მიდგომა ხელს შეუწყობდა ავტორს უფრო უკეთესად დაეძლია მოცემული ძეგლების იურიდიული ხასიათის შესწავლა და თავიდან აეცდინა სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების კვალიფიკაციაში დაშვებული ზოგიერთი შეცდომა, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

დისერტანტს ქართულ საისტორიო დოკუმენტებსა და ნარატიულ წყაროებში უნდა მოეძებნა ბექა-ალბულასა და ბაგრატის სამართლის დებულებათა შემამოწმებელი და საკონტროლო პარალელები. ამ მიზნით იგი უნდა გაცნობოდა ამ ძეგლის როგორც წინარე, ისე მერმინდელი ხანის წყაროებს. საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულებით გაადვილდებოდა ქართული სამართლის ცალკეული დარგებისათვის დამახასიათებელი სპეციფიური ნიშნების დადგენა, ამა თუ იმ იურიდიული ტერმინისა თუ ინსტიტუტის ქართული თუ არაქართული წარმოშობის გარკვევა.

მივაქცევთ დისერტანტის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში მოიძებნება უძველესი ქართული სამართლის შესახებ არა ერთი განსაკუთრებით საყურადღებო ცნობა.

კერძოდ, სამემკვიდრეო სამართლის გარკვევისათვის ფეოდალიზმის განვითარების ხანაში დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ წყაროებს, როგორცაა XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულება, გიორგი მერჩულეს (X ს.) ცნობილი ნაწარმოები, თამარის ისტორიკოსის თხზულება და ბევრი სხვა, მროველთან, მერჩულთან და ბაგრატ IV-ის სიგელში ჩვენ ვხვდებით მნიშვნელოვან ცნობებს მამულის გაყოფის წესის შესახებ.

არანაკლებ მნიშვნელოვან მითითებებს ვპოულობთ სხვა წყაროებშიაც სამართლის თვალსაზრისით საყურადღებო ისეთ მომენტებზე, როგორცაა ვ ა ლ ი და ვ ა ხ შ ი (კონსტანტინე კახას მარტვილობაში), დ ე

დულისა და მამულის დამკვიდრების წესის (სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება), მისაკუთრებული მიწის მიზომვა (სერაპიონ ზარზმელი), ნაწყალობევი, ხმლით ნაშოები, ნასყიდი, ნამზითვი მამული (იხ. კახ. თორელის სიგელი, შიომღვიმის XIII ს. სიგელი და სხვ.).

დასახელებული წყაროები ხელს შეუწყობდა მას საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული მრავალი მომენტის დადგენა-დაზუსტებაში და მის წინაშე არა ერთ ახალსა და დღემდე შეუმჩნეველ საკითხს დასვამდა. ავიღოთ თუნდაც უძველესი გაყრის წესი, რომლის შესახებ ძვირფას ცნობას გვაწვდის გიორგი მერჩულე (ცაბა გრ. ხ^ა, ლხ. 40 — 45); განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული წესი უკვე VIII საუკუნეში არსებულა, ეს ფაქტი თავის მხრივ მიუთითებს ჩვენში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების მნიშვნელოვან მომენტზე.

ჩვენ მოგვეპოვება არა ერთი ორიგინალური და ნათარგმნი თხზულება (X ს. მწერალი სტეფანე მტბევაძე რად ღირს!). რომელთა განხილვით ადვილად შესაძლებელია როგორც სამართლის ტერმინების ზედმიწევნითი დადგენა, აგრეთვე სამართლის პროცესის ცოცხლად გამოხატვა (დავით აღმაშენებლის გალობანი სინანულისანი, საბინინი, გვ. 398). ავიღოთ, მაგალითისათვის, ასეთი ადგილი „გალობანიდან“: „განერაელოს წიგნი დღესა შინა სასჯელთასა და მე ქედღადრეკილი წარმოგიდგე განკითხუად, მსაჯული მართლ-სჯიდე, მსახურთა რისხუად ქროდის, მართალნი ნეტარებდნენ და იხარებდნენ, ცოდვილთა გუემდეს ცეცხლი, მაშინ შემიწყალე მე მსაჯულო ჩემო, იესო ღმერთო“ (საბინინი, გვ. 517).

ძველი სამართლის პრაქტიკის გასარკვევად ბევრ საინტერესო ტერმინსა და ცნებას ვხვდებით ჩვენ შუშანიკის წამებაში. მოვიყვანთ ერთ ადგილს (საბინინი, გვ. 190): განვისაჯეთ მე და ვარსკენ პიტაიხში „მუნ სადა იგი არა არს თუ აღება წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთასა და მე უფისა მის მეუფეთასა, სადა არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა, სადა მე და მან სწორი სიტყუა ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. მიაგოს მას უფალმან ვითარ მან უქამოდ ნაყოფნი ჩემნი მოითულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილნი ჩემი დააქნო და შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა და უფალმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის“.

მოტანილი სიტყვებიდან ჩანს მსაჯულის მოვალეობა და ფუნქცია, იგი განსჯის, მიაგებს; საგულისხმოა აგრეთვე სასამართლო პრაქტიკისათვის დამახასიათებელი ნიშანიც: სწორი სიტყვა არ არის მოსამა-

როლის წინაშე (ის სასურველია და სანატრელი... და ამას ადგილი აქვს V საუკუნის ქართლში!). არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქალი და კაცი ერთნაირად, თანასწორად არ ფასობენ მსაჯულის წინაშე, მამაკაცის სიტყვას მეტი ფასი აქვს (შუშანიკი აღნიშნავს თავის საჩივრებს) და სხვა.

ყურადღებამისაქცევი იყო აგრეთვე „სჯულის დატევების“ სამართლის შესახებ არსებული ცნობები. მოვიყვანთ ერთ ცნობას: მირიან ფარნაჯომის ძე ეუბნება ერისთავებს: „სამართლად მოიკლა მამა ჩემი, რამეთუ ვერ კეთილად იპყრა სჯული მამათა თქუენთა. აწ ნუ არს საურავი და შიში გულსა თქუენსა სიკვდილისათუის მამისა ჩემისა, რამეთუ სჯულისა დატევებისათვის მოკულენ მამანი შვილთა და ძმანი ძმათა და არა იძებნების სისხლი სჯულის დატევებისათვის მოკლულთა“ (ქცა. ანა დედოფლისეული ნუსხა. გვ. 22).

კიდევ მრავალი ცნობის მოყვანა შეიძლებოდა საისტორიო მწერლობიდან ძველი ფეოდალური სამართლის მოვლენათა გარკვევისათვის (მამული, კანონიერი და უკანონო შვილი, საუფლისწულო, ქვეყანანი მკლავით წახმულნი, ანდერძი, გაბრჭობა, გულის სადებელი და სხვ). მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ჩვენი მთავარი შენიშვნის დასაბუთებისათვის ესეც საკმაოა.

საკითხისადმი ისტორიული თვალსაზრისით მიდგომის გზით დისერტანტს უნდა წარმოეჩინა: იყო თუ არა საქართველოში ბაგრატიისა და ბექას კანონებამდე სამართალი, კანონი (სჯული). ამისათვის მას სპეციალურად უნდა შეესწავლა ფეოდალური ხანის საისტორიო ძეგლები, კერძოდ შუშანიკის მარტილობა, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ბაგრატის სიგელები, XIII ს. სიგელები, ქცა (ჯუანშერი, ლეონტი, მათიანე ქართლისა, ცბა მეფეთა-მეფისა...) და სხვა. გარდა ამისა, მას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცია სასამართლო პრაქტიკისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დისერტანტს არ დაუსვამს საკითხი ბექა-აღბუღას სამართლის კავშირისა ყაზან-ყაენის მიერ გამოცემულ წესთან. ეს კი საჭირო იყო.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე ნაკლად უნდა ჩაითვალოს ქართული ფეოდალური სამართლის განვითარების დონის შეუფასებლობა. ავტორი თავის წიგნში დეტალურად განიხილავს ბექასა და ბაგრატის სამართლის ძეგლებს, იძლევა მათ იურიდიულ შეფასებას. ადგენს და არკვევს სამართლის არაერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს და სხვ. ყველაფერი ეს კარგია და მოსაწონი. მაგრამ, როდესაც ასეთ დიდმნიშვნელოვან ძეგლებზეა საუბარი, მხედველობიდან არ უნდა გამოშვებულიყო საკითხი, თუ ფეოდალური ურთიერთობის განვითარების რა

საფეხური მოჩანს ამ ქართული სამართლის ძეგლთა მიხედვით. რამდენად წინ უსწრებდა თუ ჩამორჩებოდა იგი იმ დროის მსოფლიოს და, კერძოდ, დასავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნების ფეოდალურ სამართალს. დისერტანტს უნდა მოეხდინა შედარება მათ შორის (ასეთი შედარების ზოგიერთი მითითებანი მოგვცა ჯერ კიდევ აკად. ივ. ჯავახიშვილმა).

აღნიშნული შედარების შემდეგ დისერტანტს გაუადვილდებოდა ქართული ფეოდალური სამართლის პერიოდიზაციის გარკვევა; იმის დადგენა, თუ სამართლის განვითარების რა საფეხურს წარმოადგენდა ბექა-ალბუღას სამართალი, ფეოდალური ურთიერთობის რომელ საფეხურს გამოხატავდა იგი (ადრეულს, შუას თუ ნაგვიანეს) ასეთი ცდა, ეჭვი არაა, მეტად მნიშვნელოვანი დებულების გამოტანას გავვიადვილებდა: თუ როდის დაიწყო ჩვენში გვიანფეოდალური ხანა... ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა ინსტიტუტ ნ ა ს ყ ი დ ის შედარებითი შესწავლა.

ჩვენი შემდეგი შენიშვნა ეხება სამართლის ცალკეული ინსტიტუტების გაგებას. მაგალითისათვის ავიღებთ „მოსამართლის“ ინსტიტუტს, როგორც ისეთს, რომელიც, ჩვენი აზრით, შედარებით უფრო მეტ ყურადღებას უნდა იმსახურებდეს. დისერტანტი ფიქრობს, რომ „მოსამართლე“ და „ბრჭე“ ერთი და იგივე ცნებებია (დისერტაცია, გვ. 124, 125; 268, 269, 349). იგი ცდება. ამ შენიშვნასთან დაკავშირებით კვლავ გავიხსენებთ ზემოთ ნათქვამს საისტორიო მწერლობის ძეგლთა მოშველიების შესახებ.

მოსამართლისა და ბრჭის ინსტიტუტების გაგებისათვის საყურადღებო ცნობებს გვაწვდის XI ს. ისტორიკოსი ლეონტი მროველი (ანასეული ქცა, გვ. 6, იხილეთ აქვე გვ. 42): ქართლოსიანნი აიშალნენ... „არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს და აღგილთა თ ა ვ ა დ ი იჩინიან. ხოლო ვინცა იყუის მცხეთასა, რეცა თ ა ვ ა დ ი იგი იყუის სსუათა ზედა არცა სახელედებოდა მეფედ, და არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდა და იგი იყუის მ ა ზ ა ვ ე ბ ე ლ ი და ბ რ ჭ ე სხვათა ქართლოსიანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა გადიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა და უწოდეს დედაქალაქად“.

აქ კარგადაა დაჭერილი ბ რ ჭ ი ს შინაარსი, უკეთ, ბ რ ჭ ი ს ძ ვ ე ლ ი შ ი ნ ა ა რ ს ი. ლეონტის ეს ბრჭე მოსამართლე არაა შემდეგი დროის გაგებით; ის არც ძველი გაგებითაა მოსამართლე: ძველად მოსამართლე ის იყო, ვინც სამართალს ართმევდა (დაზარალებული მხარის წარმომადგენელი, ძმა, ბიძა, ნათესავი, მოყვარე) ბრალდებულს (უკეთ, დამნაშავეს), ე. ი. ვინც შურს იძიებდა (ძველად), ვინც მატერიალურ დაკმაყოფილებას ეძებდა (შემდეგი

საფეხური); გვიან კი მოსამართლე იყო ხელისუფალი (ერისთავი), ან მის მიერ დანიშნული პირი, რომელსაც უფლება და საამისო საპირო ძალა ხელისუფლის მიერ გადაეცემოდა. მოსამართლეთა განაჩენს სისრულეში ხელისუფლის ძალა მოიყვანდა — (ძველად, ვიდრე ასეთი ძალა არ არსებობდა, სამართალს მოსამართლე საკუთარი ძალით ართმევდა, თუ ასეთი ძალა გააჩნდა)...

ლეონტი პროველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მცხეთის მამასახლისი იმიტომ იყო ბრჭე, რომ მას არც მეფის და არც ერისთავის უფლება არ ჰქონია. ასეთი რამ რომ ჰქონოდა, ის ბრჭე კი არა, მოსამართლე იქნებოდა (ისე როგორც ყოველი მეფე, თუ ის ღირსეული იყო). „მოსამართლე“, „სამართლის მოქმედი“ იყო... ლეონტის დროს, ჩანს, კარგად ხელდადნენ განსხვავებას ბრჭესა და მოსამართლეს შორის... ასეთი უძღური და უუფლებო („რეცა თავადი“), ლეონტის აზრით, თუმცა საპატიო პირი, შეიძლებოდა მაზავებელი და ბრჭე ყოფილიყო ურთიერთშორის თანასწორ ქართლოსიანთა წრეში. ლეონტი პროველის მიხედვით, მეფეს და ერისთავს მაზავებლობა და ბრჭეობა არ შეეფერება. ასეთი რამ მამასახლისის საქმეა (ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ბრჭე ძველი გაგებით „მოსამართლე“ არაა, ე. ი. შურის მძიებელი, ნათესავი თუ სხვა რამ ასეთი...). მეფეს და ერისთავს შეეფერება „მოსამართლეობა“ „სამართლის მოქმედება“. უეჭველია, ლეონტის დროს ეს ტერმინები უკვე შემოსული იყო. ასე რომ ძველად, ვიდრე მეფე და ერისთავი არ იყვნენ, მაზავებელი და ბრჭე იყო მამასახლისი (საპატიო ავტორიტეტის მქონე პირი, მაგრამ არა კელისუფალი), შემდეგ ტერმინი ბრჭე უკავშირდება და უიდენტოვდება მოსამართლეს: ესა და ეს გავაბრჭევით... ან კიდევ „დავსხედით ბრჭენი და მოსამართლენი“. ასე რომ ბრჭემ შინაარსი შეიცვალა: პირველად ის მაზავებლის მონათესავე ცნება იყო, შემდეგ მოსამართლის შინაარსისა გახდა... ლეონტის დროს ის გარდამავალ საფეხურზეა (არსებითად ასევე დარჩა ის ფეოდალური ურთიერთობის სიგრძეზე: სანახევროდ მედიატორე ან სანახევროდ მოსამართლე ახალი დროისა...).

ჩვენ სადავოდ და ზოგჯერ კი არასწორად მიგვაჩნია სამართლის წიგნის ცალკეული მუხლების დისერტანტისეული ინტერპრეტაცია. იგი არასწორად ადარებს ერთმანეთთან ბექასა და ბაგრატის კანონმდებლობის ზოგიერთ მუხლს.

დისერტანტი თვლის, რომ ბექას სამართლის მე-12 მუხლი გადმოღებულაა ბაგრატის სამართლის 138-ე მუხლიდან (გვ. 102). შეიძლება მართლაც, ბექას ეს მუხლი ნასესხები იყოს ბაგრატის სამართლისაგან (ამას თითქოს ზმნის ფორმაც მოწმობს—სისხლი არ არისო), მაგრამ ფრიად საეჭვოა, რომ ის ბაგრატის 138-ე მუხლის გადმოცემა იყოს.

ბექა ლაპარაკობს ზედა მიხდომილის სისხლსა და სავერზეზე, ბაგრატი კი „მეკობრისა და ზედა დამსხმელის სისხლის შესახებ“. ბექას ეს მუხლი ითვალისწინებს იმის სისხლსაც, ვისაც დაესხნენ, ბაგრატი კი არა უფრო დასაშვებია, რომ ორივე ერთი წყაროდან მოდის...

ასევე ვერ დავეთანხმებით დისერტანტს ბექას მე-16 მუხლისა და ბაგრატის 122-ე მუხლების შედარებაში (გვ. 102). ბექას მე-16 მუხლი ითვალისწინებს შუა მისრულ მონაზონს და დედაკაცს; ამათი სისხლი ორკეცია, ასევე ერისგანაც, თუ ის შუამავალია და არა რომელიმე მხარის მიმდგომი; სულ სხვა რამეს ეხება ბაგრატის 122-ე მუხლი. აქ ლაპარაკია მონაზონის, ხუცესისა და დიაკონის გაძარცვაზე; ასე რომ აქ შესადარებელი არაფერი ჩანს.

სწორად არ გვეჩვენება დისერტანტის მოსაზრება ბექას მე-8 და ბაგრატის 142-ე მუხლების მსგავსებისა თუ ნასესხებულობის შესახებ. ბექასთან ერთი კბილი შეფასებულია ერთ თითად, ბაგრატთან კი კბილისათვის ნახევარი სისხლი წესდება. ეს გარემოება ამ მუხლების ერთ წყაროდან წარმოშობილობას შეიძლება როგორმე მოწმობდეს, მაგრამ ერთის წარმოშობილობას მეორისაგან კი არა (101). ასევე ითქმის ბექას 29-ე და ბაგრატის 140-ე მუხლებზე (102): 29-ე მუხლში საუბარია უბრალოდ ცოლის დაგდებაზე, 140-ში კი სნეულ ცოლზე. ამ ორ მუხლში საერთო არა არის რა და არც ერთი მეორისაგან ნასესხობაზე შეიძლება საუბარი.

არაა სწორი 72 (აღბულა) და 157—158 (ბაგრატი) მუხლების დისერტანტისეული გაგებაც (გვ. 102—103). აღბულასთან საუბარია თავდაწერილ ყმაზე, შესიძებულზე, ბაგრატთან კი სიძე-შვილობაზე და არა ვლევზე. აქ აღბულას და ბაგრატის შედარება შეუძლებელია. ერთგან ლაპარაკია თავის დაწერაზე, მეორეგან მამულის დაწერაზე, რაც სულ სხვადასხვაა.

სამართლის ტექსტების არასწორ გაგებასთან გვაქვს საქმე აგრეთვე სადისერტაციო ნაშრომის შემდეგ გვერდებზე: 88, 93, 117 (პირველ მუხლს ეხება), 157 (54 და 55 მუხლები), 158 (56-ე მუხლი), 171 (48-ე მუხლი), 182 (95-ე მუხლი), 197 და 211 (33-ე მუხლი), 227 (გერშის განმარტება არაა ნათელი), 269 (მუხ. 18, 101—104, 159) და სხვა.

სადისერტაციო ნაშრომში აქა-იქ შეიმჩნევა აგრეთვე არაზუსტი. ნაკლებად დასაბუთებული, სადავო, მცდარი და გაურკვეველი ადგილები (გვერდები 5, 7, 9, 13, 15, 16, 30, 34, 45, 48, 57, 59, 62, 63, 81: 96, 102, 112, 116, 120 და სხვა). მაგალითისათვის დავასახელებთ რამდენიმეს:

მე-13 გვერდზე დისერტანტი აღნიშნავს, რომ „სამცხე იყო საქართველოს ფეოდალური სამთავრო, სადაც ფეოდალურმა სინიორიამ ყვე-

ლაზე უფრო სრული ეკონომიური, პოლიტიკური და უფლებრივი დამოუკიდებლობა მიიღო“.

გვ. 15. „თუ გაქცეული გლეხი მოახერხებს 7 წელიწადს ვინმესთან თავი შეაფაროს, მკვიდრი ბატონი კარგავს საკუთრების უფლებას ყმა-გლეხზე. გლეხს შეეძლო აგრეთვე ბატონისაგან თავის დახსნა, თუ ის 30 წლით ისე შორს გადაიხვეწებოდა, რომ მისი მიწვდომა შეუძლებელი იქნებოდა“.

გვ. 118—119. ფრიად სადავოა საეკლესიო გავლენის ხასიათი: დამოწმება ხომ გავლენას არ ნიშნავს? დისერტანტის მიერ ამ გვერდებზე მითითებული სამოქალაქო ნორმები მთლიანად ქართულ სინამდვილესა შემუშავებული და მათი გავლენით (გარედან) შემოტანილობა სრულიად მიუღებელია...

გვ. 81. „სამცხე-საათაბაგო ს რ უ ლ ი ა დ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ფეოდალურ სამთავროს წარმოადგენდაო“, ეს არაა სწორი.

დასასრულ, რამდენიმე შენიშვნა ლექსიკონის შესახებ. საერთოდ ტექსტებისადმი დართული ლექსიკონი შედგენილია დამაკმაყოფილებლად, მაგრამ შიგადაშიგ გვხვდება ამათუიმ ცნების არასწორი და არაზუსტი განმარტებანი. ლექსიკონში შენიშნული შეცდომები უშუალოდ უკავშირდება სამართლის ტექსტის ზოგიერთ არასწორ გაგებას.

არასწორადაა განმარტებული შემდეგი სიტყვები:

ანასდათ (გვ. 348), არშივი (იქვე), გარდაქდევა (350). გაყრა (351), დაშავება (353), დაპირება (354), დედა-წული (იქვე), დუნჯი (იქვე), ზოლი (355), კარვოსნობა (356), მინდობილი კაცი (358), მოსაქმე (360), ნივთიანი საქმე (361), რჩა (363), სამამულე (იქვე), სიავი (367), უსაქმო კაცი (369), უსაქმობა (370), ნაშენითა (140), უწიგნოდ (370), ფუზე, ფუძე (იქვე), შეფიცვა (373) და სხვა. არის აგრეთვე არამთლად ზუსტი და სადავო განმარტებანიც, რომელთაც აქ არ აღვნიშნავთ.

ჩვენს მიერ შენიშნული ნაკლოვანი მხარეები არ აყენებს ეკვრის ქვეშ დოცენტ ი. დოლიძის წიგნის მეცნიერულ მნიშვნელობას. დისერტანტმა უდავოდ სერიოზული მუშაობა გასწია ბექასა და ბაგრატიის ესოდენ დიდი მნიშვნელობის სამართლის ძეგლთა მეცნიერული შესწავლის საქმეში. მისასალმებელია ის მოვლენაც, რომ ჩვენს წინაშე საჯაროსაპაექროდ გამოტანილია უკვე გამოქვეყნებული ნაშრომი, რაც აგრე იშვიათია ჩვენს პრაქტიკაში.

ვშუამდგომლობ თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რომ დოც. ი. დოლიძის ნაშრომი დაშვებულ იქნას საჯარო პაექრობაზე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

И. Г. АНТЕЛАВА — ГОСУДАРСТВЕННЫЕ КРЕСТЬЯНЕ В ГРУЗИИ
 В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА (ДО КРЕСТЬЯНСКОЙ РЕФОРМЫ
 1864 ГОДА)

Работа, представленная на соискание ученой степени доктора исторических наук, 1952 г.

სადისერტაციოდ აღებული თემა აქტუალურია. იგი ეხება მატერი-
 ალური დოვლათის მწარმოებელი კლასის — გლეხობის ისტორიას.
 კვლევის ობიექტი — სახელმწიფო გლეხობა — XIX საუკუნის შუაში
 საქართველოს გლეხთა მთელი რაოდენობის თითქმის ნახევარს შეად-
 გენდა.

ნაშრომიდან ჩანს, რომ დისერტანტს დიდი მოცულობის კვლევა-
 ძიება ჩაუტარებია. 770-გვერდიან ნარკვევში იგი თანმიმდევრულად გა-
 ნიხილავს სახელმწიფო გლეხთა მრავალრიცხოვანი ფენის კონსოლიდა-
 ციის, სოციალურ-ეკონომიური ცხოვრებისა და კლასობრივი ბრძოლის
 საკითხებს.

დისერტანტის წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა იდგა — განეხი-
 ला საკითხი XIX საუკუნის საქართველოს (რეფორმამდელი ხანის) ის-
 ტორიის შუქზე, ეს ხანა კი ჩვენს ისტორიაში წარმოადგენს უაღრესად
 რთული მოვლენებით აღსავსე გარდამავალ პერიოდს, როდესაც ქართ-
 ველი ხალხი რუს ხალხთან ერთად იბრძოდა მოწინავე, ახალი საზოგა-
 დოებრივი ცხოვრების დანერგვისათვის და თანდათანობით ნიადაგს ამ-
 ზადებდა ბურჟუაზიული განვითარების გზაზე გამოსასვლელად.

ნაშრომში მოტანილი დიდძალი ფაქტობრივი მასალის საფუძველ-
 ზე გასაგები ხდება იმ დროის ბატონყმური სინამდვილის პირობებში
 არსებული საზოგადოებრივი კლასების ცხოვრებაში მომხდარი ცვლი-
 ლებები. ეს გარემოება ერთგვარად აადვილებს ებოქის დიდმნიშვნე-
 ლოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების გაგებას. მაგალი-
 თისათვის დავასახელებთ 1832 წ. შეთქმულებას, რომლის გასაგება-
 დაც ამხ. ანთელავას ნაშრომი საქმიან გასაღებს იძლევა. ცხადი ხდება,
 თუ როგორ მოხდა, რომ მძიმედ შეუურაცხყოფილი, დაზარალებული ქა-
 რთველი ფეოდალების რეაქციულმა ნაწილმა ამ ავანტიურაში დაინახა
 გამოსავალი. უკმაყოფილების დიდი საფუძველი ჰქონდა არა მარტო

ქართველ თავადაზნაურობას, არამედ გლეხობასაც, რომელმაც საქართველოში მეფის რუსეთის გაბატონების პირველ ათეულ წლებში დიდი შევიწროება განიცადა. ეს იყო ექსპლოატაციის გამწვავებით გამოწვეული უკმაყოფილება. ამიტომ იყო, რომ აღნიშნულ შეთქმულებაში რეაქციულ თავადაზნაურობასთან ერთად მონაწილეობდა პროგრესული მოაზროვნე სოლომონ დოდაშვილი (შევიწროებული გლეხობის წარმომადგენელი...)

დისერტანტს ძირითადად სწორად აქვს მოცემული საქართველოს სოციალურ-ეკონომიური დაწინაურება XIX ს. I ნახევარში. კარგად არის ნაჩვენები, რომ XIX ს. 30-40-იანი წლებიდან ადგილი აქვს ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევასა და კაპიტალიზმის საწყისების ზრდის ტენდენციას.

ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის წილში თანდათანობით ვითარდებოდა ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების ელემენტები. ამას მოწმობდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განუხრელი ზრდა, ფულზე მოთხოვნილებების გაფართოება, სახელმწიფო ნატურალური გადასახადების ლიკვიდაციისა და ფულადი რენტის დანერგვის ცდები. 40-იანი წლებიდან სახელმწიფო გადასახადებში ფულადი რენტის გაბატონება (თუმცა საერთოდ ქვეყანაში ნატურალური ბეგარა სჭარბობდა) მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევდა არსებული წარმოების წესში....

ნაშრომში თანმიმდევრობით დალაგებით გაშლილია მსჯელობა ადგილობრივი ბაზრების განვითარებაზე (259—263), მარჯვედაა ნაჩვენები გლეხთა ქირაზე გასვლის გახშირება და ამ მოვლენის პროგრესულობა (269—271), ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავება გლეხთა შორის და საერთოდ საქონელწარმოების ზრდის ვითარებაში ყმა-გლეხთა გარკვეული ნაწილის მიერ თავისუფლებისა და მიწის გამოსყიდვის ფაქტები (275—277 ბ). გლეხთა მცირე ნაწილის მიერ თავის გამოსყიდვისა და მოქალაქეთა წოდებაში გადასვლის ფაქტები, რასაც დისერტანტი ავლენს, უეჭველად იყო ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევისა და ახლის თანდათან შემოჭრის მაჩვენებელი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დისერტანტი ასეთ მოვლენებზე საუბრისას სასურველი იყო ცდილიყო მიეთითებინა ახალ კლასთა წარმოშობის შემადგერხებელ მიზეზებზეც.

სადისერტაციო ნაშრომში ნაჩვენებია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ზრდის გავლენა არა მარტო სახაზინო გლეხების, არამედ გაბატონებული კლასის სოციალურ ბუნებაზეც. ასეთია, მაგალითად, მოვლენები თავადაზნაურთა მიერ ყმა-მამულების დაგირავების, მათი გარღობების (277—278), ვაკრული საქმიანობის ფაქტები (278) და ამ კლა-

სის გარკვეულ წარმომადგენელთა ცდები მეურნეობის რაციონალიზაციისათვის. გურგენიძის, ჭავჭავაძის, მუხრან-ბატონის, ერისთავის, ბ. ნიკოლაისა და სხვათა მეურნეობები კაპიტალისტურ ევოლუციას განიცდიდნენ. მათი გამრავლების ტენდენციაც არსებობდა. მართალია, ეს მეურნეობანი სუსტნი იყვნენ, მაგრამ მომავალი მაინც მათ ეკუთვნოდათ.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ დისერტანტმა მოგვცა დამაკმაყოფილებელი მონოგრაფიული ნაშრომი XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს სახელმწიფო გლეხთა შესახებ. ეს ნაშრომი ჩვენი ღარიბი ლიტერატურის უთუოდ შენაძენია.

რამდენიმე ნაკლი მინდა აღვნიშნო.

ნაშრომის პირველი ნაკლი. ჩვენი აზრით, ისაა, რომ ავტორი სათანადოდ ვერ ითვალისწინებს სახაზინო (სამეფო) გლეხთა მდგომარეობას XIX საუკუნის წინარე ხანაში და არ ცდილობს გვიჩვენოს ამ კატეგორიის გლეხთა ბრძოლის სხვადასხვა ტენდენციები ისტორიული განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე.

ამხ. ანთელავას ნაშრომში კარგადაა ნაჩვენები, რომ გლეხობა მასობრივად მიისწრაფოდა სახაზინო ფონდში გადასასვლელად. ეს მოვლენა იმის უეჭველი მოწმობა იყო, რომ ფეოდალურმა ურთიერთობამ დრო მოჰამა, ხოლო ბურჟუაზიული ურთიერთობა კარზე იდგა. გლეხთა ასეთ მოძრაობა წარმოადგენდა გვიანფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელ ძირითად მოვლენას. მაგრამ გვიანფეოდალურ ხანაში ყოველთვის როდი ხორციელდებოდა გლეხთა ასეთი მისწრაფება. არც XIX ს. რეფორმამდელ ხანაში ყოფილა თავიდან ბოლომდის ერთი ტენდენცია. თუ გარკვეული დროიდან აღვილი ჰქონდა გლეხთა ლტოლვას სახაზინო ფონდისაკენ პირველ ხანებში, პირუკუ ტენდენციაც ჩანს. ეს გარემოება დისერტანტს უნდა შეენიშნა და სათანადოდ შეეფასებინა კიდევაც.

საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების ხანაში მწარმოებელი საზოგადოება გლეხთა კერძო მემამულეებს მიუდიოდნენ. ფეოდალური მიწისმფლობელობის განმტკიცება საწარმოო ძალთა განვითარების იმ საფეხურზე პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა... რაც შეეხება გვიანფეოდალურ ხანას, ამ დროს გლეხობა მეფის ცენტრალური ხელისუფლებისაკენ მიისწრაფოდა იმიტომ, რომ ამ დროს ცენტრალური სამეფო ხელისუფლება იყო მოწოდებული ხელი შეეწყო პროგრესისათვის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური წინსვლისათვის, კლასობრივი ბრძოლის გარდაკვებისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში (XIII—XVIII საუკუნეთა განმავლობაში) რეაქციონერ თავადებისა და ყიზილბაშების მიერ და-

ძალული მეფის ხელისუფლება ვერ ახერხებდა ხსენებული ფუნქციის განხორციელებას. კერძოდ, იგი ისე ძლიერი ვერ იყო, რომ მებატონეთაგან ლტოლვილი გლეხები მიეღო (ვახტანგის ბოდიშები, ერეკლეს მუქარები...). ეს ფაქტი მჭერმეტყველი მოწმობა იყო გვიანფო-დალური საქართველოს დაჩიხულობისა.

XVIII ს. მიწურულს და XIX ს. პირველ ათეულ წლებში ადგილი ჰქონდა სამეფო-სახელმწიფო გლეხების ლტოლვას კერძო მებატონეებისაკენ. ეს გარემოება დისერტანტს შეუმჩნეველი დარჩენია. ჩვენი ავტორი არ ჩაფიქრებია იმ გარემოებას, რომ მის მიერვე მოტანილი მასალებით გლეხთა თავგამოდებული ცდები სახაზინოდ გახდომისათვის შესამჩნევია მხოლოდ 20-იანი წლების შემდეგ, განსაკუთრებით კი 30—40-იან წლებში. ეს, კი მრავალმეტყველი ფაქტია.

დისერტანტი აცხადებს, რომ XIX ს. დამდეგს საქართველოს სამეფო სახლის გლეხობა, რომელიც ხაზინამ მიიღო, 5860 კომლს შეადგენდა (გვ. 25). აქ დისერტანტს უყურადღებოდ დარჩენია წინარე ხანის, კერძოდ ერეკლე II-ის დროინდელი ვითარება, როდესაც სახელმწიფო ყმათა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო—9000 კომლზე მეტი (საქ. ისტორია, 1950 წ. გამ., გვ. 415—416). ამ ფაქტის გათვალისწინებით დისერტანტის წინაშე მწვავედ დადგებოდა საკითხი აღნიშნული საინტერესო მოვლენის ახსნის შესახებ. აქვე უნდა ითქვას, რომ მოცემული საკითხის შესახებ დისერტანტის მიერ გამოყენებულნი წყაროები სრული ვერაა. მას მხედველობიდან გამორჩენია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული საინტერესო მასალა—თარხნიანთ და თუმანიანთ საბუთები, საიდანაც კარგად ჩანს, რომ XIX ს. პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა გლეხთა ბრძოლას როგორც სახაზინოდ ქცევისათვის, ისე პირუტყუ.

XIX ს. დამდეგის საქართველოში, დიდი ისტორიული აქტის (1801 წ.) შემდეგ მეტად რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. მეფის რუსეთის სამხედრო რეჟიმი მწვავედ შეეხო საზოგადოების ძირითად კლასებს. გამწვავდა გლეხთა ექსპლოატაცია და ქვეყანა აჯანყებებმა მოიცვა. თავადაზნაურული რეაქცია ფრთებს ისხამდა. რუსეთის მომხრე თავადაზნაურთა ჯგუფს, რა თქმა უნდა, იმთავითვე შერჩა ძველი პრივილეგიები და იგი სარდლობასთან სიახლოვეთ თუ სხვა ცდებით ახერხებდა სასურსათო და სატრანსპორტო ბეგარების არიდებას „თავისი“ გლეხებისათვის. გამუდმებული ომიანობის ვითარებაში მიწისმოქმედი მოსახლეობა სამეურნეო საქმიანობას წყდებოდა და საკუთარი ურმებით შორეულ ლაშქრობაში გამოსული ჩვეულებრივ ჰკარგავდა გამწვევ ძალას... ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა.

გლეხი სახაზინოდ გახდომის ინტერესს ვერ გამოიჩენდა, რომ იმთავითვე ასეთ ტენდენციას ადგილი არ უნდა ჰქონოდა, ამას მოწმობს ის ვარემოება, რომ რუსული მმართველობა გლეხებს ჰპირდებოდა: სახაზინოდ გადარიცხვას, თუკი ისინი თავიანთ მებატონეებს აუჯანყდებოდნენ. ასეთი დაპირებებით მთავრობა ცდილობდა, რომ სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული მახვილი რეაქციონერი თავადებისა და განაწამები გლეხების საერთო გამოსვლები აეცდინა და ის კლასობრივი ბრძოლის ხაზით წარემართა. მიუხედავად ასეთი დაპირებებისა გლეხობა ამ დროს ხაზინას მაინც არ მიუღიოდა. ასე, იმ დებულების დასაბუთებისათვის, რომ გლეხობა XIX ს. პირველი ნახევრის მთელ პერიოდში ყოველთვის ხაზინისაკენ გარბოდა, დისერტანტს უნდა მოეტანა ერთი მაინც შემთხვევა იმისა, რომ აჯანყებული თავადების გლეხები საკუთარი ინიციატივით მიუვიდნენ ხაზინას...

დისერტანტი ფართოდ საუბრობს სურსათ-კოდის პურის გადასახადის შესახებ, აგვიწერს ამასთან დაკავშირებულ სიძნელებებს, მთავრობის მოხელეთა თვითნებობასა და ბოროტმოქმედებას ომიანობის ვითარებაში (ყოველივე ეს იყო უშუალო მიზეზი აჯანყებებისა). ასეთია, მაგალითად, ბასკაკობის შემადრწუნებელი სურათები, რომელთაც ადგილი ჰქონდა უმთავრესად XIX ს. 30-იან წლებამდე (გვ. 515—527). მაგრამ ავტორს არც ეს ვარემოება აფიქრებს გლეხთა ბრძოლის ტენდენციის გარკვევის დროს. მას უნდა ეპასუხნა კითხვაზე იმის შესახებ. თუ რამდენად შესაძლებელი იყო, რომ აღნიშნულ ვითარებაში გლეხებს სახაზინოდ გადასვლისათვის ებრძოლათ. ასეთი პირობებში თავადს თუ აზნაურს ხომ მარჯვე საშუალება ეძლეოდათ, რომ გლეხთა დამცველის როლში გამოსულიყვნენ!?

გლეხთა ლტოლვა სახაზინო ფონდისაკენ სავსებით გამართლებული ჩანდა 20-იანი წლების შემდეგ, 30—40-იანი წლებიდან. ამ ხანიდან მოყოლებული, ისტორიული ვითარება შეიცვალა. XIX ს. პირველი ათეული წლები გაუთავებელ საშინაო და საგარეო გართულებათა ხანა იყო. მეფის რუსეთის ხელისუფლება საქართველო-ამიერკავკასიაში მტკიცდებოდა, საქართველო რუსეთის მფლობელობაში ერთიანდებოდა და თანდათანობით გამოდიოდა ჩიხიდან მშვიდობიანი განვითარების გზაზე. ახლა მდგომარეობა შეიცვალა, რაკი საქართველოს განვითარების ჩიხი გადალახული იყო, რაკი სამეფო ხელისუფლება, რუს-ხელმწიფის სახით, „კანონიერი“, ძლიერი და „წესიერი“ გაჩნდა, გვიანფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი ეს ტენდენცია (კერძო მებატონისაგან ლტოლვა და სამეფო-სახელმწიფო ყმად ქცევა) კიდევ უფრო გაძლიერდა. გლეხთა სახაზინოდ გადაქცევისათვის ლტოლვის ასეთი გაძლიერება იმას მოასწავებდა, რომ ფეოდალურმა ურთიერთობამ

დიდი ხანია განვითარება დაასრულა (ყველაზე ადრე ეს ქალაქებმა იგრ-
 ცნეს—ქალაქების ლტოლვა სამეფოდ ქცევისაკენ... და, ეს ბუნებრივია.
 ისინი იყვნენ პროგრესის მედროშენი).

დისერტანტმა ცხადჰყო, თუ როგორ თანმიმდევრულად იბრძოდა
 მეფის რუსეთის მთავრობა საქართველოში სახაზინო გლეხთა რიცხვის
 გაზრდისათვის. მანვე წარმოაჩინა თავადაზნაურთა ცხარე ბრძოლა
 სახაზინო გლეხთა რიცხვის გამრავლების წინააღმდეგ. იგი ხსნის მთა-
 რობის ორმაგ პოლიტიკას. ამ საკითხში მთავრობას არ სურს აწყენინოს
 თავადაზნაურობას, მაგრამ მტკიცედ იცავს ხაზინის ინტერესებს, ქმნის
 საკუთარ მატერიალურ ბაზას, ზოგ თავადაზნაურს ამნისტირებულს,
 ჭებრუნებს მიწებს, გლეხებს, დიდ უმრავლესობას კი უარს ეუბნება,
 ებრძვის ყალბი დოკუმენტების მქნელებს. ელასტურად მოქმედებს და
 ცდილობს გაიერთგულოს თავადაზნაურობა... ცდილობს მიწების გა-
 მიყვანით სიცხადე შეიტანოს ამ საქმეში, ატარებს რეფორმებს და
 სხვ. (20—210...). ბოლოს და ბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო,
 მთავრობა თავადაზნაურობის დამცველის როლში გამოვიდა.

ავტორი სწორად ასახელებს მთავრობის პოლიტიკის მოტივებს
 აღნიშნულ საკითხში, მაგრამ ერთ მოტივს, ვფიქრობ უძლიერესს, ვერ
 აქცევს საკმაო ყურადღებას. მთავრობის პოზიციებს განსაზღვრავდა
 მისივე სისუსტე ამ შორეულ ქვეყანაში. რუსეთი რომ ძლიერი ყოფილი-
 ყო ამ კოლონიაში, რომ შიში არ ჰქონოდა ამ კოლონიის დაკარგვისა (ის
 ინგლის-საფრანგეთის მიერ მხარდაჭერილი ერან-ოსმალეთის ქიშპსაც
 კი ვერ უძლებდა), ის რომ აქ ეკონომიურად ძლიერი ყოფილიყო, მას
 რომ ეს ქვეყანა ეკონომიურად დაპყრობილი ჰქონოდა, მაშინ აზრადაც
 არ მოუვიდოდა სახაზინო გლეხების გამრავლებაზე ზრუნვა და თავა-
 დაზნაურობაც მისი მორჩილი და ერთგული ადვილად გახდებოდა. მაგ-
 რამ არც ერთი ეს არ იყო. მთავრობა სუსტი იყო და ქვეყნის ეკონო-
 მიური დაპყრობა მას არ შეეძლო. ასეთ პირობებში მას უნდა ძალა გაე-
 ჩინა. თავადაზნაურობა გაბუტული ჰყავდა და ეს ახალბატონი არც ისე
 მიზიდველი ჩანდა (ეკონომიურად მაინც). მთავრობა (ღარიბი) ხარჯებს
 ვერ ინაზღაურებდა. საამისო ერთადერთი გზა ადგილობრივი გადასახა-
 დების შემოსავალი იყო. და მთავრობა გაბუტულ ქართველ თავადებს—
 მებატონეებს უნდა მებატონეობითვე დაპირისპირებოდა... ერთი სიტ-
 ყვით, რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიური სისუსტე იყო მიზეზი მი-
 ლი პოლიტიკის თავისებურებისა....

სადისერტაციო ნაშრომის მეორე ნაკლად უნდა ჩაითვალოს მი-
 წის კრიზისის თუ მცირე მიწიანობის საკითხის არადაამაკმაყოფილებელი
 ვაშუქება. ავტორს ესმის, მცირემიწიანობას წარმოშობს სასაქონლო-
 ფულადი ურთიერთობის განვითარება, მაგრამ იგი სათანადოდ ვერ გვი-

საბუთებს იმას, რომ ეს მცირემიწიანობა ნამდვილად წარმოშვა სასაქონლო წარმოების ზრდამ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დისერტანტი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს მიწის „კრიზისისა“ და „მცირემიწიანობის“ ტერმინებს (428, 438, 439....). დავიწყებულა, რომ „მიწის კრიზისი, უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „მცირემიწიანობა“. მიწის კრიზისის ცნება შესანიშნავად განსაზღვრა ლენინმა თავის ნაშრომში „კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში“. რომელიც წარმოადგენს რეცენზიას კაუტსკის ნაშრომზე (თხზ. ტ. IV, გვ. 186).

დისერტანტს საკმაოდ მოჰყავს სახაზინო გლეხთა მცირემიწიანობის ფაქტები. იგი მიუთითებს მცირემიწიანობის მიზეზებზედაც. ასე, მაგალითად, გორის მაზრაში იყვნენ სახაზინო გლეხები, რომელთაც არც საკუთარი და არც სახაზინო მიწა ჰქონდათ (გვ. 383). ამასთან დაკავშირებით დისერტანტი არ ხსნის იმის მიზეზებს, თუ რატომ იყო, რომ გლეხი ზაზინისაგან მიიღტვოდა მაშინაც კი, როცა მას ეს ხაზინა ვერც მიწით უზრუნველყოფდა. მიწის შიმშილს ჰქონდა ადგილი თბილისისა (396) და დუშეთის მაზრებშიაც (397). შიმშილის ერთ მიზეზად დასახელებულია „მემამულეთა შეტევა“ სახაზინო მიწებზე, მაგრამ ახსნილი ვერაა, თუ რატომ მაინც და მაინც ახლა (30—50-იან წლებში) შეუტეეს მემამულეებმა (399). მიწის კიდევ მეტი სიციწროვეა მთიანეთში (401—412), ქუთაისის მაზრაში (413—419), კიდევ უარესი მდგომარეობა იყო შორაპნის მაზრაში (419), რაჭაში (419—423), გურიაში (423—427). ქუთაისის გუბერნიის სახაზინო გლეხების 20%-ს სახაზინო მიწა არ ჰქონია და კერძო მემამულეთა მიწებზე ცხოვრობდა...

დისერტანტი აღნიშნულ გარემოებას ხსნის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებითა და თავადაზნაურობის შეტევით სახაზინო გლეხთა ქონებაზე (გვ. 406). იგი ჩამოთვლის სახაზინო გლეხთა მცირემიწიანობის მრავალგვარ მიზეზებს, რომლებიც ერთ საერთო მიზეზში (სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება) თავსდებიან.

ასეთებია:

1. თავადაზნაურთა შეტევა.
2. ყმა-გლეხთა თავდახსნა და სახაზინოდ წასვლა.
3. მთავრობის მიერ სახაზინო მიწებზე კოლონისტების დასახლება.
4. მთავრობა სახაზინო მიწებს ხშირად ურიგებდა სხვადასხვა პირებს (გამბა, კასტელა...), ასაჩუქრებდა ერთგულ ფეოდალებს.
5. ღარიბი გლეხები ჰყიდდნენ სახაზინო ნაკვეთებს, მიდიოდნენ ქალაქებში.
6. მევახშეობა ხელს უწყობდა სახაზინო გლეხის გაუმიწურებას (439—440).
7. სახაზინო გლეხების რიცხვი იზრდებოდა ბუნებრივი გამრავლების გზით და მიწა უცოტავდებოდათ და სხვ.

დისერტანტი ჩამოთვლის აგრეთვე მთავრობის ღონისძიებებს აკუმულირების წინააღმდეგ (446—456) და სწორად დაასკვნის, რომ კლასობრივი ბუნება არ აძლევდა ნებას თავადაზნაურულ მთავრობას, რომ რადიკალური ღონისძიებანი გაეტარებინა (456).

მცირემიწიანობის შესახებ ჩამოთვლილ მიზეზთა შორის, როგორც ავტორი აცხადებს, ძირითადია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება, მაგრამ ამ დებულების დასადასტურებლად საკმაო როდი იყო საუბარი გლეხთა თავდახსნის, მეცახშეობისა თუ სხვათა შესახებ. დისერტანტს უნდა ეჩვენებინა სწორედ საქონლისა და ფულის შედეგად მომხდარი ცვლილებები სოფლის მეურნეობაში. ამასთან დაკავშირებით ამხ. ანთელავას ავიწყდება ერთი მთავარი მიზეზი. ესაა ის, რომ პური გახდა უმთავრესი სასაქონლო პროდუქტი. ამ გარემოებამ ექსტენსიური მეურნეობის პირობებში მიწის მეტისმეტი სივიწროვე წარმოშვა.

ფეოდალურ საქართველოში პურს ფასი არ ჰქონდა. არც თესდნენ ზედმეტს, გასატანს, საბაზროს. მოჰყავდათ მხოლოდ ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. რაც შეეხებოდა ღვინოს, მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ღვინო საბაზროდაც მზადდებოდა. ასე იყო წინათ. მეფის რუსეთის გაბატონების დღიდან მდგომარეობა შეიცვალა. საქართველო რუსთა რაზმებით აიკისო. პურს ფასი დაედო, ის უპირატესი საქონელი შეიქნა. მეურნეობის ინტენსიფიკაცია არ ყოფილა და თუ იყო, — მინიმალური. ასეთ პირობებში მიწის ფართობი განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა და თანდათან მიწის სიმშვილი წარმოიშვა. კახელ გლეხს პურს ქვეშ სულ მცირე მიწა ჰქონდა. მისი ყურადღების საგანი ვენახი იყო და თუთა-კაკალი. ეხლა პური გახდა უმთავრესი (1812 წ. აჯანყება...) და კახელმა გლეხმა დაინახა, რომ მას საამისო მიწა არ აქვს.

ასევე იდგა საკითხი ქართლშიაც.

დისერტანტი სწორად აღნიშნავს იმის ზოგად მიზეზებს, თუ რით იყო გამოწვეული საბატონო გლეხთა ლტოლვა სახაზინოდ გადასასვლელად: ნაკლები დაბეგრილობა და მეტი უფლებები. უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით ხაზგასასმელია. ჩანს შექმნილა ისეთი ვითარება, როცა უფლებები სამეურნეო საქმიანობაში, როცა თავისუფალი შესაქმების უფლებები აუცილებელია. ეს კი ფეოდალური ურთიერთობის შორის წასული რღვევის მაჩვენებელია.

შრომის უკანასკნელ თავში ჩვენი ავტორი გლეხთა კლასობრივ პროლას განიხილავს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს თავი ისე დეტალურად დამუშავებული არ გამოიყურება.

დისერტანტს ახალი შუქი შეაქვს ხსენებული საკითხის შესწავლაში, როცა აჯანყებულ გლეხთა სოციალურ კატეგორიებს განიხილავს,

მაგრამ მის მიერვე წარმოჩენილ ამ ფაქტს ღრმად არ უკვირდება და დაუსაბუთებლად იმეორებს ყბადაღებულ ვერსიას ამ აჯანყება-თა ხასიათის შესახებ (1804, 1812 წ. აჯანყებანი). ამხ. ანთელავას რომ ისტორიულად განეხილა საბატონო გლეხთა ტენდენციები (სახაზინოდ გადაქცევა), ის ამ აჯანყებაზე სწორ დასკვნებს გააკეთებდა...

ჰე ვამთავრებ იმით, რითაც დავიწყე.

სადისერტაციო თემა აქტუალურია. დისერტანტმა ი. ანთელავამ ჩაატარა დიდი და სასარგებლო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. თავის ნაშრომში, რომელიც 770 გვერდს შეიცავს, იგი თანმიმდევრულად აშუქებს სახაზინო გლეხთა მრავალრიცხოვანი წოდების კონსოლიდაციის, მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის, მათი კლასობრივი ბრძოლის და ა. შ. საკითხებს.

ი. ანთელავამ თავისი ნაშრომით, ვიმეორებთ, შეიტანა დიდი წვლილი ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში. ამიტომ ვშუამდგომლობთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე მისთვის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ.

ღ ა მ ა ტ ე ბ ა

მასალები მითერთმითი საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ

(გიორგი ათონელის ბიოგრაფიის მიხედვით)

ძველ ქართულ საზოგადოებრივ და აზროვნების განვითარების ეპოქალური გამოვლინება — ათონის სალიტერატურო სკოლა ქრონოლოგიურად ორი საუკუნის მიჯნაზე დგას. მე-10 საუკუნის 80-იან წლებში იწყება ის და მე-11 საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებამდე აღწევს (დაახლოებით).

ათონის სკოლის სახელმძღვანელო იდეები მეათე საუკუნის საზოგადოებრივ ურთიერთობაში არის უმთავრესად მომწიფებული და ამ იდეების უდიდესი წარმომადგენლები (იოანე-თორნიკე, არსენი, იოანე და ეფთიმე) ან მთლიანად მეათე საუკუნის მოღვაწეები არიან, ან კიდევ ნაწილობრივ (ეფთიმე).

ათონის სკოლა მოცემული ასი წლის მანძილზე განვითარებას განიცდიდა და მის დასაწყისში ის იგივე არაა, რაც მის დასასრულს, მაგრამ მთავარ ხაზებში ის ერთი მთლიანი რჩება და ასეთ მთლიანობაშია შესაძლებელი ამ სკოლის წესიერი შესწავლა. ხოლო ასეთი შესწავლა იმას უფრო შეეფერება, ვის საკვლევო ფარგლებშიაც ამ სკოლის ნიადაგის შემზადებისა და მისი განვითარების პირველი ეპოქაც ქრონოლოგიურად შედის.

წარმოდგენილი მასალა შეიცავს ცნობებს სწავლა-აღზრდის შესახებ გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრების“ მიხედვით. ამ მასალებს თან ახლავს ახსნითი და ზოგჯერ ხაზგასმით განმარტებანი.

რა თქმა უნდა, ეს მასალები, თუნდაც ამ ძეგლის ფარგლებშიაც აღებული, ოდნავად შემუშავებულად არ ჩაითვლება. ის არც შეიძ-

¹ სახალხო განათლების ისტორიის სექციის 1933 წ. 21 ნომბრის სტომაზე წაკითხული მოხსენების წერილობითი მასალა. პირველად დაიბეჭდა 1937, იხ. მასალები სწავლა-აღზრდის ისტორიისათვის საქართველოში, 1937, I, გვ. 5—22.

ლება შემუშავდეს მეცნიერულად მანამ, სანამ ამა და წინარე საუკუნის ანალოგიური მასალა მთლიანად ამოკრეფილი და გათვალისწინებული არ იქნება.

მხოლოდ ასეთი შედარებითი შესწავლის ნიადაგზე შეიძლება საბოლოოდ მეცნიერულად დადგენილი მასალა იქმნეს წარმოდგენილი.

*
* *

გიორგი შეყენებული (სვიმონ წმიდელი) მეტად საინტერესო პირია. ის თვითონ არ ეწევა სამწერლობო მოღვაწეობას, მაგრამ დიდად იღწვის ასეთ საქმისათვის. „სურვიელი იყო წმიდა ესე ბერი, რათამცა კუალად გამოვიჩინე-აჩინა მოწყალეებამან ღუთისამან ნათესავსა შორის ჩვენსა კაცი, რომელმანცა სრულყო ნაკლულევანება ენისა ჩუენისა, რომელი იგი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთიმესაგან დაშთომილიყო“... მისი უშუალო გავლენის და ზემოქმედების ქვეშ იწყებენ სამწერლობო საქმიანობას გიორგი მთაწმიდელი. იგივე გიორგი შეყენებული საჭიროდ ჰხედავს დაწერილ იქმნას გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფია და ამ საქმეს ავალებს ჩვენს ბიოგრაფს. ასევე ზრუნავს გიორგი შეყენებული ათონის ქართველთა მონასტერში არარსებული საეკლესიო ლიტერატურის შეძენის შესახებ... შავი მთიდან მას საკვირველი გავლენა აქვს ათონზე...

ეს მოძღვართ-მოძღვარი, როგორც მას უწოდებენ ჩვენი ბიოგრაფი, წარმართავს ქართულ საეკლესიო მწერლობას სამზღვარგარეთის ქართულ საეკლესიო ცენტრებში... (ც-ბა გ-ი ათ. 279).

გიორგი ათონელის ბიოგრაფი განმარტავს: „რამ არს ქებაი ღუთისაი? — დიდებაი და შესხმა წმიდათა მისთაი; მითხრობა ცხოვრებისა და მოღვაწეობისა მათისა წერით და უწერელად, რათა ცნას ესე თესლმან სხუამან და შვილნი, რომელ იშვებოდიან, აღდგენ და მიუთხრობდენ მამანი მათნი შვილთა თვისთა“.

მაშ, წმიდათა ცხოვრების „მითხრობა“ წერით თუ უწერელად ეს არის საღმრთო საქმე—„ქებაი ღუთისაი“ (იქვე, 280).

მორჩილება იდეალია მონაზონისა:

...„რათა არა უღელი იგი ტკბილი მორჩილებისა განვაგდოთ ქელსა მას ზედა სულისა ჩვენისასა მდებარე, ნუ უკვე პარებთა მათ და

ულაღთა ურჩებისათა შთავცვივეთ, ვინა იგი აღმოსვლა შეუძლებელ არს“ — ამისთვის ვისწრაფი შენი ბრძანება შევესრულოო, — სწერს ჩვენი ბიოგრაფი გიორგი შეყენებულს (იქვე, 280).

ვინმე დიდი ანტონი იყო ნეტარ მაკარის მოწაფე. უკანასკნელმა შემსგავსებული ქება მიიღო თავის მოწაფისაგან, ამით ეს მოწაფე „ვი-თარცა ნების მყოფელი შვილი მისი სათნოებათა მისთა მკვიდრად გამოჩნდა“.

შეხედულება: მამის კანონიერი მემკვიდრე ის შვილია, რომელიც მისი ნების მყოფელია — (ე. ი. მისი ნების აღმასრულებელია). მაშ, შვილის მამისადმი მორჩილება — იდეალია (იქვე, 280).

აღმზრდელობითი მნიშვნელობა დიდ პიროვნებათა ბიოგრაფიების, მათი საქმიანობის, მათი მოღვაწეობის შესწავლისა:

ეს წმიდათა „ცხოვრებები“ იმიტომ უნდა იწერებოდეს „რათა ჩუენ მოხსენებითა შრომათა დაღუაწლთა მათთა-თა დღითი დღე ფრთოვან ვიქმნებოდეთ, ბაძვად სათნოებათა მათთა წარვემატებოდეთ“... (იქვე, 281)

დიდ პიროვნებათა ბიოგრაფიის ცოდნა-გავრცელება სავალდებულოა.

ეს თვით გორგი მთაწმინდელის თქმააო.

„რომელთა უწოდიან სიტყვით ვინა სმენით საღმრთოთა წერილთაგან ვინა თუ მხილველქმნილ იყუნეს და აქუნდეს მეცნიერებაი სულისა სარგებელთა და ღმრთისა სათნოთა ცხოვრებათა და მოღვაწეობათა, რომელნი წმიდათა მამათა აღასრულნეს, პირველად ესრეთ ჯერ არს, რათა მსგავსად ძალისა ბაძვად მათდა მოსწრაფე იყუნენ და სათნოებათა მათთა ეშურებოდენ და განმართონ ენაბრგვნილობა იგი სულისა... რომელთა ესე ყონ... მსმენელნიც იგი ბაძვად სათნოებათა მათთა აღლესნენ“ (იქვე, 281).

სავალდებულოა დიდ პიროვნებათა ბიოგრაფიების, მათი მოღვაწეობის გავრცელება-გამეღვანება: ამას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. დაფარვა უნდა ისჯებოდეს:

„სიბრძნე დაფარული და საუნჯე უჩინო, ვინ ირგოს მისგან?“

— „ტალანტისა დამფარველთა და წყაროს დამყოფელთა და საუნჯისა უჩინო მყოფელთა თანა დაისაჯოს“ (ბასილი დიდს აციტირებს) (იქვე, 281).

გიორგი მთაწმინდელით თავის სიყრმისა და სიჭაბუკის თავგადასავალს „ვითარცა ერთგულსა შვილს არა დამიფარვიდა სარგებლობისათვის სულის ჩემისაო“.

ჩანს: მამა თავის ერთგულ შვილს მოუთხოვს თავის სიყრმისა და სიჭაბუკის თავგადასავალს აღზრდის მიზნით („სარგებლობისათვის სულისა“) (იქვე, 282).

მთელს მოღვაწეობას გ-ი მთაწმინდელისას ვერ მოგიტხოვბთო, გვაუწყებს ბიოგრაფი, ვიტყვიო მხოლოდ, „რომელთა იგი ხსენებანი წმინდაი არს და სარგებელ და სათნოებათა და მოღვაწეებათა მიმართ მაწუხეველი, ვითარცა იტყვის გრიგოლ ღუთის მეტყველი, ვითარმედ: „კაცსა რაი-ცა რაი უყვარნ და აქებნ მისსა მიმართ მიისწრაფვიან“, საუცხოოდ ესმის—და სხვისი ციტატით მოხდენილად ამაგრებს—აღმზრდელობითი მნიშვნელობას ეთშრომისა. ცხადია: მათ კარგად იციან, თუ რას აკითხებენ მოზარდებს (თუ მოზრდილებს რას უკითხავენ). ყოველ შემთხვევაში, მათ აქვთ სრულიად ვარკვეული შეხედულება წიგნის აღმზრდელობით მნიშვნელობაზე და, ბუნებრივია, უნდა ჰქონდეთ შეხედულება თითოეულ წიგნზე უკანასკნელთა ამ მხრივ სარგებლიანობის თვალსაზრისით (ეს მოსაზრება იყო მიზეზი, საქართველოდან რომ ეკითხებიან ექვთიმე მთაწმიდელს, თუ რა და რა წიგნი არ არის დასაშვები საკითხავად...) (იქვე, 282).

„ღირსთა მისთა“ ე. ი. ღირსეულ ადამიანთა აღმზრდელობითი მნიშვნელობა:

დრო და დრო ღმრთის მოწყალება გამოაჩენს „ღირსთა მისთა“ „ნუგეშინის-საცემლად უძღურისა ამის და დახსნილისა ნათესავისა ჩუენისა განმაძლიერებლად და განმამხლობელად, რათა ხედვითა და სმენითა სათნოებათა მათთათა შურად და ბაძვად ღირსეებისა მათისა აღვიძვროდით და ძალსა მას საცნაურსა სულის ჩუენისას, ვითარცა მთოარესა, ეგრეთ განვახლებ-

დეთ, რომელ ღამესა შინა ამის ცხოვრებისასა, ვითარცა დღესა შინა, მეცნიერად ვიდოდით...

ღირსთა მოღვაწეობის დანახვა თუ მოსმენა ჩვეულებრივ ადამიანს, ხალხს ბაძვად, შურად (შეჯიბრებად) აღძრავს, ორბის (არწივის) სიჭაბუკეს (თვალთა ელვისებური სისწრაფე, ფრთების სიმტკიცე-მოუღლელობა, ენერგიის უშრეტობა), ე. ი. ახალგაზრდულ ენერგიას ანიჭებს, მთვარის თვისებას განახლებისას წარმოუჩენს—სულიერად განახლებს, რომ ცხოვრების ბნელში, როგორც დღის სინათლეზე, გზა ადვილად გაიკვლიოს... (იქვე, 284).

ეფთვიში იყო „მნათობი ნათესავისა ჩუენისა“, ის ამობრწყინდა „გონიერთმყოფელად ნათესავისა ჩუენისა და განმაბრძნობელად უგუნურებისა ჩუენისა“, მან უმეცრებისა საბურველი მოსძარცვა გონებათა ჩუენტა“, მან „ნაკლულევიანება ენისა ჩუენისა აღავსო და, რომელნი ესე ბარბაროზად წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლელობისათვის და უმეცრებისა ჩუენისა, მასთანვე აღგვერაცხნა“.

რით ქმნა ასეთი რამ ეფთვიმემ? ქრისტიანულ საღმთისმეტყველო ლიტერატურის ბერძნულიდან ქართულად გადმოთარგმნით, „სივრცითა და სიმაღლითა ღვთივ თარგმნულთა მათ წმინდათა წიგნთა მისთათა“ ე. ი. ასეთ თარგმანთა „სივრცითა“ და „სიმაღლითა“ ანუ სიმრავლით (ე. ი. ოდენობით ნაყოფიერი) და თარგმანის ღირსებით (ე. ი. მისი უნაკლულობით).

მაშ, უმეცრებიდან „მეცნიერებად“ მოსვლისათვის, ბარბაროზობიდან ელინად (ე. ი. კულტურულ ადამიანად) ქცევისათვის, ბიოგრაფის აზრით, აუცილებელი იყო იმ სიბრძნის შეთვისება, რომელიც საღმრთისმეტყველო ლიტერატურაში იყო დაუნჯებული. მის ჩვენ ენაზე გადმოთარგმნა და შესწავლა საამისო ერთადერთ გზად ითვლებოდა (იქვე, 284).

საღმრთისმეტყველო ლიტერატურის მთარგმნელი გიორგი არის „მუშაკი საღმრთოსა მადლისა“ (იქვე, 285).

ბიოგრაფი ასწერს თავისი მასწავლებლის ცხოვრებას „შემდგომად ნათესავთა საწურთელად და გულისხმისსაყოფელად“, ისევე როგორც თვით გიორგიმ ასწერა ექვთიმეს ცხოვრება „სახედ და ხატად სათნოებისა მომავალთა ნა-

თე ს ა ვ თ ა თ ვ ი ს“. მამ, სწერს (სწერენ) სრულიად გარკვეული მიზნით: ჩამომავლობის აღსაზრდელად („საწურთელად“) და გასანათლებლად („გულისხმის საყოფელად“). ასეთი თხზულება კი არის სასწავლო წიგნი. ეს მიზნები (პედაგოგიური) გარკვეულ სახეს აძლევდნენ თხზულებას: სწერდნენ არა ყოველივეს, რაც იცოდნენ (ვთქვათ, გიორგის შესახებ), არამედ იმას, რაც იყო „შუენიერებად აღწერისა“ (იქვე, 284—286).

იაკობმა, გიორგის მამამ, თრიალეთში ნახა ქალი:

„იხილა რა შუენიერება ხატისა მისისა და ნარნარი ხგი და დაწყნარებული ქცევა მისი და განკრძალული სახე“ — მოეწონა ის და მშობლებს მისი ხელი სთხოვა.

მამ, ქალს უნდა ჰქონოდა სილამაზე (შუენიერება ხატისა), „დაწყნარებული ქცევა“ და „განკრძალული სახე“ (მორიდებულობა). აქ პირველი თვისება ბუნებრივია, ხოლო მეორე და მესამე აღზრდას შედეგია. აქ ქალის აღზრდილობის იდეალია წარმოდგენილი, რაც თავისთავად გულისხმობს აღზრდის საქმის ცოდნა-მოხმარებას მშობელთა და აღზრდილთა მიერ (იქვე, 235).

გიორგის დედ-მამამ პირველი ქალი, თეკლა, შვიდი წლის როცა შეიქმნა, მონასტერში წაიყვანეს. წინამძღვარმა აიყვანა ის და „ვითარცა შვილი თვისი კეთილად აღზარდა“.

ეს თეკლა მონაზვნად იყო შეწირული. რომ იდეალური მონაზონი ყოფილიყო, ბავშვს თავიდანვე — შვიდი წლიდან — მონასტერში აძლევდნენ აღსაზრდელად. ცხადია, არსებულები იყო უნდა სამონაზვნოდ აღზრდა განსხვავებული საეროდ აღზრდისაგან... მონასტერში შეიძლებოდა სამონაზვნოდ „კეთილად აღზრდა“ ე. ი. უნდა არსებულები იყვნენ და სხვა სისტემა აღზრდის; საეროდ და სამონაზვნოდ (რომ ამას გარდა სხვაგვარი აღზრდაც არსებობდა, ეს ცხადია და ცნობილია, მაგრამ მათ შესახებ აქ უადგილო იქნებოდა საუბარი) (იქვე, 286).

მარიამს, გიორგის დედას, ძილში ეჩვენა; შვილი გეყოლება, გიორგი დაარქვი და ღმერთს შესწირეო. და ბიოგრაფი ურთავს: „ბერძულთა ენითა გიორგი მუშაკად გადმოითარგმანების“...

„ნათესავთა საწურთელად“ და „გულის-ხმის საყოფლად“ დაწერილი ეს თხზულება, ბუნებრივია, სასწაულებრივს უხვად უშვებს. ესევე მიზნები ავალბებენ მას იდეალიზაციას... აქ სინამდვილე შესაძლებლობას (მაშინდელი გაგებით) ეთხზვის და პედაგოგიურად გამართული ნაშრომი გვეძლევა... (იქვე, 286).

გიორგი დაბადებამდის მონაზვნად იყო შეწირული.

როგორც კი შეიქმნა შვიდის წლის, ის „მონასტერსა ტაძრისსა დისა თვისისა თანა წარგზავნეს და შეჰვედრეს ღმერთსა“.

შვიდი წელი, როგორც ჩანს, მიღებული ყოფილა საკმაო ჰასაკად, რომ ბავშვი დედ-მამამ მოცილოს და აღსაზრდელად გასცეს.

ჩანს, სწავლა-აღზრდა იწყება შვიდი წლიდან... (იქვე, 287).

შვიდი წლის გიორგი მონასტერში წაიყვანეს. იგი „სიყრმესვე თვისსა მშობელთა მოღვაწეობისაგან დააკლდა“.

შვიდი წლის ბავშვი ჯერ კიდევ „ყრმა“ (იქვე, 287).

როგორც „მორჩი კეთილი აღმოცენებასვე თანა თვისსა ყოფადსა მას წარმატებასა აუწყებს ქვეყნის მოქმედთა“, ასევე გიორგიო „მოასწავებდა წინასწარვე გამოღებად ნაყოფსა მას, რომელი ყოფად იყო, რამეთუ სიმახვილითა და მოსწრაფებითა გონებისათა საგონებელ იყო მხილველთაგან თუ: „აღუთავებასა თანა მეყუსეულად ნაყოფსა გამოიღებსო“.

მაშ, მაშინდელი პედაგოგიური შეხედულებით ნერგი უნდა ყოფილიყო „კეთილი“, რომ აღმოცენებისასვე თავისი მომავალი წარმატება ეუწყებინა, ე. ი. აღამიანს დაბადებითვე დაჰყვებოდა „სიკეთე“, ანუ ბუნებრივი ნიჭი, რომელიც საწინდარი იყო კეთილი ნაყოფის გამოღებისა. ასეთ ბუნებრივ ნიჭად ითვლებოდა „სიმახვილე და მოსწრაფება (ე. ი. სისწრაფე) გონებისა“ (იქვე, 287).

მაგრამ თანდაყოლილი ნიჭი არ კმაროდა: აუცილებელი იყო „აღზრდა კეთილად“ და გიორგიც „ვითარცა ახალნერგი შუენიერი“, იზრდებოდა მონასტერსა მას შინა და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა დედაკაცისა მისგან ღირსისა, დისა თვისისა.

ამ დროს ის იყო 7—10 წლებს შორის (იქვე, 287).

„სიჩიოთგანვე თვისით მკვირცხლ იყო ღუთისა ყრმა იგი და ვითარცა დაყო მონასტერსა მას შინა სამი წელი და იქმნა ჰასაკითა ათისა წლისა, ხოლო გონებითა, ვითარცა მხცოვანი და მოხუცებული იხილვებოდა საკვრველად მხილველთა და მსმენელთაგან“. ათი წლის ყმაწვილი საკმაოდ განვითარებულია გონებით (იქვე, 287).

როგორც ეხლაც, ისე ძველ დროსაც, ბუნებრივია, ყოფილა სოფლად „ჩუეულებად ყრმათა ველად განსლვისა მღერად და განცხრომად“... ე. ი. თამაშობა-შექცევად (იქვე, 287).

ბიოგრაფი განაგრძობს: „აქა სრულ ვყო სამცხეს ზრდილობისა მისისათვის სიტყუა და მერმე მოვიცვალო გონებითა და ხახულის მისვლისა და სწავლისა მისისა და ვთქუათუ სრულად განათლებისა მისისათვის ყოველივე სულ მცირედ და მოკლედ მოგიხრა...“ (იქვე, 287).

ყრმა იზრდება, ჰაბუჯი სწავლობს და კაცი განათლებულად.

აქ სწავლა-აღზრდის სამი საფეხურია თითქო წარმოდგენილი: ყრმობის, როცა მთავარი ყურადღება აღზრდას (ბუნებრივს და ხელოვნურს: „კეთილად აღზრდას“) ექცევა, შემდეგ ჰაბუჯობის ემს, მთავარი ყურადღება სწავლას ექცევა, რაის შემდეგ ადამიანი „სრულად განათლდება“ (იქვე, 288).

გიორგი დიდ აზნაურთაგანი არაა. ბიძა მისი „კურაპალატის“ (ალბათ ბაგრატ III) „მწერალთა ზედა მთავარ“ ყოფილა.

ცხადია, კურაპალატს ჰყავს მწერლები, რომელთა „მთავარი“ არის გიორგი ათონელის ბიძა. სამწუხაროდ, საბოლოოდ დადგენილი არაა, თუ ვის ეწოდებოდა ამ დროს მწერალი, წიგნების გადამწერს, თუ საქმიანი საბუთების შემდეგენელს, თუ ანგარიშის მწარმოებელს ან თუ იმ დაწესებულებებისას? უკანასკნელთათვის ჩვენ გვაქვს სრულიად გარკვეული ტერმინი — მწიგნობარი. ეს ტერმინი XI საუკუნეშია იხმარება (და გაცილებით ამაზე ადრეც). ამიტომ შეიძლება, თითქო ვიფიქროთ, რომ ბიოგრაფის „მწერალი“ არის საეკლესიო

(თუ საერო) წიგნთა გადამწერი. მაშინ მივიღებდით, რომ „კურაპალატს“ შეუქმნია მთელი დასი წიგნების გადამწერთა, რომელთა მეთაური ყოფილა გიორგი მწერალი. მართალია, ამის დამადასტურებელი პირდაპირი ცნობები ამ ხანისათვის არ მოგვეპოვება (ან უკეთ, საამისო დაკვირვება არაა შესრულებული), მაგრამ ეპოქის გათვალისწინებით ჩვენ სრული უფლება გვაქვს ამ დროისათვის ასეთი რამ ვივარაუდოთ. ცნობილია, მაგალითად, თუ როგორ ზრუნავენ ქართულად საღვთისმეტყველო ლიტერატურის გადმოთარგმნა-გავრცელებისათვის X—XI ს-ის მეფე-ფეოდალები: დავით კურაპალატი, ბაგრატ კურაპალატი, მელქისედეკ კ-ში, ბაგრატ IV, მარიამ დედოფალი, იოანე ბანელი, გიორგი II, ლიპარიტ ქართლის ერისთავი და სხვა.

დავით კურაპალატი, მაგალითად, „ზედაისზედა მოუწერნ, რათა თარგმნიდეს და წარსცემდეს“.

ამ დროს წიგნის გავრცელება ადვილი საქმე არ იყო. მასალა (ეტრარატი) და გადაწერა დიდ ხარჯს მოითხოვდა და მდიდარსა და ძლიერ ორგანიზაციებს (თუ პირთ) შეეძლოთ მხოლოდ მათი მრავლად გავრცელება. პროფ. ივ. ჯავახიშვილი სრულიად სამართლიანად ვარაუდობს, რომ X—XII ს-ში ჩვენში უნდა არსებულებოდა წიგნების გადამწერთა ამხანაგობანი. პ-ლი მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ხშირად ერთი და იგივე წიგნი გადაწერილია „ხელითა სამთა მწერალთა“, „ხელითა ორთა მწერალთა“ და ა. შ. რომ ეს „მწერლები“ უსასყიდლოდ არ შრომობდნენ, ეს ამავე წიგნების „ანდერძებიდან“ ჩანს. XI ს-ის ერთი წიგნის ანდერძში გადამწერი ჩივის: მართალია, ჩემი წიგნი ცუდი ხელითაა დაწერილი, მაგრამ, რა ვქნა, „სხუაი ღონე არა მქონდა, საფასისაგან გლახაკ ყოვლად ვიყავ და უსასყიდლოდ არავინ დამიწერდა“ (ქრონ. 1, 209). ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელში დაცულ ცნობაზე დაკვირვებით პროფ. ივ. ჯავახიშვილი ერთსაშუალო ტანის წიგნის მდიდრულად შემზადებას 20—24 დრაჰკნად ანგარიშობს. ათონის მონასტრის ბერს თეოფანე ხუცესს, რომელიც იყო „სწავლული ფრიად და ხელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოთა“ უფროს ათას ხუთასისა დრაჰკნის უწერიან წიგნნი მონასტრისანი შინა და გარე“ (ც-ბა ი-ესი და ეფ-მესი, 57). ასეთ ცნობათა გათვალისწინებით სრულიად მართებულია ვივარაუდოთ წიგნების გადამწერთა ორგანიზაციები. ამნაირი ორგანიზაციები შესაძლებელია არსებულებუყვნენ როგორც მონასტრებში, ისე საერო და საეკლესიო ფეოდალთა კარზე.

ასეთ კონტექსტში გიორგი ათონელის ბიძა, „გიორგი მწერალი რომელიც ყოფილიყო მწერალთა ზედა მთავარ კურუპალატისათა“, ბუნებრივია, გავიგოთ, როგორც იმ ორგანიზაციის სათავეში მდგომი მო-

ხელე, კურაპალატის კარზე რომ იყო შექმნილი ათონიდან (თუ სხვა ადგილებიდან) მოსული ნათარგმნი წიგნების გადასაწერ-გასავრცელებლად (იქვე, 288).

10 წლის გიორგი მამამ ხახულს მიიყვანა. აქ ბერობდნენ მისი ბიძები გიორგი მწერალი და საბა. როცა ამათ „იხილეს გონიერებაი იგი და დაწყნარებულება სახისა მისისა და უშფოთველი იგი და აღუძრველი ქცევაი მისი, განიხარესო“.

ამ შეხედულებით, მაშ, ყმაწვილისათვის იდეალად ითვლებოდა: გონიერება (აზროვნების უნარი), დაწყნარებულება სახისა, უშფოთველი და აღუძრველი ქცევა.

თუ პირველი ორი თვისება შეიძლება თანდაყოლილი იყოს, მეორე ორი „კეთილად აღზრდის“ შედეგითაა... (იქვე, 289).

ხახულს მიყვანილი გიორგი ჯერ კიდევ ყრმა იყო: ის ათი წლის იყო, მაგრამ „მოხუცებულობითა შემკული“ „დაჰაბუკი სიბერითა განუუენებული“ იყო, ვითარცა იტყვიან დიდი ბასილი: „არამედ მხცე არს სიბრძნე და გონიერება კაცთა შორის, თუ არა სისპეტაკე თმათა არად სარგებელ არს“.

იდეალია: სიბრძნე და გონიერება ყრმისა.

მხცოვანია და პატივსაცემი ის, ვინც ბრძენი და გონიერი და არა მხოლოდ თმა-თეთრი... (იქვე, 289).

როცა გიორგი მოიყვანეს ხახულის ლავრას, მაშინ იქ იყო „მოძღვარი და განმანათლებელი ქუეყნისა ჩუენისა“ დიდი ბასილი ბაგრატი-ძე.

რით იყო ბასილი ბაგრატი-ძე „მოძღვარი (მასწავლებელი) და განმანათლებელი ქუეყნისა ჩუენისა“ — არ ჩანს. იყო ის საერთო ხელმძღვანელი, დიდი ქონების დამდები და წიგნების გადაწერის საქმის მატერიალურად უზრუნველყოფელი. თუ ის თვით იყო გადამწერი? უფრო საფიქრებელია პირველი (სწორედ ასეთი განმანათლებელი იყო თორნიკე) (იქვე, 289)).

გიორგის ბიძებმა „განიზრახეს“ „თანა-ზრახვითა“ მამათათა (ხახულელ ბერთა: მაკარი წინამძღვარი, ბასილი ბაგრატი

ძე და ანტონი), „რათა პირველ ყოვლისა ღუთივ სულიერსა ვისმე და მწყემსსა კეთილსა შეჰვედრონ... (გიორგი)., რათა სულიერითა ჰასაკითა აღორძინდებოდის და საღმრთოთა მათ სწავლათა სძესა მის მიერ სუმიდეს და სისრულედ სათნოებათა წარმატებოდის“...



ჰხელავენ, ყრმას დიდი მომავალი აქვს; საჭიროა მისი სათანადო სწავლა-აღზრდა. ბიძები სხვა წარჩინებულ ბერებთან ერთად მსჯელობენ, თუ ვის მიაბარონ ყმაწვილი, „რათა სულიერითა ჰასაკითა აღორძინდებოდეს (ე. ი. რათა ხორციელ ზრდასთან ერთად სულიერადაც — ე. ი. სწავლის მხრითაც — იზრდებოდეს) და „სისრულედ სათნოებათა წარმატებოდეს“ (იქვე, 290).



ხახულის ლავრაში ილარიონ თუალელი განთქმული მოძღვარი იყო, სათნოებამოძღვაწეობაში მას ვერავინ შეედრებოდა.

ამ ილარიონს მიაბარეს გიორგი და „მონაზონებისა წარმართებად ევედრებოდეს“, ე. ი. ყმაწვილის მონაზვნად აღზრდა სთხოვეს. მანაც შეიწყნარა თხოვნა და „წესიერების მიმართ და სათნოებისა წუერთად იწყო“, ე. ი. ყმაწვილის სამონაზვნოდ აღზრდა იწყო. ილარიონ მოძღვარი აღმზრდელია და არა წიგნის „მასწავლებლი“ (იქვე, 290).



25 წლის გიორგი მონაზვნად შედგა. თუმცაღა „მონაზონი იყო სიყრმიდან, წუთ კურთხევა მონაზონებისა არა მიიღო, რამეთუ მოძღვარი მისი სულიერი და ღუაწლთა მიმართ მონაზონებისათა მწურთელი, დიდი ილარიონ წუთ ხორცთადა შინა იყო, და ხელთაგან მისთა მიიღო კურთხევა მონაზონებისა, რამეთუ იგი იყო პირველი მოძღვარი მისი და მიზეზი ყოვლისა კეთილისა (იქვე, 293).



გიორგი შავ მთას მივიდა. ის ამ დროს 25 წელს გადაშორებული იყო. 18 წლოვანი სწავლის შედეგად ის სავსებით „განათლებული“ კაცი იყო.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ყოვლისა პირველად იწყო ძიებად წი-

ნამძღვრისა და მოძღვარისა სულიერისა, რამეთუ უწყოდან ვითარმედ: „თვინიერ მტძღვრისა არა არს ცხოვრებაი სულისა და წარმართებაი მონაზონებისა და პოვა მთასა საკვირველსა ნაპრალსა შინა კლდისასა ბერი წმიდა შეყენებული, ვითარცა გვიჩი უბიწო და ტრედი უმანკო, კაცი ზეცისა და ანგელოზი ქუეყნისა“... „გიორგის ვიტყვი დაყუდებულსა“...

ამას „დაემოწაფა ნეტარი ესე“.

ამჟამად: მოძღვარი აქ მოწაფის მოღვაწეობის წარმართველია და არა მისი საღმრთო წერილის მასწავლებელი.

საერთოდ უნდა ითქვას: მოძღვარი უპირატესად წეს-სათნოების შავალითა და მასწავლებელი, მწრთენელია, აღმზრდელია და არა წიგნის (თუნდაც საეკლესიო) მასწავლებელი. მასწავლებელს ძველ ქართულად „მასწავლელი“ ერქვა და არა მოძღვარი. მოძღვარი ის იყო, ვინც მიუძღოდა ვისმე, წარმართავდა საითკენმე (აქედან: „დამოძღვრა“ ნიშნავს სწორ, უცთომელ გზაზე დაყენებას). ამიტომაც მოხდა, რომ მოძღვარი ეწოდა ისეთ პირს, რომელსაც ჩვეულებრივ თავიანთ ცოდვებს (სულიერს თუ ხორციელს, ე. ი. ფიქრს, აზრს, ზრახვებს თუ მოქმედებას) გაანდობენ, ის კიდევ სათანადო წესებს და გზებს უჩვენებდა „სულით შეურვებულს“ „წარწყმენდისაგან“ თავის დასაღწევად. მოძღვარი ეს იყო „სულისა... კეთილისა მასწავლელი და უწესობისა დამაყენებელი“ (გვ. 290). რა თქმა უნდა, მოძღვარი უნდა „მეცნიერი“ ყოფილიყო საეკლესიო სწავლათა, რომ ვინმე დაემოძღვრა, რომ მოძღვრობა შესძლებოდა. მით უფრო დიდი სათნოებითა და მეცნიერებით აღჭურვილი უნდა ყოფილიყო დიდი მონასტრების მოძღვართ-მოძღვარი, რომელიც მთელი ორგანიზაციის გონებრივ ცხოვრებას წარმართავდა. ამიტომაც უნდა რქმეოდეს მოძღვართ-მოძღვარს პრონო (რაც ბრძენს ნიშნავს). XVI ს. დასაწყისს გელათის მოძღვართ-მოძღვარს ილარიონს პრონო ეწოდება (იქვე, 293).



აღზრდის გვერდით და მისგან განცალკევებულად პატარა გიორგის „უწყეს სწავლათაცა საეკლესიოთა და სამღვდელოთა, რომელთა შინა უმეტეს ყოველთა ჰასაკის სწორთა მისთასა წარემატა“.

აქედან შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ ჩვენ სკოლასთან ვვაქვს საქმე, რომ ხახულის ლავრასთან არის სკოლა, სადაც ჰასაკით სწორნი (ერთი ხნისანი) სწავლობენ „სწავლათა საეკლესიოთა და სამღვდელოთა“. თითქო მართლაც ამას გულისხმობს ბიოგრაფის მიერ შედარება,

რომ გიორგი „უმეტეს ყოველთა ჰასაკის სწორთა მისთასა წარმატა“-ასეთ გაგებისას უნდა დაგვეშვა, რომ ეს სკოლა მონასტერთანაა და რომ მოსწავლენი გარშემო ადგილებიდან მოდიან ან კიდევ გიორგისავეთ ამ ყმაწვილებსაც ჰყავთ აქ მონასტერში გავლენიანი ახლონათესაეები და რომ ეს ყმაწვილებიც მონასტრის მამისა და სხვა გავლენიანი მონაზვნების მიერ ნაკურთხნი „ეკლესიის ევლოგიის მონაწილენი“ იყვნენ და აქვე მონასტერში ცხოვრობდნენ...

დასასრულ, შეიძლება ასეც გავიგოთ: გიორგის მარტოს ასწავლიან. აქ სკოლასთან არ გვაქვს საქმე და ბიოგრაფი ზოგადად ადარებს გიორგის წარმატებას მისი ჰასაკის სწორებთან. სიფთხილეს ის გარემოება გვაძლავს, რომ ამ ხანების სამონასტრო წესდებათა თანახმად „ყრმა უწუერული“ (ე. ი. „შეუღამავი“ ახალგაზრდა) მონასტერში „ყოვლადე“ არ დაიშვებოდა. უეჭველია, ამ საინტერესო საკითხს შემდეგი დაკვირებები გადაწყვეტს (იქვე, 290).

ათი წლის გიორგიმ „მეყსა შინა (ე. ი. სწრაფად) ზეპირით დაისწავლა საგალობელნი იგი საწელიწდონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი“.

ამავე დროს „სადმრთოთა წიგნთა“ კითხვაში „უაღრეს ძალისა თვისისა, დაშურა და გამოიკადა“... „და მაშინდელი იგი წერილთა გულისხმის ყოფა, ვითარცა წინდი რაიმე, მომავალთა საქმეთათვის მიიღო“.

„...და სადმრთო წერილნი... რომელნი ოდენ ჩუენსა ენასა პოვნა, ყოველნივე კეთილად გულად იხუნა“.

ამრიგად: საგალობლებს ზეპირად ასწავლიან, გალობაშიაც ავარჯიშებენ და ქართულ სადმრთიმსმეტყველო ლიტერატურას („ძველის და ახალი სჯულის“ — ე. ი. დაბადება-სახარება-სამოციქულო) განუწყვეტლად აკითხებენ.

კარგად იციან, რომ ბავშვობაში „წერილთა გულისხმის-ყოფა არის წინდი“ (საწინდარი), ე. ი. საფუძველი „მომავალთა საქმეთათვის“ (იქვე, 290).

ხახულში გიორგი 3 წელს სწავლობდა. 1021 წლის შემდეგ ახლო დროში ის თავის ბიძა, გიორგი მწერალთან ერთად კონსტანტინოპოლშია. ის ბიძამისის ფერის ჯოჯიკის-ძის მეუღლეს მარიამს ახლავს აქ. ამ მანდილოსანმა და გიორგი მწერალმა „სასწავლოდ მისცეს ყრმა იგი გიორგი კაცთა ფილოსოფოსს“

თა და რიტორთა ორთავე ცხოვრებითა შემკობილთა არ ერისკაცთა, არამედ მონაზონთა და ლუთის მოშიშთა და ყოველთა მიერ წამებულთა: საინტერესოა, რომ ბიოგრაფი ხაზს უსვამს იმ გარემობას, რომ ეს მასწავლებელი ყოველთა მიერ „წამებულნი“ იყვნენ როგორც ცოდნით, ისე ზნეობით (წამებულნი, ე. ი. ცნობილი). ასე რომ მასწავლებელს არჩევდნენ იმის მიხედვით, თუ როგორი ცოდნისა და როგორი ზნეობისა იყო ის (იქვე, 291).



იდელური მოწაფე — „გულს-მოდგინეა, მოსწრაფე და გონება მახვილი“... გიორგი „მახვილთა გონებითა და მრავალ-ჟამ გამოცდილთა მოსწრაფებითა წარებატა და მოსწრაფეთა გულსმოდგინეთა სიმახვილითა გონებისათა აღებატა და ორკერძოვე სრულქმნულთა ერთ კერძო თანაწარაჰხდა, ვიდრეღა დიდად განკვირდეს ყრმანი იგი ბერძენთანი მისსა მას ეგოდენსა მოსწრაფებასა და სიმახვილეს გონებისასა, ჰნატრიდეს გულ-მოდგინებასა მისსა და ძალისაებრ ბაძვად მისსა აღიძრვოდეს“.

აქ უკვე სკოლაა, სადაც ყრმანი ბერძენთანი სწავლობენ.

მოსწავლისათვის მოსწრაფება—გულისმოდგინება აუცილებელია, მაგრამ, თუ მას სიმახვილე გონებისა არ დაჰყვება, ის „ორკერძოვე სრულქმნილი“ ვერაა.

ასე რომ ერთი მხარეა ბუნებრივი ნიჭი — გონების სიმახვილე, მეორე არის სურვილი და შრომისმოყვარეობა. ამათი სინთეზი იძლევა „სრულქმნულობას“... (იქვე, 291).



გიორგიმ ამ სკოლაში „სწავლასა მას შინა“ დაყო „ათორმეტი წელი“ და, ვითარცა ქუეყანამ (ე. ი. მიწამ), კეთილი თესლი სწავლულობისა შეიწყნარა ორნატთა (ე. ი. ხნულთა) შინა სულისა თვისისათა, რომელი იგი ჟამსა თვისსა გამოღებად ედღვა....

საკმაო არ იყო სწავლულების კეთილი თესლი, ე. ი. კარგი სწავლა-მოძღვრება, მთავარი იყო ამ თესლის შეწყნარება, სულის ხნულეებში მიღება მისი, რომ შემდეგ, სადაც ჯერ იყო, წარმოეჩინა, ე. ი. მთავარი იყო სწავლის შეთვისება, რომლის გარეშე კეთილი თესლიც კი უნაყოფო იქნებოდა...

სწორი მოძღვრება და სწორი შეთვისება ერთი იდეალური სასწავლო მთლიანობა იყო.

...„ზოლო ყრმა ი ვიორგი წარვიდა ხახულს მამის ძმისა თვისისა თანა საბაისა და, ვითარცა იქმნა ოცდა ხუთის წლის, ტკბილსა მას უღელსა მონაზონებისას ქედი თვისი ნოუდრიკა“.

ოცდა ხუთი წლის კაცი—„ყრმა“?

უნდა ვიფიქროთ, „ყრმა გ-ი“ აქ ნახმარი აქვს ბიოგრაფს ბიძა მის გიორგისაგან განსხვავებულად, რომლის შესახებაც აქვე ლაპარაკობს: „...თანაწარიყვანა ყრმა გიორგი მამის-ძმისავე თვისისა“... (იქვე, 291).

ბიოგრაფს, ბუნებრივია სურს უპასუხოს კითხვაზე; რად გახდა აუცილებელი X, XI ს-ში მთელი საღმრთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნა: „დადაცათუ პირველთაგანვე გუაქუნდეს წერილნიცა და სარწმუნოებაი ქეშმარიტი და მართალი, გარნა ქუეყანა ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა და, ვითარცა ღუარძლნი რაიმე, დათესულ იყუნეს ქუეყანასა ჩუენსა ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი. გულარძნილნი და მანქანანი და ამის მიერ ფრიად გუევენებოდა, რამეთუ ნათესავი ჩვენი წრფელი იყო და უმანკო, ზოლო იგინი რეცა ცთუნებად გუაზმნობდეს და რომელნიმე წიგნიცა გუაქუნდეს მათგან თარგმნილი.“

ფრიად საინტერესო ცნობაა:

1. ქუეყანასა ჩუენსა, ე. ი. საქართველოში ამ დროს (და უძველეს ხანიდანაც) ცხოვრებულან სომხებიც....
2. სარწმუნოებრივ პაექრობაში პირველ ხანებში სომხები სჯობნიან.

3. ძველი საღმრთო წერილი ყველა არც XI ს-ში ითვლებოდა სომხურიდგან თარგმნილად: „რომელნი-მე წიგნიცა გუაქუნდეს მათგან თარგმნილნი“.

რატომ არს თარგმნეს ხელახლა სახარება? გიორგი „ხან-მეტსაც“ და „საბა-წმინდურსაც“ „კეთილად თარგმნილს“ უწოდებს... მაშ ისინი სომხურიდან არ უთარგმნიათ? თუ გიორგის ჰგონია ასე? ეს საკითხი ჩვენს ამოცანას ამჟამად არ შეადგენს (იქვე, 294—295).

ეფთიმე მთაწმინდელმა „ქუეყანა ჩუენი“ ამით ზემოხსენებულთა ღუარძლთაგან სრულიად განწმინდა მრავლად თარგმანებითა წმიდათა წერილთათა... და წესნი და კანონნი საეკლესიონი დამამტკიცებელნი სარწმუნოებისა ჩუენისანი ესე ყოველნი აღწერილად დაგვიტევნა“ და აქედანო (ე. ი. ათონიდან) „ვითარცა მდინარისაგან ეღემეანისა ნაკა-

დულნი ცხოვრებისანი პირსა ზედა ქუეყანისა და ნათესავისა ჩუენისასა მიეფინნეს“.

ბუნებრივია, გამახვილებული სამეტოქეო პირობები სათანადო სწავლა-აღზრდის საჭიროებას ქმნიდნენ. მოძღვრების ცენტრი შექმნილი იყო (ათონი). საჭირო იყო ამ მოძღვრების სწორად შეთვისება... (იქვე, 295).

გიორგი შეყენებულმა გიორგი ათონელი წიგნების თარგმნად მიავლინა. მოწაფემ დიდხანს არ დაიწყო დავალებული საქმე. ეს „ეუწყა ნეტარსა მას ბერსა, მოძღვარსა მისსა გიორგის... შეწუხნა ფრიად და წარმოავლინა შავით მთით მოწაფე თვისი. კაცი ღირსი და სახიერი, სახელით იოანე; დიდი მღურვა მოუმცნო არღა აღსრულებისათვის ნებისა მისისა. ხოლო ნეტარი ესე არა ურჩებით იქმოდა ამას...“

მოწაფეს „შეეშინა ურჩებისათვის მოძღვრისა თვისისა“ და მღვდლად კურთხეული — წიგნების თარგმნას შეუდგა... მოწაფე მოვალეა აღასრულოს. მოძღვრის ნება (იქვე, 297).

ბიოგრაფი ასწერს, თუ როგორი შიშით და კრძალვით მიიღო გიორგიმ მღვდლობა და ურთავს: „არა იყო ეგვეითარი, ვითარ ესე აწ: მრავალნი პირველ თავისა თვისა განწმენდისა სიტყვით განწმენდილ იქნებიან და ვითარცა უნდოსა რაისამე საქმისა მიმართ, ეგრეთ მღვდელობისა მიმართ მიისწრაფიან და პირუელ წუერთა გამოსვლისა მოხუცებულთა უმოძღვრიან“...

მღვდლობა და მოძღვრობა გაადვილებულა. სიტყვით გაწმენდა საკმაოდ მიაჩნიათ და უწვევრულებსაც კი მოხუცებულთა და მოძღვრის კადნიერება აქვთ... ყოველი ეს უტყუარი ნიშანია ახალი ხანის: გონება, აზრი ლამობს გადალახოს მოცემული სწავლის (სქოლასტიკურ-ქრისტიანული მოძღვრების) მიუწვდომლობა. ახალგაზრდობა (უწვევრული) ყოველთვის ნოვატორია — აქაც ის ცდილობს სწრაფად ათვისოს ქრისტიანული სიბრძნე და ამ სიბრძნის მასწავლებლობას ჰბედავს, მოხუცებულთაც კი უმოძღვრის... მღვდელობა ამიერიდან მიუწვდომელი, განუზომლად მაღალი და საშიში (როგორც ამას გვისახავენ „რომანტიკოსები“ გიორგი მერჩული და გიორგი ხუცეს-მონაზონი, უკ-ლი ნაკლებ, ვიდრე პირველი) კი არ არის, არამედ ადვილმისაღწევი სწავლა: ახალგაზრდობის მიერ აღებული სიმაღლე...

ყველა ეს მაჩვენებელია წინსვლის, სწავლის გავრცელების, ქრისტიანული სქოლასტიკის ათვისება-დაძლევის, გონების, აზრის წარმატე-

ბის, საერო „სულის“ გაძლიერების, ახალი ეპოქის დაწყების... (იქვე, 297).

გიორგი ათონის მამასახლისი იქმნა. ის ასკეტურ ცხოვრებას შეუდგა „და ყოველნი სათნობანი თავსა შორის თვისსა დაიუნჯა და თავი ავისი ყოველთა სახედ დაუდვა, არა სიტყვით ასწავლა, არამედ საქმითა უჩვენა გზანი საუკუნოსა ცხოვრებისანი სამწყსოთა თვისთა“.

სწავლება ორგვარად შეიძლება: სიტყვით და საქმით. უკანასკნელის უპირატესობა უდავოა, როცა საქმე სათნოების სწავლებას შეეხება.. (იქვე, 298).

გიორგიმ ექვთიმე ათონელის ცხოვრება დაწერა „და ხატად ცხოველად დაძეგლად პირმეტყველად მომავალთა ნათესავთა აღგვიმართა, რომლისა იგი მკითხველი და მსმენელი სულით და ხორციით განათლდებიან“...

აქ სრულად აქვთ შეგნებული მიზანიცა და საშუალებაც აღმზრდელიობითი მნიშვნელობის სასწავლო წიგნის დაწერისა (იქვე, 299).

გიორგიმ მამასახლისობას თავი დაანება. თავისუფლება მიიღო და სვიმონწმიდას მოვიდა. აქ მარიამ დედოფლის წყალობით „სამიკაცისა პური აღიღო“ და თარგმნას შეუდგა. ეს სამიკაცი, ჩანს, მისი გადამწერლებია (იქვე, 309).

გიორგისაო „უფროსნი წიგნი ღამით უთარგმნიან, და ესრე, შესვენებლად თარგმნიან... დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შურებოდა, რომელთა მიერ დაატკბონა ჩუენი და წმინდანი ეკლესიანი განაშუენნა და წერილთა თვისთა ოქროთა განამდიდრნა უხვად და გარდარეულად“ (ი. ი. ქარბაღ).

გიორგიმ ზოგიერთი წიგნი

1. პირველად თარგმნა;
2. „ოდესმე თარგმნილნი, ვერკეთილად გამოდებულნი, გინა თუ ეამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მხმარებელთაგან დაგესლე-

ბულნი... ბრძმედსა მას შინა გონებისა თვისისასა გამოადვნა და გამო-
ახურვნა“.

3. ეფთიმეს მიერ შემოკლებულად თარგმნილნი „განასრულნა და
განაერცნა“.

4. რომელნიმე ბერძულსა შეაწამნა, სიტყვა — დუხჭირობისა და
ვერაგობისაგან განაშუენა და განაბრწყინვნა, ვითარცა თვთ თავადი
სახარებაი და პავლე“.

ორთოდოქსალობის მწვერვალია:

ზოგი ჭერ სულ არაა თარგმნილი, ზოგი უნებლიეთი შეცდომები-
თაა დაგესლილი „უცებთა“ და უგუნურთა მხმარებელთაგან, ზოგი
მოკლელაა თარგმნილი, ზოგი კიდევ განზრახ დაგესლილია ან კიდევ ას-
ეთი „დედისაგან“ არის გამოღებული.

ამიტომ ზოგს პირველად სთარგმნის, ზოგს შეაწამებს ბერძულს
და გაასწორებს, ზოგს ახლად სთარგმნის, ზოგს განასრულებს და გა-
ნაერცობს... (იქვე, 310).



გიორგიმ 15 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი თარგმნა. თუ რო-
გორ მკაცრად ეპყრობოდა თარგმნის საქმეს, იქიდანაც ჩანს, რომ თუ-
რმე „რომელნი-მე წიგნნი ორკეცად და სამკე-
ცად გარდაწერილი არიან“.

ხოლო წიგნის კულტურისათვის მეტად საინტერესოა
ადგილი: ხოლო თუ ვინმეს „უნდეს ცნობის ძალი თითოეულისა წიგნი-
საი, თუ რაი სწერია, ამისივე წიგნის ბოლოსა პოოს აღრიცხულად და
განმარტებულად თვითეულისა წიგნისა ზანდუკი და ანდერძი
ლუთივ შუენიერად, რომელი წმიდამან ბერმან იოვანე პატრიკმან, პატ-
რიკ ყოფილმან აღწერა რა-ჟამს იგი თავისა თვისათვის გარდაიწერნა
წმიდანი ესე წიგნნი, ყოველი წულილად აღრიცხვა გალობა
და დასდებელნი ფრიადითა შრომითა და გულს-მოღვინებითა“.

წიგნს თან ახლავს „სამეცნიერო აპარატი“ (ამას აქამდისაც ვერ
მივალწიეთ და სამეცნიერო წიგნებს ლექსების უხეირო კრებულივით
ვებეჭდავთ...) (იქვე, 310—311).

ბერძნები (მათი საეკლესიო წრეები) მეტად დაბალი წარმოდგენის
არიან ქართველებზე. ანტიოქიის პატრიარქი ეუბნება გიორგის: „დალაცა
თუ ნათესავით ხარ ქართველი, სხვითა ყოველითა სწავლულებითა სრუ-
ლად ბერძენი ხარ“... ქართველებიო „ნათესავი არს უმეცარი და სამ-
წყსო მცირე“...

„დალაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და
მეცნიერებითა ჩუენივე სწორი ხარ“...

ბერძენი ბერები პატრიარქს მოახსენებენ: მონასტერში სამოცი კაცია ქართველიო. მათო „არა უწყიან, თუ რასა ზრახვენ, ანუ რა არს სარწმუნოება მათი“.

მაგრამ გიორგიმ თვალნათლივ აჩვენა ყოფილ ელინებს (ე. ი. ოდესმე კულტურა-განათლებით შეუდარებლად წინმდგომ ბერძნებს), რომ ქართველები „ბარბაროსები“ აღარ არიან, რომ ყოფილი ბარბაროსები დაეწივნენ ბერძნებს, საკუთარ კულტურულ ფეხზე დადგნენ. მან იწყო: „რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართველთა წრფელი და უმანკო“ და იწყო პასუხი, რაის გამო: „განკვირდა პატრიარქი ეპისკოპოსთა თვისთა თანა სიმახვილესა გონებისა მისისა, რამეთუ, ვითარცა მდინარე დაუწყუდედად, ესრეთ დიოდეს სიტყუანი წმიდათა წერილთანი პირით მისით“... (იქვე, 313—316).

ბაგრატ მეფემოთ გაიგო, ვითარმედ სრულ იქმნათარგმანებაი წიგნთა საღმრთოთა და მოირწყუნეს ეკლესიანი შავის მთისანი წიგნთა მისთა მდინარითა, სულთა განმანათლებელთა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს და უფროს ყოველთასა დიდად იღვაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ-ყოფილმან და თვისისა მონასტრისა ბარლამ წმიდისათვის დააწერინა“. — თვით გიორგისო „გაკეთე თილი შეუქმნა და სიმტკიცე თვისითა ხელითა დაუწერა“... ამის შემდეგ ბაგრატიც მოუწოდებს გიორგის საქართველოში, „რათა.. თქუენ მიერ...გავნათლდეთ და კუალად ეკლესიანი ჩვენნი აღივსნეს მდინარეთა მათგან, სულთა განმაცხოველებელთა წიგნთა თქუენტა“.

სურათი ნათელია: საქრისტიანო ლიტერატურის სრული თარგმანის საჭიროება მომწიფებულა. საკმაოდ არ მიაჩნიათ მხოლოდ საეკლესიოდ სახმარი წიგნები და წრფელობა-უმანკოება, რაც აქამდე სრულიად საკმაოდ ჩნდა. ლიტერატურული (საქრისტიანო ფილოსოფიის, აგაოგრაფიის თუ სხვა) მოთხოვნილება გაიზარდა. გიორგი თარგმანს იწყებს სვინაქსარით „რამეთუ ესე არს საფუძველი ეკლესიათა, რომლისა თვინიერ შეუძლებელ არს წარმართება ეკლესიისა“...

გიორგი თარგმნის, სამი მოწაფე წერს. მონასტრებმა გადაიწერეს, საქართველოში იწვევენ, რომ აქაც განათლდნენ... გიორგი წამოვიდა საქართველოში. მას თან ახლავან მოწაფეები (იქვე, 317).

ბაგრატ მეფემ უფლისწული გიორგი ათონელს შეჰვედრა (ჩააბარა). მოძღვარმა „სწავლანი ლუთივ სულიერნი და მცნებანი საღმ-

რონი აღუწერნა“, მოწაფეს „და მისცა, რათა სამარადისოდ იკითხავდეს და იწუროთ იდეს და რათა უწესოთა კაცთა უჯერო რაიმე და დრკუ არა ასწაონ“... (იქვე, 320).

ათონიდან მოსულ გიორგისთან აღსარებად მოდიან: „მეფე, კათალიკოზი, მღვდელი და დიაკონი, მონაზონი და მოწესე, დიდებული და მთავარი, მდიდარი და გლახაკი“.. და გიორგიმ „განანათლა ყოველ აღმოსავლეთი კაცმან ამან განათლებულმან ღმრთისა მიერ და ყოველივე ცხადი და დაფარული უწესობანი განმართნა“. მოცემულია გადაპარბებული სურათი, მაგრამ ის მაინც შეიძლება დავასკვნათ, რომ გიორგის (ათონის, შავი მთის) ავტორიტეტი დიდია. დიდია ცნობის და ცოდნის მოყვარეობაც და, მაშ, სწავლის სურვილი, რა თქმა უნდა, გიორგისთან მისულთაგან ყველას სწავლა და თეორიულ-თეოსოფიური საკითხები არ აინტერესებდათ. უეჭველია მრავალს სულ სხვა აინტერესებდა, სხვა ნუგეშს ეძებდა სახელგანთქმულ მოღვაწეში (ეს უდავოდ ჩანს იქიდან, თუ როგორ სწრაფად მიიღო ინფორმაცია გიორგიმ მრავალ უწესობათა შესახებ). მაგრამ თვით ეს გარემოებაც საზოგადოებრივი უკმაყოფილების, დუღილის და, მაშ, ცხოველი წინსვლის მაჩვენებელია, — როცა აუცილებელი ხდება „სწავლა“ (იქვე, 321).

სწავლასა და ცოდნის მოწყურებული საზოგადოება დიდი სარბიელი იყო სწავლულისა, დემოკრატის (ის წარმოშობითაც არ იყო მაღალი წრის) და რეფორმისტი ბერისათვის (რევოლუციონური გიორგიში არა იყო რა).. მან ყოველივე ცხადი და დაფარული უწესობანი განმართნა... იწყო მხილებად „მრავალთა უწესობათათვის“ „უშიშრად და თვალუხვაკად, სიბრძნით და გონიერად“:

1. საეპისკოპოსო კათედრების დასყიდვა უღირს პირებზე.
2. სამართლის მიდრეკა მდიდრებისკენ
3. უღირსი მღვდლების კურთხევა
4. საფასეთა დაუნჯება ეკლესიების მიერ
5. გლახაკთა გაუკითხაობა... (იქვე, 321).

გიორგი ათონელმა საქართველოში 80 სული ადამიანი შეკრიბა და აღსაზრდელად წაიყვანა.

ამათგან ზოგი ისეთი იყო, რომ „წუთ არცა მარჯუენე უწყოდეს და არცა მარცხენე“... იყვნენ „პირველსა მას ჰასაკსა ქცევასა შინა; ხოლო სხუანი მეორესა მას ჰასაკსა შინა შესრულნი სიჩხოებისაგან მცირეოდენ დაკლებულნი და ყრმად სახელდებულნი, კუალად მწყობრნი მესამენი მესამესა მას ჰასაკსა შინა სიჭაბუკისათა მოზარდნი და თმათა მათ მამაკაცობისთა მომლოდენი, ხოლო მეოთხენი, განწყობილნი ხუცესთა და მოხუცებულთა და ბერთანი, რომელნი იგი ნეტაით თვისით დაემონავენეს... (იქვე, 325).

გიორგიმ 80 მოწაფე (უკეთ, მოსწავლე) შეაგროვა. და „არა სხუათა მოძღუართა მიერ ასწავლიდა ესოდენსა მას სიმართლესა ანუ თუ სხუათა თანაშემწეთა იხუმევდა, რათამცა თვით მცირედ რამე განისუენა, არამედ ყოვლითურთ თვით ასწავებენ და მოძღურინ მწყობრთა და მწყობრთა, ჰასაკეულთა და ჰასაკეულთა“...

და არ განუსვენიაო... „ვიდრემდის უპირატესთა მათ შემდგომნი შეასწორნა, ხოლო შესწორებულთა მათ შემდგომნი მათნი წარსწინა და ესრეთ, დადაცათუ ჰასაკითა, ერთი მეორისა უმეტეს იხილვებოდა, ხოლო სწავლულეებისა მიერ ურთიერთას მოჰასაკე იყუნეს“.

მოწაფეები გიორგის ჰასაკის მიხედვით უწყობრებად დაუყვია. მისი პედაგოგიური შეხედულებით ეს აუცილებელი იყო (შეიძლება ასე იყო მაშინ საერთოდ).

მაგრამ მასვე შესაძლებლად მიაჩნია, რომ სხვადასხვა ჰასაკის მოსწავლენი „სწავლულეებისა მიერ ურთიერთის მოჰასაკე“ ყოფილიყვნენ, ე. ი. ერთნაირი ცოდნისა ყოფილიყვნენ. მაგრამ ასეთი რამ ჩვეულეებრივი მოვლენა არ ყოფილა და გარკვეულ ჰასაკს თავისი სწავლულეება შეიძლება ჰქონოდა. სწორედ ამიტომაა, რომ გიორგის მიერ ასეთ სწავლებას განსაკუთრებით აღნიშნავს ბიოგრაფი (იქვე, 327).

რა იყო მიზეზი, რომ გიორგიმ ესოდენი ყმაწვილები გაიყვანა განსასწავლადო, კითხულობს ბიოგრაფი და უპასუხებს... „ვინაიდგან შრომა თავსიდვა და მრავალნი წიგნნი ერთარგმნეს და ენება, რათამცა ნათესავმან ჩუენმან და ისწავა, ხოლო ვინაიდგან შეუძლებელ იყო ჰასაკთა სრულთა და განმწყყესებულთაგან სწავლა, ამისათვის ბუნება იგი ლბილი და ჩჩილი, რომელი, ვითარცა ცვილი საბეჭდავსა, ეგრეთ

მიიღებს სწავლულებასა, ესე ვითარი კრებული ორდანოდ შემწყნარებლად სწავლათა თვსთა მოიბოვა, რომლისაგან არა განცრუნვა სასობა მისი“.

მაშ, ამ ოთხმოც კაცს უნდა შეესრულებინა აწინდელი საბეჭდი მანქანის საქმე. მაშინდელი ლიტერატურა უნდა გადაეწერათ და მთელ საქართველოში გაეცრცელებინათ.

მაშინ იმ შეხედულებისა იყვნენ, რომ ჰასაკით სრულსა და განმწყესებულთა სწავლა „შეუქლებელია“, რომ სწავლას უნდა „ბუნება ჩჩვილი და ლბილი“, რომელიც „ვითარცა ცვილი საბეჭდავსა, ეგრეთ მიიღებს სწავლულებასა“ (იქვე, 327—328).

გიორგიმ საქართველოში ხუთი წელი დაჰყო, ამ დროს „გარდაიწერნეს წიგნნი მისნი მრავალთა საეპისკოპოზოთა და მონასტერთა და მრავალნი საეკლესიონი წესნი განმართნა, რომელი რა ნაკლულევანება ჰოა და ყოველთავე: მეფეთა და მთავართა და მცირეთა გზანი საუკუნოსა ცხოვრებისანი ასწავნა; მცნება და წესნი დაუსხნა წერით და უწერელად“... (იქვე, 328).

გიორგი ბერძენთა მეფეს წარუდგა და ქება შეასხა. ბიოგრაფი ასწერს თავის მოძღვარს:... „სიტყვა პირისა მისისა მდაბალი და შემუსვრილი და მსმენელთა სასმენელსა მკვირცხედ შემავალი, რამეთუ საცნობელთა მისთა დაწყნარება შინაგანთა სულისა ძალთა აღუძრველობასა წარმოაჩინებდა, ხოლო სიტყვათა მდაბალთა მიერ და მახვილთა გონიერებასა სულისასა წამებდა“...

მოცემულია სწავლული და მჭერმეტყველ ადამიანის სურათი. აქ მოცემული შეხედულება მჭერმეტყველებაზე — ეს არის მაშინდელი საზოგადოების იდეალი ამ დარგში. მჭერმეტყველი ადამიანის მოცემულ სურათი უდავოდ მოწმობს არა მარტო იმის ცოდნას, თუ ვინ იწოდებოდა მჭერმეტყველად, არამედ იმასაც, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მჭერმეტყველი ადამიანი ქრისტიანული რიტორიკის დაუფლების შემდეგ. ეს კი შესაძლებელი იყო გარკვეული სწავლა-გარჯიშობის ნიადაგზე (იქვე, 331).

ბერძენთ-მეფე (კონსტანტინე დუკა) ეუბნება გიორგის: „პატიოსანო მამაო, მე კაცი ვარ: სამხედროთა საქმეთა შინა აღზრდილი და ვერ წულილად მეცნიერ ვარ ყოველსა“ (საეკლესიო და სარწმუნოებრივ საკითხებში).

ორგვარი აღზრდა აქედანაც დასტურდება:

1. სასულიერო-საეკლესიო
2. საერო-სამხედრო (იქვე, 332)

-
1. ჰასაკი — ჩხვილი (შვიდ წლამდე)
 2. ჰასაკი — ყრმა... (325)
 3. ჰასაკი — ჭაბუკი
 4. ჰასაკი — სრული (327)
 5. ჰასაკი — განმწყსებული (327, 346)
 6. ჰასაკი — მოხუცებული (325)
- სასწავლო ჰასაკია პირველი სამი. 50 წელი სიბერედ არ ითვლება (348).

გიორგიმ თავისი მოწაფეები მეფეს (კონსტანტინე დუკას) წარუდგინა. მეფემ უბრძანა „რათა ეამოზა ათქმოს ობოლთა მათ თვისთა“. გიორგიმ „წმიდისა სვიმეონ მოხუცებულისა გალობაი გვიბრძანა გალობად“... იგალობეს. დიდი მადლი უბრძანა მეფემან... „ბერსა, ვითარმედ: განგისწავლიან ბერძულსა გუარსა ზედა, კეთილო ბერო, შეილნი შენი და ბრძანა ათასი აჟურა მიცემად მათდა“... უეჭველია, აქ იგულისხმება გალობის „ბერძული გვარი“, ე. ი. გალობის ბერძნული წესი, „რომელიც ასევე გადმოღების საგანი გამხდარა ღმრთის-მეტყველების „ბერძული გვარის“ საბოლოო მიღებასთან ერთად. გალობა, ცნობილია, ორგანული ნაწილი იყო ქრისტიანული რელიგიისა... (იქვე, 335).

საძიებელი

1. პირთა სახელები

- აბაზ ბაკურიანის ძე 28, 29, ნ. ბაკურია-
ნის ძე აბაზ
- აბასი შაჰი 169, 183, ნ. შაჰ აბასი
- აბაშიძე ივანე 241
- აბაშიძე მაქსიმე 119, 125
- აბრამოვი ისაქ 47
- აბულასანი 206, 208, 209, 212, 224, 225
- აბუსერი 195, 198, 199, 201
- ავეჯა ამირსპასალარი 89, 91, ნ. ამირ-
სპასალარი ავაჯ
- ავთანდილაშვილი ზურაბ 262
- Али Хасров 230
- ათანასე, ეგნატის შვილი 29, 30, 31
- ათანასი არქიმანდრიტი 109
- ათონელი გიორგი 322, 323, 324, 326,
327, 328, 329, 330, 331, 332, 334, 335,
336, 337, 338, 339, 340, 341, 342, 343,
344
- ალექსანდრე ბატონიშვილი 178
- ალექსანდრე დიდი 87, 88
- ალექსანდრე იმერთა მეფე 97, 172, 175
- ალექსანდრე კახთა მეფე 169, 170, 182,
183, 229, 230, 231, 233, 234, 235, 236
- ალექსანდრე II, იმპერატორი 20
- ალექსანდრე ნეველი 20
- ალექსანდრე პირველი, იმპერატორი 270
- ამბროზიო კონტარინი 113, 144, ნ. კონ-
ტარინი ამბროზიო
- ამილახვარი გივი 172
- ამირსპასალარა ზაქარია 91
- ანა დედოფალი 156
- ანგელოვი 21
- ანდრეესკუ 16
- ანდრია მოციქული 101, 102, 104, 105,
110, 181
- ანდრონიკე პალეოლოგი 29
- ანთელავა ი. 313, 315, 321
- ანთიმოზი (ივერიელი) 12, 13, 14, 18,
52, 53, 58
- ანტიოქიის პატრიარქი 339
- ანტონესკუ 16
- ანტონი 288
- ანტონი (ხახულელი ბერი) 332
- ანტონი გნოლისთავისძე 221, 222, 223
- ანტონი დიდი 324
- ანტონი ლიპარიტუოფილი 340
- ანტონი საღირისძე 219, 220
- ანჩელო 116
- არსენი 322
- არქანჯელო ლამბერტი 103, 104, 106, 109
- არღუთაშვილი 176
- არჩილ მეფე 170, 184
- აფხაზი 268, 271
- აფხაზეთის კათალიკოსი 85, 86, 87, 88,
89, 90, 91, 93, 94
- აფხაზთა მეფე 216
- აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარი 391, 311
- ახელდღიანი გ. 140
- ზაგრატ III 329
- ზაგრატ IV 194, 195, 196, 197, 198, 199,
200, 201, 202, 203, 303, 306, 310, 311,
330, 340
- ზაგრატ კურაპალატი 301, 330
- ზაგრატიონი დიმიტრი 30, 31
- ზაგრატიონი კოსტანტინე 30, 31
- ზაკურიანის ძე აბაზ 28, 29

- ბაქურიანის ძე გრიგოლ, ნ. გრიგოლ ბა-
 კურიანის ძე
 ბალნესკუ ნიკოლა 18
 ბასილ ბაგრატიის ძე 330, 322
 ბარათაშვილი ნიკოლოზ 267, 269, 271,
 272, 275, 287
 ბარამიძე ა. 130
 ბარბაროსა ფრიდრიხ 39
 ბასილ ეზოსმოდვარი 206, 207, 217,
 218, 220, 222
 ბატონიშვილი იოსებ 119
 ბაქარი 14
 ბაქრაძე დ. 61, 108, 109, 113, 125, 129,
 133, 134, 135, 197, 231
 ბედიანი, Bedian 113, 114
 ბედიელი 113, 114
 ბედიელი ნიკოლოზ 98
 ბელოკუროვი ს. 232, 236
 ბერძენიშვილი ნ. 31
 ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) 9, 10, 12,
 18, 49, 53, 55, 56
 ბესარიონ კათალიკოზი 108
 ბესარიონ პატრიარქი 119
 ბექა მანდატურთუხუცესი 301, 311
 ბოდროვი 20
 ბორისი 49
 ბოცო ჭაყელი 213, 215, 216, 225
 ბოჭორიძე გ. 125
 ბრატიაძე 18
 ბროსე მ. 121, 124, 129, 192, 195
 ბურნაშვილი 255

 ბაბრიელი (ბერა) 26, 29
 ვანი 103, 104
 გეგეშიძე მ. 289, 295, 296, 300
 გენათელი იოსებ 119
 Георгий (царевич) 183
 გიგინეიშვილი თ. 5, 31, 33, 34, 35, 38,
 51, 54, 55, 56
 გიორგი (ბერა) 28, 29
 გიორგი III 225
 გიორგი მერჩული 287, 306, 337. ნ. მერ-
 ჩული გიორგი
 გიორგი მეფე 86, 87
 გიორგი მცირე 287
 გიორგი მწერალი, გ. ათონელის ბიძა
 330, 334

 გიორგი უნგურიახო 55
 გიორგი უფლისწული, ბაგრატიის ძე 340
 გიორგი შეყენებული, სვიმონ წმიდელი
 323, 324, 337
 გიორგი ხუცეს-მონაზონი 337
 Георгий Лаша 281
 გოლია იონ 54
 გორბოლა, Gorbola 113
 გოშევი ივ. 25, 26, 27, 36, 37, 39, 40,
 41, 45
 Грабар А. 26, 28, 39
 გრიგოლ ბაქურიანის ძე 5, 24, 25, 28,
 32, 33, 34, 38, 40, 57
 გრიგოლ კათალიკოსი 100, 108
 გრიგორესკუ 12, 16
 Григорий Пакуриани 26
 გრძელიშვილი ი. 64
 გუზანი 213, 215, 217, 224, 225
 გულაბერის ძე ნიკოლოზ 220
 გურიელი ვახტანგ 109
 გურიელი 113, 115

 დავით აღმაშენებელი 5, 32, 60, 156, 158,
 159, 162, 221, 225, 226, 307
 დავით VIII 283, 284, 285
 დავით იმერთა მეფე 55
 დავით კურაპალატი 33, 330
 დავით ნარინი 85, 86, 87, 88, 89
 დავით სოსლანი 211, 212, 213, 215, 218
 დადიანი ვარდან, მსახურთუხუცესი 90,
 91, 212, 213, 214, 215, 216, 219, 225
 დადიან-გურიელი 113, 114
 დადიანი ლევან(!!) 123, 241, 242
 დადიანი ცოტნე 253
 დანიელ დასკალ მიტროპოლიტი 108, 109
 დაუდი 14
 დემეტრე (უფლისწული) 198, 201, 204
 Деметрѣ I 181
 დევი გიორგიუ 9, 18
 დიმიტრი თავდადებული 253
 დიმიტროვ-ციგინელსკი გიორგი 42
 დიმიტროვა 21
 დიმიტროვი გ. 19, 20, 41, 46
 დინარი დედოფალი 156
 დინევი 50, 51
 Димитрий II 281
 დიონისი, მღვდელმონაზონი 126

- დობროჟეანუ 18
 დოდაშვილი ს. 262, 266, 271
 დოლიძე ი. 301, 303, 306, 312
 დონდუა ვ. 221
 დოსითეოს შიტროპოლიტი 127
 დოსითეოს პატრიარქი 109
 დოსითეოს ქუთათელი 241
 დუკა, მთავარი 54
 დუმბაძე მ. 130
- მ**ნგელის ფრ. 9, 255
 ერანის შაჰი 234
 ერაყელი სულეიმან 14
 ერეკლე II 175, 176, 178, 179, 254, 268, 278, 316
 ერისთავი გიორგი 267
 ერმოლოვი 255
 ეფრემ მცირე 102, 134
 ეფთვიმე ათონელი 338, 339
 ეფთვიმე 322, 326
 ეფთვიმე მთაწმინდელი 335
 ექვთიმე გენათელი 241
- მ**არამ გაგელი 89
 ვასილევსკი ვ. გ. 193, 199, 202, 204
 ვახტანგ ბატონიშვილი 241
 ვახტანგ VI 14, 52, 53, 109, 132, 171, 172, 175, 184, 203, 296, 304, 316
 ვახუშტი ბატონიშვილი 76, 112, 113, 115, 117, 195, 197, 203, 204, 234
 ველიამინოვი 242
 ვლადიმროვიჩი ტოდორ 18
 ვლადიმერ მონომახი 225
 ვორონცოვი 270
- შ**აქარია ამირსპასალარი 91, ნ. ამირსპასალარი შაქარია
 ზოგრაფ ზახარ 41
 ზარზმელი სერაპიონ 307, ნ. სერაპიონ ზარზმელი
 ზოტოვა 47
- თ**ამარ მეფე 91, 134, 206, 207, 209, 210, 211, 212, 213, 214, 215, 216, 217, 219, 222, 224, 225, 226
 თამაზ ყული ხანი (ნადირ შაჰი) 172, 173
 თაყაიშვილი ე. 32, 38, 61, 85, 86, 87, 88, 92, 95, 96, 98, 113, 120, 128, 135, 136
- თეიმურაზ I 170, 175, 183
 თეიმურაზ II 172
 თედორე ხუცესი 253
 თეკლა (გიორგი ათონელის და) 327
 თეოფანე ხუცესი (ათონის მონასტრის ბერი) 330
 თმოგველი სარგის 134, ნ. სარგის თმოგველი
- ი**აკობი 234
 იაკობი (გიორგი ათონელის მამა) 327
 Иван IV 182
 იანევი რაიჩო 50, 51
 იგნატიევსკი სიმონ 49
 ივანე ათაბაგი 88, 91
 ივანე ლიპარიტისძე 198
 ივანე IV 234, 235
 ივანოვი იორდან 30, 34, 39
 იეღუევი 123, 124
 Изяслав 181
 იზიასლავი 225, 226
 ილარიონი, გელათის მოძღვარი 333
 ილარიონი, ხახულელი ბერი 332
 იმერეთის მეფე 213
 ინგოროყვა პ. 207, 224
 იოაკიმე 110
 იოაკიმე კათალიკოსი 104, 108
 იოანე ბანელი 330
 იოანე 322
 Иоан Иверопулец 27
 იოანე-თორნიკე 322
 იოანე რუსთყოფილი 205
 იოანე პატრიკი 339
 იოანე პეტრიწონელი 5, 12, 27
 იონა 24, 25
 იპოტესკუ ანა 17, 18
 იორგა 56
 იოსაფა ბარბარო 111, 114
 იოსებ გენათელი კათალიკოსი 125, 126
 ისკრა პანოვა 49, 50
 იშხნელი 90
 Юрий (Боголюбский) — 181
- ძ**აკაბაძე ს. 85, 89, 90, 91, 99, 100, 101, 104, 108, 110, 112, 118, 120,

- 121, 122, 123, 125, 126, 127, 141, 283, 284, 285, 286
- კაპანაძე 41
- კარაშინი 231
- კარლოსი 17
- კარისტი 304
- კანალოვი 13, 52, 53
- კახა თორელი 209, 307
- კაპარავა ი. 130
- კახაბერ ვარდანიძე 209
- კეკელიძე კ. 124, 140
- კიკვიძე ა. 130, 250, 252, 255, 256, 257, 259, 264, 265, 266, 267, 268, 269, 273
- კირიონ ეპისკოპოსა 205
- კოვალევსკი 304
- კონოვალოვი 19
- კონსტანტინე კახა 306
- კონსტანტინე დუკა, ბერძენთა მეფე, 343
- კონსტანტინე მეფე 86, 232, 233
- კონსტანტინესკუ მიხაი 55, 56
- კონტარინი ამბროჯიო 113, 114
- Лансере E. E.** 282
- ლასკოვი დ. 26, 27, 39
- Ласков Д.** 28-
- ლაშა გიორგი 85, 88, 90, 91, 92
- ლევან დადიანი 241, 242 ნ. დადიანი
ლევან
- ლევან კახთა მეფე 234, 235, 236
- ლენინი ვ. ი. 7, 17, 148, 167, 248, 319
- ლენინიძე 49, 176
- Леонтий** 229, 235
- ლენტი შროველი 113, 116, 306, 308, 309, 310, ნ. შროველი ლენტი
- ლევავა 246
- ლოპარტ IV (ბაღვაში) 194, 195, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203, 204, 330
- ლომოური ნ. 138
- ლორთქიფანიძე გრიგოლ (კათალიკოსი) 119
- ლორთქიფანიძე ნიკოლოზ 124
- ლუარსაბი 183
- ლუკა მახარობელი 30
- ლუკიანოვი კარლო 49
- ლუპუ ვასილ 54
- შაკარ წინამძღვარი (ხახულელი ბერი)** 33
- შაველონელი ფილიპე 23
- შალაქია გურიელისძე 119
- შალაქია კათალიკოსი 118, 119, 120, 121, 122, 123
- შამაცაშვილი ი. 262
- შამია გურიელი 242
- შანველიშვილი ნიკოლოზ 122
- შარი ნ. 12, 26, 27, 28, 40, 61, 116, 135, 155, 195, 196, 197, 199, 200, 281, 294, 295
- Март Н. Я.** 40, 281
- შარიამ დედოფალი 330, 338
- შარიამი, გიორგი ათონელის დედა 327
- შარიამი, ფერი ჭოჯიკის ძის შვილად 334
- შარქსი კ. 9, 58
- შაქსიმე კათალიკოსი 119
- შაქსიმე შაქუტაძე 124
- შახარაძე ნ. 238, 239, 240, 241, 242, 243, 245, 246, 247, 248, 249
- შეგვრიძე ი. 61
- შელიქიშვილა ლ. 268
- შელქისდეკ კათალიკოსი 156, 330
- შიქაელ კათალიკოსი 207, 220, 222, 223, 224, შიქაელ პატრიარქი 101, 102, 103, 104, 108, 222
- შიქელ ბედიელი, გონგლოზისძე 98, 99
- შიხაელ პატრიარქი 110
- შიხაილ პალიოლოღი 29
- შიხიელი, რუსთა მეფე 236
- შიპაი 17
- შიაწმინდელი გიორგი 102
- შოსკოვის დიდი შთავარი 232, 238
- შტბეგარი სტეფანე 113, 115, 116, 117, 307
- შურატი 228
- Мурат** 229, 230
- მუსხელიშვილი ლ. 149
- ნათაძე გ.** 141
- ნაკაშიძე 63
- ნაოლეონი 165
- ნარიშანი 228, 230
- Нариман** 229, 230
- ნემსაძე დავით 119, 125, 161
- ნიკიტინი 52

- ნიკოლაევი 17, 20, 21, 22, 36, 37, 39,
40, 43, 45, 47, 48, 49, 51, 52
- ნიკოლოზ I 268
- ნიკულინი ვ. 7, 8
- ორბელიანი გრაგოლ** 267, 268, 271
- ორბელიანი საბა 164, 170
- ოსეშვილი 176
- ოჭროპირი, ეგნატის შვილი 29, 30
- პაეღე (მოციქული)** 104
- პაეღოვი 46
- პანოვი 47
- პაპა ლავრენტი, პატრიარქის ვეჟილი 108
- პევეი ზრისტო 34
- პერპილიევი 33
- პეტრე I 54
- პოლიექტოვი მ. 123, 124, 186
- პოტიომკინი 54, 55
- პუზირევსკი 241
- შამთალმწერელი** 31
- ფორდანია თედო 85, 86, 112, 116, 118
120, 122, 124, 125, 135
- ფლენტი ს. 61
- რადევი** 19, 47
- რაზიკაშვილი თედო 138
- რაზმაძე სოლომონ 262
- რაჭის ერისთავი 119
- რეპინი 21
- რომანსკი 51
- როსტომაშვილი ივანე 135
- როსტომ ერისთავი 242
- რუსანოვი 240, 248
- რუსი უფლისწული 205, 206, 207, 208,
209, 210, 211, 212, 213, 214, 215,
216, 217, 218, 219, 220, 223, 224,
225
- რუსთაველი შოთა 128, 131, 132, 134,
161
- რუსუდან დედოფალი 88, 89, 206, 207
- საკაძე გიორგი** 183, 253, 254
- საბა, გიორგი ათონელის ბიძა 331
- საბანის ძე იოანე 287
- საბინინი მ. 112
- სალავათი 211
- სალუქვაძე იოსებ 125
- სარგის ჭაყელი 209, ნ. ჭაყელი სარგის
საფაროვი ა. 128
- საქართველოს კათალიკოსი 89
- საყვარელიძე ეფთჳმე 118
- Северов Н. П. 281
- სერაპიონ ზარზმელი 307
- სვიმონ ეგზარხოზი 108
- სვიმონ, აფხაზეთის კათალიკოსი 85
- სოლომონ I 108, 126, 184, 254
- სოლომონ II 239, 245, 246, 267
- სტალინი ი. 9, 10, 41, 47, 50, 145, 146,
147, 157, 253, 303, 312
- სტამპოლინსკი 43
- სტანიშიროვი სტანიშირ 31, 39
- სტრაბონი 144
- სულეიმან ერაყელი 14 ნ. ერაყელი სუ-
ლეიმან
- Темуркwa**, 182
- ტოკარსკი 146
- ტოლოჩანოვი 123, 124
- შგლავა მარკოზა** 347
- უსპენსკი თ. 40
- შერდინანდი** 16, 49
- ფერი ჯოჯიყის ძე 334
- ფურცელაძე დ. 135
- Феодор Иванович 182, 236
- ძავთარაძე ს.** 12, 14, 52
- ქიხოსრო გურიელის ძე 241
- ქართლის კათალიკოსი 87, 89, 90, 95
- ქეთევანი 183
- ქარიშხან ზენდი 178
- ქრისტე 104, 105
- ქუარიანი ზაქარაა 119, 124
- ქუთათელი იოვანე 97, 98
- ქუთათელი მაქსიმე 119, 127
- ქუთათელი სვიმონ 124, 125
- ქუთათელი 113, 115
- ქურხული ილიკო 42

- შეუხიშვილი ს. 195
 ყიფიანი დიმიტრი 262
 ყიფშიძე ი. 140
 ყუბასარი 222
 ყუთლუ არსლანი 209
- შამადავლა დადიან-გურიელი 108, 113
 შანიძე ა. 5, 7, 12, 17, 18, 25, 34, 35,
 37, 38, 39, 41, 48, 49, 50, 140
 შანშა მანდატურთხუცესი 89
 შანშე ქსნის ერისთავი 172
 შარვაშიძე გიორგი 138
 შაქელი ზოჯა მურადი 233
 შაპ აბასი 169, 183
 შივაროვი ი. პ. 41
 შირვანის ხანი 230
 შუშანიკი 308
- ჩიქოვანი 49
 ჩოლოყაშვილი ბიძინა 253
 Чубиншвили Г. Н. 278, 280, 281
 ჩხეტიძე სვიმონ 119, 124
- ცაგარელი ალ. 135
 Царица Тамара, 181, 281
 ცინცაძე ი. 186, 187, 191, 192, 195, 196,
 197, 198, 199, 200, 201, 202, 204,
 205, 206, 207, 208, 210, 212, 213,
 214, 216, 217, 218, 219, 220, 221,
 222, 223, 224, 227, 228, 229, 230, 231,
 232, 234, 238
 ცონჩევი დიმიტრი 23, 34, 35
- წერეთელი გ. 135
 წერეთელი დოსითეოს 127
- წერეთელი ზურაბ 241, 246
 წმიდა გიორგი 32
 წმიდა გრიგოლ 28
 წულუკიძე ვირშელ 87
- შავჭავჭავაძე ალ. 262, 267, 271
 ჭავჭავაძე ი. 14, 128, 129, 133, 134,
 277
 კილაშვილი გიორგი 262, 271
 კიკინაძე ზ. 10, 115
 კუონია ალ. 104, 106, 109
- ხანძთელი გრიგოლ 155
 ხაჭაპურიძე გ. 264
 ხახანაშვილი ალ. 304
 ხინოწმინდელი 113, 115, 117
 Хоземарум Шекинец 228, 229, 230
 ხორავა ლეონტი 41, 43
 ხოშტარია ნ. 64
- ჯაბადარი 139
 ჯავახიშვილი ი. 73, 74, 75, 76, 82, 87,
 91, 92, 106, 108, 111, 112, 115, 116, 130,
 131, 133, 135, 139, 140, 141, 149, 152,
 153, 212, 220, 221, 301, 305, 330
 ჯალალანია გოგია 247
 ჯანაშვილი მ. 135, 192, 195, 205
 ჯანაშია ნ. 137, 138
 ჯანაშია ს. 73, 75, 137, 138, 139, 140,
 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 148,
 149, 150, 151, 152, 153, 154.
- ჯაყელი სარგის 209
 ჯეკისონი 234
 ჯიფიშვილი სვიმონ 126
 ჯუანშერი 308

11. გეოგრაფიული სახელები

- აზერბაიჯანი 163, 171, 172
 აზია 23, 290, 291
 ათონი 29, 135, 331, 337, 341
 ათონის მთა 205
 ათონის მონასტერი 205, 323
 ალავერდი 229
 ალაზნის ველი 143, 144
 ალბანეთი 157, 162
 ალბანია 144, 159
- ალგეთი 59
 ამიერკავკასია 70, 155, 158, 162, 163,
 169, 170, 171, 172, 173, 176, 178, 179
 ანაკლია 114
 ანაქრთი 113
 ანასტელი 62, 64
 ანი 89
 ანტიოქია 101, 102, 103, 104, 105, 108,
 109, 110

- ანზა 112, 115, 117
 არაბეთი 14
 Арагви 144, 146, 278
 არაქსი 143
 არგვეთი 59, 73
 არშაზი 144
 არშაზისხევი 8, 73
 Армения 26, 144, 181, 279, 281
 არტანუჯი 115
 ასენოვგრადი 23, 24
 ასტრახანი 166, 173, 227
 Астрахань 182
 Атенский Сион 278, 279, 280
 Афон 181
 აფშილეთი 59
 აფხაზეთი 70, 83, 85, 86, 87, 88, 89,
 90, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100,
 101, 102, 103, 104, 106, 108, 109,
 110, 111, 112, 114, 125, 137, 171,
 198, 200, 201, 203, 216, 244
 აფხაზთა საკათალიკოსო 115, 117, 118,
 119, 120, 121
 აღმოსავლეთ საქართველო 61, 115, 127,
 169, 216, 241, 244
 აქარა 31, 112, 113, 114, 115, 117
 აქარის წყალი 112
 აჭი 125
 ახლო აღმოსავლეთი 162, 163, 165, 170,
 171, 174, 233
 Ахалицхский пашалик 183
 შაგინეთი 73
 ბაქო 173
 ბაში 148, 196, 202, 203
 ბაიბურდი 144
 ბათომი 113, 114, 171, 175
 ბათომის მხარე 113, 115
 ბათუმეი 45
 ბალკანეთი 22, 205
 ბანა 32
 ბარლამწშიდა (მონასტერი) 340
 ბასიანი 156
 ბაღდადი 159, 171, 175
 ბაღდათი 14
 ბაჩკოვო 5, 19, 20, 21, 23, 24, 29, 31,
 37, 48
 Бачковский монастырь 27,
 ბეღია 98, 99, 100
 ბელანიცა 50, 51
 ბელაქნის გზა 231
 ბელომორე 23
 ბელორუსია 6
 ბერეჟოული 64
 Бергубани 281, 282
 ბესარაბია 8
 ბიზანტია 14, 32, 157, 193, 204, 205,
 226
 ბიჭვინთა 98, 100, 126; ბიჭვინთა 116,
 124, 125, 126; ბიჭვინთა 110, 111
 ბიჯნისი 89
 Ближний Восток 182, 183
 ბრატიანუ 15
 ბრიანსკი 6
 ბულგარეთი 5, 12, 18, 19, 20, 21, 22,
 23, 35, 38, 40, 44, 50, 51, 52
 ბურგუნდია 164
 Бургундия 182
 ბუქარეშტი 10
 ბუჰაეშტი 10
 შავაზი 293
 განჯა 176
 განჯის კარი 83
 გეგუთი 215
 გელათი 5, 87, 333
 გენათი 124
 გეორგიევო 52
 გერმანია 59, 290
 გზა დარიალანისა 173
 გირესუნეი 144
 გიურგუე დუნაი 5
 გოგორეთი 64
 გოლიას მონასტერი 54, 56
 გონია 115, 116, 117
 გორაბერძენი 62
 გორი 138, 173, 293
 Государство илханов 181
 გრემი 229
 Грузия 181, 183, 184, 185, 279, 281
 Грузинская колония в Москве 181,
 184, 185
 გურია 31, 59, 60, 63, 64, 65, 110, 111,
 113, 114, 117, 138, 238, 241, 244,
 261

გურიამთა 63

გურიანთა 63, 64, 65

გუჯარეთი 59

დავით გარეჯი 278, 281, 282

დანდალო 113, 114, 115

დარიალის კარი 143

დარიალან 173

დარუბანდი 166, 171, 173

დასავლეთ ევროპა 164

დასავლეთ საქართველო 61, 85, 87, 88,
127, 203, 214

დაფნი 280, ბ. Храм Дафни

დახატულა 113, 116

დობრუჯა 16, 22

დიდგორი 60

დიოსკურია 293

დმანისი 292, 293

დნეპრი 6

დონი 42, 165

Джвари 278, 279, ბ. Михетский

Джвари

დუნაი 18, 52

ჟეოსის ზღვა 23

ჯგვიბტე 14

ჯგრი 116, 117

ჯგრისი 59, 70

ჯგრაზა 161, 162, 165

ჯგრობა 23, 170, 171, 178, 291

ენგური 70

ესპანეთი 10, 231

ერანი 166, 167, 168, 170, 173, 174,
177, 178, 179, 233, 234, 236, 239,

244, 266, 268, 328

ერევანი 176, 178

ჭალახია 52

ჯანი 292

ჯაშნარი 62, 65, 85

ჯარციხე 292

ჯატიშა 48

ჯატიყანი 39

ჯლახეთი 57

ჯოლგა 166, 227

ჯოლგისპირეთი 231

Второй Рим 181

Закавказье 182, 185

Западная Европа 282

ზემო ქართლი 144

შაგრიზი 159, 173

თათარ ბაზარჯიკი 21, 22

თაყვერი 59

თბილისი 9, 12, 29, 52, 54, 83, 139,
140, 159, 160, 173, 216, 251, 281, 300

თერგი 168, 169

თერგოლა 83

თიანეთი 293

თორი 7

თრაქია 21, 22

თრიალეთი 59, 63, 73

თურქეთი 59, 232, 266, 268

ბასი 5, 8, 9, 10, 53, 54, 56, 57

ბებრია 142, 143, 144

ბერუსალიში 98, 101, 102, 105, 108,
109, 110, 135

ბევრია 228

ბმერეთი 55, 118, 168, 170, 171, 200,
218, 238, 241, 242, 243, 244, 245, 247,
248, 249, 258

ბმერეთის სამეფო 216

ბმერეკავკასია 6, 165, 166, 169

ბნგლისი 59, 165, 173

ბნდოეთი 170, 171

ბრანი 291

ბრან 182, 183, 185

ბსკარო (სოფ. რუმინეთში) 48

Испания 182

ქავკასია 44, 156, 158, 159, 160, 161,
162, 164, 166, 168, 169, 170, 171, 174,
216, 280

ქავკასიონი 111, 143, 231

ქარის ციხე 32

ქარნუ ქალაქი 32, 215

ქასპისპირეთი 231

ქასპის ზღვა 168

ქალციხე, Caltichea 113

ქართლი 183

ქაფა 112, 115

ქაზაბერი 171

ქახეთი 31, 168, 169, 170, 172, 173,

- 175, 178, 179, 188, 228, 231, 236,
238, 252, 283
- Кахетია 183
- კერასუნტი 144
- კვპროსი 38
- კიევი 6
- კიევის რუსეთი 165
- კიევის სამთავრო 188, 205
- კიშინიოვი 8
- კლარჯეთი 59, 116, 215, 216
- კლდეეთი 78, 83
- კოლხეთი 67, 70, 142, 143, 144
- კოლხიდა 104
- კონჭკათი 64
- კონსტანტინეპოლი 103, 109, 163, 164,
166, 334
- Константинополь 181
- კორიდეთი 116
- Крым 182, 229
- Кура 278
- ლაგოდეხი 293
- ლაზიკა 70
- ლენინგრადი 6
- ლივანის ხევი 115, 117
- ლიხთამერი 24, 86, 110, 111
- ლიხი 111, 115, 199, 204
- ლიხთიმერეთი 88, 100, 101, 102, 104,
105
- ლიხთიქითი 215
- ლიხნი 200, 201
- ლორე 162
- ლურჯი მონასტერი 208
- მაკედონია 22, 23
- მაკეანეთი 138
- მამათი 64
- Малая Азия 181
- მარცა 22, 23
- მარტვილი 126
- Мартвильский Кафедрал 279, 280
- მახარაძე 58
- მახლობელი აღმოსავლეთი 142
- მესხეთი 59, 114, 283
- მთაწმინდა 148
- მთიულეთი 258
- Мистра 280 б. Храм Мистра
- მიკიზიანი 112, 113, 116
- მოზდოკი 173
- მოლდავია 8, 10
- მოსკოვი 5, 7, 14, 19, 49, 135, 165,
168, 170, 172, 188, 228
- Москва 184
- მოსკოვის რუსეთი 166, 234, 336
- მოსკოვის სახელმწიფო 166, 168, 170,
230, 231, 233
- Московское государство 182
- მოსხური მთები 144
- მტკვარი 143, 278
- მცირე აზია 163
- მცხეთა 63, 83, 87, 101, 102, 103, 104,
105, 108, 115, 144, 146, 293
- Михета 278
- Михетский Джвари 279, 280
- ნაგომარი 64
- ნამქედური 64
- ნარუჯი 64
- ნასაკირალი 60
- ნასტაკისი 295
- ნატანები 63, 64
- ნახჭევანი 176
- Неа Монн 280 б. Храм Неа Монн
- ნერედცი 226
- ნიგალი 112
- ნიგალის ხევი 116
- ნიკოფსი 214
- ნოვგოროდი 227
- ნოსტე 115
- ოდესა 6, 8, 15
- ოდიში 31, 106, 110, 111
- ოღვია 6, 44
- ოლთისი 32
- ოპიზა 116
- ოსმალეთი 14, 164, 156, 166, 168, 169,
170, 171, 173, 174, 177, 178, 179,
231, 232, 233, 235, 236, 239, 244, 318
- ოფრეთი 110, 111
- ოქროს ურდო 231
- პალესტინა 26
- პანჩარია (სოფ. რუმინეთში) 48
- პარიადრი 144

- Передняя Азия 181
 პერსიკი 50
 Персия 181
 პეტერბურგი 135, 140, 264, 276
 პეტრიწონი 5, 19, 21, 23, 24, 28, 29, 30, 33, 34, 36, 37, 39, 41
 პლეენა 19, 43
 პლოეშტი 5, 11
 პლოვდივი 21, 22, 23, 33, 34, 35
 პონტო 118
 პონტოს ზღვა 110, 111
 პოპულარა რომანა 8, 9
 პრუტი 8
 შმერინკა 6
 რადომირი 50
 რანი 159, 162
 რაქა 83
 რაქა-ლეჩხუმი 298
 რეშტი 173
 რილა 41
 რილის მთა 48
 რილის მონასტერი 37, 40, 41, 42, 48
 რილსკა რეკა 41
 რიონი 70, 114
 როდოპის მთები 21, 23, 34
 როდოპის ქელი 23, 24
 როკითი 125
 რომანია 11
 რომი 14, 164
 Россия 181, 182, 183, 184, 185
 რუმინეთი 5, 9, 10, 16, 19, 21, 44, 51, 52
 რუმინია 14
 რუის-ურბნისი 102
 რუსეთი 6, 14, 16, 59, 155, 165, 166, 169, 170, 171, 172, 173, 174, 177, 178, 179, 180, 186, 187, 188, 194, 205, 206, 225, 226, 227, 228, 231, 232, 240, 244, 245, 248, 254, 257, 263, 265, 266, 268, 270, 271, 273, 274, 277, 290, 317, 339
 რუსეთის გზა 173
 რუსეთის სამეფო 207
 რუსე (რეშჩუკი) 52
 რუსთავი 63, 83, 293
 რუხი 178
 საბედლიანო 114
 საბერძნეთი 29, 88
 საბჭოთა კავშირი 22, 60, 145, 146
 საბჭოთა ქვეყანა 2
 საბჭოთა კოლონია 20
 Сагареджойский р-н 281
 სადადიან-გურიელი 114
 სალახი 55, 56
 სამეგრელო 103, 106, 111, 113, 114, 137, 238, 244, 261
 სამოკოვი, ქალაქი 48
 სამთავრო 63, 73, 83
 Самтавრონский кафедрал 278
 სამთავროს კათედრალი 271
 სამცხე 31, 215, 216, 311, 329
 სამცხე-საათაბაგო 112, 144, 116, 168, 171, 244
 სამწყალი 116
 სანიგეთი 59
 სასირეთი 197, 204,
 სასირეთის ქალის თავი 201
 საფრანგეთი 10, 164, 170, 173
 საქართველო 7, 11, 30, 31, 33, 40, 49, 59, 60, 62, 67, 68, 69, 72, 73, 74, 76, 77, 82, 83, 84, 102, 103, 104, 108, 114, 116, 118, 121, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 138, 140, 141, 142, 143, 145, 147, 148, 149, 152, 153, 155, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 186, 187, 188, 189, 194, 205, 206, 207, 211, 212, 214, 215, 218, 224, 225, 226, 227, 228, 231, 232, 237, 239, 250, 251, 252, 254, 255, 256, 257, 258, 260, 263, 266, 268, 270, 279, 280, 281, 283, 285, 288, 289, 290, 291, 295, 311, 313, 315, 320, 336, 343
 სებასტოპოლი 114
 Северный Кавказ 182
 სენაკი 138
 სვანეთი 59, 66, 67, 68, 70, 71, 83, 298
 სვიმონწმიდა 338
 სინა 135
 სკანდა 143
 სკვითეთი 226
 სკილისი 144

- სნეგოვია 13, 53
 სომხეთი 162, 157, 159, 279
 სომხიდი 59, 216
 სოხუმი 63, 83, 137, 138
 სოფია 5, 8, 18, 19, 20, 25, 29, 34, 35, 36, 43, 44, 47, 48
 София 26, 30
 სპარსეთი 14, 59, 163, 164, 165, 168, 170, 171, 172, 179
 სრედნა გორა 21
 სტავროპოლის მხარე 50
 სტალინის პროსპექტი 16
 სტამბოლი 21, 169
 სტენიმახა 23, 25, 29, 33
 სტრუმი 50
 სულსა 63
 სუზინიჩი 6
- ტაო 31, 32, 33, 59, 156
 ტაო-კლარჯეთი 115
 ტაშირი 162
 Тбилиси 281
 ტბეთი 112
 ტერმე 144
 ტმუტარაკანი 226
 ტრაბზონ 144
 ტრანსილვანია 10
 ტრაპეზუნტი 144
 ტრაპიზონი 115, 117
 Турция 182, 183, 185
 ტფილისი 129
- უკრაინა 6
 ურეკი 62, 63, 64, 73, 83
 უნგენი 8, 9
- ფაზისი 29
 ფაზისის მდინარე 114
 ფაზის ქალაქი 113
 ფასიდი 144
 ფატისა 144
 ფილიპოპოლი 21, 22
 ფილიპოპოლისი 39
 ფოთი 114, 171
 ფორჩხა 116, 117
 Франция 182
 ფხოვი 59
 ფშაე-ხეცსურეთი 298
- ქართლი 30, 31, 33, 87, 88, 93, 95, 96 101, 105, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 143, 144, 155, 156, 157, 168, 169, 171, 172, 173, 178, 179, 216, 283 136, 143, 144, 155, 156, 157, 168, 169, 171, 173, 178, 179, 216, 283
 ქართლის საკათალიკოსო 117
 ქაშოეთი 27
 ქაჭთციხე 113
 ქვემო აჭარა 114, 115
 ქვემო გურია 171, 175
 ქვემო ივერია 118
 ქვემო იმერეთი 118
 ქვემო ქართლი 296
 ქვეყანა ყაიხაღებისა 114
 ქობულეთი 64, 113
 ქუთათისი 88
 ქუთათისი 127, 171, 175, 292, 293
 ქურდვაკურის ხევი 216
- ყაზანი 166
 ყაზანის სახანო 232, 233
 ყივჩაყეთი 225, 226
 ყიზლარი 173
 ყირიმი 166
 ყირიმის სახანო 166
- შაგი ზღვა 112, 113, 114, 117, 144, 163, 165, 193, 227
 შაგი ზღვისპირეთი 6
 შაგი მთა 322, 332, 341
 შაეშეთი 59, 113, 117, 215, 216
 შამქორის ომი 212
 შამხალ-ღალისტანი 236
 შარვანი 159, 162, 173
 შემოქმედი 64, 114, 122, 125
 შიდა ქართლი 216
 შილდა 293
 შორაპანი 143, 171, 175, 292
 შრომა 64
 შუამთის ტაძარი 278
- ჩაია (ჩაპელარსკა რეკა) 23, 24
 ჩანი 59
 ჩერქეზეთი 111, 112, 114
 Черное море 181
 ჩრდ. აფხაზეთი 126
 ჩხერი 178

- ცაგერი 293
 ცაიში 120, 121
 ცინისფერდი 64
 ცუცხვათი 171, 175
 ცხაკაია 293
 ცხენისწყალი 70, 114

 ძანსულის ხეობა 116

 წინა ზია 149
 წინა კაქესია 173
 წოფი 63

 შანეთი 59, 112, 114, 115, 116, 117,
 118
 კოროზი 110, 111, 112, 113, 114, 116,
 117, 118
 კყონდილი 223

 ხაზარეთი 226
 ხანზა (ხანძია) 116
 ხაზულა 126

 ხაზულის ლავრა 331, 332, 334
 ხვარბეთი 64
 ხინოწმინდის ეპარქია 113
 ხმელთაშუაზღვის ევროპისპირეთი 291
 Храм Неа Мони 280
 Храм Мистра 280
 Храм Хознос Лукас 280
 ხობი 173
 ხონი 122, 123, 124, 127, 293
 ხუფათი 116
 ხუცუბანი 64

 ჯავახეთი 59, 218
 ჯვარი 278, 279, 280
 ჯიქეთი 111
 ჯუმათი 120, 122

 Южная Россия 182

 ჰერეთი 156
-

შ ი ნ ა ა რ ს ი

„ლევაჲ	5
გურიის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის	58
სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი	66
ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ზოგიერთი პრინციპული საკითხისათვის	72
დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება	85
სიტყვა აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე 1963 წლის 15 იანვარს	128
სიღონ ჯანაშია როგორც ისტორიკოსი	137
შიომე დანაყლისი	149
აკადემიკოს ს. ჯანაშიას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებულის წინასიტყვა	151
საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის	155
Путеводитель к выставке «Грузинская колония в Москве»	181
რ ე ც ე ნ ი ე ბ ი	
იასე ცინცაძე — ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.)	186
Н. Б. Махарадзе — Восстание в Имерети 1819—20 гг.	238
Две книги о Грузинском древнем искусстве	278
პ. კაკაბაძის „დავით შერვა“	283
მ. გეგეშიძე — სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში	289
ი. დოლიძე — ძველი ქართული სამართალი	301
И. Г. Антелава, Государственные крестьяне в Грузии в первой половине XIX века (до крестьянской реформы 1864 года)	313
ღ ა მ ა ტ ე ბ ა	
მასალები მეფერთმეტე საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ	322
საძიებელი	345

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი შ. ხ ა ნ თ ა ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი დ. ბ ა ქ რ ა ძ ე
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
ტექნიკური ნ. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი რ. ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 27.7.1970; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.3.1971;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 22.50; სააღრიცხვო-საგამომ-
ცემლო თაბახი 20.10; უე 01243; ტირაჟი 1500; შეკვეთა № 1926;
ფასი 2 მან. 19 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15.

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Академии наук Груз. ССР, Тбилиси 60, ул. Кутузова 15

Николай Александрович Бердзенишвили:

ВОПРОСЫ ИСТОРИИ ГРУЗИИ

Книга V

გამომცემლობა „მეცნიერება“ 1971 წ. გამოსცემს შემდეგ წიგნებს:

1. ავტორთა კოლექტივი. ვანი. I.
2. ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. II.
3. კ. მელითაური. წინაფეოდალური და ადრეფეოდალური საქართველოს ციხეები. II.

